




მეცხე  
მეცხე

დადინანი  
დადინანი



სახელოვნო გამომცემლობა  
ლუბიანაში 1923 წ.







მეგობრები

(გამოქვეყნდა 1923 წ.)

Լուսնային Ժողով

Եւստի ինչպէս բնական զանազան-  
 քան, ևստի, սրբաբան բնական, և հիշատակելի  
 չանքարան անհայտ և անհայտ կարգի, յառ-  
 և ևստի: շտապ և կարգի: ~~Եւստի ինչպէս~~  
~~Եւստի ինչպէս~~ կարգի էր, և ցոյցի յիշատակելի շտապ  
 հետեւ յառաջ ապա և սրբաբան ինչպէս  
 ժողովի ժողովի ժողովի ժողովի: Եւստի  
 զոչ ևստի-սրբաբան և էր սրբաբան ժողովի շտա-  
 կարգի: Եւստի ևստի ևստի, ևստի, շտապի:  
 ևստի շտապի կարգի-սրբաբան: ևստի շտապի  
 շտապի-սրբաբան շտապի: ևստի շտապի շտապի  
 շտապի ևստի ևստի: ևստի շտապի շտապի  
 շտապի ևստի շտապի ևստի: ևստի շտապի  
 ևստի: շտապի-սրբաբան ևստի շտապի շտապի:

2



# გაღვა დაღიანი

ტომი I.

## პიქსეზი

ავტორის სურათით, აუტსიმილუთი,  
ბიოგრაფიით, ავტორის წინასიტყვათ-  
ბით, ავტორის ბოლოშენიშვნებით,  
მცირე სიტყვარათ.



სამხატვრო ნაწილი

შეასრულა მ. ჩხიკვაძემ.

## შალვა დადიანი.

შალვა დადიანი ჩვენი მწერლობის იშვიათი ობოლი მარგალიტია, რომელიც ჩვენი ცხოვრების წიალიდან უშუალოდ მოველინა ქართველებს.

ობოლი მარგალიტია მით უფრო, რომ, მიუხედავად თავისი დიდი გვაროვნობისა და უმაღლესი შემოქმედებითი მიღწევისა, — დაუჯერებელიც არის, — მაგრამ ყოვლად უსწავლელი აღამიანია.

მას სიყრმიდანვე არ უნახავს არც ერთი სასწავლებლის კარი, არ მიუღია არაერთარი სისტემატიური განათლება და, წარმოიდგინეთ, არც ოჯახში ჰყოლია ხელმძღვანელი და მასწავლებელი.

შალვა დადიანი ბუნებრივი, სტიქიური ნაყოფია იმ დროისა და წრისა, რომელშიაც იგი სიყრმიდანვე ტრიალებდა. ეს გარემოება და წრე კი ისეთივე მრავალფეროვანი, დაულაგებელი და მრავალმხრივი იყო, როგორც სტიქიაზე მინაბრებული ქართველი აღამიანის ბელი.

წარმოიდგინეთ აბობოქრებულ ზღვის ტალღებზე თავმინებებული აფრაგაშლილი ნაეი, რომელსაც ხან ზურგის ქარი მიაქანებს, ხან — პირქარი, ხან კი მიმდორებულ ზვირთების სიოს სისინზე აკვანივით ირწევა, ხან აგორებულ ტალღების ხეთქებაში აღის და დადის ტალღებთან ერთად, მაგრამ ისევ მძლე, ანძა-ამართული და იალქან გაშლილია. და მიჰყვება ასე მთელი თავისი სიცოცხლის დღენი ცხოვრების ზღვის ტალღებს, როგორც ეული გედი, ვიდრე უკანასკნელ სიმღერას არ შემოსძახებს და საუკუნოდ არ მიიძინებს გარშემო გამეფებულ ორონტრიალის მიუყუჩებელ ბუბუნში.

ასეთი არის შალვა დადიანის ბელიც.

ეს უსისტემოდ ნაზარდი, მაგრამ ოჯახის ტრადიციებისა და მოწინავე წრის გავლენით კეთილად ზრდილი ადამიანი, თავისი მახვილი გონებით ღრუბელივით ისუტავს იმ ჰაერს, როდის სადაც მოჰხვდება და ყოველი განცდილი და ნახული იშვიათის ოსტატობით გადმოაქვს სხვადასხვა სახეობაში, ქართველი ადამიანის გასაზიარებლად.

მას ახასიათებს ყოველი თვისება შემოკმედისა, როგორც კაზმულ მწერლობაში, ისე სასცენო, თუ სამოქალაქო ასპარეზზე.

ხილულისა თუ უხილავი სინიმდვილის შეცნობა, ნახულის შეგრძნება და საუცხოვო ფორმაში მისი მკვეთრი განსახიერება—ეს არის უმთავრესი თვისება შემოკმედისა.

და ყველა ეს თვისებები აღბეჭდილია შალვა დადიანის სასცენო ნაწერებში, ბელეტრისტიკაში, თუ საზოგადო მოღვაწეობაში.

მარტოობის დროს მისი მოღუშული, დაფიქრებული და სევდიანი სახე, საუბრის დროს კი მუდამ მოლიმარი და აყუკყუკებული თვალეები, დანაოკებული შუბლი და ადრეულად ქალარაშერთული კულულები გაგრძნობინებთ ამ ადამიანის სათუთსა და უსაზღვრო მგრძნობიარობას, ცხოველმყოფელ ენერჯიას და განცდათა სიღრმეს.

თავმდაბალი, მარტივი და სადა, მაგრამ მუდამ და ყველასთან ზრდილობიანი და თავაზიანი სიტყვა-პასუხით, იგი მოსაუბრეს იზიდავს, იახლოვებს და თანაც პატივისცემის მანძილზე ამყოფებს. ვერასოდეს ვერ მოისმენთ მისგან ურიგო, უმართებულო სიტყვას და სამაგიეროდ ვერასოდეს ვერ შეჰხვდებით უზრდელად მოქცევას.

ეს არის თვისება დიდბუნებოვან ადამიანისა და შალვა დადიანი დიდაც დიდბუნებოვანია.

იგივე ბუნებრივი ელფერი სდევს მის ნაწერებსაც. მარტივი, ძალდაუტანებელი, სხლარტი გადმოცემა, იოლად, უემპაოდ გადაჭრა საკითხისა. სინამდვილისა თუ მისი ოცნების ცოცხალი და მარტივი გმირები დადიან თქვენს თვალ წინ.

საუცხოვო აღლოიანობით არის დაწერილი მისი პირველი პიესა „მღვიმეში“. აქ მოცემულია მთელი ხანა ჩვენის საზო-

გაღიარებული ცხოვრებისა პირველი რევოლუციის განთავსიდან (1905 წ.).

ამავე ხასიათისაა მეორე პიესა „როს ნადიმობდენ“.

ამ ორივე პიესაში მოცემულია მთელი ფილოსოფია იმ ხანის სინამდვილისა, მისი ღირსება—ნაკლით, მისი განვითარების მომავალი გეზით.

„შენი ჭირიმე“—სხლარტი და ნიშანდობლივი დახასიათებაა გადაგვარებულ თავად-აზნაურობის უნიადაგო, უგნიასო, ფუქსავატი ცხოვრებისა და იმ გარდამავალ ხანაში ფეხადგმულ გლეხობის გამოსვლისა საზოგადო ასპარეზზე.

მტკბარი იუმორითაა გამთბარი მისი „გუშინდელნი“. აქ დასურათებული დასავლეთ საქართველოს უკვდავი ტიპები, სინამდვილეშია რომ გადაგვარდნენ, მათი გარდუვალი ხსოვნა მაინც დარჩება ქართველი ადამიანის გულში, შალვა დადიანის მხატვრული კალმით მოხაზული.

სულ სხვა ხასიათისაა მისი „ვარამი“, ეს არის სულის გაქანება უხსოვარ წარსულისაკენ, ეს არის შორეულ, დიად ხანასთან გაწყვეტილი სიმის გაბმა, ეს არის გარდასულის დაბრუნება თანამედროვე სინამდვილეში.

სხვათრივ არც შეიძლებაოდა.

თანამედროვე სიკხადის შემგნები ადამიანი ბუნებრივად გადაჭხედავს წარსულს, რათა მისი სრულყოფილი შემგნებით შემაერთებელი ჯაჭვი გააბას მომავალთან. ეს საკითხი მუდმივი საზრუნავი, მუდმივ დამაფიქრებელი, მუდმივი ვარამია ყველა შემგნებული ადამიანისათვის.

როგორც პიროვნება ნაყოფია საზოგადოებრივი ვითარებისა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ისე ერიც არის ნაყოფი საუკუნეთა მანძილზე ცვალებად ქარტეხილში განვლილი წარსულისა. ხოლო აწმყოსა და წარსულის „ჩახლართული ლტოლვა წარმოკმობს ღვიძლ შვილს თავისი სასიცოცხლო ძლევეამოსილებისას, რომელსაც მერმისი ეწოდება.

არ არის აწმყო უწარსულოდ, არ არის მომავალი აწმყოს გარეითად.

პოლიტიკურ, თუ აპოლიტიკურ მრწამსისა და ორიენტა-

ციის ადამიანისათვის, ეროვნული საკითხი.—როგორც მთლიანი კოლექტივის წარსული, აწმყო და მომავალი—გარდუვალი საკითხია. თვითონ თანამედროვე უდიდესმა და უძლიერესმა რევოლუციამაც კი მხარი ვერ აუქცია ამ სინამდვილეს და პირიქით დიდი გასაქანიც მისცა მას თეორიულ დასაბუთებაში, რომელსაც თანდათანობით პრაქტიკული განხორციელებაც ელის.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“. ექვს გარეშეა, რომ ომიანობისა და რევოლუციის ქარტეხილისაგან აფორიაქებული და ამობრუნებული ცხოვრება, მისი პოლიტიკურ-ეკონომიური შეხლა-შემოხლით, თანდათან სცხრება, ახალ კალაპოტში რუვდება და ყოველი ეროვნული ერთეულიც, მთელი თავისი პოტენციალობით, მთელი თავისი სასიცოცხლო ძალებით შემოქმედებითი სულისკვეთებისაკენ გაექანება და ამ მსვლელობაში უფრო გააღრმავებს და განამტკიცებს ყოველი სრულქმნილი ერის მეობას, ისტორიულის აუცილებლობით წარსულსა და აწმყოზე დამყარებულს.

შრომის უფლება და მოქალაქის თავისუფლება, გონებრივი თუ ფიზიკური გარჯილობის სიამე გაათბობს და გააბრწყინებს მერმისის ცხოვრებას. აფორიაქებულ თქვეშათ წარმოშობილი, წარმავალი სიღუბეხირე ფერხთაგან დაიბერტყს დაძაბუნებისა და უძლურის დახვესებულ მტვერს, რკინის ქალაშნებს ამოიკრავს, რკინის კვერთხს დაიბჯენს და უკვდავ ებრაელივით გაუდგება სანეტარო სამოთხის საძიებლად, კაცობრიობის საოცნებო აღთქმის ქვეყანაში თავისი მეობის დასამკვიდრებლად.

ეს მსვლელობა უკვე დაწყებულია. ერის უდიდეს უმრავლესობის—მუშებისა და გლეხების—ნებისყოფაზე დაყრდნობილი ხელისუფლება უკვე ლარივით მიიმართება მომავლისაკენ და თავის კლასიურ დროშასთან ერთად, ბუნებრივის აუცილებლობით, თან მიაქვს ბედი თავისი ერის ყოფნა-არყოფნისა.

და სწორედ ამისათვის ეს მსვლელობა არ შეიძლება დამარცხდეს, რადგანაც გზა და გზა დღითიდღე დახვეწილი, უსარგებლო და მანეე ჯართისაგან განთავისუფლებული, მთლიანი და დაუქუცბაცებელი წარიმართება იგი როგორც გაერთპიროფ-

ნებული მშრომელი ხალხის ერთიანი სული, როგორც მთლიანი კოლექტივი, როგორც ერთი.

და ქართველი ერისათვის კი უცხო ხილი როდია თანამედროვე ვარამი, თანამედროვე საკირობოროტი საკითხები. ეს მუდმივი ვარამი ქვეყანაზე სამართლიანობის დამყარებისა, ქვეყანაზე ხალხის ხელისუფლების მეუფებისა ძველთაგანვე წითელი ზოლივით მოსდევს წარსულს ცხოვრებასაც.

და, როდესაც შალვა დადიანი გონებრივად დაეაქაცდა, როდესაც თანამედროვე სინამდვილე შეუმტდარად გადაიღო მისმა გონების ობიექტივმა, იგი ცხრა კლიტულში შემწყვდელულ მზეთ-უნახავ შემოქმედების კოშკიდან გადაიხედავს შორეულ წარსულისაკენ და შინაგანის მზეობით გაგვიშუქებს მცირეოდენ სანახაობას იმ დიადი ხანისას, რომელიც ყოველი ქართველის გულს განუშორებლად ეხმატკბილება, როგორც უკვდავი შემოქმედება რუსთაველის ქნარისა.

მაგრამ დამახასიათებელი და ნიშანდობლივიც ის არის, რომ ამ სანახაობაში, ამ „ოქროს ხანაშია“ თვალწინ გვეშლება იგივე თანამედროვე ადამიანის ვარამი, ადამიანური უფლებისა და თანასწორობისაკენ მიმართული.

და შალვა დადიანმაც ამ პიესას უწოდა „ვარამი“ — იმ იგლების სახელი, რომელიც ხალხის უფლების მოსარჩლეა.

აბა, ყური დაუგდოთ, რას ამბობს ვარამი:

**„დარჩენილი გლეხი.** მერე, სოფელში რო ამბობენ: ეგ ჩვენი საქმე არ არის, ნეფემ იცისო?

**ვარამი.** მაგას საქმეში ჩაუხედავი იტყვის. როგორ არ არის ჩვენი საქმე, რადგან ყოველივე, რაც ხალხის ხელით არის გაკეთებული, მასვე უნდა ეკითხებოდეს. ჩვენი ბედის შქედელი ჩვენვე უნდა ვიყენეთ.

**დარჩენილი გლეხი.** რა ვქნა? ერო კარგათ არ მესმის?. მა, ე, უფროსი ხალხი რათა გვყავს? ისინი არ ატრიალებენ ცხოვრების ჩარხსა?

**ვარამი.** ჰაი-ჰაი, რომ ატრიალებენ და უბედურობაც ეგ არის!

**დარჩენილი გლეხი.** მაჰ, ვინ უნდა ატრიალოს?

**ვარამი.** ყველამ... ხალხმა... აი, შენ.. მე.

**დარჩენილი გლეხი.** ეე, მე კი არა...

**ვარამი.** ეგრა! შენ რაც გესმის, ის გეკითხება. აი, ახალგაზრდა ხარ მაგრამ არ იცი შენს მოძმე პეტრიას რა სკიბდება?

**დარჩენილი გლეხი.** ვიცი.

**ვარამი.** პეტრიამ კიდევ სხვისი იცის, იმ სხვამ კიდევ სხვისი და ამ ნაირად გამოვა, რომ სოფელს რაც უნდა, ის გამოითქმება, სოფლები კიდევ თემის საჭიროებას იტყვის, თემი—ხალხისა და შეიქმნება ხალხის ერთი ხმა... ეხლა კი როგორ არის?..“

ამგვარად შალვა დადიანმა მკიდრო კავშირი გააბა შორეულ წარსულში არსებულ და თანამედროვე საჭირობორტო საკითხების შორის. აწმყოს ძიებას შორეულ წარსულშიაც უპოვნა საძირკველი და ამით გაამართლა ორივე..

„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“.

ჩვენს თანამედროვე კაზმულ მწერლობაში ასე გაბედულად და ასეთის ინტუიციით არაფინ მისულა თამარის საოცნებო ხანასთან, როგორც შალვა დადიანი. ასე თამამად არაფინ შეცდილა თამარის დროისა და პიროვნების გაგებას იმ დროინდელ სინამდვილეში შალვა დადიანი ორის გეზით მიიმართება ამ ხანის გასაშუქებლად: ერთი არის სასცენო სანახაობა „ვარამი“, ხოლო მეორე, გაცილებით ძლიერი და ფართო—მისი საუცხოვო რომანი „უბედური რუსი“.

ამის გარდა შალვა დადიანი „ვარამში“ მეტად სათუთათ და კრძალულებით მიდის თამარის გულის-გულთან, მის იღუმალ სულისკვეთებასთან. აქ ორიოდ ფრაზითაა გადმოცემული გარდუვალნი ვარამი ყრმობის სიყვარულის აღრეულად ჩამქნარი წალკატისა, ეს, სულით ობოლთა მუდმივი თანამგზავრი სევდა, რომელიც ერთხელ მოკლულ გულს აჩრდილივით თანა სდევს. და ეს ხვაშიადი, დაბუდებული სხივოსან და გონება-ნათელ გვირგვინოსნის არსებაში, მხოლოდ მკრთალ ანარეკლად გაიფრევებს მის ბაგეთაგან თავისი გულის მესაიდუმლე და გულითად მკეგობრებთან (ხვაშაქი და კრაეაჲ) საუბრის დროის, ამ დათ-ნა

იცებთან, რომელნიც თანაზიარნი არიან როგორც მისი პირად დალხინება-ნაღველისა, ისე სახელმწიფო საქმეთა განრიგეზიაც.

ჯერ არ მოსულა სხვა გულთამხილავი, რომელსაც სავესებით ნეკერიტოს მთელი სიღრმე თამარის ზღვა გულისა, ჯერ კადერად ვერ შეუბედნია ვერც ერთს ჩვენი ღროის შემოქმედს ძნეულებით ჩახედვა მის სულში და იმ ჯოჯოხეთის გაღშლა, რომელიც საბედითოდ ბუღობდა ამ სანეტაროდ დაღებულ საქართველოს ვენერას არსებაში, რომელიც სიყვანულისა, მადლმოსილების და სამართლიანობის კალთას აფაქბდა ყველა უმწეოთა და ტვირთმძიმეთ, თვითონ კი ჰზიდაეჩვეულებრივი მომაკვდავისათვის აუტანელ სიმძიმის.

გარდა თამარის პირადი სულის კვეთების შეცნებისა, ჩვენის ფრიად საჭიროა მთელი ამ შარავანდედათ მოსილი ხანის დმიწენით ცოდნა და სრულყოფით შეგნება შოთას და ჩახჩხაძის შემოქმედების არე-გარემოებისა, რათა ერთხელ მაინც ივეს საქართველოს შემოქმედებითი სული, იმ უძღვევლ რკიბოძალაკიდან, რომელზედაც ამირანივით არის მიჯაჭული, მელსაც ეწოდება „ოქროს ხანა და მისი მთლიანად შეგნება წაველის შემდეგ, დაიბერტყოს ფერხთაგან წარსულის მტვედა, ოქროს ხანის ღვრიტით დატვირთული და გაღაღელოი, გაექანოს მერმისის შემოქმედებისაკენ. ეს არ იქნება ში ფუქსავატების ნირშეშლილი ნახტომი, რომელიც ახასიაშა თანამედროვე დაბნეულობას, ეს არ იქნება გარე მონაბერი აბყოლობით გაბრუებული თვითგანდიდების მანია, რომც უფრო აღრე განიფანტება, ვიდრე ღეღამიწა რამდენჯერავეს შემოველება მზეს, ეს არ იქნება მწერალ მეჯღანოალოების ათას თარგებიდან დაჯღანებული „შემოქმედება“, მდ თავანკარა, ჩვენი ცხოვრების ნამდვილ და პოხიერწზე აღმოცენებული, სულის წაოკოტში გადაშლილი ნაზიურნელოვანი სუმბული, რომელიც ბალზამივით ეპკურებაელის სულს და შოთას უკვდავ შემოქმედების სანატრეზო მოზიარედ მაინც გაუხდება.

ღ, „წყალნი წავლენ და წამოვლენ“, ჩვენ კი კვლავ დაუუ-

ბრუნდებით ადგილს დედას და მის ძუძუმკერდზე ნაზარდნი გაბედულათ და შემმართველათ გავემართებით შემოკმედებისაკენ.

და ამ გზაზე ამ უტყუარ მსვლელობაში, ამ ჩვენს მომჯადოებელ წარსულის სანახაობათა გაშინაურებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის შალვა დადიანს თავისი ნაწერებით

როგორც სიყრმიდანვე მამის ოჯახში, ისე თავისთავის ანაბარად მიტოვებული, ცხოვრებაშიაც შალვას ობოლი სული ხან ერთს დარგის აეტარს მიეძალება, ხან მეორეს, ხან ერთისაგან სცდილობს ცხოვრების ანბანის შესწავლას ხან მეორისაგან. ხან ქაბუჯობაშივე ხელნაწერ ჟურნალს აარსებს, ხან მსახიობად შედის, ხან უნივერსიტეტის კარს უკაკუნებს, ხან ევროპისაკენ მიეშურება. და ამ ჯახირში, ამ მიხეთქ-მოხეთქებაში მუდამ მარტოა, მარტოდ-მარტო, თავისი გულითადი სევდით, თავისი საგულისგულო მისწრაფებით, რომელიც ისე ღრმათაა ქაკუნქული მის გულის გულში, რომ გარეგნულად, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზერელე მაკცქერალისათვის თითქოს დარდიმანდი, უდარდელი თავადია იგი. მაგრამ მისი ცხოვრების ნავი ძლევამ-ოსით მიარღვევს ტალღებს და როდესაც ერთად-ერთი ადამიანიც, გამსჭვალული მისი შინაგანი ღირსებით, რომელიც ევროპისაკენ უკაფავდა გზას, დიად როდესაც ეს ერთად-ერთი ადამიანიც ხელიდან გამოეცლება ულმობელი სიკვდილით, მაშინ შალვას დაფარული, თავშენახული ენერგია შინა წრეში, სამშობლოს ფარგლებში დატრიალდება, გაიშლება და გადმოგვიღაგებს ისეთს ძვირფას მარგალიტებს, რომლის მსგავსსაც ბევრი უზრუნველყოფილი, ნიჭიერი და სისტემატიურ სწავლა-განათლებით აღჭურვილი კალმოსანიც ვერ მიაღწევდა.

თუ ვისთვისმე „ცხოვრება საუკეთესო სკოლაა,“ ეს უპირველეს ყოვლისა შალვა დადიანის ნიჭისათვის.

ვიმეორებთ, შალვა დადიანი პირმშო შვილია ჩვენი ცხოვრების სინამდვილისა, იგი სასცენო მწერლობაში გამოაჩნატველია, მისი რევოლიუციური სულისკვეთებისა.

ბელეტრისტიკაში გაცილებით უფრო ძლიერია შალვა დადიანი. საუცხოვოდ დახვეწილი ქართული, მხატვრული ალოო,

თანამედროვე სულისკვეთების განცდითი ცოდნა და მხატვრული გადმოცემა, წარსულის დასურათებაში იშვიათი ინტუიცია („უბედური რუსი“, „ვარამი“, „გეგეჰკორი“ და სხვ.) ახასიათებს მის კალამს.

„გეგეჰკორი“ უფრო რთული სასცენო კომბინაციაა. აქ თვალწინ გვეხატება სამეგრელოს მთავრის (დადიას) სასახლე, ჩახლართული მეგრული ბუნებით, პატარა დესპოტის თავაშვებულ თვითნებობით, მოქნილ და მოქანჩაკებულ წერილმანი პოლიტიკით, გაიძვერა და ღვარძლიან ჩიქვანებით. და, ამ მხაკერულ ხლართში გამბული, ხალხის უფლების მოსარჩლე გეგეჰკორი, რომელსაც უცხოეთში მიუღია განათლება. მკვეთრათ არის ნაქანდაკევი პიტალო კლდესავით მტკიცე და უღრკელი ხასიათის მსაჯული უხუცესთ-ხეცია, — თავისი გარდუვალი ერთგულებით ტახტისადმი და იქამდე მტკიცე სიტყვისა და მოვალეობის ამსრულებელი ადამიანი, რომ თავის ქალს, თავის საოცნებო და უსაყვარლეს-ასულს სიღუს საკუთარის ხელით გაჰგმირავს.

ამ პიესიდან მძლავრად მოჰბერს სიო თვითმყრობელ ტირანის უკეთურობასა, რომელიც აუცილებლად უნდა დაემხოს, რათა ხალხის უფლებას გაეხსნას გზა.

ორი კონტრასტი: მოცემული თვითმყრობელობისა შალვას პიესებში, ერთი თამაში, მეორე დადია, ორი ერთი მეორის უკიდურესი განსხვავება.

საერთოდ შალვა დადიანის ყველა პიესებში წითელი ზოლივით გასდევს ერთი განცდა, ერთი აზრი, ერთი მისწრაფება. ეს არის ნირშეუშლელი, ბუნებათ ქცეული ხალხის უფლების მოსარჩლეობა. ამ აზრითაა ამოძრავებული ყოველი გმირი, ამ იდეითაა ჩანასკული პიესის ხლართი და ყველა გმირები ამ იდეის მსხვერპლნი ხდებიან. აქ არ არის ძველი თეატრის უშველებელი მონოლოგები, აქ არ არის მყვირალა გამაყრუებელი ფრაზეოლოგია. არის მხოლოდ მოძრაობა, მოქმედება მარტივი, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი.

შალვა დადიანი უდიდესი მოსარჩლეა ხალხის ხელისუფლე-

ბისა, წინააღმდეგია დესპოტიის აღვირ-ახსნილობისა, თუმცა ეს საკითხი საბოლოოდ არცა აქვს გადაჭრილი.

„მღვიმეში“, როდესაც ხალხი დაამხოვს ძველს, და ახალი ცხოვრების ბელადად ზენისს ირჩევს, ზენისი ზიზღს უცხადებს ამრჩევლებს უვიცობისა, შეუგნებლობის და ბატონისმოყვარეობისათვის, რადგანაც ერთი ბატონის დამხოვბის მერე, მეორე ბატონს ისვამდენ თავზე. და ზენისიც მსხვერპლად ეწირება ბრბოს გაურკვეველობას, მის უვიცობას.

„გეგექკორში“, ხალხის უფლების მოსარჩლე გეგექკორი მსხვერპლად ეწირება თავის იდეას, რადგანაც მას ვერ აუტანია დადიას და ჩიქვანების დესპოტია.

„ვარამში“, ხალხის მოსარჩლე ვარამი, თუმცა გრძნობს თამარის სათნოებას, მაღალგონიერებას, თუმცა ეთაყვანებას მის სამართლიანობას და გამკითხველობას, მაგრამ მაინც მოითხოვს, რომ ხალხს ჰქონდეს უზენაესი უფლება თავისი ცხოვრების განრიგებისა.

და როდესაც ვარამი ამ იდეის ძიებაში კვდება, თამარი საკუთარის ხელით დაუხუჯავს თავს და ბოლოს ამბობს: „არა, ხალხს სულ სხვა უნდა!“

და მართლაც ნიშანდობლივ რა უნდა ხალხს? ამისი პასუხი არ მოიპოვება შალვას პიესებში.

და არ მოიპოვება იმისათვის, რომ თვითონ ცხოვრების სინამდვილეს არ მოუცია გადაჭრილი პასუხი, თვითონ ცხოვრება დაულაგებელი და მერყევია, თვითონ ცხოვრება ერთგვარის ინერციით მიიმართება და პიროვნებას არ ძალუძს მისი ჩარხის შემოტრიალება. მაგრამ ავტორის გულის ნადებს უნდა მივხედეთ ვარამის სიტყვებიდან. ვარამი მოითხოვს თამარისაგან, რომ მან ხელი შეუწყოს ხალხის განვითარებას, გზა მისცეს „ხალხის თვითმყრობელობას“.

აქედან ცხადია, რომ ავტორიც მოზიარეა ამ აზრისა.

ღიად, ხალხი უნდა იყოს თვითმყრობელი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ღიად, ქვეყანაზე უნდა დამყარდეს სრული სამართლიანობა თანასწორობა, თავისუფლება.

ესაა დედა აზრი შალვას შემოქმედებისა.

ნამეტნავეად ისტორიული მოთხრობებით არის ლარიბი ქართული მწერლობა და, გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ვასილ ბარნოვის გარდა, რომელიც წყვილიად მოცულ წარსულის ნატერფალიდან ამზეურებს სხვადასხვა ხანასა და ისტორიულ პირებს, მხოლოდ შალვა დადიანია ამ დარგში უფრო ძლიერი და ღრმა, თავისი ინტუიციით, მხატვრული შემოქმედებით, თავანკარა სტილით, თავისებური მანერით. მაგრამ, სამწუხაროთ აქ დაწვრილებით ვერ გავჩერდებით მის ბელეტრისტიკაზე.

ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრით ვეხებით ამ თვითქმნილ შემოქმედის პიესებს ისიც მხოლოდ იმდენად, რომ ჩავიხედოთ ავტორის გულში და შევიმცნოთ მისი სული. პირუთვნელი კრიტიკა, რომელიც როდისმე მაინც ეღირსება მთლიანად აღებული ჩვენ მწერლობას, ალბად, შალვა დადიანისთვისაც მოიცლის და მაშინ უფრო მკაფიოდ და ნათლად დავინახავთ თუ რა მნიშვნელოვანია შალვა დადიანის შემოქმედება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში.

ახლა კი მისი დახასიათებისათვის გადავიდეთ ბიოგრაფიულ ცნობებზე.

შალვა დადიანი დაიბადა 1874 წ. მაისის 8 დაბა ზესტაფონში, თუმცა მისი საგვარეულოს სოფელი არის ბეთლემი (სამეგრელოში).

შალვას დედა—ლიდია, ანტონ წულიკიძის ასული, საუცხოვოდ შინ განსწავლილი ადამიანი იყო. ზედმიწევნით იცოდა ძველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა (ვეფხისტყაოსანი, რა თქმა უნდა ზეპირად იცოდა); იყო მოსიყვარულე, ლმობიერი, სამართლიანი და მაღალ ზნეობის ადამიანი.

შალვას მამა, ნიკოლოზ ტარიელისძე დადიანი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მწიგნობარ-ფილოსოფოსი, ლინ-

გვისტი და ექიმობის კარგი მკოდნე ადამიანი იყო, საკმაოდ შეძლებული და უზრუნველყოფილი (ოთხი სოფლის პატრონი).

მას მხოლოდ ქუთაისის გიმნაზიის კურსი ჰქონდა დამთავრებული და ისიც ორი წლის სწავლის შემდეგ ჩაიბარა მან კურსის დასრულების გამოცდა. ყოველისფერი ცოდნა თვითგანვითარებითა და საკუთარს მეცადინეობით ჰქონდა შეძენილი. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ოცნებობდა, საზღვარ გარედ წასვლას, მეგრამ ცხოვრების ჩარხი ისე მოეწყოა, რომ მხოლოდ ერთხელ გასკილდა სამშობლო კერას 1896 წ.— ყარიმში გარდაიცვალა—და ეს ოცნება სამარეში თან წარიტანა.

ნიკო დადიანი, ანუ, როგორც მას უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოში, დიდი ნიკო, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სათავეში ედგა დასავლეთ საქართველოს კულტურულ ცხოვრებას.

ნიკო დადიანს ადრე გარდაეცვალა მეუღლე და მისი საზრუნავი გახდა ობლად დარჩენილი ქალ-ვაჟი—შალვა 4 წლისა და მისი დაჲ მამო—7 წლისა

ამ დღიდან ნიკო დადიანს დააწვა დაობლებულ ოჯახზე მზრუნველობაც და ბავშვებისათვის დედის მაგიერობის გაწევაც. ნიკოს ოჯახში გაწესრიგებული ცხოვრება იყო დამყარებული. ყველაფერს თავისი დრო და ზომა ჰქონდა. თავის დროზე ადგომა, თავის დროზე საუზმე, სადილი, გართობა, ვახშამი და ძილი.

პატარა შალვა სიყრმიდანვე განსაკუთრებულს პირობებში იზრდებოდა. მისი მამა, ჩაბმული დასავლეთ საქართველოს მოწინავე წრეში, საზოგადო მოღვაწეობაში, მკურნალობაში და მწიგნობრობაში, თითქოს ყურადღებას არ აქცევდა შვილის აღზრდას.

ნამდვილად კი არც ასე იყო საქმე. თუმცა მეტად საგულისხმოა, რომ ასეთს მოწინავე ადამიანს, რომელიც ათეული წლობით ჰმეთაურებდა დასავლეთ საქართველოს საზოგადო ცხოვრებას, ერთის შეხედვით, თითქოს ბედის ამარად ჰყავდა მინაბრებული პატარა შალვა.

ამ გარემოების<sup>1</sup> მიზეზი, ალბად, ის იყო, რომ შალვას მამას საშინლად სძულდა იმ დროინდელი გამარჯვებული სკოლა, განზრახვა ჰქონდა თავისი ბავშვებით ევროპაში წასულიყო და გარდა ამისა სურვილი ჰქონდა პატარა შალვაში აღედრა და განეეითარებინა თვითმოქმედებისა და თაოსნობის უნარი.

თვით-მოქმედებისა და თვითგანვითარების მხრივ, კი შალვას დიდი ასპარეზი ჰქონდა: მისი მამის სახლში ქუთაისში მუდამ დღე თავს იყრიდა მოწინავე მოღვაწეთა წრე (ლოლობერიძე ბესარიონ ნიკოლოზის ძე, კირილე ლორთქიფანიძე, დავით მიქელაძე (მეველე), გიორგი შარვაშიძე, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი. ტფილისში კი ილია ჭავჭავაძე, ვანო მაჩაბელი და სხვ.

დღე-მუდამ ისმენდა მათს გაცხარებულ სჯა-ბაასს საზოგადო საქმეებზე. მის განკარგულებაში იყო მამის მდიდარი ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, შალვას მამა, როგორც ნივთიერად შეძლებული ადამიანი, ადგილიდან-ადგილზე გადინაცვლებდა ხოლმე და თან დაჰყავდა შვილებიც. ნორჩი შალვას გულის ფიცარზე იბეჭდებოდა ახალ-ახალ სანახაობისა, ადგილ-მდებარეობისა და ადამიანების სხვადასხვა შთაბეჭდილებანი.

დამახასიათებელია ის მომენტი შალვას ბავშვობისა, როდესაც მან პირველად იგრძნო სულით ობლობა და მოსწყურდა საზრიანი გართობა. ეს მომენტი იმდენად დამახასიათებელია, რომ მთელს მის მერმინდელ ცხოვრებას ემბლებადად ლარით ვით გასდევს.

შალვა ხუთიოდე წლისაა. მამის სახლში ყველა საქმეშია გართული: ზოგი სწერს, ზოგი კითხულობს, მამა მყუდრო კაბინეტში მუშაობს. გარედ კი ნისლით დაბურული, წვიმიანი დღეა. შალვა ძალა-უნებურად სახლშია შემწყვდეული. გარედ ვერ გადის, ვერ ერთობა. ყველასაგან მივიწყებული, ფანჯარასთან ატუზული გასცქერის მოქრუშულ ამინდს, ისმენს წვიმის წკაპა-წკუპს, გული უღულდება, გაურკვეველი ბოლბა აწვება ყელში, ტუჩები ებერება, თვალები ცრემლით ევსება და უცებ აუვარდება ქეითინი.

მამის მახვილ სმენას არ გამოეპარება ეს ხმაურობა, თავის-

თან მიიხმობს კაბინეტში, თავზე ხელის გადასმით მიუალერსებს და ჰკითხავს.

— შალვა, რა გატორებს?

პატარა შალვაც გულამომჯდარი შესჩივლებს, რომ ყველანაირად გართულნი ხართ, ზოგი სწერს, ზოგი კითხულობს და მე რაღაში გავერთო, კითხვა არ ვიცი და გარეთაც წვიმსო.

— გინდა ისწავლო წერა-კითხვა? კარგი. აი, მოდი აქ უცქირე. ეს არის „თ“ (მოუხაზავს), ეს არის „ო“, ეს არის „ხ“, ეს არის „ი“.

ასეთი ბედნიერი საღამო ჯერ არა ყოფილა შალვასათვის. იშვიათად ახსოვდა მამის ასეთი ალერსი და ყურადღება. როდი ანებივრებდა. ამ საღამოს დაისწავლა მან „თოხი“. წიგნებშიაც სძებნა ეს ასოები და კარგად გაიკვთა.

— ეხლა წადი!

ეს იყო და ეს. დიდი ხანი გავიდა, რომ მამას არც მიუხმია შალვა და არც რამე უსწავლებია.

საგულისხმო და საყურადღებო კია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ასეთი უმეთოდო მეთოდი ანბანის დაწყებისა, მაგრამ, ალბად, აქაც თავისებური გზა აირჩია შალვას მამამ.

იმ დღიდან შალვა აღარ ისვენებდა და ებრძოდა ანბანს. ხან გამდგოს შეეხვეწებოდა—ეს რა ასოაო?—ხან მეზობელს, ხან შემოსწრებულ სტუმარს და ასეთი ჯახირით, მამის უჩუმრად, ისწავლა წერა-კითხვა. მხოლოდ ერთი ასო იყო მისი მტანჯველი, რომელიც ვერა და ვერ დაისწავლა. ეს იყო „ტ“, დარომელ სიტყვაშიაც კი ამ ასოს შეამჩნევდა, ხელად გადახტებოდა.

ერთხელ შალვა მიიხმო მამამ თავის კაბინეტში, მიაწოდა გაზ. „დროება“ და უთხრა:

— აბა, წამიკითხე!

შალვა მოულოდნელობით გაწითლდა, შერცხვა, დაიბნა, თან გულში გაივლო: „საიდან იცი მამამ, რომ კითხვა ვიცი, ან რა მოუბარებია, რასა მთხოვსო“. გაზეთი კი მაინც ჩამოართვა და დაიწყო კითხვა. მაგრამ გამოჩნდა სიტყვა „ტ“-ით და შალვაც ხელათ გადახტა მეორე სიტყვაზე. მამამ შენიშნა ფრაზის უაზრობა და ჩაუკირკიტა:

— აბა, კიდევ წაიკითხე.

შალვამ ხელმეორედ წაიკითხა უფრო თამამად, მაგრამ „ტ“-იანი სიტყვა კიდევ გადაულაპა. მაშინ მამა მიუხედა ეშპაკობას და აუხსნა, რომ ეს ასო არის „ტ“.

ამ დღიდან მამა ყოველდღე აკითხებდა შალვას „დროება“-ს. მაგრამ აქაც ერია შალვასათვის უსიამოვნო მომენტი, რომლის კითხვაც ძალიან სძულდა. ეს იყო „ბანკის დისკონტი“. შალვა ოსტატურად გადაახტებოდა ხოლმე ამ ცნობას, მაგრამ მამამ კარგად იცოდა მისი ოინბაზობა და სწორედ ამ „დისკონტს“ წააკითხებდა პირველად.

16 წლის შალვა უკვე ტფილისშია მამასთან ერთად. ეხლა კი მამამ მოუწვია რუსული ენის მასწავლებელი. ეს იყო იოსებ ლორთქიფანიძის მეუღლე, კვიატკოვსკის ასული მარიამი. მარიამ კვიატკოვსკი — ლორთქიფანიძისა დაახლოვებული იყო იმ დროინდელ მოწინავე ახალგაზრდა რევოლიუციონერებთან. იგი შალვას უზიდავდა არა ლეგარულ ლიტერატურას, მერმე კი გააცნო გიორგი ლასხიშვილის დას, ამათ შალვა დაუახლოვა იმ ახალგაზდობის წრეს, რომელშიაც იყვნენ: შიო ჩიტაძე, მიხეილ თაქთაქიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, არჩილ ჯორჯაძე და სხვანი. ამ წრეში იმართებოდა კრებები, იკითხებოდა რეფერატები, იყო კამათი, ეცნობოდნენ არა-ლეგარულ ლიტერატურას და სხვა. შალვა დადიანის პოლიტიკურ აღრზდაზე, ექვს გარეშე, ამ ხანას დიდი გავლენა ჰქონდა.

რუსულის შესწავლამ გასტანა მხოლოდ ერთს წელიწადს და შემდეგ შალვა კვლავ თავის ანაბარსაა.

17 წლისა იქნებოდა შალვა, როდესაც ტფილისის ესტუენრა გამოჩენილი იტალიელი მსახიობი როსსი. შალვა აღტაცებაში მოიყვანა მისმა თამაშმა, თუმცა იტალიური ენა არ ესმოდა.

18 წლის შალვა (1893 წელს) ქუთაისის დრამატიულ დასში მსახიობად შედის. მამას თუმცა არ მოსწონს მისი არჩეული გზა, მაგრამ მინც არ უშლის. სხვა ნათესაობას კი საშინელ დამცარებად მიაჩნიათ თავადის „კომედიანტობა“. მაგრამ შალვა თავის გადაწყვეტილებას არა ჰღალატობს.

პირველად გამოვიდა შალვა სცენაზე გრაფ დევირეს როლში („მარგარიტა გოტიე“). იმ დროინდელმა „ივერიის“ რეცენზენტმა ლომინაძემ დიდათ მოიწონა მისი პირველი დებიუტი. ამ დღიდან, ე. ი. 1893 წლიდან 1899 წლამდე შალვა ქუთაისის სცენას არ მოჰშორებია. კოტე მესხის შემდეგ, მაშინ ქუთაისის დასს რეჟისორობდა ლადო მესხიშვილი. მსახიობთა წრეში შალვა დადიანის მსახიობობას თითქო ისე უცქეროდნენ, როგორც ატლგაზრდა თავადის ინადიანობას, მხოლოდ ლადო მესხიშვილი აქცევდა ყურადღებას და აქებებდა კიდევ სასცენო საქმეში.

შალვა, რომ ოცი წლისა შესრულდა, ე. ი. 1894 წელს მამამ დაბადების დღეს მიუძღვნა საათი და კომპასი და შემდეგი ლექსი, რომელიც ერთგვარი პროგრამაა ცხოვრებისა:

„ყოველგან სცნობდე „დროს“ და „მხარესა“,  
იმხრობდე მშობელ-აღმზრდელ მხარესა,  
„დროს“ ეგებვოდე, „ალაგს“ შვენოდე,  
კკუთით შორსჰქვრეტდე ნათელ „არესა“,  
ნისლ—კვამლს ირეკდე შენსა გარესა,  
იგნებდე გზასა, მტერს, მოყვარესა!..  
...და წინ საწადელ აკვანთ დამდგმელი  
წმიდად იცავდე „დიდთ“ სამარესა“.

1899 წელს თითქო ბედი ნირს უცვლის და კომერსანტად ჰხდის.

ამავე დროს შალვა სცდილობს მატემატიკის, გეომეტრიის, ალგებრის შესწავლას, მაგრამ მის თავში ეს დარგი ფეხს ვერ იკიდებს.

შალვას ჰქონდა მამაპაპეული მადნეული ადგილები შავი ქვისა. ს. რგანში (ქიათურის მახლობლად). და შალვაც ამ მადნის დამუშავებას იწყობს. იმ ხანად მცირე ცვლილებაც ხდება მის ოჯახურ ცხოვრებაში, რასაც დიდი ხარჯები მოჰჰყვა. შალვა ამუშავებს შავი ქვის მადანს, ეზიდება ქიათურაში ურამებით. ამ ხანად არჩევნებია ქიათურაში იმ დროს არსებულ საზოგადოებისა „შავი ქვა“ შალვას ირჩევენ გამგეობის წევრად ზდანოვიჩის თანაშემწედ. 

ამ კომერციამ ვერაფერი შესძინა შალვას, ხარჯებმა შემოსავალს გადააქარბა და 2 წლის გაწამების შემდეგ იგი ხელს იბანს შავი ქვის მადანზე.

ვერ შეეთვისა შალვას ხასიათი და სული კომერციულ საქმეს. ტყუილად კი არ სძულდა ბოვშვობაშივე ბანკის „დისკონტების“ კითხვა.

თუმცა მამა დაჟინებით წინააღმდეგი იყო რუსული სკოლისა საერთოდ, მაგრამ შალვამ ეხლა უკვე 22 წლის ქაბუკმა, მოიწადინა უნივერსიტეტში შესვლა, რადგანაც მამის ოცნება საზღვარგარედ წასვლისა ვერ ხორციელდებოდა. შალვა მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ მოახერხა მოსკოვში წასვლა 1903 წელს. და იქ იურიდიულ ფაკულტეტზე ჩასარიცხად ემზადებოდა.

მასწავლებლად ჰყავდა მაშინდელი სტუდენტი, დღეს ცნობილი ევკენი გეგეჰკორი.

მოსკოვში მისი ყოფნის დროს, სტუდენტების მოძრაობა დაიწყო. გახშირდა ჩხრეკა, დაჭატიმრება და სტუდენტების გადასახლება. გაჩხრიკეს ქართველთა სათვისტომოც. შალვასაც არ ასცდა გაჩხრეკა. წაიღეს მისი ხელნაწერები და წიგნები.

შალვა იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო და 1905 წელს შალვა ტფილისში ჩამოვიდა და ტფილისის ქართულ სცენაზე მსახიობად შევიდა.

გადაიარა პირველი რევოლიუციის ქარტეხილმა. წამიერი აღფრთოვანება უიმედობამ მოიკცა. რევოლიუციის დამარცხებამ ბევრს გული გაუტეხა. ბევრს აღარ უდგებოდა გული საბუდარში და სამშობლოდან გადახვეწას ესწრაფოდა.

1907 წელს, შალვამ გადასწყვიტა სიყრმის ოცნების განხორცილება და საზღვარ-გარედ გაემართა. მას ეხმარებოდა ბებიის დაჟ, ელისაბედ აბაშიძის ასული, მეუღლე იმერეთის თავად-აზნაურთა წინააღმდეგის ნიჟარაძისა. მაგრამ შავ ბედს არც აქ ეძინა და შალვამ ოდესაში შეიტყო, რომ ეს მისი ერთად-ერთი ნუგეშიც გამოეცალა ხელიდან. ოდესიდან, ნაშიმ-შილვეი და გაწამებული, რის ვაივავლახით ისევ სამშობლოში დაბრუნდა. რიონის სადგურზე მას შეხვდა მისი მეგობარი კო-

კინია დგებუაძე. შეიტყუა მისი უმწეო მდგომარეობა და თავის სახლში წაიყვანა ქუთაისში. სადაც სრულს მის ხარჯზე გაატარა ერთი წელიწადი.

ამგვარად შალვა დადიანმაც განიცადა შავბედითი „ვალდებულება“ ქართველი მოღვაწისა ე. ი. უგზო-უკვლოდ, უპატრონოდ, სიმშოლსა და სიცივეში წანწალი იდეალის ძიებაში, რომელიც საბედისწერო ხვედრია ჩვენი ქვეყნის საზოგადო მოღვაწეებისა. და ერთხელ კიდევ დადასტურდა ის აზრი, რომ საზოგადოება მეტად განუკითხველია, არ დაეძებს არავის ბედს და მხოლოდ მზად გაშლილ სუფრას მოუჯდება და არც იკითხავს, თუ საიდან და რა ქაპანწყვეტით მოუტანია მენილეს ის ნუგბარი ნაყოფი, რომელსაც საზოგადოება შეექცევა.

საბედნიეროდ, შალვა დადიანის ჯანმა აიტანა ასეთი არანორმალური კვეთება სულისა და ხორცისა, რასაც უნდა უმადლიდეს თავის მშობელ მამას, რომელმაც გონივრული ხელის შეწყობით სიყრმიდანვე გააქაჟა მისი სხეული, გაათოლდა მისი სული. და გააღმასა მისი ხასიათი.

ბოგემაზე არ ვლაპარაკობთ, რადგანაც ეს ისეთი სულის გაქანებაა, რომელიც მხოლოდ შემოქმედებას არ ახასიათებს. ჩვენთვის კი ძვირფასია შემოქმედი, თუნდ იგი ბოგემა იყოს, თუნდ — დაყუდებული ბერი.

1907 წლიდან იწყება შალვა დადიანის სარეჟისორო მოღვაწეობა ქუთაისში.

ამ დღიდან შალვა დადიანი განუშორებლად და განუწყვეტილივ მოღვაწეობს ქართულს სცენაზე.

სცენაზე შალვა დადიანს ახასიათებს ტანადობა, სასიამოვნო ხმის მტკბარი ბგერა, მოძრავი სახე, საუცხოვო ქართული დიქცია, ბუნებრივი, როლთან შეფარდებული მიმოხვრა, განსახიერებელი ტიპის სრული შეგნება და მუდამ შესაფერი გრიძი.

მას შემოვლილი აქვს საქართველოს ყველა დაბა-ქალაქები.

მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადახდილი იქმნა ტფილისში 1923 წ.; თებერვლს 3-ს. დიდის ზეინით და ეგეთივე ზეიმით მოეწყო მისი დღესასწაული საქართველოს სხვა დაბა-სოფლებშიაც.

საიუბილეო დღისათვის, საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით გამოიცა წიგნაკი „შალვა დადიანი“ მისი პორტრეტების და მოღვაწეობის შეფასებით; გამოიცა საგანგებო ნომრები „ლომისი“—სა „რუბიკონი“—სა, „სახალხო სახლი“—სა, სადაც ჩემნი ცნობილი მწერალ--მოღვაწენი გამოსთქვამდნენ თავ-თავის აზრს შალვას ღვაწლმოსილობის შესახებ.

შალვა დადიანს შეუსრულებია ამ 30 წლის განმავლობაში, როგორც მსახიობს სულ 284 სხვა და სხვა როლი.

თავისი რეჟისორობით დაუდგავს 105 პიესა.

შალვა დადიანი სამწერლო ასპარეზზე ადრე გამოვიდა. ჯერ ისევე ქუთაისში ყოფნის დროს, კაბუჯობაში, მისი რედაქტობით და უახლოესი თანამშრომლობით გამოდიოდა ხელნაწერი ეურნალი „მოზარდი“, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობას ღებულობდნენ: მიხა ცხაკაია, დუტუ მეგრელი, მაშო ანჩაბაძე (შალვა დადიანის დაჲ, ამჟამად ცნობილი მოღვაწე აბხაზეთში) და სხვ.

შალვას ბელეტრისტული ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა 1896 წელს ქუჯის ფსევდონიმით გაზ. „ივერიაში“ „წმინდა ცრემლები“.

მის კალამს ეკუთვნის: 18 მინიატურა და რამდენიმე დიდი მოთხრობა.

მათ შორის: „სამსლნის თმები“, „ტყვე“, „შვილი“, „იახში ხანუმ“, „ლელა“, „დედოფალი“, „ხორცი“.

დიდი რომანები: „უბედური რუსი“, „ანდერძი“, „სიტყვა ქეშმარიტი“.

საერთოდ ხელოვნებისა და თეატრის შესახებ პუბლიცისტური წერილები და აგრეთვე წერილები სათაურით „ჩემი მარალ“, სადაც დახასიათებულია ქართველი მწერლები, მოღვაწეები და მსახიობნი.

საგულისხმოა შალვა დადიანის ავტობიოგრაფიული ცნობები, სახელწოდებით „შიშველი მე“, რომელიც ავტორის სურვილით მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შეიძლება დაიბეჭდოს.

მწერლობაში მისი ფსევდონიმები იყო: ქუჯი, ნარიშანი, —ვა—ი. 904.

ორიგინალურ პიესების გარდა, შალვა დადიანს ბევრი ნათარგმნი პიესებიცა აქვს:

შექსპირის „რომეო და ჯიულეტა“, და „ქირვეული ცოლის მორქულება“.

ბაირონის — „სარდანაპალი“ და „მანფერდი“.

ჰაუპტმანის — „ჰანელე“ და „სული ობოლი“,

ბიერნსონის — „გაკოტრება“,

შილლერის — „მარიამ სტუარტი“,

ჰოფმანსტალის — „ელექტრა“,

ანდრეევის — „ჰაუდეამუს“ და სხვა.

გადმოკეთებული: „ბატონი და ყმა“ („გლახის ნაამბობიდან“), „ბედის ტრიალი“ (ერისთავისა) „ტარიელ გოლუა“ — ლეო ქიაჩელიისა და სხვ.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ შალვა დადიანი უფრო დიდი ბელეტრისტია, ვიდრე დრამატურგი. თვითონ მისი პიესების კრებულიც თავისი სურათოვნობით, თავისი ადვილი და სხლარტი კალმის მოსმით, ღრმა ტრალიზმის უქონლობით, ადასტურებს ამ მოსაზრებას. და მისი მოთხრობები და რომანები რომ უფრო ძლიერია, ვიდრე პიესები, ამას თვითონ ავტორიცა გრძნობს და თავის სასცენო ნაწერებს სხვა და სხვა გვარად უბოდიშებს „კალმის ნიემპაკარი“, „სანახაობა ერთ მოქმედებად“, „ისტორიული ოცნება, წარმოსადგენი სამ სანახავად“ და სხვ.

ამას სხვა მიზეზებიცა აქვს, უეჭველია. პიესების ასეთი ხასიათი ამჟღავნებს ავტორის თავისებურ შეხედულებას თეატრზე და სათეატრო კომბინაცია. სანიმუშოთ მოვიყვანოთ თვითონ შალვას აზრი:

„პიესები უნდა იწერებოდეს ისე, როგორც ტიბიკონი, როგორც კინემატოგრაფის სცენარი, რომელიმე განკარგულება.“

სწორედ განკარგულება ბრძანება № ესა და ეს, სახელი პოეტური ესა და ეს, მოქმედება — აქ და აქ, გმირები ამა და ამ დროის, ანუ არავითარი დროს, სივრცისა და დროის გარეშე, მაგრამ ესეთ და ესეთ ასხმულობას, განმტკიცებული ადამიანის სულის მუდმივი და უცვლელი შინაგანის რეალიზ-

მით. მუსიკობა აგეთი და აგეთი, პლასტიურობა ამ ხასიათის, რიტმი—ნაწერებით აღნიშნულა, ჰაერ-სავსესა—ამა და ამ დოზის, კოლორი, ხატოვნება, დიქცია, ტენზია, ყოველივე ნაწევნები განზრახვისამებრ და ტექსტი კი რაც შეიძლება ძუნწი, შეკუმშული, პოეზიით აღსავსე უთუოდ უბრალო სიტყვებსაც ისეთი ხმარება, ისეთ მოხდენილ ალაგას, რომ სრულიად უცხო და პოეტურ შედეგათ მოეჩვენოს მსმენელს“.

თვბლსაჩინოა შალვა დადიანის პრაქტიკული მოღვაწეობაც.

ჩვენში პირველად შალვა დადიანმა შეადგინა 1912 წელს „მოგზაური დასი“, სადაც თავი მოუყარა სულ ახალგაზდა სასცენო ძალებს. აქ იყო: 1) ელო ანდრონიკაშვილი, 2) სუ-ზანა ბეჟანაშვილი, 3) ანნა კავთელი, 4) ოლიმპიდა დოლობერიძე, 5) ეველინა წუწუნავა, 6) ვანო ბარველი, 7) პლატონ კორიშელი, 8) სანდრო ყალაბეგიშვილი, 9) ანდრო მურუსიძე, 10) მიხეილ გელოვანი, 11) ალექსანდრე გუგუშვილი, 12) ზაქრო ურუშაძე, 13) აღ. ჯაყელი და სხვ.

1914 წელს ბათომში შალვა დადიანის თაოსნობით დაარსდა ქართული „დრამატიული საზოგადოება“ და 1917 წელს მისი თაოსნობით და უახლოსი თანამშრომლობით დაარსდა ქ. ტფილისში „მსახიობთა კავშირი“. მოეწყო „სასცენო მოღვაწეთა ყრილობა“.

1917 წელს, შალვა დადიანის უახლოესი მონაწილეობით ქ. ტფილისში დაარსდა „ქართველ მწერალთა კავშირი“.

1917 წელს, „საქართველოს ეროვნულ ყრილობაში“ შალვა დადიანის მოხსენებით დაარსდა „სახელოვნო სექცია“.

1918 წელს „საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან“ მისი მეცადინეობით დაარსდა „ხელოვნების სექცია“, რომლის ფაქტიურ თავმჯდომარედაც შალვა დადიანი იყო.

ბევრი პროექტები ჰქონდა შემუშავებული „ხელოვნების სამინისტროსი“.

შალვა ყოფილა: „სახელოვნო კომიტეტის“ თავმჯდომარის ამხანაგად, „მსახიობთა კავშირის“ თავმჯდომარედ, „მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის ამხანაგად, საქართველოს სახელმწიფო „პირველ ლატარიის“ დირექტორად.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, შალვა დადიანი იყო „სახელოვნო მთავარ კომიტეტის“ წევრად, „სათეატრო სექციის“ თავმჯდომარედ, „სარეპერტუარო კომისიის“ თავმჯდომარის ამხანაგად...

არა ყოფილა არც ერთი დარგი ჩვენი კულტურული ცხოვრებისა, რომელშიაც შალვა დადიანს არ მიეღოს რაიმე მონაწილეობა. მაგრამ ერთი რამ ნიშნდობლივი თვისება მუდამ თან სდევს აზრდილივით. ეს გახლავთ ის ნისლით დაბურული, წვიმიანი ღღე, რომელმაც პირველად გაუღვიძა პატარა შალვას ადამიანური სულის ობლობა, როდესაც მოენატრა წერაკითხვა და გონიერი გართობა. შალვა ოჯახურმა ცხოვრებამ (მამის სახლში) მიაჩვია გულჩახვეულობას, თვითმოქმედებას, ყოველისფრით დაინტერესებას, ზრდილობას და თავაზიანობას. და ყოველივე, რაც კი სიყრმიდან აღიბეჭდა მის გულის ფიცარზე, ყოველივე რაც შემდეგ შეისუტა მისმა გონების თვალმა, მისთვის როგორც ხელოვანისათვის სავალდებულო დასაბრუნებელი იყო იმავე ცხოვრებისა და საზოგადოებისათვის. და ისიც აკი სხვა და სხვა გზით, სხვა და სხვა სახით, სხვა და სხვა დარგით უბრუნებს ცხოვრებას, იმას, რაც მისგან უშუალო განცდით მიუღია.

მისი მოღვაწეობა და შემოქმედება, თითქო ჩრდილში მიმდინარეობდა, თითქოს ვილაციის უჩუმრად (როგორც ბავშვობაში) თავისთვის შეუმჩნევლად აშენებდა თავისი დიდების სასახლეს, ნაირ-ნაირი ძვირფასი ქვებით ნაქედს.

იგი ღღესაც სწერს დიდ მოთხრობას, რომელიც მთლად გაჰფანტავს იმ აზრს, ვითომც მისი სული წარსულით მოხიბლული, მხოლოდ უკან იხედებოდეს და იქ ეძებდეს ცხოვრების იდეალებს. შალვა დადიანი ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შეიღია. მის თანამედროვეობას ფეხდაფეხ მისდევდა ღღემდე, ხანდახან წარსულისაკენაც გაიხედავდა, მაგრამ ეხლა, როდესაც მერმისისაკენ მიჰპყრო მთელი თავისი გულის ყური და შემოქმედებითი, უკვე გაწაფული და მოქნილი ნიჭი, მალე დარწმუნდება ყველა, რომ იგი ამ ახალი შემოქმედებით ბევრს უსინათლოს აუხელს თვალს, ბევრს თვალ ხილულს გადაუშ-

ლის შერმისის ცხოვრების წარმტაც და მატყვევებელ სურათებს.

მანამდის კი ჩვენ იმედი გვაქვს ვიხილავთ მისი მოთხრობის სრულს კრებულსაც, რომელიც დაამშვენებს ყოველი ქართველის საოჯახო ბიბლიოთეკას.

## 6. კურდღელაშვილი-ნარკანი.

P. S. ამ კრებულში ვერ შედის შალვას სამი პიესა: 1) მისი პირველი პიესა „დასაწყისი“ 3 მოქმედებით, რომლის დედანიც დაიკარგა. 2) „შეერთებული ძალით“ 3 მოქმ. და 3) „ქართული ენა“ კომედია 1 მოქმ.

დაბოლოს მწუხარებათ უნდა მოვიბოდიშოთ ავტორისა და საზოგადოების წინაშე, რომ ამ წიგნსაც ვერ ასცდა ქართული წიგნის ქუდბედათ თანდაყოლილი კორექტურული შეცდომები, რომლის თავიდან აცილება, განსაკუთრებით დღევანდელს სულისკვეთებასა და საკმიან მუშაობას დაულაგლებობის გამო, ყოველად შეუძლებელი ხდება. თუმცა შესაძლებელ ფარგლებში შევეცადეთ, რომ ტეხნიკური მხარე ლაზათიანი ყოფილიყო.



# ლია პარი.

გულის,  
გულის!

ჩემი თავი უფრო ბელეტრისტი მეგონა.  
ჯერ აქამომდე ესეთ დიდ — ტანიან წიგნათ  
არ გამოვმსუქებულვარ.

ამ ოცდაათი წლის მონაქტეკვზე კი დრამა-  
ტურგათ გამოვდივარ.

იყოს ესრეთ!

ხოლო ჩემს ზიესებზეც მაქვს ცოტა რამ  
საყქმელი:

საზოგადოთ ჩემი აზრი თეატრის დანაშნუ-  
ლებისა და მიზნისათვის, გამოთქმული მაქვს  
სხვადასხვა მოხსენებებში, წერილებში. საჯარო  
კამათშიაც შევხებივარ მათ. ამისათვის აქ ამაზე  
სიტყვას არ გუჯერსკლებო.

ხოლო აქ ის უნდა ვთქვა, რომ წინამდებ-  
რე ნაწარმებთ დაწერა გამოიწვია ჩემი დროის  
ქართულმა თეატრმა, მისმა დღეინდელმა შე-  
საძლევებამ დი, შეიძლება, ოდნავ მისმა ზერ-  
სპექტივებმაც.

ამიტომაც ვერ ვიტყვი, რომ ეს ზიესები  
არ მიუვარდეს.

და ეველას ის ოთხმოცდა-სამი კაცი, რამელ-  
ნიც იძვრიან ამ ზიესების სანახებში და თვით  
ღიანგში მონაწილენიც ჩემთვის სორც — სისულა-  
ნი და მცოცხლებნი არიან.

მათ აქვთ საბუთი და უფლებს სცენაზე ცხოვ-  
რებისა.

მათი შექმნის დროს მუდამ მახსოვდა, ჩემის გაკებით, თანამედროვე თეატრი და მისი კანონები.

ამიტომაც არა მრცხეენის თუ ჰირველ ტომში ზიესებია გამოვდივარ. .

გულში ნაკლათ სულ სხვა რამ მატკს: მე ერთ წიგნათ მინც გამოვდივარ და მამა ჩემი, ერთ დროს სახელთაჲნი მწერალი—ნიკო ტარიელის—ქე დადიანი—ჴერ კიდევ გამოუცემელია.

ეს ვისივე სასაუვედურთა როდი არის თქმული. .

ჩემი ოცნება ის იყო—მამას გამოცემას არ დაეცდებულევკავ, ერთად გამოვსუფივკავთა, მაგრამ აქამომდე ჰირობებმა არ შემიწყო ხელი.

ეხლა კი მისმა წარუშლელმა სსოვნამ მცირე წვლილათ მიიღოს ეს ჰირველი ნაშეკო მისი შვილისა.

**შალვა დადიანი.**



ნაკულთან ვახტანგის ძე გვიგანი.  
(ბაგრატიონების მამა).




302620

მ ი ს ა მ ა რ თ ი :

გვერდი

1. შალვა დადიანი—ნარკანისა . . . . .	I—IXXX
2. ღია კარი—შალვა დადიანისა . . . . .	XXXI—XXXII
3. შლვიმეში—ფანტასტიური სანახაობა სამ ნაწილად . . . . .	1—74
4. ზოს ნადიმობდენ—წარმოსადგენი ერთ სანახავედ . . . . .	75—102
5. შენი ჭირიმე—კალმის ნაეშმაკარი სამ მოქმედებათ . . . . .	103—148
6. გუშინდელნი—კომედია სამ მოქმედებათ	149—218
7. ვარამი. ისტორიული ოცნება, წარმო- სადგენი სამ სანახავედ . . . . .	219—304
8. გეგემქორი ისტორიული ლეგენდა სა- მეგრელოს წარსულიდან სამ მოქმედებად.	305—360
9. მოულოდნელი შემთხვევა, (ელო და შალვა) სათეატრო კომბინაცია ერთ სუ- რათად . . . . .	361—383
10. ბოლო შენიშენა—ავტორისა . . . . .	385—386
11. მცირე სიტყვარი—ავტორისა . . . . .	387—391
12. შეცდომის გასწორება . . . . .	393—394





ფანტასტიური სანახაობა  
სამ ნაწილად

ამ პიესაზე ავტორის უფლება  
მიძღვნილი აქვს ელო ანდრო-  
ნიკაშვილს.

1907

## მ ო ტ მ ე ლ ნ ი:

მთავარი.

ხურათა, დედოფალი.

ნაზი-ბროლა, მთავრის დაა.

ქურუმთ-ქურუმი.

უშუყ-ვეზირი

ბინდია, ახალგაზდა წარჩინებული.

ლუკლუკა, მთავრის ხუმარა.

ზენიხ, მგოსანი.

ხახერი, ახალგაზდა ვაჟი.

მზენათ, ახალგაზდა ქალი.

ფიცხელა, მუშა.

დიდებულნი, მხცოვანნი, წარჩინებულნი, მხლებელნი, შიმენ-  
ვარნი, მუშები და ხალხი.

## ნაწილი პირველი

დიდი გამოქვაბული. ზემოდან თალია შეკრული, რომელსაც იქა-აქ ჩამონალენთები ჰკიდია. კარების მაგივრათ მალაროები მოსჩანს. შუაში ტბაა, რომელსაც გარს ოდრიკალი ავლია და აქა-იქ ჯირკის მაგვარი ჩამოსაჯდომებია გაკეთებული. კედლებში თვლებია ჩასმული უცხო ქვებისა და ლითონებისაგან გამოწოდებული, რომელიც ანათებს იქაურობას. ყოველივეს მწვანე ფერი დასცემს.

მოსეირნენი მიდი-მოდიან. ზოგიც ჯირკებზე ჩამომჯდარა. მორთულობა, ტანისამოსი უფრო ფანტასტიური. ზოგან ევროპიულიც.

ერთ ალაგას მიჯგუფებულან: მზენათ, სახი-  
ერი, ბინდია და კიდევ რამოდენიმე.

**სახიერი.** მე სულ არ მიკვირს.

**ბინდია.** ვითომ რატომ?

**სახიერი.** მე ვამტკიცებ, რომ დრომ მოიტანა.

**მზენათ.** დრომ მოიტანა?—ცუდათ ამბობ.

**ბინდია.** ვიცი, რასაც იტყვით! რომ ვითომ დროს თვით  
თქვენა სკედდეთ.

**მზენათ.** არა, დროს კი არა—გარემოებას.

**ბინდია.** (დაცინვით) თქვენ ჰქმნით, განა, გარემოებას? ბედის  
მკედელნი!—თქვენ, რომელთაც ცხოვრების ერთი ძლიერი  
ტალღა მთელი სიცოცხლის ვრცელ წრესაც კი სულ ჩიგორ-  
გალით შემოგატარებთ?!

**სახიერი.** რა დახავესებული და ძველი აზრია!

**მზენათ.** ეგ არც აზრია, ეგ ძველი ცრუ-მორწმუნოებაა.  
შაგათ სწამთ ეგრე, რომ ბედია ყოველის გამგე და ხელები  
დაუშვიათ—დეე, ბედის-წერამ, რაც ენებოს, იგი გვიყოსო.

**სახიერი.** ეგ ხომ მონური შეხედულებაა.

**ბინდია.** სახიერო, დაინახსოვრე შენი ნათქვამი.

**სახიერი.** ვუკვირდები ყოველთვის ნათქვამს.

**ბინდია.** არ ინანო...

(სხვებიც შემოერევიან)

**1-ლი.** რა ამბავია? ხმას რათ აუმაღლეთ?

**ბინდია.** (უჩვენებს სახიერსა და მზენათზე) ილანძღებიან.

**1-ლი.** ტყუილ-უბრალოთ?

**ბინდია.** განა არ იცნობთ: ახირება დიდი იციან.

**1-ლი.** მაინც, რას ბქობდით?

**სახიერი.** მე გეტყვით ეხლა: აქ ვახსენეთ ჩვენ იმ დღის  
კრება...

**1-ლი.** აჰა!.. საცა ის აზრი შემოიტანეს, რომ ჩვენი თალი  
დაირღვესო?

**ბინდია.** დიად, ეგ კრება. საცა მოვიდნენ ეს ახალი ბედის  
მკედელნი და დარღვევასა, ჩამოქცევას გვიქადაგებდენ...

**სახიერი.** დამაცადეთ, ჯერ დაეთავო!—ვახსენეთ კრება და როგორც იცით, ამას მოჰყვა აზრთ მიხლა-მოხლა: ეგ საპატიო ბატონი ბინდია თავისას იცავდა. მე და ტურთა მზენათი კი—ჩვენსას.

**ბინდია.** და, როგორც იცით, არ მაცალეს ჩემი აზრის თქმა მაგათ, ბედის მკედლებს, ხომ ზნეთ სკირთ მოუთმენლოვა და თუ თავისი არ გაუგონეთ, ან არ დაუჯერეთ, თუ არ იწა<sup>4</sup>ეთ მათი ახლად შენამზადი ყალბი აზრები, მზათ არიან, რომ გტანჯონ, გაწვალონ, არამც თუ ცოტა მოგითმინონ და ყური დაგიგდონ.

**სახიერი.** ეგ ცილის წამებაა, ვაშა-კაცო! თუ არა და თვით ხალხმა განსაჯოს, ვინ უფრო წიწმატობს ჩვენ ორ ბანაკს შუა: ჩვენ, ბედის-მკედელნი, როგორც ხალხმა დაგვარქვა, თუ თქვენ — ბედის მონანი, როგორათაც კვლავ ეგ ხალხი გიწოდებთ!

**მზენათ.** აბა, რას ამბობთ! სიმართლე ხომ მუდამ მწვაფია და მუდამაც ის ფიცხოზს ხოლმე, ვისაც ამა სიმართლისაგან ემწვაფება. ჩვენ რა გვაქვს ასაღელვებელი! ჩვენ მხოლოდ ვაჩვენებთ, თუ რა სჯობს მათთვისვე. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თალის გარღვევა მიუცილებელია. რათა? მისთვის, რომ მზე გვაკლია. ამ ვრცელსა და ფართო მღვიმეს, შექმნილს ხელოვნურათ, აკლია სინათლე ბუნებრივი, აკლია ის ცხოველ-მყოფელი ძალა, რომელიც ყოველივეს სიცოცხლეს აძლევს და ასულდგმულებს. დახედეთ ჩვენს სახეს—როგორ მინაზებულა, მიმქრალი, როგორათაც ვარდი ამ ტბის ძირას ამოსული. რათა? მას აკლია მზე, მზე ბუნებრივი, რომ მისცეს ძალი და ჩაუნერგოს ღონე მაცოცხლებელი. საკმაოა რომელიმე ხვრელიდან ჩამოქრილი უბრალო სიოც, რომ ასე სუსტათ ნაზარდი ყვავილი მყის მოსწყვიტოს, ან დააქნოს. საკმაოა ჩვენთვისაც უბრალო რამ წვრილმანი დაბრკოლება ცხოვრებაში, რომ უეცრათ მოვეშვათ და ხელი უტიოთ იმ საქმეს სათავეშივე, რომელსაც შეიძლება პირველად დიდის ხალხისით მოვეკიდეთ. და შემდეგ ხელ-მოცარულნი ბედს დავემოარჩინეთ, გავხდეთ ბედის მონანი. რათა? მიტომ, რომ მზე გვაკლია. მიტომ რომ ამ ჩვენს ხელოვნურს, ბნელს გარემოს შეჩვეულნი, ამ მღორე

ტბასთან აღზრდილნი, ჩვენც მოშლილნი ვართ და ჩვენი ცხოვრების ტალღაც ეგრე წელა ჩქროლავს, როგორც ამ ტბის ზედა პირი, ისიც გარეშე სიოსაგან ამოძრავებული. დიად, ჩვენ ბედის მონები ვართ, ხელ-დაშვებულნი, მოუძღვრებულნი, მაგრამ ჩვენ სულ სხვა გვინდა! ჩვენ გვინდა ნამდვილი სიცოცხლე, ჩვენ გვინდა უფრო დიადი განცხრომა, ნეტარება, სრული დატკობა ცხოვრებისაგან მონიჭებულ უხვის მადლით და ამისთვის კი გვინდა მზე და მზის მოსაპოვებლად—თაღის გარღვევა.

**ბინდია.** დახედეთ მზენათს! რა განცხოველდა? სიდან ეს ძალა?... ჩვენი ვარდი ნაზი საყნოსველი უნდა იყვეს. მისი გაბრუებული სურნელება უხილავათ, ხელ-მოუკიდებლათ უნდა იფინებოდეს ჰაერში, რომ მითი დამტკბარნი წელიათ ვცდოდეთ თავდავიწყებას. ჩვენ არ-რა გვინდა-რა ფიცხი, ცხად-საგრძობელი! ჩვენ არა გვწამს პირდაპირ შეტაკებული, თუნდა თვით უმწვერვალესი გრძობაც. ჩვენა გვსურს წყნარი, თითქოს უჩინარი, გაუმხელებელი განცხრომა, ნეტარება.

**სახიერი.** და კიდევ მაგაშია შეცდომა. რას ნიშნავს ეს გაუმხელებლობა? ეს ჩუმი, გაუბედავი ნეტარება? ეს ქურდული, თითქო მოპარული დატკობა ცხოვრებითა?! რა ვვაქვს დასამალი! კაცს, ადამიანს ლალსა და თავისუფალს, ბუნებისგან ესრეთ შექმნილსა, არ შეჰფერის მონური ქედის მოხრა. მისი ყოველი საქციელიც, თვით განცხრომა და ნეტარებაც გაბედული უნდა იყვეს, უშიშარი, ზოგჯერ კანდიერიც. კაცის ამაყი სული რათ უნდა იმალებოდეს ბნელს სოროში, რისთვის შეუქმნია მას ეს მყარი კედლები, რათ გადაურტყამს თავზე ეს სქელი თალი? ძველი შეცდომა უნდა გამოსწორდეს! უნდა გაიხრდეს ეს თალი და მზე უნდა საყოველთაოდ მოგვეფინოს!

**ხმები.** ოჰ, შენი ქირიმე შენი, მაგ სურვილებისათვის.

**1-ლი.** ჰოი, ღმერთებო! რა ამბავი იყო, რა ამბავი იმ კრებაზე.

**სახიერი.** შენ ეს მითხარი, ეხლა რა ამბავია მიდამოებში? რას ამბობს ხალხი? თორემ, რაც იყო, ეგ ხომ ჩვენც ვიცით.

**1-ლი.** კმ... რას ამბობს ხალხი? თქვენს, ე. ი. ბედის მკვლელების, სანაცვლოთ თავსა სდებს. ასე ამბობენ—ყველანი აღესდგებით და წვალოთ, ოღონდ თაღის გარღვევა კი მოგვესწრებოდესო.

**ბინდია.** ხალხი ამბობს ამას? საიდან მოიგონეს, ან ვინ შთააგონა?

**1-ლი.** ვინ მოიგონა? განა თქვენ უკეთ არ მოგეხსენებათ, ვაშა-კაცო ბინდია.

**მზენათ.** შთააგონაო? მაგას რას ამბობთ! შთაგონება რა საჭიროა?! განა, როდესაც კაცს შია, იმას შთაგონება უნდა, რომ გშია და იზრუნე საკვების მოსაპოვებლათაო?! ან როდესაც კაცი ავით არის—ავათა ხარ, უნდა იწამლოვო?! ეგ თვით ხალხის სურვილი იყო, მისი გულისწინადადები.

**სახიერი.** აზრი თვით ხალხში დაიბადა, მხოლოდ მთქმელი კი სხვა წრეში იპოვნა. ე. ი. გამომთქმელი მისი ჭირვებისა.

**ბინდია.** ეგ კი მეც ვიცი, რომ გამომთქმელები, ანუ უკეთ, მზის-მაძებარნი ჩვენშიაც იყვნენ. საუკუნეების ბურუსში ნათლად გამოსჩანს მათი საპატიო სახელი, მაგრამ ის სულ სხვა იყო. იქ მეოცნებენი იყვნენ, სანატრიონს დაწყურებულნი. ეხლაც გვყავს ერთი მაგათგანი, ჩვენი მგოსანი, სახელოვანი ზენის.

**სახიერი.** ჰო და მაგისთანებმა გამოთქვეს ხალხის წადილი, ხალხსაც გულს ჩასწვდა—აი რა მსურდაო და ეხლა კი ამბობოქრდა.

**სმები.** მთავრის ასული, ნაზი-ბროლა!

(საერთო ჩიჩქოლი. გარდა მზენათისა და სახიერი-სა, ყველანი პირქვე ემზობიან. გამოდის ნაზი-ბროლა საუცხოვო სახისა და მორთულობის ახალგაზდა ქალი. როგორც ყველა მომქმედი პირი, ისე ესეც ფერ-მკრთალია, მაგრამ ეს ფერ-მკრთალობა მას უფრო ჰაეროვანად ხდის და ამშვენებს. თითქო გედივით მოსტურავსო, ისე მოემართება)

**ნაზი-ბროლა.** (წყნით და მკაცრათ) ნუ ემზობით პირ-ქვე! რით ვერ შეგაჩვიეთ? აღეკით მეთქი!

(წამოდგებიან მოკრძალებით).

რით არა გრცხვენისთ? რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის,

შეგხვეწნივართ ყველას, რომ ეგრე ნუ მეპყრობით მეთქი! შენც, ვაშა-კაცო ბინდია, კარგ მაგალითს აძლევ სხვებს?!

**ბინდია.** (განკრძალებით თავ-დახრილი დგას). მთავრის ასულო! ჩვენს ჩვეულებას, წინაპართაგან ნაანდერძევს მე, სანამ სული მიდგას, ვერ ვუღალატებ. ჩვენ ასე გვწამს, რომ თვით ღმერთებმაც კი თვალი უნდა დახარონ, როცა მთავრის ასული მათ წინ გაიარს, არამც თუ მომაკვდავის თვალებმა შებედონ შენი ქვრეტა.

**ნაზი-ბროლა.** თავი აიღე, ბინდია! დახედე ამათ!

(უთითებს სახიერსა და მზენათზე)

მათ ვენაცვალეი!

(ორივეს შუაში დგება და ხელს უქერს)

მათ კარგათ იციან, რომ მე მხოლოდ ადამიანი ვარ. ადამიანი ყოველის თავის ნაკლით და ღირსებით აღკუთრული; რომ მეც ეგრევე მსურს ტანჯვაცა და ნეტარებაც, როგორც ყველას თქვენ; რომ მეც უბრალო მომაკვდავი ვარ.

**ბინდია.** (კვლავ თავდახრით დგას). მაგას რათ ბრძანებთ, მთავრის ასულო! თავ-მდაბლობა დიდებული წესია, მაგრამ თქვენს ქვე-შევრდომთ ეგრე კადნიერთ ნუ გავგზნდით, რომ ბრიყვობის ტაიქს მოვაჯდეთ და თქვენს წინაშე წარა-მარა ვითარეშოთ.

**ნაზი-ბროლა.** თავი აიღე, ბინდია! შენს წინ მხოლოდ ადამიანი დგას.

(რალაც წარმტაცი სინათლე ადგება სახეზე).

**ბინდია.** (თავს აიღებს და შტერდება ნაზი-ბროლას დანახვით) ოჰ, წარმტაცო მშვენიერებავ!

(დაბარბაცდება და თავს ისევ ჩაქინდრავს)

**ნაზი-ბროლა.** (პაუზის შემდეგ) ბინდია, მე შენ გიყვარვარ!

**ბინდია.** (მუხლგბში ჩაუვარდება) მომიტევე, მთავრის ასულო! არა, ეს რა ვსთქვი მდაბიო მონამ... მომიტევე კი არა, მომკალ, გამანადგურე! უბრძანე, რომ თავი მომკვეთონ.

**ნაზი-ბროლა.** აღსდევ, ბინდია!

**ბინდია.** (ისევ ისე დამზობილი) მთავრის ასულო! უბრძანე, რომ უღირს მონას ღირსეულათ მომექცენ. მომაგე სამაგიერო ჩემის კადნიერის განზრახვისა; თუმცა ამ უკანასკნელათ, ვიცი, მომისმენ. ეს ჩემი ბრალი არ იყო. ჩემდა უნებულებით გულს მი-

ძვრებოდენ კაღნიერი ზრახვები, საამაყო ქედმაღლოური რამ სურვილები და, თუმცა მათ გულში ვიხშობდი, ვიკლავდი იქვე, მაგრამ, ცოტა ხანდაზმით, კვლავ სასიცოცხლოთ იქცევდენ პირსა და ესრეთ მტანჯავდენ, ცეცხლს მიკიდებდენ. მიტომაც იყო — მთავრის დარბაზში არ მეჯღომებოდა. იქ ხომ ნება გვაქვს ჩვენ ვაშა-კაცებს მთავრის ნადიმზე გიყუროთ პირისპირ მთავრის ასულთ და დედოფლებსა. ვერ მოვერიე, ჩემ საბედისწერო გრძნობამ დამიშორჩილა და აჰა, გულთა-მხილაეო, მიხვდი შენ შენის ნათელის, გამპრიახის გრძნობა-გონებით ჩემს კაღნიერს გულის წადილთა და... მომკალ, მტანჯე, რაც გინდა მიყავ, ღირსი ვარ ყოველის... ჰა, ჩემი თავი!

**ნაზი-ბროლა.** (შუბლ-შეკრული) ალსდექ, ბინდია! ჩემი ძმა, ჩვენი მთავარი გეტებდა წელან! გასწი მასთან.

**ბინდია.** (ყოყმანით დგება და შეტის-შეტი გაოცებული) როგორ... მე?..

**ნაზი-ბროლა.** გასწი-მეთქი.

**ბინდია.** (გაკვირვებული თავ-დახრით უკან-უკან იხევს და მალაროში იმალება).

**ნაზი-ბროლა.** რა მეზიზღება! მაგრამ განა, თვით აქვს დანაშაული?

(სხვა მოსიერნეები, გარდა მზენათისა და სახიერისა, თანდათანობით ჩამოეცლებიან. ზოგნი ცოტახანს კიდევ სჩანან, მაგრამ შემდეგ სრულიად იმალებიან მალაროებში).

**მზენათ.** რა თქმა უნდა ცხოვრების პირობებს.

**სახიერი.** საშინელება არ არის, კაცს ჰქონდეს რამე გრძნობა, რამე აზრი, სურვილი წრფელი და ვერ გაემხილოს, ვერ ეთქვას თავისუფლათ, იმიტომ რომ ერთი მხრით შთამომავლობა უშლიდეს ხელს და მეორე მხრით დაკანონებული ზნე-ჩვეულება?!

**მზენათ.** მართლაც, ახირებული არ არის? ჩვენის ჩვეულებით თვით მთავარს და სეთე-წულებს მხოლოდ მათ დარბაზში შეგვიძლიან შევხედოთ პირდაპირ და გარეთ გამოსულს კი -- არა. ეს რა ბარბაროსული ჩვეულება შემოგვრჩენია!

**ნაზი-ბროლა.** რამდენი რამ გვაქვს შემოგვრჩენილი ისეთი

ჩვეულება, რომელსაც უკვე თავისი დრო მოუქამია, მაგრამ... მაინც მეზიზღება ბინდია ვაშა-კაცი, ეგზომ გაუბედავი!

**მზენათ.** არა, ჩემის ფიქრით უფრო სიბრაალულის ღირსია, რომ ვაშა-კაცი, დიალ შესამჩნევი ჩვენს ქვეყანაში, ნიკით, გონებითაც და მამაკობით ხომ ძლიერ განთქმული, წმინდა რაინდი ეგრე საბრალოთ მიწაზე ფორთხავდეს იმისთვის, რომ ესეთია ზნე-ჩვეულება. ფუჰ, ამ ჩვეულებას! აი რაა შესაზიზღარი!

**სახიერი.** რას უზამთ! წელან თვითონვე არ უგალობდა გრძნობას გაუხელებულს და ქებათა-ქებას არ ძღვნიდა ჩუმს ნეტარებას! მშვენირათაც შეუსრულებია. შორიდან, თურმე, სახმილით შეპყრობილს ნაზი-ბროლას ეშხი სდაგავდა, მაგრამ გულში იკლავდა და არ ამჟავებდა.

**მზენათ.** საკვირველი მხოლოდ ეს არის, ნაზი-ბროლა, საიდან შეამჩნიე, რომ ვაშა-კაცი ეგეთის ნაზი გრძნობით იყო შენდამი შეპყრობილი.

**ნაზი-ბროლა.** შენგან არ მიკვირს! ამის შემჩნევა ადვილია. განსაკუთრებით ჩვენ, ქალები, ხომ კარგათ იცი, არა ერთხელ აღუნიშნავთ ეს თვის ნაწერებში ჩვენს გულთამხილავებს, რომ უფრო გამახვილებულის შეგნების პატრონნი ვართ. მეც კიდევ ბუნებისგან, ზგონი, დაკვირვების ნიქი არ მაკლდეს, ამიტომაც ჩემთვის ადვილი იყო ბინდიას ზრახვათა გამოცნობა და, როდესაც კი ამის შესახებ თვალთ ამეხილა, ავხსენ გამოცანა, შემზიზღდა იგი. შემზიზღდა მისის-მორჩილების, მონობის გამო. უნდა გითხრა, რომ წინითაც, თავის დღეში, მისკენ გული არ მერჯოდა. უთუოდ უფრო მიტომ, რომ ის ბედის მონათ, აწ ხავსის მოტრფიალეთა, ჯგუფს ეკუთვნოდა და უშუყ-ვეზირის მიმღევარი იყო. ო, რა მეზარება უშუყი, ეს ჩვენი განთქმული ცბიერი ვეზირი. ეს ქვემძრომი, მაღალმწვერვალზე მოქცეული. ჩვენ მღვიმეს გარეთ ქვეყანაში, მზიან ქვეყანაში ერთ დიდებულ კაცს აქვს ნათქვამი: მწვერვალზე ან არწივი ჩამოჯდება, ამ ქვემძრომი შეხობდება. ზედ გამოკრილია ეს უშუყ-ვეზირზე. იგი ნამდვილი ქვემძრომია. მისი მიმღევარი კი ბინდიაა და, აბა, როგორ. თუნდ ცოტაოდ-

ნიც სიბრალოული აღმძროდა მისდამი! პირ-იქით, მე მუდამ ის მინდოდა როგორმე მშრალზე გამომეყვანა უშუყიც და მათი მიმდევრებც ყოველი თავისი ცბიერისა და კეთილის აზრებით. ამიტოჲაც იყო, როდესაც დღეს ბინდია ვნახე პირ-ქვე დამხობილი, ზიზღმა შემიპყრო და, როდესაც წამომდგარს შევამჩნიე აღელვება, პირში ვახალე — გიყვარვარ მეთქი! ვიცოდი, რომ ამისი თქმა მისთვის სასჯელი იყო, ისიც საჯაროთ, ესრე მოედანზე.

**მზენათ.** ეგ შეიძლება კარგათაც ქმენი, მაგრამ მეტი სისასტიკე მოგივიდა და ამასთან, შეიძლება ჩვენ ჯგუფსაც ავნე ცოტა რამ. ხავსის მოტრფიალენი უფრო ფრთხილათ დაიქერენ თავსა.

**სახიერი.** რაც უნდა გაუფრთხილდენ ეხლა სულ ერთია. მოდგა ეამი მათი დამხობისაც. თალი უნდა დაინგრეს, ამას წინ ველარა დაუდგება-რა, მზემ უნდა დაგვაშუქოს და უშუყი და მისი მიმდევარნი სრულის თავისის ხრწნილებითა უნდა გამოჩნდენ ქვეყნის პირზე.

**მზენათ.** ეგრეა, სახიერო! შენი ხელი!

(ორივენი ჯერ რომაულათ ზევით ასწვენ და შეარყვენ ხელებს, შემდეგ კი გამართმევენ ქვე-დაშეებულათ)

**ხაზი-ბროლა.** გიყურებთ და მინარის, რომ გხედავთ ორივეს ეგრე წელში გამართულთ, ეგრე უბრალოს და ეგრე წმინდათ შეყვარებულსა. როდის აპირებთ შეუღლებას, თუ თქვენც ამ საგანში მხარს უქერათ ჩვენს გულთა-მხილავს ზენისის შეხედულებას...

**მზენათ.** ესე იგი საჭირო არ არის ქურუმთ წეს-რიგის შესრულებათ? თვით ბუნებამ აკურთხოს ისინიო?!

**ხაზი ბროლა.** დიად, მას ვამბობ... (ფიქრში, გატაცებით) ბუნებრივობა ყველაფერში, ბუნებრივობა!.. ესე იცის თქმა!..

**სახიერი.** ო, ზენის, ზენის! რა ნიქისა და გონების კაცი აკლია ჩვენ ჯგუფს.

**ხაზი-ბროლა.** (უცებ) აკლია?! როგორ?! აკი ისიც მზის მაძებარია.

**სახიერი.** დიად, მაგრამ ბედის მკედელი მიინც არ არის!

**ნაზი-ბროლა.** როგორ? გგონია, მისი მოძღვრება ჩვენსას არ უდრის, უდრის კი არა ერთი არ არის?!

**სახიერი.** ვითხრა, ნაზი-ბროლა?.. არა, არ არის ერთი! მართალია ისიც მზეს ეძებს და ჩვენც, მაგრამ მისი გზა სასხლეტია; სხვა ქვეყნებშიაც, მზიან ქვეყნებში ეგრე მარტო-მავალ დიდებულ კაცებს ვერ მიუღწევიათ მიზნისათვის.

**ნაზი-ბროლა.** აბა, რას ამბობ. მოძღვრებას ხომ გაუმარჯვ-ნია?!..

**სახიერი.** ჰო, მოძღვრებას კი, მაგრამ ეგ არ არის საჯგუფო კაცი. იქნება მაგისი გონება მეოცნებე უფრო მალეაც, შორს მიფრინავდეს და ჩვენ კი ღღესვე ხელ-მოსაკიდი რამე გვინდა! ესე ყოფილა ცხოვრებაში..

(შეამჩნევს, რომ ნაზი-ბროლა მოიღუშა)

მაგრამ, ბოდიში, მთავრის ასულს! მე ვატყობ, რომ სახელოვანი მგოსნის დიდ ცრემლსა ვარდი დაუთრთვილავს.

**ნაზი-ბროლა.** (ფიქრშია წასული. შემდეგ გამოერკვევა და ნაზადი ჩემო სახიერო, ნუ მაწყენინებ! შენ მეტათ ნაზსა ჩემი სულის სიმებს შეეხე...)

(შორიდან მონისის სიმღერა, კილო გამარჯვებისა)

**სახიერი.** ეჰე, მოდიან მზის-მამებარნი. ეტყობა გაუმარჯვ-ნიათ ღღეს თათბირზე.

**მზენათ.** რა ჰქონდათ სათათბირო?

**სახიერი.** რამდენათაც ვიცი ღღეს უზენაეს საბქოში უნდა გაერჩიათ ქორწინების თავისუფლება. აკი დიდი ხანია ჩვენი მთავარი მიემხრო მზის მამებართ და ახალ-ახალ სათავისუფლო კანონებზე აქეს თათბირი.

**მზენათ.** ეს ხომ სულ ჩვენ ვქმენით, ბედის მქედლებმა, ჩვენ დავაძალეთ, რომ ჩაფიქრებულიყვენ და ჩაჰკვირვებოდენ ღღევანდელ ხაეს-მოკიდებულ ვითარებასა.

**სახიერი.** კი, მაგრამ ხედავთ მზის მამებარნი ღღესასწაულო-ბენ გამარჯვებასა. ვიცნობ მათს კილოს ატაცებულს, ამალღე-ბულსა.

**ნაზი-ბროლა.** ოჰ, რა კუდი ვქმენ! სულ დამავიწყდა, რომ

დღეს უნდა გარჩეულიყო ის საკითხავიც, რომ აწ მოისპოს ეს სალაში ბარბაროსული, სეფე-წულეობთან პირ-ქვე დამხობა.

**მზენათ.** დღეს იყო ეგეც? მაშ. ეს დღე ჩვენის ხავსიანის მთავრობისათვის შესანიშნავი დღე ყოფილა.

**მომღერალნი.**

(სიმღერა ახლოვდება, ბოლოს შემოდინა)

**1-ლი მთქმელი.**

გამარჯვება ძმებო, ხალხო.

დღეს გავთელით ხშული კარნი!

მაშ, გზა ფართო სიმართლისა,

მოვდივართ მზის მძებარნი!

დაჩაგრულთა საიმედო  
და მტერთათვის შესაზარნი,  
სიმართლისა მოციქულნი,  
სინათლის, მზის მძებარნი!

გაიხარეთ, იზეიმეთ,  
დასქექეთ და დაჰკათ ზარნი,  
გამარჯვებას მოგილოცავთ  
იხარებს მზის მძებარნი!

**დანარჩენები.** გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

(სხვა მხრიდანაც შემოდინა მოსეირნენი)

**სახიერი.** (1-ლ მთქმელს) გავვიზიარეთ მიზეზი სიხარულისა. სიდან მოდინხართ?

**1-ლი მთქმელი.** უზენაეს საბქოდან.

**სახიერი.** გქონდათ თათბირი?

**1-ლი მთქმელი.** დიად, გვქონდა და გავიმარჯვეთ.

**სახიერი.** რა საკითხზე?

**1-ლი მთქმელი.** ქორწინების თავისუფლებაზე. დიდი შეტაკება მოხდა. ხავსის მოტრფილოენი მედგრათ იცავდნენ ძველ ბორკილიან შეუღლებასა და ის იყო კინალამ დაგვქლიეს მაგრამ სახელოვანმა ჩვენმა ზენისმა კიდევ ერთხელ დაგვდო საშვილისშვილო ვალი.

**ნაზი-ბროლა.** მაშ, იყო ზენის?

**1-ლი მთქმელი.** იყო კი არა, ესე აღფრთოვანებული ბევრი

ხანია აღარ გვინახავს. სიმართლის ცეცხლს აფრქვევდა პირიდან, მქვერ-მეტყველების ნაკადულით წარეცხა არსებული ბოროტება და სძლია მტერები.

**2-რე მთქმელი.** მერე, რა ამბავი მოხდა უზენაეს საბჭოში...

**1-ლი მთქმ.** მოხუცები, ხავსიანები აზრზინდნენ და ღრტვინვა შექმენს. ახალგაზდები ალტაცებამ მოიცვა და შეიქმნა საერთო ხმა-შერეული განგაში. მხოლოდ, როდესაც ხმები ჩამოთვალეს, ქორწინების თავისუფლებას გაემარჯვნა. მაშინ კი ერთხმათ ვიგრიალეთ და ხელზე აყვანილი ზენის ვაშას ძახილით დარბაზიდან მოედანზე გავიყვანეთ.

**2-რე მთქმ.** თავ-ჩაქინდრული ხავსის მოტრფიალენი კი გულმოწყლულნი დავტოვეთ საბჭოს დარბაზში.

**სახიერი.** მე მხოლოდ ის მაკვირვებს, რომ ზენის მონიწილეობა მიუღია საერთო კამათში.

**ნაზი-ბროლა.** (ოტა წყნით) ვითომ რატომ?

**სახიერი.** ის ხომ საზოგადოთ განზე უდგას ესეთ საერთო კითხვებს. ის ცალკე გზით მიდის მუდამ და საერთო მოძრაობაში არ ურევია. თავის ნათხზავშია ცხვირად გამოუთქვამს ხოლმე, რომ ის მხატვარია, გულთა მხილავი და ეგეთი კერძო მოვლენა იმას ვერ გაიტაცებს.

**მზენათ.** რათ ამბობ მაგას, სახიერო? განა სახელოვანი ზენის მუდამ სიმართლეს არ ემსახურებოდა თავის ქმნილებებით? განა მისი საუკეთესო მოციქული და მახარობელი არ იყო?

**ნაზი-ბროლა.** მერმე კიდევ ეგ საკითხი — ქორწინების თავისუფლება — ჩვენში თითქმის მაგის მიერ არის წამოყენებული. უმთავრეს მის ნათხზავებში ხომ სულ მაგაზე აქვს ლაპარაკი, რომ კაცის გრძნობა მხოლოდ ბუნებრივობას არ უნდა გადასცილდეს, ისრე კი მას სხვა ჩარჩო არ უნდა, სრული თავისუფალი უნდა იყოს. აკი ვთქვი, რომ ლაპარაკშია იმეორებს ხოლმე — ბუნებრივობა ყველაფერში, ბუნებრივობაო.

**სახიერი.** ჰო, ეგ კი მართალი შენიშვნაა, შეიძლება სწორეთ მიტომა ცხილო ეგეთი ცხარე მონაწილეობა ამ საკითხის გადაწყვეტაში.

**ხმები.** { მოდის, მოდის!  
სახელოვანი ზენის!  
გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

(შემოდის ზენის ფანტასტიურათ მორთული, თავს დაფნის ფოთლის სახეობათ გამოკრილი ოქროს გვირგვინი აქვს. საამურო სახის ვაჟაკია. მოჰყვება ბევრი. საერთო ზრიალი და ვაშა).

**სახიერი.** სალამი, დიად მგოსანს!

**ხმები.** ვაშა! ვაშა!

**ზენის.** მადლობელი ვარ! თუმცა რათ მეუბნებით მადლობას!? განა ყველას თქვენ ამ საკითხზე არ გიშრომნიათ? განათვით თქვენ არ გინდოდათ, რომ ამაშიაც თავისუფლება მოგეპოვებინათ? მაშ, თუ ესეა, მარტო მე რათ მეუბნებით მადლობას?

**სახიერი.** დიდო მგოსანო, თუმცა თავ-მდაბლობა დიდებული სამკაულია, მაგრამ თავის თავს მაინც მეტათ იმცილებ! ✓

**ზენის.** მე ვიმცილებ თავს? მე თავ-მდაბალი? პირიქით! მინდა ავმალდე, სულ ზევი-ზევით ავიწიო, რომ ცას ვკრა კამარა, რომ თავისუფლად ფრთები გავშალო და მუნ, ირაოს დაუშლელათ, ვიწყო ნავარდი. ეს კი არ ნიშნავს თავ-მდაბლობას, დამცილებას.

**სახიერი.** მერე ეგრე მალა აწეული ჩვენს საკითხებს, ხორციელთაგან ქვეყნათ შექმნილს, ჯურღმულს მოქცეულს, ამ ჩვენს სიბნელის მღვიმეშიგან აწ არსებულსა, შენ ვით ეგებვი, იბრძვი მისთვის?

**ზენის.** ის საკითხი, რომლისთვისაც ვიბრძვი ხანდახან, თვით ეხმარება ჩემი ფრთების გაქნევას იროთ-მყენსა. და თუ როგორც დღეს, სურვილები ჩემი და ხალხის ერთი მეორეს შეუერთდა, ერთ წერტილს მოხვდა, გავიმეორებ—რომელს რა გვაქვს სამადლობელი?!

**ხმები.** არა, მადლობა! ვაშა!. ვაშა!.

(ამ დროს ხალხისაგან გამოეყოფა მუშა ფიცხელა. ტანის ზემო ნაწილზე არაფერი არ აცვია. მხოლოდ წელზე აქვს შემოკრული შავი ფერის ნაქსოვი, რომელიც

(მუხლის თავებამდის სწედება. ხელსა და ფეხებზე აცვია ტყავის ერთიანი საბურველი. თითები არ არის გამოყოფილი ისრე, და მაჯაზედ პაწია ბოქლომითაა შექედლი; აგრეთვე ფეხის კოკებზედაც. პირის სახეზე შრომისა და სიღარიბის ბეჭედი ატყვია).

**ფიცხელა.** რას ყვირით ვაშას? რამ გაგახარათ? ვითომ სა-  
მაგისო რა მოხდა? განა ჩენი მზის დამხშობელი თალი დაი-  
რღვა? თუ ჩემებრ მუშას თავისუფლება მოუპოვეთ?

**ერთი ვინმე.** დღეს მოვიპოვეთ ქორწინების თავისუფლება.

**ფიცხელა.** ჰა, ჰა, ჰა! ეგ რა სთქვი, ძმაო? ქორწინების თავისუფლება? ოჰ, რა უადრესი ბედნიერება არის დაჩაგრული-  
სა და ტანჯულის ხალხისათვის! ეგ ხომ ზედ მალამოს წაცხე-  
ბაა მის მრავალ-გვარათ დაწყლოლებულს გულზე... რას ამბობთ,  
რას? რას ვაქნევ მე თქვენი ქორწინების თავისუფლებას!! შიმ-  
შილს მომიკლავს, თუ სიცივისაგან დამიფარავს?! ეგ მძღართა  
მიერ შექმნილი სიბრძნეა, ეგ ისევ მათი ხრიკია, რომელთაც  
შეუქმნიათ იმდენი სხვადასხვა დაბრკოლება, რომ ეხლა არ  
იციან რომელს რითი დააღწიონ თავი. ყველა ეს უსაქმურო-  
ბისაგან მოსვლიათ და უსაქმურობა ხომ ჰბადებს ყოველგვარ  
ზაგამ-აუდებელ სურვილებს, რომელთა შენაქმიც არის ეს  
სხვადასხვა, კარგ სანაყროვნო სადილის შემდეგ, გამოგონებუ-  
ბული დაბრკოლებანი. ჩვენ კი ამასობაში გვშიოდა და გვციო-  
და, გვშია და გვცივა. ესენი ქორწინების თავისუფლებას დღე-  
სასწაულობენ. იმდენათ დალაჩრებულნი და იმდენათ გაუბე-  
დავნი არიან, რომ, როდესაც უმნიშვნელო, პაწია რამ სათა-  
ვისუფლო ნიშანს დაინახავენ, ზეიმითა და დღესასწაულობით  
ეგებებიან. თვით მთავარი საქმე კი ვერ გაურჩებიან. აი, გა-  
ნიზრახეს თალის ლარღვევა, რომ მზე ჩამოეშვათ, მაგრამ, ესეც  
კი ამდენ ხანს ვერ მოუხერხებიან. ჩვენ კი... ჩვენ მშვიდ-  
მწყურვალნი, სიცივისაგან აკანკალებულნი ჯურღმულს ჩავგვზავ-  
ნეს. რისთვის? მისთვის, რომ იქიდან ჩვენ სინათლე მივცეთ  
ამ ბნელ ქვეყანას. აი, დახედეთ ჩემს შიშველ ტანსა და შექე-  
დილ ხელ-ფეხს. ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეთ, რას ნიშ-  
ნავს ესა? აბა, საიდან?! ის ვაშა-კაცები ქორწინების განთად-

სუფლებას უნდებოდენ, ჩვენკი საიდან გვიცნობენ! მე და მისთანები აღმასის და სხვა სხივის მომცემ მაღაროებში, ჯურღმულეებში ვმუშაობთ, აი იმ მადნებს და ლითონებს ვამუშავებთ, რომელიც თქვენ გაძლევთ სინათლეს და სითბოს, რომლითაც განათებულია და გამთბარი თქვენი სამყოფელი. ვმუშაობთ იქ მთელი დღე განუწყვეტლივ წელ-აუმართავათ და თქვენ კი აქ ჩვენის ნაოფლარით განცხრებით მაშინ, როდესაც ჩვენ ხელებიცა და ფეხებიც ამ საბურველით შექედლილი გვაქვს, იმისათვის, რომ ჩვენმა თითებმა ვერ შესძლოს კეთილშობილ ლითონთა ხელთ-გდება, ტანთ არა გვაცვია-რა იმისათვის, რომ ასე შებოქილებმაც როგორმე ვერ მოვახერხოთ ტანისამოსში მისი დამალვა, რომ ჩვენს ბატონებს, პატრონებს მადნებისას არ დააკლდეთ არც ერთი მისხალი ბუნების სიუხვისა და ჩვენ კი...

**ერთი ვინმე.** ნუ თუ სრულიად არა გაქვთ თავისუფალი დრო? -**2-რე მუშა.** დიად, თვეში ერთჯერ. ხოლო ყოველ-დღე მხოლოდ სადილისათვის გვეძლევა რამოდენინე ჟამი. აი ეხლაც სასადილოთ ავიდოდით.

**მეორე ვინმე.** მაშ, ისრე დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობთ?

**ფიცხელა.** ეჰ! ჩვენზე განა ღირს ლაპარაკი?! თქვენ უფრო მაღალი საგანი გაქვთ გასარჩევი: თქვენ ქორწინების თავისუფლება გწადიათ; თქვენს მაძღრობით გალაღებულს გონებას კიდევ უფრო სხვა გამახვილებული საგრძნობელი უნდა, კიდევ სხვა უმწვერვალესი განცხრომა. მაგრამ არა, მოვალს ჟამი და აწვე არს, როდესაც ჩვენ დავამტვრევთ ამ პაწია ბოქლომებს, გავშლით თითებს და ოო, მაშინ გეშინოდესთ ყველას, ვინც ჩვენ ესე მოგვექცა, ვინც მას შეგნებით ხელს უწყობდა მისი გონების თუ სხეულის ნამოქმედარით. მაშინ, ვაი, ყველა მათ! გამოვალთ ჩვენ, შავი ხალხი, შიშველ-ტიტველნი, მაგრამ თავისუფალნი და ჩვენის გაშლილის თითებით დავლევთ იმ ბუნაგებს, სადაც ჩვენი დამლუპველნი ჩაბუდებულან, დავანგრევთ ამ მყარ კედლებს სულის შემხუთველსა, ჩამოეთხლეშთ ამ ხავსს, კედლებს, გამმაგრებელს, და ჩვენვე დავანგრევთ თაღს,

ესე. მყარსა და მტკიცეს. ჩვენ ჩამოვშლით მას და ჩამოუშვებთ  
(ამ საუცხოვო მზეს, რომელიც ყველას აგრე ენატრება. მაშ,  
გაუმარჯოს მუშა-ხალხს!

**ხაერთო** { გაუმარჯოს!  
**ყვირილი.**

(ფიციხელა გადის და ყვირილ-ყივილით გაპყვებიან ყველანი, გარდა ზენისისა, ნაზი-ბროლასი. სახიერისა და მზენათისა).

**სახიერი.** (ააუხის შემდეგ) ჩვენც დაგვიფიწყეს.

**მზენათ.** ბედის მკედელნი? არა, უფრო მზის მაძებარნი.

**ზენის.** ეგ სულ ერთია! ხალხმა ეგ იცის. ჯერ თავს კარგა ჰოგაწველინებს, შემდეგ წიხლს გკრავს და როგორც შენტვის ასე თავისთვისაც დაღვრის ნაამაგარს.

**ნაზი-ბროლა.** ეგ კარგი შედარებაა, შეიძლება, მაგრამ, ზენის! გესმის ეს ხმები? გაიგონე რაც თქვა იმ მუშამ? არა, ეგ სულ სხვაა, მაგაში სხვა კლოვენება გამოისმის. კილო შეგნებულის ადამიანისა. ეს მე არ მეგონა. არ ვიცოდი, თუ ხალხი ასე გათვითცნობიერებული იყო!

**სახიერი.** მაგას არც მე მოველოდი, თუ თვით ჯურღმულში მომუშავენიც აგრე გამოფხიზლებულნი იყვნენ! რა კი ვგენიც შეინძრენ, ეხლა კი... მართლა მშვიდობით!

**მზენათ.** მაშ, რა გეგონა? საქმეც ეგ არის, რომ თვით ხალხმა ნამდვილ გამოიღვიძა. ეს ტყუილი სიტყვა კი აღარ არის. შენ ახალი წევრი ხარ ჩვენის ჯგუფისა და ამიტომ არ იცი, თუ რა ლეაწლიც მიგვიძღვის ჩვენ, ბედის მკედლებს, და მით უფრო ჩვენს მეთაურს მზე-ქაბუკს.

**სახიერი.** მართლა, მზე-ქაბუკთან, კარგათ გამახსენე, აკი დაბარებული ვარ. სწორეთ დროც არის კიდევ.

**მზენათ.** ჰო, დღეს კრება არის. მეც მოვდივარ.

**სახიერი.** მაშ, წავილეთ ერთათ. მისურვებია მშვიდობა თქვენთვის.

**ნაზი-ბროლა.** ეგრევე თქვენაც. ეცადეთ საზოგადო ბედის ქელაში საკუთარიც ხელოვნურათ იყვეს გამოწოდობილი.

(მზენათ და სახიერი გამოესალმებიან და გადიან).

**ზენის.** „ჩვენ დავლენით ამ თაღს!“ რა თამამი ნათქვამია! დავლენით კი დავლენენ, მაგრამ განა მოიპოვებენ თავისუფლებას?!

**ნაზი-ბროლა.** რას ამბობ, ზენის? მეტი თავისუფლება რაღა იქმნება, თუ გათვითცნობიერებული ხალხი მზეს ჩამოუშვებს?

**ზენის.** მერე, ეგ მზე რათ უნდა?

**ნაზი-ბროლა.** როგორ თუ რათ? ვითომ არ იცოდე! რომ გამოცოცხლდეს მზისაგან მისი მოღუნებული ბუნება; რომ იწყოს ახლათ და ნამდვილ განათებულ ქვეყანაში ახალი და ნამდვილი ცხოვრება.

**ზენის.** მერე, შენაგგონია, ნაზი-ბროლა, რომ მზე მოუტანს მაგას?

**ნაზი-ბროლა.** მაშ, რა მოუტანს?

**ზენის.** ვინ ამბობს! მზე დიდი საქმეა, მაგრამ დიდი საქმეა მხოლოდ იმიტომ, რომ სიცხველე მისცეს მცენარეს, მოზარდს არსებას, ან კიდევ იმიტომ რომ ცხად-ყოს ყოველი დამყაყებუ-ლი ტბორე; ყოველი ხაშმით მოკული არე-მარე, სადაც ჩვენი ვეზირისთანა და ქურუმთა-ქურუმის გვარი ბილწი ქვემძრომნი ბუნაგობენ.

**ნაზი-ბროლა.** მაშ, სხვა რა გვინდა?

**ზენის.** არა, ტურფავ! საქმე ავათმყოფობის გამოცნობა კი არ არის, საქმე წამლობაა!

**ნაზი-ბროლა.** მერე, მზეზე უებარი წამალი რაღაა? განა ის არ წაცხებს მალამოს ყოველივე ჩვენს შექირვებას?

**ზენის.** არა, საყვარელო! მზე წამალი კი არ არის, ექი-შია. ის მხოლოდ გზას ანათებს და თვით კი არა მოაქვს-რა. მოსატანი სხვაა, სულ სხვა, რომელიც არც შენმა გათვით-ცნობიერებულმა ხალხმა უწყის და არც მისმა ხელმძღვანელებმა.

**ნაზი-ბროლა.** შენ ხომ იცი, ზენის. მაშ, რათ არ მოქმედობ?

**ზენის.** აკი ვმოქმედობ. ჩემი მოქმედებაა ჩემი ნაწერი, ჩე-მი აზრი საქვეყნოთ მოფენილი, მაგრამ განა ხალხმა შეიგნო იგი? განა მიცნობს მე ხალხი?

**ნაზი-ბროლა.** აბა, რას ამბობ? როგორ არ გიცნობს! შენ-ზე უფრო ვის ვთაყვანება! შენზე უფრო ვინ უყვარს?

**ზენის.** არა, ნიზი-ბროლა, არა! ეგ ნამდვილი სიყვარულია — როდია; ეგ მართლა მხოლოდ თაყვანის ცემა ანგარიშ-მიუ-  
—ცემელი, გაუსინჯავი. კიდევ ამიტომ მძულს სწორეთ ბრბო,  
რომ მან გაუსინჯავი იცის თაყვანის ცემა. მას ჰგონია, რომ  
ვიტომ ვუყვარვარ, რადგან ჩემი სიყვარული ესახელებს; იცის,  
რომ მე განსხვავებული გზით მავალი კაცი ვარ და, ეს იცოდე,  
ყოველივე თავისებურს ყოველივე განსხვავებულს ხალხი ეკრ-  
ძალება, პატივით ეპყრობა, იფერებს კი — მიყვარსო. მაგრამ  
აბა, მოხდეს ისე, რომ ძალიან მკაცრათ გამოეყოს ხალხის  
წდომას იმ განსხვავებულის ლტოლვილებს; ნახავ ხალხი, ბრბო  
რას მოიქმედებს — თავის ხელით ჩაჰქოლავს მას. ამას არ უნდა  
დიდი შორს მკვრეტელობა!.. მოვალს ჟამი და... ესე მომივა  
მეც... მაგრამ დაუტეოთ ამაზედ ლაპარაკი.

**ნაზი-ბროლა.** (შეშინებული) შენც?

**ზენის.** დიად, მეც და ყველა ჩემისთანას.

**ნაზი-ბროლა.** (შოშით ეკრება) შენ, არა, — სანამ სული მიღვას!

**ზენის.** როგორ, შენ გინდა სულმდაბლობა გამოვიჩინო  
და ბრმათა სანატრიონს მეც გამოვეყილო, როდესაც ჩემი თვა-  
ლი უფრო შორს ხედავს, როდესაც ჩემი გონება უფრო მაღლაა  
აწეული?! შენ გინდა მწვერვალიდან პატარა გორაკზე ჩამო-  
შახტუნო და ეგ გორა ბუმბერაზ მთათ მივიჩნიო?

**ნაზი-ბროლა.** არა, ზენის. იყავი რაცა ხარ; ან მე ვით  
შეგცვლი?!. მხოლოდ მაგას ნუ იზამ, რომ ხალხს ჩამოშორდე.  
ესოდენ ხანი რომ მიჯეროდი და ხალხს ზოგიერთ სადღესო  
კითხვათა გარიგებაში შეელოდი, მაშ ჩემი სიყვარულისათვის  
დასძლიე როგორმე თავს და შენის სიბრძნით ისე მოიქეც,  
რომ არც შესს მიმართულებას უღალატო და არც ხალხს დას-  
ცილდე. შენც ხომ მზეს ეძებ?

**ზენის.** დიად. მეც მზეს ეძებ, მაგრამ მე მზე გზის მანა-  
თობლათ მინდა, რომ ჩემი ფრთების გაქნევა უტყუარათ წინ-  
შსვლელი იყოს. ხალხს კი ყველაფრათ უნდა მზის გამოყენება.

**ნაზი-ბროლა.** ო, ზენის, ზენის! გული მითხრობს რაღასაც...  
ჩემი სიყვარულისათვის მაინც...

**ზენის.** (ნაღვლიანათ) შენის სიყვარულსათვის?... ო, ეს სა-

ბედისწერო გრძნობა! მას ვერ წაუველ... დღესაც, როდესაც ქორწინების თავისუფლებას ვიცავდი, შენი ჰაეროვანი სახე მიდგა თვალ-წინ.

**ნაზი-ბროლა.** (კვლავით) მესაყვედურები?

**ზენის.** არა, ჩემო სულის-დგმავ! განა მე ჩემი რწმენის წინააღმდეგ მოვიქეც? მე ყოველგვარ უსამართლობის მებრძოლი ვარ, მხოლოდ მე უფრო შორს მივიწვევი, ნამდვილ სათავის-კენ და არ მინდა წვრილმანებზე დავხურდავდე..

(პაუზა)

**ნაზი-ბროლა.** ზენის, ხომ არ გამიწყრები?... ქორწინების თავისუფლება ხომ დამტკიცდა დღეს! მაგრამ ჩვენ რაღა ვქმნათ. მე აკი კვლავინდებურათ, როგორც მთავრის ასულს, არა მაქვს ნება თავის ქვეშევრდომს გავყვე, შენ კი...

**ზენის.** (ღიმილით) მე კი ამ სამთავროს ქვეშევრდომი ვარ!

**ნაზი-ბროლა.** (უხუმრათ) ეს დაბრკოლებაც უნდა ჩამოვიცი-ცილოთ როგორმე.

**ზენის.** სასახლეში კი სულ სხვა-გვარ ბჭობენ. არ გაგიგია. მზიან ქვეყნიდან შენი მაშელები მოსულან კიდევ. ვილაც მთავრის შვილს უნდიხარ, თურმე!

**ნაზი-ბროლა.** (შეშფოთებული.) როგორ, ზენის, ნუ თუ მართლა?

**ზენის.** ეს მართალია, მაგრამ ერთი სასაცილო ამბავი მოხდა. რა კი გარშემო ესეთი არეული დრო დადგა, უშუყ-ვე-ზირს უბრძანებია, რომ მოციქულები, თუმც საპატიოთ, მაინც პატიმრათ შეინახონ, რომ აქაურებთან ვერავითარი დამოკიდებულება ვერ იქონიონ. ჩვენი ხაესის მოტრფიალენი ხომ სულ მზიან ქვეყნებიდან ჩამოსულებს აბრალებენ ამ აზრთა შლილობას.

**ნაზი-ბროლა.** ჰო, ეგ ვიცი, რომ დიდი დევნაა გამოცხადებული მზიან ქვეყნიდან მოსულებზე და ყველა გასასვლელენს დიდ-ძალი დარაჯი ადგას, რომ აღარც იქით გაუშვან ვინმე და აღარც აქით.

**ზენის.** აი, ხომ ხედავ. ეხლა კი თათბირი აქვთ შენს ძმასთან და ამბობენ, რომ ბევრ რამეზე, და შენი გათხოვების შესახებაც, თვით ქურუმთ-ქურუმს იბარებენო.

**ნაზი-ბროლა.** ო, მე თვით წავალ ჩემ ძმასთან და ყოველივეს ავუხსნი. ის ხომ, ამისთანებში მაინც, თავისუფალი მოაზრეა. შერე კიდევ შენ დიდათ გაფასებს. აქამდის არა მითქვამს რა, მართალია, მაგრამ ისე ვიცი, რომ ჩემს წმინდა გრძნობას მაინც მამჩნევდა; ეხლა კი, როდესაც ქორწინების თავისუფლებაც გამოცხადდა, ამ პატარა საშთამომავლო დაბრკოლებას, ვიცი, თავიდან ამაცილებს.

**ზენის.** ყველა მართალია, რაც სთქვი. მეც დიდათ მაფასებს, თვითაც შეიძლება ბევრზე უფრო მალეც იდგეს თავისი თავისუფალი აზრებით, ქორწინების თავისუფლებაც დადგენილია; იმასაც დავუმატებ, რომ შენც გაგიყვებით უყვარხარ, მაგრამ მაინც ვერაფერს ვერ იზამს სასიკეთოს, თუნდა თანაგრძნობითაც მოგეპყროს, თუნდა გულითაც მოინდომოს დახმარება. აკი იცი, რომ თავის ნებით ვერას მოიქმედებს. გადაგვარების გზაზე დამდგარი კაცია და გარშემო ძალებს დამორჩილებული ჰყავთ.

**ნაზი-ბროლა.** მაყადე, ზენის! დაგანახევენ, რომ მე გავიმარჯვებ და, თუ არა, მშშინ, როგორც მოისურვებ, ისე მოვიქცეთ.

(შემოდის კარის კაცი).

**კარის კაცი.** მთავრის ასულა, მთავარი გიხმობთ.

**ზენის.** (ნაზი-ბროლას) იყოს ნება შენი.

**ნაზი-ბროლა.** (თვალს გაუშტურებს) ჩემი სიყვარულისათვის, ზენის!

(ნულა გადის. კარის კაციც თან გაჰყვება).

**ზენის.** ჩემი სიყვარულისათვის!.. ჰმ!.. გრძნობა, თუ გონება? ნეტა როდის მოვლება ბოლო ამათქვიდილსა, ან მოვლება კი? აი, საუკუნო გამოცანა!

## ნაწილი მეორე.

სანახავე მთავრის სასახლეში. თაღებიანი გამოქვაბული. კედლები მარმარილოსი და ბრინჯაოსია. ზევით თაღში შუაგულზე დიდი აღმასის თვალია ჩასმული, რომელიც ელვარებას ჰფენს იქაურობას. თალის კუთხეებიც სულ გარშემოსხმულია ასეთ მანათობელ სხვადასხვა ზომისა და სახის ქვებით. ყველა ამაღს შეკრეპილი ყვითელ-მწვანე ხავსი ავლია არშიათ. პირდაპირ სანახაობის სიღრმეში დიდი, სამთავრო ბალდახინიანი ტახტი სდგას, რომლის კიბესაც შეიდი საფეხური აქვს. ტახტზე სდგას დიდი სავარძელი სპილოს ძვლისა, ოქროთ მოვარაყებული და მოჩუქურთმული. ტახტის იქით-აქით გვერდებზე ცოტა მოშორებით კედლებზე რგვლათ შემოყოლილი გრძელი ჩამოსაჯდომებია მარმარილოსი, ოქსინოთი მოფენილი. ტახტის წინ პატარა ამაღლებული ბაქანია, რომელზედაც დგას სამფეხა სამსხვერპლო. ზედ დაყრილია ნაკვერჩხალო და სხვადასხვა სურნელოვანი ნივთიერებანი, რომელთა სურნელებით გაქლენთილია იქაურობა. სამსხვერპლოს უფრო წინ კი პაწია ოქროს გალაკინიანი შადრევანია, რომლიდან აღმომსკდარი წყალი მუსიკალურათ წანწყარებს. ამის კიდევ უფრო წინ განზე, მარჯვნივ მაყურებლისაგან, გრძელი, სათაურიანი ტახტია ძვირფასის ქსოვილებითა და ტყავით დაფენილი. მის წინაც აზიურ გემოვნების რგვალი სკამი, რომელზედაც აწყვია ქალის სხვადასხვა სამკაული. ამის პირდაპირ მარცხნივ სპილოს ძვლის დიდი სავარძელი სდგას და ისიც ოქრო-ქსოვილის ბალიშებითა და ტყავით მოფენილ-მორთულია. საფეხურთანაც ოქროქსოვილის ბალიშია დადებული. სავარძლის უკან შიშველი ლამაზი ქალის დიდი ქანდაკებაა, რომელსაც ხელში მოზრდილი ზურმუხტი უჭირავს, საიდანაც მომწვანო სინათლე გამოკრთის. გარს მასაც არშიათ მწვანე ხავსი გველები აქვს შემოვლებული. სულ წინ კი დიდი და გრძელი ყუთია შექედილი, რომელშიაც მიწა ყრია და ზედ მეტათ ნაზი, საუცხოვო რამ ყვავილებია ამოსული, ამთავე გარს დაბალი სურო და ხავსი ავლია. შემოსასვლელი ორი, ჩამოსაჯდომების იქით-აქით, გვერდებზე. მესამეც—საიდუმლო ქანდაკებაში.

(წინა ტახტზე წამოწოლილია სურათა. მის წინ ცოტა მოშორებით დგას ბინდია. სურათის ოქრო-მკედლით მორთული, გულ-ამოღებული და მხრებ შიშველი კაბა აცვია. თავს ორი მოახლე ადგას და თმას უსწორებს)

**სურათა.** ნუ გეშინია, ჩემო ბინდია, ეგ არ იქნება.

**ბინდია.** იმ დაკანონების შემდეგ, დედოფალო, რაც გუშინ გამოცხადდა, ყოველივე შეიძლება. მერმე კიდევ თვით მთავარიც ამ ბოლოს ხანს მხარს უჭერს მზის მამებართ.

**სურათა.** ჩემი ქმარი სუსტი კაცია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს. რომ იგი ყველაფერს დასთმობს.

**ბინდია.** ნუ იტყვით მაგას, დედოფალო! მთავარი იმ ზომამდის მოხიბლულა ზენისის პიროვნებით, რომ, მისი გულისთვის ბევრს რამე ახალს დააკანონებს.

**სურათა.** მაგის დაკანონება არ შეძლება, რადგან ამითი საზღვრებში კეთილდღეობა უნდა შეირყეს. ამას კი ჩემი ქმარი არასოდეს არ ინდომებს. მერმე კიდევ, კარგათ იცი, რომ დღეს უნდა უკანასკნელი და გადაჭრილი პასუხი მისცენ ნაზიბროლასთვის მოსულ მოციქულებს.

**ბინდია.** დიად, ეგ ვიცი და ისიც. რომ თვით ქურუმთ-ქურუმი მოწვეულია სათათბიროთ.

**სურათა.** ჰო, და მაშ, რილასი უნდა გეშინოდეს! ამ ჰენიოს კაცს ჯერ ვერაფერი დადგომია წინ.

**ბინდია.** მით უფრო, რომ აქამდის თქვენისთანა დამხმარე გვერდთ ჰყავდა მუდამ.

**სურათა.** (მისჩერებია გამომცდელის თვალთ)

ეგ კადნიერებაა, თუ შენი გულწრფელი ნაფიქრი?!. ბინდია, შენც ნუ წახდები.

**ბინდია.** (დაეშობა) დედოფალო, გულსა შინა ზაკვა არა მაქვს!

**სურათა.** (დასცქერის დამხობილს ბინდიას და ცბიერათ იღიმება) მიყვარს. ვაშა-კაცი აღტყინებულ გრძნობით მოქმედი. იმისთვის რომ თავის მიზანს მიაღწიოს, არაფითარ დაბრკოლებას არ უფრთხის.

**ბინდია.** (ისევ ისე) შენს ხელთა ვარ, დედოფალო!

**სურათა.** (გაიცინებს) ჩემს ხელთ!.. საამუროია, ჩემს ხელთ რომ იყოს შენისთანა სახის ვაჟკაცი... წამოდექ, ბინდია!

**ბინდია.** (დგება) რით დავიმსახურე, დედოფალო, თქვენი წყრომა. მართალია, ჩვენი ჩვეულების საზღვარს გადაველ, როდესაც აქ გიახელი და ესე პირის-პირ ვიწყე შენთან ლაპარაკი; მაგრამ აკი განსაკუთრებულ საჭიროების დროს ზოგ წარჩინებულებს უფლება გვაქვს შენთან, დედოფალო, მოვიდეთ და ჩვენი შექივრება გამცნოთ.

**სურათა.** მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე სიყვარულს შეეხება... ხა, ხა, ხა! რათ არ გაგახსენდა ის ძველი ქეშმარიტება, რომ ლამაზები მუდამ ერთი-მეორის შურიტა ვართ აღვსილი. მაგალითად მე ძალიან მწყინს, როდესაც ნაზი-ბროლა ეგრე გატაცებით მოსწონთ ხოლმე... თუ აქამდის გისწინდი, მინდოდა შემეტყო შენი მისდამი გრძნობის სიღრმე-სიგანე. ეხლა კი ვხედავ სანამდის შეგიტოპნია...

**ბინდია.** დედოფალო!

**სურათა.** ნუ მაწყვეტინებ! ნაზი-ბროლას ყოველი გამარჯვება ჩემი დამარცხებაა, ყოველი მისგან დაპყრობილი გული მთელი ჩემი სამტრო ლაშქარია; მხოლოდ თუ ეხლა მახარებს ის, რომ ერთი საუკეთესო სარდალი ამ ლაშქრისა ჩემს ფეხ-ქვეშ ემხოება და შევლას ჩემგან მოითხოვს...

**ბინდია.** დედოფალო, მე მოვედი შენთან, როგორც დედოფალთან...

**სურათა.** და არა ქალთან!.. თავხედო! რათ არ იცი, რომ ქალის გულის შეურაცხება ყოველ ხარისხის შეურაცხებას აღემატება...

(სიბრაზე ერევა)

ოო, მძულხართ ყველანი! ვაშა-კაცები პირ-ფერნი ხართ მანამდის, სანამ ეგ თქვენთვის საჭიროა და სულ არ იცით, თუ რას ნიშნავს მომწიფებული ქალის გრძნობა! ეს ცეცხლია ერთობ ჩამთქმელი, თქვენ კი ამ ცეცხლს გაურბით და ნაზი აღის მოჩვენებული მხურვალეობა გიპყრობსთ. თქვენ აჩრდილსა სცემთ თავყანს და ხორც-შესხმული, ნამდვილი, ხელ-მოსაკიდი ბედნიერება კი უარ გიყვით. აბა, რა არის თქვენი

(მწარე ირონიით)

მოწონებული ნაზი-ბროლა, თუ არ აჩრდილი ჩემთან შედარებით?! ასე იყო ზენისიც... ასე შეიქენი შენც! ორივენი ნაზი-ბროლამ მოგხიზლათ და გაგიტაცათ... არა, სწორედ მაგ ქალს რაღაც ჯადო აქვს, თორემ, უზენაეს... ჰმ! რა შედარება!

**ბინდია.** შენს მახვილს კკუს ვინ წინააღმდეგება, დედოფალო!.. რომ მკდი ეხლა და ჩამოკრულებით გინდა გაიგო თუ ჩემი კადნიერება სანამდის მიაღწევს, თორემ, ესე რომ არ იყოს, მეც მოგახსენებდი იმას, რასაც ვგრძნობ...

**სურათა.** (ეზხით) რასა გრძნობ? შეგიძლია პირდაპირ ილაპარაკო.

**ბინდია.** არ შემრისხავ?

**სურათა.** მე სამართლიანიცა ვარ, როცა მინდა.

**ბინდია.** მმ... შიმუნეარებს ხომ არას დასაქმებთ დედოფალო?

**სურათა.** ხედავ იმ ქანდაკებას? ყველაფერს ხედავს და ისმენს, მაგრამ უძრავია და უტყვი.

**ბინდია.** (ნიშნად მორჩილებისა თავს დახრის) მე იმას მოგახსენებთ, რომ ჩვენი მთავარი ღირსი არის სიყვარულისა.

**სურათა.** (აფეთქება. მაგრამ თავს შეიკავებს) კარგი! გულ-ახდილობა გულ-ახდილობისათვის! იცი, რომ მე ჩემი ქმარი მიყვარს თავ-დავიწყებამდის, რომ მზათა ვარ მას შეეწირო ჩემი სილამაზეც კი. რაა სიკვდილი! მე მზათ ვარ მისთვის ჩემი პირი-სახე, სხეულიც კი დავიმახინჯო აი, რა ზომამდის მიყვარს მე იგი. მაგრამ ეს ჩემი გრძნობა ისეთი ღრმაა, რომ მუნ სხვა ვინმე ვერ შესტურავს. მხოლოდ სულ სხვაა ეს სიყვარული! ეს თავყანისცემაა კერპის წინაშე! ღვთიური სისოება! მე იგი მიყვარს ისე, როგორც თავის სალოცავი უყვართ და ამავე ეამს ისე; როგორც თავის ბავშვი უყვართ. აქ შესვენილია სარწმუნოებრივი და დედობრივი სიყვარული. ის უბრალო გასათქერი როდია და ქვენა-გრძნობით ან გულის-თქმით ასახსნელი, მაგრამ იმიტომ რომ ჩემს თვალში ესეთია მისი პიროვნება: მეტათ სუსტი და ნაზი ხასიათის, მაგრამ ჰაეროვანი, თითქო ხელ-

მოუკიდებელი. თუმც იგი იმავე დროს ვაშა-კაცია, სრული ვაშა-კაცი და თანაც, ვით უწყვი, დიდი მოტრფიალე განცხრომისა, მაგრამ მე მაინც მას, ვით უფროსი და უმცროს ძმას, ან ვით დედა თავის თვალისჩინ პირმშო ვაჟს, ისე დავცქერი... აქ ჩემში ქალი თავს იხრის უფრო უცხო გრძნობის წინაშე, ამიტომაც თვით თქვენის შეხედვითაც, ჩემო გამკიცხველნო, არა ვარ გასამტყუნარი. იქ ხომ განყენებული გრძნობაა, აქ კი ქალი მაინც დარჩა, მაშასადამე ეს ქალი თხოულობს ნეტარებასა... ამას ვერ მიხვდა, ზენის... ვერ მიხვდი შენც.

**ბინდია.** უეჭველია დიად ბუნებას ყოველივე დიადურათ ჰსურს მოაგვაროს. მე კი, დედოფალო, სადა კაცი ვარ.

**სურათა.** მართლაც, თავხედო! ეს კი სწორეთ მეტის მეტია!.. კმარა ლაყბობა, გამეცალე!

**ბინდია.** (თავს უკრავს) დედოფალო, მე ხომ შემომწყყერ, მაგრამ მას მაინც ნუ იზამ, რომ ნაზი-ბროლა ზენის წაჰყვეს, ამით შეირყევა სახელმწიფო კეთილ-დღეობა.

**სურათა.** (ძალიან აღელვებულია, თავს ძლივს იკავებს, მაგრამ მანც ღირს-სეულათ) სახელმწიფოს კეთილ-დღეობაზე ზრუნვა ჩვენ თავის დღეში არ მოგვიშლია!

**ბინდია.** (სახეზე იმედის სხივი ვადაფინება). გონიერო, შენ უკეთ უწყვი ყოველივე.

(სურათა ბინდიას ანიშნებს, რომ წავიდეს. ბინდიაც იმალება ქანდაკების საიდუმლო კარებში. სურათა აღელვებული გაივლ-გამოივლის. თანდათან მშვიდდება, მაგრამ მის სახეს მკაცრი გამომეტყველება მაინც ემჩნევა).

**სურათა.** (პაუზის შემდეგ მოახლეებს). დამიძახეთ უშუყ-ვეზირს. ის ეხლა აქ, მისაღებ დარბაზში, იქმნება.

(ერთ-ერთი მოახლე გავარდება. სარუმე-ისმის მხოლოდ შადრევანის წაწკარო, შემოდის მოახლესთან ერთად უშუყ-ვე-ზირი.—გამხდარი, ხმელი, ბეჭებში ცოტა წახრილი, გამოხუნებული, გაცრეცილი სახე: წვერები, თმა, ტანისამოსიც მტკვერის ფერი. შემპარავი კილო ლაპარაკში, ლაქუცა და პირმოთნე. განკრძალვით დაუკრავს თავს და შორი-ახლოს დადგება.)

**უშუყ-ვეზ.** გებრძანებინათ ჩემი დაძახება?

**სურათა.** დიად, მკირდები... დღეს უსათუოთ უნდა გადასწყდეს ნაზი-ბროლას გათხოვების საქმე.

**უშუყ-ვეზ.** ამისათვის მიღებულია ყოველივე ზომა, მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს.

**სურათა.** რა, ან ვინ დაგიდგება წინ?

**უშუყ-ვეზ.** თვითონ მთავარი, დედოფალო!

**სურათა.** როგორ?

**უშუყ-ვეზ.** მე მაფიქრებს, რომ თავისი დიადი გულკეთილობით კვლავ ერთხელ არ დასთმოს და არ აუსროლოს თავის დას სურვილი... ხომ გაგიჟებით უყვარს!..

**სურათა.** შენა გგონია?! ცოლი კი როგორ უყვარს?

**უშუყ-ვეზ.** როდესაც კი ჩვენ ამ სიყვარულს ვენდეთ, არასოდეს არ მოცტყუებულვართ და გაგვიმარჯვნია, მაგრამ არის ისეთი წუთიც მთავრის ცხოვრებაში, რომ მის ამოჟინებას, მგონი, ველარავითარი ძალა ველარ დასძლევს... მერმე კიდევ ეხლა! ყველა ამ მოძრაობისაგან ისე მოხიბლულია ჩვენი სათაყვანო მთავარი, რომ მეტის-მეტ სათავისუფლო გუნებაზე დგას... ამას დაუმატეთ ზენისის თაყვანის ცემაც!.. ამ ბოლო ხანებში ხომ, განსაკუთრებით ქორწინების თავისუფლების გამოცხადების შემდეგ, ძლიერ გადიხარა მისკენ სასწორი.

**სურათა.** შენ კვეიანი კაცი ხარ... მართალია, მე არ მომწონდა თავის დღეში შენი მიხვეულ-მოხვეული მსვლელობა სახელმწიფო ასპარეზზე... ზოგჯერ გაგჯიბრებივარ კიდევ, მაგრამ შენი გონებისა და... გეწყინოს თუნდა... მეძებრულ ნიკის წინაშე კი, თავს ვიხრით მუდამ.

**უშუყ-ვეზ.** (თავს იკატუნებს, ირონიით). არა ვღირს ვარ, დედოფალო! მე მუდამ თქვენი და სამშობლოს ერთგული...

**სურათა.** ხმა! სამშობლოს ერთგულებაზე სიტყვა არ დასძრა. ხომ იცი, რომ მე კარგათ გიცნობ: შენ მუდამ საკუთარი სარგებლობის ერთგული იყავი, მაგრამ ეს იყო შენი ღირსება, რომ საკვირველის ხელოვნებით ჰმოსაგვდი ამ საკუთარ, პირად ანგარიშს საზოგადო კეთილ-დღეობის თვალ-მომკრეფელ ტანთ-საცმელში!...

**უშუყ-ვეზ.** (აბრეხილი დგას).

**სურათა.** ჰო, და თუ მე ვახსენე შენი კეკუა, შენი მეძებ-  
რული ნიკი, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში დაგეჯერება. მაშ  
შენ ამ საკითხში დიდ ბრძოლას გრძნობ, დიდს შეჭიდებას...  
ჰა? ეს შენიშნა და ამიტომ, მართლაც, რომ მზათ უნდა ვიყვეთ.

**უშუყ-ვეზ.** ჩემი აზრიც სწორეთ ეგ არის, დედოფალო.  
რომ დიდი ბრძოლა დაგვკვირდება.

**სურათა.** (ფიქრში) ო, ზენის, ზენის! ჩვენ კიდეც შევხვდით  
ერთმანერთს...

**უშუყ-ვეზ.** (უბიწრათ) დიდს იმედს იძლევით, დედოფალო!  
ეხლა კი ვატყობ, რომ თქვენი ძალის წინაშე მან თავი უნდა  
დახაროს.

**სურათა.** (მოიღუშება) ნუ კადნიერდები, ხავსიანო! საცა შენ  
არავენ გიწოდს, იქ შენი გარევა მხოლოდ სანანურიია. ჩვენ  
მარტო მანამდის უნდა ვიბრძოლოთ ერთად, სადაც შენ შენი  
ხარისხი და მე ჩემი მოვალეობა გვიწვევს.

**უშუყ-ვეზ.** (თავისთვის) დიად, მოვალეობა ალტყინებულ ქა-  
ლის გრძნობისა.

**სურათა.** რას ბუტბუტებ?

**უშუყ-ვეზ.** შენ გულთამხილავი ხარ, დედოფალო!

**სურათა.** მაშ, დღეს უთუოთ იქმნება თათბირი?

**უშუყ-ვეზ.** დიად, დედოფალო! თათბირი დღეს იქნება და  
მერე ისიც აქ, თვით მთავრის დარბაზში. ქურუმთ-ქურუმიც  
მოწვეულია, და, თუ ვინმე გვიხსნის განსაცდელისგან, ისევ თქვენ,  
დედოფალო, და ქურუმთ-ქურუმი.

**სურათა.** მთავარი კვლავ საწოლშია?

**უშუყ-ვეზ.** არა, სასეირნოთ წაბრძანებულა.

**სურათა.** ოჰ, უზენაესო! რა გაუფრთხილებლობაა... აკი  
მიტომაც არ შემოვიდა, არ გამიკვირდა? მერე რატომ თან არ  
ახლავხართ? ან ვინ გაატანე?

**უშუყ-ვეზ.** მე არ გახლდით, დედოფალო! ისე ადრე მო-  
ესურეებიანა წაბრძანება. ხუმარა ლუკლუკა ახლავს თან.

**სურათა.** ა, ეს კვიანი, მახვილ-გონიერი ფინია?!... მერე  
როგორ მოგივიდათ?.. გზაზე რომ ვინმე შეხვდეს ისეთი კად-

ნიერი და... შეაწყობოს თვისი მოურიდებელის თხოვნითა და ლა-  
პარაკით? არ იცი რა სათუთი და ჩვილი გულის პატრონია?  
განა ასე უფროთხილდებით მის სულის შშვილობას?... აი, თქვენი  
ზრუნვა... ო, მე რომ ჩემი ხარისხი არ მიშლიდეს...

**უშუყ-ვეზ.** ნამდვილი პატიმარი იქნებოდა, დედოფალო!..  
**სურათა.** ნუ კადნიერობ!

**უშუყ-ვეზ.** რა ვუყუთ, ცოტა გაიაროს, დედოფალო! სა-  
შიშარი არაფერია! მერმე კიდევ, თუმც გვიან იყო, მაინც  
ასიოდე კაცი აღმასის სანათურებით უკან დავადევნე...

**სურათა.** მაშ, სულ უნებლოთ იყო წასული! უზენაესო!..  
ეს რას ჰგავს, უშუყ?... უშუყ!.. კარგათ ვიცი, რომ შენ საი-  
თაც ქარი მოგიქრის, იქით მიბრუნდები ხოლმე, მაგრამ... ნუ  
თუ ისე ძლიერია ეს ახალი ქარი, რომ უკვე მიგაბრუნა... მაშ  
რას ნიშნავს ეს შენი უცოდინარობა? შენ, რომელმაც ყოვე-  
ლივე, ისიც კი, რაც არ უნდა იცოდე, მუდამ ყველაზე წინ  
იცი ხოლმე... არა, აქ რალაც ამბავია... მაგრამ ამას ვერ და-  
ვიჯერებ... არ დავიჯერებ...

(უმჯეს ცბიერი ღიმილი დაქრის სახეზე).

ვასწი, ვასწი ეხლავ, დაედევნე, თუ კვლავ დაგრჩენია შენი პი-  
რადი სარგებლობის შეგნება მაინც...

**უშუყ-ვეზ.** დედოფალო! არა უშავს-რა, ტყუილა დელავთ.

**სურათა.** არა, გული რაღაცას მიგოდნობს. ვასწი-მეთქი! თო-  
რემ, არ იცი, ცბიერო, ერთის დაკვრით მიწასთან გავასწორე-  
ბინებ შენს თავს!

**უშუყ-ვეზ.** (აიბრახება მორჩილებით) გიახლებით, დედოფალო!

(გიდის ცბიერათ)

ეს კიდევ ვინ იცის მიწასთან ვინ გასწორდება!..

(მივა გასასვლელთან და უცბათ შემო-  
ტრიალდება. იქიდან ზრიალი მოისმის.)

დედოფალო! ავერ თვითონაც მობრძანდება.

(სურათა სიხარულის შექცადაფენილი მიე-  
მართება მისკენ. შემოდის მთავარი,  
ძვირფასათ მორთული, ახალ-გაზდა, ფერ  
მიხდილო, გამხდარი კაცია. თვალები მე-  
ტრისმეტე ღმობიერი აქვს. მთელს საქ-  
ციელსა და მიხვრა-მოხვრას სინაზისა და  
სათნობის ბეკედი აზის. ამ ეკმათ ნალ-

ვლინათ გამოიხედება. ეტყობა რაღაც ძლიერ აწუხებს. თან მოსდევს ხუმარა

ლ უ კ ლ უ კ ა, რომელსაც თითქოს უდარდელი სახე აქვს, მაგრამ ღრმა სევდის კვალი შუბლის ღარათ ამჩნევია. საქციელი სიცილის გამომწვევი, მაგრამ მეტათ უბრალო და სადა. თავს ძალას არ ატანს, ისეა მისი სიტყვა და მიზერა-მოზერა შემაქცევარი. მასხრულათ აცვია.

სურათა მიეგებება მთავარს, დაიხრება და კალთას უკონცის)

**სურათა. ჩემო სალოცავო!**

(მთავარი ხელს ჰკიდებს მკლავებში. ზევით ასწევს და შუბლზე ეამბორება. სიჩუმით მოდის წინ და მიძიმეთ ჩაეშება ქანდაკების მარცხნით მდგარ სავარძელში. კარის კაცნი, რომელნიც მასთანვე შემოვიდნენ, ეხმარებიან: ზოგი ფეხის ბალიშს უსწორებს, ზოგი სავარძლისას სხეები კი ყველანი დგანან.)

**უშუყ-ვეზ.** (ერთს კარის კაცს) რაზედ ბრძანდება ეგრე დაღრეკით?

**კარის კაცი.** გზაში ჯურღმულში მომუშავეს შეხვედრია.

**უშუყ-ვეზ.** აა!

(სახეზე მორჩილებას გამოხატავს)

**მთავარი.** მარტო დამტოვეთ.

(სურათა არ მიდის. სხვა ყველანი გაიკრიფებიან გარდა ლუკლუკასი, რომელიც მათ მისდევს)

**ლუკლუკა, შენ დარჩი!**

**სურათა.** მეც აქ ვიქნები, თვალის ჩინო.

**მთავარი.** (ღმობიერათ, თითქმის ხევწნით) ნუ, ჩემო კარგო! მერე!

(სურათას უსიამოვნება გამოეხატება სახეზე, მაგრამ მაინც მორჩილებით თავს უკრავს და გადის. მოახლეები თან მისდევენ. სიჩუმე. მხოლოდ შადრევანის წანწკარი მოისმის.)

ლუკლუკა მიდის შადრევანთან და თითქოს ეალერსება: ხან ჩამოჯდება მის გალავანზე, ხან გადაეყუდება, ხან ქვევით მიუჯდება. სართოდ დიდის სიყვარულით შესცქერის ხან შადრევანს. ხანს მთავარს)

**მთავარი.** (ფიქრში, თითქოს თავისთვის) რა ყოფილა!.. შენ დაუკვირდი კარგა?

**ლუკლუკა.** ვისა, საცოდავო?

**მთავარი.** იმ ჯურღმულში მომუშავეს! ღმერთებო, რა უსამართლობაა, რა საშინელება!..

(პაუზა)

არა, დახე რა ლაპარაკიც სკოდნია!

**ლუკლუკა.** (უყოლებს შადრევანის წანწკარს ჩუმად. თითქო თავისთვის)

ლუკ-ლუკ-ლუკ,

ლუკ-ლუკ!

ლაპარაკებს სიმართლე,  
რაკი შია და სწყურია!  
მუშაობს, მოგვცა სინათლე,  
მაგრამ თვით უბედურია.

—

ჩვენ კი აქ ვებრძვით ერთმანეთს,  
გვტანჯავს ერთ-ერთის შური;  
მათ კი ვუხვევდით მუდამ გვერდს...  
რა ცული სამსახურია!..

ლუკ-ლუკ-ლუკ,

ლუკ-ლუკ!

**მთავარი.** (ისევ ფიქრში) არა, აქამდის რათ არ ვიცოდლი? ხომ წინეთაც დავდიოდი ჩემს სამთავროში?!.. რათ არ შემხვედრიან... ან რათ არ უთქვამთ, ასე გარკვევით ყოველივე?.. ღმერთებო, რა უსამართლობაა, რა უსამართლობა!..

**ლუკლუკა.** (წინ წამოვა) გეტყვი ერთ იგავს, საცოდავო! ეგ ჩემი არის, გამიგონია, მაგრამ, აბა, ყური კარგა დამიგდე!

(მთავარი მექანიკურად თავს დაუქნევს. თუმცა ეტყობა, რომ მაგის გუნებაზე ვერ არის, სულ თავის ფიქრებს წაუღია. თან და თან კი, ლუკ-ლუკა სანამ უამბობს, მეტი ყურადღება დაეტყობა)

ერთხელ! ეს დიდი, უხსოვარი დროის ამბავია: შემოკრბენ, თურმე, სადაც კი ცას ქვეშეთში, არა ამ ცის ქვეშეთში არა...

(თაღზე უჩვენებს)

ჩვენ ცა არა გვაქვს!

**მთავარი.** (ნაღვლიანათ და წყნით) ო, ნუ გამახსენებ ამ თაღის აბზავს!

**ლუკლუკა.** ჰო, შემოკრბენ მეთქი ყველა გამოქვაბულები, ყველა ორმოები, ყველა ჯურღმულები...

**მთავარი.** კიდევ!

**ლუკლუკა.** დამაცა, საცოდავო!.. ყველა ქაობები, სადაც შალტამი და ლელწამის ტყე იმდენათ აჩრდილებდათ, რომ მზე ვერ აღწევდა მათდამი... დიად, მზიან ქვეყანაში მოხდა ეს ამბავი... ერთის სიტყვით შემოკრბენ ყველა დაჩრდილულნი ანუ ჩრდილოვანნი და...

(გასწყვეტს, ღიმილით შეხედავს მთავარს).

ჰა, ჰა, ჰა! როგორ შემოკრბენ, ამისი კი რა მოგახსენო. მხოლოდ ესე ამბობს თქმულება...

(განაგრძობს).

დაიწყეს თათბირი და ბჭობა თავის ქირ-ვარამზე. ბოლოს ის გამოიკრკვა, რომ ყველას უმზეობა აწუხებდა. იქაც იყვნენ, თურმე, მზის მაძებარნი!

**მთავარი.** (ნაღვლიანათ). რა მწარე ენა გაქვს, ლუკლუკა!

**ლუკლუკა.** გამოიკვლიეს თითქო მიზებიც იმისი, რომ მზის შუქი არ ჩამოდიოდა მათდამი. უმრავლესობამ ღრუბლები სცნო დაწნაშავეთ და დაადგინეს—დაეწერათ ყოველივე და მზისათვის მიერთმიათ თავიანთი საჩივარი. მართალია, იყვნენ იმისთანებიც, თურმე, რომლებიც ღრუბლებს იმდენათ არ ამტყუნებდენ, მაგრამ უმრავლესობამ მაინც თავისი გაიტანა და, აი, მიანდეს კიდევ ქარს მათი საჩივრის მზესთან მირამევა. ქარიც თავიებურათ გასრიალ-გამოსრიალდა, ბევრ ორმოსა და გამოქვაბულს გადუკოცნა გულ-მკერდი, უფრო საპატიოებს თქმა არ უნდა, და გასწია მზისაკენ. მზეს... არ ვიცი აგრევე განწყობილი აქვს მისაღები დღეები, როგორც თქვენ, ამ ქვეყნის დიდებულნი, თუ არა, მაგრამ ეს კი ვიცი, ასე იყო თუ ისე, ქარი სიამოვნებით მიღებულ იქნა მზის მიერ. წარბ შეუხრებლათ მოისპინა ჩრდილიანების საჩივარი, მხოლოდ მის ოქროსფეროვან შარავანდედს ცოტა დაეტყო, თურმე, ციმციმი. ეს შეიძლება სიხარულის გამოც იყო, რადგან მზემ გადასწყვიტა საკუთარის ფეხით დაეარა ყველა მომჩივანთა ბინა. ღრუბლები

კი არ იყვნენ კარგ გუნებაზე, უფრო მოიქრუნენ, მაგრამ ცბიერი ღიმილი კი მაინც პირზე დაჰქროდათ. ეს ნათლათ ეტყობოდა მათ ნაქრა-ნაქრა ქცეულ ნაფლეთებს, რომელსაც სინინა ქარი აგრე მოურიდებლათ ყურს ჩასჩურჩულებდა. დადგადლე და ეს უშველებელი ცეცხლის ბურთი, მზე, ჩამოგორდა დედა-მიწისაკენ. თავისი შარავანდელი, რა თქმა უნდა, თან ახლდა. სხივები ციმციმებდნენ, თრთოლდნენ და სულ ცეკვა-ცეკვით მოუძლოდნენ ჯურღმულებისაკენ. ჯურღმულ-ორმოთა პირები კი იოქვრებოდა ამ წარბაც შუქთაგან და ყველგან ეფინებოდა ცხადი ნათელი. მზეს გაუყვირდა, რომ ვერსად სიბნელე ვერ ნახა. მისივე ნათელი უშლიდა ბნელის დანახვას. გაჯავრდა, მსწრაფლ თავისკენ გასწია, თვის ტახტზე დაჯდა და, თუ წინეთ ღრუბლების დასჯასაც კი ფიქრობდა, ეხლა სრულიად ხელი მიუშვა და სრული ნება მისცა, როგორც მოესურვებოდათ ისრე შოქცეულიყვენ. ღრუბლებმაც არ დაახანეს უინის ამოყრა და, თუ წინეთ უფრო მორიდებით იქცეოდნენ, ეხლა, თურმე, სულ გადაებარდნენ ქვეყნის პირს, ჯურღმულები კი, რა თქმა უნდა, უმისოთაც ისევ ისე ჩაბნელებული იყო... ჰა-ჰა! მათ არ იცოდნენ და არც ჰქონდათ იმის შეძლება, რომ ჩვენსავით აღმასებითა და სხვა ლითონებით გაენათებიათ თავიანთი თავი. ეს მარტო ჩვენი ღმების ჰენიამ შესძლო. ეს განსაკუთრებული ჩვენი კუთვნილება!...

**მთავარი.** მერე, ამ იგავით რა გინდოდა გეთქვა?

**ლუკლუკა.** ეგ მე არა ვიცი! მე ხილი მოგართვი შენც იხილე! მე მხოლოდ ვყვივი, გათენება თქვენი, სხვების საქმეა!

**მთავარი.** თქვენ ყველამ ეგრე იცით: მე მომიხსენებიაო და მერმე კი ყველანი ხელს იბანთ. აბა, მიჩიეთ რამე ნათელი, ცხადი, როგორ მოვიქცე?

**ლუკლუკა.** მე გირჩიო? არა, ეგ ჩემი საქმე არ არის. მე მხოლოდ სიცილში გამოგიტარებ მწვავ სურათებსა. მე მხატვარი ვარ, რომელსაც მაცინებს ამ სურათთა არარაობა. მიმართულება, გზის გაკვლევა კი სხვების საქმეა. განა მრჩევლები გაკლია?

**მთავარი.** საქმეც ეგ არის, რომ არა მაგრამ აკი, თურმე

სულ სხვას ამბობენ, სულ სხვას. მე ვგრძნობდი ამას, მუდამ, ყოველთვის—რომ სიმართლე დამალული იყო, მაგრამ სად და როგორ—ვერ გამომეცნო. არც არვინ მითხრა!

**ლუკლუკა.** სიმართლე? შორს არის, საცოდავო!

ლუკ-ლუკ-ლუკ,

ლუკ-ლუკ!

ზოგი ამბობს ცაშიაო,

ზოგი ქვესკნელს იხსრიკება!

სიმართლე კი ისევ ისე,

საცა არის იქვე რჩება!

—

ვინც მიაგნო, იმანაც კი

ხელში ველარ დაიჭირა —

სასხლეტი რამ ყოფილაო! —

მან საჯაროთ გაიკვირა.

—

და მას აქეთ ეს სიმართლე

ყველგან არის, არსად კია,

თუმცა კაცმა მის ძებნაში

ბევრი სული ხრაკა კია.

ლუკ-ლუკ-ლუკ,

ლუკ-ლუკ!

და ამიტომ სიმართლე შორია, საცოდავო!

**მთავარი.** არა, ეხლა კი ვიცი სადაც ყოფილა—ხალხში. ტანჯულებსა და დაჩაგრულებში. უსწორ-მასწორობაში. მერე, აქამდის რათ მეგონა, რომ ჩემს სამთავროში ყოველივე კარგათ იყო გარიგებული. რომ თხა და მგელი ერთად სძოვდენ.

**ლუკლუკა.** ეგ აბა რა შედარებაა!? ჩვენში რომ არც ერთი პირუტყვი, არც შინაური და არც გარეული, არ იზრდება? უმზეობა რომ უშლისთ აქ მოშენებასა?.. შენი მშველიც, მზიან ქვეყნიდან რომ ჩამოვიყვანეთ, იმსხვერპლა აქაურმა თალ-შეკ-რულობამ.

**მთავარი.** ო, ნუ გამახსენებ!

**ლუკლუკა.** აქ თავგები ხეირობს მხოლოდ, საცდავო, და მისი მონათესავე ღამურები...—ეს მათი სამეფოა.

**მთავარი.** (ფიჭის წაულია. ურს არ უდებს, განცხოველებით) ო, რა მშვენიერება იყო ჩვენი ნადირობა! გახსოვს მზიან ქვეყნის მეფეს რომ ვეწვიეთ, რა ნადირობა გავვიმართა! რა მხეცები ვნახეთ, რა ალაგები. მზის წარმტაცი სხივები როგორ მომხიბლავათ აფერადებდა მიდამოს...

**ლუკლუკა.** (დაცინვით) გადაუხვიე, საცოდავო?! ვაი, შენი ბრალი, შენ მოუტან სიკეთეს ქვეყანას?

**მთავარი.** (ბავშურათ ნაწყენი) აახ, ლუკლუკა! აბა, რა ექნა, რომ მე მინდა განცხრომა, მე მინდა ნეტარება! მაგრამ მარტო მე კი არა... ყველა, ყველა სტებებოდეს ცხოვრებით, ყველა მადლიერი იყვეს თავისი ბედისა! ლუკლუკ, ლუკლუკ! რათ, რათ არ არიან ბედნიერნი? რათ არ არიან ყველანი კმაყოფილნი?

**ლუკლუკა.** ამ სიბნელეში ბედნიერება არ შეიძლება!

**მთავარი.** (წამოვარდება და აღელვებული გაივლ-გამოივლის) ახ, ლუკლუკ, გასწი, გამშორდი! შენც კიდევ ტყუილ-უბრალოთ მიდაგავ ტვინს!..

**ლუკლუკა.** (მოიკრუნჩხება შადრევანთან და თავისთვის ლუკლუკებს).

ლუკ-ლუკ-ლუკ,

ლუკ-ლუკ!

ზოგს ეს უნდა, ზოგს ის უნდა,

ყველას ერთათ ნეტარება,

ზოგი სულ მთლად დაძაბუნდა,

ზოგს სიცოცხლეც ეზარება.

მე რა მინდა?.. ჩემთვის ჩუმათ  
ვილუკლუკო, კრემლი ვლვარო  
და სხეები კი სულ ვაცირო  
მაგრამ არეინ გაეახარო!..

ლულ-ლუკ-ლუკ,

ლუკ-ლუკ!

(შემოდის ნაზი-ბროლა და ნელა მიეპარება აღელვებულათ მიმომავალს ძმას)

**ნაზი-ბროლა.** ჩემო კარგო!

**მთავარი.** ოჰ, შენა, ნაზი-ბროლა?

**ნაზი-ბროლა.** რას დადიოდი ეგრე გაცხარებული?

**მთავარი.** გამახელეს, ჩემო პატარა...

(თითქო წყრომით, მაგრამ ლმობიერათ,  
ცოტა ღიმილიც დაჰქრის ისე, გადახედავს  
შადრევანთან მობუზულს ლუკლუკას)

ეს ჰკვიანი ფინია, როგორც სურათა ეძახის...

**ლუკლუკა.** (წინ წამოიწევს) ნუ მეძახი ფინიას, საცოდავო! მე არავის არ ვულოკავ ფეხებს. მაგას თუ შენი ცოლი სურათა ამბობს, იმას მიეტყვება, ის დაჩვეულია ფეხებზე ემთხვეოდნენ. ის იმ მზიან ქვეყნის ქალია, სადაც ჯერ კიდევ ფეხის ლოკვა არ გადავარდნილა.

**მთავარი.** (ფიქრში) მაშ, მონობა იქაც არის?

**ლუკლუკა.** იქაც, საცოდავო, მაგრამ იქ სამაგიეროთ მზევა, მზე გაჩაღებული, რომელიც თვით მონასაც იმედს უცხოველებს გულში საუკეთესო მომავლისას. ჩვენში კი, საცოდავო...

**ნაზი-ბროლა.** ოოხ, ლუკლუკა, გააჰრე შენც! რა დაიფინე ეს „საცოდავო“? ნუ თუ სხვა სიტყვა არ მოგეძებნება?

**ლუკლუკა.** აამ... მთავრის ასულო, სხვა სიტყვა! მერმე განა არის სხვა სიტყვა, რომელიც ასე სისწორით უდებოდეს სინამდვილეს?! აბა, რითი არ არის საცოდავი შენი ძმა?... მერწმუნე, რომ საცოდავია... კაცი აღსავესე გულწრფელისა და კეთილის სურვილებით, კაცი ლმობიერი, კაცი სათნო, მაგრამ კაცი სუსტი, კაცი ვერას მომქმედი. კაცი მგრძნობელი და არა მკეთებელი... ასეთი კაცი საცოდავია—ის გადაიჩეხება! მერე განა მარტო მაგას ვუძახი საცოდავს—თვით ჩემ თავსაც. აბა რითი არა ვარ საცოდავი! არა, იმიტომ კი არა, რომ არა ვარ მეფე, არ ვარ მპყრობელი უსაზღვრო ქვეყნებისა. არა! ჩემში ძალაა, ძალა სიტყვისა, ძალა აზრისა, ძალა მხატვრული დაცინებისა, მხოლოდ ძალა ფრთებ-შეკვეცილი, უნიადაგო, ძალა გამოუყენებელი— მაშ მეც საცოდავი ვარ. ახლა ავიღოთ თუნდ ზენისი... საცოდავი არ არის?

(ნაზი-ბროლა შეშფოთდება)

თვისის მისწრაფებით,თვისის აზრებით, რომელიც არ განუ-

ხორციელდება. საცოდავი არ არის თვისის ტანჯვით, იმიტო, რომ მას ვერ იცნობენ, ვერ შეიგნებენ?!

**ნაზი-ბროლა.** (მტკივნეულ და ამაყად) ტანჯვა აზრისათვის, ტანჯვა საუკეთესო მომავლისათვის პირ-იქით საპატიო და საამაყოა. ამისთანა კაცს საცოდავი არ ეთქმის.

**ლუკლუკა.** მე მაინც ჩემსას ვამბობ. საცოდავი არ არის თვით ხალხიც, რომელიც შფოთავს და ლელავს, რომელიც მზეს ეძებს, მაგრამ ვერ მიუღწევია, რომელიც ცდილობს, მაგრამ ფრთა ვერ გაუშლია, თავისუფლად ვერ ამოუსუნთქავს და კვლავ წელში მოხრილი ჯღრღმულღებში წერაქსა სცემს...

**ნაზი-ბროლა.** საცოდავია შეიძლება ეხლა თავისი მდგომარეობით, მაგრამ საცოდავი არ არის თავისი მისწრაფებით. იგი თავისას გაიტანს და მაშინ ვნახოთ, ვინ იქნება საცოდავი!

**ლუკლუკა.** (თავისას განაგრძობს) საცოდავი ხარ შენც, ნაზი-ბროლა შენის სიყვარულით ზენისისადმი! საცოდავი ხარ მოტომ, რომ სურვილი არ შეგისრულდება.

**მთავარი.** (უეცრად მობრუნდება, ხელებს დაჰკვრის ნაზი-ბროლას და თვლებში ჩაახერხდება) როგორ? შენ გიყვარს ზენისი?

(სიჩუმე).

**ლუკლუკა.** და საცოდავები ვართ ჩვენ ყველანი. საცოდავები, იმიტომ რომ თავისუფლები არა ვართ. სული არ არის თავისუფალი. მონა-საცოდავია!

ლუკ-ლუკ-ლუკ,

ლუკ ლუკ!

**მთავარი.** (ნაზი-ბროლას) რათ არ მითხარი აქამდის?.. მერე ისიც თანაგიგრძნობს?.. აი, მართლაც შესაფერი მეუღლენი... მერე, რაღა გიშლისთ?! ქორწინების თავისუფლება ხომ გამოცხადებულია?

**ლუკლუკა.** საცოდავო, მოციქულები, დაგავიწყდა?

**მთავარი.** ოხ, მოციქულები! ვინა ჰკითხავთ? უარს შეუთვლი.

**ლუკლუკა.** მერე, ქურუმთ-ქურუმი?

**მთავარი.** აახ, ადამიანო, რას მაწვალე! ქურუმთ-ქურუმი რაღა უნდა?

**ნაზი-ბროლა.** რათ გავიწყდება, ჩემო კარგო, რომ არსე.

ზობს საუფლოსწულო კანონებიც. ჩვენ ნება არა გვაქვს ჩვენს ჭვეშევრდომთ გავყვეთ ცოლათ და ან აქვე მოვიყვანოთ ვინმე მათგანი.

მთავარი. ოხ, ეს კანონები!

ნაზი-ბროლა. ქურუმთ-ქურუმიც სწორეთ ამას შეგეცილება.

ლუკლუკა. და თვით სურათაც, დედოფალიც...

მთავარი. (თითქო მიხვდაო ყოველივეს, საშინლათ დაიყვირებს) ჩუ-  
მათ!

(პაუზა. გონს მოვა. ისე. ღმობიერათ)

ნუ გეშინია, ნაზი-ბროლა!

(გულ-უბრყვილოთ გაიცინებს)

აი, ნახავ, როგორ კარგათ მოვაწყუა ყოველივე? ყველას შე-  
ვარიგებ. ეს პირდაპირ ჩემი საქმეა. შენ არ იცი, რა მოხერხე-  
ბული ვარ! ჰა-ჰა! როდესაც მშვიდობის ჩამოგდებაზე მივარდე-  
ბა, ვერაეინ მაჯობებს... მერმე კიდევ ეს ხომ ისეთი სახელ-  
მწიფო საკითხი არ არის... ყველას დავიყოლიებ.

ლუკლუკა. (თითქო წელა).

ლუკ-ლუკ-ლუკ,

ლუკ-ლუკ!

სახელმწიფო საკითხები

და პირადი ანგარიში

ერთ-უოთში აქეთ არეული

და არც არ-რის არ აქეთ შიში

ქურუმთ-ქურუმს, უშუქ ვეზირს

და სურათას დედოფალსა,

რაც რომ უნდა ვინ მიხვდება,

ვინ გაუგებს იმათ კვალსა!

ლუკ-ლუკ-ლუკ,

ლუკ-ლუკ!

მთავარი. (უჯავრდება) ლუკლუკ!

(შემოდის სურათა. შორიახლო მოკვებიან  
მოახლებები. სურათა შეამჩნევს ნაზი-ბრო-  
ლას და ამაყათ გადაჰხედავს. ორივენი-  
ნაზი-ბროლაცა და სურათაც თვალთ გა-

მოზომენ ერთი მეორეს. შადრევანი ჩუმდება. სურათა ცივით მიმართავს ნაზი-ბროლას)

**სურათა.** ა, თქვენ აქ ყოფილხართ? სალამი: ძალიან მოგისწვრიათ!

**ნაზი-ბროლა.** როგორ, ძმასთან მოსვლაც არ შეიძლება?

**სურათა.** არა, მაგას ვინ ამბობს, მაგრამ ვიცი თქვენი განზრახვა!! დღეს უნდა გადაწყდეს თქვენი გათხოვების ბედი და ამიტომ მოსულხართ, რომ მთავარი თქვენსკენ გაღიბიროთ! ეგ ქურდობაა!

**ნაზი-ბროლა.** (მთლად აენტება) სურათა...

**მთავარი.** კარგი, აბა რას ამბობ!..

**სურათა.** რასა და... ჩემო სალოცავო!

(მივა მთავართან)

ეგ არ შეიძლება. მაგათ არ შეგაცდინონ. შენი წმინდა და უმანკო გული არ შეისყიდონ. შენ არ იცი მაგ დათმობით რა საშინელ ბედს უმზადებ შენს სამთავროს.

**მთავარი.** (მეტის მეთი შეწუხებულია. არავინ არ უნდა ამ საგანზე ალაპარაკოს) კარგი, დაიცადე.

**ნაზი-ბროლა.** არა, მთავარო, მეტის მოთმენა არ შეიძლება! ეს ვიცი საიდანაც მომდინარეობს... დედოფალი დაბრძმავებულა. შეიძლება კეთილიც უნდა შენთვის, მაგრამ არ იცის, თუ რა გზით მიჰყევხარ. აქ პირადი შურიც ურევია. ამაში ახალგაზდა ბინდიაც მონაწილეობს. ამას წინათ სიკვდილს გადავარჩინე და... ეგ, სულ ერთია. დაე, შენმა უტყუარმა გრძნობამ, შენმა უსახლვრო კეთილმა გულმა გადასწყვიტოს როგორ სჯობია... ის არ მოგატყუებს... შენ თვით მიხვდები. რომ ბუნებრივ სიმაართლის გზაზე გავლას არავინ მართალი არ დაუზარალებია.

**სურათა.** (შეიცვლის წინანდელ კილოს)

ჩვენ შებრძოლება არ გვმართებს ერთი მეორის, ნაზი-ბროლა. ორივეს ერთი მიზანი გვაქვს: ასეა თუ ისე, დავიცვათ ჩვენი, ორივესთვის ძვირფასი, მთავრის კეთილდღეობა და...

სიცოცხლეც. შენ კარგათა სთქვი—დაე, თვით გადასწყევო-  
ტოს როგორც უმჯობესია.

**მთავარი.** (სახე გაუნათლდება) აი, ესე არა სჯობია!? რა გაქეთ  
საცილობელ! მე დამაცალეთ.

(ორივეს ხელს დაუქერს და ლმობიერათ-  
შესტკერის. პაუზა)

**სურათა.** იქ: დარბაზში დიდებულები გიცდიან, ჩემო სა-  
ლოცავო, სათათბიროთ შეკრებილან.

(მთავარს სახე მოეღრუბლება ისევ. ხელს  
გაუშვებს მათ, თავის წინა სავარძლი-  
სკენ გაემართება და ჩამოჯდება)

**მთავარი.** კიდევ თათბირი!..

(ცოტა პაუზა)

დე, შემოვიდნენ.

(სურათა ლუკლუკას ანიშნებს. ლუკლუკა  
გადის.)

**მთავარი.** (თავს ჩაჰკიდებს)

რა კარგია ეხლა ძილი, რომ არაფერს არ ვგრძნობდე,  
არაფერი არ მინდოდეს.

(სურათა დედობრივის მზრუნველებით  
მისჩერებია. ნაზიბროლაც მთავარს უწყუ-  
რებს, მაგრამ ეტყობა მის შემბედვარეს  
რალაც სამწუხარო ფიქრები უფუსფუსებს  
თავში: შიში, მწუხარება გულის ტკივილი  
—ამას მეტყველებს მისი სახე.

შემოდინ წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი წ ი ნ მ ო-  
უძღვის უ შ უ ყ - ე ე ი ზ რ ი, ბინდია და  
შემდეგ ლ უ კ ლ უ კ ა. შემოსვლისას ყვე-  
ლანი პირ-ქვე ემხობიან. გაისმის საერთო:

**ყველანი.**— „სალამი მთავარს!“

(მთავარი წამოდგება, ხელს მაღლა აიშ-  
ვევს):

**მთავარი.**— „სალამი თქვენდა. ადექით!“

(ყველანი წაპოი შლებიან. კიდევ გაისმის):

**ყველანი.**— „სალამი ჩვენს მზეს!“

(უშუყ-ვეზირი და ერთ-ერთი მსცრვანთა-  
განი მიეღწნენ მთავართან, იქით-აქეთ  
მკლავებში ხელს ჰკიდებენ და მიჰყავთ დი-  
დის ტახტისაკენ. მათ მისდევენ სურათა-  
და ნაზი-ბროლა, მათ შემდეგ შიმუნვარე-  
ბი. მთავარი დაჯდება თუ არა, ბალდა-  
ხინი განათდება და უცხო სინათლეს მოჰ-

ფენს იკაურობას. წარჩინებულნი დინჯათ ჩამორიგდებიან იქით-აქით გვერდების ჩამოსაჯდომებზე. სურათა და ნაზი-ბრლა იქით-აქით ტახტის საფეხურზე ჩამოჯდებიან. სხვები ჯერ კიდევ დგანან).

**ყველანი.** გამარჯვება მთავარს!

**მთავარი.** თქვენიც გამარჯვება!

(ყველანი დასხდებიან. კარის კაცნი სამსხვერპლოზე გააღვიებენ ნაკვერჩხალს და სურნელოვან ნივთიერებას აყრიან).

უშუყ-ვეზირო! აბა მოგვახსენე მიმდინარე საქმეები.

**უშუყ-ვეზ.** (წაოდგება) დღეს, მეუფეო, ორი რამ საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი: ერთი მთავრის ასულის ნაზი-ბროლას გათხოვების შესახებ და მეორე ბედის მკედელთა მიერ შემოტანილი წინადადება — მზის ჩამოშვებისა და თალის გახსნის თაობაზე.

(მოთათბირებში ნელა გაისმის დრტუნვისა და დაკინვის ხმები).

**მთავარი.** აბა, რას იტყვით, დიდებულნო?

(სიჩუმეა)

აბა, ვის რა გაქვთ სათქმელი?

(ყველანი შეინძრევიან. მაგრამ ამ დროს წაშოდგება სურათა, ჩამოვა ტახტის საფეხურიდან და დადგება მთავრის წინ, მაყურებლებზე ხურგ-შეკცევით)

**სურათა:** მომეცინება, დიღო მთავარო, რომ მე, ქალმა, ჩემი სუსტის კკუით მოგცე რამ რჩევა...

(მთავარი უკმაყოფილოთ არის, მაგრამ პინც თანხმობის ნიშნით ხელს დაუქნევს)

მე მხოლოდ ის მინდა მოგახსენოთ, დიღო მთავარო, და თქვენ, წარჩინებულნო, რომ დღეს თქვენ ისეთი საკითხები გაქვთ გადასაწყვეტი, რომლებიც დიდს მოფიქრებასა და დაკვირვებას მოითხოვს. მარხალია, ერთის შეხედვით ნაზი-ბროლას გათხოვება ეს კერძო საქმეა, მაგრამ, თუ კარგა ჩაფუკვირდებით მას, დიდი და ღრმა სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. მე უფრო მცხოვანებს მივმართავ. ყველაზე უკეთ იმათ იციან გამოცდილებით, რომ სახელმწიფოებში კეთილი განწყობილება კეთილ-დღეობაა იმავე სახელმწიფოებისა; რომ მშვიდობიანი და მოყვრული დამოკიდებულება ერთი მეორეში დიდი ძალაა და

ამით ვითარდება მშვიდობიანი წინ-სვლა ხალხისა. მსკოვანებმა ეს ყველამ მით უფრო კარგათ იციან, რომ მათ ახსოვთ წარსულნი დრონი, როდესაც მზიან ქვეყნებთან ჩვენი მღვიმის სამთავროს ომი და ცილობა ჰქონია. მართალია, ჩვენი სამთავრო, ჩვენდა სანუგეშოთ და ხალხის საკეთილდღეოთ, უფრო ხშირათ გამარჯვებული გამოსულა და ამითი მოუპოვებია ის საპატიო ზავი და გავლენა, რომელიც ეხლა მასა აქვს სხვა მზიან ქვეყნების სახელმწიფოებში, მაგრამ სამაგიეროთ ეს გამარჯვება მას არ დასჯდომია იაფათ. ბევრი ხორციელი და ნივთიერი ღონე ქვეყნისა მას გადალევია. ამისათვის მე ვფიქრობ, რა კი დღეს ჩვენ შემთხვევა გვეძლევა, რომ ნაზი-ბროლას მითხოვებით დავუმოყვრდეთ ერთს ფრიად ძლიერსა და თვალსაჩინო სახელმწიფოს მეთაურს მზიან ქვეყნისას, ეს შემთხვევა არამც და არამც არ უნდა გაუშვათ ხელიდან. მით უფრო, რომ ჩვენს ქვეყანას, კარგათ ვიცით, თუ რამდენათ სჭირდება ამ სახელმწიფოს დახმარება. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ. რომ იქიდან მოგვაქვს ჩვენ ყოველივე რაც საჭიროა — საქმელ-სასმელი, შესამოსი და სხვა საჭირო მოკაზმულობა. ჩვენ ხომ არა გვაქვს ჩვენსავე ქვეყანაში არც ერთი მაგის წყარო. ჩვენ მხოლოდ გვაქვს საშინელი სიმდიდრე — ძვირფასი თვლები და ამას მათ ვაწოდებთ მზიან ქვეყნელებს. მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ ჩვენის მოყვარე და კეთილ-განწყობილ სახელმწიფოდან რამდენათ მეტათ შეგვიძლიან ვისარგებლოთ. რამდენი უფრო იოლი და იაფი დაგვიჯდება. იქაური საქონელი. ახლა თვით პირადათ ნაზი-ბროლას ბედს შევეხვით.

(ნაზი-ბროლა წამოდგება და უნდა რალაცა სთქვას, მაგრამ მთავარი ანუ შვილებს)

**სურათა.** (ნაზი-ბროლას) დიად, მე მინდა ვილაპარაკო მაგაზედაც მართალია რომ სახელმწიფოს და თავის ქვეყნის კეთილდღეობას კაცმა პირადი სარგებლობა და ბედნიერებაც უნდა შესწიროს, თუნდა მას უბედურებაც მოელოდეს, მაგრამ სწორეთ აქ ის არის ერთი საუკეთესო მხარე საქმისა, რომ ჩვენს სათაყვანო მთავრის ასულს, ნაზი-ბროლას...

**ნაზი-ბროლა.** (ველარ ითმენს) დამიხსენით თქვენი ქებისაგან მაინც...

**მთავარი.** (ღმობიერათ. საყვედურით) ნაზი-ბროლა, ნუ აწყვეტინებ.

(უფრო ჩუმად)

მე დაპაცალე!

**სურათა.** (განაგრძობს) დიად, ის არის საამური, რომ თვით ნაზი-ბროლას მშვენიერი ბედი ხვდა წილათ: დიდებული და ძლიერი სახელმწიფო, თვით საქმროც — კაცი სრული ადამიანი, როგორც ვონებით, ეგრე სხეულით. მაშასადამე საყოყმანო აქ არა არის-რა. ჩემი აზრია, დიდებულნო, დავიბაროთ მოციქულები და ჩვენი სახეიმო თანხმობა გადავცეთ მათ.

**რამოდენიმე.**

ქება დედოფალს!  
ვაშა, ვაშა!  
მშვენიერია!

**სურათა.** (ხელით ანიშნებს, როჲ შეჩერდნენ) რაც შეეხება მეორე საკითხავსა, — თალის გარღვევას, ეგ თითქო. დიდი საკითხავია, მაგრამ მე მაგას მხოლოდ ფუქ-ოცნებას ვუწოდებ, რომელზედაც არც ღირს თავის შეწუხება.

(გაისმის ირონიული სიცილი იქა-აქა).

**ნაზი-ბროლა.** ეხლა მეც გეტყვიტ...

**უშუყ-ვეზ.** (აწყვეტინებს) მთავრის ასულა! მე მიწოდს ჩემი თანამდებობა შეგაჩეროთ. ჩვენის მტკიცე და შეურყეველ ჩვეულებებისა და კანონის ძალით სახელმწიფო თათბირის დროსა ქალთავანს მხოლოდ დედოფალს აქვს ნება. ისიც მთავრის დასტურით, ილაპარაკოს!..

**სურათა.** მთავარო, მოიწოდე მოციქულები!

**რამოდენიმე.** მოიწოდე, მოიწოდე!

**ნაზი-ბროლა.** შეჩერდით ერთი!

(დაჩუმდებიან)

როგორ თუ არ მაქვს ნება ლაპარაკისა! ნება არა მაქვს ვთქვა რამ, როდესაც ჩემი ბედი და უბედობა წყდება. სად გაგიგონიათ ესეთი კანონი, რომელ ტლანქ ქალაღზე სწერია? თვით დამნაშავეებსაც კი, რომელთაც სიკვდილით დასჯა აქვთ გადაწყვეტილი, მათაც უსმენენ უკანასკნელ ჟამს და მეც ხომ ეხლა...

(მწარე ღიმილით)

დასასჯელათ განმზადილი ვარ. თქვენ გინდათ დაიბაროთ მოციქულები და, როგორც რამ ნიეთი, გადამცეთ მათ. არ ეკითხებით ჩემს სულსა და გულს? ხომ კაცი ვარ მეც, ხომ ვგრძნობ და ვცოცხლებ, ხომ მეცა მაქვს ჩემი სურვილები, აზრი და მისწრაფება?! მერე განა ამას ანგარიში არ უნდა გავუწიროთ?! ბარბაროსები ხომ არა ვართ, ველური ხალხი?! აკი დიდათ თავი მოგვაქვს ხოლმე ჩვენის განათლებით, ჩვენის მოწინავეობით. აკი დიდათ ვამაყობთ, რომ ეს მღვიმე, თუმც ბნელი და უმზეო, მაგრამ ესე ხელოვნურათ ჩვენ აღვაგეთო, ჩვენმა ამაყმა და ზვიადმა ჰენიამ შექმნაო! აბა, ჰკითხეთ ქურუმთ-ქურუმს. ის იმ ხავსითაც კი ამაყოფს ჩვენს თალებს რომ გარ-შემო ავლია—ეგ არის ჩვენი სიმტკიცე, ეგ არის სიმბოლო ჩვენი სახელმწიფოსიო, მაგითია მტკიცე და შეურყეველი ჩვენი კედ-ლებიო! და თუ ესეა, თუ მართლა ესეთი დიდებული და მოწინავე ხალხი ვართ, საიდან შეეკმენით ის კანონი, რომ კაცის გრძნობა-გონება თავისუფალი არ იყოს. არა, ეაშა-კაცნო, მე ვგმობ ესეთ კანონს!

(დრტინვა, გაკვირვება და ზოგან გაუბე-  
დავი მოწონების ხმა)

ვგმობ ყველა ესეთ, ადამიანის თავისუფლების შემზუთველ, კანონებს, ვგმობ მათ შემდგენელებს, ვგმობ მათ ხელის შემწყობლებსა!

სურათა. დიდა მთავარო, ეს მეტის მეტია!

რამოდენიმე. { კანონს უარ-ყოფს!  
მთავრის ასულო!  
რას შევესწართ!

ნაზი-ბროლა. შეჩერდით! მე ყოველივე მინდა გითხრათ.

(გაჩუმდებიან)

რალა დაეზოგო! სულ ერთია, ხომ გგონიათ, რომ უკანონობა ჩავიდინე, ჩემს ადამიანურს უფლებებზე რომ ვლაპარაკობდე, თუ დასჯა მელის, გეტყვით ყველას.

(მთავარი შეწუხებულია, თუმც ეტყობა, რომ ნაზი-ბროლას ესეთი აღფრთოვანება უხარია)

ბინდია. დიდა მთავარო!

(ნაზი-ბროლას უნდოდა განეგრძო და შეჩერდება)

მომიტევოს მთავრის ასულმა, რომ ვაწყვეტილებ. ჰე მინდა მოგახსენოთ, რომ არც ერთ ასე სამძიმო კითხვის დროს ქურუმთ-ქურუმი არ დაგვკლებია და ეხლა იმდენი მინც მოვი-თმინოთ, რომ იგი მოვიდეს. აკი, ვიცი. მობრძანდებოდა.

(შორიდან გალობის ხმა)

**უშუყ-ვეზ.** დიად, წელან მივილე ცნობა, რომ თვის სამყოფელიდან გამოემართა. აი, გალობის ხმა მოისმის. ეტყობა ახლოს არის.

**მთავარი.** დაიცადე, ნაზი-ბროლა! მე გაძლევ სიტყვის ნებას, მაგრამ ქურუმთ-ქურუმს კი დავუცადლოთ.

**ნაზი-ბროლა.** გემორჩილები, მაგრამ სულ ერთია, რაც მაქვს სათქმელი თვით უზენაესთანაც ვიტყვი თამამათ.

(გალობა ახლოვდება. ყველანი წამოიშლებიან. შემოსავლისაკენ წავლენ ქურუმთ-ქურუმის მისაგებებლათ: უშუყ-ვეზირი და ბინდია. პაუზა. შემოდინან ფართო, ფეხებიან საკაცეთა, რომელიც ხავსითა და ოქრო-ქსოვილით არის მორთული. ოთხი ვაჟი-კაცი, უბრალთ, მაგრამ მოხდენილათ ჩაცმულნი. მათ მოუძღვისთ, ზურგით მაყურებლისაკენ ოთხი ახალგაზდა ქალი, თერთათ გამოწყობილი. რომლებთაც საკმევი ქურქელი უკავიათ და სურნელებას უკმევენ ქურუმთ-ქურუმს. საკაცეხე კიდევ ოქრო-ქსოვილით და ხავსით შეფუთული სავარძელი დგას, რომელშიაც ზის ქურუმთ-ქურუმი სულ მწვანით მოსული; სახეც და თმაც მწვანე აქვს. მოხუცია—დარბაისლური მიხვრა-მოხვრა; გამოშეტყველება თეადური, სასტიკი. მის შემოსვლაზე მთავარი ჩამოდის ტახტიდან ქურუმთ-ქურუმის მისაგებებლათ. ქურუმთ-ქურუმს სანახაობის შუაზე გამოიყვანენ. მთავარი თავს დაჰხრის. ქურუმთ-ქურუმი აკურთხებს. ქალები გალობენ:

„მადლი შეგქმნელს, მადლი მის ძალს!

შორს ყოველი მვენე, ნავსი!

სიმტკიცე, თალს, მის მყარ კედლებს—

ამაგრებს მას ხავსი, ხავსი!

შორს ჩვენგან მზე უსირცხვილო  
 ამ ლითონების დამმავსი!  
 გვქონდეს ჩვენ ეს ნელი შუქი  
 და გარშემო—ხავსი, ხავსი“!...

(მთავარი ისევ ტახტზე ავა. საკაცეს თვალ-  
 საჩინო ალაგას დასდგმენ. მთავარი ფეხ-  
 ზეა. ქალები თავ დახრილი დგანან. მკმე-  
 ველნი უკმევენ. სხეები პირ ქვე ემხოზიან.  
 გალობის დასრულების შემდეგ.)

**ქურუმთ-ქურუმი.** კურთხევა თქვენდა! აბრძანდით, დიდე-  
 ბულნო!

(წამოიშლებიან)

ჩემო გაზრდილო! შენს სამსახურათ მზათა ვარ.

**მთავარი.** (დაჯდება. უჩვენებს რომ დაჯდეს) დაისვენე, ქურუმთ-  
 ქურუმი!

**ქურუმთ-ქურუმი.** (ბოროტათ გაიცინებს. მიიმეტ ჯდება) ჰა... ჩემი  
 დასვენება დიდი ხანია უნდა ზოგ-ზოგს, მაგრამ უზენაესი ჯერ  
 კიდევ მომიწოდს მე ვიყვე მწყემსათ ამ საარაკო მღვიმისა.

(ამოიხრებს)

თუმცა ჩემი ძვლები დიდი ხანია მართლაც თხოულობენ  
 დასვენებასა, დაბერდენ ისინი, დაუძღურდენ, მაგრამ სული,  
 სული არ დაუძღურებულა! იგი ისევ მზათ არის ჩემი საყვა-  
 რელი სამშობლოსი და შენი, ჩემო გაზრდილო, სამსახურისა-  
 თვის. მხოლოდ ხრწნილად ხორცს ამაგრებს ეს ხავსი საუკუ-  
 ნოებით შეძენილი. ო, ხავსი, ხავსი! იყოს კურთხეულ!

**დიდებულნი-უმრავ.** იყოს კურთხეულ!

(პაუზა)

**ქურუმთ-ქურუმი.** ეხლა რას მეტყვით? იწყეთ თათბირი?  
**უშუყ-ვეზ.** (მოკრძალებით) ეს-ეს არის მხოლოდ გაიხსნა!  
**ქურუმთ-ქურუმი.** აა!

(ამოიხრებს)

ესეა. ძვალთ სიუძღურე ზოგს გონებისაც ჰგონია!... იყო  
 დრო, უჩემოთ არ იწყებდენ სახელმწიფო თათბირს.

**უშუყ-ვეზ.** (შემკრთალია)

ჩვენც დაგიცადეთ, უცოდველო!

**ქურუმთ-ქურუმი.** (გამომცდელის თვალთ მისჩერებია უშუყ-ვეზირს)  
რაათა კრთი, უშუყ?!

(გესლიანათ)

მე არ გიწყრები! პირველ ვეზირს შესაკრთომი არა უნდა.  
ჰქონდეს-რა...

(მნიშვნელობიანათ თავს ჩაიქნევს)

არც მე მგონია... ჰო, საგნები სათათბირო!

**უშუყ-ვეზირი.** (ქურუმთ-ქურუმის შენიშენახე თითქო მოლად ჩაძვრაო.  
თავის თავში მიკნავებულის ხმით)

სათათბირო საგნები გახლავთ, უცოდველო...

**ქურუთ-ქურუმი.** (თითქო რამემ დაიგრგვინაო)

არ მომწონს ეგ კილო, უშუყ!.. შიგ სიბრუნდია.

(საერთო მდგომარეობა ისეთია თითქა  
რალასაც საშინელს და თან მეტათ საგუ-  
ლისხმოს გამოელღიანო. ბევრს მოთათბი-  
რებებში სახეზე ბოროტი ღიმილი დაჰქრის)

**უშუყ-ვეზირი.** (მოლად დაიკარგა)

უცოდველო... ამ ბოლოს დროს ისეთმა... სიომ დაჰბერა,  
რომ... აი, თუნდა დღევანდელი საკითხებიც...

**ქურუმთ-ქურუმი.** (სიტყვას ჩამოართმევს)

ვერ შეიქმენი გუნებაზე?! ჰმ!.. მეც ვხედავ, რომ ქარის შე-  
მოსასვლელი ხერელები ცუდათა გაქვს დაცული... სამწუხა-  
როც ეგ არის!...

**უშუყ-ვეზირი.** უცოდველო! მაგას უნდა შენისთანა ძლიერი  
და ხელოვანი ხელი ..

**ქურუმთ-ქურუმი.** არა, უშუყ! ვისაც პირველი ბურჯობა  
უნდა... ხედავ ამ საშინელ თაღებს?..

**უშუყ-ვეზირი.** ყველა ხომ შენის...

**ქურუმთ-ქურუმი.** კმარა! დრო მიდის. სათათბირო საგნები!

**უშუყ-ვეზირი.** მთავრის ასულის ნაზი-ბროლას გათხოვება და  
თალის გარღვევა.

**ქურუმთ-ქურუმი.** ჰმ... თალის გარღვევა! რა ადვილი ნა-  
თქვამია! მერე ვინ აპირებს ამას? ვისი აზრია?

იციო რა გითხრათ? არ მომწონს მე ეს ამბები?... ჩემო გაზრდილო, დიდათ ვწუხვარ, რომ ჩემი წმინდა მოვალეობის გამო უნდა გისაყვედურო. შენი ბრალია. შენ აძლევ ნებას ვილაც არა მკითხვე მოამბეებს ზღაპრული რამ და მაშასადამე ბავშური წინადადება შემოიტანოს სათათბიროში. როგორ იქმნება! გულკეთილობა კარგი სამკაულია, მეტადრე დიდკაცებისთვის, მაგრამ მაგასაც საზღვარი უნდა ჰქონდეს. გულკეთილობას არ უნდა გადაყოლო საერთო კეთილდღეობა. სწორეთ ამიტომაც არის, რომ სახელმწიფოს უფროსობა, ერის მამობა დიდი საპასუხისმგებლოა; დიდი სიღინჯე და გულ-გრილობა ჰმართებს ხალხის უფროსსა. თუ ერთიც არის გრძნობას აძყვა, სასწორი მეტათ გადაიხრება რომელიმე ცალი-მხრისაკენ და გამგებელი კი—ცალ-მხრივი თავის დღეში არ უნდა იყოს. როს ბავში იყავ, ჩემო გაზრდილო, გასწავლიდი ამას, მაგრამ თან-დაყოლილმა გულ-კეთილობამ მაინც დაგძლია. ხედავ სანამდის მოვალწიეთ!.. აი, გუშინ მე გავიგე კიდეც, რომ ქორწინების თავისუფლება გადაგიწყვეტიათ... მერე იცი, ჩემო გაზრდილო, რა საშინელი, სახიფათო ნაბიჯი გადაგიდგამს! ამ თავისუფლებით ცუდათ ისარგებლებენ: აღარ იქმნება ნამდვილი შეუღლება, ცოლ-ქმრობა... დამყარდება მხოლოდ წუთიერი გულის თქმა და, მაშასადამე, აღარ იქმნება მტკიცე და მკვიდრი ოჯახიც, შეირყევა მისი წმინდა და სპეტაკი საფუძველი. და თუ შეირყა ოჯახის კერა, მაშინ შეირყევა სახელმწიფოც. აი, სადამდის მივალწიეთ! მე არა ვარ თანახმა! მე ვაცხადებ ჩემს გულის წყრომას...

**ჩამოდენიზე მცხოვანი.** მართალი ხარ, უცოდველო!

**ქურუმთ-ქურუმი.** შენ განა იცი, ჩემო გაზრდილო, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილთა ჩამდენი ძალა და ღონეა შიგ ჩაღეული ჩვენს კანონებში? ისინი დიდის დაკვირვებისა და ცხოვრების გამოცდილების ნაყოფია. ასეთი მათი წარა-მარა გადასროლა შეუძლებელია...

**ნაზი-ბროლა.** კი მაგრამ ეხლა ცხოვრებამ სულ სხვა საკითხები წამოაყენა და ჩვენც მისი შესაფერისი კანონები გვინდა!..

(გაისმის დრტინვა. ქურუმთ-ქურუმი ერთს გაკვირვებითა და სასტიკათ გადა-

ხედავს, მაგრამ მაინც თავისას განაგრძობს).

**ქურუმთ-ქურუმი.** შენ განა იცი, ჩემო გაზრდილო, როგორ არის შექმნილი ეს სახელმწიფო, ეს ჩვენი მღვიმე, ეს საარაკო ზღაპრული მხარე? სწორეთ ეგ არის ჩვენი დასაქადნი, რომ ესოდენ ხანი ასე წმინდათ და სპეტაკათ შემოვიინახეთ ჩვენი თავისებურობა, ჩვენი ზნეობის სისპეტაკე. ჩვენში არ ხდება ის გონებითი და ზნეობითი სითახსირე, რაც სხვა, მზიან ქვეყნებში! მიტომაც არის. რომ ჩვენ ეგეთი განსაკუთრებული ალაგი გვიქირავს მსოფლიოში. ჩვენ სულ სხვა მოწოდება გვაქვს. ჩვენში თითქო ბნელა, მაგრამ, აბა, რასჯობია ამ ლითონების ნაზსა და წარმტაც შუქს! ასეთ ნელ სინათლეში აღმოცენებული, მკვიდრი ხასიათი კი მათაც უნდა გადავდოთ. აი რა არის ჩვენი სახელმწიფოს მიზანი! ესენი კი აქ თალის გარღვევას ლამიან! მერე იცით ამითი რა მოხდება? თალის გარღვევას მოჰყვება თვით შენი ტახტის დანგრევაც...

(დრტინევა ძლიერი).

ო, მე ამას კარგათ ვხედავ! ნეტა ყველა ჩემსავით ცხადათ იხედებოდეთ! მერე, ჩემო გაზრდილო, შენ იცი შენი მოვალეობა? შენ თვით ღმერთებმა დაგაეალეს, რომ შეასრულო ის ღიადი მოწოდება, როგორც უფროსმა და გამგემ ხალხისამ, რომელიც თვით განგებისაგან აქვს დანიშნული ჩვენს სახელმწიფოს. შენ კი... ნებას აძლევ — გაგიბედონ და თალის გარღვევაზე სიტყვა შემოგაკადრონ... მაგრამ ეს სულ ჩვენმა გულთა-მხილავებმა, მზის მაძებრებმა გვიქმნეს. შენი ბრალია! შენ ისე გაგიტაცა მაგალითად ზენისის ნაწარმოებმა, რომ... სად არის, ზენის?

**ნაზი-ბროლა.** ის აქ არ გახლავს...

(მნიშვნელობით)

**ქურუმთ-ქურუმი!**

**ქურუმთ-ქურუმი.** (მიხვდა დაცინებას. მაგრამ არ შეიძინა, შეიცვლის კი-ლოს, უფრო ღმობიერათ, მოთათბირებებს)

აი კაცი! კაცი მაღალის გონებითა და ნიქით მოსილი!... ეგ შორს მიისწრაფვის!.. მაგისი აზრები მთელი მოძღვრებაა,

რომელზედაც ერთ დროს უნდა გაიაროს მთელმა კაცობრიობამ... ამ მოძღვრების თვითონ მეცა ვარ ერთი მოწაფე, მაგრამ ეგ ისე შორია... ისე შორი ჩვენგან, როგორათაც ჩვენ წინაპართაგან შექმნილი რამე ზღაპარი...

(კარის კაცი შემოდის ცოტა ადრე, ქურუმთ-ქურუმის ლაპარაკის დროს და უშუყ-ვეზირს რაღასაც წასჩურჩულებს. უშუყ-ვეზირი წინ გამოვა და მთავრის წინ დადგება)

**მთავარი.** რა იყო, უშუყ? რა გაქვს სათხოვარი?

**უშუყ-ვეზირი.** დიდო მთავარო, ეს არის ეხლა კაცი გეახლათ, რომ თქვენ მიერ დაბარებული მუშები აქ გხლებიან.

**ქურუმთ-ქურუმი.** (გაოცებული) მუშები? როგორ? აქ? სათათბიროში?

**მთავარი.** დიად, მე დავიბარე.

**ქურუმთ-ქურუმი.** შენ დაიბარე?... მაგას არ იზამ, ჩემო. გაზრდილო! იმათ არ შემოაუშვებ!

**მთავარი.** სიტყვა მივეცი!

**ქურუმთ-ქურუმი.** სიტყვა მიეცი? ეეჰ! აბა, ამას რას შევესწარი? სად გაგონილა, რომ მთავრის თათბირზე მდაბიო მონასნება ჰქონდეს შემოსვლისა.?!  
**მთავარი.** შემოსვლის კი არა, მათ ლაპარაკის ნებაც ექმნებათ.

**ქურუმთ-ქურუმი.** როგორ!? ლაპარაკისაც? სადა ვარ ნეტა? ამას რას ვხედავ!.. დიად, ხავსის ჩუმი შრიალი მესმის!.. რა საზარო ამბავს მომითხრობს!.. მერე, სად ნახე ეს მუშები?

**სურათა.** დღეს დილით გაისეირნა და გზაში ენახა.

**ქურუმთ-ქურუმი.** მერე უშუყი? სად იყო იმ დროს? რათ მიუშვა მუშები?

**უშუყ-ვეზ.** ვერ მოვასწარი, უცოდველო! ჩემს მოსვლამდის ენება გასეირნება.

**ქურუმთ-ქურუმი.** (მრისხანეთ)

უშუყ, გაფრთხილდი! შენ რაღაც მიეჭ-მოეჭობ! ო, რა შეეცდი, რომ შენს ვეზირობაზე დავთანხმდი!

**მთავარი.** შემოვიდნენ.

**უშუყ-ვეზ.** (ოტა დაცინვით) მე მხოლოდ მთავრის ნებას ვასრულებ, უცოდველო!

**ქურუმთ-ქურუმი.** არა, მთავარო, შენ არ შემოაუშვებ მათ! მთავარი. (ყინიანათ, წყენით) სიტყვა მივეცი, შემოაუშვით!

(უშუყ-ვეზირი ანიშნებს.  
კარის კაცი გადის)

**ქურუმთ-ქურუმი.** როგორ, შენც, ჩემო გაზრდილო!?. აღარ მიჯერი?!.

(შემოდის ფიცხელა და კიდევ რამდენიმე მუშა. ეხლა ჩაცმულები არიან)

**ფიცხელა.** (მთავარს) ჩვენ მოვედით. მხოლოდ ერთი პირობა: არც ერთს ჩვენგანს არ შეეხონ. შენ მოითხოვე—ჩვენც ვიტყვი ჩვენსას. მხოლოდ ხელუხლებელი უნდა ვიყვეთ ყველა ჩვენგანი.

**მთავარი.** მე ვარ თავდები.

**ქურუმთ-ქურუმი.** არა, ეს სიზმარია! თვალს არ ეუჯერებ... (მუშებს)

რა გინდათ თქვენ აქ? რათ აწუხებთ ჩვენს კეთილ მთავარს? რა გაქვთ სათხოვარი?

**ფიცხელა.** ჩვენ არ ვაწუხებთ. ჩვენ არც არა გვინდა რა თქვენგან. არც არაფერი გვაქვს სათხოვარი. მხოლოდ თვით დაგვიბარა და მითხრა პირადათ მე აქ წარმომეთქვა ყოველივე, რასაც ვგრძნობთ მუშები, რაც გვიქირს ჩვენა და რაც გვინდა მომავლისათვის!

**ქურუმთ-ქურუმი.** ხედავთ, რა ამაყები ყოფილან!— სათხოვარი არა გვაქვს-რაო! კარგი. მაშ, ეგ თქვენ გინდათ თალის გარღვევა?

**ფიცხელა.** დიად, ჩვენ.

**ქურუმთ-ქურუმი.** ჰა, ჰა, ჰა!.. რა დიდებული აზრი მოგსვლიათ! მერე, იცით რას ჩადით მაგითი?!. ან რას შეიძენთ, ან რას იკლებთ?.. ეს სულ ატაცებულ ოცნების ნაყოფია, სხვა არაფერი! აბა, დახედეთ, რა გაკლიათ?!

**ფიცხელა.** ჰმ, რა გვაკლია?!—პირველი მზე... ;

**უშუყ-ვეზ.** (მუშებს) დააცადეთ.

**ქურუმთ-ქურუმი.** ჰო, მზე. მართალია, მზე გაკლიათ. მაგ-

რამ იცით, რატომ არა გაქვთ ჯერ მზე? იცით, როგორ ხელ-  
ენურათ არის გაკეთებული ჩვენი მღვიმე და რატომ არის  
ეგრე?

**ფიცხელა.** ვიცით. ხავსისაგან შემდგარია მისი კედლები...  
მისგან არის შეკაწიწებული.

**ქურუმთ-ქურუმი.** (სასტიკათ) ნუ გმობ, მდაბიო მონავ, ხავს...  
ხავსი სიმბოლოა ესე ბრძნულათ შექმნილის სახელმწიფოსი...

**რამოდენიმე მსცოვანი.** კურთხეულ იყოს!..

**ქურუმთ-ქურუმი.** (უფრო მშვიდათ) მზე კი რათ გინდათ? იცით,  
რომ შეუჩვეველ სხეულს მყის დახრუკავს მისი მცხინვარება!..  
აბა, ვინ იტყვის, რომ მზე დიდებული მანათობელი არ იყოს,  
ვინ იტყვის, რომ ერთ დროს ჩვენც არ დაგვექირდება მისი სი-  
ნათლე!.. ეს თვით საქურუმო წიგნში გვიწერია! მზე უნდა  
ჩამოაშვებთ ერთ დროს. მე თვით ვემსახურებოდი ესოდენ ხა-  
ნი ამ მისწრაფებას...

**მუშები.** ტყუილია! ნუ პირმოთნეობ!

**ქურუმთ-ქურუმი.** (დაიგრავინებს) ვინ ბედავს ჩემს შეურაცყო-  
ფას! როგორ არ იცით, რომ მე მალლა ვდგევარ. მე თუ ტა-  
ლახს მესვრიან, მე კი არ მომხვდება, თვით დაეცემა ტალა-  
ხის მსროლელს... ვინ ბედავს ექვი შემოიტანოს, რომ ჩეპი  
ქვეყანა მე არ მიყვარდა... მე მას შევეწირე საუკეთესო ჩემი  
ძალა, აღფრთოვანება. ვიმეორებ მზე უნდა იქნეს მეთქი, მაგ-  
რამ ერთათ კი არა; თორემ იგი დაგვაბრძავებს თვის სიბრწყინ-  
ვალით. მე მაქვს შედგენილი მშვენიერი გეგმა. იქ გამოანგა-  
რიშებულია თუ სად და როგორ უნდა იქმნეს გამოქრილი  
თალი. როგორ თანდათან უნდა მოგვეფინოს მისი ნათელი.  
მაგრამ ამას დრო უნდა და გვაცალეთ ჩვენ. ჩვენ ვზრუნავთ  
მაგისათვის და თავის დროზე მზეც მოგვეცემათ.

**ფიცხელა:** არ გვინდა თქვენი ზრუნვა. აღარ გვინდა ჩვენ  
მზრუნველები და გამძლეები. ჩვენ თვით ვიცით, რაც მოგვიხ-  
დება. მზის მცხუნვარების ჩვენ არ გვეშინია. ჩვენ არ დაგვ-  
წევას მისი სხივი. ეშინოდეთ მხოლოდ იმ ქვემძრომებს, რომ-  
ლებიც ხავსში ეხვევიან...

**ქურუმთ-ქურუმი.** (აღელდება. შფითავს) ო, თავხედობა!

**ჩამდენიმე მსცოვანი.** გააგდეთ, გააგდეთ!  
**მუშები.** დააცალეთ, გაათავოს.

(საერთო ზრიალი)

**ფიცხელა.** ეშინოდეთ მხოლოდ მათ, ვისაც ჩაბნელებული აქვს, ჩვენ მღვიმესათვით, თვისი საქმეები. ჩვენ არ გვეშინია სინათლის. ჩვენ პირ-იქით გვინდა მზე, მზე ცხოველი, რომ მართლებსა და დაჩაგრულებს გაგვინათოს გზა ცხოვრებისა, უსამართლოთა და დამჩაგრელებს მართლაც მიაყენოს თავისი უწყალო მცხინვარება. ჩვენ არ მოვტყუვდებით იმ გეგმებით, რომელსაც გვაწვდიან: აქა და აქ ფანჯრები იქმნებაო, ამდენსა და ამდენს მისხალ სხივს ჩამოუშვებთო. ჩვენ არ გვინდა მისხლობით, ჩვენ მეწვრილმანები არა ვართ. ან მთლად, ან სულ არა. მაშ, ძირს, ვინც ასეთ გეგმებს გვაწვდის, ძირს ამ კედლების ხავსი, ძირს ხავსიანები!..

**მუშები.** ძირს, ძირს!

**ერთ-ერთი მსცოვანთაგანი.** ჩუმათ, გაჩუმიდით! გაუმარჯოს ქურუმთ-ქურუმს!

**სხვა მსცოვანებიც.** გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

**ქურუმთ-ქურუმი.** (მეტისმეტი აღშფოთებულია. დგება სავარძლიდან და ფეხით მიდის გასასვლელისაკენ) არა, მე აქ აღარ დამედგომება!

**მუშები.** (უსტვენენ) ძირს, ძირს! აღარ გვინდისხარ! შორს ჩვენგან!

**მეორე მხარე.** ნუ ღრიალებთ! ჩუმათ! გაჩუმიდით!

(არეულობა. მიიწვევიან ერთი ჰეორეზე. ქურუმთ-ქურუმი გაიპარება უამალოთ. ყველანი ფეხზე არიან. შთავარიც ტახტიდან წამოდგება).

**მთავარი.** გაჩერდით ერთი, გაჩერდით-მეთქი!

(წყნარდებიან)

როგორ არ გრცხვენისთ? აბა, რა გაქვთ ასაშფოთებელი?

**ბინდია.** მან შეურაცხყო თვით უცოდველიც. ძირს ეგენი!

**მუშები.** სსს!

**მეორე მხარე.** ძირს!

**მთავარი.** გაჩუმიდით!... ღმერთებო, ნუ თუ არ შეიძლება ისე მოვიქცეთ, რომ ორივე მხარე კმაყოფილი იყვეს. მაგათ უნდა მზე ჩამოუშვან? დაე! ჩვენ ამითი რა გვიშავდება?! სა-

ჩხუბარი, აბა, აქ რა არის! ყველანი დავმშვიდდეთ, ყველანი დავწყნარდეთ, გავარღვიოთ თალი და ჩამოვუშვათ ეს მზე.

**ზოგი მუშა.** ოჰ, შენი ქირიმე!

**ფიცხელა.** (სასტიკათ გადახედავს)

ჩუმათ!.. მთავარო, ექვს გარეშეა, რომ კეთილი კაცი ხარ, მაგრამ მარტო კეთილი სურვილებით არა იქმნება-რა.

**მეორე მხარე.** ძირს, ძირს!

**მთავარი.** შეჩერდით! არ მოგწონთ ჩემი აზრიც... •

(გრემლები ვრევა)

ჰოი, ღმერთებო! რათ არ ძალ-მიძს, რომ ორივე მხარე ერთათ დავაკმაყოფილო და ყველანი კი ბედნიერნი იყვენ...

(ტირის)

აბა, რათ გინდათ ეს ჩხუბი და ერთი მეორის სიძულვილი...

აბა, სადაური მთავარი ვარ! რა შემიძლია! მე ცალკე ვარ, ცხოვრება ცალკე!

(ტირის. პაუზა. ყველა მოკრძალებითაა თავს აიღებს).

**კარგი.** თალის შესახებ საკითხავი გადამიღვია.

**მეორე მხარე.** (სახე გაუბრწყინდებათ) ვაშა, ვაშა ბრძენ მთავარს.

**ფიცხელა.** ჩვენ სხვას არც არაფერს მოველოდით. როდის უოფილა, რომ თავისით სინათლე ჩამოეშვათ! წავიდეთ, ამხანაგებო, ისევ ჩვენ და ჩვენი მარჯვენა!

(ზრილით გადიან)

**მთავარი.** (ჩამოვა ტახტიდან. შეხედავს ნაზი-ბროლას, ტირილი წასკდება და მოხევევა) ნაზი-ბროლა, ჩემო პატარა! შენ არ გათქმევენეთ... მაგრამ საქირო არ არის!

(მოთათბირებს)

ვაცხადებ საყოველთაოთ, რომ ჩემის ნებართვით ჩემი დაა ნაზი-ბროლა მიჰყვება ცოლათ დიად მგოსანს ზენისსა.

(ნაზი-ბროლა გახარებული ეხევა. სურათა აღლუვებული დგას, თვლებს აელვარებს. ყველანი არეულნი არიან. სურათი).

### ნაწილი მესამე.

სანახავი პირველ მოქმედებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოედანი სრულიად განათებულია, რადგან თალი უკვე გაურღვევიათ. მანათობელი ლითონები ყველგან ჩამომსხვრეულია. ტბის ოდრიკალი და ჩამოსაჯდომებიც მიმტერეულ-მომტერეული. საზოგადოთ ეტყობა, რომ ამ ალაგას დიდი შეტაკება მომხდარა. ისმის შორიდან ყრუ ხმა წერაჭვების რტყმევისა და ადამიანთა ხმაურობა-გუგუნო. მოედანი ცარიელია. შემდეგ ბალხი გამორბის მალაროებიდან.

1-ლი. აკეთ, აკეთ! ხედავთ იქაც ჩამოინგრა!

(გარბის იმ მხრით, საითაც ხმაურობა მოისმის. ხმაურობა ისეთია, თითქო ქვებით დატვირთული ურემი დასცალესო. ის მაღაროც ნათდება.);

2-რე. დაინგრა, დაინგრა სულის შემხუთველი თალი!

(გარბის. კიდევ ისმის რამდენიმე ხმაურობა. თანდათან შემოსასვლელი მაღაროებიც ყოველი მხრით ნათდება. ხალხი გამორბის).

სახიერი. თავისუფალნო, სმენა! აბა, სად გარბიხართ?

(ხალხი შეჩერდება და შეჯგუფდება)

ხომ იცით, რაც მოხდა და რაც ხდება! წადილი შეგვისრულდა, მიზანს მივალწიეთ. ეს დიდებული გრგვინვა ქვებისა ჩვენი თავისუფლების საუკეთესო შემოძახილია, ამ საშინელ ხმაურობაში იქედება ბედი მომავლის თავისუფალის ხალხისა. დიად, დავანგრიეთ ჩვენი სულის შემხუთველი თალი, ინგრევა მისი მყარი ბურჯები და მზე ცხოველ-მყოფელი, მზე ნათელი პირდაპირ და ლალათ ეფინება არე-მარეს.

(ხალხი თანდათან გროვდება)

ამიერიდგან ისპობა ჩვენში სიბნელე და მაშასადამე აქ აღმოცენდება ნამდვილი ცხოვრება. მზე მისთვის გვინდოდა, რომ, რაც გვაკლია ის ყოველივე მოგვნიკებოდა. და, აი, მზე ჩამოვუშვით. მაშასადამე გაიხარებს ჩვენი ბუნება, აღმოცენდებიან მცენარეები, აჩქრიალდებიან წყაროები, ბუნებას გაეხსნება ხშული კარი და იგი თვის უხვ კალთას დაგვაბერტყს ჩვენც. დიად, ჩვენ მივალწიეთ ამ ბედნიერებას. ვინ იცის რამდენათ დაგვიჯდა ჩვენ ამის მიღწევა! რამდენი ტანჯვა, რამდენი ძვირფასი სისხლი დაღვრილა ამ მიზნის მისაღწევათ, ვინ იცის რამდენი დიდებულ ადამიანის სულიერი ძალ-ღონე შექლევია ამ სანატრიონისათვის ბრძოლას, მაგ. ჩვენ შორის ფიცხელამ და მისთანებმა ბრძოლის ველზე დალიეს სული, მაგრამ უამისოთ ხომ არსად არაფერი არ გაკეთებულა. პირიქით მით უფრო.

დასაფასებელი და ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის აღსრულებული საქმე, რომ იგი ჩვენის სისხლით, ჩვენის მარჯვენით არის მოპოვებული. და, აჰა, თავისუფალნო, ეს არის დაგვიდგა დღესპირველი დღე თავისუფლებისა. მაღლობა და ქება მათ საშვილიშვილო, იმ შეუმჩნეველ: მაგრამ შეუდრეკელ გმირებს, ვინაც ეს ნიადაგი გავვიზხადა და გამარჯვება ჩვენ, უკვე თავისუფლებს, გამარჯვება პირველ თავისუფლების დღეს!

**ხალხი.** გამარჯვება! გამარჯვება!

**სახიერი.** მხოლოდ უნდა მოგაგონოთ, თავისუფალნო, რომ ამ თალის დანგრევისთან ერთათ ჩვენ გავანადგურეთ წინანდელი ჩვენი მთავრობაც. როგორც იცით, გუშინ დიდი შეტაკება მოგვიხდა ჩვენა და მთავრობას და ისინი ძლეულ იქმნენ. ღედოფალი მოკლულია. ქურუმთ-ქურუმი ჩამომღვრჩალი უნახავთ თავის საწოლში. მთავარი გაპარულა: ბინდია და ლუკლუკა ახლავს, თურმე. მაგრამ ჩვენ ეს არაფრათაც არ მიგვაჩნია. ჩვენ ეხლა სხვა გვაქვს გამოსაწყობი. ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ გამარჯვება ავალებს!... თავისუფალმა ხალხმა თავისუფლათვე უნდა აირჩიოს თავისი მოქმედი პირები, რომ ვერაფერს მედროვემ ვერ ისარგებლოს ამ შემთხვევით და ხელთ ვერ იგდოს გამგეობა.

(შორიდან მოისმის „გამარჯვოს უშუყვეზირს!“ ყველა იქით მიაყურებს: ხმაურობი მატულობს).

ეს რა ყვირილი მოისმის?

**1-ლი.** უშუყვეზირს ულოცავენ გამარჯვებასა!

**სახიერი.** უშუყვეზირს?

**1-ლი.** დიად. აკი თავისი ხელით დაუკლავს დედოფალი!

**სახიერი.** მერე, რა ვუყოთ! არა, თავისუფალნო, აქ საფრთხეა! დიდი დაკვირვება გვმართებს. სად არის უშუყვი?

**1-ლი.** დილიდანვე ხალხი თან დასდევს და ზემით ეგებება. ეხლაც, იქ გამოჩნდა უთუოთ.

**სახიერი.** წავიდეთ იქით. გავიგოთ რაშიაც არის საქმე. ეხლამაინც არ უნდა მოვტყუვდეთ.

**ყველანი.** არ უნდა მოვტყუვდეთ, არა.

**სახიერი** აბა, გაეწიოთ.

(გადიან ზრიალით. მოედანი კარგა ხანს ცარიელია. შემდეგ შემოდინან ნაზი-ბროლა და მზენათი. ნაზი-ბროლა თეთრათ არის გამოწყობილი და ხელშიაც ნაზი, ჩალის ფერი ლოტოსის ყვავილი უჭირავს.

**ნაზი-ბროლა.** ვერა, მზენათ, ვერა! ჯერ კიდევ ჩვენი გული ნაზ სიმთაგან არის შემდგარი და როგორც ერთი გაწყდება, მყისვე საშინელს კვენასას სულისას გამოსცემს. მეც მეგონა გამოვფოლადდი, გული გამისალკლდედა, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, გონება დავკარგე!.. ჩემს სამყოფში ვიყავ, როდესაც ის საშინელი, გულის შემზარავი ხმაურობა ასტყდა. მაშინვე ვიგრძენ, რომ მთავარს რაღაც უბედურება ეწია. \*ის ხმები კარგს არას მოასწავებდა. გარეთ გამოვეარდი, მინდოდა, რომ ჩემ ძმასთან შეესულვიყავ, ეგების რამეთი დავხმარებოდი, მაგრამ გზა ველარ გაეფანე. ბნელოდა ირგვლივ. მანათობელი ლითონები სულ ჩაემტვრიათ. ჰოი, ლმერთებო, რა საშინელი ჭახა-ჭუხი ისმოდა გარშემო!.. მაინც მივდიოდი, არ ვიცოდი კი სად. ამ დროს რაღაც სინათლე გამოკიაფდა ერთ მალაროდან. აღმასის სანათურებით ჩემსკენ მოდიოდენ. შენიშნეს და შეჩერდენ ჩემთან. შემიცნეს. მეთაურმა ორ კაცს გადამცა. მე. წარმოიდგინე, არ შემშინებია, მხოლოდ იმდენი სულ-მდაბლობა გამოვიჩინე, რომ ჩემი ძმის სიცოცხლე შევთხოვე. გრძნობას ვერ მოვერიე. კარგათ იცი, როგორც მიყვარდა. იმათ მამცნეს, რომ მთავარი, ბინდია და ლუკლუკა გაქცეულიყვენ.— ალარც მივდევეთო, მიპასუხა ერთმა ბრგვე ვაშა-კაცმა. მხეკაბუკი უნდა ყოფილიყო. მე კი მაინც დღევანდლამდე ერთ საპატიო ალაგას მამყოფეს. დღეს კი გამომიშვეს თუ არა, მყის ჩვენს სამყოფელოში ვავეშურე. რა საშინელი სანახავია, მზენათ! თალი პირველათ იქ გაჯნგრევიათ. ყოველივე მიღეწილი, დამტვრეული. ჩვენი ყვავილებიც, ეს უცხო და ეგრე ძნელათ ნაზარდი ყვავილები... ო, როგორ უყვარდა საბრალო ჩემს ძმას!.. ვინ იცის ესლა სად არი?.. მოისვენებს კი მისი ტანჯული გული?!. უთუოთ ისევე ჩვენ ვებრალებით... ნეტა თუ იცის სურათას სიკვდილი? ჩემი სიცოცხლე, როგორ უყვარდა ეგ უღირსი... არც წავიდოდა. ძალით

გაიტაცეს უთუოთ ბინდიამ და ლუკლუკამ .. საბრალო ლუკ-  
ლუკა!—როგორ საცოდავებს გვეძახოდა ყველას!..

(თვალი გაუშტერდება. შეცრათ ყვავილს.  
გადახედავს)

ჰო, ეს ყვავილიც იქ ვიპოვნე. ძირში გადატეხილიყო...

(ეფერება ყვავილს)

იქვე მიწოლილიყო ნაზი ადამიანივით. სახიერება კი შეენა-  
ხა. გულმა ვერ გამიძლო, თან წამოვიღე... სხვები, სულ დაემ-  
ტვრიათ და გაენადგურებინათ იმ ბარბაროსებს...

**მზენათ.** ნაზი-ბროლა! ეგრე გრძნობამ როგორ უნდა გაგი-  
ტაცოს, რომ უწოდო ბარბაროსები ჩვენს განმანთავისუფლებელთ..  
რა ვუყოთ მერმე თუ ყვავილები დაქცნა, თუ ძვირფასი თვლები  
და მორთულობა მიღეწ-მოღეწილია! სამაგიეროთ მთელი ხალ-  
ხი ეწია ბედნიერებას, მთელმა ქვეყანამ თავისუფლათ ამოი-  
სუნთქა. ჩვენ ბუნების წიაღში ძვირფას თვლებს რა დაღვეს,  
რომლებიც მზის შუქზე ერთი ათასათ აელვარდებიან და ვარ-  
დები კი ერთი ათასათ უკეთესი აღმოცენდებიან; უფრო ცოც-  
ხალნი, უფროც მრავალ-ფერი. მაშ, ბარბაროსებს როგორ ეძა-  
ხი განმანთავისუფლებელთ?!

**ნაზი-ბროლა.** ვიცი, ვიცი, მზენათ, ყოველივე. შენ მარ-  
თალი ხარ, მაგრამ... ოჰჰ! გული მტკივა, გული. რასაც შევ-  
ზრდილვარ, რაც ბავშვობიდანვე საალერსოთ და სათაყვანოთ  
მიმიჩნევია, რასთანაც ათასგვარი სიყმაწვილის მოგონება მაქვს  
შექსოვილი, ესე ადვილათ გულს არ ეთმობა. ეგ ძნელია ჩემ-  
თვის, მთლად ეგრე ვერ შევიცვლები! გონება სხვას ამბობს  
და გული სხვას!

**მზენათ.** დამეზიდდი ცოტა. ძალ-ლონე შემოიკრიბე და დას-  
ძლევ მაგასაც. აკი შენ სხვაც გაქვს გამამხნევებელი მიზეზი.

**ნაზი-ბროლა.** ო, დიად. ჩემი ზენისი, ჩემი ღვთაება. მხო-  
ლოთ ეგ ერთი... ხალხი? მისთვის მუშაობა? არა, მე ხალხს რა-  
ში გამოვადგები? მისთვის მხოლოდ აქამდის ვიყავ საკირო. მა-  
გრამ ან კი რაში გამოვადექი? მხოლოდ სიტყვებით და გულ-  
წრფელი სურვილებით. მან უკვე თავის მიზანს მიაღწია. ეხლა  
თვითონ მე მეკრძალება მისი... აარა! ჩემს გულში მზაკრობა არ

არის. პერიდება ამ ძალთა-ძალის! ეს რაღაც ტალღაა დიადი და შემოუვალი. ჩემთვის უცხოა იგი... დიად; მშთენია მხოლოდ ზენისი. ის სულ სხვა გზით მავალი კაცი — ამაყი, ზეა-ვი!..

**მზენათ.** მესმის ეხლანდელი შენი სულიერი განწყობილება... მაგრამ გამხნევი. პირ-იქით ეხლა იმის მავალითი უნდა გვიჩვენო, რომ მზე შენთვისაც საჭირო იყო. მაგრამ აი ზენისიც. მე ვაგეცლები. კარგა ხანია, მგონი; აღარ გინახავს.

**ნაზი-ბროლა.** დიად, იმ დღის შემდეგ.

(გაიხედავს)

მართლა აქ მოდის. ნახვამდის, მზენათ, ჩემო კარგო ამხანაგო.

**მზენათ.** იყავ მშვიდობით!

(მიდის. შემოდის ზენის. თალები აცვია; უგვირგვინოა; ჩაფიქრებული)

**ნაზი-ბროლა.** ზენის, საით?

**ზენის.** (შეკრთება) ო, ნაზი-ბროლა! შენ ცოცხალი ხარ?

**ნაზი-ბროლა.** როგორც მხედავ. ვცოცხალვარ მიტომ, რომ ერთის მხრით ჩემი საბრალო ძმა ვიგლოვო და მეორეს მხრით შენის ნახვით ვიყო ბედნიერი.

**ზენის.** არა, ნაზი-ბროლა! არც გლოვა, არც ბედნიერება. — თვალის ახელა!

**ნაზი-ბროლა.** როგორ, შენ კვლავ გინდა ამ აბობოქრებულ ტალღას წინააღმდეგე?!

**ზენის.** სწორეთ, დადგა დრო. ეს უმწვერვალესი წამია. მე ვერ დაუთმობ ამას. ის, რაშიაც მუდამ ხალხს ვამხილებდი, რასაც ჩემი ცხოვრების დღენი ვემსახურებოდი, უკვე თვალ-წინ დგას. მან ხორცი შეისხა და საშინელის უტიფრობით წინ მოადგამს ნაბიჯს. აარა, მას მთელის ჩემის არსებით წინ უნდა აღუდგე.

**ნაზი-ბროლა.** როგორ! რას აპირებ?

**ზენის.** მე ხომ მუდამ მას ვამბობდი, რომ ხალხს მარტო მზე ვერას უშველის მეთქი! რომ იგი ვერ მოსპობს მათ შორის უსამართლობას, რომ იგი ვერ დაამყარებს საყოველთაო

სათნობებს-მეთქი. აი, პირველი მაგალითი და საუკეთესოც. ხალხი უშუყ-ვეზირს ირჩევს მოთავედ.

**ნაზი-ბროლა.** როგორ ამ ქვემძრომს, ღრიანკალსა?

**ზენის.** რაც გინდა ის დაუძახე, მაგითი საქმე როდი იცვლება, და აი სიბრძავე ხალხისაც. იმისთვის, რომ მან დედოფალი მოჰკლა, იმისათვის, რომ მან იცის ხალხის სუსტი მხარე, თუ საით მოუაროს, რომელ მის სიმს დააქიროს ხელი, ამისათვის ხალხს იგი მიაჩნია თავის კეთილის-მყოფელათ და თავის მეთაურად ირჩევს. მერე, რა შეცდომაშია! და რათ ხდება ეს შეცდომა? მიტომ რომ ხალხი ბრმაა, ხალხი ტყუევდება ხელოვნურის ნილაბით. მერმე, ეს ხალხი დაამყარებს სამართლიანობას, ეგ შეიქმს დიდებულ სამთავროს თანასწორ და თავისუფალ ადამიანებისას? აარა, ათასჯერაც არა!! ჯერ თვით ხალხი უნდა ამალღდეს იმ მწვერვალამდე, საცა სრული შეგნებაა თავის თავისა, საცა არც შური, არც სიძულვილი და მათგან გამოძავეალი ათას-გვარი მოხერხებულობა, თვალთმაქცობა არ არსებობს, არამედ არის კაცი სხეულითაც და სულიერთაც სრული თავისუფალი, დამოუკიდებელი, გულ-ლიათ მგრძნობი, გულ-ლიათ მოფიქრალი და მაშინ არ მოხდება არც ესეთი ტლანქი შეცდომები, არც არა გვარი დამჩაგვრელობა: მაშინ ნამდვილათ გამოიყენებენ მზეს და მის ცხოველ-მყოფელ სხივებს.

**ნაზი-ბროლა.** ზენის, შენ შორს მისდიხარ!

**ზენის.** ახლოს არც დამედგომება. აქაური ჰაერი მალრჩობს, აქ ისევე კაცთ უსამართლობა მყარდება, ერთის დამჩაგვრელის ბუნაგზე მეორე აკეთებს ახალს და შეიძლება უფრო მტკიცე ბუდესაც.

**ნაზი-ბროლა.** არა, ზენის, შენ მაგას არ იზამ, შენ არ ეტყვი ხალხს ამ შენს შეიძლება დიდ სიმართლესაც. შენ მართალი იყავი: იგი ვერ გიცნობს შენ და ვერც ეხლა გაიგებს. თვით მე, რომელსაც ეგრე მიყვარხარ, რომლისთვისაც ყოველი შენი სიტყვა კანონია, მე მესმის, მაგრამ ვერ თანაზიგრძობ. ეგ რაღაც მეტათ შორია... მომიტევე, შეუძლებელიც. კაცს, სანამ მას ხორცი აქვს შესხმული, მე ისე ვგონებ, მუ-

დამ თან ეახლება გრძნობა სიძულვილისაც და სხვა გრძნობაც  
ეგრე მდაბალი. კეთილი და ბოროტი თვით ჩვენ ზღაპრებშიაც  
მუდამ იბრძვიან. მერე განა ისინი უქმი გონების შექმნილია?  
აი, შენ ცად მიიწევი, მე კი აქ გიქერ, მე ჩემს სიყვარულამდე  
მინდა ჩამოგიყვანო...

**ზენის.** ჰმ... შენი სიყვარული?.. უმანკო ბავშვო, ეგეც ცის  
ნიკია, იქიდან ჩამოფრენილი უცხო რამ არსება. მისი ფრთე-  
ბის ქნევა და მისგან გამოწვეული სანეტარო რამ ნიავეი, კარ-  
გათ იცი, მეც მაჯადოვებს. ჩემო ტურფავ, განა შემიძლია  
მაგას წინააღმდეგე? აკი ემორჩილებ კიდევ სრულიად...

(ხელს მოჰკიდებს)

ჩემო კარგო, ერთად ერთი სასიხარულო შენა მყევხარ!..

**ნაზი-ბროლა.** ჩემო ზენის, ჩემო ღვთაება!..

(გული აუჩვილდება და მკერდს მიეკრება)

ვიტანჯვი დიდათ!... მომისალმუნე! ობოლი ვარ. ეხლა  
ვგრძნობ, რომ რაღაც საშინელი რამ დავკარგე! არაფერ, არა-  
ფერი არა მყავს... ეს ქვების გრიალი... ოჰ, რა საშინელი  
სმაურობაა ჩემთვის! მე თვით ვეტრფოდი თალის გარღვევას,  
მაგრამ არ მეგონა თუ ესეთი შემზარავი ბოლო მოჰყვებოდა  
მას... შენა ხარ ერთად-ერთი ჩემი ყველაფერი... ტირილი მინდა,  
ვერ გამიძლია!..

**ზენის.** ნაზი-ბროლა, ნაზი-ბროლა.

(ჩაიხუტებს. გაისმის გრიალი და ხმები:  
„უშუეს გაუმარჯოს, მზეს გაუმარჯოს!“  
ნაზი-ბროლა და ზენის ორივე შეკრთება და-  
ზენისი თითქო გამოერკვევა).

დახედე, რას იძახიან! ო, თქვე—ბრმებო, თქვენა!

(გაიწევის წასასვლელათ)

**ნაზი-ბროლა.** საით? არ გაგიშვებ!

(ეფარება. მაგრამ ამ დროს ზრიალით და  
კიჩინით შემოდინან უშუეს-ვეზირი, მუშე-  
ბი და ხალხი. უშუეს-ვეზირი ხელში ატა-  
ცებული მოჰყავთ; შემოსვლისას წრეს  
გააკეთებენ და შუაზე უშუეს ჩამოსმენ.  
ნაზი-ბროლა და ზენისი მოშორებით დგა-  
ნან)

**ყვირიან:** გაუმარჯოს უშუეს, გაუმარჯოს!

**უშუესი.** კარგია, ძმებო, გეყოფათ! არა ვარ ღირსი ესეთის.

ზეიმისა. მე მხოლოდ ის შეეასრულე, რაც მოვალეობა იყო ყოველის სინდისიერის ადამიანისა, მაგრამ...

(ზზიალია)

**ყვირიან:** გაუმარჯოს!

**უშუყი.** მე მინდა გითხრათ ჩემი აღსარება.

**ხმები.** ჩუმად, უშუყი ლაპარაკობს!

(სიჩუმე ჩამოვარდება).

**უშუყი.** დღეს გაკვრით ბევრ-გზის მოგახსენეთ ჩემი გულის ნადები, მაგრამ რაკი უფრო ბევრიც ხართ და უფრო სხვადასხვა ჯგუფთაგანი, ამიტომაც უფრო ვრცლათ მინდა გითხრათ ყოველივე. მე ძველი წეს-წყობილების კაცი ვარ და მაშასადამე ვერ გეყვარებით.

(დრტვინვა)

აარა! მე არ მეშინიან ამისი. ვიცი, რომ ჩემი მოძულეც ბევრი იქმნება თქვენში. ასე უცებ კაცის შეყვარება არ შეიძლება; მერე იმ კაცის, რომელიც ამდენ ხანს ძველი წეს-წყობილების მარჯვენა ხელი იყო და მაშასადამე თქვენი დამჩაგრელი, თქვენი სისხლის მწოველი. ეეჰ, ჩამოიხედეთ ჩემს გულში! ვინ იცის, შიგ რამდენი ბოლმა ტრიალებს. მე დიდი დამნაშავე ვარ, დიდი... და, არ ვიცი, ჩემს ცოდვებს რითი მოვინანიებ!.. მაგრამ მეც ხომ კაცი ვარ! წარმოიდგინეთ, ბავშვობიდანვე მქონდა ის ზნე, რომ წინ გამოვსულიყავ, სხვა ამხანაგებისათვის მეჯობნა ყოველივეში, თამაში იქნებოდა იგი, თუ სხვა რამ საქმიანი ვარჯიშობა. მე საზოგადო საქმისათვის ვიყავ დაბადებული თითქოს და, აი, მოვინდომე, რომ წინ წავსულიყავ. ბედი მილიმორდა. არ მოვიკატუნებ თავს და ვიტყვი პირდაპირ, რომ ცოტა რამ ნიჭი და უნარი შემწვევდა მეც. ვიცოდი კაცთა ცნობა, მათი სუსტი მხარე, მათი ღირსება, მათი ნაკლი. მეც ამ მხარეებს გვერდს უვლიდი მოხერხებულათ, ესეთი იყო მაშინ დრო; განა რომელი თქვენგანი არ იზამდა მაგას...

(დრტვინვა).

ნუ იტყვით, რომ არაა. ათასში ერთი შეიძლება, მაგრამ ის ხომ დაჩაგრული იქნებოდა მულამ... და, აი, მეც გავცურდი ცხოვრების ზღვაზე: მივალწიე პირველ ვეზირობას. დავიწყე

საქმიანობა, პირველ-ხანათ მწამდა კიდევ ჩემი მოქმედება, ჩემი მიზანი. მეგონა, რომ მე მართალი ვიყავ, რომ ის წეს-რიგი, რომელსაც მე ვემსახურებოდი საუკეთესო იყო, რადგან არა მჯეროდა-რა ხალხის შეგნებისა. მაგრამ გადიოდა დრო და ყოველ განვლილ დროს მოჰქონდა ჩემთვის შეურყეველი მაგალითი ჩემის შეცდომისა, მთელი ჩვენი გამგებლობის შეცდომისა. მივხვდი, მაგრამ გვიან-ლა იყო! მე და ჩემისთანები ველარას გავაწყობდით. თვით ხალხს უკვე შეგნებული ჰქონდა თავისი მოწოდება და იგი მედგრათ მიდიოდა მიზნისაკენ.

**ხმები.** { მშვენიერათ ლაპარაკობს!  
ვინა სთქვა, რომ ბოროტი არისო?  
ოო, კვიციანი კაცია!

**უშუყი.** ამიტომაც იყო, რომ ბოლონდელ სათავისუფლო კანონებს მთავართან ერთათ მეც მხარს ვუჭერდი. უთუოთ გეხსომებათ, რომ ამისათვის ჩემს წრეშიაც ბევრი მტერი ვიჩინე. მარტო ქურუმთ-ქურუმი და დედოფალიც მეყოფოდა... ოო, დედოფალი! იმას ხომ უამისოთაც ვეზიზღებოდი, რადგან მუდამ-ჟამ მის ბინძურ გულს თქმათ ვეწინააღმდეგებოდი. შეიძლება მისთვისაც, რომ მე მთავარი პირადათ დიდათ მიყვარდა. მე მინდოდა, რომ...

**ნაზი-ბროლა.** (წინ გამოვა) სტყუის ვეზირი!

**ხმები.** ნაზი-ბროლა!

**უშუყი.** (დანახავს ნაზი-ბროლას, გესლიანათ) საბრალო ბავშო, შენ ცოცხალი ხარ?

**ნაზი-ბროლა.** დიად! და მაგ ტყუილებს ვერ მოგიტმენ. აბა, რას ამბობ და გულუბრყვილო ხალხს რაებს მოუთხრობ?! თუნდა ის ავიღოთ: დედოფალს შენ რათ ეწინააღმდეგებოდი? მიტომ რომ, მართალია, ის ბოროტი იყო და პარად სურვილთა მიმდევარი, მაგრამ კარგათ ესმოდა თუ რა განზრახვაც გიტრიალებდა გულში! შენ გინდოდა მთავარი, როგორც სუსტი ხასიათის კაცი, სრულიად ხელში ჩაგეჭირა და, როგორც გასურდა, ისრე გემართა სამთავროს საქმეები. ტყუილია, რომ შენ გიყვარდა მთავარი, შენ მას მხოლოდ ეკრძალებოდი და ისიც ეკრძალებოდი ქურუმთ-ქურუმისა და დედოფლის შიშის

გამო. ამიტომ მათ ორივეს ზურგს უკან, ფარულათ, რითაც შეგვეძლო ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ნამდვილათ კი მათი შემწე იყავ და მათ სურვილს ერთჯერაც ვერ გადახველ! მაგალითისათვის, აბა, გავიხსენოთ უკანასკნელი თათბირი მთავრის სასახლეში—როგორ მოიკუნტე, როდესაც ქურუმთ-ქურუმმა შენზე იერიში მოიტანა. ეხლა, ხალხო, ერთი გასინჯეთ, რომელია მის ნათქვამში მართალი: ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მათი შემწე კი იყო; ეწეოდა კი, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა... სად არის აქ სიმართლე, ან რათ სკირდება მას ეს ტყუილები?..

{ დახეთ ნაზი-ბროლას?! რაებს ამბობს!  
**ხმები.** { სტყუის უშუყი!  
 { გაუმარჯოს უშუყს!

**ნაზი-ბროლა.** მაგრამ ვიცით რათაც სკირდება ეს ტყუილები..

**უშუყი.** (განზე) გველის წიწილი!

**ნაზი-ბროლა.** იმისთვის, რომ ხალხს ეხლა სხვა-გვარ მოუაროს გვერდი და უფროსობა მაინც ხელში შეიჩინოს...

**უშუყი.** მაკადე, ნაზი-ბროლა! შენ ჯერ ბავში ხარ და არ იცი ყოველივე, რაც სკირდება, ან უკეთ, სკირდებოდა წინეთ სახელმწიფო მოღვაწეებს. ისეთი დრო იყო. რომ სხვაგვარ ვერ მოვიქცეოდით. კაცი კი დროს და ალაგს უნდა შეეფერებოდეს. შეიძლება განყენებულ მოაზრებებისათვის ესეც სასაყვედურო იყვეს, მაგრამ ჩვენ მაშინ მაინც ასე გვწამდა. მერწმუნეთ, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა იმ ზომამდის რთულია, რომ იქ მარტო გულ-წრფელობით ფონს ვერ გახვალ. მეც აგრე ვიქცეოდი და, თუ ეს დანაშაულია, აკი აქ იმიტომ ვლაპარაკობ აღსარებას, რომ ყოველივე ჩემი შეცოდება მოგიტხროთ, რადგანაც მინდა გაცოდინოთ, რომ მეც კაცი ვიყავ და თუ შეცდომები მომდიოდა უფრო იმიტომ რომ, რასაც ვაკეთებდი, ის საუკეთესო მეგონა. მერმე კიდევ არ მინდა განუსჯელათ და განუკითხავთ დავილუპო.

**ხმები.** კვიანი კაცია! ვაშა, ვაშა უშუყს!

(ხმაურობა)

**უშუყი.** რათ მაწყვეტინებთ! მე მინდოდა ის მეთქვა, რომ ბო-

ლოს სრულიად შევიცვალე. რათა? დაერწმუნდი სიმარლე საითაც იყო—ხალხისაკენ! და, აი, პირველ მის იერიშს მეც მხარი დაეუჭირე და ჩემის ხელით დავკალ დედოფალი...

**ნაწი-ბროლა.** ჯალათობა არასოდეს არ არის საქები.

**ხმები.** { დიდათ დაგვაწავლა!  
გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

(გარედან მოისმის ყვირილი: „ძირს, ძირს!“ და შემოდინან სახიერი და მისი ჯგუფი მათ შორის მზენათიც.)

**სახიერი.** ძირს უშუყი! ძლივს არ მოვაგენით. აი სად ყოფილა!

(საერთო ყვირილია. დამხვდურები ყვირიან, „გაუმარჯო“-ს მომსვლელები— „ძირს!“-ს)

**უშუყი.** (აჩუმებს) გამიგონეთ! აი, როგორ მართლდება ჩემი სიტყვა. მე ვიცი, რომ მოძულენი ბევრი მყავს. ამიტომაც გითხარით აღსარება, თორემ, მერწმუნეთ, რომ არავითარი თანამდებობა არ მინდა წარგტაცოთ. მაშასადამე ტყუილა მწამებენ ცილს... ჩემი საქციელი ამ ჟამათ უანგაროა და თანამდებობა... ისიც კი, რაც ერთმა ჯგუფმა მომაკუთვნა ამ ცოტა ხანში—დროებითი ხელმძღვანელობა თალის გარღვევის და საერთო მოძრაობისა, —უარ მიყვია დიდისა და მოზრჩილის მადლობის შეწირვით.

**ხმები.** { რათ ამბობს უარს? ჩვენ გვსურს დარჩე!  
ვინ აირჩია, ვინ აკუთვნა?  
ჩვენ ავირჩიეთ!

**უშუყი.** და თუ დავთანხმდი ამ დროებით ხელმძღვანელობაზე, ესეც იმით, რომ მეშინოდა საერთო აღტაცების დროს უბედურება არ დატრიალებულიყო. მაგ. თალის დარღვევის დროს ქვებს ქვეშ არ მოჰყოლოდა ხალხი. ამისათვის იყო, რომ იმ ადგილებში, საცა ჩვენ ხუროთ-მოძღვართაგან გამომანგარიშებულია თალის დარღვევა, დარაჯები დგას და არაყის უშვებს. ჩემის ფიქრით ეს პირველი მოვალეობა იყო ჩვენი და აი, საერთო დახმარებით კიდევ მაგაზე ვიზრუნეთ.

**სახიერი.** მიკვირს ძალიან—ვინ მოგცა ნება, უშუყ-ვეზირო, რომ მოძრაობის ხელმძღვანელობა გიკისრია. თუ ერთმა ჯგუფ-

მა მოგანდო შენ ეს, მთელ ხალხს არ გვინდობარ, შენ ჩვენ ვერ გამოგვადგები და არც არას განდობთ შენ! ჩვენ გვყავს კაცები და ავირჩევთ კიდევ იმათ.

**უშუყი.** (დაძინებით) მერე, მე განა წინააღმდეგი ვარ მაგისი? მე უარ-ვყოფ-მეთქი იმასაც კი, რაც ერთმა ჯგუფმა, პატივი მცა და სითავაზით დამაკისრა. მე ჩემი თანხმობის მიზეზიც გამოვთქვი და აქ, შენ არ იყავ, სახიერო, და არც ეგენი, მაგრამ მე მთელი ჩემი გულის ნადები ხალხს გადუშალე. მაშასადამე მე კი არ გეტანებით, მხოლოდ რჩევას მოგცემთ და მიგითითებთ ღირსეულ კაცზე. კარგათა ვხედავ. რომ ჩვენ შორის, ცოტა მიღმა, სახელოვანი ზენისი დგას—იმას მიჰმართეთ! აი, კაცი ღირსეული და დიდათ საქირო. იმის წინ ყველამ ქედლი უნდა დაეხაროთ.

**უმეტესობა.** ოო, ზენის, ზენის! ვთხოვოთ, ვთხოვოთ!

**სახიერი.** დიადო მგოსანო! მე სრულიად ვუერთდები მოძმეთა ხმას და გთხოვ ყურად-ილო ჩვენი მოთხოვნა.

(ნაზი-ბროლა რაღასაც ჩუმათ ელაპარაკება ზენისს)

**ხალხი.** გთხოვთ, გთხოვთ!

**ზენის.** (წინ გამოიწივს) იცით, კი რასა მთხოვთ?

**ვინმე.** უფროსობასა, შეთაურობას!

**ზენის.** უფუნურებო! მერე იცით კი, რას ჩადიხართ?

**ხმები.** რას ამბობს?—ხომ არ შეშლილა?!—გაიგონეთ?

**ზენის.** რათ გინდათ, აბა, თქვენ უფროსი?! მაგრამ არა, თქვენ მართლა უფროსის ღირსი ხართ! თქვენ გინდათ მართლა ისეთი უფროსი, რომ ზედ შეგდგეთ და გაჯაგლაგოთ...

(საერთო დრტვინვა და გაოცება)

**ნაზი-ბროლა.** რას ამბობს? თავს ილუპავს!!

**უშუყი.** (გესლიანათ თავისთვის) ზოგჯერ რა ცუდია მეტის მეტი გამპკრიახობა!

**ზენის.** დიად, თქვენ გინდათ უფროსი ცრუ და ორპირი, რომელიც საითაც ისურვებს იქით მოგიარსთ! რა თქვენი საქმეა თავისუფლება? რათ გინდათ თქვენ მზე? განა შეგიძლიანთ მისი მოხმარება? ოო, როგორ მძულხართ, რა მეზიზღებით!

**ხმები.** ჩვენ შეურაცხვეყოფს! — სწორეთ შემოილია!

**ნაზი-ბროლა.** ზენის, ზენის, რას ამბობ მაგას?

**ზენის.** აბა, დაუკვირდით თვითონ თქვენს პირველ ნაბიჯს! თუნდა სხვა ყველაფერს დავეთხოვით, თუნდა შევეურიგდეთ იმ აზრსაც, რომ უფროსი საქროა, ვის ირჩევთ მერე? — კაცს გაიძევრას, ფლიდს და მედროვეს.

(სახიერსა და მის ჯგუფს სახე გაუბრწყინდებთ)

**ხმები.** კარგათ ლაპარაკობს. — ტყუილია! — ეგრე, ეგრე, ვაშა!

**უშუყი.** არ გეკადრება ეგრე შეხება. მე ხომ უარს ვყოფ, შენ გითმობ სრულიად.

**ზენის.** ჩუმათ, ქვემძრომო! შენის ბინძურის გულის ოქმითა აქ საღ მოდინხარ? კარგათ იცოდეს ყველამ, რომ მე თვით მაგ არჩევანსა არაფრათ არ ვაფასებ. მე არ მწამს საზოგადოთ ჯუროსები, მხოლოდ ხალხის სიბრძნეა, მისი ბეცობა!

**სახიერი.** ხალხს ნუ ეხები! მისი სახელი წმინდაა და მისი მისწრაფება დიადი!

**ზენის.** ოო, უგუნურებო! იცით კი რაშია სიდიადე? სულის სიმადლეში, სულის თავისუფლებაში! თქვენ კი, აბა, საიდან გაქვთ სული თავისუფალი? ხართ მაგისთვის მომზადებული? შეგიძლიანთ თუნდა მედროვეების ზე-გაეღენას არ დაემორჩილოთ? შეგიძლიანთ შექმნათ ახალი და სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრება ნამდვილ ადამიანთა? განა თქვენ ისევ იმ ხროვას არ წარმოადგენთ, რომელმაც მგელს გამოსტაცა თავი, მაგრამ ეხლა მელას აბარებს? თუმცა არა, თქვენ ისევ ისე მალე გიტაცებთ ბავშვური აღტაცება, ისევ ისე შეუძლიან წვრილმანმა რამემ მოგხიბლოს! თქვენ მხოლოდ კანი იცვალეთ, შინაგნობა კი ისევ ძველია! ისევ ის უსამართლობა, ისევ ის ჩავგრა დიდისაგან პატარისა, ისევ უფროს-უმცროსობა, ისევ ის დამოკიდებულება უსამართლო ერთი-მეორეში, ისევ ის ძველი ხმები, ძველი კილო! თალი კი გაანგრით, მზე კი ჩამოუშვით! მერე რათ? თვითაც არ გესმით! ჯერ არ აღზრდილხართ თვითონვე თქვენ და სამართლიანობა კი გინ-

დათ დაამყაროთ ქვეყნათ. აარა, მძულხართ დიდის სიძულელით!. ბრმები და უგუნურები!

**ჩემები.** როგორ გვიბედავს!—ამის მოთმენა არ შეიძლება!

**უშუყი.** რა შეცდომაა! თურმე მეც შევცდი! არა, ხალხო, უკან მიმაქვს ჩემი სიტყვა ზენისის შესახებ. იგი არ არის ღირსი შენის დაფასებისა. იგი მოღალატე ყოფილა. ეს რაები სთქვა! ხალხმა ძლივს მოიპოვა თავისუფლება, ძლივს მზეს ეღირსა და ეხლა მას უნდა გაუქარწყლოს იმის დიადი მნიშვნელობა? ტბაში გადაუვდო მისი ნაამაგარი? მაშ, შენ ძველი წესის მომხრე ყოფილხარ! ქურუმთ-ქურუმიც რას ამბობდა, თუმცა შეიძლება სხვა სიტყვებით. ისიც არ ამტკიცებდა—მზე რათ გინდათ, დაგწვათ მისი მცხუნვარებო!.. აარა, ვინც ხალხს მზეს ძალით უხშობს...

**ზენის.** მე ვუხშობ ხალხს მზეს?!..

**უშუყი.** იგი სასჯელის ღირსია!.. მაგის მოთმენა ხალხს აღარ შეუძლიან. იგი დააღრჩობს მას თავისი ხელით, ვინც მას წინ ეღობება! ეს მე კარგათ შევიგნე. მაშ, თუ ეხლავ უკან არ წაიღებ შენს ნათქვამსა, სასჯელის ღირსი ხარ შენც!

**ხალხი.** დაიბრუნე შენი ნათქვამი!

**ზენის.** (მწარეთ ვაილივებს) უკან წავიღო, დაეიბრუნო? რა? ჩემი აზრი, რომლისთვისაც ვცხოვრობდი ქვეყნათ, რომლის შემუშავებასაც შევწირე ჩემი დღენი, რომელსაც ვქადაგებდი მუდამ, ყველგან და ყოველთვის, რომელიც შეადგენს ჩემს წმიდათა წმიდას. ო, რა უგუნურები ხართ!

**ხალხი.** კვლავ შეურაცხვეყოფს, ველარ მოვითმენთ.

**უშუყი.** ხედავთ თვით ამბობს და კვლავ ამტკიცებს, რომ იგი მოღალატეა. რომ იგი მუდამ ამ აზრს ემსახურებოდა, და რა აზრია შერე? თვით არა სთქვა—მძულხართო. ჰმ!—ხალხის სიძულვილი!.. აარა, ხალხი არ აპატიებს, ან უარყოფა მისი აზრისა, ან სიკვდილი მაგას.

**ხალხი.** სიკვდილი, სიკვდილი!

**ვინმე.** ჩაქოლვა მაგას!

**ხალხი.** ჩაქოლვა, ჩაქოლვა!

**სახიერი.** რას ყვირით, აბა! ხომ არ შეშლილხარ? ვიზედ იღებთ ხელს? დიად კაცზე...

**უშუყი.** ვინც უნდა იყოს... იგი ხალხის მტერია!

**ნაზი-ბროლა.** ოოჰ, საზიზღარო! ხალხის მტერი თვითონ ხარ შენა!

**უშუყი.** აკი მე ჩემს თავზე აღარას ვამბობ. მე ქელი დახარე და ხალხი თვით განმეკითხავს. მხოლოდ არ მინდა, რომ, როდესაც უკვე შევიგენ ამ ხალხის მისწრაფება, იგი შეურაცხყონ ეგრე უტიფრათ და მას წინ გადაელობონ. აარა, ყველა ხალხის მოღალატეს სიკვდილი, ჩაქოლვა!

**ხალხი.** სიკვდილი, ჩაქოლვა!

**სახიერი.** ჰოი, ღმერთებო! რას შევესწარი! ხალხო, კეუა ხომ არ დაგბნევია?! შენ უსმენ შენისისხლის მწოველს, შენს დამჩაგვრელსა, რომელსაც უნდა კვლავ ხელში ჩაგიგდოს... და სასიკვდილოთ ამეტებ დიად კაცს, დიდებულ მოაზროვნეს, რომელიც შენი თანახმა არ არის, მაგრამ შეიძლება დიად სიმართლეს კი გეუბნება! რა ვუყოთ მერმე, თუ არ მოგვწონს მისი სიტყვები?.. ჩვენ ეხლა აღტაცებული და გაბრუებული ვართ ჩვენის გამარჯვებით, მაგრამ გონება მაინც იმდენათ არ უნდა დავკარგოთ, რომ ჩავიდინოთ უსასტიკესი უსამართლობა!

**უშუყი.** ხალხმა გადაწყვიტოს, ამისთანა უდიდეს წამს. შეიძლება თუ არა მის შეურაცხყოფის პატიება?

**ხალხი.** სიკვდილი, ჩაქოლვა!

**სახიერი.** რას ლაპარაკობთ? გონს მოეგეთ...

**ზენის.** დაიცა, სახიერო! ტყუილად ცხარობ! მე ამას მოველოდი! ხალხს არ აქვს იმდენი ადამიანური სიბრძნე, რომ მწვავე სიმართლე დამშვიდებულათ მოისმინოს და სწორეთ ამიტომაც ვეძახი მას უკუნურ ბრბოს!

**ხალხი.** კვლავ შეურაცხვეყოფს!

**ზენის.** დაე, მომკლან! რაა სიკვდილი? ეს უკანასკნელი სტრიქონია ბუნებას ნაწარმოებისა. წიგნი ერთჯერაც არის ხომ უნდა დაიხუროს, მაგრამ აზრს რას უწამთ, აზრს, რომელიც ჩაქელო თქვენს ტვინს, მოედო თქვენს გულს და გრძნობას? მას ვერც ჩაქოლვით მოსპობთ და ვერც ვერა სხვა გვარის სე-

კოცხლის წართმევით! ეგრე ვერ მოსპობთ ვერც ჩემს აზრს. იგი დარჩება! ესეთ ურდო ხალხში, გარდა მყვირალა ვაჟბატონებისა, არიან კიდევ რამოდენიმე, რომლებიც შეიძლება ვერ ბედავენ ამოიღონ ხმა, მაგრამ მათ გონებასა და გულს კი ეხლავე ჩაქვდო უკვე ჩემი აზრი, ჩემი მისწრაფება... დიად, კიდევ ვიტყვი: ჯერ თვითთ შეიცვალეთ, ჯერ თვით დაიზარდებით, გახდით სრული და თავისუფალი ადამიანები, ჩამოიშორეთ ყოველი მხეცური მხარე, რომელიც არცხვენს ადამიანურს პიროვნებასა და შემდეგ გაარღვიეთ თალი, შემდეგ ჩამოუშვით სანეტარო მზე.

**ნაზი-ბროლა.** (სახე სრულიათ აელანძება) ზენის...ზენის!

**ზენის.** (არ უყურებს) ეხლა კი გეტყვით, რომ მძულხართ მთელის ჩემის არსებით, მთელის ჩემის დიადის სიძულვილითა!.. აი ჩამქოლეთ!

(ერთ წამს ხალხი თითქო რალამაც შეიპყროვო, გაუნძრევლათ სდგას).

**უშუყი.** რალას გაშტერდით!

(ყველა მყის გამოერკვევა და მივარდებიან ზენისს ძახილით:)

„ჩაქოლეა, ჩაქოლეა!“

(სახიერი გაცეცხლებული გაიწვეს უშუყისკენ. აირევეან ყველანი. ზენისი გაჰყავთ. უშუყს ხვა მხრით გაიტაცებენ და სახიერსაც გააკავენ. ნაზი-ბროლამ აღარ იცის რა ქმნას, გაგიჟებულივით არის, მზუნათი აკავენს ამ დროს გაისმის საშინელი გრიალი. ნაზი-ბროლა საშინლათ დაიკივლებს. შემდეგ სულ მოდუნდება, თუმცა მაინც იტკირება იქით, საიდანაც ხმა გამოვიდა).

**ნაზი-ბროლა.** წარხდა ყოველი! ბელი! იმედები! განქრა ყოველი!.. ნუ თუ თვით თავისუფალი ცხოვრებაც უსამართლობისაგან შესდგება? ჩემი ყვაილი! ბუნებაც, თურმე, რა უსამართლოა! ამ შენ ნაზ თაეში შხამი აქეს ჩამალული!.. მაშ კიდევ ერთი უსამართლობაც...

(შესწრუტავს ყვაილის წვეს. ყვაილი ხელიდან გაუვარდება. პაუზა).

მზუნათ, აქ მოდი. დახედე...

**მზენათ.** რა მოგდის, ნაზი-ბროლა! ფერი არ გაძევს! ააჰ!  
 ნუ თუ საწამლაღი მიიღე? რათა, საბრალო?

(ნაზი-ბროლა ყვავილს დასჩერებია, უც-  
 რათ სრულიათ მოსხლტება და მოწყვე-  
 ტილივით ძირს დაეცემა, მაინც ხელს  
 ყვავილისკენ გაიწევის და მწაუე ღიმი-  
 ლით)

**ნაზი-ბროლა.** ჰჰ!.. დასკვნა ყვავილი!

(კიდევ ერთი გაყოფილება და სულს გა-  
 ნუტევენს. მზენათი დაჩოქილი და მტი-  
 რალი თავს ადგას)

დასასრული.



სანახაობა ერთ მოქმედებად.

## მ რ მ ქ მ ე ღ ნ ი

1-ლი მსახური.

2-რე მსახური.

მობუცი მსახური.

ბატონი.

ქალბატონი.

მწირი-ბერი.

მეცნიერი.

მგოსანი.

ფულიანი.

გლეხი.

მუშა-ვაჟი.

მუშა-ქალი უსიტყვოთ.

სანახაობა გადაშლილია მშვენიერ მდებარეობაში. შორით მოსჩანს ლურჯი მთები, ქვე-მისხდომიან გორაკები და წინ გაშლილა დიდი ვაკე ატეხილის კალებისა. მას მკერდს უხატავს, განუყრელი მისი მშვენება, გველივით მოკლაცნილი რომელიღაც გიჟ-მაჟი მდინარე. ეს ყოველივე იხედება პირდაპირ მაყურებლისაგან საუცხოვო ციხე-დარბაზის საღბინო, გადაშლილ აივნებიდან. თვით აივნის მორთულობას მხოლოდ სვეტები შეადგენს საკვირველის ხელოვნებით მოჩუქურთმული და კიდევ ერთი ორი ადრიატიკა ქანდაკება იქა-აქ კუთხეში მიდგმული. შუაზედ კი დგას საკმაოდ მოზრდილი მაგიდა, რომელიც სასადილოთ არის მორთული-მოკაზმული სხვა და სხვა ვაზებითა და ყვავილებით, ხილითა და სხვა სასაუზმო სანოვაგით. მსახურნი თავს დაჭმუსფუსებენ მაგიდას. სალამო ხანია. მთელი ლანდშაფტი წარმტაცის, ჩამავალ მზის შუქით არის განათებული. დრო და დრო საღლაც გარეთ, ცოტა მოშორებით ხმა შეწყობილი ფსალმუნებო მუსიკა. მისი ხმა—კილო ნელია, მაგრამ ალტაცებული, თითქო განუცვიფრებია ამ ბუნების მშვენიერებას და მისგან ტყვენილი თავის გულის სიმებს მის საქებრად აკვნესებსო.

პირველ ხანებში მსახურთ გარდა არავინა სჩანს აივანზე.

**1-ლი მსახ.** ძალიან ადგილი კი შეიძინეს ჩვენმა ბატონებმა.

**2-რე მსახ.** აბა! მე დღემდე არც მინახავს. კარგი ყოფილა.

**1-ლი მსახ.** აქ არ ყოფილხარ?

**2-რე მსახ.** ბატონს ვახლდი ნადირობაზედ და მხოლოდ დღეს გამოვიარე ამ ახალს მამულში. რა ხოდაბუნებია, რა სავენახე და საძოვარი! ძვირფასი მამული ყოფილა!

**1-ლი მსახ.** ა, რაო? დაგიჯდა? ხომ არ მოგენატრა ბატონის ალაგას ნეტა შე ვიყოვო?

**2-რე მსახ.**

(შეეწინდება 1-ლის სიტყვებზედ).

ჩუ... მოიცა...

(იქით-აქით გაიხედავს და დამშვიდდება სხვა მსახურებიც ფუსფუსებენ მაგიდის გარშემო და რთავენ მას. მიდი-მოდიან, მაგრამ ცალი ყური კი ეტყობათ, რომ მათაც მოსაუბრისაყენა აქვთ.

ეეჰ... ჩემო ძმაო... ბარემაც მომენატრა, მაგრამ ჩვენ, აბა, ვინ მოგვაშავებს რასმე.

**1-ლი მსახ.** რატომ? ბატონისაგან! ხომ გეძლევა საჩუქარი? აი, ეხლა ნადირობის დროსაც გიწყალობებდა რასმე.

**2-რე მსახ.** ო, როგორ არა, მისი გამოწვეალი ახალუხი და ჩემგან მოკლულ ირმის რქები.

**1-ლი მსახ.**

(უხეშრად, თიოქვის სიხარბით).

ოო, რას ამბობ! ირმის რქებიც? როგორ შეეგლია! ეს ძალიან საჩუქარია!

**2-რე მსახ.**

(მოურიდებლად, ვატაცებით)

ჰმ... დამცინი თუ... რათ მინდა ირმის რქები?!...

ოო, რათ არ შემიძლიან, მეც მქონდეს საკუთარი კერა... პატარა ეზო, პაწია ქოხი, ლამაზი ბაღია, აბიზინებული ყანები...

**1-ლი მსახ.** ეჰე! შენ ძალიან მოგდომებია!

**2-რე მსახ.** ეეჰ, რა სჯობია თავისუფლებას... თორემ შენი დღენი ხარ ბატონთან... მუდამ ხელგებში შესცქერი... თვა-

ლებში შესჩერებიხარ... ასე გადის მთელი ცხოვრება და შემდეგ ძალღივით ჩაკვდები და არც კი...

(ამ სიტყვებზე მოხუცი მსახური ჩუმად თავზე წამოადგებათ)

**მოხუცი მს.** ოჰო! ხედავთ ამ გველის წიწილს რაებს ლაპარაკობს... მაშ, ეგრე, შე გლებუქავ შენა, არ მოგწონს სასახლეში, ბატონთან ცხოვრება! ერთი ამ ვაჟბატონს დამიხედეთ-და! ღორის მწყემსობაში ფეხის გული დახეთქილი გქონდა... კაცათ გამოგიყვანე, ბატონს გაახელი და ეხლა ესეები დამიწყე!.. ჰმ... ძალი ხარ და ძალღურათაც უნდა მოკვდე... არა, შენმა მზემ. და, ფარჩის სარეცელზე დაგაწვენი... წადი, გაეთრიე, შენს საქმეს მიჰხედე! მეორეჯერ აღარ გავიგონო მაგისთანები, თორემ უკანალს სულ იფენის წნელით აგიხურებ...

(სხვებს)

თქვენ რაღას შეჩერდით?! არც თქვენა ხართ წმინდა სული... გიცნობთ ყველას! ჩემთან კი ძალიან წელში იხრებით, მაგრამ გულში კი, ვინ იცის რას არ ფიქრობთ... ჩქარა, სუფრა დაალაგეთ... თქვე გლებუქებო, თქვენა!

**ვინმე.** შენ კი ვილა ხარ, ნეტა?

**მოხუცი მს.** (უცბათ მობრუნდება იქით საიდანაც ხმა მოესმა.)

როგორ? რაო? ვინ ჰბედავს ლაპარაკს? ერთი ამათ დამიხედეთ-და! ხედავთ როგორ წამოყვეს თავი? დიად, მეც გლები ვარ, მაგრამ თქვენზე უფრო შეგნებულნი... მე ვიცი რაცაა ჩემი ხვედრი... არა, თქვე გველის წიწილებო, თქვენა, რას ფიქრობთ?! განა მე არ ვიცი! სად წახვალთ, სად? უბატონოთ როგორ შეგიძლიანთ ცხოვრება. ის გაქმვეთ და გასმევთ, გაცვამთ და გახურავთ... ზოგი მოჯალაბის შეილია და ზოგი ცხვრისა და ღორის მწყემსი... სულ მუხლის კვირისტავი უნდა დაიტყაოთ და ისე ფორთხვით ემთხვიოთ ბატონს ახალუხის კალთაზე და ფეხის გულზე, რომ კაცათ გამოგიყვანათ, თავის შანა-ყმათ გაგხადათ და თქვენ კი... მაგრამ ჩუ... ბატონი მობრძანდება... მუსიკა, მუსიკა! ჩქარა...

(ერთ-ერთი გაიქცევა გარეთ და მუსიკას დააკვრევენებს. კილო მელოდირი-მსახური წელში მოხრილი ეგებებიან ბატონს და მის მუხლზესა. ორივენი განის)

კარით შემოდინან აივანზე სანადიმოთ სა-  
უცხოვოთ მორთულნი. ორივეს ეტყობ-  
რომ კმაყოფილი და მხიარულათ არიან.  
მიაშურებენ გადასახედავს. სტებებიან სა-  
ნახაობით. მსახურნი განკრძალვით დგა-  
ნან).

**ბატონი.** ვიშ, ამ ბუნებას! რა წარმტაცი, უცხო რამეა!

ხედავ მდინარეს ამ გიჟმაქსა, გადარეულსა, როგორ მიჰყვე-  
ბა ზვირთი-ზვირთებს, როგორ მჩქეფარებს! იგი მაგონებს სი-  
ყმაწილეს მოუსვენარსა! ან ცათ მიბჯენილს ბუმბერაზ მთებს  
ხომ ამჩნევ კარგათ? ყინვით შექედილს მათს გვირგვინსა, მო-  
ელვარესა? იგი მაგონებს ჩვენ ძველს ძალას და სილიადეს? ან  
ის უღრანი, გაუვალი მწვანე ტყეები, ან ეს ლონთქოში,  
მობიბინე ლურჯათ ყანები. როგორ იტაცებს თვალს და გულ-  
სა, როგორ ხიბლავს მას... ან ჩამავალის მზის სხივებიც რო-  
გორ ოქრავენ, როგორ საზღაპრო შუქსა ფენენ არე-მარესა.

„ვიშ ამ საღამოს, ტურფას, საამოს“... როგორ არის?... კარ-  
გი ლექსია!... და ესეთ ჟამსა ადამიანს გულს გელვიძება საუ-  
კეთესო ლტოლვილება, უცხო გრძნობანი: რომ ყველა გახ-  
დეს ბედნიერი, სვე-კმაყოფილი, მოისპოს ბრძოლა უღმობე-  
ლი კაცთა-შორისი, დამყარდეს ქვეყნად სიყვარული და სათ-  
ნოება, შური და შტრობა განაქარვონ მათ თვის სინათლით!..  
მე კი ვეწიე ჩემს საწადელს—უკვე ჩემია სულ ეს მიდამო,  
ეგზომ ტურფა და საუცხოვო. ჩემი ხარ შენცა, ყოველივე  
ამის გვირგვინო! ჰა, ჩემი გული-შენი ტახტი, ზედ მეფედ დაჯექ!

**ქალბატონი.** ო, ჩემო კარგო! მე კი არა, შენა ხარ მეფე  
ჩემი სხეულის, ჩემი სულის, ჩემი არსების; ნუ ამამალღებ ასე  
დიდათ, ღირსი არა ვარ! ჩემი ვალია, მხოლოდ მაშინ, როს  
კმუნვა რამე მოჰბურავს ამ შენს ვაჟკაცურსა პირის სახესა.  
ჩემის სინაზით განვიბნო და განვიქარვო, რომ უზრუნველათ  
განცხრებოდე შენს სამეფოში.

**ბატონი.** რა კარგი რამ ხარ, თვალის ჩინო, სულზე უტკ-  
ბესო!

(ეალერსებიან ერთმანეთს)

ეხლა მივხედოთ ჩვენს სუფრასაც.

(აქ მუსიკა შეწყდება)

ო, აგერ მათეც. რას შვრები, მათე? აბა როგორ ხარ?

**მოხუცი მს.** შენი წყალობა ნუ მომაკლოს, დიდო ბატონო! შიშვით სული თქვენისა და ღვთის მოწყალებით.

**ბატონი.** აჰა! სხვები? ხომ ყველა კმაყოფილია ახალის ბინითა და სამსახურით? ხომ არა აკლიათ-რა?

**მოხუცი მს.** რა ეკოდებათ, მწყალობელო ბატონო!

(ერთს ბღვერით გადაჰხედავს მსახურებს და მერე ბატონს)

ყველა კმაყოფილი გახლავს, შენი რისხვა ნუ მომეცემა.

**ბატონი.** ჩვენი რისხვა!.. ო, არა დღეს კარგს გუნებაზე ვარ. პირ-იქით დღეს მინდა დიგასაჩუქროთ კიდევ...

**თითქმის ყველა მსახურთაგანი.** { თქვენი წყალობა ნუ მოგვიშალოს, ბატონო!

**ბატონი.** სადილი მზათ არის?

**მოხუცი მს.** მზათ გახლავს, მწყალობელო ბატონო!

**ბატონი.** მაშ, კარგი! შენთვის მათე მომიცია ქაქუჩას ნავე-ნახევი, ვიცი რომ დიდი ხანია თვალი გეკირა იმაზე.

**მოხუცი მს.**

(მუხლებზე დაეარდება და სიხარულით ლულულღებს და თან ბატონს კალთას უკოცნის).

ოჰ, ბატონო... ბატონო!

**ბატონი.** დიდი ნაერდგულევი კაცი ხარ... გერგება... ბევრი ამაგი მიგიძღვის ჩვენს ოჯახზე.

**მოხუცი მს.**

(ნელ-ნელა წამოდგება)

ღმერთმა გააძლიეროს და გაამტკიცოს შენი ოჯახი, მწყალობელო, ბატონო. უხვი და სამართლიანი გვეყვებარ, შენი ქირის სანაცვლოთ იყოს ჩემი თავი!

**ბატონი.**

(ერთ-ერთს)

შენთვის აგრეთვე ერთგული სამსახურისათვის მიწყალობე-ბია ორი დღიური ალაგი გიუმაქურის ნაპირზე...

(ვისაც მიმართა, მუხლებზე დაეარდება და კალთას უკოცნის. ასე სჩადის ყველა მორიგისათ)

შენთვის ჩემი არაბული ტაიჯი, კარგი მხედარი ხარ; შენთვის ჩემი აღმასურა ხმალი, კენწლაობაში კარგი უნარი გამოიჩინე; დანარჩენებს ათი ოქრო, ჩემს მოლარეს მიმართეთ და ის გად-მოგცემთ.

**მსახურნი.** ბატონი გვიდღეგრძელა ღმერთმა! მისი წყალო-  
ბა ნუ მოგვაკლოს.

**ბატონი.** (ყველაზე უმტროს)

მართლა, შენთვის ნება მომიცია ცოლად წაიყვანო მარგა-  
ლიტა, გავიგე რომ ეტრფიალეები.

(უმტროსი მსახურიც სიწითლისგან გა-  
ქარხლებული ეამბორება ბატონს)

ოჰ რა კარგია,

(ცოლს)

თვალის ჩინო, როდესაც შეგიძლიან ადამიანებს მიანიჭო ბედ-  
ნიერება.

**ქალბატონი.** სადაც შენ დახვალ, თან გღვეს შუქი ბედნიე-  
რების და შენთან მყოფნიც ამ შუქითა ნათელ არიან.

**ბატონი.** ეხლა კი დავსხდეთ. ვალმოხდილებს ღვინო უფრო  
შეგვევრგება! ჩუ, ეს ვინ არის. მგონი კიბეზედ ამოვიდა...

**მწირი-ბერი.** მე ღვთის კაცი ვარ, მწირი-ბერი.

**ბატონი.** აჰა, მობრძანდი! ჩვენს სუფრაზე ალაგს იპოვი.

**ქალბატონი.** (უკმაყოფილოთ)

რათ გინდა, აბა? ვერ ხედავ როგორ თმა და წვერი გაბურ-  
ძნული აქვს! გლახაა ვილაც.

**ბატონი.** როგორ იქნება! ღვთის კაცია... და ღმერთი ხომ  
უნდა გვახსოვდეს. მობრძანდი ბერო, გასტეხე ჩვენთან პური...

**მწირი-ბერი.** აჰა მშვიდობა! კურთხეულ იყოს ეს ოჯახი  
უკუნისამდე.

(ნელა-ნელა წინ მოდის)

ბევრი ვიარე, სად არ ვიყავ, რომელ ქვეყანას?! რა არ მი-  
ნახავს! მაგრამ ასე მშვენი ბუნება არ განმიცდია ყოვლისფრამ-  
დე ესრეთ შემკული, დიდ ჭირს განიცდის ჩვენი რჯული კი-  
ლითი-კიდე, მაგრამ თუ ქვეყნათ იქნებიან შენისთანები—სტუ-  
მართ-მოყვარე, ქველმოქმედი, ღია გულისა.—არა გვიჭირს-რა.  
წარმომგზავნა მე აქ განგებამ, რომ გავაშენო რჯულის ბურ-  
ჯათ აქ მონასტერი, ამისთვის შენი შემწეობა მჭირდება ფრიად.

**ბატონი.** ჯერეთ დაბრძანდი, მოისვენე, პური მიირთვი, გაი-  
ზიარე, რაც ჩვენთვის ღმერთს მოუვლენია და შემდეგ თუ კი  
რამე ღონე მომეპოება, თავს არ დაუშურავ ღვთის საამურ ამა  
საქმისთვის. მოართვით ჯილა შესაფერი, თავს დასარქმელი, ომ-  
ფორ-ბისონი და სარტყელი ოქრო-ქსოვილი.

(მსახურთ მთავრად ოქრო-ქსოვილი სამოსი და ჯილა. ბერი იმოსება, მუსიკა საზაიმიო რამეს უკრავს)

**ბერი.** მე არ შევმცდარვარ, არ შევმცდარა ჩემი განგება! აქ ფეხს მოვიდგამ, ჩემი ბედი გამობრწყინდება!

**ბატონი.** (ბერს) დახე ამ ჯილას, რა ძველია, წმინდა ხელობის...

(მსახურთ)

მართლა, სასახლის ეკლესია ხომ განამშვენეთ?

(ბერს)

ან ეს სარტყელი როგორია? მის ოქრო-მკედი თვის სათნო ხელით ეგ მოქსოვა ბებია ჩემმა.

(უცბად შეხედავს შემოსილ ბერს)

როგორ დამშვენდი, მწირო-ბერო, შესამოსელში, თითქო დაგადგა ცის ნათელი გაშლილს სახეში! მოართვით წყალი სუნელი და ნელ-საცხებელი.

(მოართმევენ. ბერი ხელს იბანს)

ხელსა ვემთხვიოთ და მეუფეს ვუწოდებდეთ მას!

(ჯერ თვითონ და მისი ცოლი ემთხვევა ბერს ხელზე და შემდეგ სხვებიც მათ მაგალითს მისდევენ)

**ბატონი.** ესრეთ ბრწყინავდეს სამუდამოთ ნათელი შენი!

ეხლა კი დაესხდეთ.

**ბერი.** მაშ, იკურთხოს ეს ჩვენი სუფრა და არ მოაკლდეს იმას წყარო შემოსავლისა.

(სხდებიან. მუსიკა შეწყდება)

**ბატონი.** მხოლოდ ეხლა კი უნდა მოგახსენო, მეუფეო, რომ სამონასტრო ადგილი მართლა საუცხოვო მაქვს. განმარტოვე ბული ადგილი, მყუდრო, მაღლობზე მშვენიერ ხეივანარით შემკული, შიგ კამკამა წყაროები, ჩვენი გიყ-მაჟურაც გვერდს უფლის...

**მოხ. მსახ.**

(შორიდან მოკრძალებით)

მერე რა კალმანები იცის იმ ადგილას, მწყალობელო ბატონო...

**ბატონი.** ჰო კალმანებიც... მართლა თითქო განგებ სამონასტროთ გაჩენილია. მშვენიერი ბალისა და ვენახის გაშენებაც შეიძლება. ტაძრებისა და საყუდარის ასაშენებლათაც ქვა-იქვეა ახლოს მოსატეხი, საუცხოვო, მტრედის ფერისა. იმის

მომტვრევას, კირის დაწვას და ყოველგვ ამის შრომას შევა-  
წერ იმ ადგილს ახლო მისახლებულ ჩემს გლეხებს...

**მობ. მს.**

(თითქოს თავისთვის იოცებს)

მმ!..

**ბატონი.** და შემდეგ ყველა იმათ თავიანთ მებატონეებთან, აზნაურებითურთ თავისის საძებრითა და უძებრით შემოვწი-  
რავ თქვენს მონასტერს...

**მობ. მს.**

(კიდევ უფრო წყნით და უფრო მალლა)

მმ!

**ბატონი.** რა იყო, მათე? ნუ გეშინია, შენი ქაქუჩას ნავენა-  
ხევი იქით რჩება.

**მობ. მს.**

(თავს მოიქექს)

კი ბატონო, იქით რჩება!

**ბერი.**

(ბატონს)

გაკურთხოს ზეციერმა. ყოველივე ეს შენი მოქმედება და-  
უვიწყარი იქნება საშვილიშვილოთ. კურთხევაუფლისა არ მო-  
გეშლება ამიერიდან.

**ბატონი.**

(მსახურთ)

ამცნეთ სახლთ-უხუცესს, რომ დიდს ეტრატზედ ჩემი შე-  
წირულების სიგელი დააწერინოს პეტრემწერალსა. იგი სხვაზე  
უფრო ნიჭიერი და გამჭრიახი მწერალია.

(ერთი მსახურთაგანი გავა)

**ბერი.** იყავ კურთხეულ უკუნისამდე!

**ბატონი.** ეხლა, მამაო, თან შეექცეოთ და თან გვიამ-  
ბეთ წმინდა ქვეყნების ამბავი.

**1-ლი მსახ.**

(შემოდის)

მწყალობელო ბატონო, მეცნიერი და მგოსანი გიახლენ! თქვენს  
ხილვას ლამიან.

**ბატონი.** ოო, ჩვენი სახლის კარი ღიაა მუდამ მათთვის.  
ჩვენი სუფრა იხარებს მათი მოსვლით. მართლა, მეუფეო,  
თქვენ ხომ არ იქმნებით წინაღმდეგი?

**ბერი.** ოო, მეცნიერს მე მუდამ თაყვანს ვცემ, სანამ იგი  
ჩემს ეზოში არ გადმოაბიჯებს...

(ცბიერათ ჩაიცინებს)

მაშინ კი, სირცხვილელუღი მირბის უკან.

**ბატონი.** ო, რა თქმა უნდა.

**ბერი.** და მგოსანი?

(თითქოს აგდებით)

სულ ერთია. ამ მხიარულ კაცს მე თითქმის არაფერში არ ვეწინააღმდეგები. პატივსაც კი ვცემ მის ნიქს: ზოგჯერ საღმრთო საგნებამდისაც კი მალღდება. ორივეს ვიცნობ კარგათ. გზაში ბევრჯერ შემხვედრიან ორივენი, თუმცა ერთად არასოდეს არ გვიმგზავრია. იმათ უნდოდათ, მგონი, მაგრამ მე უარყავი.., მაინცა და მაინც მოუსვენარი ხალხია.

**ბატონი.** მაშ, თანახმა ხართ, რომ შემოვიდნენ?

**ბერი.** თანახმა ვარ.

**ბატონი.**

(ცოლს)

შენა, თვალის ჩინო, შენ ხომ არ იქმნები წინააღმდეგი? მგოსანს, ვიცი ეტრფიალები კიდევ... არა, კი არ ვეპვიანობ... და არც გიწუნებ. მოხდენილი კაცია. მისი ტრფიალი აკეთილშობილებს ადამიანის სულსა და გულს. მხოლოდ მეცნიერი არ მოგწონს, მგონი. მართალია, ახირებული კაცია. თავის დაქერა არ იცის სრულიად. მუდამ გათითხნილი, მუდამ რაღაც ქვებით და ბალახ-ბულახით აღქურვილი დაიარება. უბრალოთ სიტყვას ვერ ათქმევინებ. პირფერობაც არ უყვარს სრულიად. სულ სინამდვილე, სულ სინამდვილე! მართალია, მოსაწყენია. მაინც რას იზამ. ძვირფასი გონების პატრონი კაცია. საპატიოა. დაუძახეთ, სთხოვეთ ორივეს.

(მსახური გადის და შემოჰყავს ეროპიულათ, დაუდევართ ჩაცმული მეცნიერი; ფარგლებით, ქვებით, ბალახ-ბულახით და ეტრატებით აღქურვილი; მას მოსდევს მგოსანი ხელში პალიტრა და ქნარი უჭირავს. საერთო მისაღმება. მხოლოდ ბერი არ დგება თავის ადგილიდან და არც ანლად მოსულეები ემთხვევიან იმას ხელზე).

დიდათ მიხარის, თქვენმა სიცოცხლემ, რომ დაგვეწვიეთ. ჩენი სუფრა დამშვენდება თქვენით. მობრძანდით. ჩენს სუფრაზე თამამად დაეტვეით. ადგილი ბევრია.

(სხდებიან: შუაზე ბატონი და ქალბატონი. ერთ თავში ბერი, მეორეში—მეცნიერი, ქალს მგოსანი მოუჯდება. ბერსა და ბატონს შუა ადგილი ცალიერია).

**მგოსანი.** კი ვიცი კარგათ, რომ სუფრაზე ადგილი ჩვენც ვეკავს. იმას ვერაფერ ვერ წაგვართმევს, მაგრამ მე ეს მაკვირვებს, რა დიდი გემოვნების კაცი ხარ, ღმერთო ჩემო!

(გადახედავს ქალბატონს. ის სიამოვნებით თვალებს დაწყურავს).

რა საუცხოოვო სანახაობა გეშლება კაცს აქ თვალ წინ. მთები, გორები, მდინარე, ველი! ეს ჩემი მუღამ მუზის მომგვრელი. ეს ჩემი მსხნელი, ეს ჩემი მწველი!

**ბატონი.** ოჰო, ეხლავ დაიწყე?

**მგოსანი.** რაღას უყურო!

(ქალბატონისაკენ აქვს პირი მიქცეული)

მას ვეტრფი მარად, მას ვეტრფი მარად!

**ბატონი.**

(მოღუშული)

ეს ვის?

**მგოსანი.**

(სიცილით)

ბუნებას, რასაკვირველია, სილამაზეს. იგია ჩემი ღეთაება!

**ბერი.**

(თითს დაუქნევს)

ნუ ხარ უქკუო! აბა, რას ამბობ!

**მგოსანი.** უქკუო! რა უყოთ მერე! თუ კი ესეთი გაჩენილვარ... მაგრამ, ბატონებო... ბატონებო... ვინა სთქვა ეგა... საიდან მოიტანეს რომ უქკუო ვარ...

**მეცნიერი.**

(გამომეტყველის სახით გადახედავს. ეტყობა რომ ავღებით ეპყრობა მგოსანს).

**მგოსანი.** ოო, შენ ურწმუნო ნუ ხარ. უქკუობა კი არა, მართალი თუ გინდათ ეს არის, რომ გრძნობას აყოლილი კაცი ვარ, მაგრამ რას იზამ! ესე ვარ გაჩენილი; მინდა ვიმღერო, მინდა ქნარი ავაუღერო, რომ შიგ გამოსთქვა ჩემი სევდა, ჩემი სიხარული, ჩემი განცვიფრება, ჩემი ზეამი, ჩემი მრისხანება, ჩემი სიბრალოელი, ჩემი სიძულვილი, ჩემი სიყვარული... ეს ყველა იმისთვის, რომ კაცთა შორისაც მოვფინო საერთო სიყვარული სილამაზისა. სილამაზე ეს სიკეთეა ჩემს ენაზე, სიკეთე კი კეთილდღეობა კაცთა ნათესავისა და აი ამ

დიად გრძნობისთვის მინდა ავაძგერო მისი გული. მინდა ხატ-  
ვაც და აბა როგორ უნდა გადმოგცეთ ის ფერთა გარიგებუ-  
ლობა, ის საკვირველი ჰარმონია, რომელიც არსებობს ჩვენს  
გარშემო, დიადს ბუნებაში. აბა, როგორ არ უნდა გამოვიწ-  
ვიო ის თაყვანისცემა სილამაზისა და სიკეთისა, რომელიც  
თქვენს სულსა და გულში უნდა უცხო შუქათ ჩამდინარებ-  
დეს. მინდა მეტყველება სიტყვა-კაზმული, რომ გული აგი-  
ჩქროლოთ, რომ სულით დაცემულნი გავამხნეო, დავრღო-  
მილებს ვსცე რამ ნუგეში, მხნენი და გაბედულნი ბრძოლით  
ვიწვიო, შურსა და მტრობას თავს დავცე მეხი და კაცობრი-  
ობას ვუქადაგო საერთო უკეთესი მომავალი, როდესაც ყოვე-  
ლივე გარიგებული იქნება, ვით დიდი ბუნებისა უცხო ჰარ-  
მონია.

**ქალბატონი.** რა მოხდენილი ვაქვაცია!

**ბატონი.** არა თუ! ხომ გითხარი!

**მეცნიერი.** ოჰო-ჰო! გააბა თავისი აქია-ბაქია! დამიხსენით,  
დამიხსენით, ამ კაცისაგან! რას გადამეკიდა?! ჩემი არა ესმის-  
რა, მაგრამ მაინც ყველგან დამდევს კულში. მუშაობას მიშ-  
ლის, მაცდენს. არა, რომ არ მშორდება! ღმერთო შეგცოდე  
და ზოგჯერ, ისეთ ხრამებზე გადავატარებ ხოლმე — ეგებ სადმე  
წაიმტვრეს-მეთქი, არ ვინაღვლებდი. ის კი არა, ერთს თავისუ-  
ფლადაც ამოვისუნთქავდი. მაგრამ ზღაპრული ქინკაა ნამდვი-  
ლათ, ისეთი მარდი ტანი აქვს, რომ... რა ვიცი...

**მგოსანი.** აჰა, მაშ ეგრე, ჩემო ძმაო. ეგ არის სიკეთის  
მაგიერი, მაგრამ ეჰ... უმადურობა რა გასაკვირია! შე-უბედუ-  
რო, მე რომ არ ვიყო ხომ სულ დაილუპებოდი... ვინ გაგი-  
ვონებდა... შენის „სინამდვილით“ ხომ სულ გამოულაყებდი  
ტვინს ადამიანებს. მე კი აქ ზღაპრულათ ჩამოუარაკებ, იქ  
ლექსათ ავხმაურდები, იქ კიდევ მატყანეს ჩაუბოხისხმინებ,  
ზოგჯერაც მუსიკათ აველერდები, ზოგჯერ ფერად სურათად  
გამოვეფინები. ხან ავცეკვდები, ხან ავმღერდები და ასე ყო-  
ველი მხრით ალაპარაკებული უფრო ადვილათ და იოლათ  
ნივალწევ ადამიანის გულის ყურსა. ისიც, ამ გვართ ჩემგან  
გამოწაფული და გონება შეთამაშებული, შემდეგში ისე იმღე-

ნათ აღარ უფროთხის შენს „სინამდვილეს“. თორემ მარტო შენ რომ გელაპარაკნა და გაუმშენიერებლათ მარტო შენი სინამდვილე მიგეწვდინა ხალხისათვის ერთის მხრით ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთს შეიქმდი ამ ქვეყნად. მერე განა შენ ეგ გინდა. ოო, კარგათ ვიცნობ შენს კაცობრიობისათვის შექირვებულს და შეწუხებულს გულს. განა არ ვიცი, რომ შენი „სინამდვილეები“ მის საშველათ და დასახსნელათ გინდა? ვიცი კარგათ და ამიტომაცა გეთაყვანები. მაგრამ ეს კარგათ დაიხსომე, რომ შენ უჩემოთ არ ვარგინარ. ჯერ მე უნდა შეგიძღვე—დიდებულთა სასახლეა იგი—თუ ღარიბის ქოხი—და მერე შენც შებრძანდები. აი, რა სამსახურს გიწვევ მე. ნიადგს გიზადებ. თორემ ისე უჩემოთ რომ კარს მიადგე, პანლურით გამოგისტუმრებენ, პანლურით!..

**მეცნიერი.** გამაღლობთ, დიდათ გამაღლობთ სამსახურისათვის. კმარა, გეყოფა. თუ მაინცა და მაინც ვიტყვით შენ მაშინ იყავ საქირო, როცა ხალხს ზღაპრები აკმაყოფილებდა, ენლა კი ეს ხალხი წამოიზარდა. გესმის, წამოიზარდა! მაგრამ აბა, შენ რას გაიგებ პაპა შენი თამაში იყო.

**მგოსანი.** წინაპრების ხსენება ნუ იქნება, თორემ ჩვენს სუფრაზე არის ისეთი ვინმეც, რომელსაც შეუძლია თავის შთამომავლობა წამოგვაყვედროს. ჩვენთვის ისიც კმარა, რომ ორივენი ერთი მეორის ბიძაშვილები ვართ, შთამომავლობით ბერძნები.

**მეცნიერი.** ჩვენს სუფრაზე ვინც უნდა იყოს მე არავისა მერცხვინება.

**ბატონი.**

(ოლს)

ეგ როგორ, ყველა „ჩვენს სუფრას“ გაიძახის?

**მეცნიერი.** მე ფილოსოფოსების შთამომავალი ვარ და სასირცხო არა მქირს-რა:

**მგოსანი.**

(ბატონს)

რა ბრძანეთ თქვენა? მგონი გიკვირთ, რომ ყველანი „ჩვენს სუფრას“ გავიძახით?

**ბატონი.** არა, რაზე იკადრებთ. დაუძახეთ, ჩემო ბატონო!

**მგოსანი.** არა, მასპინძლური დარდიმანდობა არაფერი საქირო არ არის.

**ბატონი.** (წყენით)

როგორ?

**მგოსანი.** ისე რომ ეს სუფრა ჩვენ ყველას გვეკუთვნის.

**მეცნიერი.** ეგ რა მეტყველობა იყო?

**მგოსანი.** მხილებითი.

**მეცნიერი.** დიად... დიად... ჩვენ და კიდევ სხვებსაც, ისინი ჯერ აქ არ იმყოფებიან.

**ბატონი.** ((ნაწყენია))

მართლა!... მათე! ეს რას ნიშნავს? ვისთვისაა ეს ალაგი დამზადებული? რა საჭირო იყო?

**მეცნიერი.** მანდ დაჯდება კაპიტალისტი.

**მგოსანი.** ესე ამბობს სინამდვილე?

**მეცნიერი.** სწორეთ!

**ბატონი.** ვინა? როგორა სთქვით?

**მეცნიერი.** კაპიტალისტი.

**ბატონი.** კა...პი...ტალ... ნეტავ რას ნიშნავს? მათე, არ გესმის რათ გააწყვე ეს ალაგი?

**მოხ. მს.** ქალბატონმა გვიბრძანა, დიდო ბატონო.

**ბატონი.** (ცოტა უფრო რბილათ ცოლს)

შენა, თვალის ჩინო?

**ქალბატონი.** დიად, მბრძანებელო! გავიგე რომ ახლოს მოსულიყო ფულიანი. ვიცოდი რომ ჩვენდა დაუძახებლათაც მოვიდოდა და ამიტომაც ვუბრძანე ეგ შეექვსე ალაგიც დაემზადებინათ.

**ბატონი.** როგორ? მაშ შენ ყველა ამათი მოსვლა იცოდი?

**ქალბატონი.** თითქმის, მბრძანებელო! ვიცოდი რომ ეს ორნი აქ მთებში ახლო მოგზაურობდნენ და საფინიცობოთ მათთვისაც დავამზადებინე ალაგი. არ მოველოდი მხოლოდ... მომიტევეთ, მეუფეო... მე მეგონა პირდაპირ ფენისკოპოსი გვეწვეოდა. მერე კიდევ სასულიერო პირი სულ სხვა გვარ მყავდა წარმოდგენილი... მე ის ქალთა სქესის მეგონა...

**ბერი.** მოგიტეოს, შვილო, უფალმა...

**ბატონი.** დახედეთ ქალებს? რა გამჭირიანებიც არიან ზოგჯერ! ასე გგონია არა იციან რაო, მაგრამ, თურმე, მეტიც იციან. თუმცა არაფერი საჭიროა მისი აქ ჯდომა.

**ქალბატონი.** რა ექნათ, მბრძანებელო, რომ შეუძლებელია. რა კი გაჩნდა, ამ მხარეშიც უთუოთ მოვა.

**მეცნიერი.** მართალს ამბობს მანდილოსანი...

**ქალბატონი.** ჰმ... მანდილოსანი.

**მეცნიერი.** რა კი გაჩნდა, უთუოთ მოვა.

**ბერი.** სულ ვერ ვიცნობ.

**მეცნიერი.** არც არას მოიგებთ იმის გაცნობისაგან.

**ბატონი.** ტუტუცი ყოფილა...

**მეცნიერი.** დიალ, თქვენსავით ზრდილობიანი არ არის. თქვენსავით „ჩვენი სუფრაო“ არ იტყვის, „ჩემიაო“ პირდაპირ გადასკრის.

**ბერი.** (ცოტა წამოიწევა)

უკაცრავათ, სანამ მე ამ სუფრას ვუზივარ, მანამ „ჩემიაო“ არავის ვათქმევინებ.

**ბატონი.** ოჰო!

**მობ. მს.** (თითქოს თავისთვის)

ეს რა ხალხი შემოკრბა!

**ქალბატონი.** ვერას გააწყობ, საჭირო კაცია, მბრძანებელო!

**ბატონი.** საჭირო?

**ქალბატონი.** ამ დღეებში ოთარის მამული უყიდია.

**ბატონი.** როგორ? ხმლით შეძენილი, მამული უყიდია ფულით?

**ქალბატონი.** დიალ, სწორედ ესეა.

**ბატონი.** (წამოიყვირებს)

აჰ, ღმერთო ჩემო! ეს ის ხომ არ არის...

(პაუზის შემდეგ, კილო შეცვლილი)

• მაგისი მეც მმართვეს ცოტა...

(შემოდის ფულიანი, ვერაძიულათ ჩაცმული, გაქლექილი სახის კაცი)

**ფულიანი.** აჰა, მეც მოვედი. გამარჯვება თქვენი. როგორ დაღონებული სხედხართ? ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინათ? არა, ვიცი რომ არაფრათ გიამათ, მაგრამ რას იზამთ! ეს გარდუვალი რამ იყო. უთუოთ ასე უნდა მომხდარიყო. ისე წაიყვანეთ საქმე, რომ ამ სუფრაზე ადგილი მეც უნდა დამეკირა და მერე რა ადგილი... უკაცრავათ! ხა, ხა, ხა! ამ ბერს დამიხე-

დეთ! როგორ ინდოურივით გაფუყულა... ხა, ხა! ბერო, ბერო, სულის მტერო! მაგრამ მაინც ვახლავარ შენს მეუფებას. ჯერ ვახლავარ... მე ლიბერალი კაცი ვარ, მომთმენი, შემგულებელი, ილოცე რამდენიც გინდა, მოგიმთმენ. და... მოგიხმარ. იჯექი სუფრაზე, ვერას დამიშლი. ბიჭო! რათ არ ჩამომართმევთ მოსასხამს... ქუდს... აა!!

(მიდის მოხუც მსახურთან, ქისას ამოიღებს და ოკროს ჩაუდებს ხელში)

(ვერ გაუბედნია აიღოს თუ არა)

**მოხ. მს.**

ეს რა არის?

**ფულიანი.** შენი საჩუქარი. ჩამომართვი მოსასხამი.

**მოხ. მს.**

(ღრეკით ართმევს)

**ფულიანი.**

(გადუყრის სხეებს ფულებს)

აჰა, თქვენც წაიღეთ.

(მოცვივდებიან. ზოგი ქუდს ართმევს, ზოგი ჯოხს. შემდეგ მსახურნი ნელ-ნელა ყველანი გაიკრიბებიან)

**ბატონი.** კარგია, ერთი, სად გგონიათ თქვენი თავი? საქარაენოში ხომ არა! ნუ მირყენით მსახურებს.

**ფულიანი.** ნუ ვრყენი? ჰო, რაც გინდათ ის დაარქვით. მხოლოდ ეს ცხოვრებაა. ხედავთ ბიჭებს როგორ გამოცოცხლდნენ.

(ფულს გამოსახავს)

უამისოთ ნი-ნი! ამითი კი ყველაფერი იქნება. ამითი ვარ მე ძლიერი. ამითი ვყიდულობ ყოველის ფერს. ამითივე შევიძინე ოთარის მამული... ხა-ხა! შენც გმართებს, კნიაზო, ცოტაოდენი... მაგრამ არფერია... ჯერ ერთი სუფრას მიეუჯდე, ქეიფი მინდა... ოჰ, ჩემი უმდაბლესი სალამი კნეინა ბატონს.

(ხელზე აკოცებს და გადავა თავის ადგილას)

კარგი ქალი გყოლია, კნიაზო! ჰა? გემო კი გქონია.

(ჯდება)

**ბატონი.**

(აენთება),

გაგაგდებ, მამაჩემი ნუ წამიწყდება!

**ფულიანი.** ხა-ხა! შენ გაგაგდებ? ცხოვრებამ აქეთ შემომგადო და ახლა შენ გაგაგდებ აქედან. მაგის ღონე არა გაქვს,

კნიაზო! ბიჭებს რომ უბრძანო, სადა გყავს? აბა, გაიხედე! სად არიან? ჩემმა ოქრომ გაიბზრიალა, ეს სხვანაირი მუსიკაა, სხვანაირი აცეკვება იცის... ეხლა მშვიდობით, ყველა მოწამლულია. ეხლა მარტო ჩემს დაძახებას დაუჯერებენ. აღარც მათეა, შენი ერთგული მათე. ეეჰ, ესეა, კნიაზო, ცხოვრება. ჩარხი წაღმა-უკულმა ტრიალებს. რაც გინახავს, ველარ ნახავ!

(მგოსანზე უჩვენებს)

მაგის გამოთქმულია, ჩემი არ გეგონოს. მე ისე ვიცი. მე ყველაფერი ვიცი. ის რაც ყოფილა და რაც არის... რაც იქნება!

(ჩაფიქრდება)

არაფერი არ იქნება! კიდევ მე ვიქნები და ჩემი ძალა. აა, კნიაზო გამხიარული შენცა. „გულ-ჩახვეული ნუ ხარო!“ ერთი გადავკრათ!

(სვამს)

მშვენიერი ღვინოა! სანაქებო! პირის გემო კი იცოდი. აა, კნიაზო!

„ღვინო, დუდუკი, ქალები!“ მაგრამ „მოგკვეცეს ბრკყალები! ეგეც მაგის გამოთქმულია... მე დავაწერინე. ეგეც მოსყიდული მყავს.

**მგოსანი.** ცრუობ. თავისუფალ, წმინდა ხელოვნებას შენ ვერ მოისყიდი.

**ფულიანი.** მოსყიდული მყევხარ, მოსყიდული! მაგრამ ფულს უფრო მაშინ იღებს, როდესაც კარგათ აცვია, როდესაც მძღარია. ო, ჩაცმა-დახურვა უყვარს საშინელი. ძვირი უჯდება და ამიტომაც... ჩემზეა დამოკიდებული. ზოგჯერ მეც მომხვდება, მაგის მათრახები და მერე რა მწვავეა, რომ იცოდე, მაგრამ, წარმოიდგინე, მახარებს მისი რტყმევა და ამ მათრახებს თვითონ მე ვყიდულობ, ესეც ერთგვარი სპორტია, გიმნასტიკა. ერთი გენერალი თავის მოსამსახურე ხელტორიან გოგოს, თურმე, ფულს აძლევდა—მცემე კარგათო. ან ჩვენი მექისეები ხომ იცი. შეგდგება ზურგზე და... სხლიპ... კონტათ გადმოკურდება. ძვლებმა ტკრციალი მოიღეს, გგონია თუ დაიმტვერ, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არ იმტვრევი.

პირიქით მასაყის შემდეგ თავს ძალიან მჩატეთა და მსუბუქათ გრძნობ. სიმარღე გემატება.

(სვამს)

ესეა, ვყიდულობ ყოველივეს თვით ნიქსა და კაცის სხვა შრომა-გარჯასაც კი ვყიდულობ, მირტყამენ, მჩქმეტენ და მკბენენ, მაგრამ მე ვკოტრიალობ, ვიცინი და მიხარია—მელიტი-ნება.

(სვამს)

ოჰ, მშენიერი ღვინოა!.. დიად, ჩემზე გავლენა არა აქვს იმეებს, შენსავით ნაზი კანი არა მაქვს, კნიაზო! ესეც ბელია, ალბათ. ამიტომაც ყველა მემორჩილება, ყველა ფეხქვეშ მეგება. მხოლოდ ამას.

(მეცნიერზე)

ვერაფერი ვერ მოუხერხე. რამდენათაც ის ოხერია, ზოგჯერ მიეთ-მოეთი და თავის უბედური კაცია, დაუდგომელი, მოუსვენარი, ხან ზეცაშია, ხან ქვესკნელში. იმდენათ ეს საფუძვლიანი, დაკვირვებული, ნაღდიმუშაა საწყალი. მაგის წინაშე ქედს ვიხრი. მხოლოდ ესაა, ვირია, ნამდვილი ვირი... ახ, მილ-პარდონ, კნენა! მიდის ჯიქურ, ვერსაით ვერ გაახრევენებ. მაგრამ მაგას მოწაფეები ჰყავს. მაგის სახელით ცხოვრობენ. მთლათ საესეა „იმათით“ მთელი ქვეყანა. ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები, ვექილები და სხვა და სხვა. ისინი კი, იცოცხლე, შემიძლიან როგორც მინდა, ისე ვატრიალო. ვატრიალებ კიდევ.

**ბატონი.** ძალიან მოურიდებელი კაცი კი ხარ.

**ფულიანი.** ჰმ... მოურიდებელი? მოურიდებელი კი არა, სიპართლის მოყვარე, პირამთქმელი.

(მეცნიერზე)

ეგეც ეგეთია, მაგრამ ეგ სხვა მხრით... მე კი...

**მგოსანი.** შენ ცინიკი ხარ... არაფერი წმინდა არა გაქვს.

**ფულიანი.** შენა გგონია?.. მაშ ჩემი მორალისტები არაფერს ნიშნავს?

**მგოსანი.** უმრავლესობა შენ არ გეკუთვნის და ვინც გეკუთვნის ისინი კი მეწერილმანეები არიან კეთილშობილობის

მოსასხამში გახვეულნი. შენ ყოველივე უმწიკვლო სიმაღლიდან ქვე-ჩამოიყვანე და გაათახსირე, ყოველივე უმანკობას რიდე აჰხადე და ესე შიშველი, საცმელ-შემოძარცული დაგყავს ეხლა, თუმცა თვითონ კი თვალებს ხუჭავ თითქო ვერ ჰხედავდე.

**ფულიანი.** ვერ არის ისე მწვაფი მათრახები, თორემ მიაბეზოდა. აკი ვთქვი, რომ მიყვარს ესეთი გიმნასტიკა-მეთქი. შენის პოეტურის შედარებით გინდა დანაშაულობათ ის ჩამითვალო, რაც მე ჩემს საამაყო და სასიკაძულო საქმეთ მიმაჩნია. ის, რომ მე გავადემოკრატე ყოველივე ამ ქვეყნად. იმას, რასაც წინეთ მხოლოდ თითო-ოროლა სწირავდა თავის სიცოცხლეს და მხოლოდ თითო-ოროლას გასაგები იყო, მე მთელი მასსა მივუსიე, მთელი ჯოგი და ჯარი მივახვიე და ყველას ხელმისაწვდომათ გავხადე-ხელოვნება, მეცნიერება, საბრძოლველი იარაღები ამ ცხოვრებაში. შენ კი ამას მაყვედრი, პასივიში გინდა ჩამითვალო. რას იტყვის ისტორია, მეცნიერო?

**მეცნიერი.** შენზე? შენს ღირსებებს და დამსახურებას არ წავართმევს.

**ფულიანი.** აი, ხომ ხედავ. თვით სიმართლევ ვერ გაექცევა ჩემს დამსახურებას. ბედნიერი და ძლიერი ის არის, ვისაც ცხოვრებაში თავისი კეთილდღეობა აწმყოშიაც განუმტკიცებია და მომავალშიც თავის დამსახურება დაუვიწყარ უყვია. თუნდა მისი სიცოცხლის ზოგი ნაბიჯი უსამართლოც იყოს და ულმობელი.

**მგოსანი.** აი, შენი ცინიზმიც! რა კი დღეს ძლიერი ხარ, რაკი ისტორიაც ზოგ შენს დამსახურებას მოიხსენიებს, სხვისი დარდი არათრის არა გაქვს. დარდი არა გაქვს იმისი, რომ გარყვენ ქვეყანა კაცის გულს გამოსწურე სიბრალული და მის სულს — აღმაფრენა...

**ფულიანი.** მავნებელია ორივე, თურმე. ჰაერში სად მივდივართ, ჩვენ მიწაც გვეყოფა. მიწიერნი ვართ, ბიწიერნი ვართ.  
(მეცნიერზე)

მაგან დაამტკიცა, მთელი ცხოვრება არსებობისათვის ბრძო-

ლააო, შენგან დასახელებული კი არც ერთი არ არის ბრძოლაში გამოსადეგი.

**ხმა გარედან.** არ შეიძლება-მეთქი. ნადიმათა სხედან...

**მეორე ხმა.** ისდნენ ნადიმათ. მე ხომ ვერ შევეზიარები. მე მხოლოდ სათხოვნელი მაქვს... მოახსენე...

**პირველი ხმა.** არ შეიძლება, ვერ მოვახსენებ.

**მეორე ხმა.** მხოლოდ ერთ წუთს... მუხლებში ჩაუვარდები.

**ბატონი.** ვინ არის მანდ?..

(წამოდგება, გასძახებს)

ეი, მათე! კაცია! ვინ არის? ოოჰ, ჩემი კვირიკე!.. ამოდი აქ... გაუშვი, ბიჭო, შემოვიდეს.

**გლეხი.**

(გლუხურ ტანისამოსში შემოდის)

ბატონი მიდღეგრძელა ღმერთმა!...

(კალთას უკოცნის)

**ბატონი.**

(მიდის სუფრასთან და ისევ თავის ადგილას სჯდება).

გამარჯვება, ჩემო კვირიკე!.. რა ამბავია ასე დაგვივიწყე?..

**გლეხი.** რა ვქნა, შენი ჭირიმე. მოგეხსენებათ წვრილი ცოლ-შვილის პატრონი გახლავართ, ათასი საქმე თავზე მახვევია და ვერ ვიხელთე დრო, რომ თქვენი მოწყალე სახე მენახა.

**ქალბატონი.** ჰო, არაფერია, ჩემო კვირიკე. მაკრინე როგორა გყავს?

**გლეხი.** გახლავს ღვთისა და თქვენის მოწყალეებით.

**ბატონი.** მოდი და დაგვლოცე.

(მიაწოდებს პაწია მოვერცხლილ ყანწს ღვინით საუესეს)

**მგოსანი.**

(თითქო თავისთვის)

„მხოლოდ შრომაში აღამებს ღვთისა, რადგან მას ხვედრად არგუნეს ესა!“

**გლეხი.** იღღეგრძელეთ, ბატონო, გაძლიერდით და გამოვლდით, თქვენი მოწყალეობა არ დაგვაკლოს...

(ბერს)

შენდობა, მეუფეო.

(დაღვეს).

**მგოსანი.**

(მეცნიერს)

აი, მოვიდა. ეტყობა რომ რალაც აწუხებს, მაგრამ ვერ გა-

უბედნია გამოსთქვას თავისი დარდი. მოვიდა სათხოვნელად...  
ოჰ, ეს მონობა!.. არა, არ შემძლიან ამის ყურება...

(აღგება და პირდაპირ აიენის მოაჯირს გადაეყრდნობა. სანახაობას გასცქერის. ხშირი ბინდ-ბუნდია უკვე. სადღაც ბულ-ბული უსტვენს).

„მაგრამ მოვა დრო, შენც განკაცდები, წართმეულ ნიქთა კვლავ მოიპოვებ, სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამალღდები, არც ვის ემონვი და არც იმონებ“...

**გლეხი.** დიდო ბატონო! ნუ შემირისხდები და... ერთი სათხოვნელი მაქვს...

**ბატონი.**

(შუბლს შეიკრავს)

სათხოვნელი? ჩემო კვირიკე, ხომ, ხედავ...

**ქალბატონი.** რა უყოთ, მერე!.. ისეთი რა იქნება? დღეს ისეთი დღეა, რომ... აკი თვითონა სთქვი, დღეს გაცემისა და დასაჩუქრების გუნებაზედა ვარო...

**ბატონი.** ჰო, კარგი. სთქვი, კვირიკე...

**გლეხი.**

(უჭირს თქმა)

მე ისა მაქვს სათხოვარი, რომ ახალი ბრძანება გაგიციათ და მონასტრის ასაგებათ მასალის დამზადება ჩვენთვის შემოგიწერიათ...

**ბერი.**

(უკვიტა ყურები)

როგორ? მაშ, ღვთის საამურ საქმეს არ გინდათ, რომ დახმარება გაუწიოთ?

**მეცნიერი.**

(ამოიღებს უბის წიგნს და რაღასაც სწერს)

**გლეხი.** არა, მეუფეო, აბა, როგორ არ გვინდა, მაგრამ ჩვენი მხარის გლეხებს მეტად ბევრი ბეგარა გვაქვს ისედაც დადებული და მეტი შრომა სულ გაგვაჩანაგებს, შენი ჭირიმე!

**ბატონი.** როგორ? თქვენა ბედავთ ჩემი ბრძანების წინააღმდეგ წახვიდეთ?

**გლეხი.** არა, შენი რისხვა ნუ მომეცემა! თქვენს ბრძმნებას, აბა, როგორ გადუხვევთ, მაგრამ...

**მგოსანი.**

(უცბათ მოტრიალდება, გლეხს)

სასწავლებელი აიშენე!

**ბერი.** განა ჩვენს მონასტრის სასწავლებელი არ ექნება?

**ფულიანი.** ჰოო, სასწავლებელი? მშვენიერი იდეა... მეც შემოგეწევით რამოდენიმე ათასს ოქროს... ააშენეთ, ააშენეთ. ეგ კარგი საქმეა, მე ჩემს ქვეყანაში სწორედ ამ სახალხო, დემოკრატიულმა სასწავლებელმა მიშველა... მეც იქიდანა ვარ... კარგი რჩევაა... ააშენეთ, ააშენეთ.

**გლეხი.** ჩვენ რა ვიცით, შენი ქირიმე... ჩვენ როგორც გვიბრძანებენ, ისე ვიქცევით... მაგრამ ამ ბოლოს დროს ძალიან გაგვიპირდა, თქვენი რისხვა ნუ მომეცემა... მეტის-მეტი ბევრი სამუშაო დაგვაწვა და ველარ ავუღივართ... აღარც ღონე... შენი ქირიმე.

**ბატონი.**

(წყენით)

ჰო, კარგი... მართლა და ენა ნუ გაიგრძელე. არაფერი იმდენიც არ გიჭირთ... თქვენ ეგრე იცით ყოველთვის წუწუნი: ეს არ შეგვიძლია, ეს არა გვაქვსო... მე ვბრძანე და მონასტერი უნდა აშენდეს...

**ბერი.** შეილო, ღვთის საწყენ საქმეში ნუ გაერევი. თუ გინდათ, რომ საიქიოს საუკუნო ნეტარება და განსვენება მოგენიქოსთ, მონასტერი ააშენეთ. აი, შენ ხომ სწუხარ ამ ქვეყნიური ცხოვრებით, შენს ბედს ემღურები, გეტყობა. დიდი გარჯა მაქვსო, იცოდე, შეილო, აქაური ტანჯვა-წვალება იქ ნეტარებათ და განსვენებათ შეგეცვლება, ოღონდ ღვთის საწყენს ნურას ჩაიდენ. ოღონდ უმცროს-უფროსობა იცოდე, ბატონს აამე, ხელმწიფეს ემსახურე, მოძღვარს დამორჩილდი რადგან ბატონი და ხელმწიფე შენი ხორციელი მფარველია, მოძღვარი კი — შენი სულიერი მამა. ააშენეთ მონასტერი.

**მგოსანი.**

(ბერის სიტყვებზე ეტყობოდა ძლივ-ძლივ იმაგრებდა თავს. მტკიცე ნაბიჯით წამოვა გლეხისაკენ და უნდა რალაც გადაკრით უთხრას, მაგრამ შედგება. შემდეგ ეტყვის)...  
 შემდეგ ეტყვის)...

სასწავლებელი, სასწავლებელი აიშენე.

**ბატონი.** თქვენ გვირჩევეთ?! ძალიან კარგი, ორივე უნდა აშენდეს. სასწავლებელიც და მონასტერიც.

**გლეხი.**

(თავისთვის)

ახლა ორივე!.. მე ერთს ვჩიოდ!

ქალბატონი. (მეცნიერს)

თქვენ რასა სწერთ მანდა?

მეცნიერი. (თავს არ აიღებს)

ჩემს შენიშვნებს...

ფულიანი. ოო, კაცთა ისტორიაჲ ხომ მაგის დარგია. ეხლა ჩვენ ამბებსა სწერს. ეგ იკვლევს და იძიებს ყოველივეს და ყოველივე თვის უტყუარს დაეთარში შეაქვს.

მეცნიერი. (თავს არ აიღებს. ზიზლით)

„დაეთარში“ ვაქრული სიტყვაა!..

ბატონი. მაშ, ესე, ჩემო კვირიკე, გასწი და უთხარი თქვენიანებს, რომ კვირისთვის ყველანი მზათ იყვნენ სამუშევრად. მონასტრისა და სასწავლებლის აგებას ეხლავ უნდა შევეუდგეთ. სასწავლებელსაჲ შეეწირავ ჩემს მამუკი-ახოს. ამ ბატონმა (ფულიანზე)

ხომ რამოდენიმე ათასი ოქრო გაჩუქათ.

ფულიანი. დიად, უსათუოო... ჩემი სიტყვა, სიტყვაა...

ბერი. მონასტერს... კი არათერს არ შემოსწირავთ?

ფულიანი. მონასტერს?.. ჰო... მონასტერს... რატომ არა. ე მწამს სინდისის თავისუფლება...

ბატონი. ესე! გასწი, გასწი, კვირიკე...

გლეხი. (ამოილულულღებს)

კი, მაგრამ ბატონო...

ბატონი. (წყენით, მტკიცეთ)

გასწი!

გლეხი.

(თავს იქექს. ამ დროს თითქოს მიწიდან ამოდერაო. გამოჩნდება ახალგაზდა, გამხდარი, ცეცხლ-მფრქვევ თვალბიანი მუშა, ლურჯი, უბრალო ხალათი აცვია. შეეფეთება გლეხს, ცოტა ხნის შემდეგ ეგრევე შეუმჩნეველად გაჩნდება მუშა-ქალი, ისიც უბრალოდ მორთული.

მუშა. საით მიდიხარ? აქ ნადიმია და შენ კი გარბიხარ?! ვერ ხედავ როგორ შემოსხდომიან? როგორ მოუტკალათნიათ! ყველანი გარდა მეც- (ეს ვილა? საიდან გაჩნდა? მიწიდან ნიერისა და მგოსნისა. ) ამოძერა?

მგოსანი. (ფულიანს)

უკვე მოვიდა. ხელავ კარგათ?

**ფულიანი.**

(გაჯანტულია, თითქო თავისთვის)

ააჰ, არ იქნება... კიდევ მე ვიქნები და ჩემი ძალა!

**მუშა.** ჰმ... ნადიმობენ...

(გლუხს)

საით გარბიხარ, აქ იყავ ჩემთან, გვერდს ამომიდექ. როგორ ვერ ამჩნევ, რომ ეს სანადიმო ყოველივე ჩვენი შექმნილია. ჩვენი ნადიმობენ. შენ მოუტანე ეგ ჰური, ეგ ლინო ეგენი შენი ხელის მონაწივეარია. მე კი მოვქსოვე ეს ფარჩა, ის ხავერდი, მე მოვუჩუქურთმე ეს დარბაზი ჩემის ხელებით. ჩვენ ორივემ ჩვენის ჯაფით და შრომით შევძინეთ მათ ეს ავლა-დიდება და ყველა ამას მხოლოდ ეგენი მოსხდომიან. ეგენი ნადიმობენ.

(თანდათან იღრუბლება. შორიდან ქუხილის ხმა მოისმის ხან-დახმით)

ჩვენ კი? აი, ესე, გარედან შეეცქერით და შინშილით სული გვხდება, სიცივით გული გვეყინება, ჯაფისაგან სხეული გვეშლლება. შეეცქერით შორიდან და მისვლაც კი ვერ გაგვიბედნია. შენ გარბიხარ კიდევ... ერთი შემოგიცაცხანეს და ქელდადრეკილი აქედან გარბიხარ... აარა, ძმაო. „კმარა!“ რაც ჩვენი ხელით მოგვიწევია, რაც ჩვენ გვიკეთებია, ის ჩვენი უნდა იყოს.

**მგოსანი.**

(შორს იყურება)

ჰაერში ელექტრონი უკვე გროვდება.

(ქუხილი. ყველა არეულ გუნებაზე დგება მეცნიერი მაინც სწერს.)

**მუშა.** ეს სუფრა ჩვენ გვეკუთვნის. მივიდეთ, ამხანაგო!

**ფულიანი.**

(ფერი ეცვლება, წამოდგება და სხვა მხარეზე გადადის).

**ბატონი.** ეს ვინ თავხედია? როგორ გაბედე აქ შემოსვლა? ვინ შემოგიშვა?

**მუშა.** ჰა ჰა, ვინ შემომიშვა!.. მე ჩემით მოველ და ჩემსას მოვითხოვ.

**ბატონი.** როგორ ბედავ? რა არის აქ შენი?

**მუშა.** აი ეგ სუფრა, ეგ სანოვაგე, ეგ ქურჭელი ჩემი და

.ამისია... ჩვენგან შექმნილი, ჩვენის ოფლით მონაგარი. თქვენ კი ჩვენს დამზადებულს სუფრას მოუსხედით... როგორ, გემრიელი იყო?..

კმარა, კმარა, რაც ინადიმეთ ეხლა დადგა დრო, ჩვენ მოვედით უკვე შეგნებულნი და მოვითხოვეთ ჩვენს სუფრას.

**ბერი.** აქ არ მოუშვათ ეგ უწმინდური?

**ფულიანი.** (შორიდან ყრუთ)

არ დასვათ, არა! რას მიქვიან მოთხოვნილება?

**ბატონი.** ბიჭებს დაუძახებ...

**ფულიანი.** (უფრო ყოყიად)

ეხლავ მაზრის უფროსთან ვაფრენ.

**მგოსანი.** (ძლიშება)

**მეცნიერი.** (თავ-ჩალუნული სწერს)

**მუშა.** ჰა, აჰ! უბადრუქნო! მაშ, მეტი რალა დაგრჩენიათ. მხოლოდ ეგ იმედი, ჯერ კიდევ ძალა თქვენსკენაა. შინა ქუჩები და მთავრობა ფიზიკურად ჯერ კიდევ ძლიერი გყავთ... (შორიდან მოისმის „მარსელიეზა“)

მაგრამ გესმისთ?

(ყველა შეშფოთდება, უფრო ფულიანი, რომელიც გულ-შეწუხებული სავარძელში ჩაეცემა და თავს ჩაქინდრავს)

აი რა, ხმები მოისმის! ჩვენს უკან ლაშქარია. გამხდარი, გაძვალ-ტყავებული, თქვენგან ცხოვრებაში გარიყული, დამონებული და... ამ ნადიმს მოკლებული, მაგრამ მაინც ლაშქარი... ხედავთ როგორ ახლოვდება ხმა?... ეს გარდუეალი რამ არის. არა, მეცნიერო?

(ქუზილი და ქარიშხალის ზუზუნი. საშინლად ბნელდება. მხოლოდ მეცნიერის წინ პაწია ლამპარი რალაც ძალით კიაფობს. ის სწერს. სიბნელეში ქადაგივით გაისმის მუშის ხმა)

მე აქამდის ვთხოულობდი, მაგრამ მოვა ეს ლაშქარი და ძალით წაიღებს იმას, რაც სამართლით მას ეკუთვნის.

**ფულიანი.** (კენესის)

ოოჰ, მომაშორეთ! კაცი აფრინეთ!

**ბატონი.** { (დაბნელდება, წამომდგარნი არიან)

**ქალ-ნი.** { რა ამბავია? იქცევა ქვეყანა?

ბერი.

(ესეც ზეზეა, სასოწარკვეთილი)

მეორეთ მოსვლაა!

მგოსანი.

(მკაფიოდ)

„უკვე აღსდგა ქარიშხალი, განთიადის მოციქული“...

უეტრად ელვა გაანათებს სანახაობას: ფულიანი სავარძელში სრულიად მოკრუნჩხულა, ბატონი და ქალბატონი დაფანტულ ინდაურებივით დგანან, მგოსანს გასხვიოსნებული სახე აქვს, მეცნიერი მაინც სწერს. მუშა-ვაყი ხარხარებს. მუშა ქალიც გაბრწყინებულ სახით სუფრის ახლო მოსულა. გლეხს ქუდი მოუხდია და სახეზე სიხარული გადაჰფენია. შორიდან, მაგრამ უფრო ძლიერათ, მოისმის „მარსელიეზა“. სურათი).

ფ ა რ დ ა

၂၀၁၈ ခုနှစ် နိုဝင်ဘာလ



**მ რ ძ მ ე ლ ნ ი:**

თ-დი გრან-ბატონი—გენერალი.

სოსიკო—ამისი ვაჟი.

ალეკო კიაურელი.

სოლომონ ბურღული.

კნ. მერი.

კნ. თლა.

მოქმედება ჩვენს დროს, ტფილისში

სამივე მოქმედება სწარმოებს გრანბატოვანის ბინაზე. სასტუმრო  
ოთახი მდიდრულათაა მორთული.

## მოქმედება პირველი.

აღიყო ჭიურელი და სოლომონ ბურდული მარცხენა წინისკენ  
ნარდს თამაშობენ.

## I

**ჭიურ.** ჩარი იაქე, კამათელო! ჩარი იაქე, თორემ გამატყავა ამ „მუყიკმა“

**ბურდ.** ჰო, ჰო, მოგთარა თაეაღურმა? ნარდი, შეილოსა უფრო კნიაზების საქმე არ არის?

**ჭიურ.** კნიაზების საქმეა, მაგრამ მაინც ვერ მოგიგე და...

**ბურდ.** მერე, აქ ჩემი მუყიკობა რა შუაშია?

**ჭიურ.** ისე! არ ვათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა!

**ბურდ.** ჰო, ლათაიების მეტი რაღა დაგრჩენია ეხლა, კნიაზო. ხომ ხედავ რომ წააგე.

**ჭიურ.** ეგ არაფერია, სხვანაირათაც რომ გეჯობნით გლეხები, შენ ისა სთქვი.

**ბურდ.** ასეა, მაშ. ეხლა ჩვენი დრო დადგა, ჩვენი! რითი ვერ გაიგეთ, რომ ეხლა, ჩვენ, გლეხები თუ დავიხსნით ჩვენს ქვეყანას დალუპვისაგან, თორემ თქვენი საქმე წასულია.

**ჭიურ.** ეჰე, მოჰყევი შენებურათ! ბიკო, რა მოუვიდა ამ კამათელს! შაში-ფანჯი, თუ გიყვარდე.

**ბურდ.** ჰა, ჰა! იაგანი, იაგანი! ასეა თქვენი — თაეადების — საქმე! შაში-ფანჯი გინდათ და იაგანი კი ჯდება! კამათლის იმედი გაქვთ, კამათლის.

**ჭიურ.** შენ კი? შენც ეხლა მაგ კამათელზე რა ხარ დამოკიდებული.

**ბურდ.** არა, მე ანგარიშით ვთამაშობ. კომბინაციას ვაკეთებ.

**ჭიურ.** ჰა, აჰ, ცხოვრებაშიაც აგრე ხართ და იმიტომ გეჯობნით, არა?

**ბურდ.** დიად, შეგნებული, განვითარებული გლეხოზა ეგრე უნდა იქცეოდეს.

**ქიაურ.** ჰაი, შე კუდიანო, შენა! კუდიანი ხარ, აბა! კაცო, როგორ შემოძვერი აქ, ჩვენი გენერალის სახლში?

**ბურღ.** მაგას კიდევ რა დიდი მოხერხება უნდოდა!.. ესეც სევ-იაქე და გაკურთხე, კნიაზო!

**ქიაურ.** ეგჰ, არ მოდის, ძმაო, არა!.. არა. მართლა არ გეხუმრები—საიღვან<sup>9</sup> გაიცანი ჩვენი გენერალი?

**ბურღ.** კნიაგინა მერიმ გამაცნო.

**ქიაურ.** აა, მერიმ! ბიჭოს, ძალიან გართულხარ არისტოკრატებში.

**ბურღ.** რა გიკვირს, კაცო! აბა, ახლა კარი ღიაა; ინებე კამათელი.

**ქიაურ.** არა, ძმაო, აღარ მინდა. წავაგე, წავაგე! რაღა გაეწყობა. აი, ინებე ხუთი მანეთი

(აძლევს)

**ბურღ.**

(უხუმრათ აიღებს და დინჯათ ჩაიდებს პორტმანში).

მაშ, აღარ გინდა თამაში?

**ქიაურ.** არა, ძმაო, ჯერჯერობით ეს ხუთი მანეთი გეყოფა. თუმცა, როგორც ადვოკატი, შენგან — აგრანომისაგან — უნდა ვიღებდე ჰონორარს... მაგრამ უკულმაა სამართალი. ჰა... ჰა!..

**ბურღ.** რატომ? აგრანომი კი არ აიღებს გასამრჯელოს? ჰა, ჰა.

**ქიაურ.** რასაკვირველია! მართლა, რატომ გამიკვირდა! გენერალიც მითომ დაგიახლოვდა, რომ აგრანომი ხარ... აა, ეგეც ხომ მეურნეობას ეწევა... მართლა ესმის, რამე მეურნეობისა?

**ბურღ.** შენგან არ მიკვირს! გენერალს რა ესმის, მაგრამ ისე კი მომჭირნე კაცია.

**ქიაურ.** რას ამბობ! მე კი დიდი ილიოტი მეგონა.

**ბურღ.** რა სათქმელია. მაშ, რის გენერალი იქნებოდა, რომ ცოტათი არ მოიიდიოტებდეს.

**ქიაურ.** მერე, რა? შენ უნდა მოგანდოს თავისი მამულის გამგეობა?

**ბურღ.** არა, მე იქვე, მისი მამულის ახლოს, საუფლისწულო მამულებია, და იქ დამნიშნეს. ჯერ-ჯერობით აქა ვარ, მთავარ

სამართველოში. ეგ კი მთხოვეს რჩევა და დახმარება აღმოუჩინო მისი ზამულების მართვა-გამგეობაში..

**ჭიაურ.** აჰა... როგორ? ადგილი მიიღე კიდევ!? მიხარინ, მომილოცავს... ბიჭო, რა დაემართა გენერალს? მიგვატოვა და კი აღარ მოდის.

**ბურდ.** ცოლთან დაუძახეს, მგონი, არა?

**ჭიაურ.** დიად, დაუძახეს, მაგრამ... შენ არ შესულხარ კნენინასთან?

**ბურდ.** არა, დღეს არა.

**ჭიაურ.** ისე ხომ გაიცანი?

**ბურდ.** როგორ არა. კარგი ქალი ყოფილა, ეტყობა.

**ჭიაურ.** ოო, მაშ, როგორ გეგონა. აი, შენ ხომ არა გწამს. კნენინები და კნიაჟნები, მაგრამ ხომ ხედავ, რომ მათშიაც ურევიან ღირსეული ადამიანები.

**ბურდ.** ვინ ამბობს... დიდი ხანია, რაც ასე დაკუტებულია?

**ჭიაურ.** აგერ ოთხი წელიწადი იქნება, მართლაც ღირსეული ქალი იყო... განვითარებული, სათნო, ქველ ქართველ ქალს მოგაგონებდა... საზოგადო საქმეშიაც ღებულობდა მონაწილეობას. თუ ჩვენმა გენერალმა მთავრობის ყურადღება დაიმსახურა და ჩვენ საზოგადოებაშიც მიღებულია, ეს სულ ეხლა უკვე დაკუტებულ კნენინა თეკლეს წყალობითაა.

**ბურდ.** ვიცი, გამიგონია, თორემ გენერალი თვითონ რას წარმოადგენს.

**ჭიაურ.** არა, პატრონისანი კაცი კი მუდამ იყო.

**ბურდ.** მხოლოდ ცოტა კი მუდამ მოიჩერჩეტებდა, არა?..  
ჰა, აჰ.

**ჭიაურ.** მხოლოდ ესეც არის, რომ გულითაც კეთილია.

**ბურდ.** ერთი შეილი ჰყავს, არა?

**ჭიაურ.** დიახ, ერთი ვაჟი.

**ბურდ.** მგონია, ვერ გამოდგა.

**ჭიაურ.** როგორ გითხრა, ჰო... გიმნაზია გაათავა, უნივერსიტეტში იყო... შემდეგ ამ მოძრაობას აჰყვა. და ეხლა სამხედრო სასწავლებელშია... ელიზავეტოგრადის სამხედრო სასწავლებელში.

**ბურღ.** ჰოო, კნიაზურათ მოქცეულა.

**ჭიაურ.** კიდეე „კნიაზურათ“! ეგ ჩვეულებრივი ამბავია... ამ მოძრაობამ მაინც ბევრი მოსწავლე ახალგაზდა აცდინა ნამდვილ მეცნიერების ტაძარს.

**ბურღ.** არა, ჩემო ბატონო! თუ კნიაზობა არა, ზიზილ-პიპილეების გადაყოლა არა, მაშ კაცი, უნივერსიტეტში იყო და სამხედროში გადავიდა?

**ჭიაურ.** გამოაგდეს, კაცო! ერთი სიტყვით, რალაც ვერ მოუხერხდა საქმე.

**ბურღ.** დაღუპულები ხართ, დაღუპულები... კაცს ამდენი შეძლება ჰქონდეს, ერთად-ერთი შეილი იყოს... საზღვარ გარეთ მაინც ვერ წავიდა?

**ჭიაურ.** არც აგრე შეიძლება ლაპარაკი... მე კარგათ ვიცნობ სოსიკოს. ძალიან კარგი ბიჭია... გიმნაზისტობის დროს ერთ-ერთ მოწინავე ქაბუკათ ითვლებოდა. კინალამა არ გადააგო კიდეც თავი... საშინელი ნიჭიერი ყმაწვილია... მკვირცხლი, ცოცხალი გონების... შემდეგ უნივერსიტეტშიც შევიდა. კარგათ მიხვდები, რომ ეს ყველაფერი მის მამას არ მოსწონდა, მხოლოდ დედა იყო მისი მოსარჩლე. შემდეგ კი, როდესაც უნივერსიტეტშიაც აღარ დააყენეს, მამა მეტათ გაუჯიუტდა, ისიც დაჰყვა მამის სურვილს და სამხედრო სასწავლებელში გასწია.

**ბურღ.** მაინც უენერგიობაა, უენერგიობა! და ეს არის კიდეც პირველი მაჩვენებელი, თქვენი, თავადების, გადაგვარებისა... რა? მე არა ვხუმრობ... მაშ, რა არის თუ არა გადაგვარება, რომ კაცს ნიჭი შეგწევდეს, გარემოება ხელს გიწყობდეს და ბოლოს მაინც იმდენი ფუქსავატობა გამოიჩინო, რომ სამხედრო სასწავლებელი არჩიო ყველაფერს... მეც სწორედ იმიტომ გამტყუნებთ, არა გაქვთ ხასიათის სიმტკიცე... წვრილმან რამეს ზედ გადაჰყვებით... აი, თუნდა შენ...

**ჭიაურ.** ოჰო, ეხლა მე მომდევნი! ბიქოს, რა დაგემართა, კაცო? ნარღშიაც მომიგე, ეხლა ლანძღვასაც მიპირებ?

**ბურღ.** არა, ლანძღვას კი არა, სიმართლეს გეუბნები.

II

(შემოდინ კნიაგინია მერი და კნიაენა ოლა, კარებთან შეჩერდებიან. ორივე სავიზიტოთ მორთულია).

**ბურდ.**

(ვერ ამჩნევს შემოსულებს).

შენზედაც რომ შეეჩერდეთ... რას წარმოადგენ? განათლებული კაცი ხარ, დიპლომიანი, მაგრამ მერე რა? გაქვს ენერგია, შეგიძლიან მუდმივ ბა საქმეში? ან გწამს კი რამე გულით?

**კნ. მერი.** Ах, это Бурдули ораторствует.

(ბურდული და კიაურელი მოიხედავენ და მიეგებებიან ქალებს)

**კიაურ.** მომკლა, ბატონო, გამათავა კაცი... Слава Богу что Вы пожаловали, княгиня Мери

(საერთო მისალმება).

**კნ. მერი.** Ах, это он, ჩემთანაც ძალიან თამამად ილაპარაკებს.

**ბურდ.** სიმართლე, კნეინა, ყველგან უნდა გაისმოდეს. ლარიბთა ქობშიაც და მდიდართა პალატშიაც.

**კნ. მერი.** Ах, он неоптесанный мужик.

**ბურდ.** აი კნიაენა, ხომ ხედავთ როგორი იერიში მოაქვთ ჩემს მუუიკობაზე. დამიცავით.

**კნ. მერი.** კნიაენას ეყოფა თქვენი მფარველობა... არ გახსოვთ იმ საღამოს ჩემსა როგორ გამოგესარჩლათ?

**კიაურ.** კნიაენა ყველა „ტვირთ-მძიმეთ და დამაშვრალთა“ მოსარჩლეა.

**კნ. ოლა.** დამცინით, არა?

**ბურდ.** როგორ გაბედავს დაცინვას... თქვენ იმ საღამოს ისა ბრძანეთ... რასაც გრძნობდით.

**კნ. ოლა.** მე ყოველთვის ვცდილობ ისა ვსთქვა, რასაც ვგრძნობ.

**კიაურ.** ეე, სოლომონ, ხომ ხედავთ! მე მართალი ვარ... კნიაენა, შენ გეგონა, მარტო შენ გამოგესარჩლა, ის, თურმე, თავის სიმართლეს იცაუდა.

**ბურდ.** მე არაფერი არა მგონია.

კნ. მერი. Ну, не кашфуйте его, კნიაზ ალიკო, ისედაც ყურებამდის შეყვარებულია კნიაჟნაზე.

კნ. ოლა. მერი!

ბურღ. კნიაგინია!

კნ. მერი. ჰო, კარგი, კარგი! მაგრამ, მე ხომ თქვენი მფარველი ანგელოზი ვარ და ოლასთან შუამავალი.

ოლა. მერი!

ბურღ.

(ცოტათი შეკრთება).

კნიაურ. ოჰო, დახეთ ამ „მუჟიკს!“ რა კარგი პლანები ჰქონია.

ბურღ. ბატონებო, მე მგონია თქვენთვის არავეითარი მიზეზი არ მომიცია.

კნ. მერი. Оо, конечно! ვხუმრობთ, ვხუმრობთ.

ოლა. რა უხვირო ხარ, მერი.

კნ. მერი. ჰო, კარგი... ეხლა, კნიაზო, მასპინძელი სადა ბრძანდება? ჩვენ კნენა თეკლეს სანახავათ მოვედით.

კნიაურ. მასპინძელმა კარგა ხანი მიგვატოვა. კნენასთან სთხოვეს.

კნ. მერი. საწყალი კაცი. ძალიან მებრალეა ჩვენი გენერალი.

კნიაურ. ოო, კნიაგინია, თქვენ სულ გაგვიგიჟებთ გენერალს..

კნ. მერი. О; что Вы...

კნიაურ. მერწმუნეთ ისეთი აცუნტრუკებულია, რო...

კნ. მერი. ჰა, ჰა, ჰა...

ბურღ.

(ოლას ცოტა წინ დაუწყო ლაპარაკი).

მე მაინც ვერ შეგეთანხმეთ მაშინ, თუ გახსოვთ.

ოლა. როგორ არ მახსოვს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ გამარჯვებული არ დარჩენილხართ.

ბურღ. თქვენთან თუ გამარჯვებული ვერ დავრჩი, ეს გასაკვირვი არ არის... თქვენისთანა მტერს ყოველთვის უთმობენ ხოლმე.

ოლა. როგორ, თქვენც იცით კომპლიმენტები?

ბურღ. არა, კომპლიმენტები არა, მაგრამ, უნდა გამოვიტყდეთ, თქვენთან სრულიად ვიბნევი... არ ვიცი, რა მემართება..

ოლა. ეეჰ, აჰა, რეებს, ლაპარაკობთ?

(კიაურელი და მერი მიაქცევენ ყურადღებას ბურდულს და ოლას).

**კიაურ.** ხედავთ, იქ საქმე სახუმარო აღარ უნდა იყოს.

**მერი.** როგორ, თქვენ გგონიათ, რომ ხელი სთხოვა კიდევ!

**კიაურ.** მგონია კი არა... სჯობს გავეცალოთ, კნენა ვინახულოთ.

**მერი.** იყოს ნება თქვენნი.

(წასვლას აპირებს).

**ოლა.**

(შეაჩნევს მათ განზრახვას).

საით, საით მიიპარები?

**კიაურ.** მგონია ჩვენ აქ მეტნი ვართ.

**ოლა.** არა, არა... ჰა, ჰა! აბა, საიღვან მოიგონეთ?

### III

**გენერალი.**

შემოდის. ქალებს რომ დაინახავს, თვალები გაუბრწყინდება და მონუცებულის სიმარჯვით და სამხედრო დარღიმანდობით მივა ქალებთან).

**გენერ.** აა, მშვენიერ კნიაგინიას... ნება მიბოძეთ ალგიბექლოთ მხურვალე.

(ხელზე კოცნის)

**მერი.** Здравствуйте, князь.

**გენერ.**

(ოლას ხელს ართმევს)

Великолепно... შენი ქირიმე, რომ მობრძანდით.

**მერი.** ოლამ შემოიარა ჩემთან და გადავწყვიტეთ კნენა თეკლე გვენახა.

**გენერ.** Великолепно... შენი ქირიმე... უკეთეს რას მოიფიქრებდით, მაგრამ რატომ მარტო კნენა თეკლე! მე კი დაგავიწყდით?

**მერი.**

(სიცილით)

არა, უთქვენობა როგორ იქნება... თქვენც გვახსოვხართ.

(კიაურელი ბურდულს ცალკე გაცხარებული ელაპარაკება. ოლაც მათთან არის).

**გენერ.** გახსოვართ? ააჰ, великолепно, შენი ქირიმე... ეგრე, ეგრე გამახარეთ მოხუცი.

**მერი.** ჰმ, მოხუცი... თავს ნუ იკატუნებთ, კნიაზო, ჯერ ისევ ყოჩალი ხართ.

**გენერ.** აა!.. მასულელებო. (ჩაჰხედავს ახლოს თვალებში. შემდეგ უცებ გადინარხარებს გახარებულად)

აჰ, великолично, შენი ქირიმე.

**ქიაურ.** არა, არა, სოლომონ, ეგ კი მეტის-მეტია და თან მოძველებულიც... ხელოვნების უარის ყოფა შეუძლებელია.

**ბურდ.** მე უარს კი არა ვყოფ, მაგრამ მითქვამს დავიტყვი: რა დროს ხელოვნებაზე ფიქრია იმ ქვეყანაში, სადაც სოფლის მშრომელი ხალხი ადამის დროის გუთანს ხმარობს კიდევ და ლობიო შექმანდიც კი სანატრელი გახდომია.

**ქიაურ.** აკი გეუბნები, კაცო, ხელოვნების და პოეზიის უარის ყოფა, რუსეთში ჯერ კიდევ პისარევის დროიდგან მოდის... ჩვენშიაც იყო ერთი მიმდინარეობა, მაგრამ ეხლა კი იმავე დროს, როდესაც სოფლად წვრილ კრედიტის გახსნას და კოოპერატივების დაარსებას ვცდილობთ, მეორე მხრით ხელოვნების განვითარებასა და აყვავებაზე უნდა ვზრუნავდეთ.

**ბურდ.** თავის დღეში არ დავთანხმდები, რომ მშვიერ კუქს ბაირონის მაღალმა მუზამ ნუგეში სცეს... მისთვის ჯერ პური საჭირო... ჯერ სწორეთ ეგ კოოპერატივი და წვრილი კრედიტია საჭირო, ჯერ მისი, ამ ხალხის, ეკონომიური მოლონიერებაა საქმე.

(გვერალმა ყურადღება მიაქცია ლაპარაკს)

შემდეგ კი ხელოვნებაზეც შეიძლება ფიქრი. ჩვენს გლესს ისევ მისი მიწა-წყალი თუ დაიხსნის დალუპვისაგან... ისევ შეგნებული შეუტრნეობა გამოაბრუნებს.

**გენერ.** მართალია. ნამდვილია. ბრავო ბრუსელელო. великолично, შენი ქირიმე.

**მერი.** ოო, თქვენ ხომ აგრონომიით გატაცებული ხართ, კნიაზ...

**გენერ.** ოო, რა თქმა უნდა, აგრონომიაშია ჩვენი ხსნა, великолично, შენი ქირიმე.

**მერი.** მაშ, ეხლა ხომ მიმადლით, რომ სოლომონისთანა აგრონომი მოგიძებნეთ.

**გენერ.** ოო, უსათუოდ, კნიაგინია, დიდათ დამავალეთ თქვენც და მაგანაც, რომ მშვენიერი რჩევა მომცა... ეხლა თხილებს ვრგავ, კნიაგინია.

**მერი.** ოო, თქვენ ძალიან გაერთეთ ამ აგრონომიაში და მეშინიან ჩემი თავი არ დაგავიწყოთ.

**გენერ.** ოო, რას ამბობთ.

(ჩახედავს თვალებში და მერე გადიხარ-  
(ხარებს)

**Великолепно, შენი ქირიმე.**

**ოლა.**

(ბურღულს)

მინც და მინც თქვენი კამათი არაფრით არ გათავდა... მე კი ყურს გიგდებთ და მინდოდა რამე გარკვეული გამეგო... შეიძლება თქვენ გაგიკვირდეთ და მე ძალიან მინტერესებს ეს საკითხი.

**მერი.** ოო, ოლა ხომ ფილოსოფისტაა.

**ოლა.** არა, ფილოსოფისა არ ვიცი, და ისე კი ძალიან მინდა ვიცოდე რომელია მართალი.

**კიაურ.** მართალი, კნიაჟენა, ჩემის ფიქრით, ის გახლავთ, რომ ხელოვნების უარის ყოფა არ შეიძლება, რადგან ამის უარის ყოფა კაცობრიობის წინსვლის მოსპობაა... უკან დახევის სურვილია... ველურობაზე შეჩერებაა... ისინი, ვინც მუშათა სახელით, ვითომ მათი სარგებლობისათვის უარს ჰყოფს ხელოვნებას, ივიწყებენ იმ კემშარიტებას, რომ ხელოვნების დასაბამი თვით მუშებშია, ე. ი. მუშაობამ, შრომამ გააჩინა ხელოვნება... მაშასადამე თუ შრომაა ადამიანის ცხოვრების საფუძველი, ხელოვნება ზედმეტი ბარგი და გარყიული რამ არა ყოფილა.

**მერი.**

(გენერალს ცალკე)

მართლა, თქვენი ვაჟი სოსიკოსი რა იცით? ხომ არ მოელით?

**გენერ.** ჰა, არა კნიაგინია, წარსულ თვეში ეგზემინიები ჰქონდა და საიდგან წამოვა... ოო, სოსიკო, ხომ მოგეხსენებათ აქ მაზის, აქ... გამაწყალა კაცი! ეხლა კიდევ სწორედ

ორი კვირაა სამასი მანეთი გაუგზავნე... თუმცა კი ეხლა იმედი მაქვს კაცი დადგეს...

**მერი.** ო, რა თქმა უნდა, სამაგალითო ყმაწვილია, როდის მიიღებს აფიცრობას?

**გენერ.** გაისათ მისში.

(განაგრძობს ლაპარაკს)

**ბურღ.** ჰო და ამ გვარათ დღევანდელი ხელოვნება ბურჯუაზიულია... მისი თვალსაზრისით იწერება ლექსი, ითხეზება მუსიკა, იხატება სურათი. ყველა მათ კი ერთი ტენდენცია აქვთ—უდარდულობის გუნებაზე დაგვაყენოს, მოგვაჩვენოს, რომ დღევანდელ ცხოვრებაში არც თუ ისე ცუდათ არის საქმე, როგორც ეს ჩაგრულთ წარმოუდგენიათ, რომ ეს ქვეყანა საქეიფოთ და სალალობით არის გაჩენილი, ამიტომ მათი ლექსი სულ კოცნაზე ლაპარაკობს, მათი მუსიკა სულ ეროტიულ ვნებათა ღელვას იწვევს ჩვენში... მათი ნახატი სურათი სქესობრივ ლტოლვილებას გვიღვიძებს... აი, ასეთი ხელოვნება მე არა მწამს და მთელის ჩემის არსებით მას ვეწინააღმდეგები... მე მაგის უარის ყოფა, უკან დახევით კი არა, თვალის ახელათ მიმაჩნია, ჩვენი გამოფხიზლება მგონია.

**მერი.**

(ცოტა ხანს ყურადღება მიაქცია ბურღულის ლაპარაკს)

ეჭე, მოაჯდა თავის საყვარელ რაშს და „მირბის მიმაფრენს“ არა კნიაზო, ჩვენ წავიდეთ ისევ კნენა თეკლე ვნახოთ.

(დგება)

**გენერ.**

((დგება))

Великолепно, შენი კირიმე.

**ოლა**

(თითქო თავისთავს)

არ ვიცი, არ ვიცი, ნეტა გარკვეული რამე მაკოლინა... რამდენი რამ არის ჩემთვის გამოურკვეველი.

**მერი.** ოლა, არ წამოხვალ კნენა თეკლესთან?

(გადის გენერალთან ერთად)

**ოლა.**

(თითქო გამოფხიზლდა)

აჰა, სიამოვნებით!

(გადის)

## IV

**ქიაურ.** საკვირველი ქალია ეს კნიაჟნა.. თითქო ზოგჯერ ცქრილაა და ფუქსავატი ქალი... ზოგჯერ კი ისეთი ჭკვია-ნია, დინჯი...

**ბურდ.** ძალიან მომწონს.

**ქიაურ.** რა კარგათ სთქვა—ნეტა გარკვეული რამე მაცოდინაო... მართალია, ძნელია გამოურკვევლობა! მერე, იცის კი თანამედროვე ჩვენი წრის ქალმა გარკვეულათ რამე? ან ჩვენც, მამა-კაცებმა, თავი რომ განათლებულებათ მოგვაქვს, ვიცით კი გარკვევით რამე? მთელი ჩვენი მეცნიერება, ხელოვნება იძლევა კი რომელსამე გარკვეულ პასუხს? ერთ დასკვნასთან მეორეც იქვე არსებობს და სრულიად წინააღმდეგიც... ამის შემდეგ ვანა შეიძლება რაიმეს დაბეჯითებით მტკიცება?.. ყოველივე სათუთა, ყოველივე აპრიორული.

(ჩაფიქრდება).

**ბურდ.** ძალიან მომწონს.

**ქიაურ.** (უხეხ)

ვინ? რა?

**ბურდ.** კნიაჟნა ოლა.

**ქიაურ.** ოჰო! ბიჭოს, შენ მართლაც ძალიან შეგიტოპნია!.. მართლა, შეერთვას ხომ არ უპირობ?

**ბურდ.** რატომაც არა! როგორ გგონია „მუეიკობით“ ხომ არ დამიწუნებს?

**ქიაურ.** თუ მართლა არა ხუმრობ, მაშინ მართლაც და „მუეიკობა“ რა შუაშია, მხოლოდ... უნდა დაეკითხო, კაცო, იმასაც მოსწონხარ თუ არა.

**ბურდ.** აი, სწორედ დღეს ვაპირებ, ჩემი აზრი გამოუცხადო... რაკი აქაც არის... მშვენიერი შემთხვევა.

**ქიაურ.** ძალიან გადაჭრილი ხასიათი გქონია, ძმაო... ესე უცბათ...

**ბურდ.** რა უცბათ?

**ქიაურ.** რა ვიცი, ძმაო, მაგისტანა უხუმარ საქმეს ქალს ასე ხელ-და-ხელ მე ვერ ვეტყვოდი.

**ბურღ.** რა ხელ-და-ხელობა უნდა, კაცო, მე პრაქტიკული-კაცი ვარ... მომეწონა, ვატყობ რომ მიყვარს... ეს კი ვერ-მიპატივებია ჩემი თავისთვის. მის წინაშე ვიბნევი რაღაც. პო-ლა, რაკი მიყვარს, რაღა ბევრი ცერემონია უნდა, მოვახსენებ, ვეტყვი—ესე და ესე. მოგწონვართ, საკმაოა! მე ჩემი სიყვარუ-ლითაც კმაყოფილი ვიქნები. თქვენგან მხოლოდ ადამიანური-პატივის ცემა მინდა, ამას ნუ მომაკლებთ და... ბედნიერი ვიქ-ნებით:

**ჭიაურ.** რა შეუძლია იმ ოხერ სიყვარულს, როგორ აგაქი-ქიკა?

**ბურღ.** მასხრობას თავი დაანებე! მირჩევ? გავბუღო?

**ჭიაურ.** არ ვიცი, ძმაო, გულისა და გრძნობის საქმეში-მესამე კაცი ცული მრჩეველია. მესამე პირი ეგ სასამართლოში-შეიძლება! მაგისი, როგორც იურისტს, მე მკითხე, თუ გინდა-

**ბურღ.** შენ კიდევ მასხრობ, მე არ გეხუმრები!..

✓

**სოსიკო.** (სიჩქარით შემოდის. აღელვებულია)...

**ჭიაურ.** ოჰ, სოსიკო! ბიკოს, ციდან გაჩნდი?

(ჰკოცნის).

**სოსიკო.** ალიკო, შენი კირიმე!

**ჭიაურ.** ვერ იცნობ? სოლომონ ბურღული, სოსიკო გრან-ბატოვანი.

(მისაღმება).

საიდან, კაცო? როგორ, რა ნაირათ?

**სოსიკო.** ელიზავეტგრადიდან, ძმაო, ელიზავეტგრადიდან... .

**ჭიაურ.** კაცო, აკი მამა შენი ამას წინათ მეუბნებოდა—ეხ-ლა ეკზამენები აქესო...

**სოსიკო.** იყო, ძმაო, იყო და...

**ჭიაურ.** მერე?

**სოსიკო.** (შეხედავს თვალებში, შემდეგ გადიხარ-ხარებო)

შენი კირიმე!

(მხარზე ხელს გადაუსვამს)

**ჭიაურ.** კიდევ ჩაიქერი?

სოსიკო.

(თავს უწევს)

აჰ, ჰა, აჰ! „შენი კირიმე“!

ბურდ. თვენც მამი თქვენის ჩვეულება გკონიათ.

სოსიკო. რა? „შენი კირიმე?“ ოო, დიად. მხოლოდ იმან „ВЕР-  
ЯКОЛЕПНО“-ც იცის...

(უბათ)

ეს ქართული ჩვეულებაა... მშენიერი ჩვეულება და მშვე-  
ნიერი სიტყვაც. არც ერთ ხალხს არა აქვს ესეთი ნაზი და  
თან ასეთი თავ-განწირული ალერსი... რამდენი მიფიქრია ამ  
სიტყვაზე... მე მგონია ამ სიტყვაში მთელი ჩვენი ხალხის ხა-  
სიათი და ბედია გამოთქმული... ჰა, ჰა, ჰა! ხომ არ გიკვირთ.  
რომ ასე უცბათ და ასე უცხოსთან ამდენს ვლაპარაკობ...  
დიად, მე ცოტა ახირებული კაცი ვარ... ნუ დაგავიწყდებათ,  
რომ კნიაზი ვარ და გენერლის შვილიცა, მაშასადამე, ცოტა  
სიჩერჩეტე უნდა მომდგამდეს თუ არა?

ბურდ. მეც დიდი ხანია მაგ აზრისა ვარ. ქართველობის  
ხსნა, მხოლოდ ჩვენშია, გლეხებში. თქვენ კი ვერ გენდობით...  
უკაცრავათ.

სოსიკო. ნურას, ნურას!.. მომწონხართ.

(ჩაჩერდება თვალეში. შემდეგ უცებ გა-  
დინარხარებს)

შენი კირიმე!

ბურდ. მაინცდამაინც ერთი არ მესმის, რათ გგონიათ, რომ  
ამ სიტყვაში ჩვენი ხალხის ბედი და ხასიათია გამოთქმული...

სოსიკო. მოგახსენოთ?..

(მარცვლავს სიტყვას)

შენი კირიმე! ე. ი. მე შემეყაროს ის კირი; ის გაკირ-  
ვება, ის სატანჯველი და სხვა უბედურება, რაც შენ გადგია.  
ამაზე უფრო წინ ვერ წავა „მოყვარის სიყვარული“ ეს ნამ-  
დვილი ქრისტიანობაა ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელო-  
ბით. ეს რაინდობაა, სულის სიგმირე! და აი ხასიათიც მთე-  
ლი ქართველი ხალხისა. დღესაც, კი როცა „გმირული სუ-  
ლი“ თითქმის აღარ გვიდგა, მთავარი მოტივი ჩვენის ხასია-  
თისა, მაინც ერთი რაინდული „შენი კირი“-მეა. ბედი კი —  
მე არ ვიცი კარგათ ჩვენი ისტორია, მაგრამ განა ტყუილია:

რომ მთელი ჩვენი განვლილი დრო სულ სხვის ქირის სანაცვალოთ იყო?.. მაგალითები თქვენ თვითონ მოსძებნეთ. დღეს? დღესაც „შენი ქირიმე“ არა ვართ?

**ბურღ.** ეს ძალიან საინტერესოა.

**სოსიკო.** ერთის მხრით ქირის ნაცვალი ვართ სხვა ერისა. მეორეს მხრით აიღეთ ჩვენი ეხლანდელი კოსმოპოლიტობით გატაცება. განა აქაც სხვის ქირს არ ვიხვევთ თავზე. და აი მთელი ახსნაც. ერთის სიტყვით ჩვენ ყოველი მხრით „შენი ქირიმე“ ვართ და ყველანიც მაგას ვლაპარაკობთ. ჩვენი გლეხი ისე ენას არ მოიბრუნებს, რომ „შენი ქირიმე“ არ გითხრასთ. მეგრელიც კი „სქანი ქირიმს“ ამბობს, თურმე. მე მა მიჩემისაგან გადმომედვა უთუოდ, მაგრამ ბავშვობაში, მახსოვს, სოფლად ძველებური გამდელი გვყავდა, იმისი „შენი ქირიმე“ უფრო ჩამივარდა გულში... დიად, ამ სიტყვას ჩემზე მაგიური გავლენა აქვს, ჯადოსნური ძალა. მერე რამდენ კილოზე შეიძლება მისი წარმოთქმა. მხიარულებაში, მწუხარებაში, ბევრნაირად. ის კი არა, ისიც მგონია, ეს სიტყვა კიდევ მაცოცხლებს და კიდევ მომკლავს-მეთქი...

(სევდით)

რომ მოეკვდები, ისე უნდა მოეკვდე, საყვარლისაგან „შენი ქირიმეს“ ღირსი მაინც უნდა ვიქმნე.

**ბურღ.** ეგ საკვირველი თეორია გქონიათ. მთელი პროგრამა „შენი ქირიმესი“!

**სოსიკო.** დიად, დიად! მშვენივრათა ბრძანეთ, მთელი პროგრამა.

**ქიაურ.** კაცო, მე ეს მაკვირვებს, ესეთი ნიქიერი ხარ... რა ლამაზათ ილაპარაკე!.. იქ კი რაღა ღმერთი გიწყურება, რატომ ეკზამენს ვერ იქერ ხოლმე?

**სოსიკო.**

(ხელს გაიშვერს თითქო ძალიან შორს უჩვენებსო)

იი... ეეჰ, აბა რა ვიცი!..

(ჩააჩერდება. შემდეგ უცბათ გადაიხარხარებს)

შენი ქირიმე!

**ქიაურ.** მაშ, ეხლა რას აპირებ? საით წახვალ? რა გზას დაადგები?

**სოსიკო.**

(მოიღრუბლება)

ეგენი არ ვიცი, შენი ქირიმე! მე ეხლა მხოლოდ ის მაწუხებს, როგორ გაუმხილო ეს ამბავი ჩემს მშობლებს. მამა ხომ გამიძრისხდება... მაგრამ დედა?..

(გრემლი ვრევა. ჯდება)

დედა, შენი ქირიმე.. როგორ არის? ისევ ისე?

**ქიაურ.** ისევ ისე.

## VI

**ოლა.**

(შემოდის. სოსიკოს დანახვაზე სრულიად შეიცვლება და გახარებული მისკენ გამოეშურება)

ეს ვინ მოსულა?

**სოსიკო.**

(გახარებული წამოხტება)

ოლა, შენი ქირიმე!

(ერთხანს ორივენი იცინიან)

**ბურდ.**

(ქიაურელს)

რა მოსდით? განა, რა არიან ერთი მეორისა?

**ქიაურ.** არაფერი. სიყმაწვილის მეგობრები. რა, არ გეჭაშინიკა?

**ბურდ.**

(ბუზღუნით)

ეჰ, თავი დამანებე!

**ოლა.** სოსიკო, შე საძაგელო!

**სოსიკო.** ა, ოლა, შენი ქირიმე! როგორა ხარ? თითქო ცოტა უფრო დაქალებულხარ...

## VII

**მერი, გენერალი.**

**მერი.** აა, კნიაზ სოსიკო!

**გენ.** რაო? სოსიკო!.. Что великолѣпно, შენი ქირიმე...

(უეცრათ შეჩერდება, დააცქერდება შვილს)

მაგრამ... რათ ჩამოხველი ესეთ დროს?!... არ მიყვარს შე ესე წალმა-უკულება სიარული... ეხლა რაო, რა გინდა აქა?.. ზაფ-

ხულში ვერ მოასწრებდი ოტკუესკის აღებას?.. ა? Это великолѣпно, შენი კირიმე!

(ყველანი ჩუმად არიან. სოსიკო მხედრულად გამართული, მაგრამ დარცხვენით დგას. გენერალი გაიარ-გამოიარს ცოტა უფრო ღმობიერათ)

როდის გაგითავდათ ეკზამენები?

სოსიკო. დღეის სწორს.

გენ. მერე, ეკზამენების შემდეგ დარჩენა არ შეიძლებოდა?

სოსიკო. არ შეიძლებოდა, მამა.

გენ. რაო?

სოსიკო. მამა! მე... ეკზამენი ვერ დავიკირე...

ოლა.

(ცოტათი შეჰკივლებს)

აჰ!

გენ. რაო? Это великолѣпно, შენი კირ... არა, შენი კირიმე კი არა...

(შეხედავს მერის, შემდეგ სხვებს. ბოლოს სოსიკოს)

Ах ты, дуралей!..

(გამობრუნდება და გადის. პაუზა)

სოსიკო. კნიაგინია! ეხლა თქვენ უნდა დამეხმაროთ. მამასთანა... მამასთან... დედასთან მე და ალიკო წავალთ...

(მიდის. ხელზე აკოცებს)

შენი კირიმე!

მერი. კარგი, ეხლავე მოველაპარაკები.

(მერი, ალიკო და სოსიკო გადიან სხვადასხვა კარებით. მარტოთ გადის მხოლოდ მერი. ოლასაც წასვლა უნდა).

ბურღ.

(ცოტა აღელვებული)

კნიაჟნა!

ოლა.

(გამობრუნდება)

რა გნებავთ?

ბურღ. მინდა მოველაპარაკოთ...

## მეორე მოქმედება

(ი კ ვ ე)

### I

#### ქიაურელი, სოსიკო.

**სოსიკო.** აჰ, აჰ, აჰ! შენი ქირიმე! ეს შშვენეიერი იქნება. ესე აჯობებს. ბევრსაც ვიცინებთ.

**ქიაურელი** მერე კნენია მერი რომ არ დაგვეთანხმოს?

**სოსიკო.** მერი? რას ლაპარაკობ? ჩემი გულისათვის რას არ იზამს... აკი ისევ იმან შემარიგა მამაჩემს... შშვენეიერი ქალია. ეხლაც დაგვეთანხმება ამ კომედიაზე.

**ქიაურელი.** არა, ძალიან ქალია, თქმა არ უნდა, მხოლოდ ცოტა ეშმაკია... აა, რას იტყვი, სოსიკო?..

**სოსიკო.** ეშმაკია, მაგრამ იცი... ძალიან ფაქიზი ზნეობის ადამიანია... ვიცი ბევრსაც ლაპარაკობენ მაგაზე, მაგრამ... აბა, ერთი ვინმემ რამე შებეღოს...

**ქიაურელი.** შენ რა, სოსიკო! განა ბედი სცადე?

**სოსიკო.** (ჩაჩერდება, შემდეგ უცბათ)

ჰა, ჰა, ჰა! შენი ქირიმე!

**ქიაურელი.** აი, შე ეშმაკო, შენა!..

**სოსიკო.** ხომ იცი, რა გიჟიც ვიყავ... ყმაწვილობისას.

**ქიაურელი.** ყმაწვილობისას?.. ეხლა რა, დაბერდი თუ?!

**სოსიკო.** ჰო... ჰო... В полном порядке отступил... მას შემდეგ ძალიან მეგობრები ვართ...

**ქიაურელი.** მერე, ეხლა როგორ უნდა მოვიქცეთ?

**სოსიკო.** როგორ და მიეწეროთ მერის, რომ გვინდა მამაჩემს ეუხუმროთ. ცოტა ავაცუნდრუკოთ... აბა, ისე რა უნდა გავაკეთოთ ამ მოწყენილობაში!.. ჰო-და მერიც დაგვეხმაროს. მოვიდეს აქ ჩვენგან დანიშნულ დროზე. აქაც მარტო გენერალი დახვდება. ერთი სიტყვით ნამდვილი რანდევუ... მერე ჩვენც შემოვესწრებით და... ვიცინებთ და ვიცინებთ. ბოლოს

ამას პატარა ნადიმიც მოჰყვება. დაუუძახოთ ბურღულსაც და წავიქეიფოთ.

**ქიაურელი.** ეგ მშვენიერი პლანია, მაგრამ მართლა კომედია იქნება, კაცო... რამე უხერხული არ გამოგვივიდეს...

**სოსიკო.** ეჰ... შენი ქირიმე! მე მეუბნებოდით სიბერეზე და, მგონი, შენ თვითონ დაბერებულხარ... ცოტა სიცელქე ყოველთვის კარგია... რა ვქნა, ესეთი მაქვს ხასიათი... ჰა, ჰა, ჰა! შენი ქირიმე! მაგრამ თუ მაინც-და-მაინც არ გინდა, კარგი. იყავი შენთვის, მე უშენოთ მაინც მოვრთავ ამ კომედიას...

**ქიაურ.** არა, არა, უკან არ ჩამოგრჩები. მაინც თავისუფალი ვარ დღეს, საქმე არა მაქვს. იყოს ნება შენი. მაშ, დავწეროთ წერილი.

**სოსიკო.** ოო, აგრე, შენი ქირიმე! ასე არ სჯობია? მხოლოდ ერთი კი არა, ორი წერილი უნდა დავწეროთ.

**ქიაურ.** ორი?

**სოსიკო.** ჰო, ერთი მერისთან. მეორეც მამაჩემთან, მერის მაგივრათ.

**ქიაურ.** მერის მაგივრათ?

**სოსიკო.** ჰო, ჰო... შენი ქირიმე! მოდი აქ დაჯექ. ჩემს ხელს იცნობს მამა... შენ დასწერე...

**ქიაურ.** კაცო...

**სოსიკო.** შენი ქირიმე!

**ქიაურ.**

(მიღის მაგიდასთან, ჯდება. აიღებს ქალღს, საწერ-კალამს).

**სოსიკო.** აბა, დაიწყე! ისე კი უნდა დავწეროთ, რომ სიყალბე არ შეემაჩნეს. „ძვირფასო კნიაზო, ზააღ“!..

**ქიაურ.** აი, კაცო! ნამდვილი და პირველი სიყალბე ეგ იქნება.

**სოსიკო.** რათა?

**ქიაურ.** კაცო, ჩვენებური კნეინა და ქართული წერილი?

**სოსიკო.** ჰა, ჰა, ჰა, შენი ქირიმე!.. მაშ, მივცხოთ რუსულათ.

**ქიაურ.** რუსულათ.

**სოსიკო.** Уважаемый князь! Хочу сегодня зайти к Вам. Имею дело. Но только с Вами наедине. Поста-

райтесь, чтобы Сосико устать куда-нибудь. Бедная княгиня нам не может помешать. Мы будем сидеть в гостинице. Но, повторяю, только с Вами наедине. Буду между первым и двумя часами.

„Ваша княгиня Мери“.

ქიაურ.

(წერილი დასწერა, ჩასდო კონვერტში, ზედ გენერლის ადრესი დააწერა ქა და ბეჭდა).

სოსიკო. მაშ, ეხლა მერისთან. ამას მე დაწვერ.

(ჯდება. სწერს).

ქიაურ. ჰა, ჰა, საწყალი გენერალი! წარმოდგენილი მაქვს როგორ აცუნდრუკდება. ჰმ... რა გამოიგონე, კაცო! რა-ში მოგიფიქრდა... მერე რომ მოგვხვდეს... ჩემისთანა დარბასიელი კაცი და ასეთი კომედიები...

სოსიკო.

(თავს არ აიღებს, სწერს და ისე ეუბნება).

კარგია, შენი ჭირიშე!

ქიაურ. კარგი და ბურდულს როგორღა შევატყობინოთ?

სოსიკო. ეხლავე, ეხლავე...

(ჩასდებს წერილს კონვერტში)

აი, მოვრჩი კიდევ...

(წამოდგება)

ეხლა ბიქს გავზახენი კნინასთან. ეს წერილი კი აქ იყოს. მე თვითონ გადავცემ მამას. მანამ კი შენ ტელეფონით ბურდულს გამოუძახე.

(გადის).

ქიაურ.

(მიდის. ტელეფონთან. რეკავს).

Центральная? აჰა! Пожалуйста, дайте кабинет удельного ведомства № 47003... აჰა! Спасибо!

(რეკავს)

Удельное ведомство, Да? აჰა!.. Пожалуйста, попросите г. Бурдули... Да!

(იდის. ტელეფონი ირეკება).

შენა ხარ, სოლომონ?... ალიკო ვარ... ა? ქიაურელი...

ქიაურელი, კაცო... ოჰო! გამარჯვება!.. აი რა: გენერალმა გთხოვა... გენერალმა... გრან-ბატონმა... მეორე საათზე მოდი უთუოდ ჩემთანაო... ა?... არ ვიცი... ა? ჰო... საქმე აქვს უთუოდ... დიად, აქ ვიქნები... ა?... ჰო, გიცილით!.. კარგი, ნახვამდის!

(დარეკს გასაშორებელს.)

## II

სოსიკო.

(შემოდის)

აბა, ესეც ასე. ელაპარაკე?

ქიაურ. ჰო.

სოსიკო. მაშ, ეხლა იწყება პირველი მოქმედება ჩვენი კომედიისა... ჩუ! უკვე მოდის პიესის გმირი.

## III

გენერალი.

(შემოდის)

აა, აქა ხართ, ალიკო? Великолещно, შენი ქირიმე! გამარჯვება!

(ხელს ართმევს)

შენა? დედასთან არ შესულხარ დღეს? გკითხულობდა?

სოსიკო. როგორ არა, ვიყავი. მაგრამ წავალ კიდევ. მხოლოდ, მამა, იცი, აგერ წერილია თქვენ სახელზე. მგონი კნიაგინია მერისაგან უნდა იყოს...

გენერალი. კნიაგინია მერისაგან!... სად არის?

სოსიკო. აი ინებეთ!

(გადის).

## IV

გენერალი. ჰმ...

(კითხულობს თავისთვის)

ჰმ... ჰმ...

(სახე გაბრწყინებული ჩაიდებს წერილს ჯიბეში)

დიალ..

(გაიელ-გამოიელის).

**ქიაურ.** რა იყო, გენერალო? ეტყობა სასიამოვნო წერილია...**გენ.** ჰო, დიად...

(თავისთვის)

ეხლა როგორ მოვიშორო თავიდან ეს აყლაყუდა?

(იმას)

კნიაგინია მერი მწერს... მთხოვს რალაცას.

**ქიაურ.** ჰოო?... ძალიან მშვენიერი. სხვა, გენერალო, მოგივიდათ, თხილის ნერგებს რომ ელოდით?**გენ.** სანერგეები?... ჰოო... ჯერ არ მომსვლია.**ქიაურ.** მერე, გენერალო, სად უნდა გაჰგზავნოთ ეგ ნერგები?**გენ.** სოფელში, ჩემს სოფელში, ყმაწვილო კაცო...

(ამოიღებს საათს)

აჰ! Это великолечно, შენი ქირიმი!

(თავისთვის)

უკვე პირველის ნახევარია...

**ქიაურ.** მერე, ეხლა რომ დაარგვევინებთ ამ თხილს, რამდენი ხანი უნდა მის მოყვანას?**გენ.**

(თავისთვის)

ღმერთო, რას ჩამაცივდა!

(იმას)

ბურღული ამბობს მალე, ორ წელიწადში მოვაო.

**ქიაურ.** ორ წელიწადშიო?**გენ.**

(თავისთვის)

არა, უთუოდ უნდა მოვიშორო!

**ქიაურ.** ეს მიბრძანეთ, შემოსავალი კარგი იცის თხილმა?**გენ.** რა ამბავია, ყმაწვილო კაცო, აგრონომია გინდათ ეხლა ჩემგან შეისწავლოთ?**ქიაურ.**

(თავისთვის)

ჰოო, ხომ შევაფუცხუნე!

(იმას)

არა... უკაცრავათ, გენერალო, მაგრამ ნუ თუ კითხვა არ შეიძლება? შეინტერესება ეგ საგანი.

**გენ.** თუ გეინტერესებათ, აი თქვენ მეგობარს, ბურდულსა ჰკითხეთ... დღეს რა, აქ იმისთვის მობრძანდით, რომ ჩემგან აგრონომიული გაკვეთილები მიიღოთ?

**ქიაურ.** უკაცრავად, უკაცრავად, ბატონო!

**გენ.** არა, это великолепно, შენი ქირიმე!

(სათს დაჰხედავს. თავისთვის)

ღმერთო ჩემო, აგერ პირველს ოცი უკლია.

**ქიაურ.** რა ირის, გენერალო, თითქოს უგუნებოთ შეიქე-  
ნით? მე ხომ არას გიშლით... საათსაც ხშირათ დასცქერით...  
ხომ არაეის მოელოდებით?

**გენ.** ეგ რა თქვენი საქმეა?

**ქიაურ.** არა, მომიტევეთ, ღვთის გულისათვის... მე იმიტომ  
მოგახსენეთ, რომ თუ კი გიშლით, მე გაგეცლებით.

**გენ.**

(თავისთვის)

ბიქოს, ეს რა კარგია! Великолечно, შენი ქირიმე.

(იმას)

უკაცრავათ, მეც მომიტევეთ, მაგრამ, სწორედ, არა მცა-  
ლია.

**ქიაურ.** ოჰ, გენერალო, რას მერიდებით. მე ხომ შინაური  
კაცი ვარ... ეხლავე დავცლი ბრძოლის ველსა...

**გენ.** რაო?

**ქიაურ.** არაფერი, ნახვამდის, გენერალო!

**გენ.** ნახვამდის, ნახვამდის, ყმაწვილო კაცო!

V\

**გენ.** უჰ, ძლივს არ მოვიშორე! არა, თხილებზედაც რო გამიბა  
საუბარი... Это великолепно, შენი ქირიმე!... კიდევ კარგი  
ღროით მიხვდა, რომ არ მეცალა... მადლობა ღმერთს! რომე-  
ლი საათია?

(დახედავს)

უჰ, პირველს ათი უკლია კიდევ. აბა, ეხლა სოსიკოც უნ-  
და მოვიშორო თავიდან, ერთი დავაძახებინო.

(დარეკავს)

VI

სოსიკო. (შემოდის)

რა გნებავთ, მამა? მე მიბძანეთ?

გენ. სწორედ შენ მინდოდი.

სოსიკო. მიბძანეთ

გენ. აი, რა შევილო! მე მინდოდა დღეს შენს ძალუა ნინოსთან წასულიყავ. რაც ჩამოხველი, არა უოფილხარ.

სოსიკო. (ეცინება)

ძალუა ნინოსთან? სიამოვნებით, მამაჩემო, მაგრამ... დედა ვერ არის კარგათ და ვერ დავსტოვებ...

გენ. (საათს დახედავს)

ჰმ, ღმერთო, პირველი საათია!

(იმახ)

დედა, დედას რა უშავს... მე ვიქნები აქ, შენ კი წადი ძალუასთან და მთელი დღეც დარჩი იქა... ძალიან გემდურის. ერთი მთელი დღით მოვიდესო.

სოსიკო. (ეცინება, მაგრამ მალავს)

ვერა, მამა დღეს ვერ წავალ!

გენ. აახ, это великолепно! როგორ თუ ვერ წახვალ, როცა მე გეუბნები?

სოსიკო. მამა, რა ამბავია? მაგდებ სახლიდან?

გენ. ეეჰ, როგორ მაგდებ, მაგრამ არ იქნება, ბიჭო. ძალუა უთუოდ უნდა ნახო. აი დაგვიანებულია კიდეც.

(საათს ამოიღებს)

მეორე დაიწყო კიდეც... მაშ, დროით უნდა წახვიდე, თორემ.

სოსიკო. ჰო და თუ დაგვიანებულია, მაშ, სულაც აღარ წავალ.

გენ. ახა, ღმერთო... რა ჯიუტი ხარ! რომ გეუენები, უნდა წახვიდე.

სოსიკო. მერე, დედა!

(კულისებში დარევენ ხარს).

გენ. ოოხ, ღმერთო! გასწი მეთქი!

სოსიკო. (თავისთვის)

მოვიდა, მოვიდა

(იციანს)

მამა, არა რაღაც არის შენს თავზე... ესე რამ აგაღელვებ?

გენ. გასწი, დაიკარგე!

სოსიკო. ჰა, ჰა, ჰა, შენი კირიმე! კარგი, კარგი, წავალ...  
მივდივარ... ჰა, ჰა!

(გაღის).

## VII

გენ. უუჰ, ძლივს!.. ეხლა მარტო ვარ... მხათ ვარ კნიაგინას დასახვედრათ.

(შემოდის მერი).

აა, კნიაგინია... Великолепно. შენი კირიმე!..

(ხელზე ჰკოცნის).

მერი. ოოჰ, კნიაზო ზაალ! მარტო ხართ, არა?

გენ. პირობისამებრ. კნიაგინია, პირობისამებრ!..

მერი. ნამდვილათ მარტო, სულ მარტო?

გენ. რაღა თქმა უნდა...

(მოჰყავს მერი წინ სცენისაკენ დასაჯდომათ. ამავე დროს ერთ კარებში კიაურელი გამოჩნდება, მეორეში სოსიკო).

კიაურელი იყო აქ, მაგრამ მოვიშორე, გავაბრძანე სახლიდან

(ამავე დროს გამოჩნდება ალიკო).

სოსიკო კი ეხლა გავისტუმრე ძალუასთან...

(ამავე დროს სოსიკო გამოჩნდბა. გენერალი ვერც ერთს ვერ ამჩნევს, ზურგი-თაა. მერი კი ორივეს უყურებს).

მერი.

(იციანის და თავს უქნევს ალიკოს და სოსიკოს).

ოო, ძალიან დიპლომატიურად მოქცეულხართ, კნიაზო!

გენ. ჰმ... რას ბრძანებთ, კნიაგინია... მე, თუ მოვიწოდებ, მაგას კი არა, რას არ მოვახერხებ...

(ალიკო და სოსიკო კარებში იმალებიან და იქიდან უყურებენ).

მერი.

(იციანს)

დარწმუნებული ვარ, თქვენი სტრატეგიული ნიჭი განთქმულია...

(ჯდება)

ეხლაკი... საქმეს შეუდგეთ.

**გენ.** (ახლოს მიუჯდება).

Великолепно, შენი ჭირიმე! შეუდგეთ... შეუდგეთ...

**მერი.** საქმე ის არის, კნიაზო, რომ...

(მიიხედ-მოიხედავს. ალიყო და კიაურელი იმალებიან)

ჩემი თხოვნა немного шикарного свойства...

**გენ.** ა? ჰმ... Шикарного свойства...

(აიღებს მერის ხელს).

Великолепно, შენი ჭირიმე!

**მერი.** (ეკავლუება)

გითხრათ... ა? თუ... არა, არ გეტყვიო!...

**გენ.** (დაიხრება, ხელზე ჰკოცნის)

მითხარით... მითხარით...

## VIII

**ბურღული.** (გაქანებული შემოდის).

**მერი.** მრცხვენთან, გენერალო!..

**გენ.** (კიდევე უფრო ეალერსება).

კარგია, ნ-უ მომკალით... რისი გრცხვენთან?

**ბურღ.** (წინ მოდის).

ახ, უკაცრავად!

**გენ.** (უცბათ მოიხედავს)

დასწყყელოს ეშმაკმა!..

(წამოდგება. მერი იცინის. ბურღულს)

თქვენ საიდან, როგორ? დღეს არ მოგელოდით.

**ბურღ.** უკაცრავად, კნიაზო, მაგრამ თქვენ თვითონ არ დაიბარეთ?

**გენ.** მე დაგიბარეთ?

**მერი.** (იცინის)

როგორ, თქვენ დაიბარეთ?

**ბურღ.** დიად, კიაურელმა მთხოვა ტელეფონით...

**კიაურელი და სოსიკო.** (გამოვლენ საფარიდან).

ჰა, ჰა, ჰა!

გენ. ეს რა ამბავია? თქვენ საიდან გაჩნდით?

ბურღ. აი, ბატონო, ჭიაურელსა ჰკითხეთ... ამან არა მთხოვა ტელეფონში თქვენის სახელით?

გენ. ჩემის სახელით?.. არა, это великолепно, შენი კირიმე!

(შეხედავს სოსიკოს)

აა! ეხლა კი ყველაფერი მესმის... მაშეს სულ შენი ოინგბია, ა?

(ყურზე ხელს მოჰკიდებს)

ახ, შე... შე...

(ჭიაურელს)

თქვენა? თქვენ კი... თქვენც მიიღეთ მონაწილეობა ამ შექმულობაში?..

(მერის)

მაგრამ თქვენ კი, კნიაგინია, თქვენგან ამას არ მოველოდი (მიღის).

მერი. მოითმინეთ, კნიაზო, მოითმინეთ!

დანარჩენებიც. მოითმინეთ, მოითმინეთ!..

## XI

მერი. გაგულისდა... აღარ დაგვიცადა!.. აბა, რა ჩაიდინეთ ეს, სოსიკო?

ბურღ. დიად, ეგ ვერაფერი საქციელია!.. რაც უნდა იყოს მოხუცი მამის უპატივცემულობა...

ჭიაურ. აკი უთხარი, მაგრამ არ დამიჯერა...

ბურღული. არა, მე თქვენი მაკვირვებს, კნენია!

სოსიკო. ეეჰ... დაიცადეთ ბატონებო! რამ აგაღელვათ... ეს იყო უბრალო ხუმრობა... მე ვიცნობ მამაჩემს... ერთი შეფუცხუნდება, მაგრამ შემდეგ დამშვიდდება და... აი, ნახავთ, დღეს ისეთ ნადიმობას გავმართავთ, რომ თქვენი მოწონებული.

მერი. არა, მეტის,-მეტი გიჟი ხარ, სოსიკო!

ბურღული. ეს ნამდვილი მოცლილი კნიაზური ხუმრობაა და მეტი არაფერი...

სოსიკო. ბატონო ჩემო... წრეს ნუ გადახვალთ...

**ბურღული.** მერე ისიც с благосклонным участием княгини... არა, ამის გაგება კი აღარ შემიძლიან...

**სოსიკო.** ბატონო ჩემო... ერთხელ კიდევ გაფრთხილებთ... თქვენი კანდიერება თქვენთვის შეინახეთ...

**ბურღული.** როგორ? მევე შემუქრებით?! მერწმუნეთ. რომ მე თქვენი მუქარისა არ მეშინიან... ამას კი ვამბობ, რომ ეს შეუწყნარებელი საქციელია. ან, მე რაში გამრიეთ... დიდათ ვემღურით თქვენ, ბატონო ალიკო!

(წასვლა უნდა, ამ დროს შემოდის ოლა).

## X

**ოლა.** რა იყო, რა ყვირილი გაქვთ?

**მერი.** (ნახევარ ხუმრობით)

რა იყო და გამოგვლანძლა „ამ მუეიკმა“. Здравствуй, ოლა!

**ოლა.** (სალამს აძლევს სხვებსაც)

გამოგლანძლათ... რათა? რათა, ბ-ნო სოლომონ?... ეგ როგორი ხასიათი გაქვთ?

**ბურღული.** აქ ჩემს ხასიათზე კი არ არის საქმე, არამედ, იმაზე, რომ აქ ჩაიდინეს მეტათ ხეპრული რამ და მეც შიგ გამრიეს... ამის მოთმენა კი მე არ შემიძლიან... მე სამასხაროთ არა მცალიან... მაგრამ ყველაზე უკეთესი ის არის, რომ თითონ კნეინა მერიმაც მიიღო მონაწილეობა ამ უხეირო ხუმრობაში...

**სოსიკო.** ბ-ნო სოლომონ! მე თქვენ გიკრძალავთ კანდიერ ლაპარაკს... კიდევ კნეინას და სხვა აქ დამსწრეთა ხათრი, თორემ...

**ბურღული.** მე აკი მოგახსენეთ თქვენი მუქარისა არ მეშინიან მეთქი... მშვიდლოთ ბრძანდებოდეთ...

(გადის)

**მერი.** დაიცათ, სოლომონ! აბა, როგორ გეკადრებათ... მართლა და მართლა საჩხუბარი, აბა, რა გაქვთ?... ყმაწვილმა მოისურვა მამასთან გახუმრება, ჩვენც მხარი დაეუჭირეთ... რა არის აქ მაინცა და მაინც ისეთი?!. აქ არც თქვენ და არც სოსიკოს ასაღელვებელი არა გაქვთ-რა...

**ბურღული.** მაინცა და მაინც მომიტევეთ, კნენა და ესთე-  
სიცელქეს ჩემი „მუჟიკური“ ბუნება ვერ შეურიგდება...

**მერი.** თქვენ ისევ მძიმე-მძიმე სიტყვებს ხმარობთ, მაგრამ  
მე არ აგყვებით... ყველაფერი ეხლავ მოგვარდება. სოსიკო  
წავა ეხლავ და სამზარეულოში ბრძანებას მისცემს, რომ ჩვენ-  
თვისაც, სტუმრებისთვისაც, ცოტა რამ მოამზადონ... უბრძანებს,  
რომ სუფრაც გაშალონ... მე კი გენერალთან შევალ, ავუხსნი  
ყველაფერს, დავამშვიდებ და უსიამოვნობის ნაცვლად, მშვე-  
ნიერათ გავატარებთ დროს... აბა, სოსიკო, მარშ!..

**სოსიკო.**

(მიდის მასთან მხედრული ნაბიჯით, ხელ-  
ზე ჰკოცნის)

შენი კირიმე!

(მხედრულადვე მობრუნდება და გადის).

## XI.

**მერი.** აი, ბატონებო! ხომ ხედავთ... ყველაფერი კარგათ  
დასრულდება. ეხლა ერთი პატარა ფილოსოფიაც; თავის დღე-  
ში კაცი ცხოვრებას არ უნდა მიეძალო და არ უნდა გააზვია-  
ლო მისი ზოგიერთი მომენტების მნიშვნელობა... ცოტა მსუ-  
ბუქათ, უბრალოთ მხიარულათ უნდა შეხვდეთ და მაშინ მუდამ  
კარგ გუნებაზე იქნები...

**ჭიაურ.** თქვენ, კნენა, საკვირველი აღამიანი ბრძანდებით...  
მომიტევეთ, მაგრამ ცელქიც და თან ჰკვიანიც.

**ბურღული.** მე, კი კნენა, უსათუოდ პატივსა გცემთ, მაგ-  
რამ ამ აზრს თავის დღეში ვერ შევეურიგდები, რომ ცხოვრე-  
ბას მსუბუქათ მოვეპყრა... პირიქით ყოველი მომენტით ცხოვრე-  
ბისა რთულია და სამძიმო...

**მერი.** მაშინ ხომ ისედაც გასაპირი ცხოვრება მატო ერთი  
ტრაგედია იქნება...

**ოლა.**

(თითქო თავისთვის)

ღიად, ღიად, რთულია ცხოვრება... მაგრამ... მაგრამი აქაც  
არის... არა, არა! კიდევ არაფერი მაქვს გამოარკვეული, არა-  
ფერი...

**ჭიაურ.** ისევ ორკოფობთ, ყოყმანში ხართ... აი შეხედეთ  
კნენას... მისი დევიზი მეც მომწონს...

## XII

გენერალი.

(კლოშინით შემოვარდება)

ბატონებო... როსი... კნენა თეკლეს გული უწუხს...  
გთხოვთ, გთხოვთ მომეხმაროთ...

მერი. ო. ღმერთო მომკალი!

კიაურ. წავიდეთ.

ბურღ. გული უწუხს?

მერი. წავიდეთ, წავიდეთ!

(გადიან ოლას გარდა).

## XIII

ოლა. საკვირველია ცხოვრება! ტრაგედიაც არის, კომე-  
დიაც! აქ მხიარულობენ, იქ გული უწუხთ... როგორ სჯო-  
ბია, რა სჯობია? ეეჰ..

(მიდის. ამ დროს შემოდის მხიარულათ სოსიკო).

## XIV

სოსიკო

(გაედევნება ოლას)

ოლა, შენი კირიმე!

ოლა.

(მობრუნდება)

რა იყო?

სოსიკო. ოლა, დარჩი... მინდა მოგელაპარაკო...

ოლა. შენ? მომელაპარაკო? შეგიძლია კი დინჯი ლაპარაკი?

სოსიკო. ოლა, შენი კირიმე! რა ამბავია ამ უკანასკნელ  
ხანებში ეგრე უკმეხათ მეპყრობი? აკი წინათ მუდამ გიხარო-  
და ჩემთან ჯოჯნა, ჩემთან ლაპარაკი?

ოლა. წინეთ?... მართალია, მაგრამ წინეთ შენ სულ სხვა-  
ნაირათ მეჩვენებოდი... არა, წინეთ სულ სხვა იყავ...

სოსიკო. ეხლა კი?

ოლა. ეხლა... სრულიად ველარა გცნობ. აღარც ის სერიო-  
ზობა, როგორსაც წინეთ სტუდენტობის დროს შენში ვხე-  
დავდი... აღარც ის ინტერესი საზოგადო საკითხებისადმი... რა-  
ღაც ფუქსავატი გახდი... მაინც ეხლახან, რაც ჩამოხველი,  
სულ ღვინის სმისა და ცელქობის მეტი არა გავიკეთებია-რა.  
აი, თუნდა დღეს! რა იყო ეგ სიცელქე? მოსაწონია? ან რა

აზრი ჰქონდა?... ტყუილი კი არა სთქვა ბურღულმა, რომ ეს ნამდვილი კნიაზური უხეირო ხუმრობა იყო!

**სოსიკო.** ახ, ბურღული!... ეხლა კი მივხვდი რატომაც მარიგებ ასე?

**ოლა.** გარიგებ? არა, არ გარიგებ, სოსიკო!.. მხოლოდ გული მტკივა... რა იყავი და რას დაემსგავსე?!..

**სოსიკო**

(შიიწვეს მისკენ)

შენი ჰირიმე!

**ოლა.**

(ჩამოიშორებს)

კარგია, ერთი!.. როგორ მიყვარდა ეს სიტყვა. შენგან მაინც... გახსოვს, ამ ორი წლის წინად

(თანდათან გამოცოცხლდება)

ახალთახალი პირველი კურსის სტუდენტი იყავი, ჩამოხველი აქ, ჩვენთან. ჩვენც.. ახალგაზრდა ქალებმა შევადგინეთ წრე და შენც გვიკითხავდი და გვიხსნიდი სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნებს... როგორ მოგვწონდი... ყველას იდეალი იყავი... ეგეთი მკოდნე, დინჯი, მორიდებული, თავაზიანი, თუმცა იმავ დროს ცოცხალი, მარჯვე და მკვირცხლი... ჰმ... მახსოვს, ლამაზი თავის დღეში არა ჰყოფილხარ... ესეთი, პატარა ტანისა იყავი. მაგრამ ჩვენ მაინც ყველანი ნაპოლეონს გეძახდით... ვამბობდით კიდევ — ნახავთ თუ ამან ნაპოლეონით რევოლუციას თავზე არ გადაუაროს და პირველი კაცი თავისებური არ შეიქმნესო... რა იმედები გვქონდა შენი

(ისევ მოდუნდა)

ეხლა კი... რა გამოვიდა შენგან?.. იუნკერი... დღისიკ უკვე გამოვდებული... რა, რა ხარ ეხლა?..

**სოსიკო.** ოჰ, ოლა, ოლა, შენი ჰირიმე! რა სასტიკი ხარ... მაგრამ მართალია, მართალია, რაც შენ მითხარი... დიად, მახსოვს ჩემი სიყმაწვილე... მახსრვს, რომ ბევრიც გავიტაცე, მაგრამ ამ გატაცებაში მე თვით გამიტაცა ერთმა ვინმემ და ეს ვინმე შენ იყავი... ამას შენც კარგათ ამჩნევდი... ერთი მეორისათვის არა გვითქვამს რა, მაგრამ ჩემს გულში მუდამ დევოდა ის ნაპერწყალა, რომელსაც შორეული ოლა ერქვა... შენი ჰირიმე!.. დამიჯერე, ეხლა გულახდით გეუბნები, ყოველთვის შორსაც და ახლოსაც სერიოზულ ხანებში და თუქსავა-

ტობის დროსაც შენი ეს პატარა, მაგრამ მეტყველი სახე მახსოვდა, ეს ეშმაკური, ბავშური, მაგრამ ჭკვიანური თვალები ლურსმანივით მესობოდა ტვინსა და გრძნობაში... და, აი, ეს შენი სხვანაირი, ჩახლერილი ხმა... ხმაც კი სანეტარო ყრუ-ანტელსა მგვრიდა... ერთის სიტყვით, მიყვარდი და მიყვარხარ, ოლა, ჩემო კარგო... შენი ჭირიმი! —

(ხელს ჰკიდებს).

**ოლა.**

(არ ეწინააღმდეგება)

ეხლა? ეხლა რაღა? მაშინ, როდესაც ჩემი კერპი დამსხვრეულია... დიად, ხომ არც მე მითქვამს შენთვის რამე, მაგრამ მეც მიყვარდი მთელი ჩემის ქალურის გატაცებით... მხოლოდ მე მიყვარდა შენში შენი ნიჭი, ჭკუა, საზრიანობა... რაღა დავმალო, შენს სახელთან და შენს გარეგნობასთან მე მიყვარდა შენი სულიერი „მე“, რომელიც ეგრე მაღალი მეგონა... ეხლა კი... ეხლა?

**სოსიკო.** ოჰ, ოლა, შენი ჭირიმი!.. ოლონდ შენ მითხარ... ოლონდ შენი გულის სიტბოს ნუ დახშავ ჩემთვის და, მერწმუნე, კვლავ კაცი შევიქნები... კვლავ მკვლრებით აღვსდგები... მეცა მრწამს, რომ სიყვარულს სასწაული შეუძლიან... მთებსა სთხრის... ქალაქებს იპყრობს... მეც მითხარი ოლონდ... კაცი გაეხდები... შენი ჭირიმი!

**ოლა.** ჰმ... გითხრა?.. გვიან... რომ იყვეს... იცი, სოსიკო!.. მე ამას წინათ, სწორედ, აი აქ. თქვენსა, მომელაპარაკა კიდევ ბურღული და...

**სოსიკო.**

(აწნება)

ბურღული? აი ის...

**ოლა.** სოსიკო, გთხოვ!.. ის მეტად ღირსეული კაცია. . მართალია ცოტა ახირებულია... სულ თავის „მუეიკობაზე“ გაიძახის, მაგრამ ისე კი სალი გონების პატრონია... პატიოსანი... და დამდგარი ხასიათის... იმას შეიძლება ენდოს კაცი...

**სოსიკო.** აჰა, მაშ, სწორედ იმიტომაც არის, რომ ერთი მეორე გაცნობისათანავე არ მოგვივიდა თვალში?.. მაგრამ შენ ეს მითხარი... მერე... რითი დასრულდა თქვენი მოლაპარაკება?.. შენ, შენ რა უთხარი?

**ოლა.** (დამშვიდებული კილოთი)

არაფერი... ვიფიქრებ მეთქი.

**სოსიკო.** (ძალიან გახარებული).

ოჰ, ოლა, შენი კირიმე!.. მაშ, ჯერ მთლად არ დავლუპულვარ... მაშ, ოლა, ოლა! შემძლიან ჯერ კიდევ იმედი ვიქონიო?

**ოლა.** არ ვიცი... არ ვიცი...

**სოსიკო.** შენი კირიმე!.. მაშ, იმსავეით მეც მითხარი, რომ... რომ მოიფიქრებ... შენი კირიმე!

**ოლა.** ჰმ... თუ გამოიცვლები...

(სიცილით)

თუ ისევ ძველი ნაპოლეონი გახვდები...

**სოსიკო.** (შესდგება)

ნაპოლეონი კი არა, ალექსანდრე მაკედონელი გავხდები, არისტოტელი, სოკრატი, პომპროსი... სულ ყველა ერთად.

(ხელზე კონის)

შენი კირიმე!

## XV.

**ბურღული.** (შემოდის)

უკაცრავათ!

(სოსიკო და ოლა განშორდებიან)

მხოლოდ, კნიაჟნა! ასე სასტიკათ აგდებს კი არ მოველოდი!

**ოლა.** არ მესმის, რაზე ბრძანებთ?

**ბურღული.** დიად, იმ ლაპარაკის შემდეგ... მართალია თქვენ გადაჭრით პასუხი არ გითქვამთ, მაგრამ ისე კი ნათლათ მაგრძნობინეთ, რომ თითქმის თანახმა იყავით... ეხლა კი გადაკიდებიხართ, იმ ფუქსავატ კნიაზუკას...

**სოსიკო.** (მთლად ანთებული)

მოწყალეო ხელმწიფეე!..

**ბურღული.** მე თქვენ არ გელაპარაკებით, ყმაწვილო კაცო!. მე მხოლოდ ის მაკვირვებს—სადა მქონდა აქამდის თვალეები და რატომ არ ვიციოდი, რომ თქვენც, კნიაჟნა, იმ გადაგვარებულთა ბუნავს ეკუთვნით, რომელთაც არც სიტყვა დაეჯერებათ და არც საქმე...

სოსიკო. მაშ, ესეც თქვენ!

(გამოეჭანება და სილას გაარტყავს).

ოლა. სოსიკო!

ბურღული.

(უცბათ დაიბნევა, მაგრამ მალე გონს მოვა და რევეოლეფერს ამოიღებს)

ესეთ შეურაცხყოფაზეცი ჩვენ, აი რითი ეუპასუხებთ!..

(ესერის. სოსიკო შეჭყვირებს და დაჭრილი დეარდება).

ოლა.

(საშინლათ დაიკვივლებს)

აახ!

ბურღული.

(გაშეშებული დგას).

## XVI

გენერალი, მერი კიაურელი.

(შემოცვივდებიან ალიაქოთზე).

ჟველანი. რა იყო!? რა მოხდა?!

სოსიკო. არათფერი... არათფერი... ცოტათი დაეიქერ მხოლოდ...

ოლა.

(ოლა მიდის მასთან. სოსიკო ხელს ჩამოართმევს და ჰკოცნის)

შენი ჭირიშე!

ფ ა რ დ ა .

## მესამე მოქმედება.

(იქვე. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთ-ერთ თვალსაჩინო ალაგას ლოგინია გაშლილი და ზედ წვეს დაკრილი სოსიკო. მის წინ პატარა მაგიდაზე წამლები და შესახვევი მარლაა. იქვე შორი-ახლო სხედან გენერალი და ჭიაურელი. გენერალი ძალიან ჩამოხუნებულია. სოსიკოს თითქო სძინავს).

### I

**ჭიაურელი.** ამ გვარათ გამოვეთხოვე და მოვდივარ. ქალიშვილი სასადილო ოთახში დარჩა. დიასახლისი კი მე გამომეყუა. ზალაში ბნელა. ისე იყო, რომ ზალაში უნდა გამოგვევლო, შემდეგ კარიდორში და ბოლოს კარები კიბეზე გადიოდა, მაგრამ იქვე კარიდორში კიდევ იყო ერთი კარები, რომელსაც კაბინეტში შეჰყავდით. აი, სწორედ ამ კაბინეტში შემავდო დიასახლისმა.

**გენერალი.** Ах, это великолепно, შენი ქირიმე!.. მარჯვე ქალი ყოფილა... მერე თქვენ რალა ქმენით?

**ჭიაურ.** ვერ წარმოიდგენთ, გენერალო, ამისთანებში მე როგორი მორცხვი კაცი ვარ... სრულიად დავიბენი... არ ვიცოდი რა მექნა... განსაკუთრებით იმ ქალიშვილისა მერიდებოდა, რომელიც სასადილო ოთახში დარჩა. მართალია, აქ ყველგან ბნელოდა, ზალაშიც, კარიდორშიც, თვით კაბინეტშიც, მაგრამ რომ წამოსულიყო სათლით ხელში... სად უნდა გადავკარგულიყავ?..

**გენერ.** ეგ ძალიან საინტერესოა... მერე, მერე?

**ჭიაურ.** მერე, დიასახლისი მაშინვე გამშორდა და სრულიად მარტო დავრჩი ამ სიბნელეში, უცხო კაცის სახლში, თითქმის უცხო ქალებით. სასაცილო კიდევ ის იყო, რომ ეს ყველა ისე უცბათ მოხდა. და ჩემი თავისთვის ანგარიში ვერ მიმეცა, თუ როგორ მოვქცეულიყავ... არც ვიცოდი—ეს ჩემთვის ხაფანგი იყო, თუ სხვა რამ უფრო პიკანტური შემთხვევა.

**გენერ.** მერმე კიდევ თქვენ ქალიშვილს ეარშიყებოდით და დიასახლისი კი შეგრჩათ ხელში.

**ქიაურ.** არა, დიასახლისიც ძალიან მოხდენილი ქალი იყო...  
**გენერ.** (გამოცოცხლებდა)

ჰოო, მერე, მერე?

**ქიაურ.** მერე და... გავიდა, არ ვიცი რამდენი ხანი. მე მთელ საუკუნეთ მომეჩვენა... სრულიად მიწყდა ირგვლივ ხმაურობა და მეც ამ მოლოდინში, ამ სიბნელებში ჩემი თავი ქაოსს შეუერთდა მგონია. . ბოლოს გაისმა აბრეშუმის იუბკის შრიალი და დიასახლისი შემოსრიალდა კაბინეტში.

**გენერ.** მერე, მერე?

**სოსიკო.** (თვალს გაახელს)

აჰ!

**ქიაურ.** სს!.. სოსიკომ გაიღვიძა...

**გენერ.** (წარმოდგება და მიაშურებს სოსიკოსკენ)

რა იყო სოსიკოჯან?

**სოსიკო.** (სუსტის ხმით)

არაფერი... ცუდი სიზმარი ენახე.

**გენერ.** სიზმარი!.. ეჰ, რა დროს სიზმარია... ტკივილი ხომ აღარ გაქვს...

**სოსიკო.** ჰმ... მამა, შენი ჭირიმე!.. ტკივილი როგორ არა მაქვს, მაგრამ ვითმენ...

**გენერ.** ეგრე უნდა, შეილო, ეგრე! „ვოენი“-კაცმა ტკივილი უსათუოდ უნდა მოითმინოს... აი, ჩემსობას „პოხობაში“ ისეთი ჯარის კაცები გვყავდა... Славный нижегородский პოლკში, რომ ტყვია მოხვედროდათ და შიგ ჩარჩენოდათ, რასაკვირველია ისეთ ალაგს, სადაც ეს შეიძლებოდა, თავისივე ხელით დანით გაიჭრიდნენ იმ ალაგს და ტყვიას ისე ამოიიღებდნენ, მაგალითად მკერდში, ზურგში...

**სოსიკო** აკი ვითმენ კიდევ...

**გენერ.** ჰო და ეგრე... რაა, ფერდში გაქვს ქრილობა! ექიმმა ძალიან გვანუგეშა...

**სოსიკო** ეგრე კია, ვითომ?.. შენ არ გეტყვიან, მამა, მართალს... აი, ალიკოს ეცოდინება... ეეჰ, სულ ერთია... მე თვით ვატყობ, რომ სიკეთეს არ დამაყრის.

**გენერ.** კარგია, შეილო, ნუ ლაპარაკობ... აი, ჩვენ მოგიყვე-

ბით ამბებს... აი ეხლა ბ-ნმა ალიკომ ისეთი რომანტიული შემთხვევა მიაშობო თავის ცხოვრებიდან, რომ...

**სოსიკო** დედა როგორ არის, მამა? ხომ არაფერი იცის — ისე?

**გენერ.** რასაკვირელია, არაფერი. Ах ты, дурачек! თავის დღეში კაცი ამდენი ხნისა მოვყრილვარ, ტყუილი არ მითქვამს, და შენ კი მათქმევინე...

**სოსიკო.** როგორ, მამა?! ჰოო... დედას რომ დაუმალო?

**გენერ.** მაშ, შეილო! ამ სამი დღის წინად, როცა დაიქერ... მკითხა: „რა ალიაქოთი იყოვო? ან სოსიკო სად არისო?“ რა ვიცი, ისეთი რაღაებიც მოვბოდე და იმდენი ტყუილები ვთქვი, რომ...

**ქიაურ.** Святая лож...

**სოსიკო.** მამა, შენ არ გექნება წაკითხული... მარკ ტვენს აქვს ერთი მოთხრობა დაწერილი... იქ დედაც ავით არის და შეილიც... ცალცალკე ოთახში წვანან... შეილი კვდება და ამ ორივე ავადმყოფის მომვლელი მონაზონი, რომლის ბაგეებსაც არასოდეს სიცრუე არ გაჰკარებია, იძულებულია დედას ტყუილი უთხრას — კარგათ არისო... მართლა, რას იზამ, მამა, მე რომ მოვკვდე?.. სადამდე დაუმალოვ დედას?

**გენერ.**

(ცრემლი ვრევა, მაგრამ ბუზღუნით)

კარგი შეილო... Неразказывай историю... გაწყენს. გაწყენს ლაპარაკი.

## II

**მერი.**

(თავს შემოჰყოფს)

შეიძლება?

o (გენერალი და ქიაურული მისყენ)

**ქიაურ.** შეიძლება, კნეინა, შეიძლება!

**გენერ.**

(გაეშურება მისყენ, ხელზე კონის და შემოჰყავს)

Великолепно, შენი კირიმე!

**მერი.**

(შემოდის. ხელს ჩამოართმევს ქიაურელს. მიდის სოსიკოსთან და შუბლზე ხელს დაადებს).

**სოსიკო.** ოჰ, კნეინა მერი!

**მერი.** როგორა ხარ, გენაცვალე? უკეთ ხომ?

**სოსიკო.** არა, კნენა... არა... ვერა ვგრძნობ თავს კარგათ... ცოტა კი მეძინა.

**მერი.** ჰო და ძალიან კარგი. სოსიკო ნუ მომიკვდება... რაკი გეძინა, მაშ ალარა გიშავს-რა...

**სოსიკო.** ოლა რატომ არ მოვიდა?

**მერი.** ოლა ეხლავ მოვა, შენ ნუ მომიკვდე... გზაში დაფტოვე, სადღაც მაღაზიაში შეიარა... მგონი ყვაილები საყილლად...

**სოსიკო.** ჰმ... ჩემთვის უნდა? გვიანლაა...

**მერი.** ოჰ, კარგია ერთი!.. ნუ იტყვი მაგას... ძალიან მალე კარგათ იქნები.. ერთი აქ მობრძანდით, ბ-ნო ალიკო!

(გაიყუანს განზე).

**სოსიკო.** მამა!

**გენერალი.** რა იყო, შეილო?

**სოსიკო.** ერთი სოლომონს დააძახებინე... ან და, აი, ტელეფონით გამოუძახე...

**გენერალი.** ეეჰ, კარგია... რათ გინდა სოლომონი?..

**მერი.** მერე? ადვილად შეიძლება სისხლი მოეწამლოსო?

**ჰიაურელი.** დიად, აი, დღეს არის, თურმე, კრიზისი.

**მერი.** ოჰ, ღმერთო მომკალი!... დედ-მამამ ხომ არაფერი არ იცის?

**ჰიაურელი.** არა, არ გვითქვამს...

**სოსიკო.** მერე, გამომძიებელმა შეაყენა ოქმი?

**გენერალი.** არა, არა! აკი გითხარი აღარაფერი არ იქნება, სოლომონს აღარ დასჯიან, რაკი ეს განვაცხადეთ, რომ შენ უცაბედათ მოგხვდა ტყვია... მართლა, იცით, კნიაგინია მერი, (მერი და ჰიაურელი მიბრუნდებიან)

კომენდანტი იყო ჩემთან...

**მერი.** მერე?

**გენერ.** მერე და გამომკითხა საქმის გარემოება... იმა საც, რასაკვირველია, ეგრე აფუსხენით, როგორც გამომძიებელს: თვითონ უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი-მეთქი.

**სოსიკო.** მამა, შენი ჭირიშე! დაუძახეთ სოლომონს!..

**გენერალი.** აი, მეხვეწება სოლომონს დაუძახეთო...

მერი. სოლომონს? ოჰ, ძალიან კარგი!. ვერ წარმოიდგენთ რა შეწუხებულია!...

ქიაურელი. ოჰ, მკედარია კაცი!

მერი. ოჰ, ძალიან კარგი იქნება, ძალიან? დაუძახეთ, დაუძახეთ... ამითი სულ გამოაცოცხლებთ კაცს.

სოსიკო. მამა, შენი ჭირიმე!

გენერალი. კარგი, კარგი

(მიდის ტელეფონთან. დარეკავს).

Центральная! აჰა!. Дайте, пожалуйста, Удельное Ведомство... Готово?.. Великолепно...

(რეკავს. უცდის. დაირეკება).

Удельное? აჰა!.. Попросите г. Бурдули... Великолепно...

(უცდის. დაირეკება).

Кто у телефона? г. Бурдули? აჰა!.. Великолепно... ჩემი ვაჟი... ავადმყოფი გთხოვთ ინახულოთ... ა?

სოსიკო. ეხლავე, მამა, ეხლავე!

გენერალი. ეხლავეო, ეხლავე. აჰა!.. ძალიან კარგი...

(დარეკს გასაშორებელს).

მერი. ესე კი იყო...

სოსიკო. ჰა, ჰა!.. შენი ჭირიმე!

მერი. კიდევ არ მოიშალე ეგ სიტყვა?

სოსიკო. რა მომაშლევენებს. ერთხელა ვსთქვი „ეს სიტყვა კიდევ მაცოცხლებს და კიდევ მომკლავს მეთქი“... ეხლა კი მომკლა... მაგრამ მე კი მეტყვის ვინმე იმას სიკვდილის დროს?

მერი. სოსიკო!... შე საძაგელო! რეებს ლაპარაკობ!

### III

ოლა.

(შემოდის შავებში, რაღაც ნაზი ყვავილებით ხელში. მიდის პირდაპირ სოსიკოსთან).

სოსიკო. ოჰ, ოლა, შენი ჭირიმე!

(ხელს გამოართმევს და ჰკოცნის).

ოლა.

(გადასცემს ყვავილებს. სხვები ჩამოშორდებიან).

სოსიკო. რა ნაზი ყვავილებია... ისე როგორც ჩემი უბედური სიყვარული...

(ტირილი აუტყდება).

ოლა. კარგია, სოსიკო, კარგი!..

**გენერალი.** (გაიგონებს ტირილს)

სოსიკო, дурачек... ну!...

**მერი.** დამშვიდდი, გენაცვალე!

**სოსიკო.** (ტკივილით)

აჰ!... არაფერია, აი, გამიარა! პირ-იქით, კრემლები ეხლა მიხარია... შევება თითქო გულისა!..

**მერი.** დაეთხოვე მაგისტანებს... ოლა, მოშორდი!

(სიცილით)

სულ შენი ბრალია.

**ოლა.** (მოშორდება)

დიად... ჩემი ბრალია, ჩემი ბრალი...

**მერი.** ისევ ისა სჯობია გავიხსენოთ როგორ იყო, რომ გინდოდა გენერალი მე გამარშიყებოდა...

**გენერალი.** (მიუახლოვდება)

ჰა, ჰა... Чудачек, სოსიკო... მეც რომ გაუჯავრდი... გინდა, სოსიკო, ეხლა ნამდვილად გაუარშიყდე კნიაგინას?..

**სოსიკო.** მამა, შენი ჭირიმი!

**გენერალი.** მერწმუნე.

**მერი.** Ну, ух... კნიაზო... ეხლა კი დაგვიანებულია...

**ოლა.** (ჭიაურვლს)

რაო? დღეს რას თქვეს ექიმებმა?

**ჭიაურ.** არაფერი იმედი... დღეს კრიზისია.

**ოლა.** (ჩაიყეცება სავარძელში)

ღმერთო! (გადაიხედავს სოსიკოსაკენ)

ღმერთო!

**სოსიკო.** (სუსტათ იცინის მერისა და გენერლის ხუმრობაზე)

ჰა, ჰა, ჰაა!..

#### IV.

**ბურღული.** (ფერ-მიხდილი, დაღონებული, ნელა შემოდის)

**მერი** (შეამჩნევს)

აა, სოლომონ... პობრძანდით!

**სოსიკო.** აჰ, სოლომონი? აქეთ მოვიდეს.

**სოლომონ.** (მიდის მის ლოგინთან).

სოსიკო.

(წამოიწევს)

სოლომონ! მომიტოვეთ, ღეთის გულისათვის...

სოლომონ. მოსატავებელი მე მაქვს...

სოსიკო. არა, არა... თქვენ ვაჟაკურად მოიქეცით... დამნა-  
შავე მე ვარ...

სოლომონ. თქვენის რაინდობით სრულებით გინდათ გამა-  
ქარწყლოთ...

სოსიკო. არა, არა!.. პირ-იქით მე ეხლა ისეთ მღვდმარეო-  
ბაში ვარ, რომ... ჩემთვის ფრაზეოლოგიას არაფითარი მნიშვნე-  
ლობა არა აქვს... თქვენ ცათამდის მართალი ხართ ჩემს წინაშე  
და... საზოგადოდ თქვენი თეორიაც მართალია... ეგ არ ახალია,  
ძველია, მაგრამ მართალი... მომავალი თქვენი- გლახობისა...  
თქვენა გგონიათ, ბატონებო, ვბოდავ... ააჰ!

გენერალი. შვილო, ჩუმაღ!..

მერი. სოსიკო, გაწყენთ ლაპარაკი!..

სოსიკო. ჰო, ის მინდოდა შეთქვა... თქვენში. გლახებშია  
ძალა... ჩვენ კი, თავადები, მოღალატეები ვართ... ჰა, ჰა! ძალიან  
ახალი ამბავი არ არის?.. მაგრამ მე მინდა ხაზი გაუსვა ამ ამბავს...  
აი მეც, რა ვიყავი... თითქო ნიჭიერი, თითქო რაღასაც მოე-  
ლოდნენ ჩემგან... ერთი მოფეთქება და... არ მეყო ენერჯია...  
ვერავის იმედი ვერ გავახორციელე.

გენერალი. შვილო... შვილო...

სოსიკო. დედა... ოჰ. დედა, შენი ქირიმე! ვერ ველირსე  
უკანასკნელათ შენი სათნო სახის ნახვას...

მერი. კარგია, გეყოფა, გენაცვა სოსიკო... ტყუილათ ნუ  
იწუხებ თავს.

სოსიკო. არა, დამასრულებინეთ, რაც მინდა ვთქვა... იყო დიდი  
სურვილები ჩემში და... აი, ჩემსავე ფუქსავატობის მსხვერ-  
პლი გავხდი... არა, ბატონო სოლომონ, ნუ იღრუბლებით!...  
თქვენ აქ არაფერ შუაში არა ხართ... ოლა; შენი ქირიმე,  
გთხოვთ აქ მოხვიდეთ...

ოლა.

(წამოდგება, ცრემლს მოიწმენდს და მი-  
დის მასთან).

სოსიკო. ბატონო სოლომონ! თქვენც ახლოს მოიწიეთ...

მომიტყვეთ... ისეთ ძნელს რასმე გეტყვიტ ეხლა ორთავეს... მაგრამ, დეე, მე მგონია ეს ჩემი მოვალეობაა... მე მგონია სიკვდილის დროს ერთ კარგ საქმეს მაინც დაეტოვებ ამ ქვეყნად... აი რა: გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი და... შეუღლდით... მე ამას ანდერძათ გიღებთ... ორივენი ღირსნი ხართ ამისა და... ჩვენი ქვეყნის მომავალიც ესეთების შეუღლებაში უნდა იქმნეს... აი, ეს აზრი კიდევ უფრო მამბედვინებს, რომ ეს გთხოვოთ... მომიტყვეთ, მეგობრებო, თუ მძიმე წუთი განგაცდევინეთ, მაგრამ... ააჰ... ეხლა დადგა ჩემი აღსასრულიც... მგონი ჭრილობა შემეხსნა...

(ყველანი მისცივიდებიან)

არა, არა... არა მიშველის-რა... მამა... მშვიდობით... დედა დამიკოცნე... ააჰ...

გენერალი.

(ტირის)

შვილო... შვილო...

სოსიკო. ეხლა კი გავთავდი... ოლა... შენი ჭირიმე!.. ააჰ!

(კვდება. გენერალი მწარედ ქვითინებს. მერიც. კიაურელი თვალებს დახუჭავს. სხვები თავ-ჩაღუნული დგანან. ოლა მის და იქვე მდებარე ყვაილებს დააყრის. შემდეგ მოჭოქებს).

ოლა. შენი ჭირიმე!

(ქვითინებს).

L

ფ ა რ დ ა .



മനുഷ്യൻ



**მ ო ჯ მ ე ლ ნ ი :**

- მალხაზ პინტრიშაძე მამასახლისი.  
კეკელა, მასი ცოლი.  
აგრაფინა | ამათი შვილები.  
ადიკო |  
პაპუნა პინტრიშაძე, მალხაზის ბიძა.  
ჯიბო კვანტრიშვილი. მამასახლისის მოწინააღმდეგე.  
დათია, ამისი მომხრე.  
თავადი კოწია.  
მისი კნენა.  
ფაცია, მათი ასული.  
კარლო ყაყუტაძე.  
გენერალი ბერდოსანი.  
კნ. ჩიტუნია.  
„ფოფოლია“.  
მაზრის უფროსი.  
ბოქაული ჩალიანი.  
თ-დი გორგასლანიანი | „სტრანეიკები“  
ჯვებე ქილორდავა |  
სტუმრები, გლეხები, მსახურნი.

მოქმედება სწარმოებს ჩვენში, 1905 წლის შემდეგ 1910-მდე.

### მოქმედება პირველი.

მამასახლისის ოდის აივანი. ზაფხულია. კეკელუცი სანახაობა: მთები, მოშორებით ძველი ციხის ნანგრევი. უფრო ახლოს მოსჩანს ორ-სართულიანი, კიბე-ნა-მონგრეული სასწავლებელი და გუმბათ-გადმომტვრეული ეკლესია. აივანზე, იქეთ-იქით კუთხეებში ხალიჩა გადაფარებული ტახტები დგას. შუაზე—დიდი, სასადილო მაგიდა, ზედ მუშაობა აქვს გადაფარებული. მაგიდის ზემოთ, ჰერში, ჩვეულებრივი შუშის ფანარია ჩამოკიდებული. შიგ ნავთის ლამპარია შედგმული. ორგველივ მაგიდას-კი სელის სკამები ულავია.

33

ა.

**კეკელა, პაპუნა**

(მაგიდას უსხედან)

**პაპუნა.** ჰო-და, არ ვარგა, შენ არ მომიკვტე, არ ვარგა ასე. რამდენჯერ უთხარი, რომ არ დეიჯერა?

**კეკელა.** ეჰ, თავის ნათქვამი კაცია ჩემი მალხაზი, აქამლი რაღა ვერ გეიგე, ბეჩა პაპუნა!..

**პაპ.** გევიგე-რა?.. როცა სოფელი მამასახლისათ ირჩევდა, იმიტომ გადავდევი თუ ვეღამ თავი, რომ ეს პირველი მაგალითი იყო—ასე თუ ისე ნასტავლი კაცი მამასახლათ დაგვეყენებია...

**კეკ.** ნეტაი, შენის კარგა ყოფნით, სულაც არ ამოგერჩიათ... უსიამოვნობის მეტი რა შეხვდა!

**პაპ.** საზოგადოების სამსახური ეგეთია, ქალო... ვინმე მონდურაფი რომ არ დაგრჩეს, არ შეიძლება, მაგრამ...

**კეკ.** ეჰ, გენაცვალე!.. აქ არის—და ეს კვანტრიშვილები მოიძღვრა, მოიძღვრა... სოფელი ორათ არის გაყოფილი. ზოგი ჩემ ქმარს ემხრობა და ზოგი კვანტრიშვილებს... ახლა კიდევ მთავრობაც ცუდი თვალთ უცქერის...

**პაპ.** არა, მაგისი არ მეშინია. ჩემი მალხაზი მეტად ჭკუიანი კაცია, ნასტავლიც არის და მთავრობასთან იცის რაფარც შეიქცეს, მაგრამ მე გულს ის მტკენს, რომ აქამლის არ იქნა და ვერც ამ ეკლესიის განახლება მოახერხა, ვერც ამ უბედური სასტავლებლის გადაწყვიტა რამე... გადაყვეით, ბატონო!.. შენი თქმის არ იყოს, სოფელი ერთი მეორეს შეჯახებული ვართ...

**კეკ.** შენი ბრალიც კია, პაპუნა ჩემო... რომ გადევკიდე იმ კვანტრიშვილებს.. არ იქნება, სასტავლებელს ვერ დაგანებებთო...

**პაპ.** ერიპა... ახირებული ხარ, კეკელა არ მომიკვტეს... ცხვირის წინ, ეზოში სასტავლებელი გვქონდა და ახლა საცხა, სოფლის განაპირას, კვანტრიშვილებს უნდა დავანებო?

კეკ. არ დანებეთ, ბატონო-და, აი... არის აგერ კიბე-ჩა-შომტვრეული და სახურავ-გადახდილი...

პაპ. ჰო-და, მაგას ვემდურით შენ ქმარს! მამასახლისი კაცია... გავლენა უშველებელი აქვს... არ იქნა და მთავრობას ვერ მოახერხებია, რომ სასტავლებელი ჩვენთვის დეტოვებია...

კეკ. იქამდე მიიყვანეთ საქმე, რომ ახლა, მგონია, თვითონ სოფელსაც აღარ უნდა სასტავლებელი.. საცა უნდათ, იქ წვი-ლონო.

პაპ. რას ამბობ, ჩემო რძალო! ჩვენი სოფელი იტყვის „სტავ-ლა არ გეინდაო?“ ვაი, დედას! ერთ დროს ჩვენი სოფლისთანა მოწინავე სოფელი არც კი იყო ამ მხარეზე. აბა, ერთი ჩამო-თვალო, ჩვენდენი ნასტაველი ახალგაზდობა რომელ სოფელს ყავს?

კეკ. ნასტაველი თვარა!.. ეგერ კარლო ყაყუტაძე რომაა, იმისთანა, თუ გვეყოლა, აგვაშენებს...

პაპ. ოჰ, ის შე კაცო, ცოციალისტია, ვინ არ იცის მისი ამბავი...

კეკ. ჩამობძანებულა ახლა და კიდევ აგვიმტუტებს სოფელს...

პაპ. არა! ახლა ძალიან მოთოკილია, თურმე.

კეკ. ნეტაი, სულ გოუნთავისუფლებიათ?

პაპ. სულ. ახლა არაფერი ეხება, თურმე. მაგრამ მე მაგის-თანებზე არ ვამბობ. ეგერ სიკოს შვილი... იცი, მალე მიროვი სუღიათ დანიშნავენ, თურმე. ელიზბარის ვაჟი კარგი ხანია ნა-ტარიუსია. ლადიმერი ხომ რამდენი წელიწადია სუღებნი პრის-ტავათ არი... რომელი ერთი ჩამოვთვალო... დაწინაურებუ-ლი ახალგაზრდები გყავს... ახლა კიდევ ჩვენი საერთო იმედი, შენი ვაჟიც მოგვემატა. მართლა, რაც ჩამევიდა ჯერ კი არ მინახავს... რავარია?

კეკ. ენაცვალოს იმას დედა. რა უჭირს, კარგით არის, მაგ-რამ იცი, პაპუნა? თითქოს ხასიათი სულ გამოცვლია...

პაპ. შე დალოცვილო! ორი წელიწადი არ ჩამოსულა კა-ცი... ზაფხულიც იქ, რუსეთში გაატარა... და დავაეკაცდებო-და, გამეიცვლებოდა.

კეკ. რა ვიცი, გენაცვალე! უწინ იყო-და, ვიძნაზია რომ

დაასრულა, სულ იმ წიგნებს ჩასჩიჩინებდა, თავს ზეით არ იღებდა და, თუ ვინმესთან წვედილოდა, ისევ იმ შეჩვენებულ კარლო ყაყუტაძესთან მიდიოდა. მეშინოდა, არ გამიცოციალისტოს მეთქინ. ახლა არი-და, რის წიგნები, რას ამბობ!.. სულ მუდამ ჩხუბი აქვთ ამაზე იმას და მის დას, ჩემს აგრაფენას... აგრაფენა ხომ იცი რა ქალიც დადგა...

პაპ. ო. ანგელოზი ბოვშია სწორეთ...

კეკ. პო-და, ახლა ჩემი ადიკო დილაზე რომ წამოდგება, მაშინვე საბანაოთ მიდის. მერე მოვა და სულ რაღაცა მაღაყებს აკეთებს, შკლავებს ატრიალებს, ბიჭებთან - კილაობს. არ გინახავს რა ჩაცმულია?.. დედიშობილაო რომ იტყვიან, სწორეთ ის არი. რაცხა ჭრელი პერანგი ჩოუცვამს.. სახელოები მოკლე, წამკლავებულნი, მკერდი მოღიავებულნი, თავშიშველი; ვეუბნები: ბიჭო, გაცივდები, ან რას გავს ასე სიარული-მეთქინ. ქუდი მაინც დეიხურე, მზე მოგეკიდება, დაგწვავს-მეთქინ. შენც არ მომიკვტე! დარბის და დაკვინტრიშობს... ახლა კიდევ იმ კნიაჟნას, უქნარაძის ქალს, გადევკიდა.

პაპ. ოო, კოწიას ქალს, ფაციას?

კეკ. აბა!.. სულ ერთად არიან. ხან ტყეში, ხან ღრეში... რა ვიცი! უფრო კი ჩვენ ციხე-ბურჯთან. აჭიდანო, ლამაზი გადმოსახედავიაო.

პაპ. შენ შეხედე ადიკოს!..

კეკ. ვეუბნები: ბიჭო, რას გადაკიდებიხარ მაგ კნიაჟნას, რა შენი საქმეა... ან მარტო ახლა ნახე? რა ღმერთი გაგიწყრა... ბოვშობაში თითქმის ერთად ხართ შეზრდილი-მეთქინ.

პაპ. მართლა, თითქმის ერთად არ არიან შეზრდილნი?

კეკ. მერე, იცი რას მეუბნება?.. „დედა, კნიაჟნა გაკეთებულა, დამშვენებულა, მომწონს ძალიანო“... ურცხვი გამხდარა, ურცხვი ის საძაგელი ბიჭი.

პაპ. ეს ვერაფერი მითხარი, შენ ნუ მომიკვტე... იცი, კნიაჟნა რა ახტაჯანაა!..

კეკ. ეჰ, როგორ არ ვიცი. სულ ჩვენსა არ აგდია მთელი მათი ოჯახი?

პაპ. საწყლოები, რავე გალატაკდენ...

კეკ. იცი, პაპუნა ჩემო? ქალი არა აქ სახლში, ქალი, იმ საწყალ კოწიას...

პაპ. რაფა არ ვიცი! მარა ისე კი ძალიან იბლინძებიან ისევე...

კეკ. იი, ამპარტავენება და სიამაყე თუ... გოდრით, გოდრით!.. მოაწევს თუ არა სადილობის დრო, განსაკუთრებით კვირა დღეობით, გვეიხედავთ და თავადი კოწია მისი უკვლავი ჯორით მოადგება ჩვენ ეზოს... მერე, ვითომ ნასადილევი, მობრძანდება მისი კნენიანც... მარა სადილზე კი შემოგვისწრებს... აი იქით, აი აქეთ... პირველ ხანებზე ძალიან უარზეა, მარა მერე, იცოცხლე... ისე მიირთმევს, რომ რა გითხრა... და მათი ქალი ფაცია ხომ, ამ ზაფხულს მაინც, ღამეს არ ათევს ჩვენთან, თვარა, სულ აქაა.

პაპ. ეჰ, მაგ ოჯახის ამბავი რაფა არ ვიცი... ეგ კოწია ხომ მარტო თქვენთან არ დეიარება სადილათ. მთელი სოფელი შეჯერებული ყავს: დილით, მოაჯდება თუ არა თავის ჯორს, მთელი სოფელი უნდა შამეიაროს, ყველგან უნდა მივიდეს, ყველაფერი გეიგოს. ჩვენთანაც, პინტრიშაძეებთანაც დეიარება და კვანტრიშვილებშიაც.

კეკ. ოო, რა მექორეა, რა მექორე!

პაპ. პირდაპირ ცოცხალი გაზეთია...

კეკ. ახლა საცაა გაჩდება. დღეს ხომ კვირეა და... აბა, ერთი გადახედე...

პაპ.

(აივანზე გადაიხედავს)

ძალლი ხსენებაზეო... ჰა, აგერ არ მოჩაქჩაქებს მისი ჯორით...

კეკ. ო, რა ლაქუცაა! აქ ჩემ ქმარს ეფერება და იქ კი ძირს უთხრის...

პაპ. ეეჰ, მაგას რა შეუძლია. ვინ რას გოუგონებს.

კოწიას ხმა

(გარედან):

მასპინძელო, მასპინძელო! შინა ხართ?

პაპ.

(გადასძახებს)

მობრძანდით, თავადო კოწია, მობრძანდით! შინ გახლავართ. ბიკო, ჯორი ჩამოართვი კნიაზს.

კეკ. ეჰე, მოვა ახლა და დაგვიწყებს მისი მადნის ამბავს.

პაპ. მართლა, მადანიგამოუჩნდათ, ჰგონია, ყოროლის მთებში.

კეკ. ეჰ, რა ვიცი, გენაცვალე! აგერ რამდენი ხანია მე და შენ ქვეყნათ ვცხოვრობთ და მათგან სულ მაგ მადნის ამბავი გვესმის.

პაპ. ჰოო, მუდამ ჯიბით დაათრევს მადნებს.—მაგრამ ახლა საკუთრათ მაგათ გამოჩენიათ...

კეკ. სუუ, კიბეზე ამევიდა.

(წამოდგება მისაგებებლათ)

ბ

პაპ. მობრძანდით, კნიაზო, მობრძანდით...

კოწია.

(ანმახი, კალარა-შერთული, ძალიან ღარიბული ჩოხა-ახალუხით, წელზე უხარმანარი ხანჯალი ჰკიდია)

ვახლავართ ჩემ საყვარელ კეკელას... ჰაი გიდი, რა გადაბღლიალებული ხარ ისევე...

(ხელს ართმევს)

კეკ. უი, შენ კი რა გითხრა!

კოწ. გამარჯობა, პაპუნა.

(ხელს ართმევს)

მამა ჩემი არ წამიწყდეს, გასათხოვარი ახლა ხარ...

პაპ.

(იღიმება)

კნიაზო, კიდევ არ შეიშალე ხუმრობა?

კოწ. რისი ხუმრობაო, კაცო, არ გახსოვს?.. კულიკულში დავდევი კეკელას.. მაგრამ მაჯობა ყაზილარმა მალხაზამ... ვერ გაქრა ჩემმა თავადიშვილობამ...

პაპ. მართლა, კეკელა! მამა შენი ძველი აზნაურიშვილი იყო და, კი უნდოდა კნიაზისთვის მიეთხოვები.

კოწ. როგორ არა, მაგრამ მალხაზა ჩემზე შეძლებული იყო და...

კეკ.

(კოწიას)

ეჰ, კარგია ერთი, მამა შენინუ წავიწყდება. რა ღროს ჩვენი ხუნტრუცია?

კოწ. არა, მეც წავხდი ყაზახი... რალაცის მომერიდა. ეს

დრო მქონოდა?... რის შეძლებათ, მალხაზა რაღა მაჯობებდა... ჩემი ამბავი ხომ გეიგეთ?

(ამ საუბრის დროს ყველანი სხდებიან)

კეკ. |

(ერთად)

პაპ. |

რომელი ამბავი, ბატონო?

კოწ. მადანი რომ გამომიჩნდა!

პაპ. ჰოო... მადანი! დალოცვილო, სულ ამ მადნების საქმეში არ ხარ შენი ღღენი?

კოწ. არა, შენ არ მომიკვტე...

კეკ. აი, ის თქვენ მთებში რომ გამოჩნდა?

კოწ. კი, შენ ნუ მომიკვტე... აგერ არ მაქ!..

(ამოიღებს ჯიბიდან სხვადასხვა მადნეულს და აწყობს დიდ-მაგიდაზე. ერთ-ერთს უჩვენებს).

აა, ესაა... ბარიტია, ნამღვილი, ხალასი ბარიტი...

(კვველა და პაპუნა სინჯავენ)

ამ კვირეში აშრაფიანი იყო ჩემთან... აი, სომეხი რომაა, ფოდრიანი... ოო, მდიდარი კაცია საშინელი! მყავდა ადგილებზე. ძალიან მეიწონა, კანტრახტითაც შევეკარით მე და ჩემი მონაწილეები 30 წლით. ამ კვირეში ინჟინერი უნდა შეიყვანოს და მუშაობას შეუდგება კიდევ.

კეკ. კაი დაგემართოს. კაი ამბავია!

პაპ. შენ ნუ მომიკვტე, ეს ძალიან საქმე დაგმართია... რამდენათ გოურიგდით, ბატონო?

კოწ.

(წელში გაიმართება. კმაყოფილის სახით)

ყოველ გამომუშავებულ ფუთზე, ბატონო, ალაგობრივ სამი კაპეიკი უნდა მოგვეცეს...

კეკ. მერე ბევრია, ბატონო, ეგ მადენი?

კოწ. იმე, რას მიბრძანებ, კეკელა?! ბევრი კი არა. ჩემი შვილი და შვილი-შვილი ვერ გამოლევს, იმდენია. მთაა, ბატონო, უზარ-მაზარი მთა. ხუთი ვერსი სიგრძე აქ და ორი ვერსი განი.

პაპ. მე კი არ ვყოფილვარ, ბატონო, იმ თქვენ მთაში ..

კეკ. კაი უოფილა, შენ ნუ მომიკვდე...

კოწ. პეტერე, ორიოდე გროში დამიტოვა ახლა აშრაფიანმა და...

(თითქო ხუმრობით)

ახლა კი მიფრთხილდით, თქვე მუეიკებო... არა: ქალბატონზე არ მოგახსენებ. ეგ თქვენ გაგვიმუეიკეთ, თვარა... თქვენ კი გაჩვენებთ სეირს, ვინ უფრო იქნება შეძლებული...

პაპ. თავადებს, ბატონო, ღმერთი გწყალობთ. იმდენი რამე კი დოუტოვებია თქვენ წინაპარს... რომ გგონია, ეხლა კი დეილუპაო, სწორეთ მაშენ გამოგჩითებათ ან მადანი, ან ტყე. ან შავი ქვა, ან ცხელი ნაცარი, ან რაცხა ჯანდაბა და...

კოწ. აბა, როგორ გგონიათ!.. თუ არ მოვეკტი, ახლან კი დოუტოვებ ჩემ ქალს ფაცის კარგ სამემკვიდროს... ფულები თუ? სულ ჩეჩქივით. მართლა, ღმერთი არ გოუწყარეს იმ თქვენ ტინგიცა ბიქს ადიკოს... რაცხა სულ ფაცის დასდევს და...

ქმე.

(სახე მოელუშება)

ეეჰ, კარგია ერთი, მამა ნუ წავიწყდება.

კოწ. არა... მე კი არ ვიწუნებ... გლეხია, მართალია, მაგრამ ნასწავლია... ამდენი კი მესმის, მხოლოდ... ხელი ფაფას! —თავს გოუტებს უბედურს ჩემი ფაცია... მოკლავს შენ ნუ მომიკეტე...

ქმე. რავე გეკადრება, ბატონო... რა ადიკოს საქმეა თქვენი ქალი... კნიაჟნაა. ახლა კიდო. თუ მართლა ამდენი სამემკვიდროც დარჩა...

კოწ. არ გეხუმრები. შენ ნუ მომიკეტე.

პაპ.

(ამასობაში-მადნეულს სინჯაუდა)

ეს რაღაა, ბატონო კოწია?

კოწ.

(სახეზე სიხარული გადაეფინება)

ოო, ეგ არის. რაც არის... ეგ, ჩემო ძმაო, ვერცხლის მადენია...

პაპ. უმ, ვერცხლი კი არა...

კოწ. შენ ნუ მომიკეტე!.. მაგრამ ვერ გეტყვი, სად არის... ეგ მე აღმოვაჩინე... ეს კიდე ოხრაა, საღებავი, კაცო... ვერ წარვიდგენ, რა ფასი ქონია.

## ბ

**კარლო ყაყუტაძე.**

(შეუმჩნევლად შემოდის. გამხმარი ახალგაზდაა, ხალათი აცვია, თმა მოშვებული აქვს და „როკი“-ს ქული ჰხურავს. შეჩერდება აივნის ხარისხსთან).

(დაინახავს, შეკრთება)

**კეკ.**

ოჰ, თქვენ ბრძანდებით?

**კარლო.** უკაცრავათ, ბატონო, მე თქვენი ვაჟის სანახავათ გაახელით.

**კეკ.** აღიკო არ გახლავთ შინ... მობძანდით, ბატონო.

**კარ.** არა, უკაცრავათ, მეჩქარება...

**კოწია.** ბიკო, ეს ჩვენი ცოციალისტი არაა, კარლო ყაყუტაძე?

**პაპ.** კი, ბატონო, კარლოა...

**კეკ.**

(კარლოს)

მიინც, რა გნებავდათ?

**კარ.** ბევრი არაფერი. ეს ორი წელიწადია, რაც ჩემი წიგნები აღიკოს აქვს და... ძალიან მკირდება. განსაკუთრებით მარქსის „კაპიტალი“. შეირჩინა, შეირჩინა...

**კოწ.** ბიკო, კიდევ არ შეიშალე, ი მაქსიმეა თუ რალაც, იმის ამბავი?..

**კარ.**

(არ უპასუხებს)

**კეკ.** დაბრძანდით, ბატონო. საცაა აღიკოც მოვა და ყველაფერს ის მოგახსენებს. არც აგრაფინაა ახლა სახლში, თვარა ის მოძებნიდა. მე, ხომ იცით, რუსულს წიგნებს ვერ გავარჩევ. რომ ჩამევიდა, აღიკომ კი მითხრა, კარლოსთვის წიგნები არ გადაგიციათო? მაგრამ, აბა საიდან?.. მე არც ვიცოდი რაც წიგნები იყო და მერე კიდევ, თქვენც იმ ხანებში დაგიქირეს... მეც შეშინოდა... საღდაც მივმალეთ... თუ გნებავთ, გიჩვენებთ და თვითონ თქვენ გამოსძებნეთ.

**კარ.** არა, ბატონო... საღ იქნება თვითონ აღიკო?

**კეკ.** რა მოგახსენოთ? ეკლესიისაკენ თუ გაისეირნა... მოუსაღდეთ.

**კარ.** არა, თუ შეხვდით, ის იქნება... თუ არა და, ნახევარი საათის შემდეგ კიდევ შემოვივლი...

ქექ. ძალიან კარგი, რაფარც გნებაეთ.

კარ. (ყველას თავს დაუკრავს და გაღის).

კოწ. ძალიან არ შეფერობილა ეს ჩვენი ცოციალისტი?

პაპ. მისი ბრალია. რაც მაგას ციხის კედლები აღესიეს...

კოწ. აი, დასწყევლოს მაგათი თავი!.. მე ხომ არაფერში გაფრეულვარ მოძრაობის დროს... მაგრამ მაშინ არ იყო, სამაგალითო მადნის საქმე მქონდამიხრანთან ვათავებულნი?.. მაგათ რომ დეიწყეს!.. რას ლაპარაკობ?! აღარც მუშა, აღარც კაცი... ფოდრაჩიკიც გამექცა, არც ფული და არც ბისტი...

პაპ. ეეჰ, კარგია შენი ქირიმე...

კოწ. ახლა, რა შინდაო, ნეტაი?.. რას აპირებს?..

ხმა	}	(მოსმის ფაცია სხვა შინა ოთახებიდან)
გარედან.		„რა სულელი ხართ, ღმერთო ჩემო!“ (უახსუბებს ადიკოს ხმა)
		„სისულელეა, როდესაც სავანს პირდაპირ თავის სახელს უწოდებ?..“

პაპ. ეჰეე, ადიკო და კნიაენა ფაცია მოსულან...

დ

ფაცია (შემობრბის)

ადიკო (ნელა მოჰყვება. ისეა მორთული, როგორც კველამ აღწერა)

ფაცია. ოო, მამაც მობრძანებულა!.. რა ამბავია?, ისევე შენი მადნები გაგიშლია?.. გამარჯვება, შენი ქირიმე, კეკელა (კოცნის).

პაპუნას ვახლავართ.

ადიკო. (კოწიას ხელს ჩამოართმევს. პაპუნასთან მიდის)

პაპ. ბიკო, რა დავაუკაცებულხარ... რამდენი ხანია არ მიწახახარ.

(ფიქვია)

ფაცია. არა, კეკელა, შენი ქირიმე, უკაცრავად ვარ და ძალიან კი გატუტუცებულა თქვენი ადიკო.

კოწ. (ადიკოს)

შენ, ეი, ჩემო ბიძია. ფრთხილად იყავი ჩემს ფაციასთან...

მთელი სოფელი „ახტაჯანას“ ტყუილა კი არ უძახის... მოგ-  
კლავს, შე უბედურო, დაგცხებს თავში კეტს და...

ფაცია. ოჰ, რას ამბობ, მამა?

ადიკო. ქართველმა ქალებმა, აბა, სხვა რა იციან... „კეტი,  
შამფური და რკინა“, ერთი ახალი ლექსის არ იყოს... ნერვ?  
ეს შიშისაგან მოსდით, შიშისაგან. გაუბედავები არიან, ლაჩ-  
რები. თქვენ გგონიათ ეს მიუკარებლობა გამბედაობით მოს-  
დით? ეშინიათ უბედურებს... ეშინიათ, რომ დასტკბენ ამ  
ცხოვრებით. გულში სხვა აქვთ და საქციელით კი ვერ ამხე-  
ლენ. აი, ვაჟაკია ვინმე, მოსწონს ქალს, უნდა მასთან შეერ-  
თება, მაგრამ...

ქეკ. აა, დეიწყო, დეიწყო...

ადიკო. რა დეიწყე?.. აი, კნიაჟნა ფაციას ვიცი მოეწონ-  
ვარ, უნდა ჩემი მოხვევნა...

ფაცია. იმდენი თავში კოპი შენ...

(სიცილი)

ქეკ. ჩუმაღ, ბიკო, ჩუმაღ, რას ჩურჩუტობ? არ გრცხვე-  
ნია?

კოწ. არა, ბატონო, ახლა სულ სხვა ახალგაზღობაა... მაგ-  
რამ მაგას...

(ფაციაზე)

უფრთხილდი კი.

ქეკ. ის სჯობია... წელან აქ კარლო ყაყუტაძე იყო... წა-  
ნებს გთხოვს... ის მოუძებნე...

ადიკო. ოო, ჩვენი კარლო?

(თითქო თავისთვის)

აი კაცი, რომელიც ერთ წერტილზე გაიყინა.

ფაცია. ჰა, ჰა თქვენ კი, თქვენ არ იყინებით ერთ წერ-  
ტილზე? სდულთ და თუხთუხებთ, არა?

ადიკო. ვინც ცხოვრებას ფხიზლად უყურებს, მისი შეხედუ-  
ლება იცვლება მიმდინარე ცხოვრების მიხედვით. განათლე-  
ბულმა ქვეყანამ უკვე ყურადღება მიაქცია, რომ დაავადმყოფლა  
სულიერ სიმშვენიერის ძებნაში... სხეულის სილაშაზე სულ  
დაავიწყდა და დაგლახაკდა, მოჩიავდა. ახ, ეხლა უკვე იწყება  
განახლების ხანა, ძველი ელლინების სხეულით გატაცება კვლავ

გვიბრუნდება: სხეული უნდა განთავისუფლდეს ამ მწერებისაგან და მზის ცხოველ სხივებზე აეღვარდეს მისი მშვენება...

კეკ. იმიტომაც გაშიშვლდი, შე საძაგელო?

ადიკო. აბა, რასა გავს?! აი, კნიაენა ფაცია... ტანზე კორსეტი შემოუჭირებია. ლალი და ახალგაზდა სხეული სულ დაუფარავს...

კოწ. არა, ბიძია, პირი არ დაგწვას... ძალიან გინდა გააშიშვლო, მაგრამ...

კეკ. უი, უი, რას ამბობთ. გენაცვალე... არა, მე გაგვეცლებით, ისევ სამზარეულოს მივხედავ. თვარა თქვენი ლაყბობის ყურის გდება არ გამომაღდება.

(მიდის. ადიკოს ჩაუარს)

არა თქვა, შეილო, მაგისთანა უხიაგი... რაფა გეკადრება!... ქალიშვილი ქალია, შერცხვება...

(გაღის)

ფაცია. ძალიან უნდა ჩემი გაწითლება, მაგრამ უზრდელი სიტყვა-პასუხი უზრდელათ დარჩება და მეტი არაფერი...

ადიკო. ეს უზრდელობა კი არა. ნამდვილი გულის თქმაა, რომელსაც თქვენ მალაფთ და მე კი გარეთ გამომაქვს...

პაპ. ამისთანების არაფერი გაფეგება. მაგრამ რა დაგპარტნია, ბიქო!.. რაღაც უწმაწურათ კი ლაპარაკობ.

ადიკო. ეეჰ, ბიძია... ამას ვერ მიხვდები... და აქ ვერც ვერაინი გამიგებს... აი, კნიაენას კი ესმის ჩემი... ინსტიტუტურათ, მაგრამ განგებ თავს იყრუებებს...

ფაცია. მე გავიბუტე... რაც გინდათ თქვით... უზრდელობაზე აღარაფერს გიპასუხებთ.

(მიდის და აიენის ხარხხას გადაყვრნობა).

კოწია. არა, მართლა გაიფიცვალა ქვეყანა...

(ადიკოს)

ჩემო შეილო, აი დედა შენს რომ ვეარშიყებოდნი... კი არ გეხუმრები... სიზმრათ მყაედა გადაქცეული, მაგრამ ცხადში კი ერთ ვერსზე ვერ გვეყარებოდნი... საცა გაჩდებოდა, მეც იქ ვიყავი, მაგრამ უბრალო ხუმრობასაც ვერ ვბედავდი...

ადიკო. ეეჰ, თქვენ რომანტიკოსები იყავით...

(ზურგს შეაქცევს და მიდის ფაციააკენ)

კოწია. რაიო?

ადიკო.

(ფაციას)

ვითომ მაგ გაბუტვით რა გინდათ დამიმტკიცოთ?

ფაცია. მე არაფერს არ გიმტკიცებთ... სჯობია გადახედოთ სანახაობას. ხედავთ ვეგრე ციხე-ბურჯს?

ადიკო. როგორ არა, ვხედავ... ბავშობიდან ვარ შეჩვეული მაგის დანახვას. მაგრამ ახლოს კი უფრო კარგია. გუშინ საღამოსაც რა მშვენიერი იყო იქ ყოფნა... მაგრამ თქვენ კი ძალიან გამაჯავრეთ...

(განაგრძობენ დაბლა ლაპარაკს).

კოწ.

(აქამდე პაპუნას ჩემად ვლაპარაკებოდა... ხმა-მალლა)

აბა, კაცო, კინალამ ჯორმა თეხი არ მოიმტვრია...

პაპ. ეგ რომელი ბოგირია, ბატონო, ჩავარდნილი?

კოწ. აი, კაცო, ჩემი ჭიშკოის ზევით რომ არის... სულ დამპალა ფიცრები, აღარაფრათ აღარ ვარგა.

პაპ. რას ბრძანებ?

კოწ. ჩაქეულა სულ. დღეს რომ გაპევიარე გულს შემო-მეყარა...

პაპ. უბედურებაა, ბატონო, სწორეთ. აღარც გზა გვივარგა, აღარც მისავალი. სასტავლებელი ჩვენ არ გვაქ და ეკლესია... სანერგე ბაღი გვქონდა და სულ გაპარტახდა...

კოწ. მართლა, კაცო, რას შერება ეს შენი ძმისწული, ჩვენი მამასახლისი?.. აი ნასწავლი კაცია, აი ასეო და რომ კინალამ თავი გადვიკალით მაგის არჩევახე...

პაპ. მაგას ვწუხვარ მეც. კი წვალობს რაცხას, მაგრამ ჯერ არაფერი გოუვიდა საწყალს...

კოწ. კაცო, მამასახლისმა მარტო რა უნდა ქნას, მაგრამ რამდენჯერ გაუგზავნეთ დებუტაცია ჩვენი მაზრის უფროსს...

პაპ. უი, დასწყევლის ღმერთი, კაი კაცი ის არ იყო... ვის გოუგონა რამე... ამას ამბობენ, ახლა რომ დანიშნეს, ძან კაცია, თურმე...

კოწ. ჰოო, აქებენ, მაგრამ არც მე მინახავს.

პაპ. რა გვარია, ბატონო? კი მითხრა ჩემმა ძმის წულმა, ვერ დევიხსომე: ვინცხა ლემენცია, ვგონებ.

კოწ. ჰო, რაცხა გრიგალიაო, თუ გრიგალია... არც მე ვიცი კარგათ...

პაპ. ჰო და შეიძლება მაგას მაინც შევასმინოთ რამე... ბატონო, ე გენერალი რომ გეყავს ჩენს სოფელში, ის ბერდოსანი, იმას ბევრი რამე შოუძლია, მაგრამ ჩვენი სოფლის საქმეებში რომ არ ერევა!

კოწ. იმას, იცოცხლე, შოუძლია, მაგრამ თვითონ დავრდომილია, იქით ვერ წავეა და აქით, ხომ იცი. მთავრობა კარზე არ მოადგება...

პაპ. რა ვიცი, რა ვიცი... ცუდათაა ძალიან ჩვენი სოფლის საქმე და კაცი არ გეყავს, ბატონო, მშველელი, კაცი... იმდენი ნასწავლი ახალგაზდობა ჩვენ რომ გეყავს, ერთ სოფელს არ გააჩნია, მაგრამ რა!.. „ჩემი ურგები ქოთანი ქვასაო“...

კოწ. „და შექამანდი ძალღსაო!“ მართალია... მაგრამ აგერ შეიცა, ჩემო პაპუნა, ჩემი მადნის საქმე თუ ისე გაკეთდა, რა-ვარც მე მინდა, გზასაც მე გამეფიყვან. იმ სანერგე ბაღსაც მე ვუპატრონებ, ეკლესიასაც მე ავიშენებთ, სასტავლებელსაც და... ყველაფერს.

პაპ. იი, კაი დაგემართოს... რა? გული კი არ გაკლია, მაგრამ, მანამდი თუ ჩვენ თავს არ მოუარეთ, შენი მტერი...

კოწ. სად. არის ახლა მამასახლისი?

პაპ. ვეზდის ქალაქში წვევიდა აგერ მესამე დღეა... და არ ვიცი, რა შეემთხვა?... სოფელმა დაავალა იმ სასტავლებლის ამბავი გეეგო... კიდე რაცხა საქმეები ქონდა...

კოწ. დალოცვილო, სამი დღე თუა, რაც წვევიდა, ჯერ რაფერ დაბრუნდებოდა... ვეზდის ქალაქი ხომ იცი რომ სიშორეს გვაქ! ცხენით ერთი დღე უნდა იქ ჩასვლამდი... და ჯერ არ უგვიანდება.

(განაგრძობენ დაბლა ლაპარაკს).

ადიკო.

(ფაციას)

მაშ, გამოტყუხილი მითხარით, რა გინდათ?

ფაცია. ჰა, ჰა..! რა უნდა უნდოდეს ახალგაზდა ქალს?... გათხოვება.

ადიკო. ეგ მომწონს. თამამი ნათქვამია. სხვა თქვენს ალაგას

მაგასაც არ იტყოდა. ეტყობა ცოტა ნაბიჯი გადაგიდგამთ წინ. მაგრამ მაინც გათხოვება გინდათ...

**ფაცია.** დიად, კანონიერი ჯვარის წერა. ვიცი, მე გმირი არა ვარ და, რაც დაწესებულია, იმას არ შევეცვლი, ვერც შევეცვლი... ტანჯვა-ჯახირი ცხოვრებაში, მომავალშიაც?.. არა, მეყოფა.

**ადიკო.** და გახდებით თქვენც ჩვეულებრივი ოჯახის ბურჯი: შვილები, სამხარეულო, სარეცხი... ღმერთო, ამ ქვეყნად რა მოწყენილობაა!

**ფაცია.** რას იზამთ? ბედმა ეს გვარგუნა... გინდათ უზუჰმრად გელაპარაკოთ?.. აბა, ცოტა ხანს მაინც გამოიჩინეთ სიღარბისლღე.

**ადიკო.**

(ამთქნარებს)

სთქვით.

**ფაცია.** ხომ იცით, ბავშობაში, სიღარიბის გამო, მამამ მხოლოდ ეპარქიალურ სასწავლებელში მიმცა...

**ადიკო.** მმ... დიად.

**ფაცია.** იქ საშინელი ხატვის ნიჭი აღმომაჩნდა... მერე რა? საიდან შეიძლებოდა ამ ჩემ ნიქს გავყოლოდი?.. ჯერ თვით სასწავლებელშიაც უფრო დაცინვით ეკიდებოდნენ ჩემს გატაცებას და სხვა, აბა, ვინ გამამხნევებდა?! ჩავახშე ეს მოფეთქებაც... შემდეგ ქართულმა წარმოდგენებმა გამიტაცა... არც ერთ წარმოდგენას არ ვაკლდებოდი... გულში გადავწყვიტე— თეატრისათვის თავი შემეწირა...

**ადიკო.**

(გამოცოცხლდა)

მე თეატრს პატივს არ ვცემ, მაგრამ თქვენ მართლა შეიძლებოდა მსახიობი ქალი გამოსულიყავით... ოო, ეს კი სულ სხვა იქნებოდა...

**ფაცია.** რასაკვირველია, არც ეს მოხდა... მამას ვერ დავემდურებდი... საცოდავი, რაც შეეძლო ყველა ჩემს სურვილებს მისრულებდა, მაგრამ, დედა ჩემი!.. ოო, ძალიან შორს დაიქირა. ჯერ ხეირიანად არც კი ესმის თეატრი რა არის, მაგრამ მაინც, სადღაც ყური მოუკრავს, გარყვნილების ბუდე ჰგონია... მერე კიდევ კნიაჟნა... „არა, შვილო, ღარიბები ვართ, ღატა-

კები, მაგრამ ქვეყნის სამასხაროთ კი არ გაგზავნი... მერე ეს ამბავი ჩვენმა შორეულმა ნათესავმა კნ. ჩიტუნამ გაიგო...

**ადიკო.** ოო, იმ ბობოლამ...

**ფაცია.** და იმან ხომ კინალამ ჯვარს მაცვა... და, აი, ასე დასრულდა ჩემი მოქალაქობრივი მოფეთქება... სხვა? სხვა კი.. ჯერ სხვაგან რა ასპარეზი აქვს ქალებს, რომ საქართველოში ჰქონდესთ და მეც... ბედს შევეურიგდი... ჰა, ჰა... ეხლა გათხოვება მინდა... მხოლოდ თქვენ კი არა ხართ ჩემი რომანის გმირი.

**ადიკო.** იცით? თანდათან მომწონხართ... შედარებით მაინც თამამი ხართ, გაბედული...

**ფაცია.** არა, თუ ღმერთი გწამთ?

**ადიკო.** აქ სოფელში როგორ გეძახიან? ა, ახტაჯანა!..

**ფაცია.** (შეხედავს. სათნოდ გაუღიმებს.)

დიალ...

„ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი, ზოგჯერ, ცრემლზე მწარეა!“

**ადიკო.** მართალია!.. თუ სცენამ ესე გაგიტაცათ, მაშ, უთუოდ რაიმე როლი მაინც გეცოდინებათ ზეპირათ... ან ლექსები?..

**ფაცია.** ლექსები? ო, მე ძალიან მომწონს ახალგაზდა პოეტები, თუ სადმე ხელში ჩავიგდე ჩვენი ვაზეთები ხან აქაურ სამკითხველოში, ხან კნ. ჩიტუნისათან, პირველად მაშინვე ლექსებს ვეცემი ხოლმე.

**ადიკო.** მე კი უახლოეს პოეტების გარდა, აი ეხლა რომ ჩვენში ფულტურისტებათ მოუნათლავთ, ვერავის ვერ ვიცნობ. ეგენი კი, ზოგი ჩემი მეგობარია...

**ფაცია.** მართლა? მაშ, მოდი ამიხსენით, რა არის ეგ ფულტურიზმი?..

**ადიკო.** არა, პაგის ახსნას დავეთხოვოთ და გინდათ ერაი მათგანის ლექსს წაგიკითხავთ...

**ფაცია.** ოო, ეგ არა სჯობია თქვენს ცუდლუტობას...

**ადიკო.** კნიაენა, ფაცია!.. მაგრამ კარგი. აღარ გიწყობით. აი ის ლექსიც:

„მე ხშირად მიყვარს  
 ეს ქალაქი მრუში და მყრალი,  
 ატალახებულ ქუჩებს მიყვები,  
 ვუსკქერ უკბილოთ დაღრეჯილ სახლებს.  
 ხარბათ დავეძებ მახინჯ სახეებს!  
 მკლავებში მახრჩობს მე ვიწრო კვალი,

(ამ ლექსის კითხვის დროს კოწია და პა-  
 აუნა ლაპარაკს შეწყვეტენ და გაკვირვე-  
 ბით შესცქერიან ადიკოს. მხრებს იწევენ,  
 არაფერი გაეგებათ).

ავადმყოფ სახლებს,  
 ათაშანგით პირ დაკმულ ქუჩებს,  
 აკმევეებს სურნელს  
 სამიკიტნო ღვინით და ხაშით.  
 გიჟდება ღამე  
 არღნის რწყევით. ზურნით და ტაშით.

ფაცია.

(სიცილს იწყებს)

აჰ, პა, პა!

ადიკო.

(ღეკს განაგრძობს)

შავად მოოთფლი, ქურდებს და მკვლელებს  
 გამოსვლას უბრჩებს... \*)

(შეღგება)

ფაცია.

(განაგრძობს სიცილს)

პა, პა!.. არა. ეს მართლა სულ სხვა რამ არის ..

კოწია. რაიო. რაიო?... ათაშანგით პირდაკმულ ქუჩებსო!..  
 ჰეი, ჰეი! საოცარია სწორედ... რას არ გამაგონებს ეს რუს-ხემ-  
 წიფე..



ე

აგრაფინა და „ფოფოლია“

„ფოფოლია“

(ფაშეაშა ქალი. დაღლილია, ქმინვით შე-  
 მოდის)

უჰ, მოკვდი, შენ ნუ მომიკვტე, კიბეზე ამოსვლით, გული  
 ამომავჯა.

\*) ლექსი ეკუთვნის ნიკ. ნადირაძეს.

**აგრაფინა.** (ნაზი ნაკეთიერების ქალიშვილი. სათნო ლიმილით)

მართლა, მაღალია ჩვენი კიბე..

**ადიკო.** (მიეგებება)

აა, ჩვენს ფოფოდიას...

**ფოფ.** (ეშმაკურის ლიმილით)

უი, გამისკდა მიწა... ფოფოდია კი არა! ახლა ის დამიძახე, შე სარსარაკო, შენ...

(საერთო მისალმება და ხელის ჩამორთმევა).

**კოწია.** (ფოფოდიას)

ნიფადორას ვახლავართ, ნიფადორას... რაზე ხარ, ბეჩა... ცოტა გავა-ტანზე შესქელებულხარ...

**ფოფ.** უი, გაგისკტა მიწა, რა ენა მყრაოლი შენ ხარ, შე უბედურო...

პაპ. მამა ევტროპი სად დასტოვე, ბატონო?

**ფოფ.** უიმე, დავტოვე კი არა... იმისმა ნალველმა არ მომკლა, ბეჩა პაპუნა!..

**უველანი.** (გარდა აგრაფენასი)

როგორ?

**ფოფ.** როგორ და აგერ ერთი კვირეა დავკარგე მღვდელი... ამ ეკლესიის საქმეზეა ეფისკოპოსთან წასული...

**კოწია.** იმიტომაც შესუქებულხარ, ბეჩა ნიფადორა, დოუსვენებიხარ ცოტა.

**ფოფ.** უი, გაგისკტა მიწა!.. ის კი არა, ბეჩა, უეზენი ნაჩალნიკი მოდის, თურმე.

**კოწია.** } (ერთად)  
**პაპ.** }

როგორ თუ მოდის?

**ფოფ.** აბა, ეგ არ არი?

**აგრაფ.** ჰო, წუხელის ჩვენ მეზობელ სოფელში, კნ. ჩიტუნიასთან ჩამოსულა...

პაპ. მერე, შენი ჰირიმე, მერე?

**აგრაფ.** მერე და ახლა სოფელში გვიტხრეს, რომ, მგონია, ჩვენ სოფელშიაც შემოივლისო.

კოწია. იმე! რაღა თქმა უნდა... ჩვენი გენერალი არ ნახოს, ისე მაინც რაღა იქნება...

ადიკო. ეჰეე... ახლა აირია მონასტერი... Событие!..

აგრაფ. ჩვენი სოფლისთვის ცოდნითე იქნება, აბა რა... ამდენი ხანია ამას შეელოდენ აღდგომასავით.

ადიკო. Я никакого участия не приму в этих торжествах...

პაპ. კაი, შენი ჰირიმე... როგორ გავჩერდით?... სად არი ახლა ი, ჩემი ძმისწული მალხაზი...

(გასძახის)

კეკელა-ქალო, ჩემო რძალო.

(გადის)

აგრაფ.

(ადიკოს)

როგორ не применишь участия... თუ აქ ჩამოვიდა მართლა... შენისთანებმა უფრო არ უნდა აუხსნან სოფლის გაქირვება?..

ადიკო. ეეჰ, აბა, ახლა დეპუტატთ დავდგები სწორეთ... Гражданские мотивы, брат, ეს სხვებისთვის დამილოცნია... მე, სჯობია, ისევ ჩვენ ფოფოდის გაუარშიყდე.

ფოფ. უი, გაგისკტა მიწა... გამიარშიყდები კი არა...

კოწია.

(ადიკოს)

შენ, ჩემო ბიძია, რავარი მიეთ-მოეთი ყოფილხარ... ნწ, აბა ძმაო, არა...

ადიკო. კნიაჟნაზე ბრძანებ?.. კნიაჟნა ეს შამპანიურია... ცინცხალი, შუშხი... ფოფოდია კი ბუღკია, სდობნი...

ფოფ. უი, გაგისკტა მიწა...

ფაცია.

(ხელს გაიქნევს და აგრაფინასკენ გადადის)

რაც უნდა, ის ილაპარაკოს!

კოწია.

(ჯიბეში ილაგებს მაგიდიდან მადნეულს)

მართლა, თუ ჩამოვიდა უეზდი ნაჩალნიკი, რას ვიქეიფებთ?!.

ფოფ.

(თვალს შეაველებს მადნეულს)

ეგ რა არი, კნიაზო კოწია?..

ადიკო.

(ქალებთან გადადის)

კოწია. ჩემი მადანია, ჩემო, ნიფადორა... დახედე...

(უჩვენებს მადნეულს და თან ხმა-დაბლა რაღასაც ეუბნება)

**აგრაფ.** ახლა, თუ მართლა მოვიდა მაზრის უფროსი, ჯერ ამახე შეექმნებათ ლაპარაკი, თუ სადილი სად და ვინ გაუმართოს. მერე, მაინც საწყალი მამაჩემი გამოიკეკეცება შუაში...

**ფაცია.** ვინ იცის, აგრაფინა, შეიძლება არც კი მოვიდეს ჩვენს სოფელში. არ იცი? ჩვენი სოფელი ღვთისგანაც დავიწყებულია და კაცისგანაც... რამდენჯერ ჩამოსულა კნ. ჩიტუნისთან მაგისთანა სტუმრები, მაგრამ ჩვენს სოფელში გზათაც კი არ გაუარიათ.

**ადიკო.**

(აივნის ხარხხას გადაეყრდნობა).

**აგრაფ.** არ ვიცი, არ ვიცი... მე ის მაწუხებს, ახლა კაცი არ გამოჩნდება, რომ ჩვენი სოფლის გაქირვება ყველაფერი კარგათ აუხსნას...

**ფაცია.** მამა შენი აქ არ არის?

**აგრაფ.** ერთი, რომ მართლა აქ არ არის და მეორე, რომ იყოს კიდევ, მამასახლისი კაცია, მათი ხელ-ქვეითი, რა შეუძლია გაუბედოს...

(ამასობაში კოწიამ რაღაც სახუმარო უთხრა „ფოფოლიას“).

**ფოფ.** უი, ვაგისკტა მიწა...

- 3

**ჯიბო კვანტრიშვილი.** დათია და კიდევ ერთი გლეხი.

**ჯიბო.**

(აივნიდან ხელების ქნევით შემოდის)

ა, ბატონო, ა, არ გეუბნებოდით!.. ბატონებს ვახლავართ... როცა გვეკირდება, მაშინ კაცი აქ არ გეყავს... ჩვენს გაქირვებას პატრონი არ ყავს და გამკითხავი...

**გლეხები.**

(თავს იქნევენ)

**კოწია.** რა იყო, რა ამბავია, ჯიბო ჩემო?

**ჯიბო.** რაღა რა ამბავია, ბატონო. აგერ ყურის ძირში ვეზლი ნაჩალიკი ჩამოსულა და ჩვენი მამასახლისი სადაა, ეშმაკმა იცის...

**აგრაფ.** თქვენი მამასახლისი, ბატონო, ისევ თქვენ საქმეზეა წასული.

**ჯიბო.** ბატონო... ჩვენ საქმეზეა... რაღა გაწყენიო, ბარიშნა, თვარა... სადაა ჩვენი საქმის პატრონი... რაც მამა შენი ევირჩიეთ, ჩვენი საქმე სულ უარ და უარ წევიდა... ეკლესიის საქმე იყო, ვაკეთება გვინდოდა... პრივატორი დადგენილი გვაქ, ბოლო არ მედლო, ბატონო, ამ საქმეს... ვითხოვეთ, ბატონო, მშვენიერი ადგილი გვაქვს, აგერ ძველი ნაეკლესიარი, ციხე-ბურჯთან, სოფლის შუა-გულზეც არის, დასამხრობი და ყველაფერი, მაგრამ არ იქნა და არა, სასულიერო მთავრობისგან ნებართვა ვერ მივიღეთ...

**ფოფ.**

(ყურს მოკრავს)

მაგაზე არ არის ახლაც ჩემი მღვდელი გადავარდნილი?..

**ჯიბო.** კეთილი ხუცესია, ვინ ამტყუნებს, ბატონო, მაგრამ ჩვენი გამკითხავი კი არავინ აღმოჩნდა და... ახლა სასტავლე-ბელი იყო-და, ყველამ იცით, რა მდგომარეობაშია აქ არის. დაკეტილია და გამოყრუებული... ცოტა მშვენიერი ბალიც გვქონდა, სანერგეები, პატარა სოფლის მუშაობასაც ასწავლიდნენ ჩვენ ბიჭებს, სულს ვითქვამდით. მართო ვაზის დამყნობა რომ ისტავლეს, ამერიკული ვაზის, ის რათ ღირდა, ან ჩვენმა ქალებმა ყაქის მოვლა რომ ახალ წესზე დააყენეს... დიდი შელავათი იყო, ბატონო, ჩვენი სოფლისათვის ეგ სასტავლებელი, დიდი რამე.

**აგრაფ.** დალოცვილო, მაგ სასწავლებელზე, აბა, როგორ ლაპარაკობთ?.. თქვენი ბრალი არ არი?.. აუტყდით მამა ჩემს და მის მოგვარებს... დანოსი დანოსზე... ცხვირწინ აქვთ სასწავლებელიო.

**ჯიბო.** ბარიშნა, აბა, რაღა გინდა?.. სოფელი, ბატონო, ჩემკენ იზრდება და იქით ესახლება ხალხი... არ ამევიდა, ბატონო, ამ ხრიოკზე ე ხალხი და რაღა ხოჩიშ, ახლა?

**ადიკო.** ექვ, მოსაწყენი ამბავი დაიწყო... წავალ, გავისერი-ნებ... კნიაჟნა ფაცია, თქვენ არ წამოხვალთ?

**ფაცია.**

(შეხედავს და გაუცინებს)

რა, სულელი ხართ, ღმერთო ჩემო!

**ადიკო.**

(ხელს ჩაიქნევს. კიბეზე ჩადის)

ზ

## კეკელა და პაპუნა.

კეკ. ოო, ეს ვინ მოსულა?.. ჯიბო, კარგია გაგხსენებ-  
ვართ.

პაპ. მაგას კარგი საქმისათვის არ გავახსენდებოდით, ნუ გე-  
შინია...

კეკელა. ნიფადორა, გენაცვალე

(სალამი, კოცნა)

შენი ნახვა მიამა, სწორეთ, ძვირი სტუმარი ხარ...

ჯიბო.

(პაპუნას)

მეტად განაწყენებული ვარ, შენ არ მომიკვტე! სად არი ეს  
ჩენი მამასახლისი?

აგრაფ. ჰო-და, აი, თუ მართლა მაზრის უფროსი მოვიდა...

ჯიბო. მოვა, ბატონო, აბა, არ იცი? აგერ ყურის ძირზეა,  
ქნ. ჩიტუნისა ბრძანდება.. და რომ არ შევიდეს, თვითონ წა-  
ვალ, ბატონო, დოუჩოკებ და ვთხოვ, რომ მობრძანდეს...

აგრაფ. ჰო-და ის მინდოდა მეთქვა. აი, რასაც ახლა აქ  
ამბობდით, სხვას რომ ემღებოდა, მოუყოლოეთ, უთხარით იმ  
მაზრის უფროსს.

ჯიბო. ეჰ, ბატონო, მე ერთი უბირი გლეხი ვარ, სად შე-  
მიძლია დალაგებით ლაპარაკი, ან ვეზლი ნაჩალიკის შესაფერი  
სიტყვა-პასუხი ვინ მომცა, მარა აგერ, ბატონო, ნასტავლი  
მამასახლისი გყავს არჩეული და ახლა მაინც უნდა გამეიჩინოს  
თხა, მხოლოდ სადაა ი ოჯახ-აშენებული შვილი... დაგვლუპავს  
ნამღვილათ, ყელს გამოგვჭრის...

კეკ. რას ამბობ, აგრაფინა გენაცვალე... მაგას რომ ასე  
ეუბნები, მამა შენი რაფა, ენა არა აქ, თუ მიხედა?

აგრაფ. არა, მე იმას ვამბობ... რა კი სხვებს ისე ემღებოდა,  
არაფერს გვიკეთებენო, ადგენ და თვითონვე მოახსენონ...

ჯიბო. არა, თუ მაინცდამაინც მაგაზე მიდგება საქმე... ვე-  
ტყვი, შენ ნუ მომიკვტე, აბა, არ ვეტყვი?! ჯერ მინდა ყველაფერი  
კალონიერი გზით წვევიდეს და, თუ არაფერი გამევიდა... წავალ.  
დევეჩოკები... და, თუ წამევიდა... ჩემ გზაზე არ უნდა გამეი-  
აროს?.. დავპატივებ სადილათ და ყველაფერს მოვახსენებ...

**პაპ.** ოპ, სადილათ თვარა... შენ რომ პრიბოლებს გოუშლი... შენი ყვიციანი სადილი ვის უნდა?

**ჯიბო.** არა, შენ არ მომიკეტე... რავა! თუ პინტრიშაძეებს თავი მოგაქვთ, ჩვენც ქე ვართ კვანტრიშვილები ჩვენს პირობაზე... აა, ხელს არავის არ დავაკარებივით... სადილი... ვაი დედას!.. ისეთი ქეიფი გოუშართო, რომ სულ ერთ კვირას ვარხალალო ვაძახო...

**პაპ.** ოპ, ოპ, ნამეტანი თავს ნუ გამეიდებ... სადილს შენ ვინ გავამართვივებს, ყაზახო... თუ მობრძანდა, ჩვენსას მობრძანდება და სადილიც მამასახლისმა უნდა მიართვას...

**აგრაფ.** კარგია, ახლა, სადილზე ნუ წაიკიდებით... სადილი საცა უნდა იყოს... სულ ერთი არ არის?

**კეკ.** გენაცვალე, აგრაფინა, სულ ერთი როგორ არის?

**აგრაფ.** ბატონო, თქვენ ეცადეთ, როგორმე მოიყვანოთ და თუ მართლა სოფლისათვის გული შეგტკივთ, ყოველივე დალაგებით აუხსნათ, უჩვენოთ, გააგებინოთ...

## ღ

**ჯვებე ქილორდავა**

(ლამაზი და მოხდენილი „სტრაენიკი“ შემოდის წლაწვნით და პრანჭვა-გრეხვით.)

**კეკ.** ეს ვინ არის?

**ფოფ.**

(სიამოვნებით შეკრთება ლამაზი კაცის დანახვაზე)

**უპ!**

**ფაციასა და აგრაფინასაც** ეტყობათ მოეწონათ მოხდენილი ვაქაკი.

**ქილორდავა.**

(ცოტა მეგრულათ უქცევს)

მამასახლი რომელია თაქ?

**კეკ.** მამასახლისი არ გახლავს, ბატონო, სახლში.

**ქილორ.** არ არის სახლში?.. მე ვეზდინაჩალიკმა გამომგზანა: კანცელარიაში არ მიბრძანდება, პრიდაპირ აქ მოვალო.

**კეკ.** უი, ღმერთო მომკალი, ჩემი მალხაზი სად არის ახლა?

**პაპ.** ჩემო რძალო, აბა, უნდა დავფატურდეთ ახლა, მე გავარდები და ერთ უშობელს შაინც მევიყვან...

(ცარბის)

**ფოფ.** სადაა ახლა ი დაღუპული ჩემი მღვდელი... სულ

იმას ამბობდა, უზუნდნაჩაღნიკი თუ მოვიდა, უნდა შევხვდე და სიტყვა მოვახსენოვო.

**ჯობო.** აბა, ბიჭებო, ახლა გემართებს დაფაცურება. რაღაი აქ მობრძანდა... რა ექნათ, იყოს, მარა მთელი სოფელი უნდა მოვავროვოთ აქ... ის ოხერი პოპოშნიკი მაინც მოვძებნოთ, გეიქეციოთ, გეიქეციოთ ახლავე...

(გარბის, სხვებიც მიჰყვებიან)

(შეაჩერებს დათიას)

**ქექ:**

შენი ქირიმე, დათია, თავიანი კაცი ხარ... ხომ ხედავ, რა დღეშია ც ჩადექი და შენ იცი სოფელს რავე დაამზადებ... ჩემი ქმარი უთუოდ გეიგებდა და საცაა გაჩთება.

**დათია.** შენ ქმარს ძაან ვემღური, მარა ახლა რა გეეწყობა... შენ ნუ გეშინია, ქალო, ისე დავტრიალდები, რომ... მართლა ღვინო ხომ გაქვს?..

**ქექ.** არა, მაგისი ნუ გეშინია, ხორაგი და ღვინო საკმაოთ არის... სოფელში, სოფელში, სანამ ჩემი ქმარი მევიდოდეს...

**დათია.**

(შიდის)

კარგი, კარგი!

(გადის)

**ქექ.** ღმერთო მომკალი, სად ჯანაბაში... ჩარჩა ის კაცი... აბა, ნიფადორა, შენთან ბოდისშ ალარ ვიხდი... ხომ იცი, უნდა განკარგულება გავცე

(ქილორდავას)

უკაცრავათ, დაბრძანდი, ბატონო...

**ქილორ.** მადლოფ... რა მიქირს!

**ფოფ.**

(კეკელას)

რა ბოდისში გინდა, ბეჩა, წადი გენაცვალე, წადი.

**კოწ.** ფაცია-ბოშო, შენც გაყევი, დოუტრიალდი კეკელას.

**ქექ.**

(მიმავალი)

არა, გენაცვალე, ჯერ არა და მერე... მერე, აი, სუფრის დალაგებაში და სტუმრების სამსახურში აგრათენასთან ერთად თუ მიშეეღის, გადაუხდი სამაგიეროს.

(გადის)

**კოწ.** რავე არ დაგეხმარება...

**ფაც.** კი, ბატონო, კი.

**აგრაფ.** ახლა აირია მონასტერი. მამა ჩემიც ალარ არის და...

კოწ. წუხელ სად იყავით, ძმობილო?

ქილორ. კნენასთან, პატონი.

კოწ. მერე, ასე მალე გამოგიშვათ კნენამ? ძალიან გაქეი-  
ფებდათ...

ქილორ. (ეშლება)

ქო... კი პატონი... დიდი ფანიით მოდიან. პრისტავი ჩა-  
ლიანიც გახლავს, ჩვენი სტრაჟნიკი კნიაზი გორგასლანიანი,  
ორი სხვა კნიაზიცაა... საქეიფოთ მობრძანდებიან... კანცელა-  
რიაში იმიტომ არ თილიან...

კოწ. შენ მეგრელი ხარ?

ქილორ. (ეშლება)

ქო... კი პატონი...

ფოფ. (ახლოს გაუელს და შეღიმილებს)

რა გქვია?

ქილორ. ჯვებე ქილორდავა.

ფაციას და აგრაფინას (სიცილი წასკდებათ)

ფოფ. რა გაცინებთ?.. გაგისკტათ მიწა...

ქილორ. და კოწიაც. (იციინან)

## თ

### კარლო და ადიკო

კარლო. (ლაპარაკით შემოდის)

კაცო, ასე აბა როგორ მიაგდე ის წიგნები?.. შენთვის ფა-  
სი დაუკარგავს, მაგრამ ჩემთვის ხომ ძვირფასია...

(დაინახავს იქ მყოფთ)

ოჰ, უკაცრავათ...

(თავს უკრავს)

ვახლავართ.

(ვისაც არ უნახავს)

გამარჯვებათ.

ადიკო. აი, ძმაო, შევიდეთ და მოსძებნე. მე მაგისი თავი  
არა მაქვს... რა დროს მარქსია, ახლა?

კარ. (დაცინვით)

მაშ, ესლა სპორტი, გიმნასტიკა, ა?

კოწ. გაიგეთ, კარლო, უეზღნი ნაჩაღნიკი რომ მობრძანდება?

კარ.

(გულ-გრილათ)

ჰო, მითხრეს...

კოწ. მერე, რას აპირებთ?

კარ. რას უნდა ვაპირებდე... ხომ არ დავიმაღლები და!..

აგრ. ეგ არა და მართლაც სწორედ თქვენ უნდა უთხრათ ჩვენი სოფლის გაქირვებაზე რამე.

კარ. მთავრობისაგან მე არასოდეს სიკეთეს არ გამოველი... წამო, ადიკო, მიჩვენე სად გიძევს ჩემი დამტვერიანებული მარქსი.

(ადიკოსთან ერთად შინა ოთახებში შედის)

კოწ. დალუპული კაცია... მაგისგან რას უნდა გამოველოდე?

აგრაფ.

(ნელა ფაციას)

რა ნიქიერი ყმაწვილია და როგორ მოწყვეტილია ჩვენ სოფელს.

(ამასობაში „ფოფოღია“ რაღასაც ელაპარაკება ქილორდავს, ქილორდავა მის წინ გაქიმული დგას და პასუხს აძლევს, თან ზოგჯერ უღვაშებზე ხელს გადაისვამს, თავს აწონებს).

## ი

კოწიას კნენია.

(გამხდარ-გამხდარი, აწოწილი, ღარიბულათ თალხებში გამოწყობილი. ნელი, მორიდებული ხმა, თუმცა ხასიათი მტკიცე. მიმართავს კოწიას და ფაციას).

ოოჰ, აქა ხართ!.. მადლობა ღმერთს!.. სულ სირბილით მოვდიოდით... რა არი, ფაცია, ეს რა რუბაშკა გაცვია... მეორე ვერ ჩეიცვი... წადი, ე პრიჩოსკა რას გიგავს... დედა, დედა, რა მეშველება! მოდიან, მოდიან ვერ ხედავ?

ფაცია.

(ამაყათ)

მოვიდნენ რა, ასე დახვედრა არ შეიძლება?.. რამ შევაშინა, დედა, რა იყო?

## ი ა

კეკ.

(შემოვარდება)

მოდინ, მოდიან...

## ი ბ

ბიჭი.

(შემოვარდება)

მევიდენ, ქალბატონო, მევიდენ.

კეკ.

(ბიჭს)

ჰო-და, აქ რას მოდიხარ... გასწი, ცხენების ჩამორთმევაზე მოცემარე...

(ბიჭი გარბის)

რალა ვქნა, ღმერთო ჩემო...

(მაგიდას მივარდება, თითქოს რალასაც ასწორებს)

კოწია. უნდა მივეგებოთ.

(საჩქაროთ გადის)

აგრ. კარგია, დედა ჩემო, ახლა ნურც ასე დაფეთდები... აღამიანები არიან, სხვა ხომ არაფერი...

კეკ. ახა, ღმერთო...

კნენა. ეს მაინც გეისწორე, ფაცია, გენაცვალე... დედა, დედა, რა მეშველება!

ფაცია. კარგი, დედა, რა შეშინებული ხარ, რა იყო?

კნენა. დედა, დედა, რა მეშველება!

ფოფ. გენაცვალე, აგრაფინა, ხომ ყველაფერი რიგზე მაქვს?  
(ამოიღებს რიდიკულიდან პუდრს, სარკეს და ირთვება).

(კნ. ჩიტუნისი):

გარედან

მაშ, როგორ გეგონათ, ელუარდ ერაზმოვიჩი!..  
ხომ მშვენიერი ქვეყანაა?!

ხმები

(მაზრის უფროსისა):

Что, один восторг, княгиня!

აგრ. აბა-ახლა კი მივეგებოთ.

კეკ.

(თითქმის ტირილის ხმით)

გენაცვალე, აგრაფინა...

კნენა. დედა, დედა, რა მეშველება!

ფოფ. (შფოთავს)

უპ, ღმერთო, სად დეილუპა ი-მღვდელი.

ფაცია. ბეჩა, რა დაგემართათ, სტუმრები მოვიდნენ, სხვა ზომ არაფერი...

(ყველანი ჩამწყრივდებიან აივნის ახლ)

## იზ

(კნ. ჩიტუნია ღამაზი, მოხდენილი ამა-ზონით, ქედით და „ხლისტი“ შემოდის ყველაზე წინ)

კნ. ჩიტუნია. აბა, ჩემო კეკელა, როგორ გიკითხო?.. ოპ, აგრაფინა!..

(ხელს ართმევს)

ოო, ჩემი ფოფოლიაც... Аа, дорогая племянница...

## იღ

მაზრის უფროსი.

(ახალგაზდა კაცი, სტატსკი სოვეტნიკის ჩინით, ბრვე შესახედობის)

მას მოჰყვებიან: ბოქაული ჩალიანი, თ-დი კოწია, სტრაჟნიკი თ-დი გორგას-ლანიანი, ქილორდავა, ჯიბო, პაპუნა, სტრაჟნიკები და გლეხები).

კნ. ჩიტუნია. Позвольте, Эдуард Эразмович, представить Вам хозяйку... Гя дочь... Попадья... Князь Юция... Его супруга, княгиня... Их дочь... Моя милая племянница, княжна Пацция...

მაზრის უფროსი

(ყველას სათითაოდ ხელს ართმევს და ეუბნება თავის გვარს)

Гренгольм!

კნ. ჩიტუნია. ეს კი ჩვენი ნაჩაღნიკია...

(კეკელას, კნინას და ფოფოლიას)

ქართული მშვენიერად იცის... ნუ შეგეშინდებათ!.. ჩვენ-შია დაბადებული და გაზრდილი... დედაც ქართველი ჰყავს... გვარი აქვს ნემენცური, მაგრამ Это не в счет абонемента... И так, Вы довольны этой прогулкой?

მაზრის უფროსი. Один восторг, княгиня!

## იე

- კარლო და ადიკო.** (შემოვლენ და ამ სურათზე შედგებიან)  
**აგრაფინა.** (წარუდგენს)  
 ეს ჩემი ძმა გახლავთ. (ადიკო და მაზრის უფროსი ერთი მეორეს შორიდან თავს უკრავენ)
- ესეც ბ. კარლო ყაყუტაძე.  
**კნ. ჩიტუნია.** აჰ, კარლო? რამდენი ხანია არ მინახავს... (მაზრის უფროსს)
- ეგ ჩვენი სოციალისტია... **ЛЕГАЛЬНЫМ...**  
 (კარლოს)
- არ მიწყობები?  
**კარლო.** (უღვაშებში მწარეთ გაიღიმებს)  
**მაზრის უფროსი.** (მიაჩერდება კარლოს)  
**Это тоже один восторг, княгиня...**

ფ ა რ დ ა

**მოკმელება მეორე**

იგივე სანახაობა. მხოლოდ ესლა აივანზე ბლომათ არიან მოსულები: გლეხები, თავადები და სტრაენიკები. ყველა ფეხზე დგას და ჩამწკრივებულები არიან.

ა

ხსენებულთ გარდა სცენაზე არიან:

**მამასახლისი მალხაზ, თ-დი კოწია, ჯიბო, პაპუნა, კარლო ყაყუტაძე, „ფოფოლია“, კოწიას კნენინა.**

ესენი სხედან ზოგი მაგიდასთან, ზოგი იქით-აქეთ ტახტებზე.

(მალხაზს)

**კოწია.**

რა დაგემართა, შე გლახა, შენ... აქამდი სად დეიქარგე?

**მალხაზ.** პირდაპირ მოვკალი, ყმაწვილო, ცხენი. როგორც კი გევიგე, რომ აქეთ წამოსულიყო, სულ ქენებ-ქენებით წამევედი.

**ჯიბო.** ჰო, კარგი ახლა, კარგი. აბა, ასე არაა, ძმებო? ისევე-ლე მამასახლისმა უთხრას სოფლის მაგიორ სიტყვა...

**გლეხები.** კი, ბატონო, კი, მამასახლისმა.

**მალხაზ.**

(წამოდგება)

რო არ დეიჯერებთ კაცისას!.. ყმაწვილებო, მე მამასახლისი ვარ, ხელ-ქვეითი, გეიგონეთ ეე!..

**კოწია.** მართლა, კაცო, რას ჩააცვიდით ამ კაცს...

**მალხაზ.** ერთი რომ დამიფაფხუროს, მიწა უნდა გამისკდეს...

**ჯიბო** მე გითხარით და არ დამიჯერეთ... სხვა ევიჩიოთ მეთქით... რაგაა? გაწყდა ჩვენში კაცი თუ?

**კოწია.** მე რომ მკითხოთ, სულ მეტია ახლა დეპუტატების არჩევა და სიტყვის მოხსენება... ეგ როგორც მევიდა, მაშინვე უნდა ყოფილიყო, თვარა, ახლა აგერ საცაა სადილი უნდა ვაქამოთ კაცს, უნდა წევიქეიფოთ, რა დროს რეჩებია?

**ჯიბო.** რაგა გეტყობა, რომ კნიაზი ხარ!.. შენ, ჩემო ბიძია, ფეხებზე გკიდია ჩენი სოფლის გაქირვება...

კოწია. თავს ნუ იგდებ, ყაძახო!

ჯიბო. შენი ყაძახი, მადლობა ღმერთს, დიდი ხანია აღარ ვარ... იქ შეიკითხე, მთებში, კინკრიხოზე, რაცხა ქვების საბო-  
ქვათ რომ დაფხოკიალობ...

კოწია. გაგლახავ, მამა ჩემი არ წამიწყდება!

ჯიბო. (გამოიკიშება)

ვის გალახავ, ვის?.. ღმერთი არ გაგიწყრეს, ფეხი არ გა-  
მოდგა, თვარა ისე წამოგაქციო, რავარც წიფელა...

კოწია. (წაიწვეს)

ვის უბედავ, ბიჭო, შენ...

მალხაზ. ჰო, კარგია ახლა... რა ღროს ჩხუბია...

კოწიას კნენია. კოწია, შენი ქირიმე, რაფა გეკადრება!

ფოფოლია. კნიაზო, დეთხოვე...

პაპუნა. (ჯიბოს)

რა ღროს ჩხუბია, კიცო. სირცხვილია. ცა და ქვეყანა აქ  
არის... ვეზლი ნაჩალიკი აქ ბრძანდება...

კოწია. (ტოლს)

აა, რაფა მიბედავს?!

ჯიბო. არ წამეიწიო აქეთ, არ წამეიწიო.

ხმები. მეიცა, შე-კაცო.

მალხაზ. ჰო, კარგი ახლა. აბა, არ გინდათ არავინ ამეირ-  
ჩიოთ?

ჯიბო. მე ჩემი მხრით ისეველე კარლო ყაყუტაძეს ვასახე-  
ლებ...

კარ. მე გითხარით და გეუბნებით, რომ ამ თქვენ საქმეში  
ვერ გავერევი. მთავრობის სიკეთე არ მწამს და იმას არც არა-  
ფერს ვთხოვ...

მალხაზ. კაცო! ახლა სოციალისტ კაცს გზავნით მთავრობას-  
თან?

ჯიბო. (კარლოს)

ბიჭო, აბა, რაზე ერევი მარაქაში? გინდა სეირს უყურო?

კარ. (წამოდგება)

მე არაფერში არ ვერევი... აქ შემთხვევით მოვხვდი და სია-  
მოვნებითაც ვტოვებ ამ მძიმე ატმოსფერას.

(დაიხურავს ქულს და გადის)

**მალხაზ.** აბა, დაასახელებთ-მეთქი ვინმე.

**პაპ.** ვილა უნდა დავასახელოთ, კაცო. შენც ერთი ახირე-ბული ხარ. საცაა ვეზდი ნაჩალიკიც გამობრძანდება. ისეველ შენ უნდა იყო, სხვა ვინ იქნება?

**ხმები.** შენ, შენ, ბატონო მალხაზ, დათანხმდი.

**ჯიბო.** მამასახლისი, აბა, რათ გვინდობარ, თუ ჩვენ გაკირ-ვებაზე სიტყვას ვერ დაძრავ. ან რა ამდენი სალაპარაკო გაქ? ეკლესია დანგრეულია, სასწავლებელი დაკეტილი, გზები არ გვივარგა, ბალი გავერანეხულია, ბოგირი ჩაქცეული და სხვა.

**მალხაზ.**

(მოგვიანებით)

აბა, იცით, ძმებო, რა გითხრათ? ეკლესიაზე და სასწავლე-ბელზე ვერაფერს ვერ ვეტყვი. ეკლესია... ეგ სასულიერო მთავრობას შეეხება და მაზრის უფროსს რა ესაქმება. რაც შე-ეხება სასწავლებელს. როგორც გევიგე, ცუდ-თაა ძან მისი საქმე... ამ ჩვენ ჩხუბს და კირწი-კორწში მთავრობას გალოუწ-ყვეტია, რომ გაღმა სოფელში გადაიქანოს...

(საიდუმლოთ)

მგონი, ცოტა ქრთამიც კი გოულია გაღმა სოფელს და... ახ-ლა ჩვენგან უხერხულია ამაზე ლაპარაკი...

**ჯიბო.** რას ამბობ კაცო. . ეგ რა გვითხარი... სად იყავი, კაცო, აქამდი?

**ხმები.** აბა, დაეღუპულვართ და ის არი.

**მალხაზ.** მხოლოდ გზებზე და ბაღზე რა უნდა უთხრა? ეს ჩვენ-ზე არ არის დამოკიდებული? თუ გვინდა გავაკეთოთ, თუ არა და, მაზრის უფროსი კი არ გავგიკეთებს.

**ჯიბო.** იმე! აბა, რაზე მევედით აქ? ამ სოფელმა ტყუილა ამოგვირჩია ამდენი კაცი, რამე ხეირიანი გამოგვიწყვეთო?

**მალხაზ.** ასეა, ბიძია და.—მე ხომ არ შემიძლია და არა, მაგ-რამ არც თქვენ გირჩევთ რაიმე სიტყვა დაძრათ ეკლესიაზე და სასწავლებელზე.. და საზოგადოთ სოფლის გაკირვებაზე.. ვინ იცის, რამე ეწყინოს და, შეიძლება, საციმბიროთაც გაგიხდეთ საქმე.

(პაუზა ყველა ჩუმათ არის.)

**ჯიბო.**

(თავისთვის ჩაილაპარაკებს)

აბა, სულ დავლუპულვართ და ის ყოფილა... ეჰ, როცა ჩვენ ნასტავლი მამასახლისი ევირჩიეთ, მაშინ დეგვეფსო თვალები.

**ბ**

**ქილორდავა.**

(შემოვარდება)

ჩუმად, ნაჩაღნიკი მობძანდება!

**ყველანი.**

(ჩამწყრივდებიან, ყველაზე წინ მამასახლისია და საჩქაროთ უბიდან ამოღებულ ძეწვეს გადაიკიდებს)

**ბ**

**მაზრის უფროსი, ბოქაული ჩალიანი, კნ. ჩიტუნია, ფაცია, ადიკო, აგრაფენა.**

**მალხაზ.**

(მაზრის უფროსის წინ გამოიკიშება)

თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ! ჩვენი სოფელი ჩემის პირით გილოცავს აქ მშვიდობით მობრძანებას და ბოდის იხდის, თუ ისე ვერ დაგხვდება, როგორც შეგფერის, მხოლოდ გულწრფელად მოგახსენებს ძველის სლავიანურის ენით: Владыко, гряди и володей нами.

**მაზ. უფ. Спасибо, брат. გადაეციოთ სოფელს ჩემი გულწრფელი მადლობა და უთხარით, რომ ამ ჟამად მე საქმისთვის არ ჩამოვსულვარ... ეს... благодаря любезности квягини Читуныя совершили partie de plesir (პარტი დე პლესირ). სასიამოვნო მაგზაურობა გაემართეთ... მაგრამ აი, სხვა დროს ჩამოვალ და მაშინ კი თქვენ საკიროებასაც გავეცნობი...**

**ხმები.** იცოცხლეთ, ბატონო, იცოცხლეთ!

**ფოფ.**

(გაწითლებული წინ წამოიწვეს)

ბატონო ნაჩაღნიკო.

(ყველას გაუკვირდება მისი გამოსვლა, ზოგს გაეცინება, მაგრამ თავს იკავებს).

**მაზ. უფ. Что прикажете, любезная?**

**ფოფ.** ჩემი ქმარი აქაური მღვდელი გახლავთ... აქ არ არის ახლა ის დაღუპული.

(იქა-აქ გაისმის):

„ფხუუ!“

(მაზრის უფროსი ილიმება)

მღვდელ-მთავარს იახლა საქმეზე, თორემ აქ რომ იყოს უთუოდ თქვენს წინაშე წარმოდგებოდა და მოგახსენებდათ, რომ ის ერთი უბრალო ღვთის მოსაყვი მღვდელია, რომელიც ყოველთვის ღოცვა-ვედრებას ადავლენს ჩვენი ქვეყნის უფროსებზე...

**მაზ. უფ.** Очень рад, очень рад.

(მიდის ხელზე აკოცებს და ისევ თავის ადგილას ბრუნდება).

**ადიკო.** ბრავო, ბრავო, ფოფოლია.

**ფოფ.** უი, გაგისკტა მიწა... კინალამ გამაპინე.

**აგრაფ.** მშვენიერათ სთქვი, შენ არ მომიკვდე...

**ფაც.** ძალიან თამამად.

**კნ. ჩიტუნია.** Не правда ли, как все это мило?

**მაზ. უფ.** Один восторг, княгиня!

**კნ. ჩიტ.** მაშ, ეხლა კი წავიდეთ ჩვენ... ფაცია... ხომ წამოხვალ?

**ფაც.** როგორ არა, ეხლავ. ქუდს დავიხურავ და... მართლა, ცხენი ხომ მიყვარება?

**კნ. ჩიტ.** როგორ არა! სედლო კეკელას გამოართვი.

**ფაც.** კარგი, კარგი. (გარბის)

**მაზ. უფ.** (კნ. ჩიტუნიას)

სად მიბძანდებით?

**კნ. ჩიტ.** აქ ერთი გენერალია, ბერდოსანი .. ბიძათ მომხედება... უნდა ვნახო უთუოდ...

**ჯიბო.** (თავის ჯგუფს)

მართლა, ბიქებო, გენერალი... იმან თუ ნახა ვეზლი ნაჩალიკი, ის კი ეტყვის მართალს.

**პაკ.** რაეა? მამასახლისის სიტყვა არ მოგეწონათ?

(ამასობაში მაზრის უფროსი და მისი ჯგუფი ჩუმად საუბრობენ).

**დათ.** რაეა არ მოგეწონა.

**ხმები.** მშვენიერი სიტყვა იყო.

**მაზ. უფ.** (ბოქაულს)

О чем они говорят?

**ბოქაული.** Ничего, Ваше Высоко-благородие.

**მაზ. უფრ.** მაშ, უთხარი ეხლა დაიშალენ...

**ბოქაული.**

(ხმა-მალლა უცხადებს)

ნაჩაღნიკი გიბრძანებთ: მადლობელი ვარ, ეხლა კი დაიშალენითო.

**ხმები.** ღმერთმა გვიცოცხლოს ნაჩაღნიკის თავი.

(გლეხები, „სტრანეიკები“ და სხვა სტუმრები ჩადიან კიბეზე. მათვე გაჰყვება ადიკო, ჯიბო, პაპუნა. ფოფოღია და აგრაფენა კი შინა ოთახში შევლენ. სცენაზე რჩებიან: მაზრის უფროსი, ბოქაული კნ. ჩიტუნია, თ-დი კოწია, მისი კნენია და მალხაზი)

## დ

**ფაც.**

(შემოდის მორთული)

აი, მეც მზათა ვარ...

**კნ. ჩიტ.**

(მამასახლისს)

შენ კი არ წამოგვეყვები, მალხაზ?

**მალხაზ.**

(ანიშნებს მაზრის უფროსზე)

როგორ დავტოვო, კნენია, თვარა თქვენთან ყოფნას რა მირჩევნია.

**მაზ. უფ.** არა ეგ... Ничего... მაგრამ, მართლა. აქ დამიძახეთ სტრანეიკს კნიაზ გორგასლანიანს.

**მალხაზ.**

(აივნიდან გადასძახებს)

Стражник, князь Горгасланиан!

**მაზ. უფ.**

(ქალებს)

Такой он кавалер...

**ფაც.** ვინ არი? რომელი გორგასლანიანია?

**კნ. ჩიტუნია.** დიდი ვახტანგის შვილის-შვილი...

**ფაც.** ბეჭა, მერე სტრანეიკათ წავიდა?

**მაზ. უფ.** ოო, он далеко пойдет... მე თუ დავრჩი ამ მაზრაში... დავაწინაურებ...

**კნ. ჩიტ.** Конечно, უნდა დარჩეთ... ეხლა აღარ გაგიშვებთ... მე გუბერნატორს ვეტყვი... განა არ მოგწონთ თქვენი მაზრა?

**მაზ. უფ.** Ох, один восторг, княгиня...

მ

„სტრაჟნიკი“ გორგასლანიანი.

პატარა კაცი, დეგენერატის ტიპისა. სულ იღმიკება. სხეული კი ძალიან მოქნილი აქვს. შემოდის, იღრიკება და მაზრის უფროსს გამოეკივება

გორგას. ჰე-ჰე-ჰე, რას მიბრძანებთ, ვაშე ვისოკობლაგოროდიე?

მაზ. უფ. აი, კნეინას და ახალგაზრდა კნიაჟნას უნდა იახლო. წაიყვანე კიდევ ორი სტრაჟნიკი...

გორგას. ჰე-ჰე-ჰე! სლუშაიუს, ვაშე ვისოკობლაგოროდიე.

კნ. ჩიტ. რა გაცინებს, ბიკო?.. გამარჯვება შენი, დღეს არ მინახავხარ... გაიცანი, ნათესავათ მოგვხდება, კნიაჟნა ფაცია...

გორგას. ჰე-ჰე-ჰე

(ვერ ბედავს ხელის ჩამორთმევას. მაზრის უფროსი ანიშნებს დასტურს. ისიც ორივე ქალს ხელს ჩამოართმევს).

მაზ. უფ. Ну, распорядитесь князь...

გორგას.

(გამოიკივება).

მაზ. უფ. Княжо...

გორგას.

(ისკუპებს და აიენისკენ გადახტება).

კნ. ჩიტ. მაშ, ჯერ-ჯერობით ნახემდის!

მაზ. უფ. До свидания, очаровательная княгиня!.. княжна!..

მალხ. კნეინა, სადილზე არ დაგვაგვიანოთ.

კნ. ჩიტ. არა არა.

(გადიან ის და ფაცია).

კეკელა.

(შემოდის. მალხაზს)

კაცო, სადა ხარ? სუფრა სად გავშალოთ?

მალხ. ეზოში, ეზოში... კაკლის ქვეშ... ან, Ваше высочество, სად ინებებთ სუფრა გავაწყოთ?

მაზ. უფ. სადაც გინდათ?

მალხ. აქ, აივანზე ვერ დავეტევიო...

მაზ. უფ. ეზოში იყოს, კაკლის ძირს, თქვენებურად, მამაპაპურად.

მალხ.

კეკელას)

ეზოში, ეზოში...

კეკ.

(საიდუმლო კილოთი მალხაზს)

ბეჩა, მოდი აქ! ..

მალხ. რა იყო?

(მიღის)

კეკ. კაცო, მოგვხედე, რამდენი საქმეა!

(გაიყვანს ქმარს და თვითონაც გადის).

ბოქაული.

(მაზრის უფროსს)

А Вы знаете, Ваше Высокоблагородие, софелს უნ-  
დოდა თავის გაქირვებაზე თქვენთვის მოეხსენებია...

მაზ. უფ.

(ეშმაკურათ გაიცინებს)

ჰა, ჰა! Знаю, знаю!..

ბოქ. ჰა, ჰა... ვერ გაბედეს...

მაზ. უფ. ვერც უნდა გაბედონ... ციცი! ზომები მიიღეთ,  
რომ ჩემთან არაფერ კრინტი არ დასძრას სოფლის გაქირვების  
შესახებ.

ბოქ. მე უკვე მამასახლისს დიდი ხანია ჩავაგონე ეგ აზრი...

მაზ. უფ. ჰო, კარგა მოქცეულხარტ

ბოქ. აკი არც არაფერი მოგახსენათ თავის სიტყვაში...

მაზ. უფ. Старая лиса... ბებერი კუდა-მელა... იცოდეთ,  
როგორც გამოვაცხადე კიდევ: მე აქ საქმეზე არა ვარ ჩამო-  
სული... ისე, საქეიფოთ...

ბოქ. მესმის, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ!..

(ამასობაში კოწიას და მის ცნენას რალაც  
გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდათ).

კოწია.

(წინ წამოიწევს)

ბატონო ნაჩალნიკო...

მაზ. უფ. Что прикажете, князь?..

კოწ. ცოტაოდენი საქმე მაქვს თქვენთან.

ბოქ. კნიაზო, საქმეებისთვის ახლა არა გვცალია...

კოწ. არა, ისეთი საქმე მე რა მექნება... ისე მინდა...

მაზ. უფ. Ничего, ему можно. . რაშია, კნიაზო, საქმე?

კოწ. რა არი, ბატონო და... რა კი ღმერთმა გვადირსა და  
აქ მობრძანდი...

მაზ. უფ.

(სახე მოელუშება)

კოწ. აჰა, სხვას უკეთესს ვილას ვეტყვი ამ ამბავს...

მაზ. უფ.

(წამოდგება, გამოიჭიმება, „ნაჩალნიკის“  
სახეს მიიღებს).

**ბოქ.** (წაბაძენს უფროსს)

**კოწ.** რამდენი სიმდიდრე გვაქ, ბატონო, და ვინაა პატრონი და მომელელი?...

**მაზ. უფ.** (ცოტა სასტიკათ)

რაშია საქმე?

**კოწ.** აგერ, ბატონო. (ამოიღებს ჯიბიდან მანებს)

ესაა, შენი ქირიმე-და ბარიტია... ამას უკვე ყავს თავისი მუშტარი...

**მაზ. უფ.** (გაეცინება და დამშვიდებული ისევ დაჯდება).

Ах, аа!..

**ბოქ.** (თავისუფლად გაჩერდება).

**კოწ.** ეს კიდევ, ბატონო, ოხრა გახლავს, საღებავი წამალი... ეს ქვა-ნახშირი გახლავს...

**მაზ. უფ.** თქვენ მთელი კოლექცია გქონიათ მადნეულობისა...

**კოწ.** ვაგროვებ, ბატონო, ვაგროვებ... მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი ეს ორია: გიშერი და ვერცხლი.

**მაზ. უფ.** როგორაა? ვერცხლი?

**კოწ.** (გადასცემს ვერცხლს. მაზრის უფროსი და ბოქაული გულ-მოდგინეთ სინჯავენ)

ა, ბატონო, კი, შენ ნუ მომიკვტე, ვერცხლია, მარა ამას მე ეს გიშერი მირჩევნია...

**მაზ. უფ.** გიშერი? (გამოართმევს, სინჯავს)

რა არის ეს? გიშერი? (ბოქაულს)

Как это по-русски?

**ბოქ.** (გაწითლდება, მხრებს იწევს)

Не могу знать, Ваше Высокоблагородие.

**მაზ. უფ.** (ატრიალებს გიშერს)

Я тоже слаб в минералогии...

**ბოქ.** მერე, თქვენია, კნიაზო, ეს მადნეული? ბევრია?

**კოწ.** ბევრი იცოცხლე ეგ იყოს და... თლათ ჩემი არაა, მარა...

**მაზ. უფ.** სად არის?

კოწ. იმე! თქვენ რაეა უნდა დაგიმალოთ, მარა ნუ გამიწყრები და...

მაზ. უფ. აა, კნიაზ, ხინტრა-მინტრა!.. Чтож, это интересно...

კოწ. ახლა ამას გთხოვ, ნაჩალნიკო, შენ ხარ ჩვენი მამა, ჩვენი პატრონი... შენზე უკეთესი ვილა გვყავს?!. მიაქციე ამას ყურადღება და შენ ყველაფერი შეგიძლია... მოუხერხოთ ამ მადანს რაცხა... ეგება პეტერე...

მაზ. უფ. მესმის, მესმის... კაპიტალისტი გიშოვნოთ, არა?

კოწ. ჰო, შენი ქირიმე, მუშტარი... შენ ცა და ქვეყანას იცნობ...

მაზ. უფ. ჰა, ჰა! ეს ჩემი საქმე არაა, მაგრამ რატომ?.. Чтож, рекомендовать богатство своего уезда...

კოწ. ჰო, შენი ქირიმე, მუხლებზე კი შემოგვევლე... გამიკეთე საქმე და ნახევარი შენი იყოს...

მაზ. უფ. (ეტყობა უკვე მოსწყინდა ლაპარაკი)

Хорошо... буду иметь в виду...

კოწ. უი, შენ გაცოცხლოს ღმერთმა...

(თავს უკრავს, გაიმართება)

დიდებული ყაზახი ხარ, დიდებული...

მაზ. უფ. (გაიცინებს)

ნახვამდის, კნიაზო, ნახვამდის...

კოწ.

(მიდის აიენისაყენ და თავისი ცოლის ხმას გაიგონებს თუ არა, შედგება).

კოწიას კნეინა.

(დიდი ხანია: უნდოდა ლაპარაკში ჩაბმოდა)

ნაჩალნიკო, შენ შემოგვევლოს ჩემი თავი...

მაზ. უფ. (ბოქაულს)

Кто она такая?

ბოქ. Кажется супруга князя... რა გნებავთ? საქმეზე არა ვართ ახლა მოსული და...

კნეინა. არა, ბატონო, საქმე კი არა, სათხოვარი მაქ მე გაქირვებულს...

კოწ.

(მობრუნებულია. შეუბუზღუნებს ცოლს)

კარგია, ახლა, ნუ აწყუხებ... შენთვის ცალია სწორეთ...

კნენა. არა, რაღა ვაწუხებ მე უბედური... შეწუხებას ჯვარი სწერია, მაგრამ მინდა ვთხოვო....

მაზრის უფრ. Хорошо, пусть говорит...

ბოქ. რა გნებაეთ, კნენა, რასათხოვარი გაქვთ?

კნენა. რა, და, გენაცვალოს ჩემი თავი... რაქაში, ბატონო, კობზირიძეებთან... მე კობზირიძის ქალი გახლავართ... ერთი სანაწილო მამაპაპეული მთა გვაქ, გოუყოფელია, ბატონო, და მეც ქე მაქ შიგ წილი... ქალი რომ ვარ, ახლა მე არა ვარ მამრ-ჩემის შეილი, თუ?... ჰო-და, არ მანებებენ ჩემ წილს, ბატონო...

მაზ. უფ. ჰო, ეგ, კნენა, რამდენათაც გავიგე, მამულზე დაეობთ... ეგ შე არ შემეხება. სუდს უნდა მიმართოთ...

კოწ. ჰო-და, რომ არ დამიჯერა ამ ოჯახ-ქორმა... ბატონო, ვეუბნები წრეულს მერყეევანიე მოდის და...

მაზ. უფ. ჰო, ჰო... სწორედ იქ უნდა მიმართოთ... მე არ შემეხება ეგ საქმე...

კნენა. რაღა არ შეგეხება, დალოცვილო, ხენწიფის ტოლი კაცი ხარ... მაგ ჩინ-ტემლაკებში გენაცვალე... შენ ყველაფერი შეგიძლია...

მაზ. უფ. არა, კნენა, ეს სუდის საქმეა... ან როდესაც მამულს დაყორლნას დაუწყებენ, მაშინ უნდა განაცხადოთ თქვენი უფლება...

კოწ. ქალო, არ გესმის?... დამიჯერე-მეთქი, მერყეევანიე მოვა...

კნენა. დედა, დედა, რა მეშველება!

მაზ. უფ. რა გაწუხებთ, კნენა, ზემლემერი მოვა... აი თქვენ ქმარს კარგათ სკოდნია... დაუჯერეთ და...

კოწ. ვინ გიჯერის, ბატონო, თვარა...

კნენა. დედა, დედა, რა მეშველება!... არაღინ არაა ჩემი პატრონი...

ბოქაული ასეა, ბატონო... როგორც გიბრძანათ...

კნენა. შენ შემოგველე, ნაჩალიკო...

კოწ. ბიქო, კარგია ახლა, ნუ აწუხებ-თქვა.

კნენა. არა, ბეჩა, რაღა შევაწუხებ, მარა ახლა ჩემი ძმის-წულიზა მინდა ვთხოვო...

მაზ. უფ.

(უნდა თავიდან მოიშოროს)

რა გნებაეთ?

კნეინა. შენი ქირიმე, ნაჩალიკო... ერთი ობოლი ძმის წული მყავს, ახალი ნასალდათარია და ქეა ჩემთან უსაქმოთ... გთხოვ, შენი მუხლების ქირიმე, სადმე სტრაჟნიკათ მაინც ჩაანიშენიო...

მაზ. უფ. აა! Ну, это можно...

კნეინა. რუსული ლაპარაკი და წერა-კითხვა ქე იცის საწყალმა ბალანამ...

ბოქაული. კარგი, კარგი... ხომ გიბრძანათ...

კნეინა. ჰო-და, იმას გთხოვ, შენი ქირიმე.

კოწ. კაცო, ნუ აწუხებ-მეთქი, წამოდი-თქვა...

კნეინა. რაღა ვაწუხებ, ბეჩა, შეწუხებისგან ჯვარი სწერია.

მაზ. უფ. კარგი, კარგი, კნეინა, გამომიგზავნეთ უეზღში...

Я буду иметь в виду.

კნეინა. შენ შემოგველოს ჩემი თავი,

(უნდა მუხლებზე მოეხვიოს)

მაზ. უფ.

(არ მიიკარებს, წამოაყენებს)

Хорошо, хорошо...

კოწ. კარგია ახლა, ნუ აწუხებ.

(მიჰყავს).

კნეინა. დედა, დედა, რა მეშველება...

(ჩადიან კიბეზე).

ბოქაული. ძლივს არ წავიდნენ?

მაზ. უფ. Чудаки!..

(გაისწორებს)

Какие милые люди!..

(გაივლ-გამოივლის)

აჰ, голова трещит от вчерашней попойки... კნეინას ბევრი დავლიეთ.

ბოქ. კნეინა ჩიტუნის მშვენიერი ღვინოები აქვს.

მაზ. უფ. Да, да... славная хозяйка.

ბოქ. მწყალობელი კნეინა ძალიან... განსაკუთრებით მაზრის უფროსებს სწყალობს...

მაზ. უფ. Ну, ну, не завирайся.

ბოქ.

(გამოეკიმება)

Извините, Ваше Высокоблагородие.

ზ

**ჯიბო.**

(შემოდის კარიდან, თითქო მოიპარება).

**მაზ. უფ.** ეს ვილა?

**ბოქ.** შენ რა გინდა აქ?

**ჯიბო.** თხოვნა მაქ მისართმევი ნაჩალიკთან.

**ბოქ.** ვერ გეიგე, ყაზახო, რომ გამოგიცხადათ დღეს... საქმეებისთვის არ ვარ ჩამოსულიო?

**ჯიბო.** არა, ბატონო... საზოგადო საქმეზე მე როგორ გავ-  
ბედავ მოსვლას... რა ჩემი საქმეა!

(ქალაღდს ამოიღებს)

დანოსი გახლავს, ბატონო...

**მაზ. უფ.** აჰ, დანოსი?... Подлые люди... შოიტა, რა არის?

**ჯიბო.**

(უცხად ჯიბიდან მარკას ამოიღებს, დააკრავს ქალაღდს და მიართმევს. აქით-იქით იხედება)

ჩვენ მამასახლისზე გახლავს, ბატონო... გაგვატყავა, ბატონო, შექამა სოფელი...

**მაზ. უფ.**

(კითხულობს და იღიშება)

Ах, какие подлые.

**ჯიბო.** სოფლის ფული აქ შექმული, შენ არ მოუყვტე ჩენ თავს... კაცი პატრონი, გამკითხავი არ ყავს... ძველი ნაჩალიკი იყო და კუდი-კუდზე ქონდათ გადამბული... ახლა, ბატონო, შენ მოსვლას აღდგომასავით მოველოდით... ბევრი კარგი გავგიგონია, ბატონო...

**მაზ. უფ.** Хитрый мужик...

**ჯიბო.**

(ქუღს მიწაზე დაახეთქებს)

ასე ღმერთმა დამამხოს და წამაქციოს, რაეარც მართლას მე ვამბობდე.. თუ არ მიაქციე, შენი ჰირიმე, ყურადღება, სულ თავზე წამოგვაჯდა, ბატონო... ჩვენი არჩეული კაცი კი არა, ისე მოაქ თავი, ვითომ ვეზლი ნაჩალიკი თვითან იყოს...

**მაზ. უფ.** Хорошо, хорошо, я это дело разведу...

**ჯიბო.** ნასტავლი ვარო, ბატონო და... რათ მინდა მაგის-  
თანა ნასტავლობა... ის დღე კი დეიქა, როცა მაგი ამევირ-  
ჩიეთ...

ბოქ. ჰო, კარგი. ახლა ნულა აწუხებ... წადი.

ჯიბო. შენ იცი, ბატონო... ა, რა? სათქმელი ბევრი მაქ, მარა პირი წყლით მაქ სავსე... შენ იცი ახლა, ნაჩალიკო, მად გიწერია ყველაფერი...

მაზ. უფ. კარგი, კარგი... Хорошо... Я буду иметь в виду...

ჯიბო. შენ შემოგველოს ჩემი თავი.

ბოქ. აღარ წახვალ, ყაძახო?

ჯიბო. ა, ბატონო, მივდივარ, მარა... შენ იცი, ნაჩალიკო...

ბოქ.

(ხელს მოკიდებს, ძალით მიჰყავს).

კარგი, ახლა წადი, ნულარ აწუხებ.

(მიიყვანს კიბესთან).

თვითონ იცის როგორც გააკეთებს საქმეს... წადი, ჰო!...

ჯიბო. კი ბატონო, მივდივარ, მივდივარ...

(იმალება)

ბოქ.

(აივნის ხარიხაზე გადაყუდებული)

Что что такое?.. ვის მოასვენებენ, ნეტავი?

მაზრის უფ. რა იყო, რა ამბავია!?

(მოდის აივნის ხარიხასთან)

ბოქ.

(მოკრძალებით)

აჰ, ეს დავრდომილი გენერალი ბერდოსანია...

მაზრის უფ. გენერალი?

ბოქ. ნამდვილათ... აი, ეგ კი გეტყვით ყველაფერს... სოფლის გაქირვებაზედაც მოურიდებლათ ილაპარაკებს და.

მაზ. უფრ. Да-да!... Совершенно верно. Чорт!.. მე განგებ არ წავედი მაგასთან ვიზიტათ... განგებ არ წაყვევი კნენა ჩიტუნის მაგის სანახავათ...

ბოქ. უთუოდ ამ სოფლის მოკეთებმა ეგ უკანასკნელი იერიშიც მოიტანეს...

მაზ. უფ. Ну, ничего... Призовем все свои дипломатические способности...

ბოქ. თქვენ, Ваше Высочество, ყველაფერს მოახერხებთ...

ც

ქნ. ჩიტუნია, ფაცია და გორგასლანიანი.

ქნ. ჩიტუნია.

(გარედანვე ეძახის)

ელუარდ ერაზმოვიჩი...

(შემოდის)

ელუარდ ერაზმოვიჩი, რა სტუმარი მოგიყვანეთ!.. Какого гостя я к нам привела.

მაზ. უფ. დავინახე, კნიაგინა, დავინახე... Один восторг, княгиня. მხოლოდ დიდი უზრდევლობა კი დამემართა: მე იქით უნდა ვხლებოდი...

ფაცია. ხომ ხედავთ, რა ზრდილობიანიც არის ჩვენი მოხუცი.

მაზრ უფ. Один восторг, княгиня...

ფაცია. მხოლოდ ჩვენი ბრალი არ არის მისი მოყვანა... გზაში შეგვხვდა, მოჰყავდათ კიდევ...

მაზ. უფ.

(გორგასლანიანს)

შენ, კნიახო, კარგათ უკავალრე ქალბატონებს!

გორგასლანიანი ჰე-ჰე-ჰე! Рад стараться, Ваше Высокоблагородие...

თ

(საკაცებზე დადგმულ საკარძლით ორ ბიქს შემოჰყავს დაერდომილი გენერალი ბერდოსანი. სცენის შუა-გულში დასდგამენ. ბიქები უკან დგებიან. ამავე დროს შემოვლენ მალხაზა, კეკელა, პაპუნა, კოწია და გლეხები).

ქნ. ჩიტ. აი, ბიძია, გაიცანი ჩვენი მაზრის ახალი უფროსი გრენგოლმი...

გენ. აპა... Очень рад...

მაზ. უფ. Я очень павняжусь, князь... Ваше Превосходительство... თქვენ როგორ გაგსარჯეთ... პირ-იქით უნდა გხლებოდით... პირდაპირ სიტყვებს ვერა ვპოულობ თვის გასამართლებლად...

გენ. არაფერია... Что за счеты...

(იგონებს)

Гренгольм... Гренгольм...

კნ. ჩიტუნია. უკაცრავათ, ბიძია, ეხლა კი მარტო დაგტოვებთ... ხელს არ შეგიშლით საუბარში... წამობრძანდით, ბატონებო...

გენ.

(შენიშნავს კეკელას)

აა, კეკელა ქალო... გამარჯვება შენი...

(კეკელა მიდის, ხელს ართმევს. ყველანი ასე იქცევიან, ვისაც კი მიჰმართავს)

აა, შე ცუდლუტო, კოწია... როგორა ხარ?... მალხაზ, ჩვენი მამასახლისი?... გამარჯვებით, ყმაწვილებო!..

ყველანი. გამარჯვება, ბატონო, ღმერთმა გაცოცხლოს...

გენ. სხვა, როგორა ხართ?... რა?! ვერაფის ველარ ვხედავ... გარეთ ვერ გამოვდივარ. ეხლა, დღეს გამოვიარე და მეწყინა... ცუდი, ძლიერ ცუდი ყანებია...

ჯიბო. კი, ბატონო, ნამეტანი წვიმები იყო და... დაღეშტრა...

გენ. ოო, ძალიან ცუდი მოსავალი გვექნება, ცუდი...

კნ. ჩიტ. აბა, ეხლა ხელს ნულა შეუშლით...

(ანიშნებს, რომ წაიდნენ. ყველანი გაიკრიფებიან გარდა გენერლისა, მისი ორი ბიჭისა, მაზრის უფროსისა და ბოქაულისა, რომელიც მოშორებით გაკიმული დგას, მოისმის მიმავალ ჯიბოს ხმა)

ჯიბოს ხმა. „ეს კი ეტყვის მართალს... თუ გვეშველა, ახლა გვეშველა!“

მეორე, ხმა; „ჩუმაღ, ჩუმაღ!“

გენ.

(უხერხული სიჩუმის შემდეგ)

„Да!.. Грешолям!.. რაღაცა მახსენდება... ჰო, მართლა, ჩვენს პოლკში იყო ერთი გრენგოლმი შტაბ-აფიცრათ.

მაზ უფ.

(გაკიმული დგას)

უკაცრავათ, ბატონო, ეგ მამა ჩემი არ გახლდათ...

გენ. მაშ, მამა თქვენი?

მაზ. უფ.

(უჭირს თქმა) . . .

(Он был из старых кантонистов... ქანდარმათ გახლდათ თბილისში...

გენ.

(სიტყვას მნიშვნელობას არ აძლევს).

Ах... да... ეს ქართული საიდან შეგისწავლიათ?

მან. უფ. თბილისში გახლავართ დაბადებული და გაზრდილი... დედაც ქართველი ქალი მყავდა..

გენ. Да... да... Значить, вы не из дворян...

მან. უფ. (თითქო რცხვენია, უპირს თქმა)

Да... но...

გენ. სად მსახურობდით წინეთ, ყმაწვილო?

მან. უფ. Я служил в Тифлисе по полицейской части...

გენ. Ах, да... ეგ თქვენ იყავით?.. Околодочный надзиратель... ჰო, თავი გამოიჩინეთ რევოლუციონერების დაკერაში... წამიკითხავს გაზეთებში... წამიკითხავს...

მან. უფ. დიად... მე...

გენ. Ну, что... მოგწონთ აქაურობა?

მან. უფ. Ох, один восторг. Ваше Превосходительство...

გენ. (ეჭვის თვლით შეხედავს. სიტყვებს მძიმედ იმეორებს და ათამაშებს)

Восторг!

В острог?..

მან. უფ. (მთლად გაიკიშება)

გენ. ჰო, მართლა! რა მინდოდა თქვენთვის მეთქვა...

(სიჩუმე)

ჰო... ყმაწვილო, დიდი ხანია მე ნათხოვნი მაქვს. დამატებითი პენსია უნდა მოეცათ... მართალია, ეს თქვენ არ შეგეხებათ, მაგრამ...

მან. უფ. Слушаю, Ваше Превосходительство...

გენ. ჰო-და, არავითარი პასუხი ჯერ არ მოსულა... А, впрочем... ეგ რა ორდენი გაქვთ?

მან. უფ. Льва я солнца, Ваше Превосходительство...

გენ. საიდგან?

მან. უფ. ტფილისში რომ გახლდით, სპარსეთის შაჰმა ჩაშოიარა და, სხვათა შორის, მეც მაჩუქა.

გენ. (ამოქნარებს)

აჰ, да, да!.. Ну, ბიჭებო...

(ბიჭები დაიძვრებიან)

ბევრი ვისაუბრე... Очень рад, очень!..

**მან. უფ.** Рад слушать Ваше Превосходительство...

**გენ.** მაშ, ნახვამდის...

**ბოქ.**

(შინა ოთახებისაკენ გაექანება, გასძახებს).

**ბატონებო, გენერალი მიბრძანდება.**

(მაზრის უფროსი გენერალს ხელს აძლევს.. ბიკები საკაცეს ასწევენ).

## ი

**კნ. ჩიტუნია და ფაცია.**

**კნ. ჩიტ.** ბიძია, მიბრძანდები კიდევ!..

**გენ.** დიახ, ჩემო შეილო, დავილალე..

**ფაც.** ბატონო, სადილი მაინც მიგერთმიათ...

(გასძახის)

**მალხაზ, კეკელა...**

**გენ.** არა, არა, შეილო... სულ ერთია... დრო, აი, თქვენ უნდა გაატაროთ...

## ია

**მალხ.**

(შემობის)

რა ამბავია, კნიაზ, რაზე გაგიწყერით?..

**გენ.** როგორ გაგიწყერით, მალხაზ! დავილალე... ბევრი ვისაუბრე და...

**მალ.** გაგიბედო დაკავება... მაგრამ გვირგვინს კი დაგვადგამდი...

**გენ.** არა, არა, გამაღობთ... ნახვამდის, ყმაწვილებო. Ну, ребята, ведите старика:

(ბიკები ასწევენ და მიაქვთ)

## იბ

**კეკ.**

(გამობის)

უიმე, ღმერთო კი მომკალი!..

**მალხ.**

(ანიშნებს და შეჩერდება)

**გენ.** ნახვამდის, ნახვამდის, ბატონო...

(კიბეზე ჩააცლილებნ გენერალს. სცენაზე მხოლოდ მაზრის უფროსი და ბოქაული რჩება).

**მან. უფ.** Ну, слава Богу, гроза миновала.

**ბოქ.** ეხლა კი გადარჩით...

**მან. უფ.** Вот! Какой он дурак, ჰა, ჰა ჰა?

**ბოქ.**

(ტუჩებზე ხელს მიიღებს. ანზნებს ჩუ-  
მად იყოს)

Княгиня...

**იზ**

**კნ. ჩიტუნია. ფაცია.**

**კნ. ჩიტ.** ეხლა რას იტყვით, ედუარდ ერაზმოვიჩ? ხომ მო-  
გეწინათ ჩვენი გენერალი?

**მაზ. უფ. აჰ, один восторг. княгиня...**

**ფაცია.** თქვენ როგორ ყველაფერზე ალტაცებული ხართ?

**მაზ. უფ.** როგორ არ ვიყო ალტაცებული: მშვენიერი ბუ-  
ნება, მშვენიერი ადამიანი და მათ შორის მომხიბლელი კნენია  
და თქვენც, изящная княжна...

**კნ. ჩიტ.** ციც! ედუარდ ერაზმოვიჩ, არშეიკობა არ იყოს!..

**მაზ. უფ.** მე მხოლოდ სინამდვილეს მოგახსენებთ, კნენია.

**იღ**

**მალხ.**

(საჩქაროდ ამოდის კიბეზე)

აბა, ეხლა კი მობძანდით... სადილი მზათ გახლავთ.

**კნ. ჩიტ.** ოო, ეგ მშვენიერებაა... დროც არის, სწორედ.

**მალხ.** მოგამშვიეთ, ბატონებო, არა?..

**მაზ. უფ.** არა, არა... Что вы?

**მალხ.** იმედია, არ გამიწყურებით ჩემს ღარიბულ სუფრაზე...

**კნ. ჩიტ.** ჰო, კარგი ეხლა, ვიცით შენი პურ-მარილის ამბა-  
ვი... Ну, пойдёмте, ედუარდ ერაზმოვიჩ...

(მაზრის უფროსი ხელს ვაუყრის და  
მიჰყავს).

**მაზ. ფუ.** Пойдем, пойдём, княгиня.

**მალხ.** აბა, გენაცვალე, ფაცია.

**ბოქ.**

(მიდის. ამ დროს ფაციაც დაიძვრის. ბო  
ქაული წინ გაუშვებს ფაციას).

Пожалуйста, княжна...

**ფაცია.** შერსი.

(გადიან ყველანი. სცენა ცოტა ხანს ცა  
ლიერია)

**იი**

(შინა ოთახებიდან გამოდის „ფოფოლია“  
და ამავე დროს კიბეზე ამოვა ქილორ-  
დავა. ერთი მეორეს შეეფეთებთან და შედ-  
გებიან).

„ფოფ.“ (კაწიობით)

ვის ეძებ?

ქილორდ. (მეგრულათ)

მუქომი ჯგირი რექ, გოლუაფირო! \*)

ფოფ. (ვერ მიჰხვდა რა სთქვა, მაგრამ ინსტიკტიურათ მაინც წითლდება)

რაო, რა სთქვი?..

### ივ

აგრაფენა:

„ფოფ.“ ოჰ, აგრაფენა... შენ გენაცვალე.—

(აკოცებს).

აგრაფ.

(გაკვირვებული)

რა იყო? რა ამბაეია?

„ფოფ.“

(ეშმაკურათ ჩაიცინებს)

არაფერი. წვეიღეთ სასადილოთ.

(მიდიან „ფოფოლია“ თავს მოიბრუნებს და ქილორდავას თვალს ჩაუკრავს)

ქილორდ.

(გაშტერებულია ცოტა ხანს. შემდეგ მოსხლტება ადგილიდან და კიბეზე დაეშება).

ფ ა რ დ ა .

\*) როგორი კარგი ხარ, შემოგეულე!

## მოქმედება მისამე.

იგივე სანახაობა. დაღამებულია და შორიდან გორაკებზე გაშენებულ სოფლის სანთლები მოსჩანს. შორიდან არეული სიმღერა და ღრიანცელი მოისმის. აივანზე ბნელა.

## ა

ფაცია და ადიკო. (ციბეზე ამოდიან).

ფაცია. კარგია-მეთქი, ნუ სულელობთ!..

ადიკო. ვსულელობ კი არა, აბა, რა მოგეწონათ იმ ნემენცის?

ფაც. ვინ მოგახსენათ, რომ მომეწონა?

ად. როგორ არა, ჩემის ყურით გავიგონე, რომ სიყვარული გამოგიცხადათ და თქვენც უარი არ განგიცხადებიათ.

ფაც. იფ, მშვენიერი ხელობა კი დაგიწყვიათ—ჯაშუშობა!

ად. ეგ სულ ერთია!.. ეხლა საქმე მაგაში არ არის!.. უმთავრესი ის არის, რომ მაინც მოგხიბლათ ბრკვიალა ჩინებმა და ღეზების რაწკი-რუწკმა...

ფაც. კარგი, ვთქვათ: ეგრეც არის... მერე, თქვენ რა?..

ად. მე ის, რომ რას გამოვლით ამ ვილაც გადამთიელისაგან?.. თქვენ აკი ამბობდით—ჩემი პრინციპი კანონიერი ჯვარის წერა არისო.

ფაც. მერე? რა იცით, რომ, თუ მოვისურვებ, ჩემზე ჯვარსაც არ დაიწერს?

ად. (გადიხარხარებს)

ვინა? გრენგოლმი? ნეტავი ეგეთი გულ-უბრკვილო არ იყოს. როგორ არ იცით, რომ ის გამოცდილი დონეუანია და ისიც მხოლოდ იმას გამოვლის თქვენგან, რასაც მე.

ფაც. უზრდელი!

ად. ეგ შაბლონური სიტყვაა... მე მხოლოდ ეს მაკვირვებს ჩვენი ქალებისა: თუ ერთი ვინმე უცხო გამოჩნდა, ბოქაული იყოს თუნდა სტრატეიკი, ხელათ მინებდებიან. და ჩვენ კი... ოო, უსათუოდ ჯვარის წერა, ქორწინება და ამისთანები...

ფაც. მაგ სიტყვებს ჩემზე გავლენა არა აქვს...

ად. ეჰ, როგორ არ ვიცი... ჩემი საქმე მაშინ წახდა, როდესაც სიტყვებზე მივარდა საქმე... მაგრამ, აი, მოვიდა გამოცდილი კაცი და უკვე მოქმედებაც დაიწყო...

ფაც. უჰ, რა გულ-ღვარძლიანი ყოფილხარ... ჩემ საქმესაც მომაცდინეთ: აქ გამომგზავნეს, რომ ახალი სუფრა გავშალო და...

ად. სად? აქ, აივანზე?

ფაც.

(აჯავრებს)

ლიახ. აქ, აივანზე და... სულ ქიქინაზე რომ გასკდეთ, მაინც მაზრის უფროსს მოეუჯდები და ვეარშიყები.

(გადის)

ად.

(მიაყოლებს)

ია და ვარდი... მე „ატსტავკაში“ ვარ.

(გაიარ-გამოიარს. უსტვენს)

## ბ

(კიბეზე ამოდის „ფოფოლია“. სახე აღანძული აქვს, თმები მიშლილ-მოშლილი. დადლილა. ნელა შემოდის, თითქო მოიპარება. მოდის და ტახტზე მძიმეთ დაეშვება).

ად. ეს ვინ ბრძანდება? სიბნელეში კარგათ ვერ ვარჩევ.

„ფოფ.“ უჰ, გაგისკტა მიწა, რა შემაშინე!

ად. აა, ფოფოლია ბრძანდები? სად დაგვეკარგეთ ამ შუა სადილზე?..

ფოფ. რალაც თავი ამტკივდა, შენ ნუ მომიკტე.

ადიკო. თავი? მეც მომწყინდა სადილზე და წელან თხილნარისაკენ გამოვიარე.

ფოფ.

(შევზინდება, შიშის კილოთი)

უი, გაგისკტა მიწა.

ადიკო. თქვენ რა, მერე? თხილნარში კარგი სასეირნოა. მერე თხილიც მომწიფებულა.

ფოფ. დაგწყევლოს ღმერთმა, რას ლაპარაკობ?

## ბ

ქილორდავა.

(შემოდის მოდლილი და ზურგით მიყრდნობა აივნის ხარისას).

ადიკო. რას ვლაპარაკობ?.. არაფერს. „აი, მიზეზი, სულა ჩემო...“

(მიუთითებს ქილორდავაზე)

აი, მიზეზი“...

**დ**

(შემოდის ბიკი. შედგება შუა მაგიდაზე და მის ზემოთ ჩამოკიდებულ ფანრის ლამპარს აანთებს. სცენა განათდება. გადის ისევ ბრუნდება და სუფრას აწყობს).

(სინათლეზე შეამჩნევს ქილორდავას და შეკრთება)

ფოფ.

უი!

ადიკო. რა მოგივიდათ, ნიფადორა?

ქილორ.

(სინათლეზე გასწორდება და შორიდან ფოფოდის ალტკინებით შესცქერის. ულვაშს იგრებს, ქშინავს).

ფოფ.

(წამოდგება)

რას იკბინება ეს წყეული კოლო.

ადიკო. კოლო კი იყო?... ჩვენ სოფელში კოლო არ იცის,

ხოკო იქნებოდა, შავი, ულვაშებიანი ხოკო.

ფოფ. რას ლაპარაკობს... გაგისკტა მიწა!

(ერთს სიყვარულით გაახედავს ქილორდავას და გადის).

ადიკო.

(გაივლის ქილორდავასკენ)

არა, ისევ ქალაქში უნდა წავიდე, თორემ აქ...

ქილორ.

(ღრეკით)

ქალაქში მიბრძანდები, პატონი?

ადიკო.

(ჩააჩერდება.)

აჰ, დიად, ქალაქში.

**ე**

(შინა ოთახებიდან გამოდის კნ. ჩიტუნია, მოკანცული სახე აძევს. აივნისკენ გაივლის)

კნ. ჩიტუნია. თქვენა ხართ, ადიკო?

ადიკო. გახლავართ, კნენინა... რა ამბავი, სადილზე მიგვატოვეთ?

კნ. ჩიტუნია. საშინელი თავი ამტკივდა, ყმაწვილო...

ადიკო. (განზე)

რა ამბავია, დღეს ყველას თავი სტკივა?

კნ. ჩიტ. (მოდის, ტახტზე ჩამოჯდება)

მოდით აქ, ადიკო... ხომ ნებას მომცემთ ასე დაგიძახოთ?

ადიკო. (მიუახლოვდება)

რასაკვირველია, კნენა...

კნ. ჩიტ. რა ვიცი, ეხლა დავაჟაკადით, დიდი ხანია არ მი-  
ნახავხართ... მოდით აქ, ჩამოჯექით, მიამბეთ თქვენი ამბავი..

ადიკო (ახლო მიუჯდება)

კნ. ჩიტ. А, на самом деле, Вы интересный молодой человек...

ადიკო. ძლივს... მადლობა ღმერთს! ამ სოფელში ერთი  
ქალისაგან მაინც გავიგონე ხეირიანი სიტყვა.

კნ. ჩიტ. როგორ? არავენ არ განებივრებთ?.. Недвиный  
мальчик!

ადიკო. Только не жалейте, княгиня...

კნ. ჩიტ. არა, ვიცი... მარჯვე ბიჭი ხართ... გამაგონეს.  
ჩვენ კნიაჟნას ეარშიყებით ძალზე. რა? თუ გინდათ, მე გავი-  
რიგებთ საქმეს..

ად. არა, კნენა, ცოლათ არ მინდა.

კნ. ჩიტ. Ах, вы... ერთი ამას დამიხედეთ. ახალი მოდის  
კაცი! რა? თქვენც ხომ ფურტურისტი არა ხართ?

(გარედან სიმღერა და ხმები: „ახალი სუფ-  
რა, ახალი სუფრა!“)

Ах, надоели...

(სიმღერა ახლოვდება. კნენა მიიხედავს  
აიენისკენ, შეაჩერდება ქილორდავას. ნე-  
ლი ღიმილით)

რას ატუზულა ეს სტრაჟნიკი?

ად. Этот стражник, княгиня, молодой...

კნ. ჩიტ. (გაკვირვებული)

Как так?!

(სიცილი)

### 3

(შემოდინ მახრის უფროსი და კოწია გა-  
დახვეულნი. ორივე შეხარბოშებულა,  
უფრო კოწია. ცოტა ხნის შემდეგ, შემოე-  
ლენ სტუმრები, მომღერლები, ბოქაული).

მალხაზი და პაპუნა.

მავ. უფ. აი ჩვენც, მოვედით, дорогой князь.

კოწ. შენი კირიმე, შენი. დიდებული ყაძახი ხარ, დიდებული.

(შემოვლენ სტუმრები სიმღერით, მაგრამ ისე კი, რომ სიმღერა მოლაპარაკეთ არ უნდა უშლიდეს).

კნ. ჩიტ.

(წამოდგება. ადიკოს)

ეხლა კი ამათ გავეცალოთ, თორემ.

მავ. უფ.

(დინახავს კნ. ჩიტუნის, მიდის მასთან).

Ах, очаровательная княгиня.

ად.

(ჩამოშორდება კნინას და სტუმრებისკენ გადადის)

(ბიქს შემოაქვს ლენო და სანოვაგე, შემდეგ გადის)

მალხ.

(ასხამს ლენოს. სტუმრები მაგიდასთან გროვდებიან. ზოგი ჯდება, ზოგი ზეზეურათ ილუკება, ან სვამს. სიმღერა სწყდება).

მავ უფ. რაზე გავიწყვრით? სადილზე მიგვატოვეთ.

კნ. ჩიტ. თქვენ აღარ გემადლიერებით, ეღუარდ ერაზმოვიჩ.

მავ. უფ. რატომ? რა დავაშავე?

კნ. ჩიტ. როგორ თუ, რა დააშავეთ!? რა იყო, რომ ფაციას გადაეკიდეთ?

მავ. უფ. Я, княгиня... Я, княгиня... Нет, это один восторг... Вы ревнуете, икვიანობთ?

კნ. ჩიტ. შენმა მზემ... Много чести...

მავ. უფ. მაშ რა, კნინა?

კნ. ჩიტ. რა და, იცით, ნებას არ მოგცემთ, რომ კნიაუნას არშიყობა დაუწყოთ. რა თქვენი საქმეა! ქალიშვილი ქალია, გალთხოვარი...

მავ. უფ. Но я, княгиня...

კოწ.

(მაგიდასთან თავის ჯგუფს)

შენი კირიმე. რა ქვია, კაცო?

ბოქ. ეღუარდ ერაზმოვიჩ...

მავ. უფ. Сейчас, сейчас.

კნ. ჩიტ. თქვენ კი ცოლიანი ხართ, გამოქნილი დონ-ეუანი.

მაზ. უფ. რას მიბრძანებთ, კნენა? მე ხომ ქვრივი ვარ.

კნ. ჩიტ. როგორ, მართლა!?

(განციფრებული)

მაზ, თქვენ სერიოზულათ გინდათ?..

მაზ. უფ. სრულიად სერიოზულათ, კნენა...

კნ. ჩიტ. გინდათ ფაცია შეერთოთ?

მაზ. უფ. გაძლევთ პატიოსან სიტყვას...

კნ. ჩიტ. აჰ, უკაცრავათ! მომიტოვეთ, მომიტოვეთ, გეთაყვა...  
თუ ესეა, ღმერთო!.. Какой вы славный!

მაზ. უფ. Вашу ручку, княгиня.

(აკონის ხელზე).

კნ. ჩიტ. მაზ, გახსოვდეთ თქვენი სიტყვა.

მაზ. უფ. აუცილებლათ, კნენა...

კოწ. და სხვები. ედუარდ ერაზმოვიჩი...

მაზ. უფ. ეხლავ, ეხლავ!.. კნიაგინია, წავიდეთ!

კნ. ჩიტ. კარგი! ეხლა აღარ გიწყურებით...

(ხელ-გაყრილი გაჰყვება მაგიდისაკენ).

კოწ. ეს, ვინც მოვიდა გაუმარჯოს!.. აბა, ყმაწვილებო,  
> ღმერთმა გვიცოცხლოს ჩვენი კნენა ჩიტუნისას თავი... ეგ არის ჩვენი კირისუფალი, ჩვენი გაიკითხავი, ჩვენი სოფლის დედოფალი... ალაფერდი: ყმაწვილებო, ღმერთმა ნუ მომიშალოს, ბიძიკო, შენი თავი...

(ხელზე აკოცებს).

კნ. ჩიტ. გმადლობთ, ბიძია.

(მრავალ-ჟამიერ)

მაზ. უფ. უჰ, მართლა! სად არის ჩემი კნიაზი გორგასლანიანი.

ბოქ. ქილორდავა! Позвать сюда Горгасланиани!..

ქილორდ. სიჩას!

(გაუარდება)

კნ. ჩიტ.

(მაზრის უფროს)

რათ გინდათ?

მაზ. უფ. უნდა ვაქიდავო...

კნ. ჩიტ. კარია ერთი, რას ამბიშუნებთ.

მაზ. უფ. О, уверяю, один восторг. ისეთი ფრანგულს  
ქილაობა იცის!.. Настоящий...

კნ. ჩიტ. კარგი ერთი...

მაზ. უფ. მაგრამ აქ სხვა ვინმემ იცის ფრანგული ქილაობა?..

აა, მართლა, უთუოდ. თქვენ...

(ადიკოს)

молодой человек...

ად. ქილაობა კი არა... მოიტათ, ლეინო მინდა დავლიო...

კნ. ჩიტ. ოპო...

მალხაზ. რათ გინდა, გენაცვალე... აკი არა სვამ...:

ად. არა, ეხლა უნდა დავლიო... გულზე ბოლმა მომაწვა...  
მოიტათ!...

(უსხამენ)

ც

გორგასლანიანი, ქილორდავა.

გორგას. (გამოეკიმება მაზრის უფროსს).

ჰე ჰე-ჰე! რას მიბრძანებთ, ვაშე ვისოკობლაგოროდიე?

მაზ. უფ. აბა, (французскую борщю... ხელათ...

გორგას. Слушаюсь... მაგრამ! ვის ვეკიდო, ვაშე ვისოკო-  
ბლაგოროდიე...

მალხაზ. აგერ მყავს შენტეის. ბიძია, აგერ...

გორგას. ჰე-ჰე-ჰე! მობრძანდი.

მაზ. უფ. Ну, живо!

კოწ. (მაზრის უფროსს)

დიდებულის ყაძახი ხარ, დედებულის...

(მოკიდავეები მოემზადებიან და იწყებენ ქილაობას. მაზრის უფროსი შუთაფერ შენიშვნებს აძლევს და თან ზოგჯერ წამოიძახებს:

ჰოპ-ჰოპ!

საერთო ღრიანცელი მაყურებლებისა. ბოლოს გორგასლანიანი წააქცევს მოწინააღმდეგეს. საერთო მოწონების ხმა. \*)

მაზ. უფრ. ბრავო, ბრავო!

(ამოიღებს ჯიბიდან ფულს,)

აი, ესეც შენ 1წ მან.

\*) ეს სცენა შეიძლება შეიცვალოს ჩაჩნურ ცეკვით, ან ტანგოთი, ან ისეთ რაიმე განსხვავებულ №-ის აღსრულებით, რაც კი მოუხდება და მოუხერხდება გორგასლანიანის როლის აღსრულებელს.

გორგას.

(გშინავს, გამოართმევს)

ჰე-ჰე-ჰე! რად სტარატსა, ვაშე ვისოკობლაგორროდიე!

კოწ. ფუი, შეარცხვინა ღმერთმა შენი კნიაზობა...

მაზ. უფრ. А, что?

## თ

ფაც.

(თეფშით ცხელ-ცხელ ხაქაპურები მოაქვს).

ესეც ჩვენებური, ცხელ-ცხელი ხაქაპურები.

ყველანი, გარდა ადიკოსი: ააა!

მაზ. უფრ. Чудвая княжна. один восторг, ей Богу!

ფაც. Я сама испекла.

მაზ. უფრ. Самя? Один восторг.

კნ. ჩიტ. ბატონებო, მაშ, ვაღლეგრძელოთ ჩვენი კნიაჟნა.

მაზ. უფრ. Ох, с удовольствием...

ყველანი. გაუმარჯოს, გაუმარჯოს.

(სიმღერა)

ად.

(უეტრად ზეზე წამოდგება)

ბატონებო!

ხმები. ჩუ, ჩუმაღ...

ად. ბატონებო... აი, ჩვენ აქ ვზივართ, ვქეიფობთ... და ვინ იცის რა სისაძაგლეს არ ჩავდივარ...

(უხერხული სიჩუმე)

კოწ.

(წამოვარდება)

იმე, რას ამბობს ე, მღვდელი!

ად. მე კი შევცქერი ამ სიბნელეში ჩვენს ციხე-ბურჯს და ვინ იცის, რა აზრი არ მიტრიალებს თავში...

მაზ. უფრ.

(მოიღუშება)

ბოქ. Пожалуйста, ციხე-ბურჯზე ნუ ილაპარაკებთ..

ხმები. რატომ? რატომ? თქვი, თქვი გენაცვალე...

ად. მე, განა, ისეთს რას ვამბობ...

მაზ. უფრ. Ничего, говорите, дунте...

(კნ. ჩიტუნიას)

ეხლა ისეთ გუნებაზე ვარ, რომ რაც უნდა, ის ილაპარაკონ...

ად. გავცქერი-მეთქი ციხე-ბურჯს და ვფიქრობ: ერთ ღროს

იქ იყო სიცოცხლე, იყო თავისებური სიხარული, სიყვარული, ტანჯვაც, მწუხარებაც და დღეს კი ყოველივე ჩამქრალა. აღარაინ არ ეკარება. რომელიმე ჩიტი თუ გადაფრინდება მის თავზე, ხოლო ღამით კი ღამურები და ქოტები ბუდობენ... და, ვინ იცის აქაც, აი, სადაც ეხლა ჩვენა ვსხედვართ, ელრიალებთ და ვხრიალებთ, ერთ დროს სულ სხვა ადამიანები იყვნენ... და სულ სხვა გვარ ზრახვიდნენ, ფიქრობდნენ. იყვნენ გოლიათები სულით, სხეულით. ჯან-სალი გონებით და მოქმედებით... ჩვენ კი? აი, ბატონიშვილი გორგასლანიანი...

(პაუზა)

15 მანათს ღებულობს კიდაობაში...

(დაჯდა)

გორგას. ჰე-ჰე-ჰე!

(ობლათ გაისმის მისი სიცილი. მძიმე პაუზა.)

კოწ. მერე?

მაზ. უფრ.

(დაცინვის კილოთი)

გაუმარჯოს საკარტველოს!

(იქა-აქ თავ-შეკავებული სიცილი)

კოწ. დიდებული ყაზახი ხარ, დიდებული.

ფაც.

(წამოდგება და შუა ალაგას გაჩერდება).

კოწ. გენაცვალე, შვილო, აბა, ერთი ლექსი... აი, ის ახალი

ლექსი რომ იცი...

მაზ. უფრ. განა, იცის კოთხვა?

კნ. ჩიტ. ო, ჩინებულათ...

მაზ. უფრ. О, тогда прошам, просим..

სხვები. გთხოვთ, გთხოვთ!

ქილორდ.

(გადის)

ფაც.

(თავს უკან გადაიკვდებს ამაყათ და ზეპირათ წარმოსთქვამს სანდრო შანშიაშვილის ლექსს)

ბატონიშვილს გული უწუხს,  
მარტო ველარ სძლებს!  
უგვირგვინოდ ბაღში დადის,  
რჩეულს სევდა ძლევის.  
სდუმს ხუმარაც, აღარ ამბობს  
იგავ-არაკებს...

თავს ყორანი დასტრიალებს,  
 შავი, შავად ჰყეფს!  
 ბატონიშვილს გული უწუხს,  
 მარტო ველარ სძლებს;  
 ავად არის დედოფალი,  
 ფერ მიხდილი წევს,  
 ჰგრძნობს, საყვარელს დაშორდება,  
 ჩუმად კრემლი სჩქეფს.  
 და თან ესმის: შორს ყორანი  
 თვალ-ბედითი ჰყეფს!  
 ბატონიშვილს გული უწუხს,  
 მარტო ველარ სძლებს!  
 სეფე-ქალნი ქვითინებენ,  
 ტირილი აქვთ რძლებს!  
 გლოვის ზარი ჩამორეკეს,  
 თალხს აცმევენ ღერბს.  
 ბატონიშვილს აღარ სძინავს,  
 გულ-ხელ დაიკრეფს...  
 ყორანი კვლავ დაყიალებს  
 და ყარყუმს ჰყეფს.“

ყველანი. ეაშა, ბრავო, ბრავო!

კნ. ჩიტ. Что интересно...

კოწ.

(ყმაწვილებს)

აბა, რას მოგიწყენიათ?.. ერთი სიმღერა: თინას ვენაცვალე-  
ბიო...

(გაიმღერებს. სხვები მღერიან)

მაზ. უფრ.

(გადაინაცვლებს ტახტისაკენ)

ენიაენა, მოდით აქ, ჩემთან.

ფაც. რა გნებაეთ?

მაზ. უფრ. გადმოჯექით აქა...

(ჩამოსხდებიან ერთად)

კნ. ჩიტ.

(წამოდგება, გადადის ადიკოსკენ)

ადიკო! რა არის, ლეინოში იხრჩვებით...

(შემღერებით)

არ გეკადრება, არ დაგშვენდება...

ადიკო. ეჰ, კნენინა ჩიტუნია... Чувствую, что падаю...

კნ. ჩიტ. Подаете? (გაუცინებს)

მაშ, მოიტათ თქვენი ხელი...

(სიმღერა შეწყდება)

ადიკო.

(გაუღიმებს., მისცემს ხელს, წამოადგება და ორივენი აიენის ხარობისაკენ მიდიან)

კოწია.

(გორგასლანიანს)

რას მელაპარაკები, ბიძია, აბა, არ გინახავს შენ...

(ამოიღებს ჯიბიდან)

ა, აგერ ეს ბარიტია, ეს ოხრაა, ეს—გიშეჩი და ეს-ვერცხლი... გორგას. ჰე-ჰე-ჰე!..

(განაგრძობენ ჩუმ ლაპარაკს)

ფაც.

(მაზრის უფროსს)

არა. მე ვერაფერს გადაწყვეტილს ვერ გეტყვით. ყოველივე ეს ისე უცებ მოხდა... მერე კიდევ თქვენ სულ სხვა კაცი, სულ სხვა ნაციის. მე კი სოფლის ერთი უბრალო, ქართველი კნიაენა...

მაზ. უფ. Вот, вот.. ეხლა კი მართლა ქართულადა მსჯელობთ... რა ვუყოთ, რომ მე უცხო ნაციისა ვარ! მე რომ მკითხოთ, თქვენ, ქართველები სწორედ ეგრე უნდა მოიქცეთ... თქვენი ქალები სულ უცხოელებზე უნდა გაათხოვოთ... თუ გინდათ, რომ სისხლი განაახლოთ... აბა, რას წარმოადგენთ ეხლა?... დაჩიავებული, დაგლახაკებული... აქა-იქ თუ გამოეარდებთ თქვენისთანა კეკლუცი, თორემ, აბა, სადღა არიან ოდესმე განთქმული грузинския красавицы?.. ეს რატომ მოხდა?.. იმიტომ რომ, მუდამ მონები იყავით ქართველები და ერთხელაც არა ცდილხართ ამ მონობისაგან რიგიანათ თავი დაგებწიათ... მონას კი ან რა კვება ექნება, ან რა ჯიშის შექმნა შეუძლიან! Где ваша породистость!? თქვენა გგონიათ, მე არ ვიცი თქვენი ისტორია? ერთი ბატონიდან მეორე ბატონის ხელში გადადიოდა... ყველა თქვენ გირტყამდათ: ერთი მხრით სპარსეთი, მეორე მხრით ოსმალეთი, ძველი ბიზანტია, მთიელები, ჩეჩნები, ლეკები, ოსები. ყველა თავში გიფაჩუნებდათ, ვისაც კი არ ეზარებოდა. თქვენ კი ამბობთ—კულტურული ხალხი ვიყავითო. რის კულტურა? რა კულტურა? რა გაგაჩნდათ, რა გქონდათ?..

ჩვენ, რუსებმა მოგანიკეთ ყოველივე. ეხლა, ეხლა მაინც უნდა მოეგოთ გონს... ეხლა ჩვენ უნდა შეგვიერთდეთ სულით, სისხლით, სხეულით... უწინარეს ყთელისა თქვენ, ქალები, უნდა გახდეთ гражданки великой русской Империи და მაშინ... შეიძლება თქვენი საქმეც გამოკეთდეს...

უაღ.

(დიდათ სწყინს მახრის უფროსის სიტყვები, შეურაცხობასა გრძნობს, მღელვარებს, მაგრამ, პაუზის შემდეგ, უპირად ხელს გაუწვდის)

ედუარდ ერაზმოვიჩი... აი ჩემი ხელი...

მაზ. უფ. Вот, вот... ესე არა სჯობია?..

(ხელს მოჰკიდებს)

Мое счастье! Краля моя?..

(მოისმის ლილინი: „შეთვისებას გაიბრებს გაიძვერა მოყვარე!“)

ეხლავ გამოუცხადებ ყველას ჩემს ბედნიერებას... Господа!

0

(ქილორდავა შემობრბის. ხელში დაბეჭდილი კონვერტი უჭირავს).

ქილორდ.

(გამოეჭიმება მაზ. უფროსს)

ვაშე ვისოკობლაგოროდიე!

(აწუდის ქალაღს).

მაზ. უფ.

(გაკვირვებული)

В чем дело?

(ყველანი წამოიშლებიან. წუთი მოლოდინისა).

ქილორდ. ნაროჩნი პრიეხალ, ბატონო, პრედპისანიე... есть.

მაზ. უფ.

(უკვე გახსნა. სერიოზული სახე მიიღო, თითქო სულ გამოფხიზლდა)

Даа!..

კნ. ჩიტ.

(პაუზის შემდეგ)

რა იყო, ედუარდ ერაზმოვიჩი?

მაზ. უფ.

(ოფიციალი კილოთი)

Меня в другой уезд переводят, княгиня!! Губернатор немедленно требует меня.

კოწ. } უჰ!  
მალხ. }

სხვებიც.

(გაკვირვებულნი დგანან)

ქნ. ჩიტ. Как? ასე მალე?. ჯერ თითქმის ხეირიანად არც კი ჩამოსულხართ. თქვენი მაზრა არც კი გაგიცვნიათ.

მაზ. უფ. Да, служба, княгиня.

კოწ. შენ არ მომიკვდე! შენ თავს ვინ წაგვართმევს.

(ჩიტუნიას)

ქნეინა, ბეჩა.

მაზ. უფ.

(გაიცინებს)

ნუ! რაც არის ის არის!

(ქილორდავას)

Нус, оседлать лошадей. Живо, Горгаславняни.

(გორგასლანიანი გარბის)

ქილორდ. ლომ. გატოვო, ვაშე ვისოკობლაგოროდიე.

მაზ. უფ. Господин пристав!..

(რალაცას ელაპარაკება)

ფაცია.

(ჩიტუნიას. ხვეწნის კილოთი, ეხვევა)

ჩიტუნია!..

ქნ. ჩიტ. Ничего, ничего... მე ყველაფერი ვიცი. ნუ გეშინია. ხელიდან ვეღარ გამისხლტება. მეც წავალ. შენც ჩემთან უნდა წამოხვიდე. ჩემს სახლში წავეყვან.

მალხ.

(მაზ. უფროსს)

აბა, ამალამ სად წაბრძანდებით!.

მაზ. უფ. არა, მამასახლისო... Долг службы прежде всего...

მალხ. როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო!

ქნ. ჩიტ. ეღუარდ ერაზმრეიჩ, ჩვენც მოვდივართ... კნიაენა ფაციაც...

მაზ. უფ. Ах, да... კნიაენა ფაცია...

ქნ. ჩიტ. ეხლავე, ეხლავე მზათ ვიქნებით. ჩემი ცხენებიც მზათ გეყავს, წამოდი ფაცია.

(გადიან ორივენი)

მალხ.

(გადასძახებს)

ბიკო, ზურიკო!.. მალე ჩემი ცხენი შეეკაზმე, ნაჩალნიკს უნდა ვეახლო...

მაზ. უფ.

(მიდის მაგიდასთან, აიღებს ჭიქას)

ბატონებო, სულთ და გულთ ვწუხებარ, რომ სამსახურის.

მოვალეობის გამო იძულებული ვარ დავეტოვო ეს მშვენიერი კუთხე... პირველი ჩემი სამაზრო გამომგზავრება ამ სოფელში მოხდა... თითქმის რამოდენიმე საათია, რაც თქვენ შორის ვიმყოფები, მაგრამ სულით და გულით შეგითვისდით, დიდათ მომეწონეთ... რაინდი ხალხი ყოფილხართ... სტუმრის დიდი პატივის ცემა გცოდნიათ... მშვენიერი მრავალ-ჟამიერი, ქალების სილამაზეზე ხომ ლაპარაკიც მეტია... დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ სადაც არ უნდა ვიქმნე... მესსომებით!.. (დალევს).

ყველანი. ურბა!

(მრავალ-ჟამიერ)

ია

კეკელა და აგრაფენა.

კეკელა. ღმერთო მომკალი, მიბრძანდებით?

მაზ. უფ. დიან, ბატონო... სამსახური მთხოვს...

იბ

კნ ჩიტუნი და ფაცია. (სამგზავროთ მორთულები)

კნ. ჩიტ. აი; ჩვენც მზათა ვართ, მხოლოდ ედუარდ ერახ-მოვიჩ...

მაზ. უფ. (მიდის მასთან)

Что прикажете, княгиня?..

კნ. ჩიტ. (ანიშნებს ფაციაზე)

თქვენი სიტყვა უნდა შეასრულოთ...

მაზ. უფ. კნიაგინია! მე სიტყვის კაცი ვარ და ეხლავ დავამტკიცებ ამას...

(მიდის ფაციასთან, მის ხელს აიღებს)

Господа!.. ვაცხადებ საყოველთაოდ... კნიაზ, კოწია!... მე თქვენ ქალს ვირთავ. .

(მოულოდნელობის გამო ყველა გაშტერდება და სხვადასხვა პოზას მიიღებს. პაუზა).

კოწ.

(შეხედავს მაზრის უფროსს, არაფერი გაეგება, შემდეგ მალხაზას).

რა თქვა, ბიძია?

კნ. ჩიტ. როგორ, ვერ გაიგე? შენს ფაციას ცოლად ირთავს...

კოწ. კაი, შენი ჰირიმე, ნუ მეხუმრები!..

მაზ. უფ. (მიდის კოწიასთან)

Входите серьезно, князь...

კოწ. (დაიბნა)

იმე!.. ჩემი ცოლი სად არის?.. ჩემი ცოლი სად არის...

კეკ. თუ მართლა აგრეა... მოგვილოცავს, გენაცვალე ფაცია.  
(მიდის და ჰკოცნის)

ხმები მოგვილოცავს, ბატონო, მოგვილოცავს, ვაშე ვისო-  
კობლაგოროდიე...

ბოქ. (გამოეკიშება მაზრ. უფრ).

От души поздравляю, Ваше Высокоблагородие!

(ფაციათან მიდის, ხელზე ჰკოცნის).

კნიაჟნა, მერწმუნეთ, რომ დიდათ მიხარია.

კნ. ჩიტ. (მიდის მაზრის უფროსთან. კეკლუცათ)

ეხლა კი აღარაფერზე არ გემდურით და **ВХОДИТЕ ВАМИ ДО-  
ВОЛЬНА...**

(განაგრძობს მასთან ლაპარაკს).

აგრაფ.

(ჩუმად მიდის და ფაციას აკოცებს)

ადიკო.

(ისევ ზარბოზად არის. მიდის ფაციასთან,  
ხელს დაუკერს)

განცვიფრებული ვარ და გაყერყეჩებული... ძალიან პრაქტი-  
კული ჰკუა გამოიჩინეთ.

ფაც. მაშ, რა სჯობია?.. აქ ველოდო მოგზაურ, ზღაპრულ  
პრინცებს?.. თქვენ კი... ხომ გითხარით, ჩემი რომანის გმირი  
არ იყავით.

ადიკო. თქვენი პრინცი მოვიდა კიდევ...

ფაც. ჰო... რაზე დავმალო... ვიცი, რომ ცხოვრებაში ერთ-  
გვარი ძალა მეც მექნება...

კოწ.

(უკვე ეხვევა მაზრის უფროსს)

დიდებული ყაზახი ხარ, დიდებული...

(მიდის ფაციასთან თითქმის ტირილით)

შვილო, ფაცია,

(მოეხვევა)

შენ გენაცვალოს მამა შენი კოწია... ეს რა ბედნიერება  
მომანიქე, შვილო... ჩემ თავს არ ვუჯერი... სად არი ახლა  
საწყალი დედა შენი?..

**ფაც.** რა ვქნა, მამა?.. უცხო კაცია... გადამთიელი, მაგრამ გვეყოფა ამდენი გაკირვება...

**კოწ.** რას ამბობ, შვილო, ხელმწიფის ტოლი კაცია. ამის-თანა ბედნიერებას ვინ ღირსა...

(მოდის მახრ. უფროსთან)

ვენაცვალე მე ამას... აა, სიძე, სიძე!..

**მაზ.** უუ.

(უღიმის. მხარზე ხელს დაკრავს)

მაგრამ ამ სოფლის თვალი კი წაგართვით...

**მალხ.** იცოცხლე, ბატონო, იცოცხლე... გემოვნება კი გქონია... აგაშენოს ღმერთმა...

**ქნ. ჩიტ.** Ну, значит так... ყველანი მივდივართ ჩემსა... ედუარდ ერახმოვიჩი დავითანხმე... ამაღამ ნიშნობასაც გადავიხდით და... ხვალ უთენია ჩვენი სიძე წავა თავის საქმეზე... ერთი კვირის შემდეგ, მე და ფაციაც თავის ღედ-მამით ჩავალთ გუბერნიის ქალაქში და ქორწილსაც გადავიხდით... ეხლა კი, კოწია, გასწი ჩქარა შენი ჯორით, წამოიყვანე შენი ცნეინა და მოდი ჩემსა...

**კოწ.** ახლავე, შენ ვენაცვალოს ჩემი თავი...

(დაფაცურდება)

ა? სიძე, სიძე...

(მოეხვევა)

აღარ გეთხოვები... მშვიდობით, ფაცია... სად არის ეხლა საწყალი ჩემი ცოლი?..

(უცბად)

ჩემი ჯორი სად არის?.. სად არის ჩემი ჯორი?..

(ეხვევა)

ღმერთო, არ ვიცი, რა ვთქვა...

(მობრუნდება)

სიძე, სიძე!

(გაღებევა. შემდეგ ჩაირბენს კიბეზე მოისმის კიდეე მისი ხმა)

სად არის ჩემი ჯორი?..

**მალხ.**

(მაზრის უფროსს)

ბატონო, მარტო თავად კოწიას ოჯახი კი არ გააბედნიერე, მთელი ეს კუთხე გააბედნიერე... მთელი ჩვენი სოფელი გააბედნიერე. თქვენისთანა კაცის სიძობა, ბატონო, ხუმრობა კი

არ არის, გვირგვინია, ბატონო, მთელი მხარის... და საცა  
უნდა ბრძანდებოდეთ, ჩვენც იმედი გვაქს, რომ არ დაგვი-  
ვიწყებთ და გეხსომებით... მაშ, გაცოცხლოს, ბატონო, კიდევ  
ერთხელ ღმერთმა...

ყველანი. ურაა!

(სვამს. სიმღერა)

(სვამენ)

## იზ

გორგასლანიანი.

(შემობრბის. მაზრის უფროს გამოუკიბება)

ლოშადი პოდანი, ვაშე ვისოკობლაგოროდიე, ჰე-ჰე-ჰე!

მაზ. უფ. მაშ, ეხლა კი შშვიდობით, ბატონებო... ან-და,  
უკეთესი იქნება ვთქვა... პალე ნახვამდის, რადგან იმედი მაქვს..  
(ჩაიცინებს)

როგორც თქვენი სიძე, ბატონებო, კვლავ გეწვევით.

ყველანი. იცოცხლე, იცოცხლე, ბატონო.

მაზ. უფ. ეხლა-კი, ერთხელ კიდევ გადაეცით მთელს სო-  
ფელს ჩემი გულითადი მადლობა და ის, რომ...

(უჩერდა, ფიქრობს რა თქვას)

მუდამ მეხსომებით. ნახვამდის, ბატონებო!

(პირველად კველას ჩამოართმევს ხელს.  
შემდეგ აგრაფენას. ბოლოსთვალით ეძებს,  
ვის გამოეთხოვოს და შეჩერდება ადიკოზე)

სხვა კი ყველა, მგონი, ჩვენთან მოდის... Ах, Вы в самом  
деле, молодой патриот...

(ხელი უნდა ჩამოართვას).

ადიკო. არა, ეგ молодой патриот-იც თქვენთან წამოვა.  
თქვენ ზეიმს მეც მინდა დავესწრო...

მაზ. უფ. Очень рад, очень рад... Ну, княжна, მიბო-  
ძეთ თქვენი ხელი და ნება დამართეთ, რომ ცხენზე მე თვი-  
თონ შეგსვათ...

ფაც. სიამოვნებით... ნახვამდის, ბატონებო!

(გადიან ხელ-გაყრილნი. თან მიჰყვებიან  
სტუმრები და „სტრაჟნიკები“).

ხმები. გაგაბედნიეროს ღმერთმა, გაგაბედნიეროს...

ბოქ. Княгиня!..

(უნდა ხელი გაუყაროს)

კნ. ჩიტ.

(ახედ-დახედავს)

აბა, ნახვამდის, კველა..

ბოქ.

(დარცხენილი გადის)

კნ. ჩიტ. აგრაფენა... შენ არ გინდა—არ გინდა წამოსვლა?

აგრაფ. უკაცრავათ, კნენა... ვერა ვარ მთლად კარგათ...

მალხ. აბა, ბატონებო, ერთი მგზავრული, მგზავრული...

მეფე დედოფალი სიმღერით გავაცილოთ.

(სიმღერა. ყველა გაღაგდება. სცენაზე მხოლოდ აგრაფენა რჩება, რომელიც სანთელს და ლამპას ჩააქრობს, შემდეგ ხარხას გადაეყრდნობა და წამსვლელებს გასცქერის. სცენა ბნელდება. მოისმის სიცილ-ხარხარი. მათრახის ტკაცუნი. ცხენის ფეხის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ, კიბეზე ნელ-ნელა ამოილაჩუნდება კეკელა. ვამოივლის აივანზე. შეამჩნევს აგრაფენას, მიუბრუნდება).

## იღ

კეკ. რა იყო, აგრაფენა, შეილო... როგორ გამხდარხარ...? წამოდი, დაწეკი, შეილო... არაქათი აღარ მაქვს...

აგრაფ.

(თითქოს თავისთვის)

ყველანი წავიდნენ... ჰაი-ჰუი და ყოველივე ისე დარჩა, როგორც იყო. ციხე-ბურჯი ისევ უპატრონოთ წამოტოვებულია. ეკლესრა გუმბათ-გადამტვრეული, სასწავლებელი—კარ-გამოკეტილი, ბალი—გავერანებული, ბოგირი—ჩაცვივნილი... გზებიც ისევ გაფუჭებული...

(თავს ჩაჰკიდებს. ცრემლები ერევა)

კეკ. რა იყო? რა მოგვსვლია?

აგრ.


(ჩუმად არის)

კეკ.

(მოდის მასთან)

ღმერთო მომკალი! ცრემლები! რა გატირებს, შეილო?

აგრ. არაფერი დედა... სიცალიერესა ვგრძნობ.



ისტორიული ოცნება  
წარმოსადგენი  
სამ სანახავად.

**მ რ კ მ ე ლ ნ ი :**

თამარი.—მეფე სრულიად საქართველოსი.

ხვაშაქი ცოქალი | დიდებულნი მანდილოსანნი.  
კრავაა ჯაყელი |

მეუღლე სარგის თმოგველისა.

გამრეკელი-თორელი, ამირ-სპასალარი.

ქიაბერი, მანდატურთ-უხუცესი.

სარგის ვარდანის ძე, თმოგველი, მეფის მდივანი.

ზაქარია მხარგრძელი, ნაცვალი ამირ-სპასალარისა.

ივანე მხარგრძელი, ნაცვალი მსახურთ-უხუცესისა.

აღლუზ, ყივჩაყთა უფროსი.

გუზანის ვაჟი, ახალგაზდა დიდებულთაგანი.

არჯევანი, არხის ზედამდგომელი.

მუტაფრაძინ, უცხოელი უფლის წული.

ბერდია, მკედელი.

გულსუნდა, ამისი ქალი.

ვარამი

გოგილო | სოფლის ახალგაზდანი.

სოსე

ხელის-უფალი.

გლახაკთა ზედამდგომელი.

დილ-ვარდისა, თამარის შიმუნვარი.

1 და 2 გლეხი.

სირინოზ, თამარის ნახევარ-და.

პირიმზისა, თამარის გამდელი (უსიტყვოთ)

დიდებულნი, ხელის-უფალნი, სეფე-ქალები, შიმუნვარნი,  
მუტრიბნი, მომღერალნი, მოცეკვავენი, მულანს მცხოვრები  
გლეხები — ქალი და ვაჟი, ბავშვები, მეფის ამაღა.

## სანახავი პირველი

მკედელ ბერდიას სამყოფელი. ქვის შენობა, შიგნიდან შელესილი. პირდაპირ სარკმლები აქვს იმ სიდიდე, რომ თითოეულში ადამიანის თავი შემოეტევა. სარკმლებიდან მოსჩანს გაშლილი ველი და შორს ლურჯად მთები. შუაზე დედაბოძია მოჩუქურთმებული და ეს ბოძი ორად ჰყოფს სამყოფელს. ერთ მხარეზე გრძელი ტახტი, ზანდუკი, თარო და სხვა საოჯახო მოწყობილობა, სამფეხა დაბალი სკამები და ტაბაკი. იმავე მხარეზეა საფეიქრო დაზგა. დაწყებულია ლამაზი, უცხო ყვავილიანი ხალიჩა. ზედ კი ხაში აქვს გადაფარებული, ასე რომ ჭნაქსოვი არ მოსჩანს. მეორე მხარეზე ქვრაა საბერველით, მის წინ კი გრდემლი; ამავე მხარეზე ყოველივე სხვა სამკედურის მოწყობილობა. ქვრას ზევიდან ჩამოხურული საკვამლური აქვს. კარები ორი, მარჯვნივ და მარცხნივ, განისა. მარჯვენა გადის ეზოში, იქიდან შემოდინ სამკედურში,--მარცხენა კი--უკანა საკუქნაო და სამზადის-დერეფანში, საშინაო შემოსასვლელ-გასასვლელია. დილაა, თენდება.

ა

ბერდია და გოგილო

უროებით დგანან გრდემლთან და გავარჯარებულ რკინას სკევენ.

ბერდია. იქედება, იქედება!

წალდი, ცული, თოხი, ბარი.  
ჩვენის ხელით აქ მზადდება,  
თუ დაგვკვირდა, ბასრი ხმალიც  
ამ გრდემლზედა იქედება...

—  
დაუბერავეს საბერველი,  
გამოაწრთობს ცხელი ქურა...  
დაგვიძველდა გრდემლი, მაგრამ  
სოფელს ბევრი ემსახურა.

—  
ოპოპოპო!.. იქედება, იქედება!.. აბა, ერთი კარგა მოუქნიე! ნუ გშურს მკლავი... შენხელა რომ ვიყავ, სახლიკაცო, დღეში ათ თოხს გამოვქედდი და ხუთ ბარს... ჩემისთანა სწრაფი მქედელი ძვირად თუ მოიპოვებოდა... და ჩემი ნაკედი თოხი ოთხ-ხუთ წელიწადს სძლებდა... ეს და ქვეყანა მეხვეოდა... საიდან არ მოდიოდნენ!.. ხორნაბუჯის ქალაქი ხომ სულ ჩემით სცხოვრობდა. ერთხელ ჯვარიც გამოვქედე, მაგარი რკინისა... აი, ეხლა ხორნაბუჯის სიონის გუმბათზეა მოთავსებული...

გოგილო. მერე, ისე რომ ბრკყვინავეს? რკინისა არის?

ბერდია. ეჰ, შე-სულელო! მერე ოქროს-მქანდაკებელმა გარედან ოქროთი მოსქედა... იმისთანა ჯვარი იშვიათია, ჩემო კარგო! მაღალია, საროს ტანი აქვს, შტოები ყვავილებათ აქვს გაშლილი... მშვენებაა მთელი ხორნაბუჯისა.

გოგილო. ძიავე, იცი? ხორნაბუჯს სტუმრები სწვევია... აი, წუხელის ჩემი ბიძაშვილი შაქრო ჩამოვიდა ქალაქიდან და ამბობს, სასახლის კაცები ბლომათ ირეოდნენ ქალაქშიო...

**ბერდია.** ეეჰ, რა გიკვირს! რაც ამ ჩვენი არხის გაყვანა-დაიწყეს, მილეთის ხალხი ირევა ხორნაბუჯში...

(თანდათან თენდება. სარკმელში სინათლე შემუაშუქებს და გარედან შემოსულ ხმებს ეტყობა, რომ სოფელი იღვიძებს).

**გოგილო.** ამბობენ, არჯევანს გაუთავებია კიდეც არხის გაყვანა და ამ ცოტა ხანში აკურთხებენ კიდეცაო...

**ბერდია.** ჰო-და, იმისთვის იქმნებიან კიდეც ჩამოსულნი...

- **გოგილო.** იცი, ძია? შეაქრომ ამბავი ჩამოიტანა: თვითონ პირიმზეც მობრძანდებოა.

**ბერდია.** ოო, იმას კი ვენაცვალე! ველირსებით კიდეც მის პირის ქერეტას.

**გოგილო.**

(მუშაობას შეაჩერებს)

ძია, მართლა ეგეთი ანგელოსია, როგორსაც ამბობენ?..

**ბერდია.** ოო, დიდი ღვთისნიერი ვინმეა, შეილო!.. დიდი აღამიანია!..

**გოგილო.** გინახავს?

**ბერდია.** ჰმ... როგორ არ მენახება!.. პირველად რომ აქ ჩამობრძანდა და მულანის ახალშენი ინახულა, მაშინ გადასწყვიტა არხის გაყვანა... დაგვხედა, რომ ამდენი ხალხი უწყლოობით ვიხრჩვებოდით... ბუნება კი მდიდარი იყო, ბრძანა: „ამ ხალხს წყალი ექმნესო“... ჩვენ, მცხოვრებლები კი დაგვარიგა: „თქვენ აღმოსავლეთით საქართველოს საფარი უნდა იყოთ. ბატონი არავინ გეყოლებათ და ყოველივე, რაც საქიროა—იარალი, სურსათიც კი სამეფო სალაროდან მოგეცემათ... აი ისე, როგორც ხევსურები არიან მთეულეთშიო“...

**გოგილო.** ეგ ხომ რამდენჯერ გითქვამს, ძია...

(იწყებს ისევ მუშაობას)

მაშ, მეც ვნახავ ახლა... მაგრამ მე ბედ-შავს, აბა, ვინ მიმიშეებს იმასთან?..

**ბერდია.** რათ იტყვი, შეილო, მაგას!.. თუ კი რამე საქმე გექმნება, პირდაპირ შეგიძლიან მიხვიდე. კიდეც ეგ არის მისი სიკეთე, რომ ყველას თანაზიარია... ამიტომაც, წელიწადი არ გავა, რომ მთელი საქართველო არ შემოიაროს, ყველგან დადის, ყველას გაქირვებას პირისპირ იგებს. აგერ, ახლა აქაც

უნებებია ჩამობრძანება. ოო, დიდი ამბავი იქმნება არხის კურთხევაზე...

**გოგილო.** ძია, ზოგს რომ არ მოსწონს ეს არხის გაყვანა?

**ბერდია.** ვის არ მოსწონს?

**გოგილო.** აი, პაპა თორღვაე გაიძახის: სიკეთეს არ მოგვიტანსო.

**ბერდია.** ბევრი იცის პაპა შენმა?.. იმას ხმალი მიეცი, ცხენზე შესვი და ლაშქრად გაუშვი: ათ ურჯულოს თავს მოჰკვეთავს; ეგ არის მისი საქმე.

**გოგილო.** მერე, კოდენა: არხი საშუალო ადგილს არ არის გაყვანილიო, ჩვენს უბანს სულ ჩამოაშორესო. ხალხი მოიქანცა არხზე მუშაობითაო, აგერ ერთ წელიწადზე მეტია, დღეში ათასი კაცი მუშაობს და დასწყდნენ, მოიქანცნენ... კაობიანი ადგილია: ზოგს ციება დააწყებინა, ზოგს ხურვება შეეყარა... გასწყდა ხალხიო...

**ბერდია.** არ მიყვარს წარა-მარა ლაპარაკი!..

**გოგილო.** აი, ვარამიცი გაიძახოდა, ცუდათ არის არხი გაყვანილიო...

**ბერდია.** იი, შენდა შენი ვარამი... ეგდოს თავისთვინა.

**გოგილო.** რა ვიცი, ე ქვეყნები კი მოუვლია-და!..

**ბერდია.** მოუვლია, თორემ, შე ვიცი, სოლომონ ბრძენი გამხდარა... მოუსვენარი კაცია! მამა მისიცი ეგრე არ იყო საწყალი... დაუეჩნია კი — ერიო, ხალხიო... მაინც, რაც ეგ ჩამოვიდა, ჩვენს სოფელში სუყველა დანადგლიანდა, ცხვირ-პირი ჩამოსტირით... ყველას რალაც ვარამი გაუჩნდა... აი, კირი და ვარამი მაგის კარსა.

**გოგილო.** შენ როგორღაც ძალიან თვალში ამოიღე; ძია!..

**ბერდია.** არა, შვილო, არა! მაგისთანებს არაფერი დაეჯერებათ... მაგისთანები-შფოთი ხალხია... ბევრი გაჩენილა წინათაც ეგეთი მოუსვენარები, მაგრამ, რა გაუტანიათ?.. თვითაც დაღუპულან და, ვინც აჰყვა, ისინიც ჩაულუპნიათ... ჩვენ ყველამ ჩვენი საქმე უნდა ვიცოდეთ... ბევენახემ—ვენახი გააშენოს, მწყესმა—ფარას მოუაროს... მე და შენ — აი, თოხსა და ბარსა ვკედთ... ვკედოთ! სახელმწიფო საქმეებს ჩვენი პირიმზე ჩვენზე უკეთ გამოსჭედავს...

(ამ დროს გარედან მოისმის ხმაურობა და შორიდან სიმღერა, რომელიც თანდათან ახლოვდება და შემდეგ ისევ მირინდდება. სარკმლიდან მოსჩანს, რომ რამოდენიმე გლეხი გამოივლის).

## ბ

## შემოდინან გლეხები.

**გლეხები.** აბა, დილის კარგი გამარჯვება ბერდიას...

**ბერდია.** გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ...

**გლეხი.** აი, ბერდიავე, აგერ სამი თოხი მოგიტანე და გამომობიპირე, შენს დახანებასა...

(აძლევს)

**ბერდია.** ოო, ჩემს თედოს ღვთისა და მეფის წყალობა... საით გასწიეთ?

**1 გლეხი.** აი, გამოვყე ყმაწვილებს... ყანებს გადავხედავ... ე ჩვენი ახალი არხიც უნდა დავათვალიერო. სათავეზე მივდივარ... ღარეშაპი და ოწინარები მინდა ვნახო. ამბობენ ძალიან გააკეთა არჯევანმაო... თუმცა ვარამი კი ირწმუნება, თურმე, ხეები დამპალია და არაფრად ვარგაო!

**2 გლეხი.** ეე, დამპალია კი არა!.. კაცო, ჩვენ არა ვმუშაობდით? პეტრია ღურგალმა არ ჩამონაკეთა ხეები?.. რკინის სალტეები, კიდეა, ბერდიას არ გადაუკედინეთ?..

**ბერდია.** კაცო, რაც თამარ მეფეს საუკეთესო ხუროთ-მოდღერები ჰყავდა, სულ აქ ჩამორეკა... ზედამდგომელი კიდეე, არჯევანი ცუდი მკოდნეა თავის საქმისა?!.. რას ამბობთ, რას?..

**1 გლეხი.** თვითონ არხი კი, მართალი გითხრა, ძალიან ამოყვანილია, შიგ სულ ღუღაბით არის ამოღესილი...

**2 გლეხი.** კაცო, ამდენი მიღეთის ხალხი ზედ გადაუკედით, კარგი გაკეთებული იქნება მა რა!..

**1 გლეხი.** იცი, ბერდია, ვარამი მეფესთან მიდის საჩივლე-ლაღო...

**ბერდია.** რაო, ვითომ რა მინდაო?

**2 გლეხი.** რა ვიცი!.. უთუოდ არჯევანს თუ ჩიასმენს...

**ბერდია.** ეჰ, მეტიჩარა კაცისა არა ვარგა-რა... ვინ დაავალა?.. ღედის წინ მხტომ კვიცსაო მგელი შესქამსო.

1 გლეხი. მაგას ნუ იტყვი, ბერდია! ვინ დააწავლა? ბევრი შომხრე ჰყავს...

ბერდია. ვინ არის მისი მომხრე?

2 გლეხი. აი, სოფლის ახალგაზდობა...

1 გლეხი. თორღვაჲც უქერს მხარსა.

ბერდია. ბევრი იცის იმან... რას ამბობ, კაცო! სამი დღის საეაღზე წყალი გვაქვს მოსატანი... სახლში მისხლობით ეხარჯავთ... წყალი ჩვენთვის ოქროზე უფრო ძვირფასია და ეხლა ეს წყალი ზედ ეზოზე ჩამოგვირბენს... ამას, აბა, რა სჯობია... შერე კიდევ, მეფე არ დაგვიპირდა: ოლონდ ეს არხი გამაყვანინეთ და გაძლევთ სიტყვას. რომ უბატონო სოფლად დარჩებით; იარაღსა, ფულსა და სურსათსაც მე გამოგიგზავნითო. ამაზე მეტი ბედნიერება რაღა გვინდა?

1 გლეხი. რა სათქმელია... დიდებული და ბრძენი მეფე ჩვენთვის ცუდს რას ისურვებს!..

2 გლეხი. მე კი მეშინიან, სოფელი არ აგვიმტუტოს იმ ვარამმა...

ბერდია. აგვიმტუტებს და...

ბ

(გულსუნ და გამოიხედავს საკუქნაოდან)

გულსუნდა. მამი, ერთი აქ მობრძანდი!

ბერდია. აი, მოვდივარ, შვილო...

(უროს ჩამოსდებს, თოხის პირს მავით გადაადებს და გადის).

გოგოლო.

(მავით რაღაც რკინას აიღებს, ქურაზე შეადებს და საბერველით ბერვას იწყებს. ქურაზე ცეცხლი ღვივდება)

2 გლეხი. სუ კი ეს ამბები აი, მაგ წიკწიკასათვის ხდება...

1 გლეხი. ვინ წიკწიკაა?..

2 გლეხი. აი, ბერდიას ქალი, გულსუნდა.

1 გლეხი. ჰო-და, რაო?

2 გლეხი. მოხდენილი გოგოა და ვარამს მოსწონს...

1 გლეხი. შერე, რა ვუყოთ, რომ მოსწონს?

2 გლეხი. არჯევიანიც ეტრფიალება, თურმე...

1 გლახი. ეჰე...

2 გლახი. ჰო-და, ვარამსა და არჯევანს ამიტომაც ერთი მეორე თვალში არ მოსდით...

1 გლახი. ეჰ, აბა, არჯევანი რა მაგის ტოლია?.. ხელმწიფის კარზე კაცია, დიდებულებში ურევია...

2 გლახი. რო ურევია, მერე რა?.. არ იცი? ისიც ჩვენსავით გლახია, მხოლოდ პირადი, ღირსებით დაწინაურდა... რა უშავს! ისე ლამაზათ წაიყვანს გულსუნდასა, რო...

გოგილო.

(რაც ძალი და ღონე აქვს მოიქნევს მათსა და იატაკზე დაანარცხებს).

გლახები.

(მოიხედავენ)

ამ ბიქს რა მოუვიდა?.. რა იყო?

გოგილო.

(შემწრფალი)

არათფერი, მაშა გამიცხელდა და ხელი დამწვა...

(სიჩუმე)

1 გლახი. არა, შვილო, ბერდიაც კი დამნაშავეა...

2 გლახი. რათა?

1 გლახი. მის ალაგას, მე ამდენს არ დავაყოვნებდი!.. ქალი მოიჩიტება თუ არა, უნდა გაათხოვო.

2 გლახი. მე და ჩემმა ღმერთმა... აი, ჩემი დაჲ... ცამეტი წლისა იყო, რო ქმარს მივეცი...

1 გლახი. ეგრეც უნდა... აი, ბერდიას ალაგას, ავიყვანდი ერთ ასეთ ბიქსა

(გოგილოზე აჩვენებს)

და ერთ კარგ ქორწილსაც გადაეუხდელი... მართლა, ბიქო, ე! ეგეც ხო მკედელია...

2 გლახი. ჰოო, რა გგონია!

1 გლახი. მოდი, უთხრათ ბერდიას... აა, გოგილო, ბიქო... აი, თუ შენც გულში გიზის...

(მოდის მასთან მხარზე ხელს ადებს).

გოგილო.

(ბუზღუნით)

თავი დამანებეთა...

(უმატებს საბერველის ბერვას, ცეცხლს გრიალი გააქვს).

დ

ბერდია. გულსუნდა.

ბერდია.

(გულსუნდას)

ეგრე, შეილო! ეხლა კი შენს საქსოვს მოუჯექი...

1 გლეხი. გამარჯვება, გოგონასა!.. რასა იქ, მამის ნუგეშო?..

ბერდია. რას იზამს... ვენაცვალე მე მაგასა... მთელი დღე ციბრუტივითა ტრიალებს... მაგის ხელი არ გაჩერდება... რაც ცხონებული ჯაჯალა გადამელო... მაგით ვცხოვრობ, ხომ იცი...

გულსუნდა.

(საქსოვთან მიდის, ხაზს მოხსნის და საქსოვს მართავს).

ბერდია. მერე, რა ჯეჯიმების ქსოვა ისწავლა... ამ ჟამად ხალიჩას ქსოვს... ეხლა კიდევ ქათიბის გამოქრა, ოქრომკედით ქარგვა?.. ამას წინათ არჯევენს ისეთი სამოგვე შეუკერა, რო...

1 გლეხი. ბედნიერი ხარ, ბერდია, მაგრამ ეხლა ის-ლა გაქლია—გაათხოვო...

ბერდია. გავათხოვო?..

(მიდის, ეხვევა ქალს)

ჩემი ცელქი გოგონა?.. მენანება, განა!.. არა, ჯერ ამის საქმროს ხეირიანად ისარიც არ უსვრია...

2 გლეხი. ვინ იცის, ბერდია... მივიხედ-მოვიხედოთ, დაეტრიალდეთ... არც ეგრე იქნება-და...

ბერდია.

(თავს გაიქნევს)

1 გლეხი. ეჰ, ჩვენ ძალიან შეერჩით ლაპარაკსა... აბა, ყმალო<sup>\*)</sup>, დავიძრათ. ბერდია, შენ იცი, აბა, როგორც მალე დამიმზადებ ემ თოხებს...

ბერდია. არხეინად იყავ... დაიცა! კაცო, მოდი ერთი თაფლის წყალი დაგალევინოთ... რანგი არ გინდათ, ა? კარგი, მაგარი რანგი?

1 გლეხი. როგორ, სკებიცა გყავს?...

ბერდია. უმმ. შენ როგორ ეხუმრები ჩემს გულსუნდას? აბა, გოგონა, ერთი შენ მოგვიტა.

გულსუნდა.

(გადის)

1 გლეხი. რანგი თუ მაგარია, დაგვათრობს...

ბერდია. ჰო, წრეულს ძალიან მაგარი დადგა.

\*) ყმაწვილო.

**2 გლეხი.** იელის თაფლი არ იყოს, თორემ მოგვეწამლავს...  
ბერდია. ნუ გეშინიანთ, არას აგიტეხავთ, არა.

## 2

(გულსუნდა ხელდოკით და ხის კათხით.  
დაუსხამს გლეხებს).

**1 გლეხი.**

(დალევს)

იიფ! კარგი ყოფილა!

**2 გლეხი.**

(დალევის შემდეგ)

აგაშენოს ღმერთმა.

**1 გლეხი.**

(შინაურებს)

იცოცხლეთ, იცოცხლეთ.

(გლეხები გადიან)

**ბერდია.** აბა, ეხლა ჩვენც მოგვიტანე ხინკალი... თუ ღროით  
არ დაენაყრდით, დღეს ბევრი სამუშაო გვაქვს.

**გულსუნდა.**

(გადის)

**ბერდია.**

(გოგილოს)

რა ჰქენი? ქურაზე დაუდე?

**გოგილო.** ჰო.

**ბერდია.** რა იყო, ბიკო? რას დაგიღრეჯია? ხომ არაფერი  
გავიგია?

**გოგილო.** აბა, რა უნდა გამეგო?

(ქურასთან ფათურობს)

## 3

(გულსუნდას გამოაქვს ჯამით ხინკა-  
ლი, პური და მწვანილი. დედაბოძთან  
სდგამს ტაბლას და სამფეხავებს).

**ბერდია.** მაშ, რა მოგსვლია?.. ეე, გოგილო! ვინმე კუდრა-  
კამ ხომ არ დაუკაკუნა შენ გულის კარებს?

**გოგილო.**

(ჩუმად არის)

**ბერდია.** რას გამიჩუმდი?

**გულსუნდა.**

(ჩუმად იცინის)

**ბერდია.** შენ რალა გაცინებს, შე-ეშმაკის ფეხო, შენა?..

(ჯამში პურს ჩაჭყრის, ილუკმება. გოგი-  
ლოს)

ჰო, კარგი, მოდი ეხლა, დანაყრდი...

**გოგილო.** (ზოზინით მიდის ტაბლასთან)

**ბერდია.** შენა, გულსუნდა, არ მოგვიჯდები?

**გულსუნდა.** არა, მამი, გაიხელი კიდეც.

**ბერდია.** (მოიყუდებს კათხით რანგს)

ეჰ, დაილოცა ამის მომგონი, მაგრამ ი ღვინოს მაინც არა შეედრება-რა...

(გოგილოს)

შენ ჰერეთში ყოფილხარ? აი, კახეთში, ვეჟინის ციხესთან?..

**გოგილო.** არა, არ მივლია...

**ბერდია.** აი, აბა იქ იცი, იმ კუთხეში ღვინო... ერთი, ამ შემოდგომაზე უნდა წავიდე როგორმე...

ზ

**გარედან ხმა.** ეი, ბერდიაუ! ერთი აქ გამაიხადე...

**ბერდია.** (დგება. უღვაშებს იწმენდს, ილუკმება)

ვინ უნდა იყოს? მახატელა ოსის ხმასა ჰგავს...

**გულსუნდა.** (სარკმელში იხედება)

ოჰო, რამდენი ჯორები მოურეკიათ...

(ხმა გარედან)

**ბერდიაუ!**

**ბერდია.** (მიმავალი)

აი, მოვდივარ, მოვდივარ... ეგ ეხლა მთელ ჯოგს მოასხამდა, მთელი დღე მოეუნდები

(გადის)

**გულსუნდა.** (ააღაგებს სუფრას, გააქვს. ბრუნდება და მიუჯდება საქსოვს, ისე რომ საქსოვ ძაფებ-შუა მისი სახე გამოსჩანს)

**გარედან.** (მოისმის მისალმების ხმა)

**ბერდიას ხმა.** („მახატელას ვახლავარ!..“)

**უცხო ხმა.** („გამარჯვება, ბერდია. აბა! ერთი ეს ჯორები უნდა დამიკედო...“)

ც

**ბერდია.** (შემოდის, აიღებს მთელს აცმას ნალები-სას, ლურსმებს, ჩაქუჩს, ჩლიქების სათალ დანას და მიმავალი)

აბა, მე ჯორების კედვას შეუღლები და შენ კი მანამ ესენი

გამოაწვრთე... თუ ერთ წალღის პირს გასქედავ კიდევ-მაგას რალა აჯობებს...

გოგილო. არხეინად იყავ, ძია.

ბერდია. (გადის)

გოგილო. (ქურაზე ისევ ცეცხლს აღვივებს, გაფანტულ მასალებს აგროვებს და სხვ.)

გულსუნდა. (შუბლ-ქვეშ გახედავს გოგილოს და ჩაიციინებს)

გოგილო. (გაიგონებს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს)

გულსუნდა. (კიდევ ჩაიციინებს)

გოგილო. (მობრუნდება, შეხედავს)

რა იყო, გო? რა დაგემართა?

გულსუნდა. შენი საქციელი მაციინებს.

გოგილო. მერე, სასაცილო რა ნახე?

გულსუნდა. ბატივით რომ ხარ გაფუყული.

გოგილო. რას დაიციინები?

გულსუნდა. მა რა მოგსელია ვაჟაკს?... იი, წირპლიანი...

გოგილო. შენ ეი!..

გულსუნდა. მა რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?... ბებია ხომ არ მოგკვდომია?...

გოგილო. არავინ არ მომკვდომია და... ვინც მოკვდება მე ვიცი...

გულსუნდა. (განგებ, ვითომ შემოწუნებული)

ბეჩა, რას იმუქრები?

გოგილო. ვიმუქრები!—მაშ, რათ ეკურკურები არჯევანს?..

გულსუნდა (საქსოვს მიატოვებს, კობთაობით)

ვისა?

გოგილო. ვისა და არჯევანს...

გულსუნდა. მერე, შენი რა საქმეა?

გოგილო. ჩემი რა საქმეა?!. რა ვიცი, სალექსოთ კი გახადე შენი თავი და...

გულსუნდა (წამოხტება)

სალექსოდ?... მერე-და, ვინა ლექსაობს?

გოგილო. აი, სოფელი...

**გულსუნდა.** ჰო-და, ვინაც კარგია, იმაზე ლექსაობენ კი-  
ლეცა...

(უეცრად გოგილოს გარშემო „ეკიკოს“ ჩამოუელის).

**დილილ-მე, დილილ-მე!..**

(შემდეგ უეცრადვე შეჩერდება და გოგი-  
ლოს თვალეში ჩააშტერდება).

**მერე-და, შენ ვილა ხარ?..**

**გოგილო**

(გაშტერებულია გულსუნდას საქციელით  
და კითხვაზე უნებურათ უპასუხებს)

**გოგილო!**

**გულსუნდა.**

(გულით გადიხარხარებს)

**ჰა, ჰა, ჰა!**

(აჯვარებს)

„გოგილო!..“ ეგ ხომ მეც ვიცი... მაგრამ შენ ვილა ხარ?  
ჩემი რა გესაქმება?..

**გოგილო.**

(დარცხვენლია, არ იცის რა უპასუხოს)

**მეე?.. რა ვიცი... აი, ბერდია სახლიკაცს მეძახის...**

**გულსუნდა.** იიჰ! გამაცდინე..

(მიუჯდება საქნარს)

**მაინც, მითხარი, რა ლექსი გამოუთქვამთ?**

(გარედან მოისმის მათრახის ტყაცანი და  
ხმა თითქო ვილამაც სამჭედურის კარებ-  
ზე ცხენი მოაგდოვო.

**ხმა გარედან.**

„გამარჯვება, ბერდია!“

**ბერდიას ხმა.**

„ო, არჯევანს ვახლანართ!“

**გოგილო.** აი, მოვიდა გრეხია...

## თ

**არჯევანი.**

(შემოდის,—მოხდენილი ეაყაცია,—მზია-  
რულად)

გამარჯვება, გოგილო!—ერთი ცხენს მიხედე, გეთაყვა, გაა-  
ტარ-გამოატარე!—სულ ოფლში სტურაიეს... აქამდე სუ ქენე-  
პით მომყავდა...

**გოგილო.** სამუშაო რომ მაქვს?.. ბერდიას ეწყინება.

**არჯევანი.** არა, არ გასწყურება ბერდია. სამუშაოზე კი მეც  
დაგეხმაოები...

**გოგილო.** შენ კი არა!

არჯევანი. რა გგონია? არ ვიცი მუშაობა, თუ?—მე არ მეთაკილება... ჰო, გასწი, გენაცვა, გასწი!

გოგილო.

(ზოზონით და ბუზუნით გადის)

არჯევანი. სხვა? წიკწიკა რაღასა იქს!.. ოო, ისეც თავის ხალიჩას ჩასჯდომია... შენი შეკერილი სამოგვე კი ძალიან კარგი გამომადლა... აი, დღეს ჩავიცვი განგებ, რომ მეჩვენებინა...

(ფეხს ასწევს და მოსირმულ წულა-მესტზე მიუთითებს. უახლოვდება საქსოვს).

ეს კი რაღაა?.. ეს რა გამოგიყვანია?..

გულსუნდა.

(თითქო დარცხვენილი მუშაობს, წულა-მესტს ერთი თვალთ გადახედა. ეხლა თავ-აულებლივ უპასუხებს)

ყვავილია!

არჯევანი. რა ყვავილია?.. ამისთანა რომ არ მინახავს... შენ გამოიგონე?

გულსუნდა.

(შეხედავს და თანხმობით თავს დაუქნევს)

არჯევანი. მერე, რათ გინდა? გაჰყიდი?

გულსუნდა. აჰ!

არჯევანი. მაშა?

გულსუნდა.

(ყოყმანით)

მე მინდა... ამბობენ თამარი მობრძანდებაო და, ფეხ-ქვეშ გავეუშლი.

არჯევანი. აი, ყოჩაღ.. მერე, მოასწრობ კი?

გულსუნდა. მართლა! როდის არის არხის კურთხევა დაინიშნული?.. თამარი მობრძანდება?

არჯევანი. მალე... ნამდვილათ მობრძანდება.

გულსუნდა. ცოტა-და მაკლია... დღე და ღამეს გავაწყალებ და მოვასწრობ...

არჯევანი. მერე, კრაქის სინათლეზე ეგ მშვენიერი თვალე-ბი რომ გაგიფუქდება?

გულსუნდა. ნუ მელაპარაკები ეგრე...

არჯევანი. მაშ, როგორ გელაპარაკო?..

გულსუნდა. რა ჩემი სწავლა გინდა...

არჯევანი. მაშ, რაც გულში მაქვს, არ უნდა გითხრა? უნდა.

გეცრუო?.. შენ რომ მოგატყუო, თავს ხომ ვერ მოვიტყუებ...  
რომ გულს უნდინხარ, ეს უნდა დაფარო?

გულსუნდა. (გაეცინება)

იი, „გულს უნდინხარ!“ განა მიტომ მქვია გულსუნდა, რო  
შენისთანებს მოვეწონო?..

არჯევანი. (ხუმრობით)

მაშ „როგორისთანებს“ უნდა მოსწონდე?

გულსუნდა. იშ, რა ვიცი! შენ ჩემი ტოლი არა ხარ...

## ი

### გ ო გ ი ლ ო.

არჯევანი. რა იყო, გოგილო?.. ცხენი რათ დასტოვე?

გოგილო. ბერდია გამიწყრა—სამუშაო რათ მიატოვეო და.  
ცხენი მახატელას მხლებელს გადასცა... ეხლა ის ატარებს...  
(მიდის ქურასთან)

არჯევანი. (გოგილოს)

აბა, ერთი სამუშაო დაამზადე, დაგეხმარები...

(გულსუნდას)

მაშ, თამარს მიაართმევ ამ ხალიჩას?

გულსუნდა. ჰო.

არჯევანი. ფეხ-ქვეშ გაუშლი?

გულსუნდა. გაუშლი.

არჯევანი. ძალიან გინდა მისი ნახვა?

გულსუნდა. განა არ მინახავს-რა?

გოგილო. (თავის ადგილიდან)

აბა, როდის? რათა ცრუობ?... ხორნაბუჯს არ გასცილები--  
ხარ!

გულსუნდა. რათა ვცრუობ?.. აი, პირველად რომ აქ მო-  
ბრძანდა... კარგი ოთხი, ხუთი წელიწადი იქნება მას აქეთ!..

არჯევანი. განა რამდენი წლის იყავ?

გულსუნდა. კარგა მოზრდილი ვიყავ.. ასე ათი, თერთმეტი.  
წლისა.

გოგილო. მერე, მე რატომ არ მახსოვს?

გულსუნდა. შენ, აბა, იქ ვინ მიგიშვებდა?.. უთუოდ ლო-  
რებს მწემსავდი საღმე...

არჯევანი. ჰა, ჰა...

(მოიხსნის ხმალს და მიდის გრდემლთან)

გოგილო. ჰო-და...

(მაშით ჩამოიღებს გავარვარებულ რკინას და უცდის არჯევანს. ეხლა უფრო მზიარულ გუნებაზეა)

არჯევანი.

(მიდის. აიღებს უროს და იწყებენ ქედას. გულსუნდას).

მერე, როგორა ნახე?..

გულსუნდა. ეჰე, ძან სანახავი იყო. სუ რახტით დაკაზმული ცხენები. ქათიბში გამოწყობილი ქალები, ყურთმაჯებ-გაფრიანებული ახოვანი ვაჟკაცები!.. სუ თვალი ამიქრელდა იმით დანახაზე. ბევრნი იყვნენ... მთელი ჩვენი სოფელიც და სუ მთლად, რაც ახლო-მახლო ქვეყნებია, იქ იყო თავ-მოყრილი. ბევრზე ბევრი იქნებოდა. თამარმა იქვე ჩრდილში ჩამოხტომა ინება. ხალიჩა გაუშალეს, სელი დაუდგეს... ღმერთო, რა ლამაზი იყო? გულმა რალაც ნაირად კანკალი დაძიწყო მის შეხედვაზე.

არჯევანი. რაო, შეგეშინდა?

გულსუნდა. არა!.. რა ვიცი?! შემდეგ კი ცეკვა გააჩაღეს... ჩვენი სოფლის გოგო-ბიჭები გამაიყვანეს... ფერხული დაუარეს... ბოლოს მამა ჩემმა წრეში მეც გამაგდო... არ მინდოდა, ვიბუტებოდი... ძალით გამაგდეს! მაშინ კი, არ ვიცი რა მომივიდა!.. თავს უთხარი, „ის მიყურებს-მეთქი“ და სიმზნე მომემეტა... რომ გვათავე, თამარმა მიმიხმო, თავზე ხელი გადამისვა და მაკოცა.

არჯევანი. ოჰო, ძალიან მოგიშინაურობია... მაშ, ეხლა რომ ნახავ, წარდგენა აღარ დაგქირდება...

გულსუნდა.

(ჯერ ვერ გაიგებს, შემდეგ მიხედება)

იიჰ, რას დაიცინები!

არჯევანი.

(შეაჩერებს ქედვას)

გულსუნდა!.. თამარმა რომ გიბრძანოს, წამომყე. მეახელიო. რას უპასუხებ?

გოგილო.

(შეჩერდება და ეტყობა ესეც მოუთმენელად ელის პასუხს)

გულსუნდა. ეეჰ, აბა, მაგას რათ მიბრძანებს?.. რათ უნდისვარ!..

არჯევანი. როგორ, თუ რათ უნდისვარ!?!.. ცოტა ჰყავს შე-

ნისთანები?.. სასახლის კარზე იცხოვრებ... შიმუნვარათ აგი-  
ყვანს...

**გულსუნდა.** (უცბათ იტყვის)

არა, მე მამას ვერ დავტოვებ...

**გოგილო.** (თავისუფლად ამოისუნთქავს)

**არჯევანი.** რათა, შე-ველურო, შენა!... სულ მასთან იქ-  
მნები, ოქროთი და ფარჩეულობით შეიმოსები... ქვეყნებს ნა-  
ხავ... ნამდვილ ცხოვრებას გაიცნობ...

**გულსუნდა.** (მოიბუზება)

არა, მეშინიან!

**არჯევანი.** რისა გეშინიან?.. განა თამარი არ გიყვარს?

**გულსუნდა.** ოჰ, როგორ არ მიყვარს... მიყვარს კი არა,  
თაყვანსა ცემ, როგორც ღმერთს... მაგრამ, განა ღმერთთან  
ვის უნდა ყოფნა?

## ი ა

**ბერდიას ხმა.** გოგილო, გოგილო!

**გოგილო.** რა იყო, ძია?

**ბერდიას ხმა.** ერთი აქ გამომხედე...

**გოგილო.** (რასაც სკედდა, ისევ შეავლებს ქურაზე  
და გადის)

**არჯევანი.** (მოშორდება სამუშაოს, გადაკაპიწებულ  
სახელოებს ისწორებს. გულსუნდას)

რა ბალღი ყოფილხარ!.. თავისი სიკეთე არა გდომებია! მე-  
რე, ძალით რომ წაგიყვანოს?

**გულსუნდა.** (შუბლი შეეკუმხნება)

როგორ, თუ ძალით? ვინ წამიყვანს?.. არა, არა, პირიმზე  
მაგას თავის ღღეში არ ჩაიდენს!

**არჯევანი.** (ამ ლაპარაკის დროს უკვე გულსუნდას  
გვერდითა სდგას, საქსოვთან)

ეს რა არის?

(აიღებს დანას)

ლამაზია!

**გულსუნდა.** (იამება, რომ ლაპარაკის საგანი შეიცვალა)

ოო, ეგ მამი ჩემის გაქედლია...

**არჯევანი.** შენთვის გააკეთა?

გულსუნდა. არა. მეც ეგრე მეგონა და თაროდან ამას წინეთ ჩამოვიღე. კი არ იცის, რომ ენახე. თამარისთვის დაუმზადებია. აი, დახედე! ზედ წარწერა აქვს. ლექსადაც რომ გამოუყვანია!

არჯევანი.

(კითხულობს)

„ფოლადის დანა გავქედე და მოუპირე გვერდია  
თამარის საღლეგრძელოთა... მე ვარ მქედელი ბერდია“.

გულსუნდა. როგორია?

არჯევანი.

(დანას შორს გადასდებს)

არა უშავს-რა, კარგია.

(გვერდით მიუჯდება)

მაგრამ შენ კიდევ უკეთესი ხარ, ჩემო გონების ამრევო...

გულსუნდა.

(განზე გაიწევეს)

კიდევ დაიწყე?

არჯევანი. გულსუნდა, ჩემო ყველა, შემბრალებ...

(ხელსა ხვევს)

გულსუნდა.

(წამოიჭრება)

აი, შე-უხეირო, შენა... არა გრცხვენის? ეყუკაცი არა ხარ?

## იბ

(ვარამი უფერად გამოჩნდება საკუქნაოს კარებიდან).

ვარამი. ეყუკაცობა ზედვე ატყვია, რომ უმწეო ქალს მართლ დაიგულეებს...

გულსუნდა. ვარამი!.. საიდან გაჩნდი?

ვარამი.

(არჯევანს)

მაშ, ეგ არის შენი პატიოსნება?

არჯევანი.

(უკვე წამომდგარია, შეუტევეს ვარამს)

შენ კიდევ ვისი მოსარჩლე ხარ... ჯარა მკითხე მოამბეო...

მბბეგვე და მიაგდეო!“

ვარამი. გასწი აქედამ... მე შენთან სალაყბოთ არა მცალია .. ჯერ შენი არხის საქმე გაასწორე კარგა, აქ რომ გოგოებს მაცდურათ მოვლენიხარ...

არჯევანი. არხის საქმეს შენ არავინა გკითხავს... იმას თავისი გამსწორებელიც მოუღვა და შემმოწმებელიც...

ვარამი. მოუვა და, ენახოთ, რაც მოგივია!

არჯევანი. ეეჰ, ვიცი, შეილო, რა მუცლის გვრემაცა ვაქვს... ერთხელაც გითხარი, მაგრამ იცოდე არ შეგარჩენ ასეთ დაზვერვას...

ვარამი. მწვერაუობას ჩვეული არ გახლავართ... ეს ხელობა ისევ თქვენ სასახლის კაცებში მოიკითხეთ.

არჯევანი. ენა დაიმოკლე მეთქი.

ვარამი. ვის აშინებ, ვისა? შენვე მტყუანი ხარ და შენვე იმუქრები? გასწი აქედამ...

არჯევანი. შენის ბრძანებით ფეხსაც არ მოვიცვლი...

ვარამი. არ მოიცვლი და გიჩვენებ შენ სეირსა...

არჯევანი. ვნახოთ ერთი...

ვარამი.

(ხანჯალზე ხელს გაიკრავს)

უჰ, შენი რჯული!...

გულსუნდა.

(შუაში ჩავარდება და მიაკივლებს)

აჰ! შესდექით!

ვარამი.

(შესდგება).

## იზ

(იმაურობაზე შემოკვირდებიან გოგილო ბერდია, რამოდენიმე გლეხი. კარებში და სარკმლებთან თანდათან ჯგუფდება მათურებლები).

მოსულები. რა იყო? რა ამბავია?

არჯევანი. რალა რა ამბავია! . რა უნდა ამ კაცს ჩემგან?

ვარამი. კარგათ იცის, რაც მინდა...

არჯევანი. ჩამცივებია. არხი ცუდათ გაქვს გაკეთებულიო... რა მაგის საქმეა?

ვარამი. ხალხო! როგორ თუ „რა ჩემი საქმეა...“ ჩვენთვის სასიკეთო საქმეს აკეთებენ და ჩვენ არ უნდა გვექონდეს უფლება რომ ხმა ამოვიღოთ?.. მე ვუმტკიცებდი და ვუმტკიცებ ღარეშაპი და ოწინარები დამპალი ხისაგან აქვს გაკეთებული...

არჯევანი. ნე კიდევ ვაცხადებ, რომ სკრუობ.

ვარამი. რამდენი არ ვეჩიჩინე და არ შეისმინა... იჩქარა, იჩქარა და ვადაძლის რალაც შეხანხლა... ვითომდა მეფის წინაშე თავი გამოეჩინა...

**არჯევანი.** ერთი ამ კაცს დამიხედეთ. თუ ცუდით არის გაკეთებული, ხომ მოვა მეფის მთავარი ხუროთმოძღვარი და ყოველივეს გამოასწორებს. ესე არ არის ხალხო?

**ხმები.** მართალია, შენი კირიმე!

**ბერდია.** მაგას რა ყურს უგდებ, არჯევანო... ეგ. ეგეთი მოუსვენარი კაცია... მაგისი მამაც აგეთი იყო...

**ვარამი.** ეჰ, შე უბედურო, რომ შენი მოვალეობა თვით-არ გესმის...

**ბერდია.** მაშ, შენ გესმის აი...

**გულსუნდა.** მამი!

**ბერდია.** ეხლა მეფესთან გინდა ვაიქცე და ჩაასმინო, არა?

**ვარამი.** შე ჯაშუში არასოდეს არა ვყოფილვარ, მხოლოდ არ მინდა ბრმა ვიყო, როდესაც თვალები მიხელია.

**არჯევანი.**

(ხმალს შემოაჩუქებს)

მაშ, ეგრე!.. მეფესთანაც მამბეზლებ?.. ვნახოთ, ვისი აჯობებს ..

**მარამი.** მე მამბეზლარი არა ვარ...

**ბერდია.**

(არჯევანს)

აქეთ მობრძანდი, ვეთაყვა!.. შენი საქმე შენ უკეთ არ იცი?

**არჯევანი.** ჰო-და, ეგეც ტყუილა ხმებს ნუ ავრცელებს...

(გადის, მას მიჰყვება ბერდია და დანარჩენი შემოსწრებულები. რიებიან: ვარამი, გოგილო, გულსუნდა და ერთი გლეხი)

**ვარამი.** ვნახოთ ვისი გამოდგება ტყუილი!

**დარჩენილი გლეხი.** ეგ არჯევანი მეც როგორღაც არ მომდის თვალში, მაგრამ შენც ნამეტანი ჩაციება იცი... შეიძლება...

**ვარამი.** საქმე აი როგორ არის: მაგან თავისი ხელობა იცის, მაგრამ ჩქარი კაცია. ეგ თავის გოლისთქმას ემორჩილება. მეფის კარზე დაწინაურება უნდა და ამიტომ ამ საქმეშიც იჩქარა. ჯერ ერთი არხი ვერ გაიყვანა საშუალო ალაგას...

**დარჩენილი გლეხი.** ო, მაგაზე დიდათ დრტვინავენ შორუბნელები...

**ვარამი.** ამას გარდა, ღარეშაპი და ოწინარები მართლა სუსტია. თავის დროზე ვამხილე მაგას და არ შეისმინა.

**დარჩენილი.** მერე, სოფელში რო ამბობენ: ეგ ჩვენი საქმე არ არის, ნეფემ იცისო?

**ვარამი.** მაგას საქმეში ჩაუხედავი იტყვის. როგორ არ არის ჩვენი საქმე? ყოველივე ხალხის საქმეა, რადგან ყოველივე, რაც ხალხის ხელით არის გაკეთებული, მასვე უნდა ეკითხებოდეს. ჩვენი ბედის მკედელი თვით ჩვენვე უნდა ვიყოთ.

**გოგილო.** ბერდია კი სულ სხვას გაიძახის.

**ვარამი.** ბერდია სხვა აზრის კაცია. იმან და იმისთანებმა თავისი საქმე სხვებს ჩააბარა—გვიპატრონეო და თვითონ კი დაუღვევრათ ნალებსა სკედავს, თითქო მხოლოდ ნალების კედვა იყოს ჩვენი დანიშნულება.

**დარჩენილი.** რა ვქნა! ე რო კარგათ არ მესმის?.. მა, ე უფროსი ხალხი რათა გვყავს? ისინი არ ატრიალებენ ცხოვრების ჩარხსა?

**ვარამი.** ჰაი, ჰაი, რომ ატრიალებენ და უბედურებაც ეგ არის..

**დარჩენილი.** მაჰ, ვინ უნდა ატრიალოს?..

**ვარამი.** ყველამ... ხალხმა... აი, შენ... მე:..

**დარჩენილი.** ეე, მე კი არა..

**გულსუნდა.**

(უკვე საქსოვს უხის, ჩაიცინებს)

**ვარამი.** ეგრეა. შენ რაც გესმის, ის გეკითხება. აი, ახალგაზდა ხარ, მაგრამ არ იცი შენ მოძმე პეტრიას რა სკირდება?

**დარჩენილი.** ვიცი.

**ვარამი.** პეტრიამ კიდევ სხვისი იცის, იმ სხვამ კიდევ—სხვისი და ამ ნაირათ გამოვა, რომ სოფელს რაც უნდა ის გამოითქმება. სოფლები კიდევ თემის საკიროებას იტყვის, თემი—ხალხისას და შეიქმნება ხალხის ერთი ხმა... ეხლა კი როგორ არი? ხშირად არც თემის იციან რამე, არც სოფლის და დაადგენენ კი, რომ სოფელს ესე უჯობსო. კიდევ კარგია, რომ ამ ჟამად ისეთი დიდებული ადამიანი განაგებს ჩვენი ქვეყნის საქმეს, როგორც თამარ მეფეა... თქმულა: „თვით-მპყრობელობა კარგია, ოდეს ტახტსა ჯდეს ბრძენია.“

**დარჩენილი.** აა? თემი? დიდი რამეა!.. მეც მინახავს... მთე-  
ულეთში მეც მივლია განა!.. დროშებს რო გამოიტანენ და  
ბჭობა რო შეიქმნება... ოო, დიდი რამეა, დიდი!.. მაშ, სხვა  
ქვეყნებშიაც ეგრება?..

**ვარამი.** ბევრი რამ არის კკუის სასწავლი სხვა ქვეყნებში...  
**დარჩენილი.** აი დედასა!

[სიჩუმე]

დღეს საღამოთი ხომ მოხვალ, ვარამ, ნარიმანისას...

**ვარამი.** რა ამბავიაო?

**დარჩენილი.** პატარა თავ-ყრილობა გვაქვს.—დაგვხედე, ი,  
ფადლონიანთ საქმეს ვერ მოვრჩით... არ იქნა არ დაცხრა  
იმათში სისხლის აღება.

**ვარამი.** როგორ? კიდევ მოხდა რამე?

**დარჩენილი.** არა, ახალი კი არა მომხდარა რა, მაგრამ...  
როგორმე ერთი მეორის მოძულე ძმები უნდა შეეარიგოთ...  
შენი სიტყვა დიდათ დაგვიკირდება. მაშ, მოხვალ?

**ვარამი.** ჰო.

**დარჩენილი.** არ დაივიწყო.

(მიდის. გარედან ფანდურის ხმა მოისმის.)

იი, ჩვენი მეფანდურე არ მოსულა!..

(გადის)

**გოგილო.** ეხლა ბერდია აღარ გაუშვებს...

**გულსუნდა.** ეგ რომელია?.. ამირანის ლექსი რომ იცის?

**გოგილო.** ის უნდა იყოს... ძალიან მიყვარს... ერთი წავი-  
დე დაუგდო ყური.

(გადის)

**გულსუნდა.**

(ვარამს)

მაგისტვის ყური დაგიგდია?

**ვარამი.**

(ფიქრშია)

შეიძლება, არ ვიცი, არ მახსოვს...

**გულსუნდა.** რა გულსაკლავი ამბავია... მაშინვე ცრემლი  
წამომივია, ყურს რომ დაუგდებ...

**ვარამი.**

(ნალღლიანათ)

ეგ ხომ ჩვენი ამბავია, გულსუნდა...

**გულსუნდა.** როგორ თუ ჩენი?

**ვარამი.** ჰო, ხალხის. ამირანი—ეს ხომ ხალხია, ძლიერთაგან მიჯაქვეული?.. მამა შენი ყოველ შობა-ლამეს გრდემლზე უროს არ დაარტყამს ხოლმე?

**გულსუნდა.** რათ უნდა დიარტყას?

**ვარამი.** ეგრეა მიღებული. საცა კი მქედელია, შობა ლამეს გრდემლს ურო უნდა დაარტყას, რომ ამირანმა თავი არ აიშვას და ჯაქვი არ გასწყვიტოს. ჰა, ჰა! რა მწარე სიმართლეა! თვით ხალხი იბორკავს თავის თავსა...

**გულსუნდა.** (სიჩუმის შემდეგ, ანაზღათ)

ღმერთო, რა შემეშინდა... არა, იმისი კი არა, რომ შენ და არჯევანი ერთი მეორეს რასმე აუტეხდით... ამის ნებას ვინ მოგცემდათ... მამამ არ გაიგოს მიზეზი-მეთქი... ოო, ძალიან ცუდი იქნებოდა...

**ვარამი.** ჰო, არჯევანმა რაინდობა მოიხმარა.

**გულსუნდა.** არჯევანმა კი არა... შენ, შენ... იმ გაცეცხლებულ გულზე თავი შეიკავე.

**ვარამი.** მაშ, არ მოგწონს არჯევანი?

**გულსუნდა.** (ფიქრობს, შემდეგ გადასწყვეტს)

მომწონდა, სხარტი იყო, კისკასი, მზიარული... დღეს კი რალაც მოუვიდა...

**ვარამი.** უბედური კაცი! ანაზღათ ატეხილი გულის თქმაც ვერ დაუმორჩილებია და. . ხალხის საქმე კი აბარია.

(გარეთ ფანდური შესწყდება)

**გულსუნდა.**

(მიუჯდება სამუშაოს)

ვარამ, ამისნენი ეს ხალხის საქმე... შენ სულ მაგის ფიქრში ხარ...

**ვარამი.**

(გაეცინება, გადაინაცვლებს)

ჰო, ჰო? ეს ძალიან გრძელი ამბავია, გულსუნდა და... მგონი, დაუსრულებელიც... თვითონ შენ უნდა გამოსცადო ბევრი რამ... ბევრიც უნდა ნახო ამ ქვეყნად, გაიგო, შეითვისო და შემდეგ მიხედები.

**გულსუნდა.** მერე-და, გამოცდილებიც რატომ შენი აზრის არ არიან? აი, მამა ჩემი, სხვები?

ვარამი. იმიტომ, რომ არ ესმისთ თავიანთი გაქირვება...

გულსუნდა. გაქირვება?.. ჩვენ გაქირვებულნი ვართ?..

ვარამი.

(თავს ჩაჰკიდებს. არ უპასუხებს).

გულსუნდა. ვარამ, რა გაწუხებს ეგრე მუდამ... რათა ხარ ეგრე ნალვლიანი?..

ვარამი.

(თავს აიღებს, შეხედავს)

ჩემთან სხვებიც ნალვლიანდებიან, არა?.. ვგრძნობ... სოფელი მერიდება... პატრისა მცემს, მაგრამ ჩემი თითქო ეშინიან...

(წამოიჭრება)

მერე რათა, გულსუნდა?.. განა მეც ამ სოფლის შვილი არა ვარ? მათი მოძმე არა ვარ?.. ნუ თუ უცხო ქვეყნებში ყოფნამ ისე შემცვალა, რომ ჩემი აღარა ესმისთ-რა?.. განა მე მათი დაღბინება არ გამახარებს? მათი გაქირვება გულს არ მომიკლავს?.. და აი ეს მწყინს, ეს უფრო მიკლავს გულს, რომ სოფელს თითქო ეშინიან ჩემი... შენც გეშინიან ჩემი, გულსუნდა?

გულსუნდა.

(გულუბრყვილოთ გაიღიმებს)

იი, რისა მეშინიან! რა საშიშარი შენა ხარ...

ვარამი. შიშით მას უნდა ეშინოდეს, ვისაც გულში ღუბჭირი რამ უძევს... მაგრამ მე ესეთი ბედისა ვყოფილვარ... ეხლა მახსენდება: ბავშობაში ტოლებს ჩემი ერიდებოდათ,— კოქობაში სითაღლითეს არავის შევარჩენდი... რომ წამოვიზარდე, მეგობარი არასოდეს არა მყოლია, მაგრამ, ვინც კი ამხანაგათ მეგულებოდა, ისიც მიფრთხოდა... უთუოდ იმიტომ, რომ ტყუილი მუდამ კირივით მეზარებოდა და ამას კი სხვები ვერ ითმენდნენ. ოო, რამდენი რამ გამოვიარე ამის გამო მოგზაურობაში! ჩემმა დაუდრეკელმა ხასიათმა რამდენი უსიამოვნება არ შემამთხვია. ზოგჯერ ბეწვზედაც კი ეკიდა ჩემი სიცოცხლე...

(გარეთ ფანდური ისევ იწყებს სევდიან კილოვნებას)

და სიყმაწვილითვე დამჩემდა ეს ნალველი, ეს ჩუმი წუხილი სულისა... ჩემს თავს ვეკითხებოდი: რათ, რათ არ უყვართ ადამიანთ სიმართლე?.. რათ სწყინთ მართალი? კოკლს რომ შე-

ნიშნო კოქლობა, რათ აღელდება ხოლმე?.. რათ? რათ?..  
 ეს განუშორებელი ფიქრი სწვადა ჩემს ტვინს ინდოსტანის  
 გაუვალ ტყის სიხშირეში, მისრეთის, ეგვიპტის ცხელ-ქვიშიან  
 უდაბნოშიც და... ყველგან, ყველგან... მხოლოდ ერთი და  
 მქონდა ნუგეში. აი, მივალ ჩემს ქვეყანაში, იქ ხალხი გულ-  
 ღლია, ალალ-მართალი, ისინი არ მოერიდებიან სიმართლეს...  
 და თანდათან გული აქეთ მომიწევდა. განსაკუთრებით გამახ-  
 სენდებოდა ერთი სოფელი და იქ—ერთი სამქედური... მქედე-  
 ლი უროსა სცემს და ზედ დასძახის... როგორ იყო?.. „პირ-  
 ველ ქრისტე ჩამობრძანდა, სამქედური გაიჩინა, შიგ გამართა  
 გრდემლი გრძელი; შიგ მქედელი ჩააყენა, ხელში მისცა რკი-  
 ნის კვერი“... ჰა, ჰა!.. და იქვე კი სამფეხაზე ჩამოცუცქე-  
 ბულა პაწია გოგონა, ცოცხალ-თვალემა და ენა-ტიტინა. მაგ-  
 რამ ეხლა არაფერს ტიკტიკებს... გარეთ ქარი მძლავრათ უბე-  
 რავს, თითქო გარემოს დევების ლაშქარი შემოსევია და ასპა-  
 რეზობენო... ქოხში კი უკრაქი აცივლივებს მკრთალ ნათელსა...  
 მისი სინათლე ხან გრძელდება და ხან მოკლდება, ზოგან კუ-  
 თხე სულ ჯოჯოხეთითივით ჩაბნელებულა... გოგონასაც ეშინ-  
 ნიან... ფეხები სკამზე აუკრეფია, მორთხმით ზის: ეშინიან ამ  
 კუთხეებიდან არ გამოძვრეს რომელიმე ზღაპრული ქვემძრომი  
 და არ შთანთქას პაწია, მაგრამ იგი თვალებს უშტერებს ქურაში  
 გაბრღლიადებულ ცეცხლს და ყოველივე იფანტება... მე კი  
 იქ, შორს ამ ქურის ლურჯათ ავარდნილ პაწია ალში, უკვე  
 მჩვენება, თუ როგორ იზრდება ეს გოგონა... როგორ იწრ-  
 თობა ლურჯ ეთერში გულსუნდა... გულსუნდა, გულსუნდა!  
 რა კარგი სახელია!

**გულსუნდა.**

(გულ-აჩვილებული)

რა კარგი ლაპარაკი იცი!

(გარეთ შეწყდება ფანდური. ხმაურობა  
 მოისმის).

**იღ**

**გოგილო. ბერდია.**

**ბერდია.**

(გარეთ)

ეგრე, ეგრე. ავაშენოს ღმერთმა!... ნახვამდის, ნახვამდის,  
 ბატონო!

(შემოდის)

ეი, გულსუნდა! აბა, სადილი ჯერ კიდევ არ დაგიმზადებია?...  
ოო, ეს ვაჟბატონი კიდევ აქ არის!.. არჯევეანი ძალიან გაბრა-  
ზებული წავიდა და...

ვარამი. წავიდეს... ჩემი წასვლის დროც არის...

(მიდის)

გულსუნდა.

(გაუბედავით)

ვარამ... ისადილე...

ბერდია.

(მკაცრათ გადახედავს გულსუნდას)

ვარამი. არა, დროა!

(გადის)

ბერდია. მმ... მეტიჩარა...

(გოგილოს)

ერთი დაუბერე მაგ ქურას... კოტაც წავიმუშაოთ და...

(გულსუნდას)

შენ მანამ სადილი დაგიმზადე... ოოჰ, რკინის კვერი და-  
ხელ-საწყო იქ არ დამჩენია... აბა, ცეცხლი გააღვიე...

(გადის)

გოგილო.

(მიდის ქურასთან, ცეცხლს ალვიებს)

გულსუნდა.

(უეცრათ მივარდება)

უუჰ, გოგილო, გოგილო!.. ისეთი კარგი იყო ვარამი...  
ისეთი, რომ...

გოგილო.

(ანაზღათ მოაბრუნებს გოგილოს, პირი-  
სახეს სულ ახლო მიუტანს, თითქო უნდა  
აკოცოსო, მაგრამ უეცრად მობრუნდება  
და სისწრაფით საკუპნაოსკენ გაეარდება!)  
(ვერ გამოეჩვენა რა მოუვიდა. გაშტე-  
რებულია)

## იე

ბერდია.

(მოაქვს ხელ-საწყო)

ბერდია. აბა, მოიტა. ჯერ სხვა, აი, წელან რომ მოგერჩა ...  
• გაცხელება არა სკირდება...

(შეხედავს)

რამ გამოგაშტერა, ბიჭო?

გოგილო.

(გონს მოეგება და მოიტანს გრდემლთან  
რაც საჭიროა).

ბერდია. არა, ჩემო ძმაო, შენ ნამდვილათ რაღაც გემართება...

(თვითონ დაჰკრავს)

დაჰკა, მოუქნიე კარგა...

(შეიქნება რიტმიული კედა)

ჰო, ჰო, იქედება, იქედება!

წალდი, ცული, თოხი, ბარი  
ჩვენის ხელით აქ მზადდება,  
თუ დაგვჭირდა, ბასრი ხმალიც  
ამ გრდემლზედა იქედება.

—  
შეუბერავს საბერველი,  
გამოაწრთობს ცხელი ქურა...  
დაგვიძველდა გრდემლი, მაგრამ  
სოფელს ბევრი ემსახურა.

ს ა ნ ა ხ ა ვ ი ი ხ უ რ ე ბ ა .

### სანახაპი მემოკე.

თამარის საზეიმო დარბაზი ტაბახმელას. დიდი, სრული, თაღებიანი დარბაზი მოჩუქურთმებული, კოზმიდიანი მარმარილოს მოხდენილი სვეტები, კამაროსანი, ფართო სარკმელები. სვეტების ზემო, ორ ფრთედზე ჭორედი, ჯცხო მარმარილოს ხრახნილ მოაჯირით. თალი და კედლის არეები შემკულია სხვა და სხვა მხატვრობით და მურდახილებით. შუაზე მეფის დალიკი-ტანტი და ზედ თელებით შემკული მომცრო საჯდომი. უცხო სახის ხალიჩები, დორები, მუთაქები. რამოდენიმე სავარძელი დიდებულთათვის. კედლებთან ხალეზ-გადაფარებული ტანტები. ერთს კუთხეში კიდევ მდიდრულათ მორთული სახატე. ზედ ლეთის-მშობლის მოკედლი ხატი ასვენია. წინ დიდი, ვერცხლის კანდელი უნთია და მის წინ სამლოცველო, ოქსინო გადაფარებული საწიგნე დვას. ზედვე ძვეს პაწია ლოცვანი, ოქროთი მოკედლი ყდით. შუა დარბაზში და სვეტებ შუა კუთხეებში თაღ-ქვემო ხომლებია ჩამოკიდებული, თელებით შემკული და მოვარაყებული, შიგ კი მომსხო წმინდა თაფლის სანთლებია შემორიგებული. ამ ეამად აუნთებელია. მთელს დარბაზში სარკმლებიდან სინათლე უხვად შემოდის, მაგრამ სანახაობას მაინც მყუდროებისა და დიდებულობის ელფერი აძვეს.

ა

(დგანან ხელისუფალნი ივანე მხარგრძელის მეთაურობით და შიმუნვარი. შემოდის კიაბერი, ხელში ოქროს არგანითა და სკარამანგ-მოსილი).

**კიაბერი.** სალამი მოყმეთ.

**ყველანი.**

(მძიმეთ თავს უკრავენ)

**კიაბერი.** მზათ არის ყოველივე?

**ივანე.** ყოველივე მზათ გახლავს, კიაბერო, ვით განაწესე.

**კიაბერი.** გახსოვდეთ: ზეიმი იქმნება მცირე, ხოლო მიღება და დარბაზობა წესისამებრ.

**ხელისუფალი.** მეფეს მოხსენდეს: კათალიკოზი ვერ მობრძანდება. შემოეთვალა მორჩილის პირით—სომეხთა მღვდელმთავრებთან რჯულის შესახებ საპაექროთ ვემზადებო.

**კიაბერი.** ა? ჩემო ივანე? დიდსა საქოკმანო საქმესა მივეცი თავე: სომხითარნი და ქართველნი დიდი ხანია ძმურათ შეტკობილნი ვართ. ეხლანდელმა დავა-კამათმა კი შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ჩვენს ძმობასა. სულ კი შენი ძმის, ზაქარიას ჯიუტობის ბრალია...

**ივანე.** ეხლა-ხან... ანისის განთქმული, ჩვენი მღვდელთ-მთავარიც დაუბარებია საკამათოდ...

**კიაბერი.** დიდებული მეფე თამარი არ იჩქარის პაექრობის ვადის დანიშნვას...

**ივანე.** მერწმუნე, კიაბერო, უკეთუ თქვენმა კათალიკოზმა გაიმარჯვა, მყისვე მივიღებ თქვენს სარწმუნოებას...

ბ

(ხვაშაქი ცოქალი, ხნიერი და დარბაისელი მანდილოსანი თავის მხლებლებით.)

**ხვაშაქი.** სალამი დარბაისელთ!

**ყველანი.**

(მძიმეთ თავს უკრავენ)

**ხვაშაქი.** ნათელ-მზისა დანახვა კვლავ შეუძლიან უღირსს თვალებს?

**კიაბერი.** ვამცნოთ შიმუნვარს...

(ანიშნებს მოახლეზე, რომელიც მეფის ოთახის კარებთან სდგას).

დილ-ვარდისას, აუწყოს ნათელ-მზეს თქვენი სამართლიანი საწადელი.

**ხვაშაქი.**

(დილვარდისას)

შვილო ჩემო, ეახელ მეფეს...

**დილ-ვარდისა.** ბოდიშს მოვიხდი დიდი ერისთავთ-ერისთავის დედის წინაშე, ხოლო პირიმზე ჩვენი წუხელისაც, ვით ჩვეულია, მღვიძარებდა ლოცვა-ვედრებით, შემდეგ სახლთ-უხუცესის მოხსენება მოისმინა და ეხლა იმოსება სადარბაზოთ... თუ საშურია თქვენი ნახვა...

**ხვაშაქი.** არა, არ შეაწუხო... რა კი ეგრეა, მე აქ დავიციდი, მხოლოდ, როს დაასრულოს შემოსვა, მყის მალუწყე...

**დილ-ვარდისა.** კარგი, ბატონო!

(თავს დაუკრავს და შედის მეფის ოთახში)  
(ამოიოხრებს და მიდის ერთ-ერთ ტახტთან დასაჯდომად)

**ხვაშაქი.**

ეეჰ, სიუძღურე დასჩემდა სხეულს...

(ჯდება. მისი მხლებლები შორი-ახლო ირგვლივ შემოერთყმინან)

კარგა ხანია არ ვყოფილვარ სასახლის კარზე. რუსუდანიდან ეხლა მოვდივარ. დღეს ზეიმი გაქვთ?

**ქიაბერი.** დიად, მცირე ზეიმი. მუტაფრადინი მოდის, თურმე, უფლის წული.

**ხვაშაქი.** ჰა, ჰა, ჰა! სალდუხის ძის ძე?... ის უგუნური... როგორ ლამობდა, რომ პირიმზე ცოლად შეერთო?

**სხვები.**

(მოკრძალებით იცინიან)

**ხვაშაქი.** პეპელა ცეცხლზე იწვავს ფრთებსა... მერე რამდენი იყო ეს პეპელები?... საიდგან არ მოვიდნენ!.. ვინ მოსთვლის იმათ თავსა!.. ეს კი რამდენი ხანია, რაც საქართველოს ეწვია?

**ივანე.** წელიწადია. ეხლა პერეთიდან მოდის, სანადიროთ ქიაბერი. გაიგებდით: ეხლა სირინოზსა ვრთავთ.

**ივანე.** გიორგი მეფის ხარკის შვილსა, თამარის ნახევარდას...

**ხვაშაქი.** ვიცი, ვიცი, ჩემო შვილო... სირინოზს როგორ ვერ ვიცნობ... ეს სულ კრავაჟს მოხერხებაა... ყოჩალი ქალია, მე და ჩემმა ღმერთმა... მაშ, როგორ ნებავდა უფლის წულსა?!.. რა ჰქვია?

ივანე. მუტაფრადინ...

ხვაშაქი. რა ვქნა... ვერ დავისწავლე ამ ურჯულოთა სახე-  
ლები...

(თავშეკავებული სიცილი)

ჰო-და, აი, სწორეთ, მისი საცოლო სირინოზია... სახე მშვე-  
ნიერი, პირ-მწყაზარი... უდედოფლებს მის სამთავროში, ერთ-  
გული მეუღლეც იქმნება... იმას კი, იმ მატრაკვეცსა, გონება-  
იალბუზი, თამარ-საგანგებო, შეენება და სახელი ჩვენის ქვეყ-  
ნისა ცოლად უნდოდა... როგორ ბრმავდება ხოლმე კაცი?!  
თამარმა დასცა უკვე დასტური?

ქიაბერი. კარგა ხანია... თვითონაც იცის. შეურიგდა უკვე  
თავის ბედსა...

ივანე. ეხლა ვიგრძენ, თუ რა გონიერი იყო განსჯა მეფე-  
სა, როდესაც მუტაფრადინ პირველ მოვიდა: „მეფურად დაუხე-  
დით და პატივ-ეცითო.“ მაშინ, გამოვტყდები, გული არ მით-  
მენდა; ფეიქრობდი ჩემთვის: კინწი ვკრათ და განვაძევოთ მე-  
ტი. მაგრამ აგერ ერთი წელიწადია, ხან ვანადირებთ, ხან დარ-  
ბაზად გვყავს, ხან სხვა და სხვა გასართობებს და სანახავეებს  
ისმენს და უცქერს. გაშინაურდა, გაგვიცნო და ეხლა თვით  
ესმის, თუ რა სიმაღლეს წაეპოტინა. სიხარულით თვითვე დას-  
თანხმდა სირინოზთან შეუღლებასა...

ხვაშაქი. ვექვოთ სირინოზსაც მოსწონს იგი...

ქიაბერი. ოო, ძაან, თურმე...

ივანე. თვით მუტაფრადინიც კარგი მოყმეა...

### 3

(შორით გამოჩნდებიან სეფე-ქალები, მათ  
შორის მეუღლე თმოგველისა. თან ახ-  
ლავთ ალღუზ-ყივჩაყი და სხვა ახალგაზ-  
და წარჩინებულნი.)

ხვაშაქი. ეს ვინ არიან?.. ჰო, ამათ ვიცნობ... ამას კი ვე-  
რა... კარგა ხანია არ ვყოფილვარ სასახლის კარზე...

ქიაბერი. განა, ეგრე დიდი ხანია?..

ივანე. მგონი მას აქეთ, რაც რუს-გიორგი განვაძევეთ... აღა-  
რა გეწყალობს დიდი ცოქალი...

ხვაშაქი.

(შეხედავს ივანეს, თითქო უნდა გაიგოს რა უნდოდა ეთქვაო...)

მოწყალების ღირსია მხოლოდ მათხოვარა, თქვენ ხომ სათხოვი არა გიქირთრა...

ქიაბერი. რომელს ჰკითხულობ, ქალბატონო?

ხვაშაქი. ეგერ პატარძალს...

ქიაბერი. ეხლავ გაგაცნობ... ეგ სარგის თმოგველის მეუღლეა...

სეფე-ქალები.

(ახლოვდებიან, შეამჩნევენ ხვაშაქს და მძიმეთ თავს უყვრენ, შემდეგ სხვებსაც თავის დაკვრით მიესალმებიან. ვგრევე იქცევიან მათთან მოსული მამაკაცებიც).

ხვაშაქი. სარგის, ახალგაზდა მეფის მდივანის, ვარდანის ძისა? თმოგველი როდის დაარქვით?

ქიაბერი. თმოგვი უბოძა თვით მეფემა სამსახურისთვის...

ივანე. და შენ ჟინვანი მთეულეთში...

ქიაბერი. რა? გული გწყდება?.. მოვალს ჟამი... დიდი თამარი თვის სიუხვეს არც შენ დაგაკლებს...

ივანე. მე არას ვამბობ...

ხვაშაქი. ღირსია, ღირსი ვარდანისძე... ბრძენი კაბუკი არის..

ქიაბერი (სარგისის ცოლზე)

დიდი თავადის, ფანასკერტელის ასულია...

ხვაშაქი. კარგი ყოფილა... სხვა, მანდილოსნებო, ვით მოგიკითხოთ?

მანდილოსნები. მადლობას გწირავთ...

უფ. მანდილოსანი. თქვენ კი როგორ ბრძანდებით?

ხვაშაქი. ვარ, ჩემო შეილო, ვით შეპტერის ჩემს ხნოვანებას... ოოჰ... კრავაჲ...

დ

(კრავაი ჯაყელი, დარბაისელი მანდილოსანი).

ხვაშაქი. ძვირფასს დედას, დათ შენათიცსა ჩემი სალამი...

კრავაჲ. გული მითქვამდა სიხარულსა... ემადლობ უფალს, აი, შევესწარ... დიდი... ხვაშაქი ჩვენთან არის...

(გადაეხვევიან ერთიმეორეს. შემოსულნი ჩამორიგდებიან ამ გვართ: ხვაშაქი და კრავაი ცალკე წინ წამოჯდებიან. მათ

შორი-ახლო კიაბერი და ივანე დგანან. სხვა სეფე-ქალები მოშორებით მეფის ტახტისკენ ჩამოსხდებიან და მათთან დგებიან ალღუხ-ყივჩაყი და სხვა ახალგაზდა წარჩინებულნი და ხელის-უფალნი. დანარჩენები, უფრო მდარენი, შესავალთან და კედლებთან ჩამომწკრივდებიან მდუმარენი).

(სარგისის ცოლის ჯგუფს)

**ალღუხ-ყივჩაყი.**

მაშ, გუშინდელი ასპარეზობა არ მოგეწონათ?

**სარგისის ცოლი.** არა, როგორ არ მოგეწონა... ბევრი სიმკვირცხლე, სიკისკასე გამოიჩინეს ახალგაზდებმა... მხოლოდ უტიფრობამ გუზანის ვაჟის არ გვაამა...

**ალღუხ-ყივჩაყი.** გულ ახლით უნდა მოგახსენოთ: მე ვერ გავიგე... დარბაზის ერი ყველა ერთბამ შეძრწუნებულა! რა ჩაიღინა ეგეთი გუზანის ვაჟმა?.. მანდილში სტაცა ხელი იმან ზარტიბის ასულს და მანდილი გაიტაცა სათარჩიოდ...

**უფ. მანდილოსანი.** უი, როგორ იქმნება!

**სარგისის ცოლი.** ეგრე უტიფრად მანდილის მოხდა!..

**უფ. მანდილოსანი.** საჯაროთ ქალი შეარცხვინა და თავი მოსქრა...

**კიაბერი.** რაზედ საუბრობთ?

**ალღუხ-ყივჩაყი.** გუშინდელსა მსპარაზნობლებზე...

**კიაბერი.** ოო, ეგ მეტად ცუდი ამბავია!..

**ხვაშაქი.**

(აქამდის კრავაისთან ლაპარაკში იყო გართული).

რა იყო, კიაბერო?

**ივანე.** მე მოგახსენებთ: გუშინ ჩვეულებებისამებრ აქ, ტაბახ-მელაზე, სასახლის ახლო ასპარეზობა იყო. მთელი დარბაზის ერი იქ შეკრებილიყო, მხოლოდ მეფე არ მობრძანებულა. იყვნენ საპატიო სტუმრებიც. ყაბახი, მშვილდ-ისრობა, რკინება და კენწლაობა, ჯირითი, თარჩია, ცხენთა თამაში, მკერდით ძგერება, ჩოგნით ბურთაობა და სხვა გართობა გააჩინეს ახალგაზდებმა. იქვე იყვნენ ცხენოსანნი ჩვენი მანდილოსნები და კეკლუცები. ყმათა შორის გუზანის ვაჟიც ასპარეზობდა. უეცრად მან მანდილი წარსტაცა მის გვერდში მდგომ ზარტიბის უცხო ასულს და სათარჩიოდ გაიტაცა. ამან დაბადა, დრტვინვა და...

გუზანის მამის სამსახური და ერთგულება რომ არ გავგხსენებოდა, ბევრი ახალგაზდა აპირებდა უტოფარ მოყმის ხმალში გაწვევას. . ძლივს დაეამწეიდეთ ჩვენი მოკმენი...

**ხვაშაქი.** არასოდეს არ მომწონდა მე თვით გუზანი... და მისი შვილი რაღა იქმნება! ნათქვამია ჯინჯარზე ჯინჯარი ამოვაო... ოდეს მზე-ბნელი რუს-გიორგი ჩვენს მეფეთ იყო, გუზანი იყო მისი მესაიდუმლე და მისი უზნეობისა და უშვერობის ხელის შემწყობი...

**კრავაძე.** მეც ეგ არა ვთქვი!.. გუშინვე მოვახსენე დარბაისლებს, რომ გუზანის ვაჟის საქციელი დიდათ მაგონებს უბედურ რუსის უტიფრობასა-მეთქი... სამწუხაროდ შემდეგში მიმბაძველებიც გაუჩნდა ჩვენს მოყმეებში მის უხეშ საქციელს და ხასიათს... მანამდე კი არასოდეს ქართველი უზრდელი არა ყოფილა, მით უფრო მამაკაცი დედაკაცთან...

**ალლუშ-ყივჩაყი.** ამბობენ, გუზანის ვაჟი ზარტიბის ასულს ეტრფიალებოა...

**კრავაძე.** მერე, ტრფიალება უტიფრობას უნდა იწვევდეს?.. ნამდვილ ტრფობას მანდილით ხელში საჯაროთ არ აფრიალებენ...

## ე

(სარგის თმოგველი, ახალგაზდა კაბუჯი, მდიდრულათ მოსილი.)

**სარგის.**

(ცოტა წინ შემოდის და ყურს მოჰკრავს უკანასკნელ სიტყვებს)

მართალი არის, სიყვარულისა კდემა თან ახლავს.

**ხვაშაქი.** ოო, სარგის, ჩემო ბრძენო კაბუჯო...

(ქალები დამსხდარნი და ვაჟები ფეხზე დგომით თავს უკერვენ სარგისს)

**კრავაძე.**

(განაგრძობს თავისას)

გულის ხვაშიადს წარა-მარა არ ამეღავენებენ...

**სარგის.**

(ხვაშაქს თავს უკრავს, შემდეგ სხვებსაც).

**ხვაშაქი.** და შენ კი გაგიმეღავენებია შენი ტრფობა საჯაროთ...

**სარგის.** როგორ?

**ხვაშაქი.**

(უჩვენებს მის ცოლზე)

აი!.. ჰოი, შე უპურმარილო კაცო!.. ეხლა ახალ მოყვრებს შეეწყე?.. კოხტა ტაოს მხარისკენ გადაიტანე შენი გული და მეგობრობა... დიდებულ ფანასკერტელს დაემოყვრე, ლაზიკის პატრონს, თმოგვი თვით მიიღე ჯილდოთ და მე კი არაფერი მაცნობე!..

**სარგის.** გრწამდეს, ხვაშაქ, ესე საქმე ეგრე ანაზღვეულათ მოხდა. უკ-მოხედვაც არ მომისწვრია... თვით დიდი მეფეც უმეცარ ვყავ ამა საქმისგან და დღეს რძალი შენი პირველად არს სასახლის კარზე სადარბაზოთა.

**ხვაშაქი.** „კოტა რამე სამდურავე მოყვარეთა წესიაო“, ხომ გაგიგონია. გულით არა გსჯი... პირიქით, შენმა მზემ, მიხარიან შენი გაბედნიერება...

(სარგისის ცოლს)

მოდი აქ, ჩემო შეილო...

**სარგისის ცოლი.**

(მოდის)

**ხვაშაქი.** კარგი ქალი ჰყოფილხარ, გაკურთხოს ღმერთმა! და კარგი მეუღლეც შეგახედერა განგებამ, შეილო... შენ იცი და შენი ლეჩაქის ნამუსიანობამ, როგორ ნამდვილ მეუღლეობასაც გაუწყვე ამ ჩვენს სათაყვანო კაცს...

(მოეხვევა. სარგისის ცოლი მხარზე ეამბორება)

სხვა, სარგის? მამა შენი, ჩვენი განთქმული მექურჭლეთ უხუცესი, დიდებული ვარდან არ მობრძანდება?

**სარგის.** დაუძლოურდა, ხვაშაქ... სხეული აღარ ემოჩილება, თუმცა სულით ისევ ისე ქარმაგათ ირის...

### 3

(ზაქარია მხარგრძელი, შშენიერი სახის ვაჟაკი და რამოდენიმე დიდებული).

**ზაქარია.** ცუდის ამბით მოვდივარ, დარბაისელნო!.. ვაი, ჩვენს მოსწრებას!..

**თითქმის ყველანი.** რა იყო?.. რა შეგვემთხვა?..

**ზაქარია.** ამირ-სპასალარი, გამრეკელი-თორელი აქ არ ბრძანდება?

**ივანე.** არა, ჯერ არ მობრძანებულა...

**კრავაძე.** გაგვიზიარე მაინც, თუ რაა მოიწივნეს თავსა ჩვენსა?  
**ზაქარია.** გიორგი-რუსი კარნუ-ქალაქს ჩამოსულა...

**კიაბერი.** კარნუ-ქალაქს?.. ნეტა რას ნიშნავს?..  
**ივანე.** აკი განვაძევეთ... რათ დაბრუნებულა?  
**სარგის.** დიდებულმა თამარმა მერმე როგორის ნიკე-  
 ბულებით გაისტუმრა?..  
**კრავაძე.** ეხლა კიდევ რა განუზრახავს?..

**ზაქარია.** აი, გაუწყით: შიკრიკი მოვიდა ტაო-კლარჯეთი-  
 დან. შენი სიმამრი, სარგის, ფანასკერტელი გვაცნობებს...

**სარგისის ცოლი.** (სიხარულის შეკვირვებით)

როგორ? კაცი მოვიდა მამიჩემიდან?..

**ზაქარია.** გვაცნობებს, რომ გიორგი ბიზანტიით ჩამოსულა  
 კარნუ-ქალაქს და იქიდან მოლაპარაკება დაუწყვია შავშეთის  
 პატრონ გუზანთან და სამცხის სპასალარ ბოცო ჯაყელთან.  
 როგორც ფანასკერტელი გადმოგვცემს, ეს ორი მიუშხრია კი-  
 დეც...

**ხვაშაქი.** აკი ვსთქვი... თავიდანვე არ მომწონდა გუზანი...  
 ვერ იყო წელ-გამართული კაცი, მაგრამ ბოცო ჯაყელი?

**კრავაძე.** ეჰ, მულამ ეგეთი ორპირი და გაუტანელი იყო...  
**ყველანი.** (შეშფოთებულნი არიან)

დახეთ, რა მოუგონია...

**აღლუზ-ყივიჩაყი.** იმ დღეს ამირ-სპასალარსაც მოვახსენებდი:  
 „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა-მე-  
 თქი“... მაგრამ მიბრძანა, რომ უმიზნოთ ლაშქრობასა მეფე  
 დასტურს არ დაგვცემსო და, აჰა... შემთხვევა საუკეთესო...

**ივანე.** დინჯათ იყენენ, თორემ ისეთ მარცხსა დავმართებთ  
 სამარადისოთ დაუვიწყარი იყოს...

**დიდებულნი.** თავხედი რუსი... მოლალატენი... ჰკუას ვას-  
 წავლით განდგომისათვის...

**ივანე.** არ ეყოფა, ღოთმა და გარყენილმა როგორ აგვრია  
 და დაგვრია!?. ჩვენ სამაგიეროთ პატივისცემითა და უხვად და-  
 საჩუქრებული მხოლოდ განვაძევეთ ჩვენი ქვეყნიდან, ეხლა  
 კიდევ სამტროთ მოსულა?..

**აღლუზ-ყივიჩაყი.** არა, ძმებო, ხმაღმა გაგვასწოროს, ხმაღმა.

**ზაქარია.** მეც ვგრე ვფიქრობ... გავუსწორდებით კიდევ, მაგრამ სასინანულოდ ისა მაქვს, რომ ჩვენი მოძმენი გაგვიდგნენ... ჩვენთან კირნახულნი, ძმათ-ნათესიანი დიდებულნი: გუზანი, ბოცო და, რაც ყველაზე უფრო მწყინს, ჩვენი მსახურთ-უხუცესიც—ვარდან დადიანი...

**ყველანი.**

(გაიოცებენ)

ვარდან დადიანი?.. მსახურთ-უხუცესიც?

**კრავაძე.** აჰას კი აღარ მოველოდი!.. ჩვენი გონება-მახეილი, ტკბილ-მოუბარი დადიანიც?!

**ხვაშაქი.** ერიდე კაცსა პირ-ხმელსა და მრავალ-სიტყვიანსა... ტყუილათ არ უთქვაჰს ბრძენსა...

**ალღუზ-ყივჩაყი.** არა, აწ აღმოვიდეს ხმალი ქარქაშიდან და იქმნას ბრძოლა ფიცხელი სევსა ზედა თამარისასა...

**ივანე.** სამაგიერო, სამაგიერო განდგომილთა...

**სარგის.** დარბაისელნო! მომაპყართ ყოინი: რაც მოვისმინეთ, მეტად სამძიმოა და სავალალო... ხოლო ჩვენც უცებურობის ქარს ნუ გავყვებით და სიჩქარითა ნურას გადავწყვეტო... ნურც მეფესა ჩვენსა სათაყვანოს შეჟაცბუნებთ ამ ზემის დროს სავალალო მუხანათობის გამჟღავნებით... დაემშვიდდეთ ყველა, ზემიმა თავისი წესით ჩაიაროს და ამა საქმისა საცნაურ ყოფა და განდობა მეფისადმი მივანდოთ ჩვენს ძალალ-გონიერთ და ფრიად საპატიო მანდილოსანთ—ხვაშაქ ცოქალსა და კრავაძე ჯაყელს... უთუოდ მეფეც არ ინდომებს უთათბიროთ ამ საქმის განსჯას. ჩვეულებისამებრ დარბაისლებთან ერთად გაარჩევს ყოველივეს... შეიძლება თვით ამ ქალთ მიანიჭოს კვლავ საპატიო მინდობილება, რომ მშვიდობიანის მოლაპარაკებით სასიკეთოდ მოაგვარონ ყოველივე... თქვენ გახსოვთ, უთუოდ, რომ არა ერთხელ ჰქონ იათ დავლებული ამ მადლ-მოსილ ადამიანებს ესეთი ფრიად სამძიმო, სახელმწიფო საქმის გარჩევა და ყოველთვის პირნათლად შეუსრულებიათ კისრად დებული...

**ყველანი.** სწორს ამბობს... როგორ არ გვახსოვს... მივანდოთ მაგათ...

**ქიაბერი.** ყველაზე უფრო გულიდან ამოუშლებელია, რაც ვალი დაგვდეს მაგათ ყუთლუ-ასლანის დასის საქმეში. ხომ გახსოვთ, ბატონებო, რა დიდი ამბოხებაც იყო მაშინ მოწყობილი, როგორი დიდი გვარის ადამიანები განუდგნენ მაშინ ტახტზე ახლად ასულს პირიმზე თამარს...

**ზაქარია.** რა ქირი გვადგა კარსა!..

**ივანე.** დიალ, დიდ განსაცდელში იყო მაშინ სამშობლოს კეთილდღეობა და თვით მეფის ჰუბუტი და გავლენა...

**ზაქარია.** „კარავი დავდგათ ჰისანს, სასახლის მახლობლად საგოდებლის სანახებში და მუნ დასხდომილთა განაგონ საკანონმდებლო და სახელმწიფო საქმეებიო“, — ითხოვდა ყუთლუ-ასლანის დასი.

**ივანე.** შენ კი უფლება აიხადეო, ეუბნებოდნენ მეფეს...

**სარგის.** მაგრამ გონება-მზე თამარის წინდახედულებამ, მისმა ლმობიერმა გულმა მაინც მშვიდობიანი ვზა ირჩია მაშინაც კი საქმის მოსაგვარებლათ და ამ საპატრო მანდილოსნებს მიაჩიკა დიდი პატივი შუამავლობისა, მოციქულობისა...

**აღლუზ-ყივჩაყი.** ქალებს გადასცა ესეთი ძნელი საქვე?...

**ხვაშაქი.** (ცოტა მკაცრად)

„არცა მამაკაცებაჲ, არცა დედაკაცებაჲ. არამედ თქვენ ყოველნი ერთნი ხართ,“ სწერია წმინდა ნანოს ცხოვრებაში.

**ყველანი.** კარგათ გვახსოვს... ღირსნი ბრძანდებიან, ღირსნი...

**სარგის.** მაშ, თანახმა ხართ?

**ყველანი.** თანახმა... თანახმა.

**სარგის.** რომ ამათ მივანდოთ, მეფეს მოახსენონ რუს-გიორგის ქვე-გამზრახველობა და ზოგ დიდებულთა განდგომის ამბავი?..

**ყველანი.** ეგრე იყვეს... ეგრე...

**ხვაშაქი.** მხოლოდ მე კი უნდა მოგახსენოთ... ვიკისრებთ მე და კრავაჲ მეფეს ვაუწყოთ ყოველივე, მაგრამ თქვენ მაინც უნდა ეცადნეთ, რომ კიდევ უფრო დაწვრილებით შეკრიბოთ ცნობები... მართალია, ფანასკერტელი დიდათ სანდო პირია, მაინც კიდევ მეტი გემართებს გამოწვლილვა შესატყვისისა...

**ზაქარია.** ამირ-სპასალარი არ მინახავს, მაგრამ ჩემის ბრძანებით უკვე დავაგზავნე სანდო შათირები და ძალიად მსრბოლნი ლიხთ-იმერეთს, ჯავახეთსა და ბედიას... გაიგონ ყოველივე-  
**კრავაძე.** ბრძნულადაც მოქცეულხარ, ზაქარია... ჩვენ კი მოვალეობას შევასრულებთ...

**ზ**

(დიღ-ვარდისა გამოდის და დგება მეფის ოთახის კარებთან).

**კრავაძე.**

(კიაბერს)

მგონი, უამი არს მსახურებისა.

**კიაბერი.**

(თავს უკრავს)

ეხლავ, ბატონო... აბა, ივანე!

**ივანე.**

(შინაყმებს)

მოუწოდეთ მუტრიბთა, მომღერალოთა და მოცეკვავეთა.

(ერთ-ერთი მოყმე გადის)

**ხვაშაქი.**

(კრავაძე.)

სახიობა დღეს არ იქნება?

**კრავაძე.** არა, ხვაშაქ, დღეს მცირე ზეიშია...

**ხვაშაქი.** ძალიან მიყვარს ეგ გართობა... მასში ვხედავ მეოთხეო ცხოვრებისაგან ანარეკლ შუქსა...

**კიაბერი.** ივანე, სია ხომ შედგენილი გაქვს?

**ივანე.** აგერ...

(მიდგებიან ორნიე მაგიდასთან)

**კიაბერი.** ხომ არვინ არის ჩასამატი?..

**ივანე.**

(ერთ-ერთ ხელის უფალზე)

ამან იცის...

(სამივენი თათბირობენ... კიაბერი გრძელ ეტრატზე რალასაც ხიშნავს).

**ც**

(გლახაკთა ზედამდგომელი)

(მოდის პირდაპირ დიღ-ვარდისასთან)

**ზედამდგომელი.**  
მეფეს მოხსენდეს: გლახაკი, ქვრივი ვინმე მის განკითხვასა ლამის...

**დიღ-ვარდისა.** ეხლავ, ბატონო!

(შედის მეფესთან. ზედა-მდგომელი ბრუნდება და მიდის).

**ხელის-უფალი.**

(შეაჩერებს ზედა-მდგომელს, რომელიც ეხლა შენიშნა)

შენ სად იყავ?

**ზედამდგომელი.** მეფის შიშუნვართან, მოსახსენებლად...

**ხელის-უფალ.** მე რად არ მაცნობე?

**კიაბერი.** (მოიხედავს)

რა იყო?.. ოო, მაგას ვერ იცნობ? ეგ გლახაკთა ზედამდგომელია... ეხლა დანიშნეს. ვით დავიწყე: მაგათ ნება აქვთ. როს სენაკში მეფე ბრძანდება, ჩვენდა დაუკითხავად მიგზავნოს შიშუნვარი...

(ზედამდგომელს)

გასწი.

**ზედამდგომელი.**

(გადის)

**ხვაშაქი.**

(კრავის.)

აი, რისთვის უფრო ვარ მოსული... წელან დავიწყე, ვერ დავსრულე, შემაწყვეტიეს...

**კრავაა.** მაშ, თამარის მამიდა, დიდი რუსუდანიც მაგ აზრის არის, რომ თამარს შევერთოთ დავით სოსლანი?..

**ხვაშაქი.** მომხრეები სხვებიც ბევრი გვყავს დიდებულთაგან...

**კრავაა.** წინააღმდეგი რად იქმნებიან... ოსთა მეფის ძეა, მაგრამ მაინც ჩვენი სისხლია, ბაგრატიონი... ნაკეთად კარგია, პირათ ტურფა, ზრდილი და გონიერი...

**ხვაშაქი.** ჩინებული მოასპარეზე, ლომ-გული და... მწიგნობარიც არის...

**კრავაა.** დიდი რუსუდანის გაზრდილია... სახელმწიფო ნიქთა არ იქმნება მოკლებული...

**ხვაშაქი.** ეხლა ის გვმართებს, რომ ეს ამბავი გაუზიაროთ ამირ-სპასალარს გამრეკელ-თორელს და მეკურქლეთ-უხუცესს, მსკოვანს ვარდანის ძესა...

**კრავაა.** დიდი ხანია მათაც გულში აქვთ, რომ თამარს გამოუძებნონ ღირსეული საქმრო, მაგრამ გული ვერავისათვის ვერ დაუნდვია... ფრთხილობენ, პირველი მძიმე შეცდომა არ განმეორდეს...

**ხვაშაქი.** დავით სოსლანს ესენიც იცნობენ, დავიყოლიებთ...

**კრავაა.** მე მეფეიქრება თვითონ თანარი... არ დაგვრთავს დასტურს... არ უყვარს, როცა ხელ-მეორე გათხოვებას გაახსენ-

ნებენ... ვითარცა უწყი თავის შესახებ ეზარება მას საუბარი და პირად ხვაშიადს ძნელად თუ ვისმე გაუზიარებს, მაგრამ, რამდენიც ვიცი, მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი უქმროდ დარჩეს. იმიტომ არის, სულ თავი მისცა სახელმწიფო საქმეებს, ყოველ წვრილმანის განხილვაშიც კი თვითვე შედის და საპირადო ყოველივე დაიფიწყა...

**ხვაშაქი.** აი, სწორედ ეგ არის ჩვენი მოვალეობა: აუხსნათ თამარს და თვით მიხედება სხივ-ცისკროვანი მისი გონებით, რომ ამ საქმეს ითხოვს სამშობლოს და სახელმწიფოს კეთილდღეობა.

**კრაფ.** მაინც თათბირი გემართებს დიდებულებთან...

**ხვაშაქი.** ზოგ-ზოგს ვაუწყე. ამ ორსაც ვეტყვი, მაგრამ შანამდე თვით თამარსაც გაეაგებინოთ... ყოველი მხრით ვეცადნეთ, რომ სასარგებლო ეს საქმე მოვაგვაროთ...

(განაგრძობენ თათბირს)



**თ**

(არჯევანი და გუზანის ვაჟი, ახალგაზდა მდიდრულათ მორთული).

(დაინახავს შემოსულებს და არჯევანს თითქმის მიეგებება)

**სარგის.**

ო, არჯევან, ეგრე ანაზღათ... არ მოელოდნენ შენს ჩამოკვლასა.

**არჯევანი.**

(მხიარული სახით მიესალმება)

**სარგის.**

(უფრო შორეული კილოთი)

ბატონიშვილს გუზანს ვახლავარ...

(კიაბერი და სხვა წარჩინებულნიც გარს შემოერთუმიან არჯევანს, ვუზანს ცივად თავს უკერავენ).

**კიაბერი.** როდის მოხვედი?... ჩვენ გვეგონა, რომ დიდ გულმოდგინე მუშაობაში ხარ... მეფე ყოველ-დღე კითხულობდა მულანის ამბებს... რათ მიატოვე?

**არჯევანი.** მივატოვე?... მივატოვე კი არა, დავასრულე... დავასრულე, მომილოცეთ...

**სარგის.** როგორ, მულანის არხი სრულად მზად არის?

**არჯევანი.** მზათ არის, მზათ... და დადებულ ვადამდისაც მოვასწარ სრულ-ყოფად...

1 სეფე-ქალი.

(ქალებს)

ხედავთ, არჯევანი მოსულა, არჯევანი...

სარგისის ცოლი. ნეტა, რა ამბავი მოიტანა?..

აღლლუზ-ყიფჩაყი. მულანის არხი დაუსრულებიათ...

ქალები. რას ამბობთ? მართლა?..—მაშ, ეხლა კი დიდი ზეიმი გვექნება...—სატყურებაც მალე იქმნება, არხის კურთხევა...

2 სეფე-ქალ. შეხე, გუზანის ვაჟიც მობრძანებულა...

3 სეფე-ქალ. ის უსირცხვილო!

ქალები. ზარტიბის ასული აქ არ არის?—არა, არ არის.—როგორ გაბედა სასახლის კარზე გამოჩენა!..—მერე, თუ მამა მისიც განდგომილია!..—უუჰ, უსირცხვილო მოყმე არის.

1 სეფე-ქალი დახე არჯევანს, როგორ შვენის!..

2 სეფე-ქალი. გული შეგიკრთო, მგონი, მისმა მოსვლა...

ქალები.

(იყინიან)

სარგის.

(ცოლს)

რა ჩოჩქოლი შეგექმნათ?..

სარგისის ცოლი. აი, ქალებს იამათ არჯევანის მოსვლა...

სარგის. ოო, ნაკვთიერი მოყმეა!..

სარგისის ცოლი. მგონი უგვარტომოა, არა?.. გვარიშვილობით ვერ დაიკვებნის...

სარგის. არ გახსოვს ბრძნული თქმულება: „თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა...“ კარგა ხანია ქართველები მაგას აღარ ვუყურებთ!.. შენ კი როგორ გეტყობა, რომ ისევ დიდ-გვარიშვილებს ემბრობი! ჰა, ჰა!—ფანასკერტელის ასული!..

სარგისის ცოლი.

(გაწითლდება)

არა, მე ეგ არ მითქვამს...

ხმები.

(გადადის კლდის გამოძახილსავეთ ერთი ჯგუფიდან მეორეში).

მულანის არხი... მულანის არხი... დაუსრულებიათ... ღმერთო, რა სასიხარულოა!..

ხვაშაქი.

(კრავის ხმაურობაზე)

რა იყო, რა ამბავი გაქვთ?

კრავაჲ. ივანე! რა მოხდა?

ივანე. ჩენი მეფის დიდი ხნის სანატრელი საქმე დასრულდა... მულანის არხი გაუკეთებიათ...

ხვაშაქი. } რას ამბობთ?  
კრაფაძე. }

ხვაშაქი. ვინ იყო ზედამხედველი?

ივანე. აი, არჯევანს ჰქონდა მინდობილი...

არჯევანი.

(წინ წამოიწვეს; თავს უკრავს ხვაშაქს და კრაფის.)

ხვაშაქი. მომილოცნია, უცხო მოყმევ, მონდობილ საქმის ესდენ კეთილად დაგვირგვინება...

არჯევანი. მე ჩემი ვალი აღეასრულე... და მანარებს დიდათ, რომ ვაღამდის შევძელ ამ მნიშვნელოვან არხის გაყვანა. ებლა შემძლიან ჩვენ სათაყვანო მეფეს მოეახსენო: უკვე მზათ არის!

ხვაშაქი. მოსაწონია ეგ სისწრაფე და გარჯილობა... მხოლოდ სიჩქარით არ იყოს ქმნილი...

არჯევანი. აი, იხილავთ...

სარგის.

(მეგობრული იუმორით)

მიეხვდით, გავიგეთ, არჯევანო, რაუ გაჩქარებდა. შენის მოსელითა სასახლის კარზე ლამაზ კეკლუტებს შეუკრათა გული...

ქალები. უი, რას ამბობს! —ვაი, სირცხვილო!..

გუზანის ვაჟი. ტყულა ძგერს გული კეკლუტებისა... ეგ უკვე ტყვეა მულანელი მშვენიერების...

არჯევანი.

(საყვედურით)

აბა, რას ამბობ!

ხვაშაქი. ეს ვიღა არის?.. ოოჰ, გუზანის ბარტყი?!. ვერა, ვერ გიკებ ზრდილობასა, ბატონიშვილო!

გუზანის ვაჟი.

(ხვაშაქს)

ჩემი სალამი დიდებულსა...

(თავს უკრავს)

ვიცი თქვენც მძრახავთ გუშინდელი სილალის გამო... მზათ ვარ, დამსაჯეთ, უკეთუ ვიყო დამნაშავე...

(არჯევანს)

შენი საყვარლის სახელს კი მაინც ვიტყვი...

არჯევან. გუზან!

**გუზან.** მუდანელ მოხუც მკედლის ქალია და სახელად ჰქვია გულსუნდა!..

**ზაქარია.**

(აქამდის ყურს უგდებდა ლაპარაკს ბოლო სიტყვაზე მიბრუნდება თავის ჯგუფისკენ)

ბრიყვი, უზრდელი!

**ქალეები.** მაინც მოგეშხამა! — მწარე ენა აქვს!.. — ტყუილს ამბობს! — ხვაშიადის შენახვა სულ არ სცოდნია.

## ი

(გამრეკელი - თორელი, ამირ-სპასალარი, კარმაჯი მოხუცი, წარმოსადეგი. თან ახლავს რამოდენიმე დიდებული.)

**ხელისუფალი.** ამირ-სპასალარი მობრძანდა!

**ყველანი.**

(წამოიშლებიან და ეღმად მოკრძალებით თავს უკრავენ)

**გამრეკელი.** სალამი ყველას! მანდილოსანთ! თანამსახურთა! (კიაბერს)

დიდსა საგონებელსა ჩამაგდე. მანდატურო! ღამით მოვიდა შენი წიგნი. მაუწყებდი, რომ დღევანდელ ზეიმზე პირველი სიტყვა მე უნდა ვკადრო ჩვენსა შეფესა... არ გაგახსენდა ჩემი მკერ-მეტყველების სილატაკე?.. შენგანა მკირდეს, კიაბერო!

**კიაბერი.** არაფერია! მხოლოდ ბრძოლის ველზე როდი უნდა სიგმირის გამოჩენა... დღეს შენი რიგია...

**გამრეკელი.** მე სპისა ამჟავი მკითხე... ეგ — თქვენი საქმეა, მწიგნობრების, ენა-მკვერების... აა, სარგის, კაბუკო მეგობარო! სად იყავ წუხელ? გამარკვევდი გზას რიტორებაში...

(მასთან მყოფი ჯგუფი იცინის).

## ია

(შემოდიან მეტრობინი, მომღერალნი, მოცეკვავენი. პირველნი ორნი დამწკრივდებიან იქით-აქით დარბაზის მალლა ქორელებზე. მოცეკვავენი ქვეით დარბაზში. გაისმის ბუკის ხმა).

**კიაბერი.** გთხოვთ, მიჩენილი ადგილი დაიკიროთ წესისამებრ...

(ყველანი ნელ-ნელ მიდიან თავიანთ ხლავას. ტახტის უფრო ახლო ერთი მხრით ხვაშაქი, მეორე მხრით კრავაი. ხვაშაქის

გვერდით ამირ-სპასალარი, კრავის. გვერ-  
დით მანდატურთ-უხუცესი და შემდეგ ესე  
უფროს-უმცროსობით. იმავე დროს ქალთა  
ხორთ გალობს: „თამარის დროშა გაშა-  
ლეს!“ გაიღება შუა კარები და შორიდან  
გამოჩნდება მომავალი თამარი. თან მოს-  
დევს სირინოზი, კიდევ ორი სეფე-ქალი  
და რამოდენიმე შიმენვარი. ორივე გვერ-  
დების თალებიდან გამოვლენ ბავშვები და  
ნაწილი რგვალ კეცზე სურნელებას აკუ-  
რებს, ნაწილი ვარდებს უფენს, სანამ  
შუა-გულზე მდგარ, როგორც ტაძრებში  
არქიელის საჯდომია, ისეთ ტახტზე არ  
აუა თამარი. მაშინ შესწყდება გალობაც  
და ვარდების ფენაც. ყველანი დარბაზში  
მყოფნი მძიმეთ თავ-დახრილნი დგანან).  
(ჯერ კიდევ ახალგაზდა, საოცნებო სილა-  
მახის. მაგრამ მის გონიერ სახეს უკვე შე-  
ხებიდა სევდა რამ უხილავი).

**თამარ.**

მადლობა უფალს, ყველას გხედავთ კვალად მშვიდობით!..

**ქიაბერი.** დღეს კათალიკოზი არ გახლდებათ, მეფეო, მომავ-  
ალ პაექრობის მზადებაშია. ვერც მექურქლეთ-უხუცესმა შეიძ-  
ლო უძღურების გამო დარბაზად ხლება და ბოდის იხდის...  
პირველი სიტყვა ეკუთვნის გამრეკელსა.

**გამრეკელი-თორელი.** დიდებულო ხელმწიფეო! რა უნდა  
გკადრო მე, სიტყვა-ღარიბმა და უხელოვნომ, რომელმანცა სპისა  
განკარგვა უფრო ვიცი, ვიდრე ლექსთა დარაზმვა!? მაგრამ ღია-  
დი სანახები ამ ქვეყნად მით არის მომხიბლველი, რომ მრავალ-  
ფერია და მის მშვენების აღწერას ვერ დაასრულებს კაცთ  
ნათესავი. როგორც არასოდეს არ მოგწყინდება კაცს განიცადო  
ხან გელათის მონასტრის საარაკო მშვენიერება: ხან კოჭრის  
- მთის გრილი ნიავი, ხან ქყონდიდის გადასახედი, თვალი რომ  
შავ-ზღვამდე იკარგება, ხან კიდევ კახეთის ტყეებში ნადირობა,  
ხანაც გეგუთის დაცემულ ვაკის სივრცე კიდევანი, ან დარია-  
ლანის ვიწროების პირ-ქუში კლდეები. მუდამ-ჟამ სტკებები ხან  
ამ, ერთის კუთხით ჩვენის ქვეყნისა, ხან მეორე მუხურით,  
ხოლო ყველა ეს სანახები ერთს ერთობილ ქართლს, სრულიად  
საქართველოს მშვენებას წარმოადგენს; ეგრეცა, მეფეც, ჩვენ  
ქართველებს არასოდეს არ მოგვეწყინდება შენი კება, რადგა-  
ნაც იმდენათ მრავალფერი და საგანგებო ხარ.

„თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,  
 მშიერთა პური, უსახლთ სართული,  
 მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,  
 შიშველთ სამოსლად მონიკებული;  
 მოხუცებულთა, შორით რებულთა,  
 სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი...“

ვითა სთქვა შავთელმა პაპი შენის, დიდი დავითის შესამკობელად. შენც სრულიად ღირსი ხარ ესეთი ქებისა, დიდებულა!.. ვიცით შენი მდაბალი ხასიათი, რომ არ სათნო გიჩნს ეგზომი ხოტბა, მაგრამ ნუ უგულუბელს გვყოფ, ხელმწიფეო, უკეთუ ერანელი მეჩანგენი შენსა შესხმათა მუსიკობენ და ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენნი, ნიავეკეთილობათა შინა, შენსა ქებათა იტყვიან, ჩვენც შენმა საყვარელმა ქართველებმა უამითი-უამად წარმოვსთქვათ ჩვენი შენდამი სიხარული, დიდება და თაყვანისცემა. ფრინველნიც ყოველ გარიჟრაჟზე ქება-დიდებას უძღვნიან განგებასა. შენს მეფობაში, ხელმწიფეო, კიდევ უფრო გაეძლიერდით და განვმტკიცდით. სამეფოს საზღვრები ჯერ აქამომდე გავიტანეთ ჩრდილოეთით დარუბანდამდის, სამხრით—კარნუ-ქალაქამდის, აღმოსავლით სპარსთა ქვეყანას ვფლობთ და დასავლით—ბერძენთა სამფლობელოსა. ჩვენმა მხედრობამ უძლეველობის სახელი მოიხვეჭა, შორს გავარდა სახელი საქართველოს უღურისა და გავლენისა. უცხო ხელმწიფენი და მთავრები ჩვენსა მთავრელობასა ეძიებენ. ხოლო შინ მოისპო ავაზაკობა და მძარცველობა. თხა და მგელი ერთგანა სძოვს. აღარ არის სიყმილი და სილატაკე. ხალხში იმდენი სიმდიდრეა, რომ აზნაურთა ყმანი პატრონთა მათ სწორად იმოსებიან; გამშვენდა ძველი და აიგო ახალი, უამრავი ციხე-ბურჯები, ტაძრები და მონასტრები; გზანი ფრიად საკეთილონი მოეფინა მთელს ქვეყანას. სასწავლონი და საწურთნელი გამრავლდნენ. ხელოვნება განივრცო და გადიფურჩქნა, მწიგნობრობა აყვავდა, სჯული სამართლიანი და მოწყალე განგვიმტკიცდა, ხოლო შენმა ღმობიერმა გულმა სრულიად მოსპო ტანჯვანაგი, სიკვდილით დასჯა. მაშ, როგორ უნდა

მოითმინოს გულმა, რომ ქება არ შეგძღვნას. იღლეგრძელე, მეფეო, მრავალ-ჯამიერ.

(გალობა)

**თამარი.** გამაღლობ, ჩემო ერთგულო გამრეკელო... თუ ბოლომდის მოგისმინე, ვიცი, რომ შენს მხნე გულსა და ვაჟაკურ ხასიათსა პირმოთნეობა არა სჩვევია, მხოლოდ მითქვამს და ვიტყვი: თუ რამ გამიკეთებია, გამიკეთებია თქვენის თანადგომითა და ერთნებაობით. მხოლოდ თქვენმა ერთგულებამ, სიმხნევემ და გონიერებამ, ლეთის შეწვევითა, შემძღვებინა განმეგრძო ის დიდი საქმე, რომელსაც ესე ვითარი მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა. მაღლობით მოვიხსენიოთ სახელი მათი.

(დაიჩქებს. მუის ყველა სხეებიც დაიჩქებენ. საეკლესიო რამ სვედიანი და თან მდიდრული გალობა. შემდეგ დაჯდება მეფე და ისინიც, ვისაც ამის უფლება აქვთ).

(გალობის გათავების შემდეგ)

**ქიაბერი.**  
მეფეო, მოიხსენე ფრიად სასიხარულო ამბავი: შენის ბრძანებით დაწყებული მულანის არხი უკვე დაუსრულებია მის ზედამდგომელს არჯევანსა და აგერ გიახლათ.

**არჯევანი.**

(წარდგება)

**თამარი.**

(სახე გაუნათლდება)

**გამრეკელი.**

(სიხარულით შეიკვირვებს)

მულანის არხი? რა სასიხარულო ამბავია!..

(მიუბრუნდება დიდებულთ)

აი, კარგი საქმე, ყმაწვილებო... მაშ, ამიერიდგან აღმოსავლეთის მხრივ ჩვენი საფარი უზრუნველია.

**თამარი.** მიხარის ფრიად!

**არჯევანი.**

(ხელზე ჰკოცნის)

**თამარი.** ვით მე მახსოვს, ვადა ეხლა არ იყო...

**არჯევანი.** ვადამდის ვეცადე, ხელმწიფეო, დამესრულებინა..

**თამარი.**

(დაიხედავს თითებზე და ერთს სამ-კუთხიან ბეჭედს, თაჯისებურად მოყვანილს წაიძრობს)

აჰა, მიიღე ნიშნად მაღლობისა...

(არჯევანი მუხლებზე დავარდება, კალთაზე ჰკოცნის და ბეჭედს ართმევს),

ქიაბერო, დააწერინე სიგელი წყალობისა მოყმე არჯევანის სახელზე და, კუთვნილ გასამრჯველოს გარდა, უხვადაც დამისაჩუქრეთ.

(ქიაბერი თავს დაუჯრავს, არჯევანი წამოდგება).

აბა, დარბაისელნო, კიდევ გახსენებთ: უკეთუ ჩვენი ქვეყნის ძლიერება და სიმტკიცე დასულია ჩვენის ლომ-გულის მხედრობის მიერ, არა ნაკლებ ამაგრებენ ჩვენს ქვეყანას და აღაყვავებენ ისინი, ვინც უროთი ხელში და საქვრეთელითა კლდესა კეთავს, გამოქვაბულთ სამყოფელად ხდის, ხიდს ააგებს, არხი გაჭყავს და გაფოლორცებულ ალაგას სიცოცხლეს სთესავს. ერთი მათგანი აგერ ჩვენ წინაა. კურთხეულ იყავ, შვილო...

ყველანი. კურთხეულ იყვეს... კურთხეულ.

1 სეფე-ქალი. ღმერთო ჩემო, რა კარგია! შეხე არჯევანს!

2 სეფე-ქალი. ჩუმაღ, ქალო... აბა, რა მოგდის?!

1 სეფე-ქალი. გული ვერ ითმენს... აბა, შეხე, რა ლამაზია!..

თამარ.

(ქიაბერს)

მართლა, ჩემი ოქროს მქანდაკებელი ბეკა ოპიზარი ნეტა რასა იქმნს?..

ქიაბერი. ეხლა აქ არ გახლავთ, ხელმწიფეო! თქვენის ბრძანებით ანჩის მაცხოვრის კარედ ხატსა სჰედს... და, მოგახსენებ. დიდებულო, მე ვნახე მისი ნამუშევარი... ესე ბრძანებ, — თვალი უკეთეს ვერას იხილავს... რა სისწორეა, რა სიფაქიზე ნაკეთიერების...

თამარი. მაღალი ნიკის კაცი არის...

ქიაბერი. ვარძიის გამოქვაბულის საერთო გეგმა მოურთმევია სამს კაცს ხელოვანს...

(გადმოიღებს სამს დიდს ვრავნილს)

თქვენ ინებეთ, რომ შეჯიბრება ყოფილიყო...

თამარი

(თითქო ფიქრში წასული)

ჰოი, ვარძია!

(გამოერკვევა)

იყოს, კარგი. შემდეგ განვიხილავთ.

ქიაბერი.

(კრავიანს)

თქვენი რიგია...

**კრავაძე.** დიღო თამარ! ნება მიბოძე თვალთა შენთა წარმო-  
უდგინო ახალი პატარძალი, მეუღლე ჩვენის სარგისისა, შენის-  
მდივანის...

(თამართან მიიყვანს სარგისის ცოლს)

**თამარ.** მართლა, მართლა!.. თანასკერტელის ასულს ჯერ-  
ვერ ვიცნობ... საამურია!

(წამოდგება, მოეხვევა)

სარგის, სადა ხარ?

**სარგის.**

(მიდის მოკრძალებით, ხელზე ეამბორება)

**თამარ.** დამილოცნიხართ...

(ორივეს თავზე ხელს დაადებს)

ეცადეთ, რომ „წინ საწადელ აკენის დამდგმელნი, წმინ-  
დათ იცავდეთ დიღო სამარესა.“

(სარგის და მისი მეუღლე კალთაზე ეამ-  
ბორებიან)

**თამარი.**

(მოიხედას ხვაშაქისაკენ)

ოო, ხვაშაქ!.. სიკედილსაც დავიწყებინარ?..

(ტახტიდან რამოდენიმეზე ფეხს ჩამოდ-  
გამს, ხვაშაქი მიეგებება და ორივენი ერთ-  
მანეთს გადაეხვევიან)

ძლივს გამიხსენე... მამიდაჩემმა რუსულდანმა სულ წამართვა  
შენი თავი...

**ხვაშაქი.** გრწაჰდეს, მეფეო, საგინდ რომ ვიყო, შენზე ფიქ-  
რი გულს არ შორდებო...

**თამარ.** ო, რაზომი არის ჩემი სინარული?.. მაგრამ... ზეი-  
მის შემდეგ მოვიუბნებო...

(ადის ისევ ტახტზე და ხვაშაქიც თავის  
ალაჯას ბრუნდება)

**ხელისუფალი.** მუტაფრადინი მობრძანდება!

**კიაბერი.** აბა, მუტრიბნი!

(მუსიკა უკრავს საზეიმო ქართულ  
„წაა“-ს კარებთან მიეგებებიან ამირ-  
სპასალარი, კიაბერი, ზაქარია და ივანე.  
ორ წყებად გაუჩერდებიან, თავს ბიძკით  
დაუკრუნ, შუა გაუშეებენ)

იბ

(მუტაფრადინ თავის რამოდენიმე  
მხლებლით, რომლებიც კარებთან რჩებიან)

**მუტაფრადინ.**

(სპარსულათ გამოწყობილი, საამური სახის ვაჟაკი მდიდრულათ მორთული მოდის და თამარის ტახტის წინ დაემხოზა აღმოსავლეთურ ჩეულების თანახმად. მუსიკა შესწყდება. შემდეგ თავს აიღებს)

აღიღოს ალაჰმა შენი სახელი, მეფეთ-მეფეო თამარ... მაღლობის გამოსათქმელად და საბოდიშოთ ვეახელ ბრწყინვალეს და მაღალს მეფობასა შენსა... გამადლობ, გამოუთქმელად გამადლობ, რამეთუ მასწავლე მე—განლაღებულსა და ქედ-მაღლობით გამომყურესა, —თუ ვის სად რა შეენის!.. მეცნიერ მყავ საქართველოს წარმტაც სანახებისა, ქართველთა მოდგმისა თუ რაოდენ შეენიერ არს ბუნება ესე და რაოდენ მაღალის ნიკით შემკობილი ხალხი ესე. მე აქამდის ბრმასა გონებით, თვალთ ამიხილე და დამანახე თუ რაზომ დიდი, მაღალი და მიუწვდომელი მეფე ხარ... გონება-სრული, მხნე-გამგებელი და თან ღმობიერი და სათნო ხასიათითა... მე უგუნური ვით ვლამობდი შენსა ქმრობასა... არა თუ ხორციელი და ჩემებრ მომაკედავი, არამედ ანგელოსი უსხეულო უნდა იყვეს შენდა მეგობრად... ვინა არს ღირსი შენი ტოლობისა... მომიტევე, მომიტევე მე ზრახვანი ჩემნი, ხოლო ნუ უგულვებელს მყოფ, გამიხადო ნათესავად შენდა და იერთგულო ჩემი სიმხნე, ჩემი ვაჟაკობა. გამცნობდნენ უცილობლად, რომ გეაჯ: შენი ნახევარ-დაჲ, სირინოზი ცოლად გამატანო.

(ყველანი სირინოზისაკენ მიიხედავენ. სირინოზი მორცხვობით თავს ჩალუნავს)

**თამარ.** წამოდექ, მუტაფრადინ...

**მუტაფრადინ.**

(წამოდება)

**თამარი.** მე შენ არას გაყვედრი... კაცისა გულის საწადელი ზღვაა უძირო. ხოლო ამ ზღვის ბობოქრობას არ უნდა გადაყვეს ადამიანის გონება, უკეთუ ხედავს, რომ შედეგი არ მიეცემის საკეთილო... შენ გაიმარჯვე, მუტაფრადინ!.. ვინც თავის ღროსა და ალაგს მიაგნებს, ის გამარჯვებულთა... შენი მუღდარა კი ჩვენ ვიცით კარგა ხანია... ჩემი დაჲ სირინოზიც თანახმაა. მაშ, რაღა გვიშლის, რომ ეხლავე დაგლოცოთ. აქ მო, სირინოზ!.. უფლისწულო — მუტაფრადინ!

(ორივენი მიეღვენ. თამარი ლოცავს თავზე ხელის დადებით)

დალოცვილ იყავით ღვთისაგან და ერისაგან...

ყველანი. დალოცვილ იყვენენ, დალოცვილნი!..

(მგალობელნი შეასრულებენ ან „ისაია მხიარულს“ ან რაიმე ამ გვარ საზეიმოს, თამარის დალოცვის შემდეგ, მუტაფრადინ და სირინოზი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მოდიან და თავს უკრავენ დიდებულთ, შემდეგ ცალკე განმზადილ გვერდის ერთ-ერთ ტახტზე ჩამოსხდებიან თვალ-საჩინო ალაგას. ამასობაში გალობაც სრულდება)

**გამრეკელი.** ეხლა კი, მეფეო, გვიბრძანე გალაშქრებად სვესა ზედა სირინოზისსა.

**თამარი.**

(სახე მოელრუბლება)

გალაშქრებად?

**გამრეკელი.** თორემ ხმალი ქარქაშში ჩაგვიყანგდა... აი, დრტვინვენ მეომრები.

**ვინც გამრეკელს მოჰყვა.** დიალ. დიალ, ლაშქრობისა ნება დაგვრთე, მეფეო!..—დიდი ხანია მშვიდობიანათ ვართ, დაეჩაჩანაკლით!..—სპათა სიმხნე დაეიწყებასა მიეცა...

**თამარი.** მერმე მტერი სად არის?..

**გამრეკელთან მოსული.** მტერს რა ძებნა უნდა, ზენი კირიმე!.. ჩვენი საზღვრები გარდავხდეთ და ვეწვიოთ ხლათის სულტანსა; ან კიდევ ადარბაგანში შევიდეთ...

(აღლუხს)

მართალს არ ვამბობ, ყიფჩაყო?

**აღლუზ-ყიფჩაყი.** სწორია, მაგრამ მეონი დრო მოგვეახლა...

**სარაგის.**

(ანიშნებს აღლუხს, რომ მეტი არასთქვას-რა და ისიც ჩუმდება)

**თამარი.** არა, დარბაისელნო! უმიზეზო სისხლის ღვრა ღვთის საწყენი საქმეა და არც ქვეყანას მოუტანს სიკეთესა... ნუ გგონიათ, რომ ჩვენი მტრები გულ-ხელ დაკრფეილნი ისხდნენ. კიდევ ბევრ-გზის მოგვიხდება მათთან შებრძოლება... ჩვენ კი იქით ნუ დავესხმით, თავი დავიცვათ... სხვისი ნუ გვინდა, ჩვენსას ნუ გავატანთ. კაცთ ნათესაფსა შეუწახოთ ჩვენი ქვეყანა, ვითარცა აკვანი სილამაზისა, მალალ-ადამიანობისა და წმინდა ქრისტიანობისა. ჩვენი ქვეყანა ავაყვავოთ შინაგან და გაეხადოთ

მისაბაძი სხვათა მიერ, რომ შემდეგში მართლა დამყარდეს: „მშვიდობა მალალოთა შინა და კაცთა შორის სათნოება“. აი, რა უნდა იყოს ქართველების მთავარი საწადელი, ჩვენი მოვალეობა...

**ივანე.** (ზაქარიას)

საოცარი ქალია!

**ზაქარია.** (რწმენით)

წმინდანია!

(ამასობაში კიაბერს რალაც ჩასჩურჩულა მუტაფრადინმა)

**კიბერი.** მეფეო, უფლის წულს მუტაფრადინს უნდა შენდა საამებლად მათებური გართობა გიჩვენოს.

**თამარი.** საამურია!

(მუსიკა. მუტაფრადინ და სირინოზი შეასრულებენ „ოვშარი“-ს. მუტაფრადინი მღერის, სირინოზი კუკავს. სიტყვები ბესიკისა: „თმა ლულამბარ, ხმა-სირინოზ, წინამოს! და სხვ.“)

**ხვაშაქი.**

(კრავის მუტაფრადინზე)

რა არის? მსახიობია?

**კრავ.** მუშაითია! (ორივენი იცინიან)

**ხმები.** ბარაქალა, ბარაქალა! ვაშა, ვაშა!

## ივ

(ხელის-უფალი. შარვანშას კაცი. ამათ თან მოჰყვება ხონჩით მოცმე. ჭონჩაზე ოქროქსოვილი ქალის სამოსელი, ქოშები და გვირგვინი ალაგია. თავის დაკვრა მოსულთაგან).

**ხელის-უფალი.** მოურთმევეია შარვანშა აღსართანს, მეფის შეილსა. ორი კვირის სავალზე სდგას და ელის შენს დასტურს, მეფეო, რომ ღიოსი გახდეს შენი პირის ქვრეტისა...

**მუტაფრადინ.** (სირინოზს)

ჰა, ჰა, ჰა!.. აღსართანი?.. ეგეც თამარის ხელის მადიებელია...

**თამარი.** კიაბერო! დამისაჩუქრე ეგ კაცი...

(შარვანშას კაცი თავს უკრავს მეფეს და კიაბერის ნიშნებით გაჰყავთ)

გამოცხადდეს: ოდეს დანიშნული იქმნება სატფურება, კურთხევა მულანის არხისა, შარვანშა აღსართანიც იმ დღეს მიღე-

ბულ იქმნეს მულანს სრულის ზეიმით: წინ მიაგებეთ ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი, შემდგომად ჰერნი და კახნი, შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი, შემდგომად სომხითარნი, შემდგომად სვან-მეგრელ-გურულნი თან რაქა-თაკ-ვერ-მარგველითურთ. ხოლო თვით კარვის, ან სადა ჩვენ ვიქმნებით, კარის ხელისუფალნი და შინაურნი წესისამებრ...

**მუტაფრაღინ.**

(სირინოზს)

ხომ ხედავ, ჩემო თვალის ჩინო, რა პატივით მიიღებენ აღსართანსაც...

(ამოიხრებს)

იმასაც ჩემსავით მოუწვა...

**ქიაბერი.** აბა, ეხლა შუშპარი!

(ექვსი წყვილი ქალ-ვაჟი აღასრულებენ ძველ ქართულ—კადრილის მაგვარ ცეკვას-შუშპარს).

**თამარი.**

(ცეკვის დასრულების შემდეგ)

გმადლობთ ყოველთა! ივანე მხარგრძელიო! სტუმრები მოიწვიე პურობასა ზედა.

**ივანე.**

(თავს დაუკრავს)

**ქიაბერი.** დიდებულნო! დარბაზობა დასრულდა!

(მუსიკა უკრავს კვლავ რაიმე საზეიმოს და დარბაზის ერიც, მორიგისათ, მეფეს თავს დაუკრავს და გადის. მუსიკაც შეწყდება, ქორედიც დაიკლება. დარბაზში რჩებიან მხოლოდ თამარი, მისი გამდელი, დილ-ვარდისა, ხვაშაქი კრავაი და ქიაბერი)

**თამარი.** დილ-ვარდისა ეს მომხსენი!

(უჩვენებს გვირგვინზე და სამხრებზე)

მომიტანე ჩემი ფარფარა.

**დილ-ვარდისა.**

(მოხსნის ყოველივეს, რაც უბრძანა, და მონათმევეს თეთრს ლურჯ არშია-მოყვლეზულ წამოსასახამს, თავზედაც ლეჩაქის ზემოთ მცირე თავს დაჰხურავს და უკუდგება)

**თამარი.** აბა, ხვაშაქ. ეხლა მარტო ვართ. ყოველივე მიაშბე. მითხარ როგორ ბრძანდება მამიდა ჩემი დიდი რუსუდან?.. რა შემომითვალა?

**ხვაშაქი.** კურთხევასა და ლოცვას გიძღვნის, საყვარელო!.. გახარებულთა შენის ბრძნულის საქციელითა და მოქმედებით...

კრემლი ადგება თვალთ სიხარულისა და ამბობს — იმედები გა-  
მიმართლაო!..

თამარი.

(თითქო ფიქრში).

საყვარელი მამიდა!..

(გამოერკვევა)

ვერ დავაღწიე თავი მოვალეობას, თორემ აქამდისაც ვინა-  
ხულებდი...

(მხიარულად)

აი, არხის კურთხევას მოვრჩებით თუ არა, უთუოდ წავალ...  
ისე ხომ კარგათ არის?

ხვაშაქი. არა უშავს-რა... მაგრამ ერთსა ფიქრსა კი მოუ-  
ცვია... მეც მისთვის მოველ...

თამარი.

(თითქო მიხვდა, რაც უნდა ხვაშაქიმ უთ-  
ხრასო, გარინდლება)

ხვაშაქი. თამარ, თამარ! უნდა გვისმინო... უნდა გაჰყვე  
ქმარს...

თამარი.

(მოიღრუბლება)

ხვაშაქ! შენც მაგას მეუბნები?

ხვაშაქი. მეც გეუბნები. მამიდა შენიც ამ აზრისაა...

კრავაჲ. და მთელი სამეფოც ამას შეგთხოვს კარგა ხანია...

თამარი. მთელი სამეფო?... აკი ერთხელ შევესარულე მისი  
წადილი... ხომ მყავდა ქმარი?

კრავაჲ. მართალი ხარ და ისიც ძალათ თავს მოგახვეით...

ხვაშაქი. მხოლოდ მე არა... მე არა. გიორგი-რუსი მაში-  
ნაც არ მინდოდა...

კრავაჲ. ეგ სულ ერთია... მე თუ შენ არ ვიყავით თანახმა,  
საგრამ დარბაზის ერმა, დიდებულთა, მთელმა სამეფომ გამო-  
ათხოვა დასტური თამარს...

თამარი. შენ კარგათ იცი, კრავაჲ, განუშორებლად ჩემთან  
ყავ. სულით და გულით არ მინდოდა...

ხვაშაქი. და შესცდა ყველა. მართალია! შენც განსაცდელი  
მოგაყენეს... უღირსსა ქმარსა მიგცეს ცოლად...

თამარი. კმარა, მეყოფა... მეორეჯერ ნულარ შევცდებით...  
სართალი არის!.. ზოგჯერ, მეგობრებო, მომიცავს შიში: ვით  
მეძღვლებ მე, სუსტი ქალი, განგრძობას იმა დიად საქმისას, რაც

სამკვიდროთ დამიტოვეს ჩემთა წინაპართ. როს გაეიხსენებ გიორგის, ლომ-გულ მამაჩემსა... მის რკინის, ურყევ ხასიათსა, პაპა დემეტრეს და კიდევ უფრო დიდებულსა დაეითს, აღმშენებელსა...

**ხვაშაქი.** ეგ რა სთქვი, დაიაე? აღმშენებელს?... რა მოსწრებული ნათქვამია! სწორედ მან განაშენა ჩვენი ქვეყანა... ბრძენი ხარ, ბრძენი...

(ეხვევა)

არა! ეს უნდა ვუთხრათ სარგის თმოგველს, რომ ჩაიწეროს...

**კრავაჯ** მოიხსენიოს დავითი „აღმშენებლად“ და რომ—ეს პირველ თამარმა სთქვა...

## იღ

(გამდელი. მოაქვს ჩარჩოზე დახვეული, გაპენტილი, სასთავი მატყლი, თითისტარი და სხვა მოწყობილობა).

(განაგრძობს თავისას)

**თამარი.**

როს გაეიხსენებ მათ საქმესა...

(თან ჰკიდებს ხელს საქნარს. გამდელი ეხმარება).

**ხვაშაქი.** სწორედ ამიტომ გამოვძებნოთ კაცი ბრძენი და ღირსეული, რომელიც შენ ტვირთს შეგიძისუბუქებს...

**თამარი.** თუ სახელმწიფო ბედნიერებისთვის ამბობთ მაგას. მადლობა უფალს, გვყავს კაცნი განსწავლულნი, უებრო მეომარნი, ერთგულნი და გამოცდილნი. ხოლო თუ ჩემი საპირადლო კეთილდღეობა გალაპარაკებთ...

(ამოიხვრით)

თამარმა საპირადლო დასთმო დიდი ხანია...

(საქნარს მიატოვებს)

**გამდელი.**

(მუხლებზე მოეხვევა)

**ხვაშაქი.** ეგ არის კიდევ ჩვენი უბედურება!.. შენ, რომელიც ყველას უუქსა გვეფენ სიკეთისას, თვით პირადათ უბედური ხარ...

კრავაჲ. რაც იყო, იყო .. ჩვენი საწადელი ის არის, რომ არჩევანი ეგეთი იქმნეს, მოგვიტანოს ეგ ორმაგი ბედნიერება...

თამარი.

(თითქო ფიქრში)

ინდოვლებს აქეთ თქმულება: ხეხილი სხვებს უჩრდილებს, თვით კი იტანს მზის მცხუნვარებას, იგი თვის ნაყოფს ურიგებს სხვებს და თვით კი ამ ნაყოფით არა სტკება... მეფის საქმეც ეგრე ყოფილა... ამ აზრს კარგა ხანია შევეუბრე...

ხვაშაქი. ბრძენი ხარ, თამარ... ძლიერი გაქვს ხასიათი და საპირადლო ყოველი დასთმე, მაგრამ ვიმსჯელოთ ეხლა სახელმწიფოს მომავლისათვის... კარგი, შენ პირადათ ქმარი არ გინდა, მაგრამ შვილი არა გყავს... ტახტს მემკვიდრე ხომ ექირვება?

თამარი.

(ნაღლიანათ)

მაშინაც ამ საბუთით მომიქრეს სიტყვა...

ხვაშაქი. არ გახსოვს, მამი შენის გიორგის დროს ტახტის მძიებელმა, უფლის წულმა: დემნამ როგორი შფოთი გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში...

თამარი.

(სევდით)

უბელური დემნა... ო, ნუ მახსენებ ამ უბელურ კაბუჯის ბედსა...

ხვაშაქი. კიდეც ვერ გადიყარე შენ ეგ კმუნვა?... სასახლეში ვინ იცის მაშინ რა ხმები ქროდა...

თამარი. ვიცი... მამტყუნებდნენ — დემნას მხარი უჭირავსო... სხვასაც მწამებდნენ: ეტრფიალება უფლის წულსო... მეტად სასტიკად მოექცა მამა ჩემი...

ხვაშაქი. და აი, შენი მეფობის შემდეგ რომ არ მოხდეს არეგ-დარევა და შფოთი. ქვეყნისა... რომ შენს დიდებულს ტახტს არ გაუჩნდეს სხვა და სხვა მოცილენი, მემკვიდრე უნდა დაგვიტოვო...

კრავ. და ისიც ბაგრატიონთა გვარისა...

თამარი.

(შეკრთება)

როგორ? თქვენ ვის გულისხმობთ?

კრავაჲ. დავით სოსლანს... პატარაობით შენთან შეზრდილს, გაზრდილს დიდი რუსუდანისას.

ხვაშაქი. მალე მოვა შენთან დიდებულთა მოციქულები. თვით კათალიკოზიც გთხოვს და უნდა შეისმინო ჩვენი ვედრება.

თამარი.

(თავს ჩაჰკიდებს)

ეგ რა მითხარით?.. დავით, როგორათაც ძმა, ისე მიმაჩნდა... ჰოი, მეფობავ, რა სამძიმო ხარ! არ ეკუთვნოდე თავის თავსა... გულის რჩევას არ უგონებდე... მხოლოდ გონება, ცივი გონება, იყოს ვაზირი...

(ანახლათ გაახსენდება, თითქო ფიქრში)

ოჰ, რა სასტიკათ მოექცა ჰაბუკ დემნას მამაჩემი!.. დაასა-  
ქურისეს, ვაჟკაცს თვალეები დასთხარეს... აჰ!

(თვალეებზე ხელს მიიფარებს)

მისი მომხრენიც ყოველნი დასაჯეს...

(გამოურკვევა)

ვიღა გადარჩა მის მომხრეთაგან?

კრავ. შოთა ასათ—ვაჩეს ძე, ხელმწიფეო.

თამარი.

(სახე გაუნათლდება)

შოთა რუსთველი?

კრავაძე. დიად, მეფეო... დიდხნობით იყო გადახვეწილი... მოუვლია ბევრი ქვეყანა... მაგრამ ეხლა გავიგე, იღუმალათ და ბრუნებულა.

თამარი.

(ფიქრში)

უნდა დაიწეროს ესე ამბავი... რა სთქვი, კრავაძე, შოთა და ბრუნებულა? მერე სად არის?

კრავაძე.

(დაიჩოქებს)

ნუ შემრისხავ, ხელმწიფეო!.. მე გეაჯ დიდათ... შენის ღმობიერებით რამდენს ავაზაკს მიუტევე და ამ მოტევეებით კაცად გარდაქმენ... ეხლა შოთაც შეიწყალე... დემნას საქმეც ხომ გადავიდა... ხალხიც არას იტყვის ეხლა... კაცი ბრძენია, მგოსანი და ცის ნიქად მოვლენილი... იგი შენს ტახტსა მხოლოდ განაშვენებს...

თამარი. გულს ის ახარებს, რომ ეგეთი გონიერი დამხმარე მყავხარ...

(წამოაყენებს კრავაძის.)

წამოდექ, კრავაძე!.. კაცი განსწავლული, რიტორი, ბრძენი... ჩემს ტახტთან უნდა იყვეს, უეჭველია... დიდი ხანია მეც ვფი-

ქრობდი შოთა რუსთველზე, მაგრამ ვერარა გავიგე მისი... მითხრეს წავიდა, გარდინვეწა... კარგი! ზემით შევხვდეთ შოთას... არხის კურთხევის დროს უბრძანე, რომ ისიც მოვიდეს...

**კრავაძე.** (აკოცებს ხელზე)

ო, გულ-მეცნიერო, მეფეო ჩემო!

**თამარი.** (მოეხვევა)

**ხვაშაქი.** დავით სოსლანზე რას მიბრძანებ? მოვიდეს მოციქულები?

**თამარი.** ო, ჩემო ხვაშაქ, მაგ ერთგულ რჩევით როგორ მისერავ დაწყლულებულ გულს...

**ხვაშაქი.** ამ საქმეს არ ხამს დახანება... აგერ უბედური რუსი კარნუ-ქალაქს ჩამოსულა და შენს წინააღმდეგ ლაშქარს აგროვებს...

**თამარი.** (დიდათ გაიკოცებს)

როგორ? გიორგი რუსი?.. შეუძლებელ არს...

**კრავ.** ნამდვილ წყაროდან გაგებულია ეს ამბავი...

**თამარი.** ეს რა ვისმინე!.. ჰოი, კაცის უმადურობავ!.. მის საზიზღარი საქციელისთვის, სოდომური ცოდვის ჩადენისათვის მოკვდინებისა ღირსი იყო... ჩვენ გავისტუმრეთ ჯილდოთი, პატივით და მხოლოდ განვაძევეთ... ეხლა რა უნდა? ოჰ, ზოგჯერ ვით ბნელნი არიან კაცის ზრახვანი...

**ხვაშაქი.** ამიტომ უფრო გმართებს, თამარ, იქპარო კიდევ და დავით სოსლანი შეიუღლო...

**თამარი.** (არ უგდებს ყურს)

მერე, ვით შესძლებს ის რუსი, მართლაც უბედური, საქართველოში ფეხის შემოდგომას... ჩვენს ერისთვის სადლა წაუვა?

**კრავაძე.** ვაიმე, რომ უკვე მიუმხრია კიდევ გუზანიცა, ბოცო ჯაყელი და ვარდან დადიანიც...

**თამარი.** როგორ?.. დადიანი, ბოცო ჯაყელი და გუზანიცა?

**ხვაშაქი.** დიად, სწორია.

**თამარი.** აჰ, თავო ჩემო, ვით სტყუედებოდი... მეგონა თუ ყველა განვაგე... რომ ერთ-პირნი არიან ყველა... რომ საპირადო საწადელი სხვებმაც დასტოვეს.. მაშ, განსაცდელი კვლავ ჩემს სამშობლოს მოეცლინება?..

**ხვაშაქი.** არ შედრკე, თამარ, ქალთ სისუსტე არ მოგერიოს... მუდამ გახსოვდეს წმინდა ნინო: „არცა მამაკაცებაჲ, არცა დედაკაცებაჲ, არამედ თქვენ ყოველნი ერთნი ხართ“...

**თამარი.**

(ჩურჩულით იმეორებს პირველ ფრაზას, ბოლო ფრაზა კი გარკვევით მოისმის)...

არამედ თქვენ ყოველნი ერთნი ხართ...

(ფიქრში თვალები გაუშტერდება).

**ხვაშაქი.** მაშ, როგორ გვიბრძანებ, მოვიდნენ მოციქულნი?  
**თამარი.** ეხლა დამტოვეთ... ყოველივეს მოვიფიქრებ...

**ხვაშაქი.**

(თავს უკრავს და მიდის, მხოლოდ კრავის სიტყვებზე შეჩერდება):

**კრავ.**

(აგრეთვე თავს უკრავს. შემდგომ)

რუს-გიორგისთან ლაშქრობის თათბირზედაც ხომ იფიქრებ...  
**თამარი.** ჰო, ყოველივეზე, ყოველივეზე...

(უქნევს ხელს რომ წავიდნენ. ხვაშაქი და კრავი. გადიან. თამარი დაეშვება დახტზე და ცოტა ხანს ეგრეა. შემდეგ დილ-ვარდისას)

ხელის-უფალთ უთხარ, რომ დღეს ველარავის ვერ ეიხილავ... ააჰ!

(თითქო რალაც გაახსენდაო)

ვით დამაეიწყდა; წელიან რომ მითხარ—გლახაკი ქვრივი ვინმე არისო, მანდ იქმნება, შემოიყვანე...

**დილ-ვარდისა.**

(გადის)

**თამარი.**

(მოეხვევა გამდელს)

ჩემო გამდელიო!.. არ გეცოდება შენი თამარი?.. ყველას ჰგონია სვიანია, მორკმული და განლაღებული... უბედურია, პირიმზისა, შენი გაზრდილი... და მის გულს არავინ არ ჰყავს ვამკითხავი... მარტოა, მარტო!

(ცრემლები ერევა, გამდელის კალთაში თავსა დებს)

**გამდელი.**

(ეხვევა, ხელს უსვამს, როგორც ბავშვს, უალერსებს)

## იე

დილ-ვარდისა.

**დილ-ვარდისა.** შენი ბრძანება შევეასრულე... ქვრივი კი დიდი ხანია, რაც წასულა... ყოველი მხრით უძებნიათ კიდეც, მაგრამ ვერ უნახავთ.

**თამარი.**

(ამ სიტყვებზე სწრაფად წამოიკრება, შემდეგ თან და თან მკაცრი სახე გადაედება და იჩოქებს სახატის წინ, რომელიც ერთ-ერთ კუთხეშია მშვენივრად მორთული)

ღეთის მშობელო, დედაო. ღეთისაე... მომიტევე მე ცოდვილს თუ ამა ქვეყნიურ ვალთა მოხლამ ისე მომიცუა, რომ ვერ განვიკითხე გლაზაკი, მოყუასი ჩემი... სამაგიერო მიბრძანე რა გქნა?... კვლავ აღგიშენებ ტაძარს მშვენიერს მულანის ველზედ... მანამ კი აჰა...

(მოიძრობს ძვირფასს საყურეებს)

**საწინდარი...**

(წამოდგება და ჩამოსდებს ხატის თაროზე. ამ დროს გარედან მოისმის ხმაურობა)

## ივ

ვარამი. ხელისუფალი  
(გარედან)

**ვარამი.** ეგეც დაიწყეთ? მაშ, მეფესთან თქვენს მეტს აღარ ვის უშვებთ?

**ხელისუფალი.** (გარედან)

ბრძანება გვაქვს, არ ვინ შეუშვათ.

**თამარი.** (მოიხედავს)

რა ამბავია?...

**ვარამი.** (გარედან)

სტყუით ყველანი... ჩვენი პირობზე მაგას არ ბრძანებს...

(შემოდის. შემოყვება ხელისუფალი)

**თამარი.** (ხელისუფალს)

რა იყო? ვინ არის ეგე?

ხელისუფალი. ვერ მოვასწარი თქვენი ბრძანება სხვების-  
თვისაც გადამეცა, რომ უეცრად მოიქრა... არა სჯერა, რომ  
მიბრძანეთ, არავინ შემომეშვა...

თამარი. კარგი, მოვიდეს.

ვარამი.

(წინ წამოვა)

თამარი. რა გნებავეს, ძმაო?

ვარამი. ჯერ ის მნებავეს, რომ სულ მარტო ვიყენეთ, გითხ-  
რა პირისპირ, რაც კი მწალია.

თამარი. წადით ყველანი.

(ყველანი გადიან. თამარი ჩამოჯდება  
ერთ-ერთ ტახტზე)

გისმენ!

ვარამი. უნდა გისაყვედურო, პირიმზე... ეს რა ბრძანე-  
ბა გაგიცია: ჩემთან ნურავის შემოუშვებთო! თუ ჩვენ გვიყვარ-  
ხარ, ხალხი თუ პატივსა გცემს, იმიტომ რომ ღმობიერი ხარ,  
სათნო და გულ-გამკითხავი... იმიტომ რომ შენთან ყველას  
ხელი მიგვიწვდება. დიდსა და პატარას არ არჩევ, უგვარტო-  
მონიც, მდაბიო მონაც შენთვის იმდენათ ძვირფასია, რამდენა-  
თაც გვარიშვილობით მორკმული და სხვა დიდებით განლაღე-  
ბული... ყველას შეგვიძლიან მოვიდეთ შენთან და გაგიზიარო-  
თ ჩვენი შეჭირვება, ჩვენი დაღვინება... იმიტომ გვიყვარ-  
ხარ, რომ თამარ-ქალი ვერ მოგხიბლა ვერცა მეფობის ძალა-  
უფლებამ, ვერცა ფუფუნებამ... რომ მაინც ყველას თანაზიარ-  
ი ხარ... ხოლო, თუ ეხლა ეგეთი ზვიადობა დაიწყე და შენი  
ადამიანური გული დახშე ჩვენთვის, მაშინ, იცოდე, შენი  
ბრწყინვალე შარავანდედი ნაკლებ-ლა იელვარებს...

თამარი.

(ღმობიერთ)

შენ ვინა ხარ?

ვარამი. მე ვარამი ვარ!

თამარი.

(შეაჩერდება, ნელიად წარმოსთქვამს)

ვარამი?... საიდანა ხარ?

ვარამი. მულანელი ვარ... აი, იმ ქვეყნიდან, სადაც ეხლა  
შენ საშვილიშვილო საქმეს აკეთებ ვითომ... არხი გაყავს...

თამარი. როგორ? ხალხს არ მოსწონს არხის გაყვანა?..

ვარამი, ვინ ამბობს! მოსწონს კი არა, შენს სულს ლოცავს... მაგრამ შემცდარი ხარ შენ!..

თამარი. განაგრძე!

ვარამი. შენ ხალხს ძალით თავს ახვევ სიკეთესა და, მერწმუნე, თამარ, თვით სიკეთეც უღროოთ ქმნილი, უშედევგოა, ფუჭი და უსარგებლო...

თამარი. მაშ, ვით მოვიქცე?

ვარამი. თვით ხალხი უნდა გრძნობდეს მის შექირვებას... თვით მან მწვავეთ უნდა გამოსთქვას და მძლავრათ უნდა მოითხოვოს, რაც კი სჭირდება... ნაბოძვარი სულს არ ჩასწვდება, ზედაპირზე გადაუქროლებს, როგორათაც მწვავე სიცხეში უცებურათ მობერილი გრილი ნიაფი...

თამარი. და, თუ არ ამბობს ხალხი ამას? ჩვენ არ ვიზრუნოთ მის სიკეთისთვის?..

ვარამი. გზა გაუხსენი... თვითონვე იტყვის... დიღო თამარ! მომივლია მთელი ქვეყანა... ბედმა ისე იმუშავა, რომ ბავშვობისას ქარავენს გავეყვ და ვნახე ინდოსტანი, ეგვიპტე, იერუსალიმის წმინდა ადგილები, სადაც ჩვენი ბერები შემოქმედისადმი ლოცვას აღავლენენ და სასულიერო მუშაკობაში სიცოცხლეს ლევენ... ბოლოს ვიხილე ბიზანტია. შეძლებისამებრ ვუკვირდებოდი ხალხს, ზნეჩვეულებას და უნებლიეთ მახსენდებოდა ჩემი სამშობლო... დიდი და მდიდარია ეს ქვეყნები. ყველგან კაცის გონებას საცვიფრელი, თავისებური ცხოვრება შეუქმნია, მაგრამ ამა ნამოქმედარით, ამა სიმდიდრით სარგებლობენ მხოლოდ და მხოლოდ ნაწილი ქვეყნიერებისა, დანარჩენი უდიდესი რიცხვი კაცთა ნათესავისა კი მონობის უღელ-ქვეშ ლევს სიცოცხლესა... და ამ დროს განხდა ხმამილეთს ვიყავ მაშინ —,რომ საქართველოს ახალი მზე ამოუბრწყინდაო. ქვეყანას მართავს ნაზი ხელი მშვენიერი ვინმე ასულის. მივხვდი, შენ იყავ... მე რომ წაველ, გიორგი იყო, მამა შენი, მეფე ქართველთა... ქალი და მეფე! მხოლოდ ბაბილოვნელნი და მეგვიპტელნი იკვებდიან, რომ მათ ჰყავდათ ქალი მეფედ — სემირამიდა და კლეოპატრა!.. მაგრამ შევეკამათე: ჩვენში ქალი ბევრად თავისუფალია, ვიდრე თქვენი დამო-

ნებული დედაკაცი. ქალის გონებას, ხასიათსა ჩვენ თანასწორ მამაკაცთან პატივსა ვცემთ, სახელმწიფო ბკობაშიაც ჩვენი ქალი მონაწილეობს... გჯობნით-მეთქი. და მას შემდეგ გულს იმედი მე ჩამესახა. ლობიერი ქალის გული იფიქრებს ხალხის სიკეთეზე... მას გზას გაუხსნის, შეგნებას მისცემს, თვით მოიწვევს მათ რჩევის საკითხად, ჩაურევს სახელმწიფო საქმეებში და მხოლოდ დიდებულთა თანადგომითა არ დასჯერდება...

**თამარი.** მერე, მოსტყუელი?

**ვარამი.** ჰოც და არაც. შენ შემოკრიბე ტახტის ახლო კვიანნი, ბრძენნი, გვარ-ტომობასაც აღარ აქცევ ყურადღებასა, მაგრამ დარბაზის ერი მაინც შესდგება დიდებულთაგან... მათ მაინც თვისი საპირადო გულთ უძევთ მარად და ხალხი კი... ხალხი ისევ უღელ-ქვეშაა!

**თამარი.** თავს არ ვიმართლებ, მაგრამ შენვე ამბობ, არსად ხალხი თავისუფალი არ არისო...

**ვარამი.** რა ეუყოთ მერე!.. აქ, საქართველოში შეიძლება... ბევრში წინ გაუსწართ სხვებსა: სიკვდილითა აღარავის ვსჯით, ქალი თანასწორია მამაკაცთან... ერთი ნაბიჯიც და... ხალხი ვახდება თვითმპრობელი!

**თამარი.** თვითმპრობელი?..

**ვარამი.** შენ სწორედ ამ აზრს უნდა ეტრფოდე... მისთვის სცოცხლობდე, მისთვის მოკვდე... ეს ნიადაგი უნდა დაამზადო. თუ ეს არ მოხდა, დიდებულებით შორს ვერ წახვალ... შენი სახელი, როგორც ეხლა, კიდე უფრო მოეფინება მთელს ქვეყანას, მგოსნები შენს სახელს აღამაღლებენ და შთამომავლობა, ვით პიროვნებას, უკვდავ ძეგლს დაგიდგამს გულში, მაგრამ საქმენი შენნი სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანენ... თუ თვით ხალხი არ ამოძრავდა და არ შეიგნო თავისი ქვეყნის დანიშნულება, დიდებულები დაამხოვენ შენს საყვარელ საქართველოს. გასწეწავენ, დაასუსტებენ და ესეთ დაფლეთილს მიუვადებენ ვისმე უცხო მტერს... მერე, განა, შენ ეგა გსურს, ამას მიელტვი?..

თამარი.

(ფიქრშია)

ხალხი... ვარამი!.. ვარამი... ხალხი!

ვარამი. აი ესეც, საგულისხმო შემთხვევაა: მულანის არხი! შენ იქ დანიშნე არჯევანი ზედამდგომათ, არხის გამყვანად. მართალია უგვარტომოა, ნიკიც შესწევს და საქმეც ესმის... მაგრამ ჩქარია და დარბაზის ერში დიდხანს ყოფნას თავისი დალი დაუმჩნევია. მულანს ყოფნის დროს, საქმეს იმდენათ ყურს არ უგდებდა, რამდენათაც იქაურ მოხუც მკედელ ბერდიას ასულს გულსუნდასა...

თამარი.

(გაიღიმებს)

ტრფიალება ქაბუკთ წესია...

ვარამი. არა, ეს არ არს ტრფიალება წმინდა, ზევსური... ქვენა-გრძობების ნაკარნახი, მონაბერია... და მე არ მჯერა,— ამ კაცს არხის საქმეში სიჩქარით რამე არ წაეხდინოს... მუშებიც შეუბნებოდნენ, რომ ღარეშაპის ოწინარები ეოტა სუსტია... ამბობენ უკვე თითქო დაასრულა სამუშევარი, ვადას დაასწრო... არ მომეწონა მე ეგ კაცი და ერთხელ ვეკვეთე. ვამხილე ყველა, რაც გულში მქონდა... იმან კი, იმან თავ-სიცილი გადამაყარა და მითხრა—შენ ის გაღელვებს, რომ გულსუნდას გეცილებიო!..

(აღელდება)

ოო, ის საზიზლარი! მივევარდი და ჩემის ხელებით კინაღამ დავაღრჩე...

(დამშვიდდება)

გაგვაშველეს...

(ჩამოჯდება)

თამარი.

(გაიღიმებს)

ოო, ეხლა კი ბევრი ირკვევა...

(მიდის ვარამთან, მხარზე ხელს დაადებს)

გიყვარს გულსუნდა?

ვარამი.

(ახედავს და გულ-ასდილობით)

თამარ, გულს უნდა.

თამარი.

(გაიღიმებს)

ტურფა არის?

ვარამი. არა, არ არის შეენიერი, მაგრამ ისეთი მომხიბლველია მისი უმანკოებით, სიკისკასით, ისეთი უზადო ბავშვია, რომ...

**თამარი.** მასაც უყვარხარ?..

**ვარამი.** ბავშვობაში ერთად ვიზრდებოდით... და ეხლა, როდესაც შორიდგან დაებრუნდი, როს ვნახე უკვე კეკლუცი, მოზრდილი გოგონა... ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... ოჰ, ისეთი უღურბლოა მისი არსება, თუ არჯევანმა შეარყია მისი სულის მშვიდობა, არ ვიცი მაშინ რას ჩავიდენ...

(თითქმის ცრემლი ვრევს).

**თამარი.** კარგი, დამშვიდდი. არხის კურთხევას ამ ცოტა ხანში დაენიშნავ. მაშინ მოვალ და შენს საქმესაც საკეთილოდ დავაგვირგვინებ... ეხლა კი გასწი და კართან მდგარ დარაჯს უთხარ, რომ შემოვიდეს.

**ვარამი.**

(დგება, მოწიწებით თავს უკრავს და გადის)

## იზ

დარაჯი შემოდის და თამარის წინ დგება.

**თამარი.** კიაბერს მოახსენე, რომ დღეს ნადიმზე არ ვიქმნები.

(დარაჯი თავის დაკვრით გადის. თამარი მატყლს მიუჯდება სართავად, მაგრამ ფიქრი მოიცავს და თვალი გაუშტერდება)

ს ა ნ ა ხ ა ვ ი ი ხ უ რ ე ბ ა .

### სანახავი მესამე

ტრიალი მინდორი მუღანს. მხოლოდ შორს მოსჩანს ლურჯად მთები, თითქო ზღვის აზვითებული ტალღებიაო. მინდვრის შუაზე გრძელ და სწორ ხაზად გაყვანილია არხი, რომლიდან ამოყრილი მიწაც ბეჭობათ არის შემალღებული. იქა-აქ ამ შემალღებულს ახლად ამოსული ბალახი მოჰრევია. არხის კიდებზე, შუა ალაგას მალა-ლი კამარაა შეკრული, ფოთლებითა და ყვავილებით შემკული. კამარის თავზე ყვავილებითვე გამოყვანილია: „მუღანის ველი ქედს გიხრის“. კამარის ქვემოთ კი ამალღებული ბაჭანია ლურჯი ქსოვილით დაფენილი. მაგრამ ყოველივე ამას დრომდე თეთრი საბურველი აქვს გადახურული. გარიჟრაჟია, საკმაოთ ბნელა.

## ა

ვარამი. სოსე.

**ვარამი.**

(შემოდის და დაინახავს კამარას)

აჰა, ესეც გაუპართავთ... ყოველი მხრით ემზადებიან საზეიმოთ... არაფერმა არ გასკრა... არც შეგონებამ, არც მუდარამ, არც დამტკიცებამ... უფროსებმაც შეამოწმეს, რომ ღარეშაპიც ვარგა და ოწინარებიც ჩინებულა... ჰა, ჰა, ჰა! გამარჯვება შენ დაგჩა, არჯევანო, მაგრამ ენახოთ ბოლოს ვინც გაიცინებს...

**სოსე.** გეყოფა ეხლა, ვარამ... უკვე ყოველივე გათავებულა და ბედს უნდა დაემორჩილო.

**ვარამი.** ჰმ... ბედს დაემორჩილო!.. არა, სანამ ძარღვებში სისხლი მჩქეფარებს, ბრძოლას არ მოვშლი... სცდებიან ყველანი, ან არა-და, არჯევანმა გაიღო ქრთამი და აი შეემხრენ...

**სოსე.** არა, ვარამ, მაგის თქმა ცოდვა იქმნება... შენც ხომ ნახე ის დიდებული, შესამოწმებლათ რომ მობრძანდა... ისეთი დარბაისელი, კეთილ-შობილური სახე აქვს...

**ვარამი.** რომ დავუმტკიცე?.. შენც ხომ ნახე ოწინარებზე ცოტა შეეყოყმდა. რომ დავანახე სუსტია-მეთქი, მოჩქარებულათ ნაკეთები და უხეირო მასალა?

**სოსე.** შემდეგ ხომ დიდ-ხანს სინჯა იმანაც და მომყოლებმა, მაგრამ ბოლოს ის დაასკენეს, რომ გამოდგებო...

**ვარამი.** ოჰ, მიმდგომნი და მოსყიდულნი!

**სოსე.** მაინც იმათ უფრო იციან საქმე... შეიძლება, რომ ჩვენ მართლა ვცდებოდეთ...

**ვარამი.** ჰმ... შენც ეგრე სოსე!

**სოსე.** არა, მე შენთან ვარ სულით და გულით... მრწამს შენი გულწრფელობა, მაგრამ ეხლა კი დავეხსნათ, დავშვიდდეთ, რადგან დროებით ხომ გამოდგება ეგ ოწინარებიც, წყალი ხომ გადმოირბენს ამ არხში... საშვილიშვილო საქმე ხომ

მინც გაკეთდება... და, თუ რამე წახდა, ხომ მერეც შეიძლება კვლავ შეკეთდეს...

(თანდათან ნათდება)

**ვარამი.** მერე ამდენი ნაშრომი? ამდენი ჯაფა, ხალხის გარჯილობა? ამან ყოველივემ უქმად უნდა ჩაიაროს? ისევ ხელახლა საკეთებელი უნდა შეგვექმნეს, რაც ერთმა ცუდლულტმა კარის კაცმა საპირადო გულის თქმით ასე შეხანხლა?!

**სოსე.** მაშ, ეხლა რას აპირებ?

**ვარამი.** ისევ ხალხმა უნდა ამოიღოს ხმა და... თუ უმრავლესობას არ ესმის, უმცირესობამ მინც უნდა გამოსთქვას, რომ ხალხის ასე აბუჩად აგდება შეუძლებელია...

**სოსე.** რომ გაგვამტყუნებენ... რომ გვეტყვიან: შემოწმებულთა მკოდნეთაგან და ყოველივე რიგზეაო? ეს ხომ უმიზეზო ამბოხებას ემსგავსება?

**ვარამი.** მაშ, აღარავინ აღარ მომყვება?

**სოსე.** არა, შენი მომხრენი შენთან ვიქნებით მუდამ-ყამ, მხოლოდ საბაბი მძლავრი უნდა გექონდეს, ურყევი საბუთი.

**ვარამი.**

(თავ-დავიწყებით)

აჰ, არავინ არ მინდიხართ... მე თვით დავამხობ, მოვშლი ღარეშაპსაც, ოწინარებსაც და ამას, ამ საზეიმო კამარასაც თეთრად რომ შეუსულდრავთ...

(გამორეკვევა. პირს იბრუნებს კამარისაკენ, იჩოქებს)

მხოლოდ შენ არა, თამარ, შენ არ გეკუთვნის ჩემი გულის წყრომა... შენ უზადო ხარ... დიდებულ საწადელთა სასარგებლოთ გვიხორციელებ...

(აქა-იქ ჩნდებიან საზეიმოთ მოსული სოფელეები)

მხოლოდ ერთში ხარ შემცდარი, რომ დიდებულთ დაყრდნობიხარ და ჩვენ კი არას გვეკითხები.

**სოსე.** უკვე კრებიან...

(ხელს ჰკიდებს ვარამს)

გავეცალოთ აქაურობას. დამშვიდდი ეხლა, დაისვენე და ყოველივე დინჯი გონებით განვსაჯოთ და გავისაზროთ... ჩვენ კი შენთან ვართ, ეს ღრმად გწამდეს...

**ვარამი.**

(ყურს არ უგდებს)

ღიად, გადაწყდა... სწორედ ესე სჯობს...

(თითქო უნებლიეთ მიჰყვება სოსეს, მაგრამ უეცრად შეჩერდება)

მაგრამ, გულსუნდა?... ის უმანკო, ტურფა, სასურვი? ოჰ, გულო, გულო არ დაირღვე... კვლავ გასაღკლდევი.

(ხალხი კიდევ და კიდევ ემატება)

აგერ გულსუნდაც!

სოსე. და მამა მისიც... ჩვენი მკედელი!.. ნურას ეტყვი, თუ გითხრას რამე ღარეშაპზე, ან თუ დაგცინოს... ხომ ვიცით. შენი მოწინააღმდეგეა...

ვარამი.

(სუსტათ იღიმება)

განა ვისაც ეგეთი ტურფა ქალი ჰყავს, აწყენინებენ?

სოსე. აი, ეგრე არა სჯობია, გამზიარულდი! თითქო ფერიც კი მოგივიდა.

ბ

(ბერდია. გულსუნდა და გოვილო. გულსუნდას მოქსოვილი ხალიჩა იღლით მოაქვს).

ბერდია. ეჭე, სახლიკაცებს გაუმარჯოს. თქვენც ესე აღრე წამოსულხართ?... ჩვენ სოფლელებს ყველას დავასწარით.

(გულსუნდაზე)

არ დამაყენა. მთელი ღამე არ უძინია. იქ მივიდეთ, საცა თამარის კამარა იქმნებაო.

(გულსუნდას)

აჰა, ესეც კამარა!.. დო, შენა ხარ, ვარამ! ეხლა როგორ გუნებაზე მყევხარ? ა? ტყუილი რომ გამოდგა! არც ხეები ყოფილა დამპალი და ჩემი ნაქედი საღტეებიც ისე უქერს, თურმე, როგორც მარწუხი...

ვარამი.

(მძიმეთ თავს უკრავს)

ჩემი საღამი ბედნიერ მკედელს...

ბერდია. შენ, ეი! როგორ დიდ-კაცურ ჰანგზე მესაუბრები? ჰო. უცხო ქვეყნები მოგივილია და...

გულსუნდა. მამი!

ვარამი.

(გულსუნდას)

არა, ნუ გეშინიან, ჩვენ აღარ ვიჩხუბებთ... მე კარგა ხნით მოგწორდებით და მინდა უოველივე დავივიწყო უსიამოვნება... გამოთხოვების ჟამს, რომ გულს ხინჯი აღარ ჰქონდეს...

ბერდია. ( გამოთხოვების ჟამს?! )  
სოხე.

ვარამი. (სოსეს)

არა, არაფერია!.. მხოლოდ უკანასკნელად ორიოდ სიტყვა მინდა უთხრა გულსუნდასა.

ბერდია. (ზურგს შეაქცევს და სოსესაც ხელის მოკიდებით მიაბრუნებს. თან ხელს ჩაიჭნებს)

ეგ ყოველთვის უცნაური იყო.

(მოდის არხისკენ და რალასაც ელაპარაკება სოსეს)

ვარამი. ო, გამარჯვება, გოგილო! ეგ რა ამოგიჩრია ილღიაში?..

გოგილო. გულსუნდას ხალიჩა... გაგიმარჯოს!

ვარამი. (გულსუნდას)

ჰოო, უკვე დაამთავრე კიდევ? გამოიყვანე შენი უცნაური ყვავილები?

გულსუნდა. გამოვიყვანე.

ვარამი. ხომ ბედნიერი ხარ, გულსუნდა? საწადელს ეწიე, აი, ხალიჩა სულ მოქსოვე...

გულსუნდა. რა ვიცი?

ვარამი. ბედნიერი ხარ, ბედნიერი... და, აი, მე კი... ჯერ ვერ მოვქსოვე ჩემი ხალიჩა...

გულსუნდა. (გულუბრყვილოდ)

შენც იცი ქსოვა?.. როდის ისწავლე?

ვარამი. ჩემი საქსოვი სულ სხვა გვარია. მხოლოდ სისხლით მოიქარგება მისი სახეები.

გულსუნდა. ეეჰ, შენ კიდევ უგუნებოთ ხარ?.. კვლავ ნაღვლიანი?

ვარამი. დიად, ნაღველი, სევდა, განუყრელი მეგობრებია!.. და შენ კი... აი, რა მშვენიერი დღე თენდება! ცა უღრუბლოა, წმინდა, კრიალა... საცაა ამოვა მზე და თვის ოქროს ისრებს შემოგვეტყორცნის, მაგრამ არ გატყენს სხეულს... აჰ

ამებს ჯილათ დაედგმევი და ტანს მოგიქარგავს... შემდეგ მო-  
ვა სხვა მზე, პირიმზე თამარ... ფეხ-ქვეშ გაუშლი შენს ხალი-  
ჩას და ისიც მოგილოდერსებს, თავზე ხელს გადაგისვამს... ეჰ!  
აბა ნახვამდის!

გულსუნდა. სად მიდიხარ?

ვარამი. არხის სათავეზე. შენც ხომ მოხვალ?

გულსუნდა. სათავეზე? მერე თამარი? შენ კი არ ნახავ?

ვარამი. არა მგონია... კარგი იყო მოსულიყავი, გეტყუდი  
რასმე...

(სულ გათენდება)

აი მზემ უკვე ამოანათა... ნახვამდის, კარგო! აბა სოსე! მო-  
დი: წავიდეთ!

(გაენართება საითაც არხის სათავეა.)

სოსე.

(მიდის)

წანდეთ სად მიხვალ?

ვარამი. სათავეზე.

სოსე. აკი უნდა დაგესვენა?

ვარამი. არა, ვნახავ უკანასკნელათ...

(მიდის)

სოსე.

(მიმავალი)

წელან რა სთქვი... კარგა ხნით მოგშორდებითო?

ვარამი. ჰო, ეგ...

(მოიფარებთან).

(შორიდან მოისმის სიმღერის გუგუნა.  
ხალხი კიდევ და კიდევ მატულობს)

(გოგილოს)

გულსუნდა.

ნეტა რას მეტყვის?

გოგილო. უნდა წახვიდე?

გულსუნდა. ჰო, აი მეფეს ხალიჩას მივართმევ და...

(მიდევბიან)

## ბ

(უაქარია. ივანე. რამოდენიმე ხე-  
ლისუფალი.)

ზაქარია. კენწლაობაც ხომ იქმნება?

ივანე. მზად მყავს კაცები. გინდა გაესინჯოთ?

**ზაქარია.** კარგი იქმნება, რომ არ შევრცხვით...

**ივანე.**

(ერთ-ერთ ხელისუფალს)

აბა, მოაყვანინე.

(ხელისუფალი გადის)

**ზაქარია.** საამური დარი დგება. ხალხიც ბლომათ თავს იყრის. მე მგონია მეფეს დღეს გავახარებთ. თუ გაიგე, რა გუნებახეა?

**ივანე.** კრავაჟს შევხვდი წელან. ვერც მგზავრობამ და ვერც ღამის ტეხამ კვალი ვერ დაამჩნიეს: ხალისიანად და მხნედ არის. თქვენ რა ჰქენით?

**ზაქარია.** ლაშქრისას მკითხავ? ყიფჩაყნი და როქის სპა, ხომ შენც იცი, უკვე მზათ არის. საერისთვოებიდან კი ამბავი მოვიდა, რომ ირაზმებიან. რუს-გიორგის არას გავატანთ, მხოლოდ მეფის ბრძანებისამებრ ჯერ მშვიდობიანი მოლაპარაკება უნდა გაემართოს.

**ივანე.** ჰო. ხვაშაქი დღევანდელ ზეიმიდან პირდაპირ მდის ლიხთ-იშერეთს.

**ზაქარია.** თან ვინ ეახლება?

**ივანე.** საპატიო დიდებულნი და სარგის თმოგველი.

**ზაქარია.** ო, სარგისი? მოსაწონია.

## დ

(ხელისუფალი. ორი მოკენწლავე).

**ივანე.** აბა, მოვიდნენ მოკენწლავენი.

(მოკენწლავენი თავს უკვრენ ივანესა და ზაქარიას).

**1 მოკენწლავე.** გვიბრძანებ შებმას?

**ზაქარია.** ჰო, აბა, თქვენს გაზრდასა, ერთი მანახვით.

(მოკენწლავენი გამართავენ კენწლაობას. ხალხი მათ გარშემო შეჯგუფდება. ბერდია, გულსუნდა და გოგილო ერთ მხარესა დგანან, ზაქარია და ივანე შუაში. შორიდან მოისმის სიმღერა. კენწლაობის გათავებისას, მოედანზე შემოვარდება ბურთი, რომელსაც მოსდევს რამოდენიმე მობურთალი ყიფინით: „არ გაუშვა, არ გაუშვა!“ ერთ-ერთი მობურთალი ბურთს

ხელში ჩაიგდებს და მას შემოესევინ  
სხეები, მობურთალები თანდათან ემატე-  
ბა. ამ დროს ზაქარია დასძახებდა:

**ზაქარია.** არა, ძმებო! აქ ბურთაობა უხერხულია. მეფეს შე-  
ვაწუხებთ, იქით, მინდორზე გასწიეთ.

**მობურთალები.** ლელოსკენ, ლელოსკენ!

(ხრიალით გააქეთ ბურთი და გადიან)

2

(ქიაბერი)

**ქიაბერი.** სალამი მოძმეთ!

**ყველანი.** სკოცხლობდეს ქიაბერი!

**ქიაბერი.** ხალხო! პარაკლისი უკვე დასრულოდა. მეფის თა-  
ნადასწრებით წყლის სათავე უკვე აკურთხა კათალიკოსმა. დი-  
დებულათ და ზეიმით ჩაიარა სატფურებამ. ეხლა მეფე აქ მო-  
ბრძანდება და შემდეგ წყალს გამოუშვებენ არხში. ჩემი და-  
რიგება არ გინდათ, მხოლოდ გაგახსენებთ, რომ, ვით სჩვევია  
ქართველ ხალხსა, ესეთ ზეიმის დროსაც, თვითონვე დაიცავთ  
წეს-რიგს და ამით კვლავ გაახარებთ დიდებულ მეფის გულსა.

**ყველანი.** ღმერთმა გვიცოცხლოს დიდებული თამარი.

**ქიაბერი.** როდესაც მეფე მობრძანდება, საყვირის ხმითა  
კვამპნობენ წყლის გამოშვებას. ეხლა კი, მოყმენო, მოეხადოთ  
კამარას საბურავი!

(კამარას საბურავს მოხდიან. გაოფიან  
შონისმის სამგზავრო სიმღერა მეფის ხო-  
როსი)

**ხმები.** ჩუმაღ. სალხო, მეფე მობრძანდება, მეფე!..

(ხალხის ხრიალი თანდათან წყდება, სიმ-  
ღერა ძლიერდება, ახლოდება. მოყმენი.  
ხალიჩებს გააგებენ თამარის ბაქანზე).

3

(თამარი. სოფლის დედაკაცები  
თამარი შუაშია, ირგელივ სოფლის დე-  
დაკაცები მხიარულ ტანისამოსში გამო-  
წყობილნი შემოაქვებიან. როგორც კი  
თამარი გამოჩნდება, დამხედური სოფ-  
ლის ქალებიც მისკენ წავლენ)

**დედაკაცები.** უი, უი, შენ კი გენაცვალეთ, ჩვენო ბრძენო,  
ჩვენო ანგელოზო!

(ზოგი კალთას უკოცნის, ზოგი ხელს. თამარი მომღიშობს)

**ერთი დედაკაცთაგანი.** ძლივს არ გველირსა შენი ნახვა, ზენო მნათობო!

**ხანში-შესული დედაკაცი.** უმ, გენაცვალეთ, მართლა პი-ნიმზე არ ყოფილა!..

**მეორე.** უი, დედა, დედა! შენ კი შემოგველე და შენი ქი-ნის სანაცვლოთ ჩვენი თავი!..

**თამარი.** იცოცხლეთ, იცოცხლეთ, მხნეთ და კარგათ იყუ-ქით! ღმერთი თავის მოწყალებას არ მოგვაკლებს და აღამიანებმა, ნაც კი ძალ-გვიძს, ერთი-მეორისათვის უნდა ვიზრუნოთ...

**დედაკაცები.** უი, უი, შენი კვნესა მე, შენი!.. შენ კი დაგენაცვლეთ!

(ამ სურათის დროსვე შემოდიან: ხვაშაქი.. კრავაი, რამოდენიმე შიმენვარი, გამრეკე-ლი-თორელი, სარჯის-თმოგიელი, ალღუხ-ყიფჩაყი და სხვა დიდებულნი).

**ქიაბერი.** დიდებულო მეფეო! როგორც კი ყოველივე მზათ ქმნება, საყვირის ხმით გვაცნობებენ წყლის გაღმობებებს.

(ქიაბერის მიმართვაზე დედაკაცები თამარს შემოეცლებიან)

**თამარი.**

(ადის კამარის ბაქანზე. მიმავალ ხალხს თავს უკრავს. სიმღერა შეწყდება)

აქედგან კარგათ მოსჩანს სათავე?

**ქიაბერი.**

(კოვრს პიართმევს)

ღილა, მეფეო! აქედგან სათავემდე ერთი ფარსანგი თუ იქმ-ნება და ეს ადგილი მიტომ არის მოხერხებული, რომ ყოვე-ლივე ნათლად გამოჩნდება: ღარეშაპის აწვევაც და თვით წყლის გაღმობებაც.

(ბერდია, გულსუნდა და გოგილო უან-ლოვდებიან მეფეს)

**ქიაბერი.** აა, გამარჯვება, ბერდია!.. რა გინდა?

**ბერდია.** მეფეს მინდა ვეახლო, შენი კირიმე!

**თამარი:**

(მოიხედავს)

რა იყო? რა ამბავია?

**ქიაბერი.** აი, ესენი გახლავან...

**თამარი.** აა... მგონი ვიცანი!... ეს აქაური მკედელი არ არის?

**ბერდია.** გახლავარ, შენი კვნესა მე! ეს კიდევ ჩემი ქალი გახლავთ, გულსუნდა... ცოტა რამ თავისი ნახელოვნევი მოგართვა...

**გულსუნდა.**

(გაწითლებული გამოართმევს გოგილოს ხალიჩას, ფეხქვეშ გაუფენს თამარს და კალთაზე ეამბორობა)

**თამარი.**

(წამოაყენებს გულსუნდას)

მაშ, ეს არის გულსუნდა?

(თავზე ხელს ვადუსვამს)

გმადლობ, შეილო!.. ხელოვანი ჰყოფილხარ...

(ბერდიას. როშელიც ქარკაშიან დანა აწედის)

ეს რაღაა?

(გამოართმევს, სინჯავს)

ოჰ, ლამაზი არის... წარწერაც აქვს?.. 'შენ გამოსქედე, ჩემო მოხუცო?'

**ბერდია.** შენი საკადრისი ვერ გახლავთ, მაგრამ რაც შევიძელ, ის გაახელ...

**თამარი.**

(კნობებს)

საბოძვარსა ნუ დაიშურებ.. შენ კი, გულსუნდა, ცოტა რამ საქმე შენთანაც მაქვს... ზეიმის შემდეგ წამომყვები...

**გულსუნდა.**

(შეეშინდება. შემკრთალი)

შენ წამოგყვე?

**თამარი.** რისი შეგეშინდა? ჩემთან არ გინდა?

**ბერდია.** ვინ ღირსა მაგ ბედნიერებას... ერთად ერთი მყავს, ნუგეშად მხოლოდ ეგლა მივის, მაგრამ თუ შენთვის საქირაა, დიდო მეფევ, გყავდეს, შენი ქირის სანაცვლოც ვამხდარიყოს...

**გულსუნდა.** მეფეო...

**თამარი.** რა გინდა, შეილო?

**გულსუნდა.** ნუ წამიყვან სასახლეში...

**ბერდია.** რას შერები, შეილო. ვით ეურჩები ბატონის ბრძანებასა?

**თამარი.** მე ეს არ მითქვამს--საქულამოთ წაგიყვან-მეთქი... მინდოდა მხოლოდ ზოგი რამე შეკითხა შენთვის... ვარაძი აქ არ არის?

**ბერდია.** აქ გახლდათ წელან, ხელმწიფეო!

თამარი. ივანე! უბრძანე, რომ ვარამი აქ მომიყვანონ.

ივანე. (განკარგულებას ახდენს და ერთი ხელი-  
სუფალთაგანი გადის შესასრულებლათ)

კიაბერი. (კოტაოდნათ შემფოთებული გამრეკლს)

რათ იგვიანებს საყვირის ხმა... წყალს რათ არ უშვებენ?

გამრეკელი. უთუოდ ვერ მოასწრეს...

კიაბერი. ამდენი რა უნდოდა?

თამარი. (გულსუნდას)

მაშ, რომ მნდომოდა შენი წყევანა, მამას ვერ დასთმობდი?

გულსუნდა. შეფევე, ნუ გამიწყრები...

თამარი. არა, შეილო! იყავ ბედნიერ!

(გულსუნდა და ბერდია თავის დაკვრით  
გამოეთხოვებიან შეფეს და უკუდგებიან)

კრავაჟ!.. შენ რომ დამპირდი! შოთა. რუსთველს დავიბა-  
რებო! აკი დღეისთვის დავუნიშნე რომ მოსულიყო!

კრავაჟ. ვაცნობე, მეფევე!.. უთუოდ უბრალო შემთხვევაა,  
დაავგიანდა, თორემ უთუოდ გვახლებათ...

(საუვირის ხმა. ყველანი არხის ბეჭურისა-  
კენ შეჯგუფდებიან. თამარი კოვრში იხე-  
დაბა. პაუზა მოლოდინისა)

კიაბერი. (კვლავ გამრეკლს)

წყალი რათ არ მოდის?.. ღმერთო, რას აგვიანებენ?

გამრეკელი. საცვიფრელია!

ზაქარია. ხომ არა მოუვიდათ რა?..

ივანე. აკი ხუროთ-მოდღვართ შეამოწმეს...

კიაბერი. რაღა თქმა უნდა ყოველივე რიგზე იყო...

(ხმაურობა ხალხში):

— წყალი არ მოდის!

— ეს რას ნიშნავს?

— ვით მოვტყუვდით?..

— მართლა ხომ ცუდათ არ იყო ნაკეთები?

— ეეჰ, სულ ტყუილია!

— ჩემის თვალითა ვნახე!

— შემოწმებულია კიდევ!

— ჩუმად, ჩუმად!

(უეცრად მოისმის წყლის ხმა. არხში რო-  
გორ მოქშუის)

**ხმაურობა:** წყალი, წყალი!  
**ქიაბერი.** მადლობა ღმერთს!..  
**გამრეკელი.** ძლივს... მომილოცავს, ქიაბერო!..  
**ხმები:** — დაიცათ, დაიცათ!..  
 — ხალხო, ეს რა არის?..  
 — სისხლი, სისხლი!

(თანდათან ეს ხმა და განსაკუთრებით სიტყვა „სისხლი“, რაღაც საშინელ გრგვინვით იქცევა ხალხის პირში. ქალების საშინელი წივილ-კივილი, მამაკაცთა ყიყინა. ზოგი გარბის, ზოგი გულ-შემოყრილია. დიდი არეულობა. თამარი მოშვებული დაეცემა სავარძელზე).

**ხმები:** ჩუმაღ, ჩუმაღ...  
 — ვიღუპებით, მეორედ მოსვლაა!  
 — არაფერია. დამშვიდდით!

(ხრიალ-გრილით უმეტესობა გარბის. მოედანი ხალხისაგან თითქმის ცალიერდება, მხოლოდ მეფე, დიდებულნი, მანდილოსნები, ბერდია გულსუნდა, და გოგოლო რჩებიან)

**თამარი:**  
 კაცი აფრინეთ და ყოველივე იუწყეთ ესლავ.  
**უწესოება** არა მოხდეს-რა... **ხალხს** მოუარეთ!  
**ქიაბერი.**  
**თამარი.** ცოდვა გვეკითხა: **მაგრამ:** უფალო, ნუ აკვალებ

(მალე გამოერკვევა)  
 (შიკრიკები გარბიან)  
 (ანიშნებს. ივანე გადის)

აელს...

**ზ**

**თამარი.**  
**აკი ვთქვი:** მე კი არა. ხალხს მოუარეთ!  
**ივანე.**

(ივანე შემოდის და შემოყავს როქის სპისანი, ჯაფშნით, ფარებითა და შუბებით დართული და ჩამოაშწკრივებს კაპარას გარშემო).

(დაინახავს როქის სპას)

(მიდის ბრძანების შესასრულებლათ, მაგრამ ამ დროს შემორბის ხელისუფალი).

## 3

**ხელისუფალი.** დიღო მეფეო! უბედურება თავს დაგვატყდა: იმ დროს, როდესაც არჯევანის ზედამდგომლობით ლარეშაპი უნდა აეწიათ და წყალი გადმოეშვათ, ხალხიდან წინ წამოდგავინებე ვარამათ წოდებული და იწყო მუქარა, რომ ხალხი ოდესმე ჩვენ გაგვასამართლებს, რომ ჩვენ შორის არ გადის სიმართლე და თუმცა დღეს არხის საქმე ყველასაგან მოწონებულია, მაინც ის კვლავ ამტკიცებს არ ვარგა ნაკეთები და დიდებულინი მოსყიდულნი და ქრთამით დაბრმავებულნი არიანო. ეს სატყუებო ვერ მოითმინა არჯევანმა და გიჟი უწოდა. ვარამი კი მივიარდა არჯევანს და სილა გააწნა. არჯევანმა სამაგიეროთ თავზე ხანჯალი დასცა...

**გულსუნდა.** (შეკვივლებს)

აჰა! ვარამი მოკლეს?!

**ხელისუფალი.** არა, ჯერ ცოცხალია.

**გულსუნდა.** ცოცხალია?..

(გარბის)

**ბერდია.** (მისდევს)

სად მიხვალ, შეილო?

(გადის)

**ხელისუფალი.** შექდეგ ვარამსაც წამოეკომავინ სოფლის ახალგაზდანი, არჯევანს კიდევ ხელისუფალნი, როქის სპისანი.. შეიქმნა ხელ-ჩართული მოძმეთა შეტაკება და აი, მათმა სისხლის ნაკადმა წითლად შეღება არხის წყალი...

(შორიდან ხალხის გუგუნე მოისმის)

**თამარი.** (წამოდგება, წელში გაიმართება. მტკიცეთ)

გაგზავნეთ ჯარი, ორივე მხარე რომ გააშველოს.

**გამრეკელი.**

(ბრძანებას იძლევა. ზაქარია და სხვა დიდებულინი მიდიან ბრძანების აღსასრულებლათ)

**თამარი.** დაქრილებსა და დაკორილებს ეხლავ უშველეთ. მიკვალებულთა მოუარეთ. უბრძანეთ დაპყეტონ ლარეშაპი.

(ხელისუფალნი მიდიან შესასრულებლათ. ხალხი ხმაურობით მოდის, ყიყინით:)

— მეფეს მოვახსენოთ!  
— მან დაგვდღვას მსჯავრი.

(ხალხი მოხლევადება. ჯაფშნიანები აკა-  
ვებენ.)

**გამრეკელი.** ხალხო!  
**ხმები.** ჩუმაღ, ჩუმაღ!  
— სპასალარია..

— რას გვიბრძანებს?

**გამრეკელი.** ხალხო, გამიგონეთ...

(სიჩუმე ჩამოვარდება)

ურიაღ დიდი და სამარცხვინო საქმე მოგვიხდა დღეს...

**ხმები.** მისთვის მოვდივართ...

— მოგვეციოთ ხელში, ვინც არის დამნაშავე...

— დამნაშავე, დამნაშავე.

**გამრეკელი.** დამაცადეთ.

**ხმები.** დააცადეთ...

— დააცადეთ... სიჩუმე.

**გამრეკელი.** ჯერ არ გვსმენია, არ გვინახავს... ჯერ არ მომ-  
ხდარა თამარის მზიან მეფობის დროს ესეთი აღრევა. — როგორ?  
ჩვენ, ძმები ერთი მეორეზე უნდა მივიღეთ?.. ვისა სურს. ესა?..

**ხმები:** ჩვენ არ გვსურს, არა, არა!

**გამრეკელი.** მაშ, რა გაღლევათ?.. დიდებულ მეფეს თქვენ-  
თვის კეთილი სურს. ამ სხვათრივ მდიდარ ქვეყანას არ ჰქონ-  
და წყალი და მან განიზრახა თქვენთვის წყალი გამოეყვანა...  
უნდოდა ეს მხარე აეყვავებინა, რომ აქ ცხოვრება მძლავრათ  
ვაშლილიყო... და თქვენ ამის წინააღმდეგ მიხვალთ?

**ხმები.** ვინა სთქვა?

— არა, არა!

— არა ვართ წინააღმდეგნი!..

**გამრეკელი.** მაშ, რათ ჩაიდინეთ ესეთი საქმე? სისხლი რათ  
დაღვართ... ვინ გააურცვლა ის ხმა, რომ არხი ცუდათ არის  
ნაკეთები... საიდან მოიტანეთ? განა თქვენ მაგის მოხელეები  
ხართ?.. ამისათვის კაცნი არიან დადგენილნი და იმათ აკი შეა-  
მოწმეს კიდევ...

**ხმები:** ჩვენ არა. — ჩვენ არა...

— როდისა ვთქვით?

**სოსე.**

(გამოერჩევა ხალხიდან. დასისხლიანებულა. ეტყობა შეტაკებაში მონაწილეობა მიუღია).

არა, ბატონო. ამას ზოგი ამბობდა და მათ შორის ვარამი-ცა... წინათ სოფელიც ღელავდა, მაგრამ, როდესაც შეამოწმეს, ყველა დაემშვიდლით. მხოლოდ დღეს ვარამმა მაინც არ მოითმინა და არჯევანს კიდევ ამხილა... ჩვენ განა არ უშლიდით!.. არ დაიშალა და ეხლა მხოლოდ ის აღელვებს ქვეყანას, რომ მეფის ჯარი დაგვერია და ხმლები დაგვიშინა...

**ხმები:** ჰო, სწორედ ეგ არის, ეგა!..

— ხმლები დაგვიშინა უდანაშაულო ხალხს...

— ეგ არ იქმნება...

— ეგ არ ეგების, შენი ქირიმე!

**ქიაბერი.** გიყი ყოფილა ის თქვენი ვარამი... თქვენ რათ აჰყევით იმ კაცსა?..

**სოსე.** გიყი არ გახლდათ, მაგრამა ცოტა იჩქარა... ეს იყო მისი დანაშაული. სამაგიეროთ კი ჩვენ ამოგვწყვიტეს...

**ქიაბერი.** მერე, განა ჩვენ მეფეს სამართალი არა აქვს? ვერ გაარჩედა კარგსა და ავსა?.. რათ აჰყევით მოფეთქებულ კაცსა?..

**ახლად მოსული გუნდი:**— ეგ არ შეიძლება, შენი ქირიმე!

— ძალითა გვწყვეტავენ!

— ესეთი არც წყალი გვინდა და არც არათფერი!

— ესეთი სიკეთე არ გვინდა, არა!

**თამარი.**

(წამოიწვეს სალაპარაკოდ)

**გამრეკელი.** ჩუმად, ჩუმად, ხალხო! მეფესა სურს გიბრძანოთ რამე...

**ხმები:** ჩუმად, ჩუმად!

— გაგვაგონეთ...

— მეფე ბრძანებს, მეფე...

— ეე, ვენაცვალე მაგასა...

— კარგი, ჰო...

— სმენა, სმენა!

თამარი. ქართველნო! ჩემი გული დიდსა შეძრწუნებასა განიცდის... რაც მომხდარა ყოველივე სავალალოა და სანდვლელი... მაგრამ ნუ გეშინისთ!.. არაფერს თქვენ აღარ შეგეხებათ, ხელს არ დაგაკარებთ... გულ-ფიცხელობით რაც მოახდინა ორივე მხარემ, შევეუნდოთ, ძმებო! ხოლო ეხლა კი ნულა გავაზვიადებთ შეცდომასა და გავივით ერთი მეორესი... ესე კი არ ეგების. ყველანი ეხლა მოცულნი ვართ ამ უბედურის შემთხვევითა და გონება ჩვენი ისე არა სკრის... ხოლო მოვალეობა დიდი გვაძს კისრად: მოვეუაროთ ჩვენს დაკოდილ-დაპირილებს და მიცვალებულთ მივაგოთ თვისი. დავიცხოვროთ ეხლა ჩვენი გული აღშფოთებული ჩვენის წმინდა მოვალეობის გასრულებითა და შემდეგ გონება-გაწმენდილი შევუდგეთ ყოველივეს გამოწვლილვასა... აირჩევთ თქვენც თქვენს შორის საპატიო და სანდო კაცებს, გამოგზავნით ჩვენთან და ჩვენც დიდებულებთან ერთად ყოველივეს განვაგებთ. დამშვიდდით. სისხლის ღვრა შეწყვეტილია, აი ღარეშაპიც დაჭკეტეს უკვე... წყალის ხმა აღარ ისმის... დაიშალენით და შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

**ხმები**—უუჰ, შენ კი დაგენაცვლე, მეფეო!..

— ბრძენი ხარ და განგებიანი!

— დაიშალენით, ხალხო!

— ჩვენი მეფე, აჰა, რას გაგეწირავს!..

— იცოცხლე, მეფეო, იცოცხლე!

(ბოლოს უკრად ყველანი დასკეპენ)

— სცოცხლობდეს ჩვენი პირიმზე!

— სცოცხლობდეს თამარი!

(ხალხი იშლება და დიდხანს მოისმის მათი გუგუნო. თამარი ისევ თავის ალაგას ჯდება)

თ

(გამოჩნდება ვ ა რ ა მ ი, დაბჯენილია გულსუნდასა და ბერდიანზე. სხვაგვით მოჰყავთ).

**ივანე.** შენი ბრძანებისამებრ ვარამი მოიყვანეს, მეფეო!

**თამარი.** კაცნი ხომ თან ახლავან, რომ ხალხმა არა აენოს-რა.

**ივანე.** დიად, მეფეო!

**თამარი.** მოიყვანეთ...

**ვარამი.**

(შემოჰყავთ. თავშეხვეული და დასუსტებულია)

სად არის მეფე?

(დაინახავს)

ო, სათნო მეფეე! მხოლოდ შენ, შენ გამიგებ, რომ არ ვარ ვიცი და შეშლილობით ეს საქმე არ მომსვლია!

**კიბერი.** მერე, საბრალოვ, რათ გინდოდა ამდენი მსხვერპლი?

**ვარამი.** მე არ გამომიწვევია... სისხლის ღვრა ფიქრადაც არა მქონდა... მხოლოდ ერთხელ კიდევ ვამცნე ხალხს, რომ შეამოწმეს არხი, მაგრამ თვითვე თქვეს, რომ ღარეშაპისა და ოწინარის მასალები მხოლოდ დროებით ივარგებდა. მეც ეს ვთქვი: ეს დროებითიც არ უნდა გვენდომნა-მეთქი. ეს კი სიცილით ჩამითვალეს და ამას მოჰყვა ყოველივე...

**კიბერი.** შერე? რატომ კვლავ მეფეს არ იახელი... ის ხომ ვანსჯიდა?

**ვარამი.**

(არ ეპასუხებს. მიუბრუნდება მასთან მდგომებს)

მე ის მახარებს, რომ ახალგაზრობას ეყვარებივარ... ჩემთვის გასწირეს თავი... დიდია მსხვერპლი, მაგრამ სანუგეშოა... ხალხი ისწავლის თავის პატივის ცემას... სად ხარ, გულსუნდა? ჰმ... ხალიჩა არ მიართვი დიდებულ მეფეს?... შენი ნახელოვნევი უცნაური ყვავილი არ მოეწონა?... აჰ, თითქო ბნელდება... ხომ არ დაღამდა?..

**თამარი.** მკურნალი იხმეთ... მოასვენეთ...

**ვარამი.** აღარ, მეფეო... სხვა დიდ მკურნალს აწ მე ვეკუთვნი... მხოლოდ სიკვდილით მარტო მე მოვკვდები და ვარამი კი ჩარჩება ხალხში... აი ეს მიმაქვს სანუგეშოთ... ა? ის ყვავილი, შენს ხალიჩაზე?... გულსუნდა! . მეფეო, ეგ მოქსოვილი, ეს ხომ ამის სიყვარულია... და შენ მოვიძღვნა... დეე, დაერქვას მას ყვავილი ვარამისა... ხოლო ფეხით კი ნუ გასთელავ... სადმე, სასახლის კუთხეში იქონიე... აჰ! ღონე მელევა... სიბნელე, სიბნელე ჩამოვარდა...

(თვლები უშტერდება)

ეს რა არის?.. პირიმზეს უშველებელი, თეთრი, სპეტაკი ფრთები ასხია და ამ ფრთებს... სისხლი მოსწვეთს სისხლი... სისხლი...

გულსუნდა.

(კედება)

(დაიჩოქებს და მორიდებით, მაგრამ ყრუთ კეთინებს)

ბერღია.

(შუბლ-შეკმუნული დგას)

ყველანი.

(გარინდულნი არიან)

თამარი.

(ჩამოდის ბაქანიდან, მიდის ეარამთან და თვალებს დაუხუქავს).

ხმები:

(ჩურჩულივით გაისმის)

თვითვე ინება და თვალები დაუხუქა!

— თვითვე...

— თვითვე თვალები დაუხუქა!

## ი

(ზაქარია).

ზაქარია. დიდებულო მეფეო! ბრძანება ასრულებულია... ორივე მხარე დავამშვიდეთ და დავშალეთ... დაჭრილ-დაკოდილებს მკურნალნი უფლიან და მიცვალებულთ პანაშვიდს უბდიან...

(შორით მოისმის წენარი. ნახი გალობა სასულიერო პანგისა)

თამარი.

(გამოდის წინ)

წადით ყველანი.


(ნელა აიღებენ მიცვალებულს და ღიჯათ გავლენ ყველანი. გალობა მოისმის ბოლომდე).

თამარი.

(ისევ ადის ბაქანზე, გადახედავს აუხს. შემდეგ ჩამოჯდება სავარძელზე და ღრუპ ფიქრში წასული წარმოსთქვამს).

არა! ხალხს სულ სხვა უნდა!





ისტორიული ლეგენდა  
სამეგრელოს წარსულიდან  
სამს მოქმედებათ.

## მ ო ქ მ ე ლ ნ ი:

მთავარი.

ხეცია, უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე.

ჩიქვანი, სახლთუხუცესი.

შავდია, 'კარის-კაცი.

გეგეპკორი.

სიდუ, ამისი მეუღლე, ხეციას ასული (ხეციხე).

კარის-კაცნი, შინაყმები, ამაღა.

## მოქმედება პირველი

მთავრის სასახლის დარბაზი.

(სენა ცალიერია)

ა

ჩიქვანი.

(შემოდის ერთის კარებიდან, გასძახის მეორეში)

უი, ვინ არის მანდა?

ბ

შავდია.

(შემოდის)

სად არის ჩვენი ტუსალი?

შავდია. დილეგიდან კარგა ხანია ამოვიყვანეთ და ეხლა ის-  
ვენებს დერეფანში.

ჩიქვანი. ჯანზე როგორ არის, ნეტა? გაუძლებს დღევან-  
დელ წამებას?

შავდია. სუსტათ არის, თითქო, მაგრამ რა მოკლავს მოჯა-  
ლაბის შვილს, ახლად გამომცხვარ აზნაურს?

ჩიქვანი. ჰმ... ესე ახალგაზდა ხარ და ეგრე ბოროტი!

შავდია. სახუცესო, ნუ მლანძღავ, თორემ შეც გაკადრებ...

ჩიქვანი. შენ კიდევ ვერ მოგინელებია გეგეკორის აზ-  
ნაურობა...

შავდია. ვით მოინელო გეგეკორის აზნაურობა!.. კკორს  
ხომ მეგრულათ ყმას ვეძახით.

ჩიქვანი.

(ცბიერთათ)

დიად, ყმა იყო იგი შენი გვარის, ყურ-მოქრილი ყმა.

შავდია. და ხედავთ ეხლა როგორ გაზვიადდა?!

ჩიქვანი. რა გაზვიადდა? ხომ დალუპე! აი, უკვე ტუსალი  
არის.

შავდია. რაი, მერე? დადია გულ-ჩვილი არის, უზენაეს სასა-  
მართლოს თავმჯდომარე თავადი ხეცია მაგისი სიმამრია და შენ,  
სახუცესო, ჩიქვანი ხარ, ცბიერი და გამოქანხრაკებული.

ჩიქვანი. შავდია!... შენ რომ ჩემთვის საჭირო არ იყო,  
ვანანებ მაგ სიტყვებს...

შავდია. ბედი ჩემი, რომ საკირო ვარ... ამას კარგათ ვგრძნობ და შენც ხეციას ჯავრი არა გკირდეს, რომელმაც უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეობა წაგართვა...

ჩიქვანი. ჩუმად! კედლებს ყური აქვს.

შავდია. მე ისეთს არას ვამბობ, სხვებმა არ იცოდეს. მერმე კიდევ შავდიებს ჩუმათობა არ გვიყვარს.

ჩიქვანი. აი, შენმა მზემ! თუმცა სწორეთ მაგან დაგლუპათ... თქვენი გვარი, ერთ ღროს ღონიერი, მაგ პირდაპირობამ და მოუფერებლობამ დალუპა. მიტომაც წამოგაჯდათ თავზე თქვენი ნაყმევი გეგეკკორი. ჯერ ქალი წაგართვათ შავდიებსა მათმა წინაპარმა და ამითი გაიმშვენიერა თავისი სისხლი. შემდეგ მთავარს ისე შეუძვრენ, იმდენი რამ აამეს, რომ აზნაურობაც მიიღეს და, აი, ეხლა შენც კი გაგისწრო, დიდებულთავად ხეციას ქალი მოსტაცა...

შავდია. ო, ნულარ მაგონებ!

ჩიქვანი. (უბივრათ)

ა? სიღუ ხეციხე! ვარსკვლავი იყო ცით მოწყვეტილი?..

შავდია. ო, სახუცესო...

ჩიქვანი. (ისევ ისე)

ტყუილა შფოთავ! შენ შინც არ მოგცემდენ... სამეგრელოს საუკეთესო თავადები ეტრფოდენ მას... თვით ჩემი ვაჟიც—როსთო ჩიქვანი—ხელი იყო მისთვის, მაგრამ... აი, ხომ ხედავ, დაუნდობელმა ევას შთამომავალმა ყველას ეგ უცხოეთში ნასწავლი, უჯიშო გეგეკკორი არჩია.

შავდია. კიდევ ეგ მახარებს, რომ ჩვენი წარჩინებული ახალგაზღობა ამისათვის მტერია გეგეკკორის.

ჩიქვანი. დიად, ეგ ცოტა ააღვილებს მაგის დალუპვას... როსთო ჩიქვანის მამა ვერ მოითმენს ხეციას ოჯახისაგან ამ შეურაცხყოფასაც...

შავდია. გამახარე, სახუცესო, გამახარე!

ჩიქვანი. ჩიქვანებს ტყუილა ეხუმრება ხეციას გვარი. სამეგრელოში ბევრი გვარი წასულა წინ, მაგრამ ჩიქვანისათვის ვერავის უძლევია. სამეგრელო ჩიქვანისა! ჯერ თვით დადიაც.

ჩენის ოჯახიდან გამოსულა და მართვა-გამგეობა სახელმწიფოსი ხომ მუდამ ჩვენ ხელთ ყოფილა.

(თითქო ლანდს ელაპარაკება).

ბეჟა ხეცია! პირველკაცობა სამეგრელოში ჯერ, ვითომ, წამართვი, მაგრამ ნახევ: შენს სიძესთან ერთად შენც დაიღუპები. უჩიქვანოთ სამეგრელო ვერ გაძლებს.

შავდია. ო, სახუცესო, რათ ვაჭიანურებთ ამდენს... ვუბრძანებ რომ გეგეკორს დილეგში, აქედან წაიყვანენ თუ არა, მაშინვე ბოლო მოუღონ და ხეციას კი მე თვითონ ჩემის ხელით ჩავაძაღლებ.

ჩიქვანი.

(გონს მოეგება)

ჩუშ... ახალგაზდა ხარ და ფიცხი... სამეგრელო ჯიქეთს არა ჰგავს. პირდაპირ შეძგერება, ჯიქური მისვლა, ჩენი საქმე არ უნდა იყოს. მეგრელი გონებით და გამპრიახობით უნდა მოქმედებდეს. ისეთი ხლართი უნდა შექმნას გარემოებისა, რომ სხვა და სხვა წრუწუნები თვითვე მოიგულონ.

შავდია. გეთანხმები... გულს არა სჯერა, მაგრამ შენ უფრო გონიერი ხარ, სახუცესო!..

(პაუზა)

ჩიქვანი. გამიგონე! აი, ბარათი! ეს უჩარდიას შედგენილია...

(ამოიღებს უბიდან ვრავნილს).

შავდია. ოო, ისე არავინ იცის ხელის მიმსგავსება, როგორც უჩარდიამ...

ჩიქვანი. ჰო-და, აი, ეს იქნება კიდეც ერთი მთავარი საბუთთაგანი, რომელიც გეგეკორს გაამტყუნებს.

(აძლევს)

აი, წაიკითხე.

შავდია.

(კითხულობს)

„ქ.: გწერს.: შენ.: ბრწყინვალე.: თავდასა.: და.: ჩემი.: გულის.: შექირვების.: მეხვაშიადეს.: ჯოლორია, დგებისა.: საფლავამდის.: ერთგული.: ყმა.: დუტუ.: გეგეკორი.:“

(ამბობს)

როგორ? ჯოლორია დგებისა? ჰაიტ, სახუცესო, ისიც გინდა მახეში გააბა?

ჩიქვანი. მეტად გაზვიადდა ამ ბოლო დროს... მაჰცნეს,

რომ მთავრის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობსო. კარგათ იცი, წინეთ გეგეპკორს მეგობრობდა და, აი, ხლართიც...

**შავდია.** მშვენიერი მოგონილია. ერთის დაკვრით ყველა მტრები ჩამოიშორა...

(ჩუმად კითხულობს. შემდეგ)

ძალიან დაწერილია. მერე. მე რა უნდა უყო ამ ბარათს?

**ჩიქვანი.** შენ დღეს წარმოუდგენ უზენაეს სასამართლოს ამ ბარათს. იტყვი, რომ ქოჩაქიას უნახე იგი.

**შავდია.** ქოჩაქიას?

**ჩიქვანი.** დიალ. იგი ჩემი დისწულია, მაგრამ ფულზე ცოტა ხარბია და ას ოქროზე დავითანხმე, რომ გეგეპკორს პირში წარუდგეს. ბრძანება გავეცი კიდევ, რომ დაატუსაღონ. არაფერია! ცოტა ხანს მოათევს დილეგში და შემდეგ კი გეგეპკორთან ერთად გაძევებას გადაუწყვეტთ. ერთი წელიწადიც რომ დაჰყავს სამეგრელოს გარეთ, არა უშავს-რა. ის გეგეპკორით სულ-წასული არ არის და მას სამშობლო ისე არ მოეწონება, რომ ნება დაურთველად აქეთ გამოიქცეს. ერთის წლის შემდეგ კი, მთავარს ვთხოვთ, შეევუნდებით და ისიც სასჯელს აპატივებს.

**შავდია.** ეგ კარგი, მაგრამ როგორ? გეგეპკორს მხოლოდ ისე გაძევებას გადაუწყვეტთ?

**ჩიქვანი.** კანონის ძალით, თუ ჩვენმა ბარათმაც არ გასქრა; სხვა არა ერგება-რა... მშ... შეიძლება საჯაროთ გავაშიშვლოთ და ვსცემოთ... ჩვენშია ცოფილა ამისი მაგალითი... როგორ, შენ არც ეს გაკმაყოფილებს?

**შავდია.**

(განგებ არ უპასუხებს, ბარათს ჯიბეში იღებს და თავ-დანხრით)

შვეასრულებ შენს ბრძანებას, სახუცესო!

**ჩიქვანი.**

(სასამართლოს კარებში შეიხედავს)

აგერ მოდიან წარჩინებულნი სასამართლოში. დროა წავიდე!

**შავდია.** თითონ დალიაც გამობრძანდება?

**ჩიქვანი.** დიალ. უნდა თვითონ დაესწროს გეგეპკორის წამებას და თვით გამოჰკითხოს. მხოლოდ ბრძანა: ისე აწამეთ, რომ სიკვდილზე მიიწუროს, ოღონდ არ მომიკლათ კიო.

**შავდია.** ეიშ, რა ძალიან უფრთხილდება!

ჩიქვანი. ამას მოითხოვს სიბრძნე სამთავროს გამგებლობისა. წადი, ტუსალი შემოიყვანე. დაღია რომ გამობრძანდება, სასამართლოში აახლე.

შავდია. მესმის, ბატონო. (ჩიქვანი გადის სასამართლოს კარებში. შავდია—დერეფენისაკენ. სენა ცოტა ხანს ცარიელია).

ზ

შავდია. გეგექკორი. 2 მცველი.

გეგექკორი.

(მშვენიერი შესახედაობის კაბუჯი, მაგრამ წამებისა და დილეგში ყოფნისაგან ფერმიხდილი და დასუსტებული. შავდიას)

საღლა მიგყევართ? კვლავ საწამებლათ, განა? იმედი გაქვთ, რომ მათქმევეინებთ რასმე?

შავდია. ძალით გამოგვლეჯთ გულის ნადებს, რომელიც ნებით არ გინდა სთქვა.

გეგექკორი. განა წამებით, თუნდ ოდესმე, სიმართლე რამ გამოარკვეულა? ეჰ, დაღუპულო სამეგრელო! კვლავ სიბნელეში ხარ! ბოროტი სული, შენი ქვეყნის—ჩიქვანთა გვარი—კვლავ ძლიერია. ვინ იცის, სინათლე და ბედნიერება როდის მოგენიკება?

შავდია. რა სინათლე? დაიწყე შენებური ბოდვა? თუ სინათლეთ ის მიგაჩნია, რომ შენებური წუწკი მონა გააზნაურდა და ჩვენ ჩავვერია?

გეგექკორი. ჰეი, შავდია! აზნაურობა შენ დიდ რამეთ მიგაჩნია. „თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა!“ ბრძანა სულმნათმა?

შავდია. დიად, ეგრე გეგონოს.. შენ რუსთველის მოწმობაც ვერ გიშველის. მთა და ბარი ვინ გაასწორა. გინდოდა კი, როდესაც შენისთანა კუბაქი გლეხები აგვიჯანყე!

გეგექკორი. ცდები, შავდია, ვიმეორებ, მე ისინი არ ამიჯანყებია.

შავდია. ჰა, ჰა! მაშ, რა იყო, უცხოეთიდან სწავლა დასრულებული ჩამოხველ თუ არა, გლეხები აჯანყდნ და თავის უფროსათ შენ დაგასახელეს.

გეგექკორი.

(მტკიცად)

ისინი მე არ ამიჯანყებია. ისინი ააჯანყა თქვენმა, თავად-

ბისა და აზნაურების, სისასტიკემ, თქვენმა თავგასულობამ. არც მათი უფროსი ვყოფილვარ.

**შავდია.** დიად, ეგ ვითომ გამოირკვა სასამართლოში, როცა დაგიპირეს, რომ ვითომ არ ყოფილხარ მათი უფროსი და ძლიერ ცოტა სასჯელითაც გადაჩი მაშინ: მხოლოდ გაგაძევებს სამეგრელოდან. მაგრამ ეხლა აღარავინ დაგიჯერებს. კარგათ იცი, რომ როგორც კი ჩამოხველ მაშინვე დაიწყო გლეხებში არეულობა...

**გეგეპკორი.** რათ არ გჯერათ, რომ ეხლა მაგისათვის არ ჩამოვსულვარ? რით დაგიმტკიცოთ, რომ ეხლა მხოლოდ ჩემი მზის, ჩემი მანათობელის—სიღუს სანახავათ ჩამოველ... ქუჩულორიამ გამცა და... ვერ მოვასწარ ერთხელ კიდევ გავმთბარე იყავ მის სათნო თვალთა ტკბილის შუქით.

**შავდია.** ტყუილი თავის მართლებაა, შენ, გაძევებულს, ისედაც ნება არა გქონდა სამეგრელოში დაბრუნებისა...

**გეგეპკორი.** ოჰ, თქვე-უღეთონო! მაშ, ჩემს ცოლს სიღუს რატომ არ მისცა ნება დადიანმა, რომ ჩემთან წამოსულიყო! ორივ დამეთმო? სამეგრელოც და ჩემი სიღუც, ჩემი ღვთაება? არა, ცოცხლისთვის! ეს მართლაც, რომ უსასტიკესი სასჯელია.

**შავდია.** სიღუ ხეციხე მამა მისს ბეჟას ეხლა ქაქვინჯის ციხეში ყავს დამწყვდეული, და იმას სდარაჯობს, განთქმული თვისი უღმობელოობით, ბახვა ანთელავა.

**გეგეპკორი.** ო, ჩემო ბედო! ნეტავი მართლა საბრალლო მაძაჩემს არ გავეგზავნე უცხოეთში და თვალთ არ ამხელოდა. როგორ მაძძიმებს ჩემი შეგხება! ჩემი სატანჯველი ორკეცია...

**შავდია.** ოჰო, მოიხარე? შეხ თვითონ ამბობ, რომ შენმა სწავლამ შენვე დაგტანჯა!

**გეგეპკორი.** (გამოერყვება)

აჰ, არასოდეს!.. ეგ მე მიძძიმს მხოლოდ, თორემ თქვენზე... ჩემი ტანჯვითაც უფრო ბედნიერი ვარ.

**შავდია.** ოჰ, შე ჯიუტო!.. კარგი, ნახავ ბედნიერებას. ისეთი საბუთი გვაქვს შენს წინააღმდეგ...

**გეგეპკორი.** საბუთი?

**შავდია.** წერილობითი. შენა სწერ ჯოლორია დგების, რომ

ხელი შეუწყოს შენგან დათესილ გლეხთა აჯანყებას და მოწყოს მთავრის წინააღმდეგ შეთქმულობა სასახლის კარზედაც გამთავრებას კი თვით ჯოლორისაჲს ჰპირდები. თან ჰპირდები, რომ იმერეთის მეფეს მას მოუშობრობ და ლეჩხუმს მას უერთგულებ...

**გეგეპკორი.**

(თანდათან ცვიფრდება, მაგრამ შემდეგ მიხვდება ყოველივეს).

ჰა, ჰა! ვიცი, მიხვდები ეხლა საიდანაც იქნება ეგ საბუთი. ოჰ, უბედურო უჩარდია! იმან შეხანხლა თვისი ყალბი ხელით ეგ საბუთიც?.. ჰა, ჰა! ჩემს ხელს ძალიანა გაეს?

**შავდია.**

(შემკრთალა, მაგრამ მაინც მტკიცედ)

ო, შე-კუბაქო! ეშმაკიც, რომ ხარ... შენ ხელს გაეს კი არა, შენი ხელია...

**გეგეპკორი.**

(მწარე ლიმილით)

ახალგაზდა ხარ და ენამ გისწრო... გმადლობ, რომ მამცნე ყოველივე სასამართლომდის... მაშ, მართლა ქრება ჩემი ვარსკვლავი... ეგ ყალბი საბუთი... ჰმ... ვინ დამიჯერებს...

(უფერად ტირილი აუტყდება)

ნეტა ერთი თვალი მაინც მომეველო სიდუსათვის... ოჰ, სიდუ!.. სიდუ!...

**შავდია.** დასუსტებულხარ!..

**გეგეპკორი.**

(თავს აიღებს)

მხოლოდ შენ ნახე ეს სისუსტე!

(გაიმართება)

მაგრამ ვაჟკაცის თვალზე ცრემლი კიდევ არ ნიშნავს სისუსტესა. იგი მომტაცა ჩემ თვალთაგან ჩემმა უხანო სიყვარულმა... დიად, მე გული მაქვს... ამ გულმა იცის სიყვარული თავისი ქვეყნის და საყვარლისა. მე ამათრთოლებს მისი ჭირი, მისი ვარამი. თქვენსავით გულ-ქვა, უგრძობელი არ მინდა ვიყო. ხალხის შვილი ვარ, მის გულიდან ამონახეტქი და ხალხი მუდამ-ეამ სამართლიანი და გულჩვილია...

დ

კარის-კაცი

კარის-კაცი. მთავარი მობრძანდება!

## 3

დადიანი.

დადიანი, ახოვანი ვაჟაკი, გონიერი სახის, მხოლოდ უცნაურის, დაუდგრომელის თვალებით. მას მოჰყვება მეტად მწყაზარი, ოლიმპიურის სახის კარმაგი მოზუცი-ბეჟა ხეცია და ამაღლა (სასამართლოს კარებისაკენ მიდის, მაგრამ შეამჩნევს დარბაზში მყოფთ და შეჩერდება)

ეს რა ამბავია? შევდია! ვის ელაპარაკები! ტუსალს?

(მიდის ახლოს)

აა, შენა ხარ, ლუტუ გეგეჰკორი?..

(შევდიას)

განა არ იცი, რომ ტუსალებთან ლაპარაკი აკრძალულია?.. მაგრამ ახალგაზდა ხარ და ფიცხი...  
შევდია. მომიტევე, ბატონო.

დადიანი. ჰმ... მომიტევე, მომიტევე... თქვენ ყველამ დანაშაული უნდა ჩაიდინოთ და მე კიდევ მოგიტევოთ!.. მე ღმერთი არა ვარ...

შევდია. ბატონო ჩემო...

დადიანი.

(ოტა უფრო რბილათ)

კარგი!.. მეორეჯერ აღარ გაბედო...

(გეგეჰკორს)

ჰმ... მაშ, შენ ბრძანდები, ვაჟბატონო!.. კარგა ხანია არ შინახაზხარ...

(ხეციას)

რამდენი ხანი იქნება, რაც გავაძევეთ?

ხეცია. სამი თვე გახლავთ.

დადიანი. რაც შენი ქალი მოიტაცა?

ხეცია.

(უკმაყოფილოთ)

ეჰ... ოთხი-ხუთი თვე.

დადიანი. ეხლა სად არის შენი ქალი?

ხეცია. აკი მოგახსენეთ, დადია, ქაქვინჯის ციხეში მყავს.

დადიანი. ვინ მიუჩინე?

ხეცია. ბახვა ანთელავა.

დადიანი. აჰა, მახსოვს, მახსოვს...

(გეგეჰკორს)

ცოტათი თითქო დავაეკაცებულხარ, მაგრამ დასუსტებულ-  
ხარ, ფერი მიგხდია!.. ა? მაშ, მაინც გინდა სამეგრელო გალა-  
აბრუნო?..

(უბათ მობრუნდება, გაიარ-გამოიარს და  
შემდეგ სწრაფად პირის-პირ დაუდგება  
გეგეკორს)

სულელი ხარ შენ!.. განა არ ვიცი, რაც გინდა?.. არ იქ-  
ნება... აი, რატომ ვიყავ წინააღმდეგი, რომ სამეგრელოში  
ჩვენს ყმაწვილებს სწავლა მიეღო.

**გეგეკორი.** მაშ, სანამდის გინდა ხალხი სიბნელეში ამყოფო?  
**დადიანი.** ჩუმაღ!.. ხალხი სიბნელეში უნდა იყვეს. თუ გინ-  
და, რომ ძლიერი სახელმწიფო შეიქმნას, ერთგული და მორ-  
ჩილი ქვეშემრდომი გყავდეს, მტერს ეწინააღმდეგე შენი, ხალხი-  
სიბნელეში უნდა ამყოფო. განა არ ვიცი, შენც ჩვენი ქვეყნის  
კეთილდღეობა გინდა შენებურათ... მაგრამ სუსტია შენი-  
მკლავი და—უსუსური შენი ტვინი... ამ ლაგამის ხელში დაქერა-  
შენ არ შეგიძლიან. სამეგრელო რაშია, რაში და ზედაც მძლავ-  
რი მხედარი უნდა იჯდეს...

(უეცრად გაბრუნდა)

**გეგეკორი.** მე არცა ვმხედრობ... მე სულაც არ მინდა  
ლაგამის ამოდება. ხალხს ლაგამი არა სჭირდება. ხალხს უნდა  
თავისუფლად ამოსუნთქვა. ხალხს უნდა თავისი შრომით თავისი  
თავის დარჩენა და თავისი მონაგარის, თავისი ავლა-დიდების თი-  
თონვე მოვლა-პატრონობა. ამ რაშს იალალზე უნდა ყოფნა და  
არა უნაგირ-ქვეშ.

**ხეცია.** დადია! ანებე თავი მასთან აქ ლაპარაკს. დამნაშა-  
ვეს სასამართლო გამოკითხავს და შენც იქ უბრძანე შენი სა-  
კითხავი...

**გეგეკორი.**

(აფეთქდება)

დამნაშავესო? ეგ რა სთქვი, ბეეა ხეცია!.. შენც მაგათკენ?  
ვმადლობ ღმერთს, რომ ეხლა მაინც შეგხვდი პირის-პირ. მარ-  
თალია, გულ-ნატყენი ხარ ჩემზე... ძალითა ხარ ჩემი სიამამრი...  
მე, უგვარ-ტომომ, ქალი მოგტაცე...

**ხეცია.** დადია, წავიდეთ სასამართლოში.

**დადიანი.** სთქვას, სთქვას!

✓ **გაგაქკორი.** და ჩვენც აქ, მას შემდეგ, რაც შენი სიძე გავხდი, პირველად ერთმანეთს ისე შევხვდით, როგორც მსაჯული და ბრალდებული, მაგრამ მე ამას მაინც თავის დღეში არ დავიჯერებ, რომ დიდებული ბეჟა ხეცია, განთქმული თავისი საბრძნით, თავისი სწავლულობით, უბედურ სამეგრელოს მატთანის მიუდგომელი მწერალი, იმდენათ ~~დამრმავებულიყოს~~ თავის მსაჯულობით, უზენაეს სასამართლოს წევრობით, რომ კაცი განუსჯელათ და განუკითხავათ დამნაშავეთ, მიაჩნდეს.

/// ხეცია. (შვიდათ)  
შენ უკვე განგიკითხეს.

**გაგაქკორი.** დიად, პირველ გასამართლებაზე. როდესაც განმადევნეს, შენ არ იყავი მაშინ უზენაეს სასამართლოს წევრი, მაგრამ იქაც არ გამოაკვეულა ჩემი დანაშაული.

**დადიანი.** შენი დანაშაული თვით შენი სიტყვებია.

**გაგაქკორი.** ჩემი სიტყვები?.. დიად, მაგრამ განა სიმართლის ღალატებისათვის კაცი უნდა ისჯებოდეს?! თვით ჩვენი კანონებიც მხოლოდ სიტყვებისათვის არა სჯიან კაცსა. მე ამაში უდანაშაულო ვარ, ხოლო თუ მაქვს დანაშაული სწორეთ მაგასთან, მაგის წინაშე, მაგრამ ამისათვის მე არავინ მსჯის.

**შავდია.** შენ კი არა, თვით არის დასჯილი ბეჟა ხეცია, რომ შენისთანა სიძე ყავს.

**დადიანი.** შავდია! ენა ნუ გისწრებს...

(გაგაქკორს დაცინვით)

და, აი, სწორედ ეხლა ვნახავთ, ვით გაასამართლებს სამართლიანი ბეჟა ხეცია თავის არა-საყვარელ სიძეს, ქვეყნის მოღალატეს, მაგრამ მაინც საყვარელ შეილის ქმარს.

**ხეცია.** მიწყრები, ბატონო?

**დადიანი.** მართალი სთქვა შენმა სიძემ... შენ მიუდგომელათ სწერდი სამეგრელოს მატთანეს. შენ, ჩვენ ოჯახებს გარდა, გლეხების ამბოხებათაც აქცევდი ყურადღებას და დაწვრილებით მოგვითხრობდი მათ შესახებ. მაშ რათ არ ესარჩლები ეხლა შენს სიძეს?

**ხეცია.** სალაპარაკოთ გინდა გამომიწვიო, მთავარო! მოგახსენებ: კარგათა ვგრძნობდი, ამ უკანასკნელ დროს რათაც მო-

მიწოდე უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთ... მე ჩვეული ვარ ჯერ კიდევ მამიშენისობას ამ ხარისხს. მაგრამ ღიღხანს განზე მდგომი სამთაფროს მართვა-გამგეობისაგან, ვეძლეოდი ძველ, გარდასრულ ჩვენთა ამბაეთა წყობილ-სიტყვაობას და სხვებზეთ არ ვეტანებოდი ხარისხსა და უფლებას...

დადიანი. ვინ არს ეს სხვები? ჩიქვანები? ვიცი, მტერი ხარ...

ხეცია. ვინც უნდა იყვნენ, დადია,... კარგათ იცი—არასოდეს არ მყვარებია ლაქუცი და პირმოთნეობა. შენგან-კი ბევრ-გზის ვიყავი პატივნაცემი... და მსურდა ჩემი უკანასკნელი დღენი  
(მა აუთრთოლდებდა)

ჩემს კეკლუც ასულ სიღუს სიცოცხლით და ბედნიერებით ჩემს სახლშივე დამელია... მაგრამ, ამ დროს, ხალხისაგან წამოვიდა ეს... როგორა ვთქვა... უწყესო კაცი და წარმტაცა თვალის ჩინი, ბინდი მომთინა... სწორეთ ამა დროს დამიძახე ქვეყნის სამსახურად... ვიგრძენი კარგათ, გამქრიახი და შორსმხედველი ჩვენი დადია, რა განსაცდელსაც მიმზადებდა ამითი, მაგრამ... ვიტყვი თამამათ... მატინე ეს ძველია ჩვენთა ნამოქმედართა და მე,—უღირსი მონა,—ვედილობდი მუნ ყოველივე მიუღდომელათ გამეშუქებინა... ცოცხალი კაცი მისი დროის მონა არის და თუ მას მოიწოდებს ქვეყნის სამსახური, ის უნდა მოიქმედოს, რასაც უბრძანებს სამშობლოს კეთილდღეობა. განზე მდგომსა, უბრალო ქვეშევრდომს კიდევ შემეძლო ჩვენი კანონების შეცვლაზე, შევსებაზე კამათი, საუბარი. დღეს კი თვით ვარ სჯულის დებათა აღმსრულებელი. მეც მას ვემორჩილები და, კარგათ იცი, მთავარო, ამას მე არასოდეს არ გადავალ. მაშ, აქ ჩემთვის განსაცდელიც აღარაა და არამც თუ სიძეს, არამედ თვით ჩემი გულის ნუგეშს, ერთად-ერთ ქალს სიღუსაც რომ მოხედეს კანონის უღმობელი ლახვარი, ჩემი ხელი არ შედრკება, რომ მის სასიკვდილო განაჩენს ჩემი დასტურიც მოაწეროს...

დადიანი. აი, ნამდვილი სიტყვა ღირსეულის მამულის შვილისა... შენგან სწორეთ მაგას მოველოდი. მომიტყევე, თუ გაწყენინე... ჩემი გული შენთვის მუდამ ხსნილია... ეხლა წავიდეთ, წამოიყვანეთ ტუსალი...  
(მიღის)

**გეგექკორი.** ეგ კი მეცა მწამს. სამართლიანობას არსად არ გავექცევი... მხოლოდ სიყალბეს და უჩარდიასაგან შემზადებულ ცრუ ბარათებსა...

**დადიანი.**

(უცრად მობრუნდება)

რაო? ვინ უჩარდია?

**ხეცია.**

(თვითონაც გაკვირვებულია, მაგრამ მინც ამშვიდება).

ეს, ეტყობა, გამოსაძიებელი რამ არის, მთავარო... იქ გამოვკითხოთ.

### 3

**ჩიქვანი.**

(დადიანს თავს უკრავს)

**ჩიქვანი.**

უკვე შემოკრბენ მსაჯულები. გელოდებიან, ხელმწიფეო!

**დადიანი.** აი, მოვდივართ. წამოიყვანეთ!

(გადის. ტუსალიც მიჰყავთ და სხვებიც გაჰყვებიან გარდა ჩიქვანისა და შავდიანის)-

(სარკმელში)

**ჩიქვანი.**

ეს ვინ არიან?

(მეტის-მეტი გაკვირვებით)

სიღუ ხეციხე ჩამოხტა ცხენიდან!

**შავდია.**

(ეგეც იხედება)

ღიად, ის არის. რას ნიშნავს, ნეტა?

### ზ

**კარის-კაცი.**

(ქლოშინით მირბის სასამართლოს კარებიდან, მაგრამ ჩიქვანს რომ დაინახავს, მის წინ შეჩერდება)

ბატონო ჩემო, სიღუ ხეციხე მობრძანდა; გლეხები აჯანყებულან.

**ჩიქვანი.** მერე, ბახვა ანთელავა?...

**კარის-კაცი.** შეამბოხებებს მოუკლავთ. სიღუ გაუნთავისუფლებიათ.

**ჩიქვანი.** ვეჰ! ცუდი ამბებია... კარგი, რა ვაეწყობა.

(კარის-კაცს)

გასწი, მიეგებენით შინაყმები და აქ, დარბაზს, შემოიყვანეთ.

**კარის-კაცი.**

(გადის)

**ჩიქვანი.**

(შავდიანს)

შენ აქ დაუხვდი. ეცადე ზრდილობიანის საუბარით ყოველივე გამოჰკითხო. აქ შეიქცე და სასამართლოში არამც და არამც არ შემოუშვა. მე კი იქ შევალ და ვეცდები საქმე მიინც ჩვენკენ შევატრიალო.

ც

ს ი დ უ ხ ე ც ი ხ ე მშენიერი სანახაობის ახალგაზდა ქალი, მხოლოდ ფერ-მკრთალი და აღელვებული. ეტყობა კი დარბაისლობა არ უნდა დაქარგოს, თავი მშვიდად უნდა მოაჩვენოს ყველას. თან მოჰყვებიან კარის-კაცები.

(წინ გამოუძღვება)

შავდია.

აქეთ მობრძანდი, ბატონო სიღუ!.. ცოტა დაისვენეთ თქვენც, მინამ უზენაეს სასამართლოს სხდომასაც მოარჩებიან და... მამა თქვენსაც განახებთ.

სიღუ. მე ეხლა მინდა ვნახო, შავდია...

შავდია. ეხლა, თვით კარგათ იცი, ხეციხე, რომ არა სკალია... მაინც-და-მაინც მე მიბრძანე, თუ საშური რამ გაქვთ, თვით მე მოვახსენებთ...

სიღუ. შენ გიბრძანო?.. შენ ჩემი უბედური ქმრის დაუძინებელ მტერს... ჰმ... მის ბატონსა... ან კი რა შეგიძლია?

შავდია. რა შემიძლია? ხეციხე, ვარდის დანახვა ბულბულს აალაპარაკებს...

სიღუ.

(ბრძანების კილოთი)

არ მიყვარს კალნიერი კაცი... პირდაპირ მითხარ: სად არის ეხლა ჩემი ქმარი?

შავდია.

(მორჩილებით და დაბნეული. ცრუობს დასამშვიდებლათ)

თქვენი ქმარი?.. დიღეგშია, ბატონო!

სიღუ. გასწი და ეხლავ მამა ჩემი აქ მომგვარე...

შავდია. არ შემიძლიან, ხეციხე!

(გარედან მოისმის ტანჯვის ყვირილი გეგეკორის)

სიღუ. ეს რა არის?

შავდია. ეს... ეს... არაფერია... სასამართლოში დამნაშავეებს ჩვენებას ართმევენ...

სიღუ. არა, არ დაეიჯერებ... შეუძლებელია, ეს მისი ხმა იყო!  
(კიდევ იგივე ხმა მოისმის).

ღმერთო ჩემო! ნუ თუ?... უპ, ჩემო შევეარდენო... გაწვა-  
ლებენ, გაწამებენ... მაგრამ არა, არა... შენ ვერ გამოგგლეჯენ  
საყვედურს... შენ არ უღალატებ ვაჟკაცობას...

შავდია. (შეწუხებული)

ის... არ არის... ბატონო სიღუ!

სიღუ. რა საჭიროა შენი სიცრუე... ჩემ დამშვიდებას ტყუი-  
ლა ცდილობ... განა არ ვიცი, ჩემი ქმარი თქვენ აქ მხო-  
ლოდ საწამებლათ გყავთ, მაგრამ მისგან ვერ გაიგებთ ერთ  
ტანჯვის კილოს... არა, ღმერთმა ნუ დამაჯეროს... ის არ  
უღალატებს თავის თავს... ოღონდ სული არ ამოხადოთ და...

შავდია. არა, ხეციხე, სიკვდილით იმას არა დაუშავდება-რა...

სიღუ. მეც იმიტომ არ მოვეჩქაროდი აქეთ?... ჩემი ცხენი  
თითქო მოფრინავდა... როგორც კი გლახებმა მოკლეს ბახვა  
ანთელავა და მე გამანთავისუფლეს, გარს შემომეხვიენ ეს  
ჩვენი გლახები და გამოვწიეთ: „შენ ჩვენი დროშა ხარო“, -მეუბ-  
ნებოდენ.

შავდია. აჰ, ის მურღალები...

სიღუ. ტყუილა ჯავრობ, შავდია!.. ისინიც ეგეთივე ადა-  
მიანები არიან, როგორც შენ...

შავდია. ჰმ... ესე მალე გამოგცვალა იმ კუბაქმა გეგეჰ-  
კორმა... თავადის ასული, ამაყ ბეჟა ხეციას თვალის ჩინი!  
როგორ დაგტყობია ქმრის გავლენა?!

სიღუ. ყველამ კარგათ იცით, რომ მე შულამ-ჟამ ეგეთი ვი-  
ყავი და ჩემმა ქმარმა კი თვალთ ამიხილა ბევრ რამეზე. მე ამას  
არცა ვთაკილობ.

(კვლავ მოისმის ტანჯვის ხმა).

აა, ღმერთო ჩემო, ეს ხმა გამაგიჟებს... ის არის, ის! თქვენ  
იმას მოჰკლავთ, თქვე-ულღმერთოებო!

(სწრაფად გაიწეოს იმ კარებისაკენ, საი-  
დანაც ხმა მოისმის).

აარა, ამის ნებას კი არ მოგცემთ...

შავდია. (გადაეღობება)

მანდ ვერ შეხვალთ, ბატონო სიღუ!

სიღუ. იქით! გზა, შე-უზრდელო!..  
(ხელსა ჰკრავს)

შავდია. ნუ იკადრებ, ბატონო!

სიღუ. მომეცა-მეთქი!

შავდია. (ხელს დაუჭერს და დააჩოქებს)

სიღუ. (სასოწარკვეთილებისაგან შეჭკივლებს).

აა, თქვე-მხეცებო, თქვენა...

თ

ჩიქვანი. ხეცია.

ხეცია. რა ამბავია, რა ყვირილია?  
(გაოცდება).

ოჰ, სიღუ?.. შენ?.. საიდან?..

სიღუ. (ტირილით მივარდება)

მამა, მამა!

ხეცია. (აღერსით ხელს შეაშველებს, მაგრამ შემდეგ სათნოდ ჩამოიშორებს და ლმობიერის და თან შეუვალის კილოთი)

აქ როგორ გაჩდი? კიდევ ურჩობა!.. აკი ქაქვინჯის ციხეში მყავდი მოთავსებული... ბახვა ანთელავა რა იქნა?

სიღუ. (ცოტა მორიდებით)

ბახვა მოჰკლეს, მამა!

ხეცია. მოჰკლეს!? ვინ?

შავდია. გლეხები აჯანყებულან, ბახვა მოუყლავეთ, თქვენი ასული გაუნთავისუფლებიათ და აქეთკენ წამოუყვანიათ ქმრის სანახავათ... ეს არის ეხლა მობრძანდენ. აი, თავადი ჩიქვანიც აქ ბრძანდებოდა.

(ჩიქვანი შემოდის)

ხეცია. (სახე მოელრუბლება. შემდეგ ჩიქვანს)

მერე, რატომ არ. მითხარი?

ჩიქვანი. მოუცლელი იყავ, ხეცია! ამათმა კივილმა სამართალი შეგვაწყვეტია. დადია გველოდება, ხეცია.

ხეცია. მოახსენე, რომ ეხლავე ვიახლები. დაგვტოვეთ მარტო.

შავდია. (გადის)

**ჩიქვანი.** ვიცი, ხეცია, ეხლა შენს გულში რა ცეცხლიც ტრიალებს, მაგრამ შენს განდგომას არ მოველით.

**ხეცია.** ჩიქვანო! სიტყვა ადამიანისა ოქროა, კარგი აწონა უნდა. ხეცია განდგომილი არასოდეს არ იქმნება და თავის მოვალეობის ასრულებას არასოდეს არ განუდრკება. მე დაეიწყე და გავასამართლებ კიდეც ჩემს სიძეს, რა კი ამას მოითხოვს ქვეყნის კეთილდღეობა, თუნდაც თვით ჩემი შვილის დაღუპვაც მომელოდეს.

**ჩიქვანი.** მივდივარ და გელით.

(გადის)

**ხეცია.** შვილო. ჩემო! აბა, რას ჩაღიხარ?... ეს მეორეჯერ მომიკალ გული!

**სიღუ.** კიდეც მაყვედრი, რომ გეგეპკორს გაყვევი ცოლად? რით ვერ შეურიგდი მაგ აზრს?

**ხეცია.** ის არ შეყოფოდა, რომ მოჯალაბის შვილი სიძეთ გამიხადე, მერე ისიც ვინ? სახელმწიფოს მოღალატე! ეხლა კიდეც შენ თვითონ მოუძღვი აჯანყებულ გლეხებს, ჩემი ერთგული ყმის, შენი გამზრდელის ბაზვას შეკლევლებს... ეს რა დრო დაგვიდგა! რა ცოდვა გვეკითხა!

**სიღუ.** როგორ, მამა! შენ გინდა გული ამოვიგლიჯო! რაც იწამა ჩემმა გონებამ, რასაც შეეზარდა ჩემი გრძნობა, რაც უკვე ჩემს ბუნებათ იქცა, ეს ყოველივე ძირიანათ აღმოფხვრა?! ეს ხომ ჩემს ხელთ არ არის!? მამა, მამა! კარგათიცი, რაზომ მიყვარხარ... ეს ენით გამოუთქმელია, მაგრამ მისი სიყვარულიც ძლიერია, და ძლიერია მით უფრო, რომ ის მართალია, მამა... მერე, განა ტყულია, რუმ გლეხებიც ადამიანები არიან, რომ იმათაც ადამიანური ცხოვრება უნდათ?! და ის რას თხოულობს, რას ქადაგებდა მუდამ?... გაანთავისუფლეთ გლეხები, გახადეთ თქვენი თანასწორი, მიანიჭეთ ადამიანური ცხოვრება... მერე, განა რუსთველიც ამას არ ამბობს?— „ათავისუფლეთ მონებიო!“ და განა ქრისტეც მასვე არ ბრძანებდა: ადამიანები ყველანი თანასწორნი არიანო. „იყვარებოდეთ ურთიერთ არს!“.. შენ ხომ ბრძენი კაცი ხარ, მამა! შენ ხომ ჩვენი მატრიანეს მწერალი ხარ... ჩემზე უფრო კარგათ გესმის ეს...

ხეცია.

(სიხარულით და ნაღვლიანი შეჭურბღა  
შვილს)

ეეჰ, შეილო, შეილო! დეეხსენ მაგეებს... სქოლასტიკა შენი საქმე არ არის... მაგისთანა სიტყვებით და საქციელით შენ დალუპავ შენს ქმარსაც, უბედურ მამა შენსაც და შენ თავსაც... მარტო კეთილი სურვილებით საქმე არ კეთდება, შეილო... უღროო დროს ბავშური და ქაბუკური მოფეთქება საქმეს ავნებს მხოლოდ... მე არ ვამბობ, შენი ქმარი შეიძლება ერთგვარათ მართალიც იყვეს, მაგრამ ჯერ მაგისი დრო არ მოსულა, შეილო... მაგითი თვით იმ გლეხებსაც შეიძლება უფროც დაუშაოს... მე მის ნიქსა და კეთილ გრძნობებს დიდათ ვაფასებ... უცხოეთში აღზრდილ ყმაწვილს გონება განუფითარებია, მაგრამ ჯერ შორს არის ეგ დრო, შეილო...

სიღუ. მერე, მამა, თუ კი აფასებ კიდევ და ერთგვარათ მოგწონს მისი აზრები, რათ არ უშეელი? რათ ასამართლებ... და ასამართლებ კი არა... აწამებინებ...

ხეცია. ის სახელმწიფოს მოღალატეა!

სიღუ. მერე, შენი სიღუს ქმარიც რომ არის?

ხეცია. (შაკარად)

თავს ნუ მამბრალეებ!

სიღუ. მერე, შენ გინდა შენი რწმენის წინააღმდეგ კაცი დასაჯო?

ხეცია. მე უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ვარ.

სიღუ. ოო, შე-გულქეაო...

(უბათ)

მომიტევე, მომიტევე, თვითაც არ ვიცი, რას ვლაპარაკობ.

ხეცია. ეეჰ, ჩემო შეილო! მე რომ შემეძლოს მისი დახსნა... ყოველი ღერი ჩემის თეთრის თმისა, ახალგაზდა სიცოცხლით რომ აღივსებოდეს, ეს ფაფანაკი რომ მთელი ქვეყნის გვირგვინათ გახდეს და ეს მარჯვენა მსოფლიო მატთანის აღმწერლათ, ყველა ამას დაეთმობდი, ოლონდ ეგ დამეხსნა, ისე შემიყვარდა და ისე ვაწამე იგი, მაგრამ...

სიღუ. შენ რომ მოისურვო, ეგენი არც ერთი არ დაგჭირდება...

ხეცია. შენი პასუხი ამეღავენებს, რომ შენ სამეგრელოს სრუ-

ლიად ვერ იცნობ. მაგრამ შენ ან კი საიდან უნდა იცნობდე, როდესაც თვით სამეგრელო ვერ იცნობს თავის თავსა. მაშ, იცოდე: გეგეჰკორის დაღუპვის მსურველთ დიდი ხანია ჩემი დაღუპვაც უნდათ და ჩვენი ოჯახის მტრები სხვა და სხვა გზით ერთი მიზნისაკენ მიისწრაფიან. ეს მიზანია... მაგრამ ჯერ კი ვერ მოუხდათ მისი მიღწევა.

სიღუ. იმათ ორივენი გაგაძევეს...

ხეცია. არა! ჯერ ცოცხალი ვარ!

სიღუ. (ცოტა შეკივლებს)

ის! ის კი არ იქმნება ცოცხალი?..

ხეცია. ნუ გეშინია, იგი იცოცხლებს და იცოცხლებს უფრო ბედნიერათ, ვიდრე მისი სიმამრი იყო. მას ცხოვრება დაადინჯებს და შეიქმნება ფრიად სასარგებლო კაცი. მხოლოდ ეხლა კი ბავშური გაუფრთხილებლობით დიდ ხიფათს ეწია. მოუთმენელ ახალგაზდა ქალივით მოუნდა სამშობლოს ნახვა, თანაც საბედისწერო წერილი გაგზავნა. ეს საქციელი კი დიდი დანაშაულია. ცოტა რომ მოეთმინა და აეტანა გაძევება, მაშინ როგორმე ვუშველიდი. ეხლა კი ყოველივე დაღუპულია. ისევე უნდა განაძეონ.

სიღუ. ისევე უნდა განაძეონ?

ხეცია. ღიად.

სიღუ. მერე?.. ოჰ, საშინელებავ!.. კარგი... მე ხომ შემძლიან თან გავყვე?

ხეცია. შენ ამას წინეთ უარი გითხრა უზენაესმა სასამართლომ. ეხლა მესამეჯერ შეუძლებელია ნება დაგროთნ, რადგან შენმა ქმარმა თვისი დანაშაული გააორკეცა და მსაჯულნიც კანონიერების სრულის სისასტიკით მოეპყრობიან.

სიღუ. კანონიერებით კი არა, გულ-ღვარძლობით და გაბოროტებით. ესეთები რომ არ იყვნენ შენი მსაჯულები, ვინ დაიჯერებს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ქალს უშობნია, რომელთაც პატარაობაში დედის ძუძუ უწოვნიათ, რომელთაც ოდესმე ყვარებიათ და მათ ბაგეებს წარმოუთქვამთ ფიცი სიყვარულისა, ასე შეუბრალებლად მოიქცეოდნენ? და შენ კიდევ იცავ იმათ. ოჰ, მამა, მამა ჩემო!

**ხეცია.** ის დამნაშავეა.

**სიღუ.** სიცრუეა! არავის და არასოდეს არა ჰქონია მასავით კეთილშობილი გული. არავის არ შესძლებია ეგეთი სიყვარული. არასოდეს მე არ გავცვლიდი ჩემს

(ცრემლით)

დაავადმყოფებულს, განაწამებ, შეურაცყოფილ ქმარს, არც ცოცხალსა და არც მკვდარს, თუნდაც ზღაპრული ვინმე ბატონი შეილიც ზომვლინებოდა, თუნდაც მთელი ქვეყნის დედოფლობაც მოენიჭებინათ ჩემთვის. დამნაშავეაო! მაშ, იცოდე, ბეჟა ხეცია, რომ ეს დანაშაული თვით სამეგრელოს დაედება დანაშაულათ! მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია და, თუ ჩაიდინა ვინმემ, მაგათ, მაგ მტარვალეებმა და შენც მაგათში ურევინებარ, მამა-ჩემო! ო, რა ცეცხლია!.. თქვენც რომ ეგრე გყვარებოდათ თქვენი სამშობლო და თქვენი ხალხი, როგორც მაგ წამებულსა, რომელიც მზათ არის სიცოცხლევც კი გასწიროს და მისი სიკვამლე ლამის ამ წამებასა და დიღუგ შუა დალიოს მხოლოდ იმისთვის, რომ არ იცხოვროს სამშობლოს გარე, მაშინ თქვენ ყველანი ქედს მოიდრეკდით მის წინაშე და შენდობას გამოითხოვდით ყველა თქვენი შეცოდებისათვის.

**ხეცია.** დამშვიდდი, შვილო! ყოველივეს ღრო განკურნავს. ეხლა კი მე ვერას უშველი, ორჯერა ვთხოვე დადიანს გავენთავისუფლებინე ჩემი თანამდებობისაგან, მაგრამ არ ინება და ეხლა კი მე თვით არ გავდგები. უნდა შეევასრულო ჩემი მძიმე მოვალეობა...

**სიღუ.** ღმერთო, ღმერთო... მამა!—ქმარი!

(ტირის)

**ი**

დადიანი, ჩიქვანი, შავდია,  
აშალა.

**დადიანი!**

(სწრაფად შემოდის, მეორე კარებისაკენ მიემართება. უცბად შედგება)

ბეჟა ხეცია! დიდხანს გვალოდინე და მეც გადავდე განაჩენი. მითხრეს შენი ქალი მოსულა...

**სიღუ.**

(წამოდგება, ცრემლებს იწმენდს და მძიმედ თავს უკრავს)

დადიანი. სალამი ქალბატონს .. ეს რა ამბავია, შენც მიჯანყებ გლახებს... შენი კუბაქი ქმარი არ მეყოფა, რომ ეხლა თავადის ქალებმაც მის მაგალითს მიბაძოთ...

(ახლოს მივა. სხვა კილოთი).

სილამაზით კი ისევ ლამაზი ხარ...

სიღუ.

(აენტება. თავს იმაგრებს).

მთავარო!

დადიანი. რამდენჯერა ვთქვი: მაჰმადიანობა უნდა მივიღო მეთქი... ჰარამხანისთვისაა კარგი ეს სჯული. მაგრამ ა-ბატონო!

(მიუთითებს)

დარბაისლებმა არ მიყაბულეს... განსვენებული დედა ჩემი ხომ დიდათ შემომწყრა: ქრისტიანობა, შეილო, ეს არის ფუძე ჩვენის კეთილდღეობისაო, მაგრამ... რა წააგო აფხაზეთის მთავარმა, თუ მაჰმადიანია!.. სულთანის მცგობრობა დიდი რამეა... შერე ჰარამხანაც... მაშინ კი, სიღუ ხეციხე, ხელიდან ვერ წამიხეილოდი... ერთი კუბაქი გეგეკკორი კი არა... მთელი გუნდი გლახებისა ვერ დაგიცავენენ...

სიღუ. ბატონო დადია, ნუ იკადრებ...

დადიანი.

(შესცვალა კილო)

გინდა შენს ქმარს უშველო?..

ჩიქვანი. ხუმრობ, ბატონო!

დადიანი. ა? შეგეშინდა?.. დადია გულ-ჩვილია, დადია ახალგაზდა და ლამაზი ქალის თხოვნაზე სულ დადნებაო? მაგრამ შემცდარი ხარო თქვენ...

(ბრაზი ერევა, თითქმის ყვირის)

მე ჯერ კიდევ ვერ მიცნობთ კარგად! მე თქვენ ყველას გააკვირვებთ.

(მივიდა სიღუსთან, კილო შესცვალა)

იცი! შენი ქმარი ნიჭიერია, მაგრამ... სულელია. მეცოდება... ოო, ძალიან მეცოდება! დიდათ შეცდა განსვენებული მამა ჩემი, რომ მის მშობლებს ნება დართო შენ ქმარს უცხოეთში სწავლა მიეღო. ამ სწავლამ დალუპა! აბა, გაბედოს ეხლა ვინმე ჩემმა მოყმემ და მისი შვილისათვის სასწავლებლათ გაგზავნის ნება მთხოვოს?.. იცით, ჩემმა ბიძაშვილმა — მანჩამ მისი შვილისათვის მთხოვა ესეთი ნებაართვა... ჰა! ჰა! რა შეილი

ვარ! უარი ვტყვი... ხომ კარგად მოვექცეულვარ?.. აა, ხეცია! შენც ჩუმადა ხარ... ყველანი ჩუმად არიან... ეს ქალი კი ისევ ტირის. არ შემძლიან ქალის ცრემლებს დანახვა... ადამიანის წამებას სიამოვნებით ვუტყერ, სისხლის თქრიალს ადვილად დავინახავ... ქალის ცრემლებს კი... უბრძანეთ, აპყარონ ხუნდები, ბორკილები გეგეკორს, სრულიად გაანთავისუფლონ და მოჰგვარონ მის მეუღლეს.

სიღუ (სიხარულით შეჰკივლებს)

დადიანი. ნუ მეტყვი მადლობას...

სიღუ. (უცბათ შეჩერდება)

დადიანი. მხოლოდ ამ ოთახიდან არსად არ უნდა გავიდეს... მცველები დააყენეთ ირგვლივ... დასტოვეთ, ცოლ-ქმარნი მარტონი და მოართვით ჩემი შესაფერი სანოვაგე და პურ-ღვინო. ნახვამდის, ბატონო სიღუ!..

(ყველანი სახტად არიან)

დადიანი.

(გადახედავს იქ მყოფთ. ნახათ, ხუმრობით, მაგრამ ბრძანებით)

ვერ გავიგეთ? მე ვბრძანე. აასრულეთ...

(სწრაფად გადიან ჩიქვანი, შავდია და სხვები)

ხეცია, შენ ჩემთან წამოხვალ...

(სწრაფად გადის)

სიღუ. რა კაცია?

ხეცია.

(თავის ქნევით)

დიდი კაცია...

## მოქმედება მეორე

იქვე

ა

სიღუ. გეგეჰკორი.

(გადახვეულნი არიან)

**სიღუ.** ჩემო სასურველო!..

**გეგეჰკ.** ჩემო ერთად-ერთო ნუგეშო! რა ბედნაერებაა!

**სიღუ.** ჩვენ ამიერიდან აღარ გავიყრებით!

**გეგეჰკ.** როგორ, შენ გინდა ჩემი ტანჯვა გაინაწილო?

**სიღუ.** შენი ტანჯვა, ციხე, საფლავი, თვით წამება სულ ყველაფერი. ოღონდ შენთან კი ვიყო. საკმაოა, რომ გადვიტანე პირველი განშორება. მითხარი, როგორა გრძნობ თავს? განაწამები სხეული ხომ დაგიშვილდა? შენ ფითრლები! მაშ, რაღაზე გეკითხები?

**გეგეჰკ.** ფითრლები მიტომ—ასე უეცრად გნახე! არა მჯერა ჩემი ბედნაერება. სიხარულისაგან სისხლი გულს მოაწვა და სახე გამიფითრა. აი, შენც ფერი არ გაძევს, სიღუ! მაგრამ შითხარ შენი ამბავი...

**სიღუ.** ჩემი ამბავი? ის რაც უშენოთ გამოვიარე... ეჰ, რათ გვინდა!.. შენ ცოცხალი მყავხარ...

**გეგეჰკ.** მერე ჩემი თავისუფლება?

**სიღუ.** შენებურათ იყავ თავისუფალი სულითა!..

**გეგეჰკ.** ო, ეგ დიდი სიტყვებია. მაგრამ მაინც მხოლოდ სიტყვები. მშვენიერი მუსიკაა, მაგრამ მაინც წარმავალი და წუთიერი! სულიერი სიმაღლე დიდი რამეა, მაგრამ ყველაფერი არ არის. მაგან შემადღებინა • სიკვდილზე უარესი წამებანი ამეტანა, მაგრამ ისიც მართალია, რომ სიკვდილი მხოლოდ ერთ-ერთ საუკუნო მიძინებაა. ყოველივე ეს კი უდრტვინველად ავიტანე. უბრალო კვნესა, მართალია, აღმომხდა მკერდიდან... იყო წუთი სისუსტისა, მაგრამ ჩემმა კვნესამ ჩემი მოსამართლეები უფრო შეარცხვინა, ვიდრე მე. თუმცა ამ ქვეყნად არის უფ-

რო უარესი სატანჯველი: აი, თუნდა მთელი სიცოცხლე დი-  
ლეგში გდება. შეიძლება მართლაც ეს მომელის...

სიღუ. არა, არა! დადიამ ბრძანა გაანთავისუფლეთო და, აი,  
ხომ ჩემთანა ხარ ეხლა!

გეგეჰკ. მართლაც-და, რას ნიშნავს ეს?.. უცნაური რამ ამ-  
ბავია: პატიმარი ვარ და დილეგის ნაცვლად სასახლეში ვიძყო-  
ფები, ხუნდების მაგიერ შენთან ვარ... მოულოდნელათ და თა-  
ვისუფლად...

სიღუ. მთავარმა ესე ბრძანა, მაგრამ კარებზე მცველები მაი-  
ნცა ღდანან.

გეგეჰკ. ჰა, ჰა! ეშინიანთ არ გავიქცე?.. განა მე გავექცევი იმ  
გრძობას, რომელმაც აქ დამაბრუნა?.. განა გავექცევი ჩემს ღვთაე-  
ბას, ჩემს სიღუს?... სკოდნიათ მოფიქრება... მაშ, ამ საარაკო  
შეხვედრით იმათ უნდათ უარესათ მომიშხამონ სიცოცხლე და  
კვლავ დილეგში ჩამაგდონ. მიჩვენონ ჩემი მზე, რომ შემდეგ  
უფრო სასტიკად ვიგრძნო წყვედიადის ძლიერება?.. არა! ბევ-  
რის ატანა შემიძლიან კიდევ... ეს დავამტკიცე მათ წინაშე.  
მე მხოლოდ მარტოობა მაშინებს, როცა მე გაჩენილი ვარ ხალ-  
ხისათვის.

სიღუ. მე ვიქნები შენთან.

გეგეჰკ. ო, ეს რომ შესაძლებელი იყოს მაგრამ ვერ დავი-  
ჯერებ. ისინი ჩემზე ესეთ მოწყალებას არ მოიღებენ... ო, სი-  
ღუ, სიღუ! ისინი კვლავ წამართმევენ შენს თავსა... ამას კი  
ველარ ავიტან.

1 (ტირის)

სიღუ. გამცნობ მათ გულის ზრახვას... გეტყვი რასაც გიპი-  
რებენ...

(მწარედ ჩაილიმებს)

გეგეჰკ. ვიცი... აი, დახედე!

(უჩვენებს სხეულზე, თითქო წამებას ახსე-  
ნებსო)

სიღუ. არა, არა! მათი გული მორბილებულია... მამა-ჩემმა  
მითხრა ეხლა...

გეგეჰკ. მამამ?.. იმის სიტყვას ვერწმუნები. რას მიპირებენ?

სიღუ. უნდა გაგაძეონ ისევ.

**გაგაქა.** კვლავ გამაძეონ? მაშ, სიანს, ჩემი უკანასკნელი იმედიც ჩაქრა სამუდამოთ... არა, ისევ ავიტანდი აქაურ წამებას, ისევ აქ მერჩია დილეგში ყოფნა, რადგან მეცოდინებოდა, რომ ჩემს სამშობლოში ვარ, მეცოდინებოდა, რომ ჩემის გულის წაწალოთან ერთად მშობლიურ ჰაერსა ვსუნთქავ, ჩემს სიდუსთან.

**სიღუ.** მე შენ წამოგყვები. საცა უნდა იყოს. გავინაწილებ შენს ქირსა და ვაებას...

**გაგაქა.** ოჰ, ჩემო კარგო! რათა ხარ ეგრე გულ-უბრყვილო... ვინ დაგრთავს მაგის ნებას?

**სიღუ.** თვითონ მთავარი.

**გაგაქა.** მერე კარის-კაცნი? მერე ჩიქვანი? მერე შაეღია? ის ჩემი ნაბატონარი და მოსისხლე მტერი? არა! დადიას ისინი მალე შეუცვლიან გუნებას. დაიცა, დაიცა! სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ! ეგენი არ დაგვინდობენ, სიღუ! მაშ, ნურც ჩვენ დავინდობთ...

**სიღუ.** შენთვის მზათა ვარ ყველაფერზე, ჩემო ყველავ, მაგრამ რა შეგვიძლია მოვიქმედოთ?

**გაგაქა.** მითხარი, აქ ვინ გახლავს, როგორ მოხვედი? თუ მამაშენმა გაგანთავისუფლა ქაქვინჯის ციხიდან? მან დაგიბარა?

**სიღუ.** სულ სხვა გვარ არის საქმე. გლეხები შემოესიენ ჩემს საპატიო საპურობილეს, ქაქვინჯის ციხეს. ცოტა შეტაკებაც მოუხდათ მეციხოვნეებთან. მათი უფროსი, ჩემი დარაჯი ბახვა ანთელავაც მოკლეს, მე გამანთავისუფლეს და აქეთ გამომისტუმრეს. ციხე მათ ხელშია და თანდათან გროვდებიან, მხოლოდ ჯერ მშვიდობიანის გზით უნდათ საქმის მოგვარება. იმათ შენს გასანთავისუფლებლად გამომგზავნეს აქა.

**გაგაქა.** (ხარბათ ისმენდა სიღუს ნამბობს)

აჰ, თქვენი ქირიმე, ბიჭებო!.. ეს რა მითხარი, სიღუ!.. რა ამბები ყოფილა!.. აქ სწრაფი მოსაზრებაა საქირო. საქმიანობა და არა სიტყვები... მაგრამ, ღმერთო! ღმერთო, შენ ხომ იცი: მე მულამ ვერიდებოდი ესეთ უკიდურესობას... ეჰ, გადაწყდა... სიღუ, სიღუ! დაიცა, მაინც აქ ვინ გახლავან?

**სიღუ.** აქ ჩემთან მხოლოდ ათიოდე კაცია, მათ ქუხილია გვაძაბია და ბიქია ხუბუნაია მეთაურობენ.

**გეგეჭკ.** ოოჰ, ვიცნობ მაგ კაჟანდიებსა... უთუოდ ერთ-გულნი არიან მაგრამ... სხვაგან... გზაში არსად შეტყება არ მომხდარა? ამათ არაფერი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ? ან აქ არ დაუტუსაღებიათ ეგ ხალხი?

**სიღუ.** არა, არაფერი არ მომხდარა. და აქ კი რაც შემოველ, აღარა ვიცი რა, ჩემს მომყოლებს როგორ მოექცნენ...

**გეგეჭკ.** სიღუ, სიღუ!... მგონი, თავისუფლება ახლოსაა... ლამის კკუაზე შევიშალო... ვერ გაიგებ მათ ამბავსა და თუ თავისუფალნი არიან, ვერ უბრძანებ, რომ ერთ-ერთი აქ შემოვიდეს?

**სიღუ.** ჩემო სულის დგმავ! ამბავს კი გავიგებ, მაგრამ რათ გაიწყდება, რომ, თუ არა საკუთარ ფარეშს, ისე გლენს მთავრის სასახლეში არ შემოუშვებენ.

**გეგეჭკ.** ოო, ეგ სულ დამავიწყდა... დაიცა, გადავებვიენეთ ერთმანეთს: კედლებს ყური აქვთ და ალერსს, რომ შეგვამჩნევენ, მოგვერიდებიან.

(მიიკრავს მკერდზე)

მაინც ჩუმად გეტყვი: უნდა როგორმე გამაპარო აქედან. როგორმე იმათ აცნობე და ისინი მოახერხებენ. მეტად ეხლა ჩემი გონება არ მუშაობს... სხვა ვერას გეტყვი.

**სიღუ.** შენს სახელს ვფიცავ, ავასრულებ, რათაც უნდა დამიჯღდეს.

**გეგეჭკ.** ჩუშ... ჩუმად... ვილაღ მოდის.

ბ

~~1-1~~

**შავდია.** (შემოდის).

ბატონო სიღუ, დედოფალი გიხმობსთ თავისთან.

**სიღუ.** (შეკრთება)

ესე მალე მაშორებთ გულის საყვარელსა?

**შავდია.** მაგისი ეხლა ნუ გეფიქრებათ. ბედი უღიმის. დადიამ გული მოიბრუნა და ეხლა უზენაესი სასამართლოც ვერას დააკლებს.

**გეგეჭკორი.** გასწი, სიღუ...

(მნიშვნელობით)

დედოფალიც ინახულე. არ ვკარგავ იმედს კიდევ შევხვდებით. სიღუ. ეგრე, ჩემო მეუფევე! მხნეთ და თამამათ.

გეგეპკორი. ასე მგონია სულ გამოვკეთდი... დაუძლეველ სულიერ ძალ-ღონესა ვგრძნობ... გამოუტკეველი იმედი გულს მიმხნეებს... ნახვამდის, სიღუ!

სიღუ. ნახვამდის, ღუტუ!

(სიყვარულით, მაგრამ რაკი სხვაც მათთან არის, მოშორებით ესალმებიან. სიღუ გადის).

შავდია. თქვენ კი მიბრძანდით სხვა დარბაზში, იქ პურ-მარილი მიგელოდებათ... მხოლოდ გაქცევა არ განიზრახოთ, თუ არ გინდათ რომ თავი წააგოთ. მე კი არ ვამბობ, მთავარმა ბრძანა ესე...

(კარებში)

ეი, გზა უჩვენეთ პატიმარსა.

გეგეპკორი.

(ღირსეულის თავდაპერით, არაფერს არ უპასუხებს ისე გადის).

## ზ

ჩიქვანი.

(შემოიკვრეტს მეორე კარებიდან და შემდეგ სულ შემოდის. იცინის).

ჰა, ჰა! ხომ გაიგონე ცოლ-ქმრის ბაასი, უნდოდათ მოვეტყუებინეთ, ვითომ აღერსობდნენ, მაგრამ ჩიქვანის მოტყუება სამეგრელოში? რა სულელი ყოფილა!.. ეს კია, ვერ მოვასწარ სიღუს მხლებლების ყველას დატუსაღება.

შავდია. როგორ, გაიქცა ვინმე?

ჩიქვანი. ორი უმთავრესი: გვაძაბია და ხუბუნაია მარჯვე ბიჭებია. მათ მღვეარიც ველარ მიაკვლევს. შავდია, ეხლა გვინდა მზათ ყოფნა!

შავდია. რასაკ მიპრძანებ, სახუცესო!

ჩიქვანი. დიდი კაცია ჩვენი მთავარი, როდესაც გეგეპკორის განთავისუფლება ბრძანა, მეც შეეფიქრდი, მაგრამ მერე მიეხვდი, რაც მოისაზრა. სადავეს ზოგჯერ მიშვება უნდა. ურა ცხენს ისე ვერ მოარჯულებ.

შავდია. ქარაგმით ლაპარაკობ, სახუცესო.

ჩიქვანი. მაშ, აი, მეორე ქარაგმაც: თუ მიმინოს დაქერა გინდა, ჩიტ-ბადეს უკან ბელურა უნდა აუფრთქილო.

შავდია. კარგათ ვერ მივხვდი, სახუცესო!

ჩიქვანი. რა გემართება, შავდია, გონება აღარ გიქრის?.. ბელურა გეგექკორია, მიმინო კი სამეგრელოს გლეხები. ბადეს ვერა ჩედავენ...

შავდია. ბადე—ჩიქვანია?

ჩიქვანი. ნუ გეშინია, შავდია, არის. პირველი ირაო ჰკრა უკვე მიმინომ. აჯანყება ჭაქვინჯში მოწყობილია. გავიგე, რომ სხეაგანაც რალაც მოძრაობაა... იფეთქებენ, წამოვლენ... ჩვენც ახლოს მოუშვათ...

შავდია. მერე, ეს აფეთქება, რომ დიდ ცეცხლათ იქცეს... რომ წაგვლეკონ?..

ჩიქვანი. ვინა? კუბაქი გლეხები? გლეხებს მამაცობა ვინ მისცა? ვაეკაცობის საქმეში სულ ჩვენ, თავად-აზნაურებს, მოგვდევენ კულში.

შავდია. მაინც საფიქრელია, სახუცესო...

ჩიქვანი. ჰო-და, აი, მზათ უნდა ვიყოთ-მეთქი. კაცები უნდა გავგზავნოთ ფაღავებთან, ჩიჩუებთან, შელიებთან და სხვებთან, რომ თავიანთ აზნაურებით აქ მოგვეშველნენ. აჯანყებულები მოუშვათ თვით სასახლემდის და შემდეგ ერთის დაკერით ვასწავლოთ სამულამოთ ჭკუა ჩვენს მტრებს, რომ წელის წამოწევა შემდეგში ველარავინ გაბედოს.

დ

ხეცია.

(შემოსულს ვერ ამჩნევებ)

შავდია. დიდებული აზრია, მაგრამ ხეცია?

ხეცია. რაო ხეცია?

(ორივე შეწრფება. ხეცია მწარედ ჩაიცი-ნებს)

ჰმ... შენგან არ მიკვირს, შავდია, ახალგაზდა ხარ, მაგრამ ჩიქვანს უღალატა თავის სიფრთხილემ, რომ ესე აშკარათ ამბობს თავის გულის ნადებს!.. თუმცა არ მკვირდება თქვენი ხმა-მაღლა გამოთქმა. ისედაც ვიცი, რომ ჩემთვის კარგს არას ისურვებთ...

ჩიქვანი. ბრძენი კაცი-ხარ, ხეცია, და ცილის წამებას ნუ იკადრებ...

ხეცია. თავს რათ იკატუნებ, სახუცესო!.. ჩვენ ხომ დიდი ხნის მტრები ვართ...

ჩიქვანი. თქვენი არ ვიციღ... ჩემს მტრობას რითი ამტკიცებთ?

ხეცია. იმითი, რომ მამა შენიც ჩემი მტერი იყო. მე მძულდა თქვენი გვარი მისთვის, რომ მან მიიყვანა სამეგრელო დალუპვამდე. თქვენა მტრობლით საუკეთესო შეილებს ოდიში-სას მისთვის, რომ ხელიდან არ გაგკლოდათ თქვენი გავლენა და ყოველ-გვარ ხრიკებს ხმარობლით ამისათვის...

ჩიქვანი. ხეცია, მეტს კადრულობ!

ხეცია. (არ უსმენს)

ჩემი მტრობა კი მუდამ პირდაპირი იყო. არასოდეს არ მიკადრებია ხრიკებითა და ენისტანიაობით მტრობა გამეწია.

ჩიქვანი. იცოდე, ხეცია, რომ მე შენი არ მეშინია.

ხეცია. არც გაქვს მიზეზი შიშისა. მე ის ვიქნები, რაც ვიყავ. დეე. ეცადეთ მჰვნოთ, გააბით თქვენი ბოროტი ქსელები, მე ისევ ისე სულგრძელი ვიქნები თქვენდამი.

ჩიქვანი. გეგეკორი, შენი უღირსი სიძე?

შავდია. შენი ქალი სიღუ, ხეცია?

ჩიქვანი. მგონია ფერი გეცვალა?

ხეცია. ქვემძრომთა დანახვაზე მუდამ ფერი მეცვლება ხოლმე.

ჩიქვანი. ეს მეტის-მეტია...

შავდია. ხეცია, უფროსი ხარ, მაგრამ...

## ე

და დ ი ა ნ ი.

ოჰო!... გეტყობათ, რომ ტკბილათ საუბრობთ.

ჩიქვანი. ტკბილ საუბარსა ჩვენი ხეცია გადაჩვეულა.

დადიანი. ზრდილი და ბრძენი კაცი...

შავდია. მოხუცებას ბევრი სკოდნია...

ხეცია. ტყიულა ცდილობ, ჩემს მუქარას ვერ გამოიწვევ.

დადიანი. კარგია, მაგას თავი დაეანებოთ და შეუდგეთ კვლავ ჩვენს სამწუხარო მოვალეობის ასრულებას.

ჩიქვანი. (უბიერთ)

რასა, ბატონო?

დადიანი. სამართალი ჯერ არ დასრულებულა.

ხეცია. როგორ, დღესვე გინდა, დადია, განაგრძო სამართალი?.. ბრალდებული ველარ გაუძღვებს.

დადიანი. არა უშავს-რა. ეხლა ყუათხეა. პურად ილო და თან საარაკო ბედნიერება მივანიჭე. ლამაზი, საყვარელი, სატრფო კოლიც ვაჩვენე.

ხეცია. ოჰ, რა საშინელი სისასტიკეა.

ჩიქვანი. მგონი ხეციას გული ეცვალა... თავისი სიძე უკვე ებრალება?.. ხი, ხი, ხი!

ხეცია. ჩემს სიბრალულს თქვენ მხოლოდ აქ ხედავთ... მე მხოლოდ ადამიანობას ვახსენებთ. იქ კი; როცა სამართალსა ეჭრი, კვლავ მოსამართლე ვიქმნები.

ჩიქვანი. ისიც მიუდგომელი?.. ამასაც ვნახავთ.

(შავდიას)

მაგისი ტანჯვა უკვე იწყება... ქალის ნახვამ უკვე მოხარა...

შავდია. დე, დაიტანჯოს... ვანანოთ მისი თავხედობა.

დადიანი. (გაფანტულად იყო)

რას ჩურჩულებთ?

(შავდიას)

უბრძანე ამ დარბაზში კადრაკი მომართვან.

(ხეციას)

შენ კარგი მოკადრაკე ხარ, მაგრამ არ გეცლება... აქებენ შენს ქალს სიდუს... დიდი მოკადრაკეა, თურმე... შენი ნიჭი გამოჰყოლია.

ხეცია. (თავისთვის)

კიდევ რას აპირებს?

დადიანი. (შავდიას)

ბატონ სიდუსაც მოახსენე აქ გამობრძანდეს...

შავდია. (ვადის)

დადიანი. (ჩიქვანს)

შენ კი უბრძანე პატიმარი საწამებელში შეიყვანონ და ამ ვამად მარტო შენ და ხეცია ჩამოართვივთ ჩვენებას...

ხეცია. დიღო მთავარო! არ გეკადრება, ეს საშინელი სა-  
ტანჯველი...

ჩიქვანი. ვისთვის? შენთვის?

დადიანი. (ჩიქვანს)

ჩუმ... ჩუმად!..

(ხეციას)

არ გინდა მოვალეობის შესრულება?..

ხეცია. აქ მამა, იქ შვილი... იქ ქმარი, აქ ცოლი... ეს რა  
წამება გამოიგონე?

დადიანი. მოვალეობა, ხეცია, მოვალეობა!..

ხეცია. (ჩამობნელებული ჩუმად არის)

დადიანი. (ჩიქვანს)

გასწი და აღასრულე.

ჩიქვანი. სიხარულით, ჩემო ხელმწიფე!

(გადის)

ხეცია. ოჰ, შე-გველო! ფუჰ, შენს კაცობას!

დადიანი. არ მოგწონს ჩემი გადაწყვეტილება?

ხეცია. ხელმწიფეო! ჩვენო დადია! რათ გინდა თავი მო-  
გვაჩვენო იმათ, რაც არა ხარ! რომ კი ვიციოთ შენი გულ-ჩვილი  
ხასიათი! რათ გინდა შეიცვალო! რათ გინდა სისასტიკის სახელი  
გაიგდო? ხალხს დაეწყევლინო? ისედაც ვერა ხედავ რა ცუდი  
ნიშნებია?..

დადიანი. (უეცრად წამოიყვირებს)

ჰო-და, მე მინდა ძირიან-ფესვიანად აღმოვფხვრა ეგ გველ-  
შაპი ჩემსკენ რომ მოიკლაკნება...

ხეცია. არა, დადია! სისასტიკე ცუდი ვეზირია... თუ შენ  
გინდა ჩემი დაღუპვა, ისევ მე დამღუპე.

(იჩოქებს)

შეიბრაღე ჩემი ქალი... დასაჯე გევექკორიც, მაგრამ ნუ  
მოკლავ კია... ნუ ჩაუმწარებ ჩემს ქალს სიცოცხლეს, ნუ გაუ-  
ნადგურებ ყმაწვილ ქალობას... აი, მუხლ-მოდრეკილი გველ-  
რები, მეფეო, მე შემინორე... მე გამწირე...

დადიანი. მე მათ არ ვღუპავ... შენ კი შენი მოვალეობა  
უნდა შეასრულო. ქვეყნის კეთილდღეობისათვის ესე სჯობია.

ხეცია. (წამოდგება სრულიად მოსხლვტილი)

ვეგრძნობ, რომ ჩემი ვარსკვლავი სრულიად ჩაესვენა, მაგრამ დღე... ოღონდ ამის პირობა მომეცი, დადია,— შენი ხელმწიფური სიტყვა, — რომ შეიბრალე ჩემ ქალს და იმის გულისა-აივის მის საწყალობელ გეგეჟკორსაც.

**დადიანი.** (ხელს გაუშვებს საკონელად)

სიტყვას გაძღვე.

**ხეცია.** (ცრემლიანი ხელზე აკოცებს)

მაშ, დღეს ნულა წაიყვან გეგეჟკორს ჩვენების ჩამოსართ-  
შევად.

**დადიანი.** (აენტება)

ეგ არ შეიძლება... მე ვბრძანე!

3

შემოჰყავთ გეგეჟკორი. მოსდევს ჩი-  
ქვანი.

**ხეცია.** (გაიმართება და თავისთვის)

ოჰ, რა მტარვალი ხარ მართლა!

**დადიანი.** აბა, ისიამოვნე, გეგეჟკორო?

**გეგეჟკ.** დიაღ, ბედმა დღეს დიდათ გამიღიმა.

**დადიანი.** როგორ? ბედმა და არა მე?

**გეგეჟკ.** მე მწამს, რომ შენც აღამიანი ხარ.

**დადიანი.** კიდევ თავხედობ?... მაშ, წაიყვანეთ სასამართ-  
ლოში.

**გეგეჟკ.** (უნებლიეთ შეკრთება)

როგორ? დღესევე?... არა, მე წამების არ მეშინია, მაგრამ რას  
ვაპოვებ?... რას მათქმევენებ?..

**ჩიქვანი.** ამას იქ ვნახავთ!

**დადიანი.** შენი სიმაჰრი გაგასამართლებს.

**გეგეჟკ.** სამართალი აქ არავის აქვს.

**დადიანი.** წაიყვანეთ!

(მიყავთ. გარინდებულ ხეციას)

მოვალეობა, ხეცია, მოვალეობა.

**ხეცია.**

(ერთს ბოროტად თვალს მიანათებს და  
გადის ნელის. მაგრამ მტკიცე ნაბიჯით,  
ყველანიც გადიან გარდა დადიანისა).

დადიანი.

(თვალს გააყოლებს მიზევალთ. ჩუმად გაი-  
ცინებს. შემდეგ მიდის იმ კარებთან საი-  
თაც გეგეპკორი გაიყვანეს და შეიჭურტს-  
ამ დროს სხვა კარები იღება და ისიც  
სწრაფად, დამნაშავესათვის შორდება კა-  
რებს. მოაქვთ კადრაკი. დგამენ თვალსა-  
ჩინო ალაგას. იმავე დროს).

ზ

ს ი დ უ და შ ა ვ დ ი ა .

დადიანი.

(სიდუს)

ო, ბატონო სიდუ! ხომ მოგახსენეს ჩემი სურვილი, რომ  
კადრაკი მინდა გეთამაშოთ?

სიდუ. დიად ბატონო... თუმცა ცოტა არ იყოს უცნაური  
სურვილია...

დადიანი. უცნაური?

სიდუ. დიად... ჯერ ერთი მე რა მრჯის თქვენთან კადრა-  
კის თამაშს... და მეორე—ისე აღელვებული ვარ ყველა იმისა-  
გან, რაც განვიცადე...

დადიანი. ეგ არაფერია... ცოტა აღელვება ქალს ყოველ-  
თვის შვენის...

სიდუ. ისე ვაფანტული ვარ, რომ...

დადიანი. არაფერია! აზრებს ჩვენ შემოგიკრეფავთ... ჩვენ  
გაგიტაცებთ...

სიდუ. მთავარო! გშვენის ხუმრობა, მაგრამ...

დადიანი. (კადრაკს თვითონ ალაგებდა ოზივესთვის).

კარგი, დავიწყოთ.

სიდუ. თქვენს ბრძანებას ვერ გადავალ.

(ჯდება)

დადიანი. (შავდიას)

უბრძანე, ოჯალეში მომართვან...

შავდია. (გადის)

დადიანი. აბა ავირჩიოთ.

(ორ პაიკს აიღებს, ზურგს უკან ცალ-  
ცალკე მუქაში ჩაიღებს და შემდეგ ხე-  
ლებს გაუწეღის სიდუს. სიდუ ერთ-ერთს  
ხელს დაადებს. აღმოჩნდება, რომ თეთრი  
ერგო)

ოპ, შაფები მერგო, ცუდი ნიშანია.

სიღუ. ღმერთმან შავი ნურა გარგოს-რა..

დადიანი. რატომ? შავი, შავგრემანი ქალი მაგალითად...  
აბა, დაიწყეთ...

სიღუ.

(პაიკს წასწევს)

დადიანი. აბა, ეხლა ჩემს პაიკს თქვენსას წინ დაუხვედრებ.

(თამაშობენ. შემოაქვთ ხონჩით ოქროს  
ლანგრებზე ხილი, ვერცხლის სურა და  
კულა. დაალაგებენ. გადიან, შემოდის აგ-  
რუთეე.)

ც

შ ა ე დ ი ა.

(დაადგება თავს. ღვინოს ასხამს და თა-  
მაშს შესცქერის)

დადიანი.

(სუაშს)

თქვენი საღმრთოელო იყოს, ბატონო სიღუ!.. ჰა, ჰა, ჰა!  
ეს რა შემომპარა—ეს მხედარი საით მიცოცავეს...

შავდია. გაპარვას თუ აპირებს. მთავარო...

დადიანი. ამ მხედარს ჩავამტვრევ კბილებს და ეს პირველი  
ქიშ...

სიღუ. უი, ღმერთო მომკალი! აქედან სულ არ მოველოდი.

(სამაგიერო ითამაშა)

დადიანი. ჰოო. ეგ კარგია. მაგრამ ეხლა ეს ეტლიც ავი-  
ყვანოთ... ოო, მარცხდება ქალბატონი, მარცხდება!..

(გარედან მოისმის კენესა. სიღუ შეკრთე-  
ბა, მიაყურებს. შემდეგ განაგრძობს თა-  
მაშს, მაგრამ გაუანტულობა ეტყობა)

ეგრე არ შეიძლება, ბატონო სიღუ: პაიკი ირიბათ არ დადის...

სიღუ.

(შემკრთალი)

ოპ, მომიტევე... აი ასე...

დადიანი. ეგ კი შეიძლება, მაგრამ ეხლა ლაზიერი დაგეყარ-  
კებათ.

შავდია. გულის ყურს ვერ აყოლებს ბატონი სიღუ.

(კვლავ მოისმის გარედან კენესა)..

სიღუ.

(წამოიწევს)

ღმერთო!..

დადიანი. რა მოგდის, ბატონო სიღუ?

სიღუ. ეს ხმა!—

დადიანი. ეგ არაფერი... აქვე გვერდით სასამართლოს ოთახია და... უთუოდ ვისმეს ასამართლებენ...

სიღუ. ვის?

(სწრაფად წამოიკრება. შავდიას)

სად არის ღუტუ?... .

დადიანი. ღუტუს აქ რა უნდა... აქ ცუდს ალაგას მოხვედით... გინდათ გადავინაცვლოთ...

სიღუ.

(შეშფოთებული)

არა! . დადია, მომითმინე...

(მიაყურებს)

დადიანი. დამშვიდდი, ქალო!.. არაფერი არ არის!.. დაბრძანდი...

სიღუ.

(მექანიკურად ჯდება. თვალი და ყური კარებისკენ აქვს)..

დადიანი. ჩემი რიგი იყო... ეს უკანასკნელი ქიშ და... შამაში იქნება.

სიღუ.

(საზარი კენესა გარედან)

(მიხვდა ყველაფერს. გაბრაზებული ხელს გაკრავს ქაღალაკს და მთავარს მიაყრის)

აჰ, შე მტარვალო!

დადიანი.

(წამოვარდება)

როგორ ბედავ?..

სიღუ. ის არის, ის!.. არ მოგაკვლევინებთ, არა...

(გარბის კარებისაკენ. შავდიას უნდა გადაელობოს, მაგრამ ამ დროს შემოდის ხეცია ალელვებული).

## თ

ხეცია. მთავარო! თუ ეხლავ არ უბრძანე, რომ შეაჩერონ წამება, მოკვდება პატიმარი...

სიღუ.

(შავდიას მიერ შეკავებული, ეხლა თითქმის გამოერყვა და ელოდება დადიანის სიტყვას).

დადიანი. არა! მე მისი სიკვდრლი არ მინდა!.. ჰა, ჰა! ვერ დაეასრულე ქაღალაკის თამაში...

(ხეციას)

ფიცხი ყოფილა შენი ქალი...

**ხეცია.** (ბრაზი ახრჩობს)

აჰ, მთავარო, რა დროს ხუმრობაა...

**დადიანი.** (ახედ-დახედავს. შემდეგ შავდას).

უბრძანე, წამება შეაჩერონ... თუ გული შეღონებული აქვს, აქ შემოიყვანონ. აქ უკეთესი ჰაერია, და ექიმიც მოგვარონ... ეს ქადრაკი სიღუმ აჰკრიფოს.

(გადის)

**სიღუ.** ოოჰ, ქადრაკს ახსენებს!.. გულ-ქვა, ზღმერთო...

(მივარდება)

მამა მიშველე რამე... დაიხსენ საბრალო, უდანაშაულო კაცი...

**ხეცია.** შეიღო, სად ძალ-მიძს მე ხსნა?! ჩვენ ყველანი ვიღუჭებით... ჯოჯოხეთურ აზრს დაუბუნდია მაგის თავში... ამ წელის წამებით მაგას უნდა ჩვენ ყველანი კუჭიდან შეგვშალოს... ეგ გვცდის ყველას... ჩვენი ხასიათის სიმტკიცეს, ჩვენს გრძნობებს... ჰმ... ქადრაკის თამაშია ყველა ეს... მაგისთვის... ჩვენ კი... ჩვენ მთელ სიცოცხლეთ გვიღირს...

ყ

ი

(შემოაქვთ ვულ-შეღონებული გეგე-კკორი, თან მოსდევენ ჩიქვანი და შავდია).

**სიღუ.**

(კვილით მივარდება)

აჰ!.. ხომ არ მომკვდარა...

**ჩიქვანი.** აქ დავასვენოთ. მე მთავარს ვეახლები...

(გადის. ვეგეკკორს ტახტზე დააწვენენ).

**სიღუ.**

(გულზე ყურს დაადებს. ცრემლიანი სიხარულით).

არა, გული ისევე ფეთქავს... მამა, აი სუნთქავს კიდევ... დუტუ! ჩემო კარგო!.. გონს მოდი. გონს... თვალებს ახელ? ეგრე, ეგრე... სიცოცხლე დაგიბრუნდა... თავს გაყწირავ და ეხლა კი აღარას გაგიჰირვებ... ა? რას ამბობ?

**გეგეკკორი.**

(წელის ხვით)

ეს ვინ არიან?.. ანგელოსები?.. ეს .. ეს... ჰოო, საბაოთ ღმერთი... გრძელი, თეთრ-წვერა... რათ არის ეგრე მოღუშული?

**ხეცია.**

(პირს მიიბრუნებს)

**გეგეკორი.**

(კოტაზე წამოიწევს. სიღუ შეეშველება).

დამანახეთ, ღმერთს როგორი აქვს თვალები...

(კიდევ უფრო წამოიწევს. საშინლად გა-  
აკანკალებს და თითქმის ყვირილით).

ააჰ! ამ ქედს უყურებ... ამ ჩალურჯებულ კისერს... გადატ-  
ყაულია, ხერხემალი მოუჩანს... ხერხემალი. ეს ხომ გლახია,  
ჩვენი გლახია... ის ადამიანია, ღმერთო, ადამიანი...

**სიღუ.** ჰო. კარგი, დუტუ... აქ არაფერიც არ არის. დამ-  
შვიდდი. მოისვენე როგორმე...

**გეგეკორი.** ჰა, ჰა, ჰა...

(შეწლილი-სიცილით)

მართლაც არაფერი არ არის და შენ იცი?..

(ერთომ უყვირდება სიღუს. წამოდგება).

მე საყვარელი მყავს... მზეთ-უნახავია... ბროლის კოშკში  
ზის... შორს არის აქედგან... ცხრა მთას იქით... დიდი მღი-  
ნარეებია გასაღვლეელი... ზღვის პირას დგას მისი კოშკი...

**სიღუ.**

(თანდათან მიხვედბა რა უბედურება-  
ეწვია).

როგორ? რას ამბობს... ო, ღმერთო!

(ჩაიკეცება და ქვითინებს).

**გეგეკორი.** ზღვა ლურჯად ლაპლაპებს...

(სათნოდ)

მე დაედივარ იქ ხშირად. მაგრამ ჰა, ჰა, ჰა... მე... ქმარს,  
არაფერს არ მიშვებს... როგორ მოგწონს ეს?..

**ხეცია.** რა ნათელი გონება დაგვისნეულდა?... ვაი, უბედუ-  
რო სამეგრელო...

**გეგეკორი.** რაო? სამეგრელო?... ჰო... შენ საიდან იცი?  
ჩემი სატრფო სამეგრელოში სცხოვრებს... ჰა, ჰა, ჰა!..

**ხეცია.**

(მიდის, ღმობიერათ გეგეკორს ხელს  
დაადებს).

საბრალო ქაბუკო, საბრალო!.. სიღუ, გეყოფა, შეილო...  
წამოდექ, თავი შეიკავე... ვინ იცის?! ახალგაზდაა... შეიძლება  
ყოველივემ გაუაროს... ეხლა სულ სხვა საზრუნავი გვაქვს...

**სიღუ.**

(გამეხებული, ცრემლებ-შენშრალი. წა-  
მოდგება).

ეხლა მე ვიცი, რაცა მაქვს საზრუნავი.

**შავდია.**

(აქამდე გაშტერებული იდგა. ეტყობოდა დიდ შინაგან, სულიერ ბრძოლას განიცდიდა. უეცრად მოწყდება ადგილიდან).

**ბატონო სილუ!** მიმსახურე.

ამიერიდგან შენი მონა ვარ ..

**სილუ.**

(ამაყათ)

**შორს გამეცალე, მოსისხლე მტერო!.. რა სარწმუნოა შენი სამსახური?..**

(სწრაფად გადის).

**შავდია.** მალე დაგიმტკიცებ ჩემს ერთგულებას

(დაედევნება).

**ხეცია.**

(მიაყოლებს)

გაჰყევით უკან, თავს არა აუტეხოს-რა.

**გეგეპკორი.** უზარ-მაზარი, უზარ-მაზარი სამრეკლოები...  
გესმის, გესმის როგორა რეკენ?

**ხეცია.**

(თავზე ხელს უსვამს)

ჰო, ჩემო შეილო!

ფ ა რ დ ა .

## მოქმედება მისამე

ქვე

ა

დადიანი. მაშ, მართლა კუვიდან შეიშალა?

ჩიქვანი. წმინდანიც რომ ყოფილიყო, ესეთი წამება ვის არ გააგიჟებდა! მაგრამ მაინც საკვირველი სულის სიმტკიცე გამოიჩინა: ერთი სიტყვაც არ წამოცდენია შეწყალებისათვის. ხოლო ის კვნესა თქვენ რომ გესმოდათ, ტანჯვისა იყო და თხოვნა-ვედრება მოტყეებისათვის ამ წამებას არ მოჰყოლია.

დადიანი. შეხე იმ უჯიშოს! საიდგან ეს ძალა?.. ხეცია რა-ღას იქმდა?

ჩიქვანი. ოო, შესაბრალისი იყო... ეს მთა-კაცი ისე წახდა. ბავშვს დაემსგავსა... სახე წამდა-უწუმ ეცვლებოდა, ხან ოხერა აღმოხდებოდა, ხან თვალთავან გადმოგორებულ მსხვილ ცრემლს უჩუმრად იწმენდდა და კვლავ ცდილობდა თავი დამშვიდებულად დაეკირა. ოო, ის კი დაიტანჯა საგანგებოთ... არ ვიცი სიძე-სიმამრ შუა რომელი უფრო იყო წამებული?..

დადიანი. სიკვდილს რომ მიიწურა, რატომ ექიმს არ დაუძახე... არ გახსოვდა ჩემი ბრძანება?

ჩიქვანი. ის იყო მინდოდა კიდევ დაძახება, რომ ხეციაშ დამსწრო და თქვენთან გამოვარდა. მე მაინც თქვენ ბრძანებამდე შევაწყვეტინე წამება... გულ-შეწუხებულს წყალი ვასხურებინე და თვით ჯალათმა მოსასულიერებელი წამალი აყნოსინა. ესე რომ არ ყოფილიყო, ექიმის მოსვლამდე ვითარ გაძლებდა...

დადიანი. ეხლა რასა იქმს?

ჩიქვანი. ცალკე ოთახი მიუჩინეთ... გარინდული ზის... ხეცია აღარ შორდება... ექიმიც იქ არის.

დადიანი. რა ამბობს ექიმი?..

ჩიქვანი. ძნელია ჯერ თქმა, მაგრამ მისი ახალგაზღობის იმედი აქვს... შეიძლება გაუაროსო.

**დადიანი.**

(ფიქრში)

ჩენის კანონებით ვერ დავსჯით შეშლილს...

**ჩიქვანი.** როდესაც მთავარი ამ ქვეყნისა მათ განზრახვას ასრულებენ, მათ საქციელს კანონიერებით ვერ ახსნი კაცი.

**დადიანი.**

(გაბრაზდება. ყვიროს)

მე შენის ჭკუით არასოდეს არ მივლია...

**ჩიქვანი.** მაგას არც მოგახსენებ, ხილმწიფეო. მაგრამ გეგეპკორი მაინც დასჯილი უნდა იქმნეს... ან ვინ იცის, რომ შეშლილია...

**დადიანი.**

(სხვა კილოთი)

რა ბორბოტი ხარ!..

**ჩიქვანი.** მხოლოდ სასახლის კარზე იციან ესა. მაგის დასჯას კი მოითხოვს სახელმწიფოს კეთილდღეობა.

**დადიანი.** კეთილდღეობა! მაგას მეც ხშირად ვამბობ, მაგრამ სულ სხვადასხვაა ჩენი აზრი...

**ჩიქვანი.** ხელმწიფეო, ამბობება უკვე დაწყებულია. მართალია გლეხები არიან აჯანყებულნი. მაინც სახუმარო საქმე როდია...

**დადიანი.** არა! არაფერიც არ იქნება. მე ვუყვარვარ ჩემს ხალხს... იგი ჩემზე ხელს ვერ აიღებს, დროებით შეიძლება დაბრმავდეს... თორემ... თორემ განა მე არ განვამტკიცე სახელი და ჰუბუტი სამეგრელოსი, განა მე არ გავამაგრე ბქენი ჩვენის სამთავროისა, მე არა შემოუერთე ჩამოჭრილი ნაწილი ოდიშისა—სამურზაყანო და განა მევე არ ვიპყრობ ხელ-ახლა ლეჩხუმის მხარეს...

**ჩიქვანი.** დიდია შენი ღვაწლი, მთავარო, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ტკივა... კარგათ ვიცი შენი აზრი: შენ გინდოდა მტერი მოგეშვა თვით სასახლემდის და შემდეგ ერთბაშათ გაგენადგურებინა. ეგრეც უნდა. მხოლოდ გეგეპკორი მაინც უნდა დაისჯოს, რომ ხალხის უკმაყოფილება განგებ არ ჩაიმალოს თავის თავში, რომ შემდეგ მეტის სიძლიერით იფეთქოს. ეხლა კი სუსტია მათი მოძრაობა; ოდიშის მეოთხედი თუ აპყვება მათ. ეს კი ადვილი დასაძლევია. ყოყმანი არ გარგია, მთავარო. რაც გადაწყვეტილი გქონდა, ის უნდა შესრულდეს...

დადიანი. სად არის სიღუ ხეციხე?..

ჩიქვანი. დედოფალთან თუ იქნება, მთავარო.

დადიანი. დამიძახე აქ ხეციას და გვეგეჰკორიც შემოაშვან ჩემთან.

ჩიქვანი.

(გადის)

დადიანი.

(გაივლ-გამოივლის ჩაფიქრებული)

## ბ

შ ა ვ დ ი ა.

(სხვა კარებიდან შემოვარდება. მთავარ ვერ ამჩნევს)

ხეცია!.. აქ არ ბრძანდება... სად იქნება?..

დადიანი. ვის დაეძებ? რა გინდა?

შავდია.

(მოიხედავს. თავს დაახრის)

ოჰ, უკაცრავათ, დადია.

დადიანი. რა იყო? რამ აგაღელვებ?

შავდია. არაფერი, ბატონო... ხეციას ვეძებდი...

დადიანი. მერე, ეგრე რამ შეგაშფოთა?.

შავდია.

(რალასაც გადასწყვეტს)

ოჰ, მთავარო... ნებას მომცემ, შენმა ერთგულმა ყმამ გკადრო ორი სიტყვა?

დადიანი. გისმენ.

შავდია! მეფეო, კარგად მოგეხსენება რა იყო ჩემთვის გეგეჰკორი და როგორ ვმტრობდი მას... მაგრამ ეხლა სრულიად შემეცვალა გუნება...

დადიანი. ლამაზმა სიღუმ ხომ არ მოახდინა ეს სასწაული?..

შავდია. ოჰ, არა, მთავარო, არა!.. მაგრამ რაც მე განვიცადე... ესეთი სასტიკი წამება... ისიც სამივესი... მერე კულიდან შეცდენა...

დადიანი. ბავშვი ყოფილხარ, ჩემო შავდია!.. ნუ თუ ოხვი რა და კენესამ, ან ცრემლებმა, ან თუნდა ადამიანის შეშლილობამ უნდა გული მოგიბრბილოს მოძვეალ სახელმწიფო კაცს?.. შენი წინაპრებივით შენც ხომ ერთ დროს მდივანბეგი იქნებოდი და შემდეგ შეიძლება უზენაეს სასამართლოს წევრიც?.. სუსტი ყოფილხარ. ჩემო კარგო!

**შავდია.** ეჰ, არა მთავარო! ეს სისუსტე სულ სხვა გვარია... მე თვით არ ვიცი, რა მემართება, მაგრამ ესეთი სისასტიკე საშიშელია... ნუ აპყვები, მთავარო, ჩიქვანის გულ-ღვარძლიანობას... დადიანი. ენა ნუ გისწრებს!..

**შავდია.** თუნდა ეხლა დამსაჯო, მაინც გეტყვი: დასაჯე, განაძევე გეგეკორი, მაგრამ ნუ აწამებ... თუმცა ეხლა მას წამებაც აღარ სჭირდება... ნუ აწამებ მის უდანაშაულო მეუღლეს, მის მაღალ-გონიერ სიმამრს-ბეჟა ხეციას...

**დადიანი.** შეხე, როგორ დაიწყო ლაპარაკი?!

**ბ**

ხეცია. ჩიქვანი.

**დადიანი.**

(განაგრძობს)

მე შენ აღარ გენდობი. გასწი, დამეკარგე...

**შავდია.**

(მორჩილებით თავს დახრის და ხეციას გვერდით მოექცევა)

**ჩიქვანი.** რა იყო, მთავარო? ამ უსუსურმა როგორ გაწყენინა?..

**შავდია.**

(ხეციას ჩუმაღ)

მეტად საჭირო საქმე მაქვს მოსახსენებელი... სად გნახო?

**დადიანი.**

(შეუღიას)

გამეცალე-მეთქი!

**ხეცია.**

(მასვე. კითხვაზე არ უპასუხებს)

მთავარი გიბრძანებს. ✕

**შავდია.**

(თავდახრილი სწრაფად გადის)

**დადიანი.** ღლაპი უკეთური!.. თვალ-ყური აღევნე მაგას... ჩიქვანო, და, თუ რამე შეამჩნიო, დილეგში უკარ თავი.

**ხეცია.** რას მიბრძანდები, მთავარო?

**დადიანი.**

(ჩამოჯდება. სხვა კილოთი).

გიხმე მისთვის: როგორ მოვიქცეთ?

**ხეცია.** გეგეკორისთვის?.. განვაძეოთ, შეფეო.

**დადიანი.** შენც მაგას ამბობ?

**ხეცია.** მე მისთვის ვამბობ... გინდ აქ იყოს და გინდა სხვაგან, ეხლა იგი უშიშარია. მაგრამ შეამბოხეთათვის ეგ წიშლილი

უფრო გრძობიერი დროშა იქმნება, რომელსაც ბევრნი ამოეფარებიან... გაძევებული კი წინეთაც იყო და მხოლოდ მისი ჩამოსვლის შემდეგ იფეთქა ამბოხებამ. ევ ცოცხალი უნდა მოეშორათ აქაურობას.

**დადიანი.** ეგ რჩევა კკუის ახლოა... მხოლოდ ამბოხება?

**ხეცია.** ამბოხება უნდა ჩავაქროთ.

**ჩიქვანი.** მაშ, შენ კვლავ ჩვენ მხარეზე ხარ?.. მაგრამ, პართლა, ნუ თუ შენს ბახვა ანთელავას სიკვდილს შეარჩენ იმათ?...

**ხეცია.** რამდენჯერ უნდა აგიხსნა, ჩიქვანო, რომ ჩემი საპირადლოთი აროდეს არ ვხელმძღვანელობდი. ბახვა აგერ ორი დღეა მოჰკლეს, მაგრამ ხელიც არ გამინძრევია შურის საძიებლათ, მხოლოდ თუ აქაც შემოგვესიენ, მაშინ ჩემი ბატონისა და სამეგრელოს ერთგულებისათვის თვით მე ვიკისრებ ამ სასახლის დაცვას.

**ჩიქვანი.** ეს კარგი მზაკვრობაა, ხეცია... სასახლე შენ მოვანდოთ, რომ...

**ხეცია.** მთავარო! თუ ესეთი შეურაცხყოფის ღირსი ვარ შენს წინაშე, მაშინ რაღას აყოვნებ... უბრძანე და დამსჯიან... არ ვიცი, რა დავიმსახურე ისეთი, რომ აბედვინებ ექვის თვალით მიყურებდნენ სასახლის კარზე... ის-ღა დამრჩენია, მთავარო, გთხოვთ, რომ არამც თუ ახალი მონღობილება მომინიქო, არამედ ძველი თანამდებობისაგანაც განმანთავისუფლო...

**ჩიქვანი.** ეხლა გინდა განთავისუფლება?... ძალიან კი იკვებდი ჩემს მოვალეობას შევასრულებო...

**ხეცია.** ოჰ, აქ რომ არ ვიყო, სასახლეში, და დადიანს არ ვახლდე, ვიცი როგორც გაგისწორდებოდი...

**დადიანი.** რა ამბავია!.. სიღარბაისლე რათ დაკარგეთ?... რათ გავიწყდებათ, რომ მე ორივეს გაფასებთ, რადგან ორივენი სამშობლოსათვის საკირონი ხართ. თქვენ მტრობთ ერთმანეთს, მაგრამ ქვეყანას ორივეს თქვენი სამსახური ესაქიროება. პირად ანგარიშს ისეც მოესწრებით, მხოლოდ ჩემთან და ქვეყნის საქმეში კი ორივენი ჩემს წინაშე უნდა იყოთ და თქვენს მოვალეობას ასრულებდეთ. მით უფრო ეხლა, როდესაც განსაც

დელი კარს გვადგია. ხეცია, შენ დარჩები უზენაეს სასამართ-  
ლოს თავმჯდომარეთ და დღეიდან სასახლის დაცვასაც შენ  
გაბარებ... სახლთ-უხუცესი მხოლოდ თავის პირდაპირ მოვა-  
ლეობას შეასრულებს.

ჩიქვანი. |  
ხეცია. | (ერთად)  
გემორჩილებით, ხელმწიფეო.

დ

გ გ გ გ გ გ გ

გაგაგაკორი. (სახე შეშლილი, მაგრამ მიზიდული).

და იყო უკუნეთი... ჰო, მაგრამ მზე გამობრწყინდა და ერთი  
კი არა, სამი ერთად... ჰა, ჰა, ჰა!.. იის ფერი, ნაძვის ფერი  
და კიაფერი...

(უფერად დადიანს შეუტევეს).

მერე. შენ რა გინდა, შენ?.. წაიღე უკან ეს კიაფერი მზე...  
ასისხლიანებს, ასისხლიანებს, ასისხლიანებს...

(ტირილზე გადადის)

ო, ღმერთო, როგორ სტანჯავენ ჩემს სატრფოს... როგორ  
სწიწკნიან მის გულ-მკერდს... მერე ვინ?.. შინაურები, შინაუ-  
რები!..

(ჩიქვანს ხელს მოჰკიდებს. საიდუმლოთ).

მერე, შენ იცი ვინ არის ჩემი სატრფო? ჰა, ჰა! აი, არ იცი!..  
სამეგრელოა, სამეგრელო... ტურფა ქალათ მოკაზმული  
მოწულ ფაცხაში ზის... ბნელა ფაცხაში, ცივა ფაცხაში...

(გააფრუოლებს)

ოო, როგორ ცივა!

(უფერად შეჰხედავს, განზე დაიხვეს).

შეენ?.. არა, შენ სამეგრელო არა ხარ... შენ არ გიყვარს  
სამშობლო და, ვისაც სამშობლო არ უყვარს, იმას არაფერიც  
არ უყვარს...

(უფერად გარინდდება).

დადიანი. საცოდავი სანახაია!.. არავენ არაფერი აენოს...

(ჩიქვანს).

უბრძანეთ, სასახლეში ყველანი მოკრძალებით მოეპყრან...  
რამოდენიმე დღის შემდეგ მაგან უნდა დასტოვოს ბკენი ოდი-  
შისა, უნდა საპატიოთ განვაძეთ, მხოლოდ ეხლა კი პატივის

ცემით შევინახოთ. ეგ ეხლა საშიში აღარ არის. მის მეუღლე-საც ნებას დავრთავ თან გაჰყვეს და მოუაროს...

**ხეცია.** ძლივს, ხელმწიფეო, კვალად დადია ხარ... ბრძენი და სამართლიანი.

**ჩიქვანი.**

(უბირობათ)

მთავრის გადაწყვეტილება გონიერულია.

**დადიანი.** უზენაესი სასამართლო კი მაინც დღესვე უნდა შეიკრიბოს და ჩემი სურვილის თანახმად გამოიტანოს განაჩენი-არ დაივიწყო, სახუცესო, ამის შესრულება.

**ჩიქვანი.** ვისმინე, ხელმწიფეო.

(დადია გადის)

ნუ მიწყენ, ხეცია, და გაგახსენებ, რომ სასახლის დაცვა შენ მოგენდო და ჰასუხს მე ველარ ვაგებ... მცველებს უნდა მიხედვა, გარიგება და თავის ალაგას დაყენება.

**გეგეპკორი.**

(ყურს მოკრავს ჩიქვანის სიტყვებს. მკობ-ცხლად).

მცველებს?.. რაღათ გინდათ მცველი?.. მე არ მინდა მცველი, რამდენჯერ უნდა ვთქვა... მე თავისუფალი ადამიანი ვარ, თავისუფალი...

(ფეხებზე დაიხედავს)

აი ხუნდები აღარა მაქვს... თქვენა გგონიათ მტკივა?.. ოო, ეს დიდი ხნის ამბავია... ჰა, ჰა!..

**ხეცია.**

(ჩიქვანს)

ნურასი გეფიქრებათ, მიბრძანდით, მიბრძანდით და არხეინად იყავით.

**ჩიქვანი.**

(თავს დაუკრავს და გადის)

**გეგეპკორი.** ჰო... ჰო... მე ვიყავ კაბუკი... და ამ გულშოოჰ, რა საიდუმლოს ვატარებ...

(ფეცრად ხეციას)

მამა!.. შენ იცი ეს საიდუმლო?.. ჰა, ჰა! შენც გგონია, რომ მე... ხომ კარგათ გავაცურე ყველანი...

**ხეცია.**

(მეტის მებტი ვანციფრებულად)

როგორ, შეილო, რას ამბობ?

**გეგეპკორი.** რა გგონია! მაგათ თუ იციან მტარვალობა. მე არ შემიძლიან თვალთ-მაქცობა?..

(ფეცრად ჰიროზე ხელს მიიფარება).

აჰ, რა მაყვირებს... მაშ, იცოდე, ხეცია, მე ვძლიე ვეგნი...  
შენ გენდობი. ვიცი, არ გამცემ... ვერ გაუვიდა, ვერა!.. ჩემმა  
აჯობა!.. არც ისე ვიყავ სიკვდილს მიწურული, როგორც მა-  
გათ და... შენც გეგონა, ხეცია... მართალია, პირველ ხანში  
თითქოს დავრეტყიანი და ვბოდავდი კიდევ, მაგრამ ეს ბოღვა  
თითქო მსიამოვნებდა... ვგრძნობდი ამ ბოღვას და თვით მე  
შეუღვებლად ვაღვივებდი მას. ხოლო შემდეგ კი... შემდეგ აჰ.  
ჰა. ჰა! ნუ გეშინიან, მე შეშლილი არა ვარ...

**ხეცია.** შვილო, მერე მაგითა რას აპირებ?..

**გაგაქკ.** რასა?... ჰჰ... ჩემმა ხერხმა გასქრა. ხედავ დადიამ რა  
სთქვა: საპატიოთ ვავაძეოდ, ეგ საშიშარი აღარ არისო. მაგრამ  
სწორედ ესლა უნდა ეშინოდესთ ჩემი... ვერ ვაპაქეებენ, ვერა  
ჩემი სამშობლოდან... ვერ აღმოფხვრიან ჩემს გულში ბრძოლის  
წყურვილსა. . მე მაინც ვეტყვი, ყველგან ვიქადაგებ, რომ  
ჰონებიც ადამიანები არიან, რომ ისინი განთავისუფლდნენ.

**ხეცია.** შვილო! შვილო! ეგენი ჯერ დაუტყევე. თავი გადა-  
ირჩინე.

**გაგაქკ.** არა, ნუ გეშინია! სანამ არ დადგება გადამწყვეტი  
წუთი, მავათთან მე ისევ შეშლილი ვარ... საცოდავი. საბრალო,  
ვიყი, ხანგა დუტუ... ჩემს თავს მივე მოუვლი, შენ არაფერ-  
ში შეგაწუხებ, მხოლოდ ..

**ხეცია.** პატივის ცემა ხომ იცი ლფროსისა.

**გაგაქკ.** მომიტოვე, ჩემი მდგომარეობა რომ არ მიშლიდეს  
გადაგებევოდი... ესლა-კი... სიღუ... მან ყველაფერი უნდა იცო-  
დეს, რომ ტყუილ-უბრალოთ თავი არ შეიწუხოს.. მისი ნახვა  
შკირდება ფრიად.

**ხეცია.** დაიცა! ვიღაც შოდის.

**გაგაქკ.**

(იცვლება. შეშლილსავეთ)

ჰო, ჰო... ოდესღაც ვიყავ მე კაბუკი... და გულში... დიდი  
საიდუმლო მქონდა.

ე

შეგდია.

კარგსა შემოიბრუნეს. უთხარს ჩუნად

ხეცია! ბატონო: ხეცია!

**ხეცია.** რა იყო?... შემოდი დარბაზში. აქ არაფერ არის.

**შავდია.** (შემოდის)

**გაგაქა.** (შეშლილივით)

ოო, ვიცნობ ამას! ეს ჩემი ბატონი იყო... ეგ არა; მაგისი წინაპარი... ჩემი ნაბატონარია... მე არა... მე მზის სხივი ჩა-  
მიდგა გონებაში და განვთავისუფლდი... აი, იმ მზის, სას-  
ღვარ გარეთ რომ ვიხილე...

**შავდია.** ჰო, ჰო, კარგია, გეყოფა; საცოდაო.

**გაგაქა.** ჩემი ერთგული იყო, როცა სისხლს მწოვდა და მე  
მაგის ორგული ვიყავი... ეხლა თვით გამიხდა ორგული, რო-  
ცა მე მისი ერთგული ვარ...

**შავდია.** (ერთს უცნაურად შეხედავს. მერე დამშ-  
ვიდდება)

ილაპარაკოს! აი, რა უნდა მოგახსენო, ხეცია!

**ხეცია.** სთქვი.

**გაგაქა.** (ვითომ ჩუმად თავისთვის ლაპარაკობს.  
სახეს იცვლის. მაგრამ ისე მოხეობებუ-  
ლად, რომ ამსრულებლებს ხელი არ შეუ-  
შალოს)

**შავდია.** შებინდებისას აქ გაჩნდება აჯანყებულთა რაზმი. მა-  
თი სურვილია ეს საცოდავი გაიტაცონ. სხვის არვის ხელს არ  
აილებენ, მაგრამ, თუ ძალადობა გასწია ვინმემ, მაშინ კი საქ-  
მე უკნადად დატრიალდება. ბევრი სოფელია აჯანყებული.

**გაგაქა.** (ცალი ყური აქეთ აქვს)

**ხეცია.** როგორ! ეგ რა განუზრახავთ?

**შავდია.** ეს სურვილია თვით თქვენნი ქალის...

**ხეცია.** როგორ თუ, ჩემი ქალის? სად არის სიღუფ?

**შავდია.** სიღუფე სასახლეში აღარ გახლავს, ბატონო?

**ხეცია.** როგორ?

**შავდია.** იგი უკვე სამშვიდობოს არის... მე კი შეეფიცე  
ერთგულება და ვებმარები. მართალია, მთავარი შემომწყობა, მაგ-  
რამ ჯერ ეს ამბავი სასახლეში არ იცინა; მეც ვისარგებლე ჩე-  
ვი მდგომარეობით და ისე მოვხებხე, რომ უმეტესი ნაწილი  
მკვლელებისა სხვაგან გავლალე. უმთავრეს შესავალთანაც ჩემი

ერთგულები დაეყენე, ხოლო ჩიქვანის ბრძანება კი არ. შემოსრულდება: არცინ არ დამიბარებია მოსაშველელბლათ...

**ხეცია.** ეგ რეები სთქვი? ასე უცერად გაზვიადდა ამბოხება?

**შავდია.** ესლა მხოლოდ თქვენი დახმარებაა საკირო, რომ ეს გავიტაკოთ.

**ხეცია.** არა, შავდია, შემცდარხარ ანგარიშში. ხეცია ამაზე არ დაგყაბულდებათ.

**შავდია.** როგორ. ბატონო?

**ხეცია.** მე, უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც ხელი უნდა მოეწერო მაგის გაძევებას და მოეწერო იმიტომ, რომ მრწამს ესე სჯობია მისთვისაც და ქვეყნისათვისაც, თქვენ დაგეხმაროთ?.. არასოდეს! თქვენ რაც გინდათ ის ჩაიღინეთ, მაგრამ მე კი აქ დაგხვდებით ხმლით ხელში და პირველი ვინც შემოვა, შტაზე გავაპობ...

**შავდია.** მაშ, შენც ბრძოლას აცხადებ, ხეცია? მაშ, იცოდეს: არც მე მჯეროდა, მაგრამ სიმართლე ამათ მხარეზეა და ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს!

(გაეარდება)

**გეგეპკორი.**

(ჩვეულების სახით. ნაღვლიანი)

მე ვერაფერს გეტყვი. სხვა და სხვა ჩვენი გზები და ჩვენი აზროვნება, მაგრამ გაიხსენე შენი ქალი და...

**ხეცია.** რაცა მწამს, იმას ჩემი ქალისათვის ვერ ვუღალატებ...

**გეგეპკორი.** აკი წელან შენ თვით მითხარი, თავი ვადაირჩინეო.

**ხეცია.** მე გითხარი—ითვალთმაქცე, მაგას არა უშავს—რა... ჩვენ საპატიო გაძევებას ვადაგიწყვეტდით და ვადარჩებოდი.

**გეგეპკორი.** შენ გეშინიან შენი თავისა... ადგილსა და სახელს დაეკარგაეო...

**ხეცია.** ვინც კარგათ მიცნობს, მაგას ვერ იტყვის...

**გეგეპკორი.** სისხლი რომ დაიღვრება?

**ხეცია.** მაგისი არიდება ჩემს ხელთ არ არის... მე დაჯოცავ მას, რაცა მწამს.

**გეგეპკორი.** რა გწამს?

**ხეცია.** სამეგრელოს სიმშვიდე, კანონიერების დაცვა და თავარი დაღიანი.

**გეგეპკორი.** ოჰ, ძველო სიკერპვე!..

(კარები გაიღება, შეამჩნევს. შეიცვლება)..

ჰო, ჰო, ქაბუკი ვიყავ, ვიყავ ქაბუკი და გულში დიდი საიდუმლო მქონდა.

**ჩიქვანი.** ხეცია! შემატყობინეს, რომ სასამართლოში უკვე შემოკრბენ და გველოდებიან. განაჩენია შესადგენი და ხელიც უნდა მოვაწეროთ.

**ხეცია.** მზათა ვარ სამსახურათ!

(გადიან ორივნა)

**გეგეპკორი.** ვაი, საწყალ და ბნელ მხარეს, სად ძმა-ძმაზედ ლესავს კბილებს, სად ძელ-რბილში გასჯდომიათ, კუქის-პრწამსი თვით ყვაწვილებს

(მოაუბრებს)

ეს რა ამბავია? თითქოს რაღაც ხმა შემომესმა?..

(მიდის სარკმელთან)

ო, სრულიად დაღამებულა. ვერაფერს ვერ ვარჩევ, მაგრამ არა. თითქო რაღაც ლანდები მიმოიძვრიან ეზოში. ჰა, ეს თუ ჩემი შევარდნები არიან... ოჰ, გული ვეღარ ითმენს! ნუ თუ ერთი საათის შემდეგ თავისუფლება მომეღის... თავისუფლება ხიფათიანი, მაგრამ მაინც თავისუფლება... აბა, აქ კი განაჩენს ადგენენ... კანონიერებას იკავენ... იქ ხალხის გული, კანონს გარეშე გამოცხადებული, ჩემს მსარეხეა...

(ზარის რეკა)

ეს რას ნიშნავს? ზარსა რეკენ!.. ნუ თუ შეუტყვეს შეთქმულეზა? ნუ თუ ხეციამ გაგვცა, ან შავდიამ? არა, ეს შეუძლებელია. ღმერთო, არც იარაღი, არც არაფერი... მაგრამ არა, ცოცხალის თავით არ დავნებდები.

ჩიქვანი, ხეცია.

(შემოსულების დანახვაზე ისევ შეშლილის გამოშვტყველებას მიიღებს).

**ჩიქვანი.** ხომ მოგახსენე, დაიგვიანე... აი. ზარსა რეკენ, გრყობა შემოგვესიენ... არსად მცველები არ გიყენია... ეს ლალატს უდრის, ხეცია!

**ხეცია.** რაცა ეთქვი, იმას შევეასრულებ. ამ ხელით ხელნი არავის შემოუშვებ.

(იზიწვლებს ხმალს და დგება).

**ჩიქვანი.** ეხლა ანგარიშის გასწორების დრო არ არის... მე კი წაველ და ამალას შეეკრებ, რომ ზომები მიიღონ... ეს კუბაჟი კი უნდა გავბაწროთ

(გარბის)

ეი, ვინა ხართ მანდა?

**ხეცია.** ვერ მოვასწარით განაჩენის გამოტანა და შენ კვლავ ტყვე ხარ ეხლა.

**გეგეპკორი.** ტყვეობა არაფერია, მაგრამ ხალხს რა უთხრა, ხალხს, რომელიც ჩემთვის თავს სწირავს...

(ხრიალი. ზარის ტემა).

8

**სიღუ.**

(კარებში)

თქვენ მანდ დაიცადეთ, გზა არავინ გადაგიღობოთ. მე ეხლავ გამოვიყვან.

(მობრუნდება. უნდა გეგეპკორის კარები-საყენ წავიდეს).

**ხეცია.**

(მოუქნევს და დაჭრავს ხმალს)

ოჰ, შე მოლალატევ!..

**სიღუ.**

(შეჭიკვლებს. წაიკცევა. დაინახავს ხეციას

მამა!..

**გეგეპკორი.** როგორ, სიღუ!

(მივარდება წაქცეულს)

**ხეცია.** რას ამბობთ, სად არის სიღუ?

**გეგეპკორი.** უბედურო, შეილი მოჰკალ!

**ხეცია.** როგორ თუ მოეკალ! მე მოეკალ შეილი?

**გეგეპკორი.** სიღუ, სიღუ! ჩემო ღეთაებავ!..

**სიღუ.**

(სუსტდება)

როგორ? შენ... შენ კეუაზე ხარ! ოჰ, სიხარული... საშინელებათა...

**გეგეპკორი.** მე კარგათ ვარ, მაგრამ...

**სიღუ.** არა, ეხლა ტკბილია ჩემი სიკვდილი... გასწი. დახსენ შენი თავი, იქ გელოდებიან.

**ხეცია.**

(გაშტერებული იღვა. უმტრად მოუწიება და დაემზობა შეკლ.)

შვილო, შვილო.

## თ

დადიანი. ჩიქვანი, ამაღა.

დადიანი. რა ამბავია? ჩემს სასახლეში რაები ხდება? ხეცია...  
სად არის?

ხეცია... აქ ვარ, შეფეო, გაუბედურებული და შეილის მკვლელი...

დადიანი. როგორ, შეილისა? ეს ვინ არის? აჰ, შენი ქალი?...

ჩიქვანი. სულ სხვა გვარ მოხდა განზრახული.

დადიანი. დიახ! განგება ჩვენზედ უფრო უცნაურია.

სიღუ. ააჰ, როგორ ბნელდება... აბლოვდება ბურუსი...

დადიანი. მე გიჩვენებთ, რომ სულგრძელი ვარ... ნუ გე-  
შინის; სიღუ, გულში სიმწარეს არ ჩაგაყოლებ. მისმინეთ ყვე-  
ლამ... გეგეჰკორს ვანთავისუფლებ. ვსაბ მის გასამართლებას...  
გაიყვანეთ და გადაეცით შეთქმულებს. უთხარით, რომ მათ-  
თვისაც მიპატიებია ყოველივე...

სიღუ. გესმის, ჩემო ყველაე! შენ თავისუფალი ხარ. ვაი...  
რომ ვკვდები, მაგრამ მე შენს ქირს დავენაცვლე

(კვდება).

(სასოწარკვეთილი)

ხეცია.

შეილო, შეილო!..

გეგეჰკორი. არა, დადია! შემცდარი ხარ შენ! შენ გინდო-  
და შეშლილი კაცი ხალხისთვის გადაგეცა, მაგრამ მე ჩემს  
გონზე ვარ—და ვაი, რომ ეს გონება მაშინ არის ნათელი...  
როცა დაეკარგე მე სინათლე ჩემი სიცოცხლისა...

ჩიქვანი. მაშ, თვალთმაქცობდი? ეხლავ შეიპყარით!..

გეგეჰკორი. ან-კი რათ მინდა მე სიცოცხლე... გულ-და-  
კოდილი, გრძნობათა სიმბე ჩამოწყვეტილი, ვის რაღას ვარგებ...  
მაგრამ მოვა დრო, როდესაც ეს ხალხი რომელიც ეხლა ესე  
მშვიდობიანათ შემოერტყა შენს სასახლეს და მხოლოდ ჩემი  
ვანთავისუფლება უნდოდა... თვითონ შემოვა ამ სასახლეში და  
თვით უკეთ განაგებს თავის ბედსა.

ჩიქვანი. რაღას უყურებთ? შეიპყარით!

(მსახურნი შეინარევიან).

დადიანი. ხელი არ ახლოთ! ჩემი ბრძანება უცვლელია. შენ  
თავისუფალი ხარ.

**ვაგეპკორი.** შენგან ნაჩუქარ თავისუფლებას მე არ მივიღებ. მე მსურს ტანჯვა. ეს უმანკო მსხვერპლი და ჩემი დილეგზი ჩაუბოძა მეტს მოიტანს ქვეყნისთვის. მე აქა ვრჩები!

(დაეშობა)

ოჰ, სიღუ, სიღუ!..

**მთავარი.** მაშ, ბრძოლა ვინდა? ჩემი, შემპარავი ბრძოლა? კარკი, ვიბრძოლოთ! ჩააგდეთ ესლავ კვლავ დილეგზი. შეთქმულები ყველა გაჰყვანტეთ... ხვალ დილით კი თავზარს დავცემ მთელ სამეგრელოს.

(სწრაფად გადის).

## ი

**ჩიქვანი.** კვლავ გაიმარჯვა სიმტკიცემ უფლებებისა და სამეგრელო კვალად ჩვენია... წამოიყვანეთ.

(ვაგეპკორი გაჰყავთ. ჩიქვანიც გადის).

## ია

**ხცია.**

(მარტო)


ვაი, უბედურო სამეგრელო, ვიღა დასწერს შენს მწარე მატანეს!..

(მოკვალაბულს დაეყრდნობა)

შვილო, შვილო!

ჟ ა რ დ ა .





სათეატრო კომბინაცია

ერთ სანახავედ.

„(ძღვნად ელოს)

## მ.კ.მელინი:

ელო, — ახალგაზდა ქვრივი.

შალვა შადიანი, ქართული თეატრის მსახიობი..

გიო, — მოურავი.

გოგო

### მოქმედება სოფლად

ჩვენებურად სუფთად და ლამაზად  
მოჩთული მისაღები ოთახი.

1

გოგო. გიო. (შემოდის)

გოგო. ოო, მამი, მოხველი?.. ქალბატონი ისე მოგელოდა რო...

გიო. იი, ვენაცვალე ჩემ გაზრდილსა... რომ მითქვამს ჩემი ელო-ქალი სხვა ვინმეა-მეთქი, მითქვამს...

გოგო. იცი, დღეს როგორც არის გაბედა და აკი თავისი კოხტა წითელი კაბა ჩაიცვა.

გიო. ჰო-და, მადლობა ღმერთს, შვილო!.. ეგრე არა სჯობია... რამდენს არ ვეჩიჩინებოდი... რალა დროს შენი მგლოვიარობაა-მეთქი... სუ ბავშვი იყო, რომ გაათხოვეს... აბა, რა გასათხოვარი ეგ იყო, მაგრამა განსვენებულმა დიდმა ქალბატონმა არ დაგვიჯერა: დედის ერთაა, მამულიანი ქალია, ზედსიძე შემოვიყვანოთო. ჩვენც შემოვიყვანეთ და ეგე, აკი გარდაიცვალა უბედური. ეეჰ! ეხლა კი მადლობა ღმერთს, ყველაფერი უნდა შეიცვალოს... ეყო ჩემს პატარას ორი წლის ქვრივობა...

გოგო. გუშინ კიდევ მიბრძანა, რომ ამ შემოდგომაზე ქალაქს უნდა წავიდეთო...

გიო. ეხლა კიდენა ქალაქიდან ისეთი ამბები ჩამოუტანე, რო... მაშ, დღეს მართლა წითლებშია მორთული?

გოგო. მაშა!

2

(ელო)

ელო. ოო, ჩამოხველ, გიო?..

(მოხსევია)

აი, ხომ ხედავ შენი დიდი ხნის სურვილი შევასრულე, ჩემო გამზრდელი... ვიცოდი დღეს დაბრუნდებოდი და შენცა გასახარებლად თალხების მაგივრად, აი, ეს ჩემი წითელი კაბა ჩავიცვი...

გიო. ოო, ეგრე, ეგრე ჩემო გარდილო!.. მა როგო იქნება! რა დროს შენი მგლოვიარობაა, ქალო! მასკელამებს ეთამაშები. არ გეყო ორი წელიწადი კარ-ჩაკეტილი იყავი... ეხლა გაქ, გენაცვალე, დრო მზიარულლებისა. სწორედ ეხლა ხარ გასათხოვარი. მაგრამ რო იცოდე ქალაქიდან რა ამბები ჩამოგიტანე...

ელო. ჰო, რა, ჩემო გიო?

გიო. ჯერ ერთი. შენმა ნათლიდემამ, კვეზერელის ქალმა. დიდი მოკითხვა შემოგიტვალა და თან დამაბარა: სამარცხიანობით უთუოდ უნდა გვეწვიო დღეობაზე. გეყო ე მაგოდენა კარ-ჩაკეტილობაო. თავადი ანტონიკ აქ მეყოლება და ერთი უნდა შენებურათ დამიტრიალდეთ.

ელო. გიო!

გიო. შენი რისხვა არა მაქ! სწორედ ამ სიტყვებით მიბრძანა და თანაც დამაფიცა, უსათუოდ ეგრე გადაეციო. მართლად რა, დალოცვილო! უნდა მისდგე-მოსდგე, ამ კედლებს ხომ არ შეაბერდები!

ელო. მერე, ოჯახს რა ეშველება, ჩემო გიო!

გიო. ოჯახისა ნუ რა გეფიქრება, შენ შემოგვევლოს ჩემი თავი! აქ არა ვარ!

ელო. შენი იმედი როგორ არა მაქვს, ჩემო გიო... ვნახოთ, ვნახოთ... აი, ქალაქშიც მინდა წავიდე! მართლა, მარო, იქ ოთახში ტუალეტი მიულაგებელია, მიჰხედე ერთი.

გიო. მიჰხედე, შვილო.

გოგო.

(ვაღის)

გიო. ჰო-და მიბრძანდი ქალაქში. ელოს მზემ კარგათ მოიქცევი... კნეინა კატატომ კიდევ დიდათ მოგიკითხა და ჩვენს ფეფელოსაც მალე ვათხოვებთო.

ელო. ფეფელოს? ღმერთო! ესე უცბათ? მერე სასიძო ვინ არისო?

გიო. აბა, რა ვიცი! ახალგაზდა ინჯილერი უნდა იყვეს. აი რკინის ვზის ინჯილერს მოგახსენებენ.

ელო.

(შევირვებით)

შენ წარმოიდგინე! როგორ გარბის დრო! ფეფილო და გა-  
ახოვება! აი, იმის ქორწილში კი წავალ უსათუოდ.

გიო. ჰო-და უნდა წახვიდე, გენაცვალე, ოღონდაც რომ  
უნდა წახვიდე. აქ დაობება არ გივარგა, არა... ეხლა კიდენ  
(უბიდან წერილს ამოიღებს).

ფოსტაში ეს წერილი მომცეს...

ელო.

(გაეხარდება. გამოართმევს)

წერილი?.. ვეროჩკასი იქნება უთუოდ... არა! ლცნობი ხე-  
ლია. ვისი უნდა იყოს, ნეტა?..

(ხსნის)

კატატომ და კვეზერელმა კი არა მომწერეს რა?

გიო. ეჩქარობდი, ელოჯან, ეჩქარობდი. აი, ბიკებისათვის  
უნდა ჩამომესწრო და... აღარ დაუცადე, თორე ეპირებოდნენ...

ელო.

(წერილს გადაათვალიერებს. განცვიფრ-  
დება).

ვინ უნდა იყოს?.. შალვა მადიანი! ვინ არის, შენი ქირიმე?

გიო. როგორა? მადიანია?

ელო. დიად, მადიანი.

გიო. მადიანები, ელო, გენაცვა, შენი ცხონებული ქმრის  
მათესავეები არიან...

ელო. ჰო-და, აი სწორედ ისიც ამასა მწერს. აი ყური დაუგდე:

„დიდათ პატივცემული კნენა!  
შეიძლება გაგაკვირვოთ ამ წე-  
რილმა. რადგან თქვენ ჩემი  
ცნობა არა გაქვთ და მე თქვენი,  
მაგრამ, როგორც დანამდვილე-  
ბით გავიგე, თქვენა ბრძანებულ-  
ხართ ჩემი დიდათ პატივსაცემი  
ძალუა...“

გიო. აა, ვიცი, ელო, ვიცი... ეგ მადიანი! საწყალი ჩვენი  
აიყოს შეილი თუ იქნება.

ელო. დაიცა!

„...ძალუა და ამიტომ გადავ-  
წყვიტე წრევეანდელი ზაფხული  
თქვენსა გავატარო. ნუ შემრის-

ხავთ ესეთი კადიერებისათვის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე გახლავართ სრულიად ობოლი კაცი. მამა არ მახსოვს, ერთი წლის ვყოფილვარ ისრე გარდაცვლილა სწორედ იმ სოფელში, საცა თქვენა ცხოვრობთ და შემდეგ ცხონებულ დედა ჩემს ქალაქს წამოუყვანივარ. მას აქეთია აქ აღვიზარდე და ეხლა აქვე ვიმყოფები სამსახურში...“

გიო. ის არის, ის სიკოს შვილი... საწყალი ბიჭი!..

ელო.

(განაგრძობს)

„ჩემს ბედობაზე არავინ არ არის, ერთი შორეული ბიძა მყავს, რომელიც არ ვიცი ერთი ხანია რაღაც საქმეებზე წასულა თავის სახლიდან. ამიტომ გადავწყვიტე—რა კი გავიგე, რომ მანდ სოფლად ერთი საპატიო და მოხუცებული ძალუა მყავს...“

გიო. რაა? მოხუცებულიო?

ელო. აბა! საიდან სადაო?!

„...მოხუცებული ძალუა მყავს, ამ ზაფხულს მას ვეწვიო და ჩემი გულითადი პატივისცემა განვუცხადო, თანაც ვნახო ის აღვილები, საცა ჩემს მამა-პაპას ოდესღაც უცხოვრია...“

გიო. ის არის, გენაცვალე, ელო, ის... საწყალი სიკო, როგორც მოგახსენეთ, ცხონებული შენი ქმრის ბიძაშვილი იყო დედით, და სიკო, როგორც ეტყობა, ამ ყმაწვილის მამა უნდა იყოს. იმ საწყალს კოტა რაღაც, პაწია მამული ჰქონდა აქა, მაგრამა შემდეგ მისმა ცოლმა სულ მიჰყიდ-მოჰყიდა ყველაფერი. აი, ჩვენს გიგოლა ხროხინაშვილს აქვს ნაყიდი-და... აი, სწორედ იმისი შვილი იქნება... ეხლა როგორა გსურს, ქალო, არ მოი-

წვევ? საწყალი სიკოს ვაჟი. საამური იქნება მისი მოსვლა, მოდი, დაიბარე, ნახოს თავისი სოფელი...

ელა. დაიცა, გიო, დაიცა! აგერ მეორე გვერდზე შეხე რა სწერია:

„დღეს ხომ 1-ლი ივნისია, 5-მდე თქვენ პასუხს დაეუცდი და 8-ს, გინდ მომივიდეს პასუხი, გინდ არა, სწორედ მანდ გაეჩნდები. მე ჩემი სიტყვის კაცი ვარ. . . მერე კიდევ ეხლა აქ ისე ცხელა, რომ სოფელში ერთი მწვანეზე გაგორება თუნდა ერთ რამეთა ღირს. ამიტომ ნურას უკაცრავად“.

„შეხე! ეს რა მოურიდებელი ვაჟბატონი ყოფილა! გესმის? 8-ს ჩამოვალო. მერმე, დღეს ხომ 8 არის! გესმის, გიო?..“

გიო. მესმის, ელოჯან, როგორ არ მესმის! მერე, მობრძანდეს რა! ღვთით ღვინო ბევრი გვაქვს და პური... იმას კი არა, ას ცხენოსანს გაუუმასპინძლდებით.

ელა. მე მაგას კი არ ვამბობ... არა, როგორია! „ნურას უკაცრავათო!“ რა უზრდელიცა ყოფილა!. „მოხუცებული ძალუა!..“ აა, როგორ მოგწონთ!

(გაჯაერებიდან სიცილზე გადავა).

პა, პა, სადაური მოხუცებული მე ვარ!...

გიო. (იციინს)

ეგ კი, მე და ჩემმა ღმერთმა!.. სადაური მოხუცებული ხარ...

პა, პა.

ელა. პა, პა! {  
გიო. პა, პა! }

(ორივენი იციინან ხმა-მაღლა, თითქმის ისტერიულად)

ელა.

(სიცილისაგან ქანცი გამოელევა, სივარძელზე მიესვენება)

ოპ! უი! უიზე მოკვდი!

(გამოცოცხლება)

მაშ, ეგრე, ჩემო მაზლის წულო, ბატონო მაღიანო!.. ძალიან კარგი! მობრძანდით, მობრძანდით! თქვენ აქ მართლაც და

მოხუცებული ძალუა დაგიხვდებათ. მაგრამ როგორი მოხუცებული! გადაყრუებული, მიხრწნილი, 70 წლის

(გადახტება)

80 წლის, 90-ს, 100 წლისა.

(თავს მოიბებრებს, ახველებს და მუხლებს ააძიგიძიგებს)

ა, ა, ა! აი ესეთი...

გიო.

(გაკვირვებული შესტკვრის)

ელო. იცი რა, ჩემო გიო, ჩვენ ვუჩვენიათ სეირი იმ ვაჟბატონსა. წადი ეხლა და მაროს დამიძახე. თანაც უბრძანე ცხენს ნულა შეკაზმენ, აღარ წავალ სასეირნოთ. მხოლოდ ეს იცოდე, გიო, როგორც შენი იმედი მაქვს, ბიჭებიც გააფრთხილე არა წამოსცდეთ-რა. მე ბებრულათ მოვირთვები და ისე დავხვდები იმ უტიფარ ვაჟბატონს იმას. გესმის?

გიო.

(იღმრეება)

გიჟი, გიჟი! მაგრამ, როგორ იქნება?!

ელო. შენ ზავისი ფიქრი ნუ გაქვს. ისეთი მოხერხებული ვარ, რომ... ინსტიტუტში ყოფნის დროს მოწაფეების წარმოდგენებში სულ მე ვიღებდი ზონაწილეობას. თუ მოვიდოდი, ისეთი აქტრისა ვარ, რომ... აქტრისა ხომ იცი რასაც ჰქვია?

გიო. აქტრიცა?... ჰო ა, როგორ არ ვიცი... აი ჩვენი უეზლის ქალაქში ამას წინათ ცირკი ჩამოვიდა, თოკებზე რო დახტოდოდენ, იმას არ ამბობ?

ელო. ეჰ, არა მაგრამ ეკ სულ ერთია. ერთის სიტყვით ისე გამოვასულელო ის შენი ვაჟბატონი შალვა მაღიანი... ხან ბებრათ ვეჩვენები და ხან კიდევ სულ ბავშვივით მოვუქცევ, აი მე რომ ვიცი:

(ბავშვურათ)

„საწყალი მელა ჩიოდა არ მომივიდა ძილია“ და სხვა.

გიო. იი, შენი ჭირიმე!

ელო. მხოლოდ აი... ხმა, კრინტი არ წამოგცდეს...

გიო. აბა, რა საკადრისია! ჩემი ამბავი არ იცი?..

ელო. ჰო-და, ეხლა გასწი და მაროს დამიძახე.

გიო. ეხლავე, მხოლოდ დიდი გიჟი რამა მყევხარ, შენ შემოგველოს შენი გამზრდელი.

(გადის, მაგრამ იმავე წამს სიჩქარით ბრუნდება)

ელო-ქალო! ვილაც ახალგაზდა ტროიკით მობრძანდა, ის ყმაწვილი უნდა იყვეს.

ელო. აბა, ჩქარა, ჩქარა მარო გამომიგზანე. სტუმარი აქ შემოიყვანეთ და ჩემზე უთხარით: მოხუცებული კნენა სასეირნოთ არის წასული და ეხლავ მოვა-თქო. აბა, ჩქარა და, როგორც დაგარიგე.

(საჩქაროთ გადის)

3

გოგო.

(მეორე კარებიდან შემოვლის)

გოგო. ქალბატონო, ქალბატონო, ქალბატონო!

გიო. სს. - ჩუმათ, რა გაყვირებს!?

გოგო. რა იყო?

გიო. არაფერი. სტუმარი ნახე?

გოგო. ჰო, ის მინდოდა ქალბატონისთვის მომეხსენებინა.

გიო. სტუმრისათვის ხომ არა გითქვამს-რა?

გოგო. აბა, რას ვეტყვოდი?

გიო. აი, რომ ქალბატონი სახლში ბრძანდება.

გოგო. არა, არაფერი არ მითქვამს. რა იყო?

გიო. არაფერი. ჩქარა გასწი, ქალბატონი გიბრძანებს.

(გადის. მეორე მხრით გოგოც გადის. სცენა ცოტა ხანს ცარიელია. შემდეგ შემოდის ახალგაზდა, კარგათ მორთული შალვა მაღიანი გიო) თანხლებით).

4

შალვა.

(ლაპარაკით შემოდის)

კარგი ქვეყანა ყოფილა, მშვენიერი სოფელი. ლამაზი გადასახელებია. კარგი გზა. ძალიან მიყვირს! არ მოველოდი, სწორე გითხრა.

გიო. აბა, რას ბრძანებთ, ბატონო! ჩვენი სოფლის სილიმაზე მთელს საქართველოში განთქმულია. ღვალი ამაზე უკეთესს, აბა, რის ნახავს?.

**შალვა.** მხოლოდ მოწყენა კი იქმნება, ეტყობა. მცხოვრები ცოტაა, მგონი.

**გიო.** დიად, ბატონო. აი, ჩვენი ქალბატონი ცხოვრობს და ორიოდ კომლი გლეხი. წინათ კი განსვენებული თქვენი მშობლები ცხოვრობდნენ. მაშინ მეტი მზიარულება იყო.

**შალვა.** რას იზამ, ამას უნდა შეუერიგდეს კაცი! მე მაინც ჩვენებურ სოფელში ბავშვობის შემდეგ სულ არა ვყოფილვარ და ჩემთვის ყველაფერი ახალია და თავ-შესაქცევი.

**გიო.** ჰო, ბატონო, რაკი მობრძანდით, ვეცდებით არ მოგაწყინოთ. მშვენიერი ცხენები გყავს.. გაისეირნებთ... სანადიროთ წაბრძანდებით მთებში...

**შალვა.** ნადირობა?.. არა ძმეო, თოფი თავის დღეში არა მკერია... იმისი არაფერი გამეგება... და ცხენით სეირნობა კი.. ცხენზე თავის დღეში არა ვმჯდარვარ... მეშინიან...

**გიო.** თქვენ სუ გაქალაქებულხართ, ბატონო... არაფერია, ნელ-ნელა შეეჩვევით. ხომ დიდხანს დარჩებით ჩვენსა?

**შალვა.** ჰო, გადაწყვეტილი მაქვს ეს ზაფხული აქ გავატარო, თუჩემი პატარავემული ძალუაყ ნებას დამრთავს. დიდათ მოვიქანცე ქალაქში. ჩემი დღენი სულ ქალაქ ადგილებში გამიტარებია... მინდა ეხლა სოფლის უბრალოებაში გავატარო...

**გიო.** თქვენ, ბატონო, რა ხელობის კაცი ბრძანდებით?

**შალვა.** მე მსახიობი ვარ.

**გიო.** მსა... ხიობი?.. ეს რა ხელობა უნდა იყოს?

**შალვა.** აი, თეატრში ვმუშაობ... ვთამაშობ.

**გიო.** თამაშობთ?.. რას თამაშობთ?.. ჯამბაზი ხართ?

**შალვა.** არა, ჯამბაზი არა ვარ, მაგრამ... ამისი ახსნა შორს წაგვიყვანს ძალიან... გეთაყვა, ჩემოდანია იქ ტროიკაში და უბრძანე აქ ამოიტანონ...

**გიო.** ეხლავე, ბატონო...

**შალვა.** ჰო, მართლა!.. აი, ეს ფულიც გადაეცი მეეტლეს.

**გიო.** (ჩამოართმევს და გადის)

**შალვა:** (ოთახში გაივლ-გამოივლის)

უჰ, ძლივს ეხლა დავისვენებ სწულად... ეგ კი ვერაფერია, რომ მეტის-მეტად გამოყრუებულ სოფელსა ჰკავს და ჩემი

პატივცემული ძალუაც ეგეთი ხნიერია, თურმე, .. მაგრამ ის რათა ღირს, რომ მოშორებული ვიქმნები ჩვენი თეატრის საკმეს, ჩვენს წვრილმანობას, ჩვენს სივაგლახეს და... დავისვენებ ცოტა ხანს მაინც სულით, სხეულით.

(კარებში გამოჩნდება მოხუცად მორთული ელო, თან გოგო მოსდევს).

ოჰო! ეს უნდა იყოს ჩემი საპატიო ძალუა... ოჰოჰო! რა ხნიერი ყოფილა!

5

ელო.

(დაყრდნობილია ჯოხსა და გოგოზე)

ა? რაო?.. მოვიდა შენი ნათესაეიო?.. სად არის, სად?

შალვა.

(მკვირცხლად მიდის)

აქ გახლავართ, ძალუა ჩემო. ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ: შალვა მაღიანი.

ელო. ა? რაო? დარდიანი? უი ქა! რატომ, შეილო, რატომ? დარდიანი რათა ხარ შენისთანა ჯეული ბიჭი?

(კრუსუნით ჯდება სავარძელში, გოგო ეხმარება).

შალვა. დარდიანი კი არა, ბატონო, მაღიანი. ქართული თეატრის მსახიობი.

ელო. რაო? ობი?.. უი გენაცვალოს ჩემი თავი... ობი რატომ უნდა მოეყიდოს შენისთანა ახალგაზდას?..

შალვა.

(ცოტა ხმას უშვალვებს)

არა, ბატონო, მსახიობი გახლავართ ქერთულის თეატრისა...

ელო. ჰოო, ბეატრისა!.. მახსოვს, მახსოვს!..

შალვა: უი, ღმერთო! ეს რა გადაყრუებული ყოფილა!

ელო.

(თავისას განაგრძობს)

როგორ არ ვიცი... ბეატრისა დანტეს უყვარდა... წამიკითხავს, წამიკითხავს!.. მხოლოდ ჩემსობას დანტეს საყვარელს ბეატრიჩე ერქვა.

შალვა. სწორი გახლავთ, ბატონო, სწორი.

ელო. კორი?

შალვა. ერიჰაა, ეს რა ყოფილა, შენი ქირიმე!

ელო. აბა, კორი როგორ გეკადრება, როდესაც მე თვით

წამიკითხავს და მახსოვს კარგათ. ოო, მე ძალიან მიყვარს წიგნების კითხვა, მაგრამ ეხლა თვალთ დამაკლდა, თუმცა არც ისე დიდი ხნისა ვარ... ასე 72 წლის კი ვიქნები...

შალვა. კარგი კოკორი ყოფილა, შენმა მზემ!..

ელო. ა? რაო? მე მითხარი რამე, ყმაწვილო?

შალვა. (თავს გაუქნევს)

არა, ბატონო, თქვენთვის არაფერი მომიხსენებია...

ელო. ჰო, რას ვამბობდი?

შალვა. (ხმა-მალლა)

ძალიან მიყვარს წიგნების კითხვაო...

ელო. კითხვაო?... ჰო! კითხვა... და აი, ყმაწვილო, კაცო... მართლა, შენი სახელი?

შალვა. შალვა, ბატონო.

ელო. ხალვა?

შალვა. (ყვირის)

შალვა, შალვა, ბატონო!.. (თავისთვის)

თუ ასე მაყვირა, შენი მტერი...

ელო. ჰოო, შალვა... შალიკო, არა?... მეც შალიკოს დაგიახებ... (ცოტა კობტათ)

შალაკო კარგი სახელია... ჰო-და, ჩემო შალიკო... ყოველ დღე, დილის ჩაის შემდეგ ერთი-ორი საათი წიგნები უნდა მიკითხო.

(გოგოს)

სად არის ჩემი სასუნებელი?

გოგო. (მაგიდაზე მდგარ დიდ შუშას მიართმევს).

ელო. ჰო-და, აი, ესეც ჩემი სასუნებელი... ხანდახან გულის წუხილი ვიცი... გოგოსარა სცალიან ხოლმე და, თუ დამქირდა, მაშინ შენ უნდა მასუნებინო. გაიგონე, ჩემო, ჩემო შალიკო.

შალვა. (თავისთვის)

ეს რას წავაწყდი, შენი ქირიმე!

(იმას)

ღიად, გავიგონე...

ელო. (გოგოს)

მართლა, ჩემი ბალიშები სად არის?... იმიტომაც ვზივარ ესე მოუსვენრად... გასწი, მოიტანე...

გოგო. (გადის)

ელო. აი, ეგ ბალიშებიც შენ უნდა შემომიწყო ხოლმე... ისწავლი ამის დალაგებასაც... არაფერია, ნიჭიერ ყმაწვილს ჰგეხბარ...

(გაეცინება)

ჰა, ჰა... ძალიან კი არ გეპრიანება მოხუც ძალუასთან დროს გატარება, მაგრამ, რა კი მოისურვე და ჩამოხველი, მისი პატივისცემაც უნდა ისწავლო... საცა მიხვიდე, იქაური ქული დაიხურეო, ხომ გაგიგონია...

შალვა. კარგი, ბატონო, ვეცდები.

ელო. რაო? შეცდები?

6

■ გოგოს ბალიშები შემოაქვს.

შალვა. არა, ბატონო, ვეცდები, ვეცდები...

ელო. ჰო, ეგრე, ეგრე... ცდა ბედის მონახევრეა... აბა, ეხლა კი... ჩემი მოსვენების დროა... მე ცოტა სადილობაჲდ თვალს წაეატყუებ ჩემს საწოლ ოთახში...

(წამოდგება. ეხმარებიან)

ხომ გაგიგონია, სადილობამდე ძილი, ეს ოქროს ძალიაო...

(გოგოს)

შენ კი... აქ ვაჟბატონს ყავა მოართვი... სადილობამდე როგორმე თავი შეიქციე... შემდეგ კი ვეცდები არ მოგაწყინო... აბა, ეხლა კი ნახვამდის.

(გადის კრუსუნით. რჩება მართო შალვა)

შალვა. ერიჰა! ეს სად მოვეხეტე... მეგონა დავისვენებ-მცთქი და აქ კი ამ გადაყრუებულის მომვლელი უნდა გავხდე, ა?... О Боже мой, какая скука... როგორ ამბობს პუშკინი? Ему подушку направляют... ჰა, ჰა! ჩემმა ამხანაგებმა რომ მნახონ ამ როლში... მოხუც ქალბატონთან თავ-ჩაქინდერით მჯდომარე... განსაკუთრებით რას იტყვის ჩემი ვაბერილი სანდრო... ჰა, ჰა! ბუხს არ იკარებდაო... ეხლა ეგდე მანდ მაგ მიყრუებულს სოფელში და შენს გადაყრუებულ ძალუას ბალი-

შები გაუსწორე, წიგნები უკითხე, წამლები ასუნებინეო...  
 ეეჰ, ვერაფერი ამბავია! მართლაც-და, არც ასეთი გადა-  
 კარგვა მინდოდა... ერთი ვინმე ცუგრუმელა მაინც ჰაქანებ-  
 დეს ამ მიხრწნილის სახლში... ვითომ მოსამსახურე გოგო?...  
 ეე, ეს ნამეტანი ჩამოქვეითება იქნება და შერე კიდევ იმ გო-  
 გოს, შევამჩნიე, ისეთა მკაცრი გამომეტყველება აქვს, რომ  
 არაფერი არ გამოდნება... რას იზამ?... მოვითმენ ამასაც...  
 ჰაერი კარგია ამ სოფელში... მარგებს. მოხუც ძალუას რო-  
 გორ ვერ გავუძლებ, რა ვიცი... ამასობაში ეს ზაფხულიც  
 გაირბენს და შემდეგ სეზონიც მოაღწევს... რა ვუყოთ, თუ ეს  
 ზაფხული ასე ურომანოთ გათავდება. მეც პლატონიურ სიყვა-  
 რულს შევეუდგები. გავიხსენებ ისევ ჩემს კეკლუცებს და დაე-  
 ჯერდები იმას, რომ „ოხვრა არის შვება უბედურისა...“ მართლა,  
 ეს ჩემი ჩემოდანი ამდენ ხანს რათ არ მომიტანეს... შიგ ახალთ-  
 ახალი არციბაშევის რომანი მაქვს... ოჰოჰო... ჩემს საპატიო  
 ძალუას რომ წაუუკითხავ! მაყვირებს? არაფერია! ოო, ეგ კი  
 იქმნება სეირი!

## 7

**ელო.** ახალგაზრდულათ, ფოდნოსით ყავა მოაქვს.

**შალვა.** ბიქოს, ეს ვილა არის?

**ელო.** ძალუამ გამოგიგზავნათ, ყავას შეეკეციოთ.

**შალვა.** ძალუამ?... როგორ თქვენი ძალუაც არის?

**ელო.**

(უშაკურათ თვალს დაუქნევს)

**შალვა.** როგორ? თქვენ იმისი ძმისწული ხართ?

**ელო.** ჰო... დიად, მკონი ძმის წული უნდა ვიყო...

**შალვა.** ჰა, ჰა! როგორ, კარგათ არ იცით ძმისწული ხართ,

თუ არა?

**ელო.**

(ვითომ წყენით)

რა უზრდელი რამა ყოფილხართ!.. რასაკვირველია, ძმისწუ-  
 ლი ვარ.

**შალვა.** არა, უკაცრავათ... მხოლოდ ექვი შემვიდა, უც-  
 ბად ვერ მითხარით და...

(თავისთვის)

ბიქოს, ე, რა კარგ ცუგრუმელას გავს! თქვენი სახელი?

ელო. ელო.

შალვა. როგორაო?

ელო. ელო!

შალვა. ბიქოს!

ელო. რა იყო, რათ გაგიკვირდათ?

შალვა არაფერი, ისე.—ჩემი ცოლის სახელია.

ელო. (ეთომ წყენით)

როგორ, თქვენ ცოლიანი ხართ?

შალვა. არა!—ცოლიანი კი არა... ისე...

ელო. აა, დაიბენით კიდეც... მაშ, ცოლიანი ხართ? როგორ არა გრცხვენიათ!

შალვა. ბიქოს, რისა უნდა მრცხვენოდეს... მაგრამ ღმერთი რჯული უცოლო გახლავართ...

ელო. (ბავშვურათ)

გადი!

შალვა. (განცვიფრდება)

როგორაო...

ელო. (ბავშვურათ)

არა გრცხვენია... ესეთი დიდი ძია ხარ და ტყუილები კი გცოდნია...

შალვა. ერი-ჰა, ეს რა ყოფილა...

ელო. (ბავშვურათ)

მე გამიხარდა, როცა გავიგე, რომ კარგი ძია მოვიდაო... მეგონა კამფეტებს მომიტანს, კაკებს-მეთქი და შენ ცრუობ, თურმე, ძია... წავიდე ბუას უთხრა...

შალვა. ბუა ვინ არი?

ელო. ის...

შალვა. ვინ ის?

ელო. დაიცა, ძალუამ შენ რა გიყოს...

შალვა. ეს რა ყოფილა, შენი ჰირიმე! შენ ძალიან აქტრისა ჰყოფილხარ!

ელო. გადი!

შალვა. შენ, მგონი, ლექსებიც გიკოდინება.

ელო.

„ბიჭო ვისი ხარ მალხაზი დაურჩი დელაშენსაო!  
საქმე რომ არა გქონდეს-რა ჩამოიბრებენდე ჩვენსაო“.

(გაიქცევა)

შალვა. დაიცა, დაიცა, ქალო! ელო, ელო, შენი ქირიმე!

ელო.

(დაიდის, სიცილით, თავისი ხმით)

რა გნებავს?

შალვა. რა მნებავს და—ძალიან მომეწონეთ.

ელო.

(ეშმაკურათ)

არა, მართლა?!

შალვა. დედის საფლავს გეფიცები.

ელო. მერე ცოლიანი რომ ხართ?

შალვა. არა, ღმერთი, რჯული, არა!

ელო. მერე.

შალვა. მერე და... აი შეგირთავთ.

ელო.

(ეშმაკურათ)

შემირთავთ კი არა!..

შალვა. დედის საფლავს გეფიცები.

ელო. იცით?.. მეც მომწონხარ...

შალვა. არა, მართლა?!

ელო. დედის საფლავს გეფიცები.

შალვა. ჰა, ჰა! დამცინით?!

ელო.

(თითქო უხუმრად)

არა.

შალვა. მაშ, ეხლა რა ეშველება ჩვენს საქმეს?

ელო.

(ეშმაკურათ)

ძალუას უნდა მოელაპარაკოთ.

შალვა. როგორ? იმ გადაყრუებულს?

ელო.

(ბევშურათ)

შენ ეი...

შალვა. უკაცრავათ... მაგრამ მართალი გითხრა, მეძნელე-  
ბა იმ ბებერთან საუბარი.

ელო.

(ეშმაკურათ)

როგორ? ესე მალე დაგაშინა?

შალვა. არა, დამაშინა კი არა... მარტოლა!.. მოვიგონე, მოვიგონე?

ელო. რა მოვიგონე?

შალვა. მე აქ მოხუცებული ბიძა ჩამომყვა, იმას მიუგზენი...

ელო. (მარტოლა შვრთება)

როგორ? მოხუცებული ბიძა?

შალვა. დედის საფლავს გეფიცები.

ელო. ოო, მაგას კი აღარ მოველოდი!

შალვა. რატომ, ვითომ რა იყო?

ელო. არაფერი. — დაიცა! მგონი ძალუა შეძახის...

შალვა. დაიცა შენი ჭირიმე!

ელო. არა, ეხლა არა! მაგრამ მალე კი მოვალ.

შალვა. ხომ?

ელო. დედის საფლავს გეფიცები...

(გარბის)

შალვა.

(მარტო)

ღმერთო! ეს რა მოულოდნელი შემთხვევაა და თან რა ბედნიერი შემთხვევაც... რა კარგი გოგონაა!.. მერე აქტრისობის ნიკიტ რომ ჰქონია! ნამდვილი საჩემოა, ნამდვილი... ეხლა კი, თუ ძალუაზეა დამოკიდებული საქმე... ძალიან მშვენიერი!.. მეც ისე დარბაისელი ბიძა გაუგზავნო, რომ... თქვენი მოწონებული... დედის საფლავს გეფიცები! ეხლავ, ამ წუთას...

8

გიო.

(შემაჯეს ჩემოდანი)

შალვა. ოო, სწორედ ეგ ჩემოდანი მჭირდებოდა ეხლა... გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო კარგო!.. ეხლა იცი რა... ცოტა ხანს აქ ნურავენ შემოვა. ტანისამოსი მინდა გამოვიცვალო...

გიო. ნუ გეფიქრებათ, ბატონო... ქალბატონი ეხლა ოცი წუთის შემდეგ გამობრძანდება, მანან კი აქ არავის არ გავა-

კარბთ. ოც წუთში კი თქვენც მზად ბრძანდებოდეთ... პირ-  
საბანი წყალი ან სხვა რამ ხომ არ დაგვირდებათ?

შალვა. არა გეთაყვა, არა. არაფერი არ მინდა! გმადლობთ.  
გიო. (გადის)

შალვა. მაშ, ესეც ასე.

(ალაგებს კალათას. იღებს გრიმებს და სხვა).

ეხლავ მზათ იქმნება ბიძა ჩემი ბ. ლუარსაბ მადიანი. არა,  
ლუარსაბი არა, ბიძინა სჯობია... წმინდანებათაც ეგ რე იხსე-  
ნებიან: ბიძინა, შალვა, ელაზბარ... ჰო-და, აი... მაშ, შევექმნათ  
ბიძა ჩემი ბიძინა მადიანი...

(მიუჯდება სარკეს)

მსახიობი არა ვარ... როგორიც გინდა ისეთი ტიპი გამოვი-  
ყვანო ამ უხვირო სახე-პირიდან...

(გრიმს იკეთებს)

არა, ეს პარიკი სჯობია... მოხუცი უნდა ვიყო... ესეც ასე.  
ამ ცხვირს.— არა! არა! ცხვირს კი არაფერი აღარ ეშველება...  
ამას ვერასფრით ვერ დაამოკლებ... დედის საფლავს გეფიცე-  
ბი... ჰო, ეს შტრიხი ასე.— ეხლა ბაკენბარდებიც.— ამ გვა-  
რად. აჰა, უკვე მზად გახლავართ... ტანისამოსი— არა! ტანი-  
სამოსი სულ ერთია... აი ქუდი, ჯოხიც ხელში და, აი, ესე...

(გაივლის)

ვერა ვგვეარ მოხუცებულს?... ნამდვილათ! დედის საფლავს  
გეფიცები...

## 9

ელოს ხმა ბებრული. აბა, გოგო, მარო!.. სადილზე ქორ-  
თა კიტრები არ დაავიწყდეთ... ა? რა? ჰო, მოურავს უთხა-  
რი ის სამი წლის ღვინო შემოდგას სუფრაზე.

(გამოდის)

აბა, ჩემო შალიკო, შალვა, როგორ შეექეცი? სადა ხარ?  
ა, შალვა-მეთქი!

შალვა. (ბებრულათ)

შალვა კი არა, ბიძინა გახლავართ!

ელო. (არ უყურებს)

ა? რაო? იცინაო? ვინ იცინა?

**შალვა.** ბიძინა, ბატონო, ბიძინა.

**ელო.** (მართლა შეკრთება)

ოჰ, უიმე! ეს ვილაა?..

(დამშვიდდება)

როგორ შემაშინეთ!

(ჯდება)

**შალვა.** (ეხმაურება და უყვირის)

თქვენ ცოტა ყურს გაკლიათ, მგონია, არა?

**ელო.** ჰოო, ცოტა ყურს დამაკლდა.

**შალვა.** ჰო და მე გახლავართ შალიკოს ბიძა—ბიძინა მადიანი,

**ელო.** მაშ, თქვენა ბძანდებით ბიძა?

**შალვა.** დიად, დიად მე... და ჩემს ძმის წულს იმიტომ ჩამოვეყვი, რომ თქვენთან ერთი საქმე გავურიგო.

**ელო.** საქმე გაურიგოთ?

**შალვა.** დიად. ჩემს ძმისწულს, თურმე, თქვენი ძმისწული მოსწონს... ჰე, ჰე!.. და აი მოციქულათ გამომგზავნა.

**ელო.** ძმისწული მოსწონს? მერმე საიდან გაიცნეს ერთმანერთი?..

**შალვა.** რა ვიცი, რა მოგახსენო, მაგრამ... სულ ერთი არ არის?.. ახალგაზღობის ამბავი განა არ იცით?

**ელო.** ჰო, დიად, დიად... გეთაყვა, ერთი მანდ ბურნუთის კოლოფია და ის მომაწოდეთ...

**შალვა.** (მიაწოდებს)

ჰო და ახალგაზღობა ხომ იცით რა მოხერხებულიც არის... რამდენათაც ვიცი, თქვენც ერთ ღროს დიდი ეშმაკი ბრძანებულხართ...

**ელო.** (ვითომ ბებრულათ მკაკლუდება)

ვინა? მე? ვინ მოგახსენათ?.. მაგრამ თქვენ კი არ უნდა იყოთ წმინდა სული...

**შალვა.** ეჰ, მე ქალბატონო, ჩემი ღრო უკვე მოვკამე...

**ელო.** არა, გეტყობათ, რომ ეხლაც... ჯერ კიდევ არა გიშავთ რა...

შალვა. ჰო... (იბრანკება ბებრულათ)

მე არც ისე... (თავისთვის)

შეხე ამ ბებრუხანას!.. მგონი საღერღელი აეშალა.

(მიიწევს ახლოს. იმას)

აია! თუ მოვინდომე ეხლაც კი...

ელო. (მართლა ეცინება, თავს იკავებს)

გამოტყდით, რომ დიდი არშიყი იქნებოდით ..

შალვა. (თავისთვის)

რა ხუნტრუსა ყოფილა! მგონი ჩემი და ელოს საქმე კარგა წავიდეს..

(იმას)

ძალიანა ვნანობ, რომ აქამდე არ გიცნობდით, ქალბატონო.

(ელოს, ხელს აიღებს)

რა ახალგაზდა ხელი გაქვთ, რა მკვრივი ხორცი...

ელო. (ძლივს იკავებს თავს)

უი, რას ჩაღიხართ, ქა? რა საკადრისია!..

(ბურნუთის კოლოფი დაუეარდება)

უიმე.

შალვა. (დაიხრება ასაღებად)

ელო. არა, ნუ ირჯებით... (მხარზე ხელს წააელებს, მაგრამ შალვა კიდევ უფრო დაიღუნება და ელოს ხელი პარიკს მოხვდება).

შალვა. რა გარჯაა, ბატონო!

ელო. - (პარიკი ხელში შერჩება)

უი-მე ქა! (გულიანათ გადაიხარხარებს)

როგორ? მაშ თქვენ?

(კიდევ უფრო ეცინება და ამ სიცილის დროს გამოუეარდება განგებ გაკეთებული კბილები რომელიმე ხილის კანისაგან გამოჭრილი და სათვალეებიც ჩამოუეარდება).

შალვა. მე, დიად, მაგრამ... თქვენ?

ელო. (უეტრად წამოხტება, კაპოტსაც გადაიღებს)

დიად, მე ელო გახლავართ!

შალვა.

(მოიგლეჯს ბაკენბარდებს, ცხვირსახოცით პირს მოიწმენდს).

მე კიდევ — შალვა...

ელა. მაშ, თქვენ ნამდვილი შალვა ხართ?

შალვა. დედის საფლავს გეფიცები!.. და ეხლა აღარც ბიძია და აღარც ძალუა არა გეკირდება.

ელა.

(ჩამოიშორებს, ბავშურათ)

გადი!

შალვა. ჰო, დედის საფლავს გეფიცები, მაგრამ ეხლა ჯერ ერთი ლექსი, ერთი მაინც, ბავშურად.

ელა ყაყაჩოსა სიწითლითა და სხვ.....

ფ ა რ დ ა .



## შ ე ნ ი უ ვ ე ბ ი :

① მღვიმეში, ფანტასტიური სანახაობა სამს ნაწილათ, დაწერილია 1905 წ. ზაფხულში სოფ. საწულუკიძემოს (ქუთაისის მაზრისა). პირველათ დაბეჭდილია ნიკო ლორთქიფანიძის „ცხოვრება და ხელოვნებაში“. პირველად წარმოდგენილია თბილისში, საოპერო სცენაზე 1918 წ.

✦ როს ნადიმობდენ, წარმოსადგენი ერთს სანახავად. დაწერილია ქ. ოდესაში 1907 წ. პირველად დაბეჭდილია ქუთათურ გაზ „ფონში“. შემდეგ ცალკე წიგნაკათ არის გამოცემული ბათომში ალ. ჯაყელისა და ვლ. სარელის მიერ. პირველად წარმოდგენილია ქუთაისს 1908 წ.

② შენი ქირიმე, კალმის ნაეშმაკარი 3 მოქმედებათ. სასწრაფოდ დაწერილია 3 დღეში ივ. ბარველის საბენეფისოთ ბათომში და წარმოდგენილია 1912 წ. პირველად დაბეჭდილია მიხ. გაჩეჩილაძის „ჩანგში“:

③ გუშინდელნი, კომედია 3 მოქმედებათ. დაწერილია ერთ კვირაში ავტორის საბენეფისოთ ბაქოში 1917 წ. და იქვე წარმოდგენილია თებერვლის 21-ს იმავე წლისა. პირველად დაბეჭდილია იოს. იმედაშვილის „თეატრსა და ცხოვრება“-ში.

5. ვარამი, ისტორიული ოცნება წარმოსადგენი 3 სანახავათ. დაწერილია კახეთს, ს. კარდანახში 1916 წ. გაბათხულზე. წარმოდგენილია პირველად ქუთაისს 1920 წ. იბეჭდება მხოლოდ ეხლა.

6. *ვეფექორი*, ისტორიული ლეგენდა სამეგრელოს წარსულიდან, დაწერილია ქართლში, სოფ. წვერს 1915 წ. წარმოდგენილია პირველად 1920 წ. თბილისში. დაბეჭდვით ესლა იბექდება პირველად.

7. *მოულოდნელი შემთხვევა*, სათეატრო კომბინაცია ერთ სურათად. დაწერილია თელავში 1916 წ. იბექდება პირველად. წარმოდგენილია ბაქოში.

---

## სიტყვების განმარტება.

ქვემოთ მოყვანილი სიტყვები განმარტებულია იმ მნიშვნელობით, როგორითაც ავტორსა აქვს ნახმარი.

### ა

**აზრზინება** — (პიესაში „აზრზინდენ“) გამომხატველია იმ მდგომარეობის, როდესაც რომელიმე კრებული უკმაყოფილო ხმაურობით წამოიშლება.

**ანაზღათ** — უცებ, მოულოდნელათ.

**აპრიორი** — უცხო სიტყვაა: სათუო, საეგებიო.

**არგანი** — კვერთხი, ხელ-ჯოხი უვლება-მოსილობის გამომხატველი.

**ახტაჯანა** — აჯილდა.

### ბ

**ბაქანი** — პლატფორმა.

**ბისტი** — „გროში-კაპეიკი“.

### ბ

**გაბლინძვა** — გაბერილობა. „იბლინძებიან“ — იბერებიან.

### დ

**დალეშტრა** — წვიმამ წააწვინა და ჩამოაქცნო. (იმერულია.) ყანაზე იტყვიან.

**დალიკი** — სამეფო ტახტი.

**დაფსება** — ჩაქრობა, (იმერულათ.)

### ე

**ეროტიული** — უცხო სიტყვაა: სატრფიალო, საარშიყო. სქესობრივ აღტყინების მაჩვენებელი.

**ეტრატი** — ტყავის ქალაღდი.

## 3

ვაშა-კაცი — პიესა „მღვიმეში“ იხმარება „ვაჟკაცის“ მაგიერათ.

## თ

თარჩია — ცხენებით ერთიხაგან-მეორის დასაქერათ გამოკიდებან. ერთი გაიტაცებს მეორის რაიმე ნივთს, და ცხენს გააქენებს, მეორე უნდა გამოეკიდოს, დაიქიროს და ნივთი დაიბრუნოს. ცხენოსანთა მოსაზრებაზე და ცხენების სიკვდიტეზეა თამაში დამოკიდებული. ლამაზი სანახავია.

თაჯი — თავზე დასარქმელი სალტე, უფლება-მოსილობის მაჩვენებელი.

## ი

ირაო — ცის სიმაღლე. ხალხი ამბობს: „მიმინო ირაოთ ავიდა“ ე. ი. მაღლა აფრინდა, უთუოდ ცაში და არა ხეზე-სადმე.

## კ

კანდელი — დიდრი, საეკლესიო შანდალი, ხატის წინ დასადგმელი.

კაჟანდია — (მეგრულია) კაჟის დევი. იხმარება გაუტეხელობის და გულოვნობის სინონიმათ.

კინკრიხო — (იმერულია.) მალლობი, წვეტიანი ფერდობი, მთის წვეროკანა.

კისკასი — მალხაზი, მოსწლეტილი, მარჯვე, აღსავსე კაბუკურის სიკოცხლით და ხალისით.

კირწი — კორწი — (იმერული) ბლლარძენი, შეხლა-შემოხლა.

კოზმიდი — სვეტის თავი, ბალიში, „კაპიტელი.“

კუბაქი — შუმი .. გლეხი, (მეგრულია) „მუყიკი.“

## ლ

ლანდ შაფტი — უცხო სიტყვაა. ბუნების ლამაზი სანახაობა.

ლიანგი — „მასსა,“ (გურულია).

## მ

**მაგიური** — უცხო სიტყვაა. დამპყრობელი, მიმზიდველი, ჯადოსნური.

**მოჯალაზე** — ბატონ-ყმობის დროს გლეხებში ყველაზე უკანასკნელი

**მოაჯირი** — აივანზე შემოვლებული ჯებირი, „ბალიუსტრადა“. სპარაჟმობელნი — ასპარეზზე მომქმედნი.

**მურდახილი** — „ორნამენტი.“ ზოლი, მხატვრობაზე შემოვლებული.

**მუტრიბნი** — მუსიკის დამკვრელები, (оркестрантн.) „ქალნი მეჩანგენი.“

**მუშაითი** — ჯამბაზი, თოკზე მოთამაშე.

**მუშამბა** — „კლიონკა“

**მუხური** — მხარე მეგრულის გაგებით.

## მ

**ოდრიკალი** — რაიმე კორდის, შადრევანის ან ბალის შარავხის გარშემო შემოვლებული, მშვილდურათ მოხრილი და მიწაში ჩარკობილი, ერთი-მეორეზე ჩახლართული პაწია ჩხირები.

**ომფორ ბისონი** — ნაწილი მღვდელ-მთავრის შესამოსელისა, ოლარის მსგავსი.

**ოქსინო** — ოქრო-ქსოვილი ხავერდი.

**ოწინარი** — აზარმაცის („რიჩაგი“-ს) ძელები.

## პ

**პაექრობა** — დაეა, კამათი.

## რ

**რანგი** — თაფლიანი წყალი. სამეგრელოში, მთაში ხმარობენ ამ სიტყვას.

**რკინება** — კიდაობა მეგრული გაგებით. ერთი-მეორეს გულმკერდი „შეარკინეს“ ხშირად შეგხედებთ მწერლობაში.

როკი სპა — დაქირავებული ლაშქარი.

## ს

სანატრიონი — იდვალ

სარსარაკი — გადარეული, შტერი, საალერსოთ თქმული.

სატფურება — ზეიმით კურთხევა რაიმე დაწესებულებისა, შენობისა.

საკვრეთელი — ბურღი.

საკოკმანო — საყოყმანო, საეკველი.

სახმილი — მოდებული ცეცხლი, სიმწვავე ცეცხლებრივი.

სვე — ბედი

სიყმილი — შიმშილი.

სიჩქურე — თავის თავში ჩაღრმავება.

სკარამანგი — დიდ-მოხელეთა ძვირფასი ტანსაცმელი, უფლებამოსილობის მაჩვენებელი.

## ტ

ტაბაკი — დაბალი, გრძელი და ვიწრო მაგიდა.

ტაიკი — ბედაური.

ტაქვანაგი — „გაროზგა“

ტინგიცი — თავ-აგდებული.

## უ

უგულეხელს-ყოფა — დაუარება, ყურის არიდება.

ულური — „პრესტიჟი“

უზიაგი — შეუფერებელი, უმართებულო.

## ფ

ფოლორცი — გაფოლორცებული ხელოვნურათ, საგანგებოდ მოტიტელებული ადგილი.

ფრთედი — სასახლის დარბაზის, ან ტაძრის გვერდი; თაღებით განრიდებული, ეკვდერი საყდარში.

ფხოკიალი — კლდე-ღრეში ხეტიალი.

## ქ

ქედ-მალლობა — ამპარტავნობა.

ქორედი — ადგილი, საცა ხორი გალობს, უფრო კი დარბაზში ან ტაძარში აივანივით მალლა მოთავსებული.

## ლ

ლარეშაპი — „შლიუზი“.

## ყ

ყაზახი — მამაკაცი, დაცინვით. ზოგჯერ სიტყვა „გლეხის“ მაგიერი.

ყაზილარი — (გაუთლელია), გაუზრდელი.

## შ

შათირი — „კურიერი“.

შიმუნვარი — მოახლე. წარმოებული ფრაზისაგან: „შინ მუნვირ“ — იქა ვარ, შინ, მუდამ შინ ვახლავარ. („კამერისტკა“).

შეცბუნება — შეკრთობა.



## უბცლომის ბასწორება

გვერდი	სტრიქონი	უნდა იყოს:
7	12	გაბრუებული
14	8	გაგველო
15	3	მტრები
16	9	ირაოთ
21	11	ხომ
25	16	შეიძლება
27	6—7	წინააღმდეგება, დედოფალო, ფიცი რომ დასდვა.
29	10	აუსრულოს.
76	1	წარმოსადგენი ერთ სანახავად.
77	1	მომკმედნი.
78	5	ფსალმუნებს.
83	5	მარგალიტის
89	4	ნამდვილ
89	8	ამიტომაც
89	12	არავეისი.
104	—	კალმის ნაეშმაკარი სამ მოქმედებათ.
105	5/6	„კნიაგინია“ მერი, „კნიაუნა“ ოლა.
111	18	Неотесанный мужик
114	6	ბურღული.
115	4	მაგანაც, ხომ,
115	17	Философия-ა
115	8	ეგ ზამენები
118	7	ძმაო.
119	2	ესეთი
119	7	მოყვარის.
120	6	მეორე მხრით.
120	11	„სქანი კირიმა“-ს
120	4	იიქ....
122	5	გენერალმა

გვერდი	სტრიქონი	უნდა იყოს:
123	4	ჰა, ჰა, ჰა!
123	9	ჰო, ჰო და.. В полном
124	2	Зайдти
124	3	კიაურ. მიეცხოთ რუსულად.
125	6	№ 47—03..
129	7	გეუბნები.
132	7	IX
134	1	ესეთი
140	6	ქალებთან
141	7	მეგონა
142	3	„ასე“ (სულ არ უნდა)
142	12	Святая ложь
142	13	Не рассказывай глупости
150	1	კომედია სამ მოქმედებათ.
153	10	მამასახლისათ.
167	18	მართლა!
168	9	გამეიგონებს
169	7	უი, გაგისკდა მიწა
170	1	ჩემი მადანია, ჩემო:
172	16	ასტავლიდენ
175	1	მევიდა.
XVI	—	ხალხის ხელმწიფებას